

nbg·K 9454
3

ქართველი

იმპერიალისტური ეპოქის

განარჩენისა

ა. კ. 9454
3

თქმულება 1870—1884 წლებში

ტ. მ. გ. ი. მ. რ. ე.

გამოცემა მემკე

მუთადისი.

სტამბა „ძმობა“, კაზაქოვის ქუჩა № 17.
1913 წ.



Ζεύγος πολυτελος αρχιερέων

Σαμουελ Εμμανουήλ Μητροπολίτης

მოძღვანება

კვირიაკესა ზედა მთვერისასა და ფარისეველისასა.

ორნი კაცნი აღვიდენ ლოცვად ტაძარსა,
შინა, ერთი ფარისეველი და ერთი მეზვერე
(ლუკა 18, 10).

მმანო მართლ-მადიდებელნო! იგავი ფარი-
სეველსა და მეზვერესა ზედა იპყრობს თვის შორის ვრცელსა
და ლრმასა ქრისტიანულსა ზნეობითსა სწავლასა, ამისთვის კვა-
ლადვე განვიხილოთ. იგი დღეს აღსაშენებელად სულთა ჩვენ-
თა. ორნი კაცნი აღვიდენ ლოცვად ტაძარსა შინა, ერთი ფა-
რისეველი და ერთი მეზვერე. ვინ იყო ფარისეველი? სახარე-
ბა ხშირად იხსენიებს მათ და ცხადად აღწერს მათთა სული-
ერთა თვისებათა. ვარისეველნი იყვნენ კაცნი სწავლულნი,
მწიგნობარნი და ერისაგან პატივცემულნი. ზარნა მათი ზნეო-
ბა და ყოფაქცევა სრულიად წინააღმდეგი იყო, იმ ზნეობისა,
რომელსა მოითხოვდა და ასწავლიდა შფალი ჩვენი იესო ქრი-
სტე. სჯულსა აღასრულებდენ იგინი გარეშეობით, საჩვენებე-
ლად კაცთა, ხოლო დაფარული მათი შინაგანი თვისება იყო
ბოროტი, ამპარტავანი, აღვსებული შურითა და ანგარებითა.
ზარნა ყოვლითერზე უცუდესი ის იყო მათ შორის, რომ ფა-
რისეველნი არ გრძნობდენ თავის სიცოდვეს, არამედ თავნი
თვისინი მიაჩნდათ მართლად, სათნოდა წმინდად. შფალი ჩვენი
იესო ქრისტე წინააღმდეგ ამისა ასწავლიდა ყოველთა კაცთა,
რათა შეიძინონ შინაგანი კეთილი, პატიოსანი და წმინდა ხა-
სიათი, და მით გარეგანიცა თავიანთი ყოფა-ქცევა გაიწმინდონ,
გაკეთდენ და გამშვენიერდენ.

ვინ იყვნენ მეზვერენი? იგინი იყვნენ ხარკის მომბოჭველ-
ნი, მთავრობისაგან დაყენებულნი, ხშირად აწუხებდენ ხალხსა
თვისითა ანგარებითა და უსამართლოებითა, ამისთვის იგინი

სძუღლდა ყოველს კაცს, ასე რომ მეზვერე და ცოდვილი ერთი თქმა იყო.

ახლა ვნახოთ, როგორ ილოცეს ამ ორთა პირთა ტაძარში.

ფარისეველი იგი წარსდგა, ესე იგი, ფარისეველი რომ საყდარში შევიდა, სულ ყველაზე წინ დასდგა, როგორც ახლავე დავინახავთ ამპარტავანებით, რადგანაც თავი თვისი ყველაზედ უმჯობესად მიაჩნდა. მაგრამ აქედან ნუ ვიფიქრებთ, რომ საყდარში წინ დადგომა ყოველთვის ცოდვა იყოს, ოღონდ კი ამპარტავანებით არ დადგეს კაცი წინ. ზოგიერთი წინ დადგებიან საყდარში, რათა უმჯობესად გაიგონონ ლოცვები და კარგად დაინახონ სამღვდელო მოქმედება; ამისთანა შემთხვევაში წინ დადგომა არ არის ცოდვა.

დმერთო, გმადღობ შენ, რამეოუ არა ვარ, ვეთარწა სხვანი გაწნია, მტაცებელ, ფრუ, მემრუშე, — ესრედ დაიწყო ფარისეველმა ლოცვა თვის გულში.

პირველი შეხედვით იგი თითქოს კარგად ლოცულობს. მართლა, დიახ კარგი და პატიოსანი არის, თუ კაცს არ უქნია ის ცოდვები, რომელსაც იგი ახსენებს, კიდეც ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს კაცმან, რომ არ იყოს იგი მტაცებელი, მემრუშე. გარნა ფარისეველის ლოცვაში პირველად ის არის ცუდი, რომ ის თავს იქებს. მაცი გონიერი და თავმდაბალი თავის თავს არაოდეს არ იქებს. თუ ღირსია ქებისა — სხვანი უნდა აქებდენ მას, და არა თვითონ თავის თავს. მაგრამ ამაზე უარესი ის იყო, რომ ფარისეველი თავის თავს იქებდა დროსა ლოცვისასა, მდგომარე ღვთის წინაშე. ნასწავლი იყო იგი, წაკითხული ექნებოდა ღავითნისაგან, რომ ლოცვაში კაცს უნდა ჰქონდეს სული შემუსვრილი და დამდაბლებული; ლოცვაში კაცი თვითონვე უნდა ამტყუნებდეს თავის თავს, ცოდვებს ნანობდეს, ღმერთს თავის უღირსებას შეაბრალებდეს. ნაცვლად ამისა, ფარისეველი თავის თავს აქებს. მერმე რით? მტაცებელი, ცრუ და მემრუშე არა ვარო! ამით როგორ უნდა იქოს კაცმა თავი? თუ მაინც-და-მაინც კაცმა თავის ქება მოინდომა, და ისიც არა ლოცვაში, არამედ სხვა დროს და სხვისაგან, ის უნდა მოიხსენოს, თუ რამე კეთილი უქნია და

ნაყოფი გამოულია, და ისიცა ლვთის მადლს და შემწეობას უნდა მიაწეროს. წარმოიდგინე, მაგალითად, რომ ერთი ვინმე ხელმწიფის კარის კაცი წარუდგა ხელმწიფეს, ჯილდო მოითხოვა მისგან, და ასე იქმ თავი: ხელმწიფე! მე შენ არაოდეს არ მოგატყუე, შენი ხაზინა არ გამიქურდავს და შენი სახელი არ მიგმობია. ნუ თუ ხელმწიფე მოიწონებს ამის სიტყვას და ჯილდოს მისცემს? არა ვგონებ; არამედ ესრედ უპასუპებს: მე შენ ჩემი ხაზინის გასაქურდლად და ჩემი სახელის საგმობლად არ დამიყენებიხარ, არამედ მოგანდვე საქმე გასაკეთებლად. თუ კარგად გააკეთე ის საქმე, შევიტყობ და დაგაჯილდოვებ, შენი ლაპარაკი რა საჭიროა. მზგავსადვე ამისა უპასუხებს ღმერთიც ყოველსა კაცსა. საკმაო არ არის, ძმანო ჩემნო, რომ ქრისტიანე კაცი ცოდვებს არ იქმოდეს, არამედ სათნოებაც უნდა ჰქონდეს. არ გეყოფა შენ სულის საცხოვნებლად მარტო ის, თუ მტაცებელი არა ხარ, არამედ მოწყალებაც უნდა გქონდეს; მცირე არის, თუ სიცრუე არ გიყვარს, სიმართლისათვის თავი გადადებული უნდა გქონდეს; არა თუ მემრუშე არ უნდა იყო, არამედ გულშიც უნდა არ გაარონიო უწმინდური აზრი, ქალსაც არ შეხედო ცუდის აზრით...

არა გარ, ვითარცა მეზვერე ესე...

ფარისეველმა არა თუ თავის თავი იქმ, არამედ ამაზედ უცუდესი ჰქმნა: იმან თვისი მოყვასი განიკითხა და შეარცხვონა. მოყვასის განკითხვა და დაწუნება ყოველთვის ცოდვა არის, გარნა ლოცვაში უდიდესი ცოდვაა. ლოცვაში, როგორც ზემორე ვსთქვით, კაცი თავის თავს უნდა დაიწუნებდეს, კიდეც მართალი და კარგი კაციც რომ იყოს, და არა სხვას ვისმეს მოყვასთაგანს განიკითხავდეს:

ვიშარხავ ოდ გზის შინა,—ესრედ გააგრძელა ფარისეველმა თვისი ლოცვა. აქაც იგი თავის თავს იქებს, მაგრამ ახლა თითქოს სიმართლით. მარხვა, ათეულის შეწირვა, მართლა კეთილი საქმე არის და სჯულიც მოითხოვდა ამას. ზარნა აქაც, გარეშე მისა რომ, როგორც ვსთქვით, ლოცვაში კაცმა თავის თავი არასთერში არ უნდა იქოს, წინაპირველად ის უნდა შევიტყოთ, როგორ მარხულობდა ის კაცი. მარხვას და ლოცვას რისთვის ასრულებდა იგი? ის მარხულობდა გარეშეობით, საჩვენებელად კაცთა; მსხვერპლსაც და ლოცვასაც

აღასრულებდა ამ ნაირად და ამისთვის; გარნა შინაგანსაც უდა-
სა ხასიათსა არ იშლიდა, ამისთვისაც მისსა მარხვასა და შე-
წირვასა არ ქონდა მაღლი ლვთის წინაშე. შოველი გარეგანი
მოქმედება იმით აიწონება და დაფასდება ლვთის წინაშე, რა
განზრახვით არის, რომელი წყაროისაგან მომდინარეობს. მარ-
ხვა, მსხვერპლის შეწირვა, ლოცვა მაშინ შეერაცხება კაცის
მაღლად, როდესაც იგინი მომდინარეობენ ჰეშმარიტის სინა-
ნულისაგან, როდესაც იგინი გამოთქვამენ შინაგანსა კაცის
გრძნობასა, როდესაც იგინი დახატვენ ჰეშმარიტისა სახესა კა-
ცის სულისასა. ზარისეველი სასმელს და საჭმელს გამოიცვლი-
და და ხასიათსა და ყოფა-ქცევასა. არა; ხოლო ჩვენ, ქრისტია-
ნეთა, სასმელი და საჭმელი გამოვიცვალოთ, მსხვერპლი შევ-
სწიროთ ისე და იმ განზრახვით, რომ ესენი შეეწეოდეს სული-
ერსა ჩვენსა წარმატებასა და სისრულესა.

საღვთო მეზერე შოთის სდგა...

მეზვერე შორის, ანუ უკან იდგა, როგორც სჩანს, სიმდა-
ბლით. თუ საყდარში კაცი უკან, შორს მისთვის დადგა, რომ
მყუდროდ იყოს, თვალები და გონება არ დაეფანტოს და მე-
ტადრე სიმდაბლით და მორიდებით ილოცოს, ეს დიახ მაღლი
იქნება; გარნა, როდესაც ზოგიერთნი უკან კარების სიახლო-
ვეს მისთვის დადგებიან, რომ მაღლე გავიდენ კარში, ლოცვის
გათავებას არ მოუკლიან, ეს ცოდვა არის.

არა იქადორებდა თვალთა ზე ახალგად.. ზარისეველის მრავალ-
მეტყველობა იყო ნიშანი მისი მოკლე და მცირე გრძნობისა;
ხოლო მოკლემან მეზვერის სიტყვამან გამოაჩინა ლრმა და წმინ-
და მისი გრძნობა.

გატევათ ოქენე, გარდამავადა ესე...

სჩანს, რომ თვით ლოცვა მისი ან გაამართლებს კაცს, ან
გაამტყუნებს, ამისთვის, რომ ლოცვაში კაცი უნებლივად თა-
ვის სულის და გულის მდგომარეობას გამოაჩენს და გამოხა-
ტავს.

და ესრედ, თუ შენი ლოცვა, ძმაო, ლრმა არის, აღვსე-
ბული ძლიერითა გრძნობითა, აღძრული ჰეშმარიტითა სინანუ-
ლითა, იგი შენც გაგამართლებს და გაცხოვნებს, რომელიც
და მოგვცეს ჩვენ ყოველთა ლმერთმან. ამინ.

ს ი ტ ა ვ ა

კვირიაკესა ზედა ფარისეველისასა და მეზვერისა.

ღმერთო, მიღხინე მე ცოდვილსა ამას.
(ლუკა 18, 13).

მოკლე იყო ლოცვა მეზვერისა მის, გარნა იგი გამოდიოდა სიღრმისაგან გულისა მისისა. ჩვენ მრავალ სიტყვებს ვიტყვით ლოცვაში, მაგრამ ისინი არიან ცალიერი სიტყვა, უქმი ხმა. ვლოცულობთ ერთხელვე მიღებულითა ჩვეულებითა, და ფანტულითა გონებითა, არ ვფიქრობთ, რას ვიტყვით, ან რას ვიქმთ. ამისთვის ძვირად მივიღებთ მას, რასაც ვითხოვთ ლოცვაში.

სამი წალულევანება აქვს ჩვენს ლოცვას, რომლისა გამო იგი ხშირად არა თუ სასარგებლო შეიქნება, არამედ უკანონო და წინააღმდეგი. პირველად ჩვენ ვლოცულობთ მოუმზადებელად, მეორედ ვლოცულობთ, მაგრამ მართლა კი არ გვსურს გულ-წრფელად, რასაც ვითხოვთ, ბოლოს, ლოცვაში ერთსა ვითხოვთ, საქმით კი სხვას ვიქმთ.

ამისთვის განვიხილოთ, რა დიდი და როგორი უნდა იყოს ჩვენი გრძნობა და განწყობილება წინად ლოცვისა, თვით ლოცვის დროსა და შემდგომად ლოცვისა.

პირველ ლოცვისა საჭიროა მომზადება, დალაგება სულისა და გულისა. ჰარგებ დოცვისა დაწევბადმდე განამზადე თაგა შენი და ნუ იქმნება, გთარწა კაცი გამომცდელი ღითისა, იტყვის ისუ ზირაქი (18, 23). პაცი ვინმე ხელმწიფესთან წარდგომად თუ მიღის, ბეჯითად მოამზადებს თავის თავს, უკეთეს ტანისამოსს ჩაიცვამს, სიტყვა-პასუხს მოამზადებს და დაალაგებს. ღვთის სახლში მიღიხარ, ღმერთს უნდა წარუდგე, ნუ თუ ეს

შეიძლება მოუმზადებლად? წინადვე უნდა იფიქრო, უინ ხარ შენ, სად მიღიხარ, რას აპირობ.

ვინ ვარ მე? მრთი საწყალი ცოდვილი ქმნილება, მოკლებული ყოველსა სულიერსა ღირსებასა, სუსტი, მომაკვდავი, ღირსი ყოვლისა სასჯელისა, რომელსაც თავის თავად არაფერი აქვს, არაფერი შეუძლია.

სადა უარ ახლა? წინაშე დვთისა, რომლისაგან ძრწიან ხერუვიმნი და სერაფიმნი; და რომელსა შეუძლია ერთი წამის-ყოფით მტვრად გარდამაქციოს; გარნა ამასთანავე—წინაშე ყოვლად მოწყალისა მამისა, რომელი ხედავს ჩემს გულს და უყურებს, რა სულიერს ძლვენს მივართმევ მას.

რას ვაპირობ? უბნობას დმერთთან, დიდების მეტყველებად ყოვლისა მპყრობელისა; მადლობის შეწირვად ყოვლად მოწყალისა, ლოცვად ყოვლის შემძლებელისა, ლოცვად და ვედრებად არა ჩემით და ჩემგან, არამედ სახელითა შფლისა იესო შრისტესითა.

თვით ლოცვის დროს საჭიროა და მიუცილებელი, რომ ჩვენი გრძნობა, განზრახვა და სული ეთანხმებოდეს ლოცვაში წართქმულ სიტყვებსა, რომ ნამდვილად გვსურდეს ის, რასაც წარვსთქვამთ სიტყვებით. მაგალითებრ, როდესაც ჩვენ ვიტყვით: იქან ნება შენა, მაშინ არა არსა ჩვენს გულში წინააღმდეგი. ამ სიტყვებისა? ვსთხოვთ დმერთსა ჟური ჩვენი პისარის მაგგერ ჩვენ დღეს, გარნა, ვაი, თუ საიდუმლოდ გულში გვაქვს აზრი ხორციელისა საზრდოისა, ხოლო სულიერნი მოთხოვნილებანი დაგვავიწყდა? ვიტყვით: გვიხსენ ჩვენ ბირთვისაგან, და, ვაი, თუ გულში გვაქვს მიღრეკილობა და სიყვარული რომლისამე სიბოროტისა, ცოდვისა და ვნებისადმი!

„შამსა ლოცვისა კაცი, მზგავსად მათხოვარისა წარსდგება კარის ბჭესა ზეციერისა, მამისასა“, ამბობს ნეტარი მამა ავგუსტინე; დაუკვირდით გლახაკსა, როდესაც იგი ითხოვს მოწყალებასა: მისი სახე, მოძრაობა, ხმა, ყოველიფერი გამოხატავს მისსა გაჭირვებასა და ღრმასა სურვილსა, რომ შეიბრალონ იგი. თვითონ ჩვენც, მძიმესა და ძნელსა გაჭირვებასა შინა მყოფნი რომ გამოვსთხოვთ შემწეობას ვისმე, ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ მივიღოთ შემწეობა, თვალში ვუყურებთ, ხმა

აღელვებული გვაქვს, სხვას არაფერს არ ვფიქრობთ მაშინ; თუ უარი გამოგვიცხადეს, მაინც ვითხოვთ კიდევ მომეტებულითა გულმოდგინებითა. ნეტავი ღმერთს ვევედრებოდეთ ისე გულ-მოდგინედ, როგორც ვეხვეწებით ზოგჯერ კაცს. მართალია, ზოგიერთს შემთხვევაში ღმერთსაც კი ვევედრებით აღუღებული გულითა და ანთებული გონებითა: ეს მაშინ, როდესაც შიში სიკვდილისა, ანუ რომელიმე სხვა საშინელი უბედურება მოგვადგება ჩვენ. ამ შემთხვევაში ლოცვა ჩვენი იქმნება ერთობ ერთგული და მდუღარე, ამისთვის, რომ იგი გამოდის სილრმისაგან გულისა. მაშინ თვით ჩვენი სული მხურვალედ იმას ეძიებს, რასაც ბაგენი გამოთქვამენ.

შემდგომად ლოცვისა საჭიროა, რომ თვით საქმით ვეძი-ებდეთ და ვასრულებდეთ მას, რაც ვთხოვეთ ღმერთს ლოც-ვაში. მაცმა რომ გაიგონოს ის სიტყვები, რომელთა ჩვენ წარ-მოვსთქვამთ ლოცვაში, იფიქრებს, რომ ჩვენ ვართ სრულნი და ბეჯითნი ქრისტიანენი, მაგრამ ასე არისა?

შენ ლოცულობ ღმერთს, რომ წმინდა იყოს სახელი მისი, მოვიდეს სუფევა მისი, იყოს ნება მისი; რა იქნება ამაზედ უკე-თესი? გარნა ნაცვლად მისსა, რომ თვით ჩვენის ცხოვრებით წმინდა ვყოთ სახელი მისი, ჩვენ თვითონ ვგმობთ მას და ვაძ-ლევთ მიზეზსა ურწმუნოთა კაცთა, მხედველთა ჩვენთა, განკი-ცხვად ჩვენისა სჯულისა. ნაცვლად მისსა, რომ მივსცეთ ად-გილი გულთა შინა ჩვენთა სუფევასა მისსა, ჩვენი გული მორ-ჩილია ცოდვისა და სოფლისა. ვიტყვით: მამათ! იყავნ ნება შპ-სა, გარნა ჩვენ კი ათასი რაიმე გვნებავს, რომელიც არა ნე-ბავს ღმერთსა; და რაც ღმერთსა ნებავს, ჩვენ იგი არა გვსურს. შენ თხოულობ პურსა არსობისასა, და ამასთანავე ბოროტად ხმარობ იმასაც, რაც გაქვს, რაც მოგცა კიდეც ღმერთმა; ერთს საღამოს დახარჯავ იმდენს რაც ათს სულს გლახაქს მრთელი წელიწადი გამოზრდიდა. შენ ყელამდი სავ-სე ხარ ყოვლითა სიკეთითა, და მახლობლად შენი სახლისა ზოგიერთნი შიმშილით კვდებიან. შენ არ შრომობ, უქმად ატარებ შენს დღეს, თუმცა შენც მოვალე ხარ, მზგავსად სხვა-თა კაცთა ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა. თხოვ ღმერ-

თსა პურსა არსობისასა (რომელიც ბრძანებსა?) რომელიც არა შროვ
მობს, არა უნდა სჭამდესთ.

ჩვენ განვაგრძობთ კიდევ ლოცვაში: და მოგვიტებენ-ჩვენ
შეცოდებასი ჩვენი, გითარცა ჩვენ მოუტვებთ შეცოდებათა, და გული
კი ხშირად სავსე გვაქვს შუღლითა და სიძუღლითა მტერთად-
მი. ნუ შეგვიყვანებ ჩვენ განსაცდედსა, და თვითონ კი ხშირად ვე-
ძიებთ და ვემორჩილებით განსაცდელსა. გვისენ ჩვენ ბოროტა-
საგან, და გულში კი ვმაღავთ ბოროტსა, ცოდვასა, ვნებასა.
ამ სახით საქმენი ჩვენნი სრულიად წინააღმდეგნი არიან ლო-
ცვათა და ვედრებათა ჩვენთა.

მრწამს ერთ დმერო, მამა ერვდისა შეყრდებედ, აღვიარებთ
ჩვენ ლოცვაში, და შფალი იესო ქრისტე ძე ღვთისა და სუ-
ლი წმიდა, აღვიარებ ერთსა ეკლესიასა და სხვა...

მშვენიერი აღსარებაა! ზარნა, თუ შენ მართლა გულ-
წროველად აღიარებ ამას, რაისათვისლა ხშირად ისე ლაპარა-
კობ, და ისე ცხოვრობ, თითქოს ღმერთი სრულიად არ იყოს
ქვეყანაზედ? თუ იგი შენი ღმერთია, სად არის პატივი, რო-
მელსაც შენ უნდა აძლევდე მას? თუ ის შენი მამა არის, სად
არის ის სიყვარული, რომელიც ეკუთვნის მას? თუ შენ გრწამს
შფალი იესო ქრისტე, საითგან არის ისა, რომ შენ სოფლის
თქმას და ჩვეულებას უფრო უსმენ, ვიდრელა სახარებას? შენ
გრწამს სულიწმიდა, ეკლესია; მაშ რისთვისლა უგდებ ყურს
ყოველთა ზღაპართა და სიცრუეთა სოფლიურთა, ანუ ღვთის
წინააღმდეგ სიტყვათა ცრუ სწავლულთასა, და არა ისმენ, რა-
საც გეტყვიან მწყემსნი ეკულესიისანი? რა სარგებელი არს შენ-
თვის, რომ დილით და საღამოთი ღალად-ჰყო „მწამს ღმერ-
თი“, და ცხოვრობ, ვითარცა ურწმუნო.

დასასრულ, ძმანო ქრისტიანენო, დავსძინებ: როგორადაც
შეუძლებელია, რომ კეთილად იცხოვროს კაცმა, თუ კეთილი
ლოცვა არ იცის, ვინაითგან ჩვენ არაფერი არ შეგვიძლია გა-
რეშე ღვთის მაღლისა, მზგავსადვე, შეუძლებელია კეთილად,
ნაყოფიერად ილოცოს კაცმა, თუ არ სურს ატაროს ქრისტია-
ნულად ცხოვრება. ჩვენ ცუდად ვსცხოვრობთ მისთვის, რომ
ცუდად ვლოცულობთ; გარნა მეორე მხრით, ცუდად ვლო-
ცულობთ მისთვის, რომ ცუდი ცხოვრება გვაქვს. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

კვირიაკესა უძლების შვილისასა.

ლუკ. 15. 11—32.

ვგონებ, ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, რომ თქვენ ყოველთა ყურადღებით მოისმინეთ დღეს წაკითხული სახარებისაგან იგავი უძლებსა შვილსა ზედა და გახსოვსთ, რა იყო თქმული მას შინა. ამისთვის არ განვიმეორებ მას ეხლა თქვენს წინაშე, არამედ ვეცდები გამოვიყვანო მისგან ის სწავლა, დარიგება, რომელსა ჩვენ იმითი გვაძლევს მაცხოვარი.

იგავი ესე ვრცელი, მშვენიერი და ფრიად აღმაშენებელი, უწინარეს ყოვლისა შეგვაგონებს ჩვენ რა სახით, რა ზომად დაეცემა, გაფუჭდება ცხოვრება და ზნეობა კაცისა მის, რომელი გაშორდება ლვთისაგან, არ ემორჩილება მის სჯულსა, არამედ დაემონება ყოველთა ცოდვათა და ვნებათა, ერთი სიტყვით სცხოვრობს უღმრთოდ. როგორადაც უძლები იგი შვილი, გამოართვა რა მამასა თვისსა ყოველი ნაწილი, რაიცა მას ერგებოდა სამკვიდრებელისაგან, წავიდა შორს ქვეყანას, დაიწყო მუნ გარყვნილი და უწმინდური ცხოვრება, დააბნა ყოველი-ფერი თვისი ქონება, მერმე ისე დაგლახავდა სულითაც და ხორციელად, რომელ ღორების მწყემსად დააყენეს. მზგავსად-ვე კაცი, რომელი განეშორება ზეციერსა მამასა, აიგდებს უღელსა საღმრთოისა სჯულისასა, დაგლახავდება, დაეცემა და დამახინჯდება სულიერად, მოაკლდება ყოველსა სულიერსა. ნიჭისა და მადლსა ლვთისაგან მინიჭებულსა, და დაემზგავსება უწმინდურსა პირუტყვსა.

გარნა, ძმანო ჩემნო, თუ ვისურვებთ, რომ ამ იგავისაგან სრული და შესაფერი ჩვენთვის სწავლა გამოვიყვანოთ, ერთს მის აზრზედ, ანუ კერძოზედ უნდა მივაჭიოთ ჩვენ ყურადღე-

ბა. ამ იგავში გამოხატულია ერთობ და ნამეტნავად, გაფიჭე-
ბულის და გარყვნილის კაცის მდგომარეობა, უკიდურესი და-
მახინჯება და დაცემა კაცისა. მს ამისთვის, რა თანა უფრო მტკი-
ცედ აღიბეჭდოს ჩვენს გულში, რა სახით წაახდენს და გააფუ-
ჭებს ცოდვა და ლეთისაგან გაშორება კაცსა. გარნა ამ სახით
გაფუჭებულნი და დაცემულნი კაცნი, როგორადაც უძლები
შვილი, გამოყვანილი რგავსა შინა, მრავალნი არ არიან და
ნურცა ქმნას ლმერთმან, რომ იყვნენ ქრისტიანეთა შორის.
ახლანდელი ქრისტიანების ზნეობითი მდგომარეობა უფრო სხვა
არის, იგი საშუალია, ესე იგი: უმეტესი ნაწილი აწინდელთა
ქრისტიანეთა შორის არ არიან ისრე განშორებულნი ზეციე-
რისა მამისაგან, როგორც უძლები შვილი, გარნა არც ის ით-
ქმის მათზედ, რომ იგინი იყვნენ ახლო ლმერთთან, ანუ იყვნენ,
მის სახლში. ამაზედ უნდა დაფიქრდე შენ, ძმაო, და ეს უნდა:
კითხო შენს თავს: იმყოფები თუ არა თვით სახლსა შინა მა-
მისა შენისასა? იქნება მზგავსად უძლებისა შვილისა არ წა-
სრულხარ შორეულს ქვეყანაში, არ დაგიბნევია ყოველიფერი
შენი სულიერი ქონება, გარნა იქნება არც ლეთის სახლში ხარ
და არც მისი სახლის ეზოში, არამედ გარეშე ეზოისა, ესე იგი:
არც თბილი ხარ, არც ცივი, არამედ გრილი, ვითარცა აყვე-
დრებდა წმინდა იმანე ლეთისმეტყველი და მახარებელი ზო-
გიერთთა ქრისტიანეთა. შსრეთი მდგომარეობა, ჩემის აზრით,
უფრო საშიშოა და საეჭვო, იგი ატყუებს კაცს; უძლები შვი-
ლი, თუმცა შთავარდა უკიდურესა მდგომარეობასა შინა,
გარნა, ბოლოს, თვით ამ საშინელმა მისმა მდგომარეობამ მო-
იყვანა იგი გონზედ, შეაშინა, გააღვიძა, აიძულა შენანებად და
მოქცევად მამისა მიმართ მისისა. შენ კი, იქნება, ისე არა ხარ
დაგლახაკებული სულიერად, როგორც იგი უძლები და გგო-
ნია, რომ არცა ხარ ლეთისაგან განშორებული, იმყოფები ზე-
ციერსა მამასათანა, მაშინ როდესაც ხარ ლმერთთან ახლო,
არა ხარ თვით მის სახლში. იმას კი არ ვამტკიცებ, რომ უკი-
დურესი წახდენა უძლები შვილისა უმჯობესია, ვიდრელა შე-
ნი საშვალი მდგომარეობა, არამედ იმას შეგაოგონებ, რომ
კარგად შეიტყო, ხარ შენ თვით შინაგან სახლისა შფლისასა,
ანუ მხოლოდ ეზოსა შინა, ანუ იქნება სულ გარეშე ეზოისა.

ვაი, თუ ატყუებ შენს თავს, ვაი, თუ ცრუ რაიმე იმედი გაქვს
და მით დაძინებულია შენი სინიდისი. მართალია, ხან-და-ხან
მიხვალ ეკლესიაში, რომელიც არის ღვთის სახლი, ხან-და-ხან
ეზიარები, დიდი რამე და მძიმე ცოდვა არ შეგმოხვევია, კაცის
მკვლელი არა ხარ, მაგრამ მაინც არ ხარ უმჯობესი სხვათა
კაცთა, არამედ ვითარცა ერთი ათასთა და ბევრეულთა სოფ-
ლის კაცთა შთაფლულთა სოფლის ამაოებასა შინა. მს არ
არის საკმაო, ვერ შეხვალ ამით სასუტეველსა შინა! პბა, რო-
დის იქნები შენ ღვთის სახლში. რა უნდა ჰქნას კაცმა, რომ
იგი სწორედ იყოს სახლსა შინა ღვთისასა დამყარებული? იგი
უნდა ეცადოს და ყოველი ღონე უნდა მოიხმაროს, რომ თვით
მისი სული და გული, და, ბოლოს, თვით სხეული გარდაიქ-
ცეს ღვთის ტაძრად და სადგომად, მან უნდა შეამკოს თავი
თავისი სათნოებითა, სიწმინდითა, სასოებითა და უმეტესად
სიყვარულითა. და მხოლოდ მაშინ შეიქმნება იგი ღვთის სად-
გურად სიტყვისამებრ უფლისა: უბაზუ გისმე ვუეჭარდე მე და
სიცევანი ჩემნა დამარტხენეს, მამამანცა ჩემმან შეიფაროს იგი და მო-
გდეო მისასა და მისთანა დაჭადგრეო (იოან. 14—23).

გარნა ეს ძვირად მოხდება, რომ ვინმე ამ წუთს და ამაო
სოფელში ეღირსოს ამისთანა მაღლსა, აღვიდეს ესრეთსა დიდ-
სა ხარისხსა სათნოებისასა, რომ შეიქნეს ტაძარი ცხოველი
ღვთისა. მაშასადამე ჩვენ ყოველთა ერთიღა დაგვრჩა საშუალე-
ბა. თუ გსურს, ძმაო, არ დაემზგავსო უძღები შვილის დაცე-
მასა და დაგლახაკებასა, ჰბაძევდი მისსა მოქცევას და სინანულ-
სა; შეიძინე სინანული, გული შემუსვრილი და მდაბალი სუ-
ლი. მცადე, რომ მარადის იყოს შენს შორის ცხოველი გრძნო-
ბა სულიერისა უღირსებისა, ეცადე, რომ ყოველთვის ცრემ-
ლით ეცედრო ღმერთსა, ვითარცა უძღები იგი: მამაო, გსცო-
დე ცად მამართ და წინაშე შენსა, და ადარა გრ ღირსი ქედ წოდებად
შენდა. მეაგ მე ვითარცა ერთი მონათა შენთაგანი. ამინ.

უძლების პორიცმესა ზედა.

და ალსდგა და მივიდა იგი მამისა თვი-
სისა (ლუკ. 15, 20).

აწინდელი სახარება გვიქადაგებს ჩვენ სინანულსა, მით
რომ დაგვიხატავს ცხოველად სინანულსა უძლებისა შვილისასა.
არ შეგვიძლია ჩვენ დღეს ვრცლად, ყოვლის კერძოდ, ავხსნათ
მშვენიერი ესე იგავი, თქვენს წინაშე წაკითხული, მხოლოდ
ალვწერ ერთსა კერძოსა სინანულისასა.

სინანული იგი უძლებისა შვილისა იყო გულწრფელი,
გადაწყვეტილი და ნამდვილი. მან სულილიად შეიგნო თავისი
ცოდვა, სიმდაბლით აღიარა იგი ლვთის წინაშე, და მერმე თვით
საქმით აღასრულა სინანული, ე. ი. უარ-ჰყო, უკუ აქცია თა-
ვისი ცოდვა, გამოიცვალა ცხოვრება. ამისთვის მამაც სიხა-
რულით მიიღებს მას, ივიწყებს ყოველთა მისთა ცოდვათა, მო-
უწოდებს ყოველთა მისთა მეგობართა, რათა მონაწილე იქმნენ
მისისა სიხარულისა, რაშეთუ ქე იგი მისთ მომგედარებელ და განცხა-
დებდა, წარწერდიდა იყო და იშვიათ.

სამწუხაროდ, არა ყოველთვის ესრეთი გულწრფელი და
ჭეშმარიტი არის სინანული აწინდელთა ქრისტიანეთა. საუბე-
დუროდ, მრავალ გზის სინანული აწინდელთა ქრისტიანეთა არის
ცრუ და უნაყოფო. რომელი სინანული არის ცრუ და უნაყო-
ფო? ის, როდესაც კაცი ნანობს გარეგანობით, საჩვენებელად
კაცთა, ანუ უბრალო ჩვეულებისამებრ. მეფემან და წინასწარ-
მეტყველმან დავით, მსგავსად უძლებისა შვილისა მის, მიიღო
შენდობა ცოდვისა, მისთვის რომ სინანული მისი იყო გულ-
წრფელი და ღრმა: შენ მხოლოდა შეგროდე, დაღადებდა იგი წი-

ნაშე ლვთისა, დაგმგერი სულიქმითა ჩემთოა; დაგადი წხედარი ჩემი როგორია.

საულ მეფემ არ მიიღო ლვთისგან შენდობა, თუმცა მანცა სთქვა წინაშე სამუელ წინასწარმეტყველისა: შეგროდე! მისთვის; რომ მან არა გულწრფელად სთქვა ეს სიტყვა, არამედ ეშინოდა არ მოაკლდეს პატივი წინასწარმეტყველისაგან და არ შერცხვეს წინაშე ერისა. აწინდელიცა ქრისტიანენი ხშირად ემზგავსებიან მას, მრავალნი მათგანი ეკლესიაში დადიან, აღსარებას იტყვიან, ეჭიარებიან, მაგრამ ამას იქმენ საჩვენებლად კაცთა: ქვეყანამ არ დამძრახოსო! რამდენჯერ ზოგიერთი კაცი, თუმცა დიდს ცოდვაში ჩავარდება, მაგრამ სრულიად არ შესწუხდება, არ შერცხვება, ვიდრემდის მისი ცოდვა დათარული არის, არავინ არ იცის. ბარნა როდესაც ქვეყანამ შეიტყო, და იწყო მისი გამტყუნება და განკითხვა, მაშინ კი შერცხვა, შეწუხდა, ერთი სიტვით, შევიდა სინანულში, მაგრამ ამისთანა სინანული არის ცრუ და უნაყოფო. ის იმისათვის კი არ სწუხს, რომ შესცოდა წინაშე ზეციერისა მამისა; ის სწუხს იმას, რომ ქვეყანამ შეიტყო, საზოგადოებაში შერცხვა.

უძლები შვილი იტყოდა: გაცდე ცად მიმართ და წინაშე შენია, და არა დინი; გარ წოდებად შეიღ შენდა. ის სწუხდა იმაზედ, რომ ზეციერს მამას განეშორა და მოაკლდა მის სიყვარულს, მამა-შვილობას.

ზოგჯერ სინანული გაუჩნდება კაცს მარტო შიშისაგან, ეშინია, ლმერთმა არ დამსაჯოს ჩემი ცოდვებისათვის და ჯოჯოხეთში არ ჩამაგდოსო. რა უნდა ვსთქვათ ამისთანა სინანულზედ? — ისა, რომ დასაწყისში ესეც კარგია.

საღმრთო წერილიც შეგვაშინებს ჩვენ საუკუნოითა სასჯელითა, იგი გვაშინებს ლვთის განრისხებითა და ჯოჯოხეთის სასჯელითა: გარნა მარტო შიშით არ უნდა იყოს სინანული. შეტექსად ნაყოფიერი და ჭეშმარიტი სინანული სიყვარულითგან იშობა. თუ გსურს, ძმაო ჩემო, რომ სინანული შენთვის იყოს მეორე შობა, და ჭეშმარიტი სინანული მართლა არის მეორე შობა, მზგავსად ნათლის-ღებისა, ეცადე რომ შენი სინანულიც იყოს ნაყოფი სიყვარულისა, სწუხდე და სტიროლე, რომ განეშორე ზეციერსა მამასა.

ხშირად მოხდება კიდევ, რომ კაცი მონანული მიზეზობს, სხვა და სხვა გარემოებას მოიყვანს შესანდობლად მისთა ცოდვათა, ეშმაკმა მაცდუნა, ამხანაგმა ამიყოლიაო. შურდები იტყვიან, სიღარიბისა გამო ვქენიო. ზემტერება შენ ვინმე და მას იხსენებ— მისი ბრალი არისო, იმან არ მომასვენაო, და სხვა ამისთანა მიზეზებს მოიყვან. ალსარებაშიც წინაშე მოძლვრისა ზოგიერთი ნაცვლად მისა, რომ გულწრფელად აღიაროს ცოდვილი ვარო, ჩემი ბრალი არისო, მრავალ მიზეზებს მოიყვანს შესანდობლად თვისისა ცოდვისა. ბანა არ შეეძლო. დავით მეფესაც მოეყვანა მიზეზები თვისი ცოდვისა, გარნა არა! იგი იტყოდა: შენ მხოდოსა შეგწოდე და ბოროტი შენს, წანაშე ვეგ, ცოდვა ჩემა მარადის, ჩემს წანაშე არს. მან უწყოდა, რომ გუდი შემუსოვიდი და სული შემუსოვიდი და დამდაბლებული ღმერთმან არ შეურაცხ-ჭერის, და შეიმუსრა სული, შეიწუხა გული, დაემხო ლვთის წინაშე სიმდაბლით.

ხშირად მოხდება ისიც, რომ კაცს აქვს ერთი რომელიმე ცოდვა დაჩემებული და შეყვარებული; თუმცა ნანობს, მაგრამ არ შეუძლია იმ ცოდვის დატოვება. ნიშანი ჭეშმარიტისა სინანულისა ის არის, რომ— კაცმა დატოვოს და მოიძულოს მისგან შეყვარებული და შეჩვეული ცოდვა. დავით წინასწარმეტ—
უკულს— ფრიდ უკუ— და ერთი მისი შვილი, აბესალომი, თუმცა ეს აბესალომი იყო ულირსი და ბოროტი. მან უღალატა მამას, გადიბირა მრავალნი მისი ქვეშევრდომნი, აღსდგა მასზედ, სურდა მისი მოკვლა და მიღება მისის სამეფოისა. დავით მეფემ გაგზავნა მაზედ მხედრები საომრად, მაგრამ მხედართ-მთავარსაც და მხედრებსაც დააბარა, რომ აბესალომს არ შეეხონ. ვინც აბესალომისაგან იყვნენ შეცდომილნი, მოტყუებულნი, ისინი კი უნდა დაეხოცათ, და მაცდური, თავი ცოდვისა, აბესალომი; უნდა დაეზოგათ. მზგავსადვე ვიქცევით ჩვენცა, აწინდელნი ქრისტიანენი? ხშირად ვნანობთ სხვა და სხვა წვრილ-წვრილ ცოდვებს, და კიდეც მოვიშლით მათ, მაგრამ რომელიც არის ფესვი და თავი ცოდვისა— იმას არ შევეხებით, იმას დავზოგავთ, ის არის ჩვენი აბესალომი. შეყვარებული,

ალსარებაში ხშირად აღვიარებენ ქრისტიანენი: სიცრუე

გვითქვამსო, ჩხუბით ბევრს ვაწყენინეო, და ეს ცოდვები სიდ-
გან დაიბადენ, ის კი დაავიწყდათ; ამპარტავანი ომშ არის, და
ანჩხლი, ის არ აღვიარა, აბესალომი დაზოგა და მისგან შო-
ბილი ცოდვა მოსპო. ზოგიერთის კაცის გულში მთავრობს
განუზომელი სიხარბე, ანგაარება; ყოველი მისი ცოდვები აქეთ-
გან წარმოსდგებიან. რამდენი კაცი დასჩაგრა, რამდენისაგან
ქრთამი მიიღო, ეკლესიის ქონებაც არ დაზოგა, გარნა იგი
არაოდეს არ აღიარებს ანგაარი ვარო, ხარბი-ვარო: აბესა-
ლომს, მიზეზს ყოველთა თვისთა ცოდვათა ჰეთარავს, და სხვა
რომელიც წვრილი ცოდვები იშვა. აბესალომისაგან, ცალ-
ცალკე აღიარებს. შოველი მავნებელი მცენარე ფესვიანად თუ
არ ამოთხარე, ძმაო, მიწითგან--ისევ აღმოსცენდება, უფრო
გალონიერდება. ვეცადოთ, ძმაო ჩემო, გულწრფელი და სრუ-
ლი გონიერი სინანული მივართვათ შფალსა მომავალსა ამას
დიდ მარხვასა შინა—ამინ.

გ რ ძ ლ ვ რ ე ჭ ა

კვირიაპესა ხორციელისასა.

რა უამს მოვიდეს ძე კაცისა დიდებითა
თვისითა და ყოველნი ანგელოსნი მისნი
მასთანა, მაშინ დაჯდეს საყდართა დიდები-
სა თვისისათა (მათე 25, 31).

შმინდამან ეკლესიამან დააწესა აწინდელსა კვირიაკესა ზე-
და წაკითხვა სახარებისა მის, ოომლისა შინა მაცხოვარი ცხო-
ვლად აღწერს მეორესა მოსვლასა და საშინელსა სამსჯავროსა.
ვრიად საჭირო და სასარგებლო არს, ძმანო ჩემნო, ხშირად და
ცხადად წარმოვიდგენდეთ საშინელსა ამას დღესა. შევკრიბოთ
საღმრთოისა წერილისაგან ყოველი, რაიცა სულმან შმიდამან
შინადვე გვამცნო ჩვენ ამ საგანზე.

პირველად, როდის იქნება სოფლის აღსასრული და შრი-სტეს მეორედ მოსვლა? რას გვიცხადებს ამაზედ საღმრთო წე-რილი? თუმცა ცნობის მოყვარესა კაცის გულსა და გონებასა ყოველთვის სურს შეიტყოს დრო იესო შრისტეს მეორედ მო-სვლისა, გარნა სულმან შმიდამან განგებ არ ინება განსაზღვრე-ბა ამისა. მოციქულთა ერთხელ კითხეს მაცხოვარსა: გვითხარ ჩვენ ოდეს იყოს ესე, და რაი არს სასწაული შენისა მის მოსვლისა, და აღსასრული ამის სოფლისა? ზარნა მაცხოვარ-მან უპასუხა მათ: დღისა მასთვის და ჟამისა არვინ იწას, არცა ან-გელოსთა, გარნა შამაძეს ჩვენმმან მხოლოდან. (მათე კდ. კვ.) რის-თვის დაფარა მაცხოვარმან ჩვენგან ეს? იღვიძებდით უბრა, გვიპა-სუხებს ჩვენ შფალი, რამეთუ რა იცით რომელსა ჟამის უფალი თქვენი მოვადეს! ზარნა, თუმცა საღმრთო წერილი პირ-და-პირ არ განსაზღვრებს დროსა მეორედ მოსვლისასა, გარნა იგი აღ-წერს ზოგიერთსა ნიშნებსა და სასწაულთა, რომელნი თავის დროზედ ცხად ყოფენ მოახლოვებასა სოფლის აღსასრულისა-სა. რომელნი არიან ეს ნიშნები? პირველად ცხადად არს თქმული, რომელ უწინარეს შრისტეს მეორედ მოსვლისა სა-ხარება მისი უქადაგება ყოველთა თესლთა შორის: და იქადა-გონ სახარება ესე ერველთა სოფლებთა საწამებელად ეთველთა წარ-მართოა. ზარნა ჯერედ კი მრავალნი არიან თესლები, რომელ-თა არ უსმენიათ ქადაგება შრისტეს სახარებისა. მეორედ, თუმ-ცა სახარება ყოველ თესლებში იქმნება ქადაგებული, გარნა სიმართლე, სიწმინდე და სიყვარული დამცირება კაცთა შო-რისა. თუმცა ცოდვასა ახლაცა დიდი ძალა და გავლენა აქვს ქვეყანაზედ, გარნა მაშინ იგი თითქმის იდლესასწაულებს კაც-თა შორის, მაშინ დასუსტდება შიში და სიყვარული ლვთისა; მაშინ გამრავლდებიან კაცნი ბოროტნი, თავედნი და უწყა-ლონი, და, რომელიც ერთობ შესანიშნავი არის, გარნა ცხა-დად თქმული საღმრთო წერილში, — მაშინ უმეტესად განმრავლ-დებიან კაცნი ფარისეველნი და მზაკვარნი. რომელნი გარე-შეობითა იქნებიან ლვთის მოყვარენი და ძალი ლვთის სიყვა-რულისა არ ექნებათ. მს იმას ნიშნავს, რომელ ჭკუა და გა-ნათლება იქნება მაშინ დიდი, გარნა ზნეობა დაცემული. რო-დესაც ესრეთი ცოდვა და უსჯულოება მოინადირებს ყოველ-

სა კაცსა, დაამძიმებს დედამიწასა, მაშინ გამოჩნდება უცხალე-
სი ნიშანი სოფლის აღსასრულისა, მოვა ანტექრისტე—კაცი,
საშინელი მძლავრებითა და მცბიერებითა. იგი თავის თავს
დაარქვამს ლერთს, იგი იქმს მრავალთა ცრუთა ძალთა და ნი-
შებსა, და მით მიიქცევს თვისდამი ყოველთა სუსტთა და გარ-
ყვნილთა; და ესრედ იგი შეავსებს ქვეყნის უსჯულოებასა და
ააჩქარებს გამოჩენასა ლვთის სასჯელისასა. რომელიც ამ ჟამად
დარჩებიან ქვეყანაზედა მორწმუნები და გულის ხმის მყოფელ-
ნი, იგინი ამათ ნიშანთა და სასწაულთაგან, ეგრეთვე სხვათა
მრავალთა ნიშანთა და სასწაულთაგან, შეიტყობენ მოახლოვე-
ბასა მრისტეს გამოჩინებისასა. მაშინ გამოჩნდებიან სასწაულ-
ნი და ნიშანნი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, მიწის მრავალ-
ნი სიყრმილნი, ბრძოლანი და ხმანი ბრძოლისანი, ყოველნი
ტომნი იქმნებიან აღვრეულნი და გაშტერებულნი შიშისაგან:
და იყოს სასწაული მყესა შინა და მოგარესა და ჭარსებდაგია და ქვა-
ენსას ზედა, შეპრება თესლებისა განკვირებითა თხვრისათა ზღვისაგან,
და მერითა სულთა გაცთათა შიშისაგან და მოღოდებისა მომავალისა
სოფელსა ზედა. და ესრედ, ოდეს ერთის მხრით მცირედნი
დარჩენილნი რჩეულნი ცხადად იგრძნობენ მოახლოებასა შფ-
ლისასა, და, მეორეს მხრით, უმრავლესნი და თითქმის ყო-
ველნი მაშინდელნი ადამიანნი იქნებიან დაძინებულნი ცოდვა-
თა შინა, არა რაისა მომლოდებელნი, წარტაცებულნი სიმ-
თვრალითა და სიმაძლრითა, მაშინ უცბად გამოჩნდეს სასწაუ-
ლი ცათა შინა ძისა კაცისა, და მაშინ იტყებდენ ეთველნი ცომნი
ქვეესნისანი და იხთდონ მე კაცისა, მომავალი ღრუბელთა ზედა წისათ
მაღითა და დიდებითა მრავლითა. მიაქციე, ძმაო, კარგად ყურად-
ღება სიტყვათა ამათ ზედა: მაშინ იტყებდენ ეთველნი ცომნი ქვა-
ენსანი: მაშინ, ესე იგი, როდესაც ყოველნი შეხედვენ და იხი-
ლვენ ძრისტესა მომავალსა ზეცითგან, იწყონ ყოველთა ტყე-
ბა, ტირილი და თავის ცემა. ვინ აღწერს, ძმაო, ყოველსა,
რასაც გული კაცისა იგრძნობს მაშინ, საშინელსა ამას წამსა!
თვით ის კაციცა, რომელი იგი იყო ლვთის მორჩილი და მსა-
ხური, ყოველთვის შეძლებისამებრ ასრულებდა მისთა მცნე-
ბათა, იგიცა შეშინდება, ამისთვის რომ არ იცის, რას ეტყვის
მას შფალი და რომელსა მხარესა დააყენებს, მარჯვენესა, თუ

მარცხენესა. გარნა მას ერთი ნუგეში მაინცა აქვს, რომ იგი იყო მორწმუნე, მას ქონდა სასოება ღმერთზე; ხოლო ვინ წარმოიდგენს აღრევასა, ურვასა კაცისა ურწმუნოისა და განდრეკილისასა! თურმე მართალი ყოფილა ყოველი, რასაცა გვიქადაგებდა ჩვენ სახარება, ესრედ უთუოდ იფიქრებს. იგი; თურმე იქნა ძრისტე კი ყოფილა მაცხოვარი და მსაჯული სოფლისა, იფიქრებს იგი ამას, დასწყევლის თვისსა სიცოფესა, სიბრძავესა, აღვსებული. შიშითა და მოლოდინებითა საშინელისა სასჯელისათა.

როდესაც ყოველი სულნი, რომელიც დაბადებითგან ცხოვრებდენ ქვეყანასა ზედა, შეიკრიბებიან წინაშე მაცხოვრისა, მაშინ იგი განარჩევს მათ და გაჰყოფს, ლაადგენს რა ცხოვნებულთა მარჯვენით თვისსა, და წარწყმედილთა მარცხენით თვისსა, და იქვე ეტყვის ორთავე მხარეთა მიზეზთა, რომლისათვისცა პირველნი იქნებიან ცხოვნებულ, ხოლო მეორენი წარწყმედულ. რას ნიშნავს, ძმანო ჩემნო, რომელ მაშინ მაცხოვარი არცა პირველთა არ ეტყვის, რომ თქვენ გქონდათ სარწმუნოება ჩემი, და არცა მეორეთა მათ არ აყვედრის, რომ მათ არ სწამდათ იგი, არამედ პირველთა გაამართლებს. იგი მით, რომელ იგინი იყვნენ მოწყალენი: მშიერთა აჭმევდენ, შიშველთა ჩააცმევდენ, სნეულთა ნახვიდენ; ხოლო წარწყმედილთა გაამტყუნებს იგი მით, რომელ იგინი არ იქმოდენ არცა ერთსა. მს იმას ნიშნავს, ძმანო ჩემნო, რომ მოწყალება და სხვანი კეთილნი საქმენი არიან ნაყოფნი სარწმუნოებისა. როგორც ხე იცნობება ნაყოფთაგან, ეგრედვე ლირსება კაცთა — საქმეთა მისთაგან.

რასა შინა მდგომარეობს ნეტარება ცხოვნებულთა — ამას კაცის გონება ახლა ვერ წარმოიდგენს, საღმრთო წერილში არის თქმული მხოლოდ ისა, რომელ ცხოვნებული იქნება ბრწყინვალე, ვითარცა მზე, რომელ ღმერთმან მას მოუმზადა ისეთი ნეტარება, რომელ თვალსა კაცისასა არ უნახავს, ყურსა მისსა არ სმენია და გული მისი ვერ წარმოიდგენს.

რა იქნება ტანჯვა წარწყმედილთა? ამასაც ვერ წარმოიდგენს გონება კაცისა სრულებით, მხოლოდ არის თქმული, რომელ იგინი იქნებიან ბნელსა გარესკნელისასა, სადაცა ცეც-

ხლი მათი არა დაშრტების, და მატლი მათი არ დაიძინებს. და წარვიდენ ქსენი საცანჯგაღსა საუბუნესა, ხოდო მართლდნი ცხოვებსა საუბუნესა. ზღოცავთ თქვენ, ძმანო ჩემნო; ნუ დაივიწყებთ ამას ყოველსა, ხშირად წარმოიტენდეთ სიხარულთა ცხოვნებულთასა და ვაებასა წარწყმედილთა, და მით განაღვიძებდეთ გულსა შინა თქვენსა მონანებასა ცოდვათა თქვენთა, და წადილსა შემთხვევად ხვედრსა ცხონებულთასა. ამინ.

ს ი ტ ყ პ ა

ხორციელის კვირიადესა ზედა.

და მიუგოს მეუფემან მან და რქვას მათ:
„ამინ გეტყვი თქვენ, რავდენი უყავით ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგრ მე მიყავით“ (მათე 3:1).

იქნება, ძმანო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო, ოდესშე ვინმემ თქვენგანმა იყითხა თავის გულში, რომელი არის უდიდესი ყოველთა ქრისტიანეთა სათნოებათა შორის? რომლითა საქმითა, ანუ სათნოებითა ქრისტიანე უმეტესად ასიამოვნებს ღმერთსა, და დაიმკვიდრებს სასუფეველსა ღვთისასა? ღღეს წარკითხული სახარება გვაძლევს ჩვენ ამისა პასუხესა. შდიდესი და უმეტესად ყოვლისა სასიამოვნო ღვთისათვის სათნოება ყოფილა მოწყალება, ანუ მრავალფერი შემწეობა მრავალ-ფერად გაჭირვებულთა და ნაკლულევანთა მოყვასთა. ღღეს წაკითხულისა სახარებისაგან გვესმა ჩვენ, რომელ ოდეს შფალი ჩვენი იესო შრისტე მოვალს მეორედ ქვეყანასა ზედა დიდებითა და ძალითა მამისა მისისათა, ანგელოზთა მისთა თანა, და დაჯდება საყდარსა ზედა დიდებისასა, და შეიკრიბებიან მის წინაშე ყოველნი ტომნი და ნათესავნი კაცთანი, მაშინ იგი განარჩევს მართალთა და ცოდვილთა, ვითარცა რა მწყემსმან განარჩიოს

ცხოვარი თიკანთაგან, და დაადგინებს პირველთა მარჯვენით თვისსა და უკანასკნელთა მარცხენით თვისსა. მაშინ რქვას მეუღებს მარჯვენეთთა მათ თვისთა: მავედით, გუროხეულნა მამისა ჩემიასხნა, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფლებელი დასაბამითგან სოფლისა, რამეთუ შშიოდა და მოძერით მე ჭამადი, მწყუროდა და მასგით მე, უცხო გიფავ და შემაწყნარეთ მე, შიშველ გიფავ და შემმოსეთ მე, სნეულ გიფავ და მომხედეთ მე, საბერობილება გიფავ და მოხვედით ჩემდა. ხოლო მარცხენითა მათ რქვას: წარგედით ჩემგან წყეულნი წარხელია მას საუგუნესა, რომედი განმზადებულ არა ეშმაკთათვის და ანგელოზის მისთათვის, რამეთუ შშიოდა და არა მოძერით მე ჭამადი, მწყუროდა და არა მასგით მე, უცხო გიფავ და არა შემაწყნარეთ მე შიშველ გიფავ და არა შემმოსეთ მე, უძლური გიფავ და არა მომხედეთ მე, საბერობილება გიფავ და არა მოხვედით ჩემდა. და ოდეს მართალნიცა და ცოდვილნიცა განკვირვებულნი კითხვენ მას: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერა, ანუ მწყურგადე, ანუ უცხოებისა და უძლურებისა, ანუ საბერობილება სანა? მაშინ მეუფემან მიუგოს მათ და რქვას: ამინ გატეგი თქვენ, რათადენი უქავით ერთსა მასე მმათა ჩემთა მწირეთაგანსნა, იგი მე მიგავთ. მაშასადამე, ერთი უმთავრესი მიზეზი ცხონებისა მართალთასა იქნება ის, რომ იგინი იყვნენ მრავალ-მოწყალენი მრავალ-ფერთა გაჭირვებულთადმი; ეგრედვე უმთავრესი მიზეზი წარწყმედილთასა იქნება ის, რომ იგინი იყვნენ უწყალონი. მრთობ საკვირველი არის, ძმანო ჩემნო, რომელ უკანასკნელსა ამას და საშინელსა წამსა, ოდეს ყოველი კაცი თვით პირისაგან ლვთისა გაიგონებს უკანასკნელსა განჩინებასა და შეიტყობს საუკუნესა ხვედრსა თვისსა, მაცხოვარი სხვას არაფერს არ გაახსენებს და არ უქებს მართალთა თვინიერ ამისა, რომელ იგინი იყვნენ მოწყალენი, თუმცა, უეჭველია, რომ მათ სხვანიცა მრავალნი შეამკობდენ სათნოებანი; ეგრედვე ცოდვილთა სხვა მიზეზს არაფერს ეტყვის, დააყველებს მხოლოდ იმას, რომ იგინი იყვნენ უწყალონი, თუმცა, უეჭველია, იგინი, სხვათაცა მრავალთა ცოდვათა იქმოდენ თავიანთ სიცოცხლეში. რად არს მიზეზი ამისა?— რისთვის არ ეტყვის მაცხოვარი მარჯვენეთთა მათ თვისთა, რომ იგინი იყვნენ აღვსებულნი სარწმუნოებითა, სასოებითა, ყოვლად მარხულობდენ, გულ-

მოდგინედ ლოცულობდენ, ზოგიერთთა მათგანთა სისხლიც დასთხიეს ქრისტესათვის? მგრედვე, რისთვის არ ეტყვის მაცხოვარი ცოდვილთა, რომელ იგინი იყვნენ ურწმუნონი, უწმინდურნი, კაცის მკვლელნი, და სხვათა, ამის მზგავსთა, მრავალთა ცოდვათა მოქმედნი? მს მისთვის, ძმანო ჩემნო, რომელ მოწყალება არის ნაყოფი, ცხად მყოფელი ყოველთა სხვათა სათნოებათა, სარწმუნოებისა, სასოებისა, სიყვარულისა. მზგავსადვე უწყალოება არის ნიშანი და ბეჭედი ყოველთა სხვათა ცოდვათა. მისთვის კიდევ, რომელ მაცხოვარი მოითხოვს ჩვენგან საქმესა, და არა მხოლოდ სიტყვასა, მოითხოვს ჩვენგან მოქმედებასა, მოძრაობასა, და არა მხოლოდ უქმსა გულის სიტყვასა და უნაყოფოსა გრძნობასა. იქნება შენ, ძმაო, სარწმუნოება და სასოება გაქვს, გარნა ესენი არიან უნაყოფონი, იქნება შენ მრავალი კეთილი განძრახვა გქონდა გულში, მრავალი და პატიოსანი სიტყვა სთქვა, მშვენიერი. სურვილი გამოიჩინე, გარნა თუ განზრახვა შენი არ აღასრულე, სიტყვა საქმედ არ აქციე, სურვილი სისრულეში არ მოიყვანე, მაშინ შენ ვერ გაერევი მარჯვენით მდგომარეთა და ვერ ცხონდები.

ქარგად დაუკვირდეთ, ძმანო ჩემნო, რა სახით იტყვის მაცხოვარი: მშიალა და მთმერით მე ჭამადი, შაშველ გოფაჲ და შემმახსეთ მე, სწეული გაება და მთმხედეთ მე, საშერთობილესა შინა გოფაჲ და მთხვედით ჩემდა. ცხად არს, რომ ამ სიტყვებით მაცხოვარი გასწავლის შენ, რომ თვით, პირადად, შენი ხელით და მოძრაობით ემსახურო მრავალ-ფერთა გაჭირვებულთა. როდესაც შენის ნამეტნავისაგან შენისა მოსამსახურის ხელით გლოახაკსა გაუგზავნი მცირე რასმე მოწყალებას, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მაცხოვარი იმას მოითხოვს, რომ შენი ხელით აღასრულო მცნება მოწყალებისა, მოითხოვს მისთვის, რომ, ოდეს შენ პირადად, შენი ხელით ემსახურები. გაჭირვებულსა, მაშინ შენ გულიც გაგიკეთდება, მიეჩვევი ლვოის მორჩილებასა, სიმდაბლესა, ჭეშმარიტად და გულითად შეიყვირებ მას, რომელსაც შენი ხელით ემსახურები, და ამ სახით მოწყალებასა შენსა ექნება ორი ნაყოფი: შენს მოყვასს ცხოვრება გაუადვილდება, და შენც თვითონ გული გაგიკეთ-

დება და უმჯობესი შეიქნები. მს კარგად ესმოდათ და ესმისთ ყოველთა ჭეშმარიტთა და სათნოთა ქრისტიანეთა; გონიერნი და მართლა ლვთის მოყვარენი ქრისტიანენი ყოველთვის ცდილობდენ და ცდილობდენ, რომ პირადი მონაწილეობა აჩვენონ გაჭირვებულთა, თავის ხელით აღასრულონ მოწყალება, თუმცა იგინი ამასთანავე ცდილობენ საიდუმლოდ დარჩეს მათი მოქმედება.

გარნა, კიდევ უმახლობელესად შევხედოთ და დავაღრმავოთ სწავლა ქრისტესი მოწყალებასა ზედა. რა მიზეზია კიდევ, რომ ასე საკვირველად იტყვის უფალი: მშაოდა, მწეუროდა, შიშველ გიფაგ, უძლურ გიფაგ, უცხოებასა და საბერობილებას შინა გიფაგ, ესე იგი მე მშიოდა, მე მწყუროდა, მე ვიყავი შიშველიო? რომ ამ ნაირი თქმა საკვირველია, ეს მისგანაც სჩანს, რომელ მართალნიცა და ცოდვილნიცა განკვირვებულნი იქნებიან და ჰქითხვენ მას: უფალი, როდის გაისილე შენ მშერი, ანუ მწეურგადი, ანუ შიშველი, ანუ საბერობილება შინა? ამ სიტყვით მაცხოვარი გვიჩვენებს ჩვენ დიდა ქრისტიანულსა საიდუმლოსა. რომელსა? იმას, ძმანო ჩემნო, რომელ ჩვენ ყოველნი ვართ ასონი, ანუ წევრნი ძრისტეს გვამისანი: მაშასადამე ჩვენ ყოველნი ქრისტიანენი. შევადგენთ ერთსა გვამსა, ანუ სხეულსა, ესე იგი, ვართ ურთიერთის ასონი. ძრისტე არს ჩვენი თავი, ჩვენ ვართ მისი და ურთიერთის ასონი და სახსარნი.

აჲა, რისთვის იტყვის უფალი: შიშველ ვიზავ, უცხო ვიზავ, საპყრობილესა შინა ვიზავ. მაშასადამე, როდესაც შენ, ძმან, ემსახურები გაჭირვებულსა და გლახაკსა, მაშინ თვით ძრისტესა ემსახურები. მრავალ-გზის გვესმის ჩვენ ეს დიდი ჭეშმარიტება, გარნა მრავლისა თქმისა და სმენისაგან ისე მიეჩვია ჩვენი ყური, რომელ იგი დიდად არაფრად მიგვაჩნია, მაშინ როდესაც ჭეშმარიტისა ქრისტიანისათვის არა რაი არს უტკბილესი იმ აზრისა, რომელ როდესაც იგი ემსახურება გაჭირვებულსა თვისსა მოყვასასა, მაშინ იგი ემსახურება, ავასხებს თვით ძრისტესა. ტვალად გეტყვით, ძმანო ჩემნო, რომელ შფალი მოითხოვს ჩვენგან თვით საქმესა, ნაყოფსა სარწმუნოებისა ჩვენისასა; საქმეთგან და ნაყოფთაგან ჩვენოა განსჯის იგი ჩვენსა ცხოვრებასა, და გამოგვიცხადებს ჩვენსა ხვედრსა.

იცით, კიდევ რას ეტყვიან მაცხოვარსა საშინელსა დრო-
სა ამის სამსჯავროისა? ზოგიერთნი მარცხენით მდგომარეთა-
განნი წარწყმედილნი ეტყვიან მას: უფალო, არა სახელითა შე-
ნითა ეშმაკსა განვასხამდით და სახელითა შენითა ძალსა მრავალსა
ვიქმოდით? ესე იგი, ზოგთა მათგანთა სიცოცხლის დროს ქვე-
ყანაზედ ისეთი ღვთის სარწმუნოება ქონდათ, რომ იგინი
ღვთის სახელით ეშმაკსა განასხმიდენ და სხვა სასწაულებსა იქ-
მოდენ. ზარნა, სჩანს რომ მათ არ გაამართლეს ესრეთი დიდი
ნიჭი ღვთისა კეთილითა ცხოვრებითა და ნაყოფის გამოლებით,
და ამისთვის იგინი ზარ-განხდილ იქნებიან საშინელითა პასუ-
ხითა მეუფისათა: არა გიცნობთ ვინ ხართ, წარვედით ჩემგან ყო-
ველნი მოქმედნი უსჯულოებანი! ზესმის, ძმაო, საშინელი ესე
სიტყვა? მცადე და განამართლე სარწმუნოება შენი ნაყოფთა-
გან კეთილთა, უკეთუ არ გსურს, რომ შენცა ზარ-განხდილ
იქნე უკანასკნელსა ამას და საშინელსა წამსა, რომელიცა გა-
ნაშოროს ჩვენგან უფალმან და მოგვცეს მარჯვენით თვისსა
დგომა. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

უველიერის პვირიარჩესა ჭედა.

დანესტვეთ ნესტერი სიონსა შინა,
წმინდა ჰყავთ მარხვა, ქალაგეო მსახურება,
შეკრიბეთ ერი, წმინდა ჰყავთ ეკლესია.
(მოელი 2. 14.)

არ ვიცი, ძმანო ჩემნო ქრისტიანენო, რას ფიქრობთ, და
რას გრძნობთ თქვენ, როდესაც დადგება დიდი მარხვა, გარნა
ჩვენ კი ყოველთვის კმაყოფილებით და თითქმის სიხარულით
შევემთხვევით წმინდათა დღეთა მარხვისათა. მს მისთვის, რო-

მელ დიდი მარხვა არის უამი განლვიძებისა ჩვენდა ძილისაგან, ვითარცა იყო თქმული დღეს წაკითხულისა სამოციქულოსა შინა: ესე უწყოდეთ უამი, რამეთუ აწვე არს უამი განლვიძებად ჩვენდა ძილისაგან (რომ. იგ. ია.) მართლა, რაც გინდა დაუდევნელი და უსასო იყოს ქრისტიანე კაცი, არ შეიძლება ცოტაოდენ მაინც არ გაიღვიძოს და არ დაფიქრდეს თავის თავზედ დღეთა შინა დიდისა მარხვისასა. თუ სხვამ არაფერმა გააღვიძა, როდესაც გაიგონებს გაგრძელებულსა და მოწყენილსა ზარების რეკასა, დაინახავს მრავალთა მორწმუნეთა და მოსავთა ქრისტიანეთა, მიმავალთა ეკლესიათა შინა, დაფიქრებულთა, მდუმარეთა, კრძალულთა და, ბოლოს, ამხანაგებსაც ველარ იპოვნის ურიგოსა და დაფანტულისა დროების გატარებისათვის, უნებლივად თვითონაც დაფიქრდება, და იქნება კიდეც აყვეს მაგალითსა ლვთის მოსავთა კაცთასა და შევიდეს ეკლესიაში სალოცველად. ამით არის ჩვენი კმაყოფილება, რომელ არა თუ ლვთის მორწმუნენი და მოსავნი, არამედ დაუდევნელნიცა და მცირედ მორწმუნენი დღეთა მათ შინა შეუდგებიან ლოცვასა, მარხვასა, მოღვაწებასა, მაშასადამე აწ დღეთა ამათ შინა დიდისა მარხვისათა უმახლობელეს არს ჩვენდა ცხოვნება, როგორადაც იყო თქმული ამავე დღეს წაკითხულსა სამოციქულოსა შინა.

გარნა ზემოთ მოყვანილნი სიტყვანი წმიდისა იოელ წინასწარმეტყველისა გვიმტკიცებენ, რომელ მარხვა ძველ სჯულშიც არა ყოველთვის ნიშნავდა მწუხარებას, არამედ სულიერი კმაყოფილებით და სიხარულით უნდა ყოფილიყო მიღებული: დანესტვეთ ნესტვა სიონსა, წმინდა ჰყავთ მარხვა, ქადაგეთ მსახურება, შეკრიბეთ ერი, წმინდა ჰყავთ ეკლესია. ესე იგი, დაუკარით საკრავი მისიკისა გამოსაცხადებელად მარხვისა. საკრავის დაკვრა ნიშნავს არა მწუხარებასა, არამედ მხიარულებასა და კმაყოფილებასა. მაშასადამე, ჩვენცა, ძმანო ქრისტიანენო, არა სულმოკლეობითა და მწუხარებითა, არამედ სულიერითა კმაყოფილებითა და ერთგულებითა შევუდგეთ დღეთა ამათ მოწევნულთა დიდისა მარხვისათა, წმინდა ვყოთ მარხვა, ვქადაგოთ მსახურება, შევკრიბოთ ერი ეკლესიასა შინა და წმინდა ვყოთ ეკლესია.

შმინდა ვყოთ მარხვა! რით? უწინარეს ყოველთა თვით მარხვითავე, ესე იგი, საჭმელის და სასმელის გამოცვლითა და მოკლებითა. სამწუხაროდ, მრავალნი არიან ქრისტიანეთა შორის, რომელთა თვით ეს საქმე, სახელდობ საჭმლის გამოცვლა და მოკლება ამძიმებს და აწუხებს. ზოგიერთნი იტყვიან: რა არის საჭმლის გამოცვლა და მოკლება, ოღონდ ყოფა-ქცევა გიმოიცვალოს კაცმა, მოინანოს, აღსარება სთქვას, ეზიაროს. ზოგიერთნი სხვა მხრითგან გამოაცხადებენ მათსა სულ-მოკლეობასა: საჭმლის გამოცვლამ მაწყინა, იტყვიან იგინი, სნეული კაცი ვარ, ვერ მოვითმენ საჭმლის გამოცვლას. ზარ-ნა ცხადია, რომ ორნივე მხარენი მარხვის წინააღმდეგნი ერთი-სა მხოლოდ სულმოკლეობისაგან და მოუთმენლობისაგან იტყვიან ამას. ის მართალია, რომ მარხვა წმინდა იქნება არა მხო-ლოდ საჭმლის გამოცვლითა, მოკლებითა, არამედ საქმის გა-სწორებითა და ყოფა-ქცევის ჯამოცვლითა. მაშასადამე, ჩვენ ყოველნი ამას უმეტესად უნდა კუდილობდეთ, რომელ ხასია-თი გამოვიცვალოთ და ბუნება ჩვენი ისრე გავამაგროთ და გავაკეთოთ, რომელ არა თუ დიდ მარხვაში, არამედ ყოველ-თვის ქრისტიანულად და პატიოსნად ვიქცეოდეთ, მაგრამ სა-ჭმლის მოკლებაც საჭირო არის. იგი შეეწევა სულიერსა გან-ლვიძებასა; ვისაც ხორცი აქვს აშენებულნი, გასუქებული და აღვირ უსხმელი, მას ხორციელნი ვნებანი აქვს გამრავლებულ-ნი, ხოლო სული დაძინებული და დაღონებული. ვრიად სა-ჭირო არს აღვირის სხმა და დათრგუნვა ხორცთა. ნურაოდეს ჩუ დაიჯერებ, ძმაო ჩემო, რომ გამძლარ სტომაქით შეეძლოს კაცსა ლოცვა, მონანება, ხოლო როდესაც მარხვისაგან ცოტა-ოდენ მოუძლურდება ხორცი, მაშინ სული თავისიუფალი არს და მიიღოტვის შემოქმედისა თვისისისამდი. რაიცა შეეხება მათ, რომელნი იტყვიან, რომ მარხვამ მაწყინაო, ეს სრულიად უმარ-თლო არის. ჰამისა და სმისაგან დასნეულებული მრავალი უნა-ხავს კაცს, გარნა მარხვისა და მოთმინებისაგან არცა ერთი. წინააღმდეგ ამისა ჩვენ ისე ვიფიქრებთ, რომ მარხვა გაამთე-ლებს თვით სხეულსა კაცისასა. მართალია, დასაწყისში შედ-გომილი მარხვისა დაღონებულია, მოწყენილია, მეტადრე თუ უყვარდა ფრიადი ჭამა და სმა; მაგრამ ამით არ უნდა შეშინ-

დეს, როდესაც ზიეჩვევა მარხვასა და სული მისი დაიპყრობს და დაიმორჩილებს სხეულსა, მაშვინ მიხვდება თვითონაც და დარწმუნდება რა სასარგებლო არის მარხვა.

გარნა მარხვის შენახვა ჩვენს ქვეყანაში უმეტესმა ნაწილმა კარგად იცის; მაშასადაშე არ არის საჭირო ამაზე სიტყვის გავრცელება. უწინადაც მრავალ-გზის გვითქვამს, ამის მზგანსთა შემთხვევათა შინა, რომელ ჩვენს ქვეყანაში უფრო საჭირო არის თქმა და დარიგება, რათა წმინდა ჰყონ მათ მარხვა არა მხროლი საჭმლის გამოცვლითა, არამედ უფრო ხასიათისა და საქმეთა გამოცვლით. წმინდა ჰყავთ მარხვა, ქადაგეთ შსახურება, შეკრიბეთ ერი, წმინდა ჰყავთ ეკლესია. შეიკრიბონ ქრისტიანენი ეკლესიასა შინა, იწყონ მსახურება და თავიანთი გულითა და სულითა, ეცადონ გამოცვლა ხასიათისა, უარ ჰყონ უოველნი მათნი ცუდნი ჩვეულებანი და საქმენი; მხურვალითა გულითა, ღრმითა გრძნობითა, შემუსვრილითა გულითა, დამდაბლებულითა სულითა შეინანონ ცოდვები თავიანთი, განაახლონ შინაგანი დაფარული ცხოვრება. დიდი ბედნიერება იქნება იმ კაცისათვის, რომელმან ისე გონიერად მოიხმარა დროება ამ დიდი მარხვის განმავლობაში, რომელ რიგიანი, პატიოსანი და წმინდა ქრისტიანული ცხოვრება და ყოფა-ქცევა გარდაექცა მას ჩვეულებად, ერთი სიტყვით, ეღირსა მეორედ შობას, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ ნაძლვილი ჭეშმარიტი სინანულისა მიერ, რაისათვის უწოდებს მას საღმრთო წერილი მეორედ შობასა. — ამინ.

კვირიაპესა ზედა ჰველიერისასა

მოვიდა მარხვა უბიშო, დედა იგი სიწმინდისა, ოვალ-უხვევად შემასმენელი ცოდვისა და ძრიელი შემწე სინანულისა, და მოქალაქობა ანგელოზებრივი და მაცხოვარი კაცთა ნათესავისა. (სტიზარონი ორშაბათის ცისკარზე.)

მოვიდა დიდი მარხვა, დადგნენ დიდი დღენი სულიერისა მოლვაწეობისა ჩვენ მართლმადიდებელთა ქრისტიანეთათვის. დიდი და მრავალი მნიშვნელობა აქვს მარხვასა კაცის ბუნებისათვის. მშვენიერად და მოკლედ გამოხატავს მნიშვნელობას მარხვისას ზემო მოყვანილი საგალობელი მარხვნისა. ზავავრ-ცელოთ, განვიმარტოთ მოკლენი, გარნა მძლავრნი სიტყვანი წმინდისა საეკლესიო წიგნისა, და მით დავსდვათ სათანადო დასაწყისი დიდი მარხვის სულიერითა მოღვაწეობითა.

მოვიდა მარხვა უბიშო, დედა იგი სიწმინდისა. მარხვა არის, პირველად, დედა სიწმინდისა. როგორ და რით? მით, რომ იგი აღვირს უსხამს ყოველთა შინაგანთა, უწმინდურთა გულის თქმათა და ვნებათა, რომელნიცა არიან წყარონი და მიზეზნი თვით უწმინდურთა საქმეთა კაცთასა. რა გააჩენს კაცის გულში უწმინდურთა გულის თქმათა და სურვილთა? უზომოდ სმა და ჭამა, მეტადრე მომეტებული მიღება ღვინისა, რომელიცა აანთებს კაცის სისხლში ცეცხლსა ვნებათა და უწმინდურებათა. სხეული კაცისა, თუ განებივრებულია და აშვებული, გადაიქცევა ბუდედ ყოველთა ცოდვათა. სული კაცისა ვეღარ დაიმორჩილებს მას, არამედ იგი დაიმონებს სულსა კაცისასა და დაღუპავს მას. შინააღმდეგ ამისა, თუ კაცი მჩნედ შეუდგა მარხვასა, მით დაიმორჩილებს ხორცსა თვისსა და მაშინ მხოლოდ გამაგრდება მის სულში სიწმინდე და პიტიოსნება.

მეორედ, მარხვა არის თვალუხვევად შემასმენელი ცოდვათა. ცოდვა კაცს თვალს აუხვევს, ჭიუას უბნელებს, სინიღისს უძინებს. მარხვა, წინააღმდეგ მისია, არის შემასმენელი ცოდვისა, ანუ მამხილებელი, გამამტყუნებელი ცოდვისა. რა სახით? ისე, რომ რაკი მარხვის და მოთმინების შემწეობით თვალის სახვევი ჩამოვარდება კაცის პირისაგან, გონება მისი გამოიფხიზლებს და ცხადად დაინახავს თვისთა ცოდვათა და მოიძულებს მათ, ამხილებს, უკუნ აქცევს.

მესამედ, მარხვა არის ძლიერი შემწე სინანულისა. უეჭველია, და ყოველს ბეჯითს ქრისტიანეს გამოუცდია, რომ მაძლარს კაცს, როდესაც სტომაქი სავსე აქვს საჭმლითა და სასმლითა, სრულიად არ შეუძლია არა თუ მონანება, არამედ უბრალო ლოცვის წართქმა გულ-მოდგინედ. რა არის სინანული? სინანული არის სულიერი მწუხარება და შემუსვრილება ცოდვათა და ულირსებათათვის. რა სახით უნდა გაუჩნდეს კაცსა გულში მწუხარება, როდესაც ხორცი მისი გახარებულია და განლაღებული. ხორცი და სული კაცისა შეადგენს ერთს არსებას. არ შეუძლია კაცი ორად გაიყოს: სული მისი მწუხარედ იყოს და ხორცი გახარებული. თუ სურს კაცს ჭეშმარიტი სინანული, რომელიც არის მწუხარება, გაუჩნდეს სულში, წინაპირველად თვისი სხეული უნდა შეავიწროვოს, მოამზადოს მარხვითა.

ბოლოს, მეოთხედ, მარხვა არის მოქალაქობა ანგელოზებრივი, ესე იგი, ცხოვრება მიმგზავსებული ანგელოსთა, ვინაიდგან ანგელოზნი არ დატკბებიან საჭმლითა, არამედ მოქალაქობენ მარხვითა.

გარნა, ქმანო ჩემნო, ჭეშმარიტი მარხვა არ არის მარტო ხორციელი საქმე, არამედ სულიერიცა, ესე იგი, არის მარხვა ცოდვათაგან, მოსპობა მათი, დაკავება ცუდთა საქმეთაგან. ქმასაც მშვენიერად აღგვიხსნის მეორე საგალობელი მარხვისა, რომელიც იტყვის: ჭეშმარიტი მარხვა არს ბოროტთა უცხო ყოფა და მოჭირვა ენისა, აღვირ-სხმა გულის წყრომისა, განშორება ბოროტთა გულის თქმათა და გულის ზრავისა, და ტყუილისა, და ცრუ ფიცისა. ნუ გაზომავ მარხვასა საჭმლის და სასმლის გამოცვლითა, ანუ მოკლებითა, გვასწავლის წმიდა დიდი ბასილი.

ქაცნი, რომელნი მოიკლებენ საჭმელსა და არ იშლიან ცუდთა საქმეთა, დაემგზავსებიან ეშმაკსა, რომელიც სულ არაფერს სჭამს და ლეთის წინააღმდეგობას არ იშლის. მართლა, რა სარგებელი არის გარეგანი, ხორციელი მარხვა, როდესაც შინაგანი ვნებახი და ცუდნი ჩვეულებანი არ დაგვიტოვებია. სვიმონ კვირინელმა ჯვარი აიღო, მაგრამ ჯვარზე არ მოკვდარა, იტყვის წმინდა ბრიგოლი-ლიალოლი; მზგავსადვე იქცევიან, რომელნი ხორცსა დააუძლურებენ მარხვითა, გარნა შინაგანითა თვისითა სურვილითა და გრძნობითა არიან მზგავსნი ცოდვილთა და უკეთურთა.

ბოლოს, არც ის არის საქმაო, რომ ცოდვა მოვისპოთ, არამედ კეთილი საქმენიც უნდა ავასრულოთ, მარხვა უნდა შევავსოთ და ცხოვრება ჩვენი დავაგვირგვინოთ წმინდა, სათნო ნაყოფითა ლეთის წინაშე. ჰეშმარიტი სრული მარხვა მდგომარეობს მიტევებასა შინა ბრალთა ძმათა, მოძულეთა და მტერთა, ვითარცა თქმულ არს იმავე საღმრთო მარხვაში: ვიმარხვიდეთ რა ხორციელად, სულიერიცა მარხვა ვიმარხვოთ სრულ მყოფელი მისი, განვხეთქოთ ჩვენ ლვლარძნილება, მძლავრება, ხელით წერილი იგი სიცრუისანი. ჰეშმარიტი მარხვა არის ქველის მოქმედება, მოწყალება: ვცეთ მშიერთა პური ჩვენი გულითა მხიარულითა—თქმულ-არს იმავე საგალობელში და გლახაკნი უსართულონი შევიყვანოთ სართულსა ჩვენსა. მარხვა თვინიერ წყალობისა—ვითარცა ლამპარი უზეთო, იტყვის ნეტარი ავგუსტინე. თუ გსურს, განაგრძობს იგი, რომ შენი ლოცვა აღვიდეს ზეცად, მოაბი მეორე ფრთა: წყალობა და მარხვა. ამინ.

მ თ ა დ ვ რ ე ბ ა

პვირიაკესა ზედა ჟველიერისასა.

ძმანო მართლ-მაღიდებელნო! დღესა პირველი დაწყებამდე ჩვეულებრივისა სწავლისა და ქადაგებისა, მსურს აღვასრულო საზოგადო ქრისტიანული ჩვეულება აწინდელისა დღისა. იცით თქვენცა, რომ დღეს მწუხარზე ყოველნი ბეჯითნი და ერთგულნი ქრისტიანენი, თანახმად დღევანდელი სახარების ბრძანებისა, გამოითხოვენ შენდობასა პირველად სულიერთა მამათაგან, მერმე ერთი მეორისაგან, რათა ყოველ კაცთან შერიგებულნი, დამშვიდებულითა გულითა და სულითა შეუდგნენ სულიერსა მოლვაწებასა დიდისა მარხვისასა. მეცა, აღმასრულებელი ამ მშვინიერისა ჩვეულებისა და წესისა სიმდაბლით და მორჩილად, გთხოვთ მომიტევოთ ვისაც რა ვსცოდე, და რაც ვაწყენინე წარსული წლის განმავალობაში სიტყვით, გინა საქმით, ნებით გინა უნებლიერ. ჩემის მხრითგანაც ვაძლევ შენდობასა ყოველთა ვინც რა შემცოდა და მაწყერანა.

ახლა შეუდგეთ ჩვეულებრივისა უბნობასა, ანუ მოძღვრებასა. დღეს მე აღვარჩიე განმარტება ანუ აღსნა დღევანდელისა სამოციქულოისა, რადგანაც დღევანდელი სამოციქულოს სწავლა შეადგენს მშვინიერსა შესავალსა, ანუ დასაწყისსა, დიღისა მარხვისა. იქნება ზოგიერთმა თქვენ შორის არ იცის, რომ წმინდამან ეკლესიამან ყოველი დღესასწაულისათვის და კვირიაკისათვის საგანგებოდ გამოარჩია სამოციქულოისაგან ისრეთნი საკითხავნი, რომელნიც უჩვენებენ და აღსნიან თითოეული დღესასწაულის და კვირიაკის მნიშვნელობას. დღევანდელიცა სამოციქულო ერთობ ბრძნად და შესაფერად დიდ მარხვის წინა დღისა არის ამორჩეული. აწ შემწეობითა მამისა და ძისა და წმინდისა სულისათა შეუდგეთ აღსნასა დღევანდელისა სამოციქულოისა.

ესა უწყოდეთ ქამი, რამეთუ აშგა არს უძი განლგიძებად ჩვენდა
ძიღისაგან (რომ. 13, 11). იცოდეთო, შეიტყვეთო, რომ დადგა
უძი განლგიძებად ძიღისაგან ცოდვათასა. მს სიტყვები მართ-
ლა უმეტესად შეეფერება დიდი მარხვის დღეებსა. თუ დიდ
მარხვაშიც არ განიღვიძა ქრისტიანებან, არ შეუდგა ლოცვასა,
მარხვასა და ყოველთა სულის საქმეთა, არამედ დარჩა უდები,
უზრუნველი, მაშასადამე, როდისალა უნდა განიღვიძოს მან?
მრთალია, ბეჯითი და ერთგული ქრისტიანე ყოველთვის
მღვიძარე უნდა იყოს თავის სულიერსაქმეზე, გარნა უმეტე-
სად დიდ მარხვაში. ახლა თვით მცონარებ და მძინარებან უნ-
და განიღვიძოს და დაფიქრდეს თავის თავზე, დაფანტული გო-
ნება თვისი მიაქციოს თავის სულიერი მდგომარეობისკენ, გა-
ნიხილოს თვისი ცხოვრება და ყოველი ღონე იხმაროს გამო-
საცვლელად და გასასწორებლად თვისი ყოფაქცევისა.

შმიდამან ეკლესიამანაც განგებ ისე დააწყო ყოველი დიდ
მარხვის წესები, რომ უნებლიერ გააღვიძებენ იგინი თვით
უდებთაცა და მცონარეთა. ვიწყოთ უბრალო საქმისაგან: ხვალ
შენ, ძმაო, ვეღარ გაიგონებ მხიარულსა, აჩქარებულსა ზარე-
ბის რეკასა, არამედ იქნება მოწყენილი, გაგდელებული რეკა,
და იგი უნებლიერ დაგაფიქრებს შენ, რომ ეს დღე სხვა დღეა.
ეკლესიაში ვეღარ გაიგონებ მხიარულსა სადღესასწაულო სა-
გალობელსა და საკითხავსა, არამედ მოწყენილთა, გრძელთა
საკითხავთა, სამგლოვიაროთა საგალობელთა, რომელნი უნე-
ბლიერ მოგიყვანებენ შენ გრძნობაშიდ. დაგაფიქრებენ, აღ-
ძრვენ სინანულს შენს გულში. ხშირად მოგიწოდებს შენ ეკ-
ლესია ამ დღეებში მეტანიის ქმნად, ხშირად წაგიკითხავს შე-
მაშინებელთა საწინასწარმეტყველოთა, რომელნი ერთობ სა-
გრძნობელ არიან და აღსავსენი მაღლითა და სულიერითა ძა-
ლითა.

აშ უმახლობელეს ასე წხოანება, ღდესდა ესე გვრწენა. უფრო
დაუახლოვდითო ცხონებასაო, ვიღრელა მაშინ, როდესაც ახა-
ლი მონათლული ვიყავით. ამ სიტყვებს წმინდა მოციქული
პავლე მისწერდა ახალთა ქრისტიანეთა. ისინი თავდაპირვე-
ლად, ვითარცა ახალი ქრისტიანენი, არ იყვნენ დამტკიცებულ-
ნი და გამაგრებულნი ქრისტიანობაში, გარნა როდესაც კარგიხა-

ნი გავიდა, — უმჯობესი შეიქნენ, მიეჩიენ შრისტეს სჯულსა და ამისთვის უფრო დაუახლოვდენ ცხონებასა. ჩვენზედაც, აწინ-დელთა ქრისტიანეთა, ითქმის იგივე სიტყვა, მეტადრე ვინც ხნიერი კაცია, დიდ ასაკში არის შესული. ხნიერი კაცი უმ-ფრო მეტადინე უნდა იყოს თავის სულის ცხონებისათვის. რაც ყმაწვილობაში და სიჭაბუკეში მიეტევება კაცს, ის მოხუცე-ბულობაში აღარ მიეტევება. მოხუცებულისათვის უმახლობე-ლეს არს ცხონება, რადგანაც უმახლობელეს არს სიკვდილიცა.

დამე იგი განგებადა და დღე შემოგებადა. დამედ იგულის-ხმე, ანუ იცანი დღენი წარსული კვირიაკისანი, რომელსა შინა, საუბედუროდ, თითქმის ყოველნი ქრისტიანენი სიხარბით და აღვირ უსხმელად ეძიებდენ ყოველთა ხორციელთა კმაყო-ფილებათა, გაუმაძლრად სჭამდენ, თვრებოდენ, ზოგიერთნი უბედურნი არც სხვათა უმძიმესთა ცოდვათა მოერიდებოდენ. აწ შემოგვეახლა დღე, ესე იგი დიდი მარხვა, ეამი ლოცვისა, წმიდა ზიარებისა. ამისთვის განვიშორნეთ საჭმენი ბნელისანი და შე-გამოსით ხაჭურველი ნათლისა და, გთარცა დღესა შინა, მშვენიერად გიდოდეთ არა სიმდერითა და მთვრადობითა, ანუ სხდომითა და შერი-თა. დღე რომ გარეთ გამოხვალ, ტიტვლად კი არ გამოხვალ, არამედ ტანისამოსს ჩაიცვამ და, თუ დიდ შეკრებულებაში გე-გულების მისვლა, ანუ უცხო ქალაქის ქუჩებში, უთუოდ რაც უკეთესი ტანისამოსი გაქვს, იმას ჩაიცვამ, რომ არ შეგრცხვეს. სულიერადაც ასე უნდა მოვიქცეთ. შევიმოსოთ ამ დიდ მარ-ხვის დღეებში საჭურველნი ნათლისანი, რომელნი არიან, ვი-თარცა ზემოთ მოგახსენე, მარხვა, ლოცვა, აღსარება, ზიარება.

ათამედ შეიმოსეთ უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და ხორცია ზრა-ხვასა ნუ ჰქონდო გუდის სათქმედ. რა არის, ძმანო ჩემნო, ეს სიტ-ყვა: შეიმოსეთ უფალი იესო შრისტე? ასე რომ მივითვისოთ მისი მცნებანი, მივიღოთ მისი ხასიათი, ვეცადოთ, რომ მისი სწავლით, სიყვარულით, მადლით ჩვენი სული და გული იყოს განწოლილი და შემოსილი, როგორც სხეული კარგითა ტა-ნისამოსითა. მრთხელ ჩვენ ყოველნი ვიყავით შემოსილნი იესო შრისტესითა: ეს მაშინ, როდესაც მოვინათლეთ, ემბაზითგან ამოვედით. ამაზედ არ იტყვისა წმინდა მოციქული პავლე: ოთ-მედოა ქრისტეს მაერ ნათელს გადეთ, ქრისტე შეგგაძლისეს? მაგრამ,

საუბედუროდ, მასუკან ეს სანატრელი სულიერი შესამოსელი ჩვენი, ზოგიერთს ჩვენგანთა დაუძველდა მისი ცოდვით და უდებებით, ზოგიერთს სრულიად დაეხა, ანუ გაეცარცვა და ნაცვლად მისა შევიმოსეთ ბნელი სამოსელი ცოდვის და ეშმაკისა, ამისთვის გვიწოდებს წმიდა მოციქული პავლე, ხელ-ახლა შევიმოსოთ იესო ქრისტე. ახლა შეგვიძლია ამ დიდ-მარხვაში აღვასრულოთ მარჯვეთ და დაუბრკოლებლად ეს დიდი საქმე. ვიწყოთ იგი მით, რომ ოფერაც იტყვის წმიდა მოციქული პავლე, ხორცია ზრდასა ნუ ვერდო გუდის საიქმედ, ნუ დაუჯერებთ ხორცის სურვილსა, ნუ ავასრულებთ მისსა ზრახვასა, შევავიწროვოთ ჩვენი ხორცი, ბუდე ყოვლისა ცოდვისა, მოვაკლოთ საჭმელი, ნუ ვასიამოვნებთ ტკბილითა სასმელითა, რომ არ განლაღდეს და არ წინააღმდეგეს სულსა, მორჩილი იყოს სულისა და არა მბრძოლი. ამინ.

ს ი ტ ჟ პ ა.

კვირიაკესა უველიერისასა.

განმარტება სიხარებისა. შეკეთუ მოუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნენ თქვენცა შამამან თქვენმან ზეცათამან (მათ. 6, 13).

ხვალითგან, ძმანო მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო, დაიწყება დიდი მარხვა, ესე იგი დღენი ლოცვისა, მარხვისა, სინანულისა და ყოვლისა სულიერისა, ხოლო დღეს წაკითხული სახარება შეგვაგონებს, რომ წინაპირველად შევურიგდეთ, მივუტეოთ ურთიერთსა ყოველნი შეცოდებანი და ბრალნი. გარეშე ამის პირობისა უსარგებლო იქნება ლოცვა, მარხვა და ყოველი სულიერი შრომა. ვისაც გულში აქვს ვისმესთან მტე-

რობა, შური უკმაყოფილება, ის ნუ ჰქარგავს აშაოდ დროებას, ნუ შეუდგება მარხვასა და მომზადებასა, ვიდრე წინაპირველად არ შეურიგდება მოძულესა, არა აპატიებს ყოველთა მისთა შეცოდებათა. შოველი კაცი უნდა გიყვარდეს, ყოველი კაცის ბეღნიერება უნდა გსურდეს და გიხაროდეს, და ყოველი კაცის მწუხარება და უბეფურება. შენთვისაც სამწუხარო უნდა იყოს, და ესრეთ კეთილ-განწყობილმან, მშვიდობიანითა გულითა შეუდექი მარხვასა და ლოცვასა. როგორ უნდა ვიმარხვიდეთ, ესეც აგვიხსნა დღეს წაკითხულმა სახარებამ. რაჟამს ამარხვიდეთ, ნუ იეაფინ, ვთარცა თრგულნი, მწუხარე. მრთი სიტყვით, მარხვა უნდა იყოს არა მარტო გარეგანი საჭმლის და სასმლის მოკლება და გამოცვლა, არამედ შინაგანიცა, სულიერი განშორება, ალკრძალვა ყოველთაგან ცუდთა, მავნებელთა, სულის წინააღმდეგთა გრძნობათა, აზრთა, მიღრეკილებათა და უმეტესად საქმეთაგან და ჩვეულებათა. გარეგანი მარხვა, ესე იგი საჭმლის და სასმლის გამოცვლა უნდა იყოს ხერხი, ანუ გზა ვნებათა და ცოდვათა მოკლებისა და მოსპობისა, და ესრედ ვინც ამპარტავანი არის სიმდაბლე შეიძინოს ამ დად-მარხვაში: ანგარმა კაცმა, უანგარობა მოიგოს, ანჩხლმა და მაშფოთარმა სიმშვიდე, მემთვრალემ, მუცლის მონამ, ფხიზლობა, ზომიერება, ცრუ და უმართლომ გულწრფელობა და სიმართლე შეიყვაროს; თუ ვინმემ სხვისი რაიმე მიითვისა უმართლოდ, დაუბრუნოს. მს იქნება ჭეშმარიტი მარხვა!

მესამე მოღვაწება დიდისა მარხვისა არის უმტკიცესი და უბეჯითესი ლოცვა და მონანება. მსეც აგვიხსნა მაცხოვარმან, როგორ უნდა აღვასრულოთ. რაჟამს ილოცვიდეთ არა ჰყოთ ესრედ, ვითარცა იგი ორგულნი, ესე იგი, არა დაემზგავსოთ ფარისეველთა; მათი ლოცვა იყო გარეგანი, საჩვენებლად კაცთა; შენ ილოცე სულით და გულით. ლოცვაში პირველი საქმე ის არის, რას გრძნობს შენი გული, რა მოძრაობა არის შენს შორის. ჰეშმარიტად ის ლოცულობს, ვისაც ლოცვის დროს მოუვა ცრემლი უნებლიერდ. შენ იქნება, ძმაო, ერთხელაც არ გილოცავს ცრემლით. მიცვალებულის ტირილზედ რომ წახვალ, მიცვალებულის კუბოსთან რომ დაიჩოქებ, მაშინ მრავალს ცრემლს გადმოყრი სრულიად უსარგებლოდ; და

შენი სულისათვის ერთხელაც ერთი ცრემლიც არ მოგსვლია. ბებრალება მიცვალებული და მისი მონათესავე მოტირალნი! და შენი სული არ გებრალება? ისიც მკვდარია მრავალთა ცოდვათაგან და საუკუნო სიკვდილი მოელის მას, ოულოცვაში არ იტირე.

ბოლოს ყოველნი დიდ-მარხვის სულიერნი მოღვაწებანი უნდა დავაგვირგვინოთ აღსარებითა და ზიარებითა. დიდ-მარხვაშიც, რომ ერთხელ არ ეზიაროს ქრისტიანე კაცი, რაღა სასოება ექნება მას! შოველთვის უნდა ფიქრობდეს და ცდილობდეს კაცი, რომ უზიარებელს არ მოუხდეს სიკვდილი, გადასვლა ამიერ სოფლითგან. ზარნა ახლა, აწინდელმა დროებამ უმეტესი შემაშინებელი მიზეზი გამოაჩინა*.) რომელსა აქვს ყური სმენად და თვალი ხედვად, მან უნდა განიზრახოს და შეშინდეს, რა უცები სიკვდილი ეწევა ახლა მრავალთა პირთა. ქაცი სალამოს მხიარული იყო და ძრიელი, დაწვა ლოგინზე და ძილში განუტევა სული უაღსარებოდ და უზიარებლად, ანუ სუფრაზედ დაჯდა, მხიარულად იყო და საშუალ სადილოსა ცუდად იგრძნო თავი თვისი, ადგა და ორი საათიც აღარ გაუტარებია, გარდაიცვალა გარეშე ყოვლისა მომზადებისა და აღსარების თქმისა. შენც კაცი ხარ, ძმაო! ვინ იცის სად და რა სახით შეგემთხვევა სიკვდილი. არ გაგიონია, არ დაფიქრებულხარ, რა საშინელი ამბავი ისმის, არა შორი ქვეყნითგან, არამედ მახლობელ ჩვენდა; რა მომსვრელი სნეულება გაჩნდა, რომ თვით უპირველესთა ექიმთა ვერ მოუპოვნიათ საშუალება მისი მორჩენისა. ვინ იცის რას მოგვიტანს მომავალი ზაფხული. ნუ მოიძულებ შენსა სულსა; ახლავე მოემზადე მიგებებად მტერისა, რომ უცებ არ დაგეცეს თავზედ მოუმზადებელსა და უჭურველსა. ამაზე უმჯობესი მომზადება რაღა შეიძლება, რომ შეინახო და აღიარო შენი ცოდვები და ელირსო წმინდა ზიარებას. ამინ.

*). მს სიტყვა თქმულ არს როდესაც რუსეთში გაჩნდა ჟამი, ანუ ჭირი მომსვრელი. (1879 წელსა).

კვირიაპესა ზედა უცელიერისასა.

და რაყამს იმარხვიდეთ, ნუ იყოფით,
ვითარბა იგი ორგულნი, მწუხარე. (შათე-
სი 6, 15).

აწინდელსა სახარებასა შინა მაცხოვარი გვაძლევს მცნებასა
მარხვისასა და კიდეც გვასწავლის, როგორ უნდა ვიმარხვიდეთ.
არცერთს მცნებას ისე ხშირად არ არღვევენ აწინდელნი ქრი-
სტიანები, რდგორც ამ მცნებას, ზოგნი დაუდევნელობით,
ზოგნი მით, რომ დიდად არაფრად მიაჩნიათ მარხვა, და ზოგ-
ნი კიდევ სხვადასხვა მიზეზებისა გამო. რა ზომად დავიწყე-
ბულია ჩვენს დროში ქრისტიანეთა შორის მარხვა ამაზე მო-
გითხრობთ თქვენ ერთს ნამდვილ შემთხვევას, ყოვლად სამწუ-
ხაროს. მრთმა მაღლად პატივცემდლმა პირმა მიამბო ასე:
დიდს, ანუ წითელ პარასკევს იძულებული ვიქმენ წასვლად
ქალაქითგან სოფელში. როდესაც საღამოს რიონის რკინის
გზის სასტუმრო სახლში შევედი, აღვსებული იყო სახლი სხვა-
დასხვა წოდების პირთაგან. სულ ყველანი იჯდენ და სიხარ-
ბით სჭამდენ ხორცს და სმიდენ ღვინოს. მინდოდა ჩემთვის
სამარხო რაიმე მეშოვნა, მაგრამ ვერ ვიშოვნე და მარტო პუ-
რი ვსჭამე. ასე მითხრა იმ პირმა შეწუხებით. არა ვგონებ,
რომ სუყველანი მუნ მყოფნი იყვნენ უღმრთონი და ურწმუ-
ნონი, და არ ახსოვდათ რა დღე იყო ის დღე. დიდ პარასკევს
რომ ვერ მოითმინოს ქრისტიანე კაცმა ხორცის ჭამა და ღვი-
ნის სმა, რა საცოდავი უნდა იყოს ის კაცი! რა სუსტი და
მუცლის მონა. რა მოუთმენელი უნდა იყოს ის ქრისტიანე,
რომელიც ამ ერთ დღეს მაინც არიმარხვებს!

დიდი მნიშვნელობა აქვს მარხვას! იგი გუშინ არ არის

მოგონებული, ანუ მარტო ქრისტიანობაში არ არის მიღებული. მს ჩვეულება არის ძველი, ვითარცა თვით კაცობრიობას ყოველ დროს; საუკუნოითგან იყო მარხულობა.

დაიცევით მარხვა, იტყვის დიდი ბასილი; თუ სხვა არა იყოს, მისთვის მაინც, რომ იგი არის ჩვეულება ძველი, ვითარცა კაცობრიობა. თვით წარმართთა ოცნებენ და იციან მარხვა. როდესაც რამე უბედურება ეწეოდათ წარმართებს, კერპთ-მსახურებს, მაშინ მარხვას გააჩენდენ, თავიანთ ღმერთებს მარხვით და ლოცვით ევედრებოდენ. მბრაელნი ძველ აღთქმაში და ახლაც მარხულობენ, დანიშნული დღეები აქვთ მარხვისა. წინასწარმეტყველები მათწი ხშირად ამხილებდენ მათ და ასწავლიდენ მარხვის ჯეროვნად შენახვასა. ბოლოს მაჰმადიანთაც კი იციან მარხვა. ახალს აღთქმაში, რაღა თქმა უნდა, სიტყვითაც და საქმითაც მაცხოვარი და მოწაფენი მისნი გვასწავლიან მარხვასა.

მარხვა, პირველად, არის საჭირო მისთვის, რათა აღვირი ვუსხათ ჩვენსა ხორცია, ჩვენთა ვნებათა. თუ ვინმებ გკითხოს, ეტყოდა ოდესმე ნეტარი ავგუსტინე მაშინდელთა ქრისტიანეთა, — რად მარხულობ, რად სტანჯავ შენს თავს? უპასუხე, გადარეულ ცხენს, რომელსაც აღვირითაც ვერ დაამშვიდებენ, დაიმორჩილებენ შიმშილითა და წყურვილითა. ჩვენი ცოდვილი სხეული ებრძვის სულსა ჩვენსა, მიიზიდავს მას ცოდვისადმი. რით არის უადვილესი დამშვიდება და დამორჩილება მისი, თუ არა მარხვით. მარხვა დაადუმებს ვნებათა, დააყენებს ლელვასა სისხლისასა.

მეორედ, მარხვა მიუცილებელია ჩვენი სუსტის და შერყეულის სულიერისა ვნებისა და ზნეობითისა ძალისათვის. ვისაც არ შეუძლია მოითმინოს ჭამა და სმა, ის სუსტია, მოკლებული სულიერისა ძალისა და მონა ხორცისა. ვისაც არ შეუძლია თავის თავს რამე აღუკრძალოს, თავის თავი დააკავოს ჭამისაგან და სმისაგან, იგი არ არის შფალი თავის თავისისა, მას არ შეუძლია წინააღუდგეს რომელსამე თვისი გულის სურვილსა, რომელსამე ცოდვილსა მიღრეკილებასა. იგი იქცევა გულის თქმათამებრ ხორცისათა, პყოფს ნებასა ხორციასა, ვითარცა ოდესმე წარმართნი (მფე. 2, 3). ვინც ესრეთი სუსტი

არის სულიერი ღონითა, არ შეუძლია დაადუმოს თვისი ვნებანი, იაროს ვიწროითა გზითა სათნოებისათა, იქონიოს მოთმინება, სულგრძელება. სახელდობრ, მას, რომელნი ეგოდენ საჭირო არიან ქრისტიანულისა მოღვაწეობისათვის. მარხვა არის საშუალება და ლონე რომლითაც შეუძლია კაცს გაამტკიცოს თვისი სულიერი ზეობითი ძალა.

მესამედ, მარხვა არის ერთი მიუკილებელი საქმე, გარეშე რომლისა არა შესაძლო არის გულის შეწუხება ცოდვათათვის. როდესაც კაცის სულში აღგზნებული არს ცეცხლისაებრ სულიერი მწუხარება, მაშინ ხორციელნი მოთხოვნილებანი დავიწყებულნი არიან, საჭმელი და სასმელი აღარ მოუვა კაცს გონებაში. ნამდვილად შეწუხებული მგლოვიარე კაცი მიიღებს მხოლოდ უგემურსა საჭმელსა, ნაწარი, ჭოთარწა ზური, ვაჭაძე და სასმელი ჩემი ცრემლითა განგზავე, იტყოდა შეწუხებული ცოდვითა დავით (10, 10 ფსალ.) ვინ არ გამოსცადა მზგავსი ამისი უამსა მწუხარებისასა. სინანული არის სულიერი მწუხარება; თუ ნამდვილად სწუხს კაცი თავის ცოდვას, როგორდა შეიძლება მან მიიღოს პოსიერი საჭმელი. ღიღად ცდება, ან განგებ თავის თავს ატყუებს ის კაცი, რომელიც ფიქრობს ვითომც შეუძლია მას კარგად ილოცოს და შეინანოს თავის ცოდვები თვინიერ მარხვისა. ზანა შეიძლება ერთ და იმავე წამს მხიარულიც იყოს და მწუხარეც? კარგი საჭმლის მიღება გაამხნევებს და გაამხიარულებს კაცს და მაშინ როგორ შეიძლებს გული შეიწუხოს ცოდვისა თვისისათვის! იოანე-ღიროპირი იტყვის: შეუძლებელია, რომ წყალში ცეცხლი დაანთოს კაცმა, მზგავსადვე შეუძლებელია სინანული, მწუხარება ცოდვათათვის, მხიარულებასა და კმაყოფილებასა შინა.

მეოთხედ, კმაყფილებასა შინა მარხვა არის მიუკილებელი საჭიროება, თუ კაცს სურს მიუახლოვდეს ღმერთსა და მიიზიდოს მისი მოწყალება. შოველნი წმინდანი კაცნი, ღიღნი მოღვაწენი, მხოლოდ ღიღ-უამიერი მარხვითა და ლოცვითა მიიზიდვიდენ ღვთისა მაღლსა, შეიქმნებოდენ ღვთისმეტყველნი, ღვთის მხილველნი და ასრულებდენ ღიღთა საქმეთა. მოსე წინასწარმეტყველმა ორმეოცისა დღის მარხვისა მერმედ მიიღო სჯული ძველისა აღთქმისა. ილია წინასწარმეტყველმა ორმეოცი დღე იმარხულა და მერმე გამოეცხადა მას ღმერთი. თვით

შფალმა იესო ქრისტემ იმარხვა ორმეოცი დღე. თუმცა აე
დათისა იყო, მაგრამ რადგანაც ჩვენი ხორცი ჰქონდა შესხმული,
გძელებამიერი მარხვით შეუდგა აღსრულებასა თვისისა დიდისა
საქმისასა. არ ყოფილა და არც მოხდება, რომ ვინმე ქრისტი-
ანეთაგანი შერაცხულიყოს წმინდათა შორის და მმარხველიკი
არ ყოფილიყოს.

ამისათვის, ძმაო ჩემო, თუ ბეჯითი ქრისტიანე ხარ, სუ-
ლის ცხონების მეძიებელი და მარტინე, შეინახე, დაიცევ მარხვის
დღეები წესისამებრ წმინდა შართლ-მაღიდებელი ეკლესიისა.
ამინ.

მოძღვრება

დიდ მარხვის პირველ კვირიაკის სამშაბათს.

განიშორეთ თქვენგან, პირველისა სვლი-
სა თქვენისა ძველი იგი კაცი, განხრწილი
გულის-თქმითა მისებრ საცოტისა, და
განახლდებოდეთ თქენ სულითა მით გო-
ნებისა თქვენისათა. (ეფესელთა 4,
22—23.)

წმინდა მოციქული პავლე ხშირად განიმეორებს მიწერილ-
თა მისგან წიგნთა შინა იმ დარიგებასა, რომელიც ახლა მოვი-
ყვანეთ. იგი ხშირად არიგებს ქრისტიანეთა, რომ მათ უნდა გა-
ნიშორონ, განიძარცვონ ძველი, განხრწილი, გაფუჭებული
კაცი და განახლდებოდენ სულითა და გულითა. ღიდი ეს ე
მარხვა, ძმანო მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო, არის დღე
ჭეშმარიტისა სულიერისა განახლებისა, ამისთვის ახლა არ იქ-
ნება უდროვო და უადგილო ვიფიქროთ: როგორ და რით უნ-
და განახლდეს კაცი სულიერად? ზარნა, რომ უმჯობესად ავა-
სრულოთ ეს საქმე, ცოტა შორითგან უნდა დავიწყოთ უბნო-

ბა. იქნება შენ, ძმაო, არ გაგიგონია, რომ კაცი მარად-უამს, ყოველ დღე იცვლება, ახლდება, არა თუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. ქაცის გვამი, სხეული იზრდება, ესე იგი იცვლება და განახლდება ყოველთვის. ზორმა, ანუ გარეგანი სახე, შენება კაცის გვამისა ერთი და იგივე არის, გარნა, მასალა მისი: ძარღვი, ხორცი, სისხლი, ძვალი, იცვლება და ახლდება. რაც უვარგისი და მოუხმარებელია, იმას კაცის გვამი სხვა და სხვა გზებით და საშუალობით გაიშორებს და ნაცვლად მისა საზრდო, რომელსაც მიიღებს კაცი, სტომაქითგან დაიბნევა ასოებში და განაახლებს მათ. მსრედ იცვლება და ახლდება კაცის სხეული, ვიდრემდის იგი არის მთელი. სულიერი განახლებაც დაემზგავსება ერთის მხრით ამ მაგალითს, სულიცა ჩვენი განახლდება ორის საშუალობით: პირველად მით, რომ კაცმა უნდა გაიშოროს ყოველი, რაიცა არის მის გულში და სულში დაძველებული, განხრწნილი, გაფუჭებული. განიშორეთ ოქვენგან ჰირველისა მისებრ სვლისა თქვენასა ქველი უგა ქაცი, განხსნილი გულის-თქმათა, მისებრ საცოლელისა.

ახლა უნდა აღვასრულოთ ეს ჩვენ; ამ დიდ მარხვაში უნდა განვიშოროთ ყოველი მავნებელი, რაიცა არის ჩვენს სულ-ში და გულში. როგორც კაცის ტანში, ანუ სხეულში, თუ დარჩა რამე მავნებელი მასალა განუშორებლად, მაშინ კაცი დასწეულდება და კიდეც მოკვდება, ეგრედვე კაცის სულში თუ დარჩა განუშორებლად ვნება, ცოდვა დაასწეულებს სულსა და სულიერს სიკვდილში ჩაგდებს. მრავალსა საშუალებასა გვაძლევს წმინდა ეკლესია ამ საქმის ასრულებისათვის. ამისთვის დაგვინიშნა წმინდა ეკლესიამ მარხვა, ლოცვა, სინანული. თუ კარგად მოიხმარ მათ, გონიერად აღსარულებ, მაშინ განეშორებიან შენგან ყოველნი ბოროტნი სულის განმხრწნელნი მასალანი. ზარნა უდიდეს-ყოველთა საშუალებათა არის აღსარების თქმა. თუ გონიერი და ჯეროვანი აღსარება თქვა კაცმა, თუ გადაწყვეტილად, გათავებით შეინანა კაცმა თვისი ცოდვა და აღსარებაში აღუარა მოძღვარსა, ამით მან განიშორა, გააგდო ცოდვა თვისი.

მეორედ, როდესაც სინანულით და აღსარებით განიშორებს კაცი ანუ გააგდებს ყოველსა ცუდსა, განმხრწნელსა ვნე-

ბასა, მაშინ სულიერი საზრდო უნდა მიიღოს კაცმან. წმინდა ეკლესია მიანიჭებს მას სულიერსა განმაახლებელსა, განმამტკიცებელსა, განმაცხოველებელსა საზრდოსა, ძრისტეს სისხლსა და ხორცსა. რით შეატყობს ექიმი, რომ სნეული კაცი მორჩება, სნეულება მას განშორდება? მით, როდესაც კაცი იგი მოითხოვს საჭმელს და გემოვნებით მიიღებს და ღონე მოემატება. მეგრედვე სულიერად: თუ სულმან შენმან მოინდომა ზეციური საზრდო და მიიღო ზიარება, და უნებლიერ იგრძნა გამოუთქმელი სიმშვიდე და სიხარული, თვითონ შეატყობ შენს თავს, რომ სულიერად გაღონიერებული ხარ, გამოცვლილ ხარ, ეს იქნება შენი სულიერი განახლება. მაგრამ, როგორც ხორცი კაცისა არა ერთხელ მიიღებს საჭმელსა და განახლდება მით, არამედ ყოველ დღე და თითქმის ყოველ წამს იზრდება ჰაერით, საჭმლით, სასმლით, მზგავსადვე სულიცა ყოველთვის უნდა იზრდეს სულიერითა საზრდოითა. იგი ყოველ დღე უნდა ლოცულობდეს, საღმრთო წიგნებს კითხულობდეს, ეკლესიაში, ხშირად დადიოდეს, საღმრთო საგნებზედ უბნობის და ზრახვის ჩვეულიყოს და სხვანი, და მით განაახლებდეს თვისსა სათნოებასა, სარწმუნოებასა და სიყვარულსა, რომელი მოგვცეს ღმერთმან. ამინ.

მ ღ ძ ღ ვ რ ე ბ ა

ღილი მარხვის პირველის პირიაკის ოთხაბათს.

მსწრაფლ განუხვენ სინანულისა ბჭენი სულსა ჩემსა, ცხოვრების მომცემელო! (საგალობელი დიდი მარხვის).

მსრედ აღრიდანვე დაიწყობს წმინდა ეკლესია ლოცვასა ღვთისადმი და ევედრება ღმერთსა, რომ მოგვცეს ჩვენ სინანული ცოდვათა ჩვენთა, გაგვიღოს ბჭენი სინანულისანი, განაჩინოს ჩვენს გულში მონანება და შწუხარება. რისთვის ილოცავს ესრედ წმინდა ეკლესია? ნუ თუ ძნელია სინანულში

შესვლა კაცისათვის? ნუ თუ არ შეუძლია კაცს თვითონ გაიხსენოს თვისი ცოდვები, წარმოიდგინოს თვისი ულირსება და დაიწყოს მონაცება? სწორედ ძნელია და შეუძლებელი, ძმანო ქრისტიანენო! თუ ღმერთი არ შეეწია კაცს და არ გაუღო კარი სინანულისა, ვერ მიართმევს იგი ღმერთსა ჯეროვანსა სინანულისა. ჰეშმარიტი წმინდა სინანული დიდ ძალას მოითხოვს, დიდ მაღლს მოასწავებს, ერთობ მძიმე და ძნელი სულიერი მოქმედება არის. მოკლედ რომ ვსთქვათ, ჰეშმარიტის წმინდა სინანულის მოპოვება არის თითქმის მთელი სჯულის შესრულება. თუ შენ, ძმაო, ჰეშმარიტი სინანული შეიძინე მთელს სჯულს აასრულებ, ცხონებული იქნები. ზანა აღვილია ამისთანა მაღლის მიღება! რასა შინა მდგომარეობს ჩვენი სჯული? რას მოითხოვს ჩვენგან უაღრესად შფალი იესო მრისტე? მთელი ჩვენი სჯული გამოითქმის ამ ერთი სიტყვით: შეინახეთ! მაცხოვარი ამას მხოლოდ მოითხოვდა: შეინახეთ, ძოახლოვგებულ არს სასუფეველი ღვთისა! თვით ამ სიტყვებით იწყო მან ქადაგება თვისისა სახარებისა. ამას ერთს ითხოვდენ ყოველთა კაცთაგან მოციქულნიცა: შევინანოთ! ზავხდეთ ღირსი ღვთის სასუფეველისა! მსრედი დიდი მნიშვნელობა მისთვის აქვს სინანულს, რომ იგი იპყრობს თვის შორის უმთავრესთა ქრისტიანულთა მცნებათა და არს ნაყოფი მათი. წმინდა, მართალი სინანული იპყრობს თვის შორის პირველად სარწმუნოებას: თუ არ გწამს სახარება, ძმაო, ან თუ სარწმუნოება შენი ცივია, ან შკვდარია, არც კი იფიქრებ, არც მოინდომებ სინანულსა. წმინდა, ჯეროვანი სინანული იპყრობს თვის შორის კიდევ სასოებასა. ღმერთზედ, თუ არ ესავ ღმერთსა, რომ იგი მოწყალეა, შეგირიგდება, ცოდვებს მოგიტევებს და კვალადვე აღგადენს პირველსავე ხარისხსა ზედა, რაღა მოგანდომებს სინანულსა? ბოლოს და უმეტესად ნამდვილს სინანულში არის და უნდა გამოიხატოს სიყვარული ღვთისა. სიყვარული არის შემყვანებელი კაცისა სინანულში, ის აღძრავს და აიძულებს კაცს შეინანოს, შეურიგდეს ზეციერსა. მამამასა, იგი შეაწუხებს კაცს, რომ გაეშორა ზეციერსა მამასა ულირსებითა თვისითა და აიძულებს მიიქცეს კვალად მისდამი. თუ სამნი ესენი: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული არ შეაზავებენ სინანულსა, თუ

ცხოველი სარწმუნოება, ცხოველი სასოება, ანთებული სიყვარული არ გააჩენენ კაცის გულში სინანულსა, მაშინ სინანული იქნება ყალბი, ცრუ, უნაყოფო. მართლა, რამდენჯერ მოხდება, და იქნება შენც გამოგიცდია, რომელ, თუმცა გულში გრძნობ ცოდვათა შენთა, ცხადად გაიხსენებ და წარმოიდგენ შენთა უსჯულოებათა, გარნა გული ცივი გაქვს, მწუხარებას არ გრძნობ, თითქოს გაქვავებული ხარ. ცხადია აქეთგან, რომ ღმერთს არ გაუღია ჯერედ შენთვის კარი სინანულისა, ცხადია, რომ შენს გულში სარწმუნოებაც დაძინებულია, სასოებაც ცივი, სიყვარული მცირე და უღონო. ისიც მოხდება ხშირად, რომ ზოგიერთი კაცი კი ნანობს, მაგრამ ნანობს მარტო შიშისაგან; ეშინია, რომ ღმერთი დამსჯისო, თუ არ შევინანებო. მართალია, ესეც არ არის ცუდი, კიდეც უნდა ეშინოდეს კაცს ღვთის სასჯელისა, გარნა ამისთანა სინანული იქნება მონებრივი და მას არა აქვს დიდი ფასი. წმინდა მონანება, როგორც ვსთქვით, უნდა იყოს აღძრული და შეზავებული სარწმუნოებითა და მეტადრე სიყვარულითა. არა იმისთვის მხოლოდ უნდა სწუხდე, რომ შენ ღმერთი დაგსჯის, არამედ უმეტესად მისთვის, რომ შენ განამწარე ზეციერი მამა, დაკარგე მისი სიყვარული, განეშორე მისსა მამობრივსა მადლსა. მან ეგოდენ შეგიყვარა შენ, რომ თავისი ძე არ დაზოგა შენის ცხონებისათვის, და შენ კი ეგოდენ უდებ ხარ, რომ არისხებ მას ცუდითა შენითა ცხოვრებითა.

აპა მიზეზი, რომლისათვისაც წმინდა ეკლესია ლოცულობს: მსწავლებლ განებენ სინანულისა ბჭენი სულსა ჩემსა, ცხოვრების მომცემელო! ხშირად განიმეორე ეს ლოცვა შენს გულში, ძმაო. თუ ატყობ, რომ გული გაგიცივდა, თუ ხედავ, რომ ეკლესიაში დაფანტული გონება გაქვს, თუ გამოსცადე, რომ ცოდვა გერევა, გიზიდავს, მომეტებულითა ერთგულებითა ილოცევდი: სინანულისა ბჭე განმიღე, მხსნედო! როგორადაც სხვა ყოველი ნიჭი და მადლი ღვთისაგან არის გარდამომავალი კაცთა ზედა, მზგავსადვე და უმეტესად, ყოველთა უდიდასი ესე ნიჭი და მადლი სინანულისა იმავე წყაროისაგან არის მოძინარე და მიეცემა კაცს. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა.

თეოდორობის კვირიაკესა ოთხშაბათსა ზედა.

ვიმარხვოთ მარხვა წმინდა, სათნო უფლისა. ჰესმარიტი მარხვა არს ბოროტა უცხო ყოფა, დაჭირვა ენისა, აღვირის სხმა გულის წყრომისა, და განშორება ბოროტთა გულის თქმათა, ტყუილისა და ცრუ ფიტისა. (საგალობელი მარხვნისა).

საგალობელი ესე დიდმარხვისა არის ჰესმარიტი და უმჯობესი ქადაგება ამა მარხვის დღეთა შინა. ჩვენი ქადაგება იქნება სუსტი და გრძელი, ხოლო ეს ქადაგებაა როგორც მოკლე, ისე ძლიერი და მტკიცე. მით უმეტესად უნდა მივაქციოთ, ძმანო, ყურადღება მასზედ და შევიტყოთ რას გვასწავლის იგი.

გიმარხვათ ძარხვა წმინდა, საინო უფლისა. სჩანს, რომ არა ყოველი მარხვა არის წმინდა, სათნო უფლისა. რომელი არის ესრეთი მარხვა? ის, როდესაც შენ მარტო საჭმელს გამოიცვლი, ანუ დაიკლებ, ანუ იქნება სულ აღარ სჭამ, მაგრამ ყოფა-ქცევას არ იცვლი. საჭმელს აღარ სჭამ, გარნა მოყვასთა შენთა, სახლეულობასა შენსა, ნეზობელთა, აწუხებ, სჭამ მრისხანებითა და გულის წყრომითა. პრა სათნო არს ღვთისა მარხვა, თუ შენ ეკლესიაში აშ დღეთა შინა ხატისა წინაშე დავარდები, ევედრები ღმერთსა მოგიტევოს ცოდვანი შენნი, ხოლო გამოსრული ეკლესიისაგან მიიქცევი სასამართლოში, საწყალსა ღარიბსა მოვალესა წაართმევ უკანასკნელსა ქონებასა, თუ არ მოგცა საპყრობილები შთააგდებ, და ატირებ მისსა სახლეულობასა. ის მარხვა არ არის ჰესმარიტი და სათნო ღვთისა, როდესაც შენ თითქოს თავს იმდაბლებ, იტყვი, რომ

უკანასკნელი ცოდვილი ვარო, და ამასთანავე ამპარტავანება გაქვს გულში, სულ-ყველაზედ უკეთესად მიგაჩნია თავი, ყოველ კაცს განიკითხავ, ეკლესიაში მეტანიას იქმ, პირჯვარს დაიწერ, რაოდენიმე ხანს ილოცავ, და მერმე იფიქრებ, რომ შენ ღირსი კაცი შეიქენი და მზად ხარ, რომ თვით მაცხოვარმა მოგიწოდოს თვით სულიერს ტრაპეზზე. შენთვის მაცხოვარი თავის სისხლს და ხორცს არ ზოგავს, სულიერად გამოგზრდის; შენ კი არც ერთი გლახაკი არ შეგიწყნარებია, სახლში არ შეგიყვანია; შენ მას სუფრაზედ როგორ დააჯდენ, გრცხვენია მისი ძმნისა, ვინ იცის, რაოდენი არიან მახლობლად შენი სახლისა მშიერნი, ტიტველნი შენს სახლში კი სულ-ყველანი მაძლარნი არიან, ძალლნიც და პირუტყვიც მსუქნები. მდიდარნი ხშირად სძლებიან შენს სახლში და გლახაკნი არა: მარხვა შენი არა სათნო არს ლვთისა, როდესაც ამ წმინდა საყდარში შენი პირისაგან გამოდის სიტყვები ლოცვისა, მადლობისა და დიდებისა, გარნა გამოხვალ რა აქედან, აღარა გახსოვს დაჭირვა ენისა, ადგარის სხმა გულის სიტყვათა, და იმავე პირისაგან, ვითარცა კვამლი და ალმური გამოდიან უუქმონი, სიტყვანი დამპალნი, მწარე ყველრება, მაცთური შეგონება. ანუ იქნება შენ გგონია ამ ორ-სამ დღეში, ვიდრემდის ეზიარები, თითქოს თავის მოსატყუებლად, უნდა ერიდებოდე ყოველთა ცოდვათა, და მიიღებ რა ზიარებასა, გამოხვალ რა ეკლესიიდგან, მიუბრუნდები ყოველთა შენთა უწინდელთა ჩვეულებათა.

ახლა შევიტყოთ, რომელი არის წმინდა, სათნო მარხვა. ამაზედ მოკლედ, გარხა ძლიერად გვეტყვის ზემო მოყვანილი ქადაქება მარხვნისა. მარხვა სათნო არის, ბოროტოა უცხოა ეთვა, ენის დაჭირვა, გულის წყრომანა ადგარის სხმა, გაშორება ბოროტა გულის, თქმათაგან, აპა ჭეშმარიტი სულიერი მარხვა! მსენი ყოველი არც კი უნდა იყოს ჩვენთვის მარხვა, ესე იგი შრომა, მოღვაწება, არამედ უბრალო ჩვეულებრივი საქმე. ზარნა, საუბედუროდ, ჩვენი დაცემული ბუნება, მამა პაპათაგან მიღებულნი ცუდნი ჩვეულებანი, ისე შეზრდილნი არიან ჩვენთან, რომ ახლა დიდ შრომას და მოღვაწეობას მოითხოვს ჩვენგან, რომ ზემოხსენებულნი ცოდვანი განვიშოროთ, მოვიშალოთ,

ვიმარხოთ მათგან, როგორც ვმარხულობთ საჭმლისაგან. ხორციელი მარხვა, საჭმლის მოკლება დაწესებულია იმ ჰეშმარიტი მარხვისთვის, რომელსა გვიქადაგებს ზემო დაწერილი საგალობელი, უიმისოთ მას არა აქვს არც ერთი ფასი და მნიშვნელობა. პდვილი საქმეა სიჭმლის გამოცვლა, ანუ დაკლება. შოგელ კაცს შეუძლია მოითმინოს უსადილოდ, ანუ მცირე რამე სჭამოს, გარნა ენის დაჭირვა, გულის წყრომის აღვიჩის სხმა და სხვანი მოითხოვს დიდსა სულიერსა ლონესა. ამისთვის ვხედავთ ჩვენ, რომ საჭმელს მრავალნი ითმენენ და ცოდვებს კი არ იშლიან.

გარნა შენ, ძმაო ჩემო, თუ გონიერი კაცი ხარ, თუ გსურს რო ეს, ახლა დადგომილი დიდი მარხვა სასარგებლოდ დარჩეს სულისა შენისათვის, ყოველი ღონის-ძიება იხმარე, რომ შეიძინო მარხვა ჰეშმარიტი, სათნო ლვთისა. არა მხოლოდ შენი სტომაქი შეავიწროვო, არა მარტო მუცლით იმარხო, არამედ დაუწესე მარხვა სხვათაცა შენთა ასოთა, რომელი, საუბედუროდ, ხშირად შეიქნებიან ასონი ცოდვისანი, დააკავე ენა შენი ყოვლისა სიცრუისა და მოტყუებისაგან, აღვირი აუსხრ ბოროტთა შენთა გულის-თქმათა, ნუ შეუშვებ შენს გულში ბილწთა, უწმინდურთა სურვილთა, დააკავე ხელი შენი ქრთა-მისაგან, მტაცებლობისაგან, მოარიდე თვალი შენი ყოველსა უწმინდურსა შეხედულობასა, ყურნი შენნი ალარ ისმენდენ ამაოთა სიტყვათა, მოყვსის განკითხვათა, ჭორთა, ერთი სიტყვით, ეცადე, რომ უცხო იქმნე ყოველთა ბოდოტთაგან. ამინ,

თეოდორობის კვირიაკის ოთხშაბათსა, ზიარებად გამ-
ზადებულთა მიმართ.

ძმანო მართლ-მადიდებელნო! ღადგა დიდი მარხვა, უამი
ლოცვისა, სულიერისა მოლვაწეობისა, ზიარებად მომზადებისა.
ამისთანა შემთხვევაში მომეტებულად საჭირო არის ჩვენგნით
დარიგება, სწავლა და გაფრთხილება თქვენი. ზარნა დღეს ჩე-
მი საკუთარის სიტყვებით არ გეტყვით თქვენ სწავლას, არა-
მედ წარგიკითხავთ ისაია წინასწარმეტყველითგან, თითქმის
მრთელსა ორმოც და მეთვრამეტესა თავსა, რომელსა შინა წი-
ნასწარმეტყველი მშვენიერად აღვიხსნის რა არის მარხვა,
ლოცვა, როგორ უნდა იმარხვოს და ილოცოს კაცმან, თუ
ჰსურს, რომ ლოცვა და მარხვა მისი იყოს ნაყოფიერი. თვით
ღმერთმან უბრძანა ისაიას: ხმა ჰყავ მდიდრად და ნუ რიდებ, ვი-
თარცხა საეგირმძნ აღიმაღდე ხმა შენი და მიუთხენ ერსა ჩემსა ცო-
დვანი მათნი და სახდესა იაკაბისასა უსჯედობანი მათნი (ისაია 58,
1). აღმასრულებელმან ესრეთისა ბრძანებისა, ისაია წინასწარ-
მეტყველმა გამოუცხადა ებრაელთა ესრეთ: შეტყვაღოა ჭითარმედ:
გამარხვეთ და პრა იხალე, დავიძდაბლენით სულინ ჩვენნი და პრა სცან, რა-
შეოუ დღეთა შინა მარხვათა თქვენთასა იპობიან ნებანი თქვენნი და
ეთვეღოა ხელის ქვეშეთა თქვენთა დაქენწნით (58, 3,); ესე იგი
ურიანი ხშირად მარხულობდენ, თავს დაიმდაბლებდენ, გარნა
ღმერთი თითქო ყურადღებას არ აქცევდა მათ მარხვაზე; იგი-
ნი დრტვინვიდენ: არ მიხედა ღმერთმა ჩვენს მარხვასაო, ამის-
თვის ღმერთი პირითა წინასწარმეტყველისათა ეტყვის მათ, რომ
თუმც მარხულობთო, გარნა თქვენს ნებას არ იშლითო. იპო-
ვებიან ნებანი თქვენნი, და სტანჯავთო ხელ ქვეშეთა თქვენთაო.
სასჯედთა და დაღვგათა იმარხევთ და გბემთ თვით მწევდელობით მდა-

ბადისა, რასა ამარხავი ჩემდა, რათა დღეს, სასიმენედ იქნეს დაღადებისად
მიურ ხმა ოქგენი (58, 4). მსე იგი, თქვენ მარხულობთ ჩხუბისა-
თვის და შფოთისათვისო, ისე არ იმარხავთ, რომ ხმა ლოცვი-
სა თქვენისა აღვიდეს ლვთისადმი ზეცად. აქ, ამ სიტყვაზე წი-
ნასწარმეტყველისა ჩვენ უნებლიერ გაგვახსენდება ის, რაცა
მრავალ გზის გამოგვიცდია და შეგვინიშნავს. ახლაც ქრის-
ტიანეთა შორის მრავალნი პირნი მარხულობას რომ დაიწყე-
ბენ, გაუფუჭდებათ ხასიათი, შეიქნებიან ჯავრიანი, მეშფოთე-
ნი, უფრო ხშირად ეჩხუბებიან ერთმანეთს და უჩივიან. რო-
გორც დადგება დიდი მარხვა, ან ქრისტეშობის მარხვა, გახშირ-
დება ჩხუბი, შფოთი; ერთი სიტყვით სარკეა ზემო მოყვანილი
სიტყვები წინასწარმეტყველისა ახლანდელისა ჩვენისა ზნეობი-
სა. არა ესრე მარხვა გამოგირჩს და დღე დამდაბლებისა ქაცისა სუ-
დისა თვისისა, არც ამაღდ ადრებთ; ვითარწე ჩადა ქედი შენა, არც
ძაბა და ნაცართ დაიგეთ, არც ესე უწოდოს მარხვა შეწენარებული დღე
სათხო უფლისა. ამისთანა მარხვა არ გამომირჩევია და არ მიც-
ნობებია შენთვისაო, არამედ ისეთი მარხვა, როდესაც კაცი,
დამძიმებული დიდისა მწუხარებისაგან მოიდრეკს ქედსა, ვი-
თარცა ლერწამი, ძაბასა და ნაცარსა დაიგებს და მდებარე არს
მწუხარე და გლოვიარე. არა პგმ გათარა მარხვა გამოგირჩს, იტ-
ყვის უფალი, არამედ განხსნენ ეთვედი საბგრედი საცრუისა, დაარ-
ღვანე დავთარმნალებისა მხდარებისაგან, განავლინენ შეზერთიადნი
მიტავებითა და ეთვედი აღწერადი უსამართლო განხეოჭენ. არა ამის-
თანა მარხვა ამოვირჩიე მეო, არამედ ისრეთი მარხვა, რომ
დახსნა, მოსპო ყოველი სიცრუე, დაარღვიო ყოველი
შენი უსამართლოებანი და გაჭირვებანი, რომელიც მიაყენე
მოყვასთა შენთა, დახიო ყოველი უსამართლო ხელის წერილი,
მოღებული მოყვასთა შენთაგან; მისცე მშიერსა პური შენი და
გლახაკნი უსართულონი შეიყვანო სახლში. იხილო თუ შიშვედი
შემოსე, და იხილო თვისობანი თესლისა შენისათა, არა უგულებელი
ჟერ. მშიერს პური აჭამეო, შიშველი შემოსეო, გლახაკი შე-
იყვანე შენს სახლში, შენ ტომთა და ნათესავთაგანს ნუ
დასტოვებ შეუწევნელადო. მაშინ განეფინოს მსოფლი შენი
და განეფინოს შენი მაღე აღმოხდენ და წანავიდოდეს წანაშე შენია
სამართლე შენი. თუ ასე იმარხავ, შენი სიმართლე განეფინოს,

ვითარცა ცისკარი, და შეხი საქმენი წინაშე შენსა ვიღოდენ
და დიდებამან ლვთისამან გარემოგიცავს შენო. მა-
შინ ხმა ჰყო და ლმერთმან ისმინოს შენი, მერე
იტ'ყოდელა შენ გრქვას: აჲა აქა ვარ, უკეთუ
მოსპონ შენგან საკვირველი და ხელის დადება და
სიტყვა დრტვინვისა.

რაღა დამატება უნდა ჩვენის მხრით მშვენიერთა ამათ სი-
ტყვათა, მხოლოდ ერთს რასმეს გაგახსენებთ, ჩვენ ქრისტიანე-
თაგან ლმერთი მოითხოვს უდიდესსა სათნოებასა, ვინაიდგან
უმაღლესიც მოგვცა მაღლი, სახე და ღონე წმიდისა ცხოვრე-
ბისა. რას მოითხოვს ჩვენგან ლმერთი? იმას, რომ განვახლდეთ
სულითა და გულით ისრე, რომ ვიყვნეთ ტაძარი სულისა წმი-
დისა. განიშორეთ თქვენგან, იტყვის წმინდა მოციქული
პავლე—პირველისა მისებრ სვლისა თქვენისა, ქვე-
ლი კაცი განხრწნილი გულის თქმისა მისებრ საც-
თურისა, და განახლდებოდეთ თქვენ სულითა მით
გონებისა თქვენისათა. ამისთვის დააწესა წმიდამან ეკ-
ლესიამან მარხვა, ლოცვა, მომზმდება ზიარებისადმი, ეს ნაყო-
ფი უნდა ჰქონდეს აწინდელსა ჩვენსა მოღვაწებასა; რომელიცა,
და მოგვცეს ყოველთა შფალმან და მხსნელმან ჩვეხმან, იესო
მრისტემან. ამინ.

მ რ ა ღ ვ რ ე ბ ა

აღსაჩინის თამად მომზადებულთადმი თეატროლობის კვი-

რიაჲის ოთხშაბათს.

იტყოდე შენ უსჯულოებათა შენთა
პირველად, რათა განმარტლდე (ისაია
43, 26).

წინასწარმეტყველი ისაია პირისაგან ღვთისა ხშირად ამხელებდა ურიათა უსჯულოებათა მათთათვის, და შეაგონებდა სინანულსა და განმარტლებასა ღვთის წინაშე. თუმცა ურიანი ხშირად ამწარებდენ ღმერთსა ურჩებითა თავიანთითა, გარნა ღმერთი მაინც არ ივიწყებდა მოწყალებასა თვისსა მათდამი, და აღუთქვამდა მათ აღხოცვას ცოდვათა მათთა, თუ შეინანებდენ: მე ჯრიგვე აღმხოვგვედო უსჯულოებათა თქვენთა და ცოდვათა თქვენთა არდა მოგიხსენებ, ხმობდა იგი მათდამი. ზარნა ცოდვათა მოტევებას და განმარტლებას იმ პირობით აღუთქვამდა, თუ იგინი თვითონვე იტყოდენ (აღიარებდენ) ცოდვათა თვისთა: იტყოდე შენ უსჯულოებათა შენთა პირველად, რათა განმარტლდე. აქედგან სხანს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს, ძმანო ჩემნო, აღსარებას. შიმისოთ კაცი ვერ განმარტლდება ღვთის წინიშე. რისთვის არის ესა? რა ძალი და მადლი აქვს აღსარებას? აღვხსნათ ეს, ვინაითგან თქვენ ყოველი ემზადებით აღსარების თქმად და ზიარების მიღებად.

აღსარების ძალასა და მადლსა მაშინ შევიტყობთ, როდესაც წინაპირველად განვსაზღვრავთ, რაი არს აღსარება. აღსარება ის არის, როდესაც კაცი თავის სინიღისისაგან მხილებული და იძულებული, პირველად თვითანვე გა-

ამტყუნებს თავის თავს, თავის ულირსებას და სიცოდვეს პირუთვნელად ჯერ თავის გულში, და მერმე მოძღვარს აღუარებს თავის ცოდვას, ეტყვის, დანაშაულივარ ამ ცოდვაშიო. თვით ამ მოკლეგანმარტებისგან ცხადად სჩანს, რა მაღლი და ნაყოფი ექნება ჭეშმარიტს აღსარებას.

მართლა, ჭეშმარიტს აღსარებას წინა უძლვის ჩუმი, შინაფანი გამომკვლევა სულიერის მდგომარეობისა. აწ წინაპირვეალად კაცი შეიტყობს, არა თუ მარტო იმას რა ცოდვა ქნა, არამედ იმასაც, რა. მიზეზისაგან წარმომადგენ მისი ცოდვები, რა ხასიათი აქვს მათ და რა თვისებანი. მერმე თვითონვე გაამტყუნებს თავის თავს, შეწუხდება და მოინდომებს აღსარებას. შეჭველია, რომ სხვაც, ამრს მეტი ღირსება. არ ჰქონდეს აღსარებას, მარტო ამისთანა გამოკვლევაც და შეტყობა საკუთარისა ხასიათისა და შინაგანი სულიერი მდგომარეობისა დიდს სულიერს სარგებლობას მოუტანს კაცს.

გარნა საკმაო არ არ არის, რომ კაცმა მარტო თვითონ თავისი სულიერი მდგომარეობა გამოიკვლიოს, არამედ ისიც საჭიროა, რომ მან სხვას ვისმეს აღუაროს თავის ცოდვა. ოტევდენ შენ წოდგათა შენთა ჰითველად, რათა განმარტდე. რაც გინდა გონიერი იყოს კაცი და პირუთვნელი, თვითონ სიმართლით ვერ ასწონის თვისსა სიცოდვესა და ულირსებას. შოველი კაცი თავის-მოყვარეა, თავის თავს ეფერება და ადვილად შეუნდობს თვისთა ცოდვათა. ამისთვის საჭირო არის, რომ მან ვინმე მასზედ უფრო გამოცდილი და პირუთვნელი კაცი მოიხმაროს ამ საქმეში. გარდა ამისა, ცოდვისა აღსარებას აქვს ის განსხვავებული მოქმედება, რომ მით კაცი თავის ცოდვას შიგნიდგან გარე გამოიყვანს და მით თავის სულიერს მდგომარეობას დაინახავს, ვითარცა სარკეში. ცოდვა ერთ ნაირად ემზადება ეკალს, რომელი შეერჭო კაცს ხორცში; სანამ ეკალს ხორციდან არ გამოიღებს, მისი წყლული არ მორჩება; მზგავსადვე, თუ კაცმა არ წარმოსთქვა აღსარებაში ცოდვა და მით იგი, ესრედ ვსთქვათ, არ გამოაგდო, არ უარ ჰყო, მაშადამე, იგი მის გულში დარჩება სავნებელად მისდა. შბრალო ერის კაცსაც რომ აღუარო შენი ცოდვა და რჩევა მოითხოვო, მაშინაც მიიღებ რამე სარგებლობას; კიდეც გვირჩევს წმინდა

მოციქული, რომ აღუარებდეთ ერთმანეთს ცოდვებსა ჩვენსა. პირველ საუკუნოებში კიდეც იყო ჩვეულება, რომ ქრისტიანენი თვით ეკალესიაში ხმამალლა აღიარებდენ თავიანთთა ცოდვათა წინაშე შეკრებილთა ქრისტიანეთა, და მოითხოვდენ შენდობასა.

გარნა, ძმანო ჩემნო ქრისტიანენო, უმაღლესი მნიშვნელობა და მაღლი ქრისტიანულისა აღსარებისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის ერთი შვიდთა ქრისტიანულთა საიდუმლოთაგანი, რომ იმაში მოქმედობს არა ჩვენ უღირსხმა კაცთა მაღლი, არამედ სულიწმინდის მაცხოვარებითი მაღლი, ასე რომ გარეშე აღსარებისა და მოძღვრებისაგან შენდობის მიცემისა არ შეუძლია კაცს გამართლდეს, ცხონდეს. უთუოდ წინასწარმეტყველმა ისაიამ, რომელიც იმავე სულიწმიდის ძალით წინასწარმეტყველობდა, იმ ზემო მოყვანილი სიტყვით წინადვე აღნიშნა ჩვენი საღმრთო საიდუმლო: იცუადე შენ უსჯულოებათა შენთა პირველად, რათა განმართლდე. შმიდანი მამანი ამიტომ უწოდებენ სინანულს და აღსარებას მეორე ნათლისღბად. არავის არ შეუძლია ქვეყანაზედ უცოდველად გაატაროს ცხოვრება შემდგომად ნათლისღებისა, ხოლო ვიცით ჩვენ, რომ ცოდვა კაცს და გამორებს; ის საღმრთო კავშირი—მამაშვილობა, რომელსაც მივიღებთ ნათლისღებაში, გვეკარგება ცოდვათა ჩვენთა გამო. მხოლოდ გულწრფელის აღსარების თქმით სულიწმიდა საიდუმლოდ აღადგენს ცოდვისაგან განწყვეტილს ჩვენს კავშირს და გვისავლოთ, ძმაო, რა შიშით, რა კრძალვით, რა მოთმინებით, მარხვით, ცრემლიანი ლოცვით უნდა ვასრულებდეთ ამ დიდს საიდუმლოს! ხელახლა უნდა ვეძიოთ ზეციერი მამა, რომელიც დავკარგეთ ცოდვათა ჩვენთა გამო, და აღვადგინოთ მასთან მამაშვილობა, რომელიც და მოგვცეს ჩვენ მხოლოდ შოაბილმან ძემან და გვისამან მაღლითა თვისითა. ამინ.

მ რ ა დ ლ ვ რ ე ბ ა

თეოდორობის კვირიაკესა პარასკევესა ზედა, კოლივას

ანუ წანდილის კურთხევის წინად 1869 წ.

ქმანო მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო! აწინდელსა
პირველსა კვირიაკესა დიდისა მარხვისასა ჩვენში უწოდებენ
თელორობის კვირიაკედ. მს მისთვის, რომ ეკლესიური წეს-
დებულებისამებრ დღეს ეკლესიასა შინა იკურთხების წირვის
შემდეგ მომზადებული ხორბალი, რომელსა მდაბიურადვე ეწო-
დება წანდილად, ხოლო ეკალესიას წიგნთა შინა კოლივა.
ვინ იცის, რამდენჯერ გინახავთ თქვენ ყოველთა ეს წესი,
გარნა, რომ ჰკითხოს კაცმა ვისმეს თქვენს შორის. როდის გა-
ჩინდა ეს წესი ეკალესიასა შინა, რისთვის მოიტანებენ დღეს
მორწმუნენი კოლივას, ანუ წანდილსა, და ნაკურთხესა მიიღე-
ბენ და სჭამენ თვით ეკალესიაში, ერთი სიტყვით, რას ნიშნავს
ეს წესი? ამაზე ას კაცში ერთიც ვერ მისცემს. სწორე პასუხსა,
ისეთი დაუდევნელი ვართ ჩვენ ცნობად, რას. მოასწავებენ
ეკალესიურნი წესი და რას გვასწავლიან იგინი. ახლა მაინც
შევიტყოთ რა არის, რისთვის არის დღეს ეკალესიაში წანდი-
ლის კურთხევა. მეოთხესა საუკუნესა შინა, შემდგომად ძრის-
ტეს შობისა, რომის სამეუფოს ტახტსა ზედა აღვიდა ერთი
იმპერატორი, სახელით ივლიანე. თუმცა მშობელნი მისნი
იყვნენ ქრისტიანენი, და იგიცა იყო მონათლული სიყმაწვი-
ლესა შინა, გარნა, როდესაც მიიღო მეფობა, უარ ჰყო ძრის-
ტეს სახარება და, განსაცვითრებელად და შესაწუხებელად ყო-
ველთა ქრისტიანეთა, იგი შეიქნა მდევნელი ქრისტიანეთა და
მოინდომა მოსპობა ქრისტიანობისა სამეფოსა შინა თვისსა.
სხვათა მზაკვარებათა და მანქანებათა შორის წანააღმდეგ ძრი-
სტეს სჯულისა, მან ერთხელ განიზრახა ესეცა: როდესაც და-

დგა დიდი მარხვა; იცოდა მან რა კრძალულებით და სიწმინ-
დითა განატარებენ ქრისტიანენი დღეთა ამათ, მოინდომა შე-
ბილწება მათი ნაკერპავითა საჭამადითა. ამ განზრახვით მან
საიდუმლოდ მოუწოდა უფროსთა მოვაჭრეთა, კერპ-მსახურთა
და დაარიგა იგინი სავაჭროთა ადგილთა შინა ყოველ საჭამალ-
ში აურიონ ნაკერპავი სისხლი მისთვის, რომ ღარიბნი ქრის-
ტიანენი, ყოველ დღე მყიდველნი სავაჭროთა ადგილთა შინა
ჭამადისა, შებლალონ უწმინდურითა ნაკერპავითა და მით შთა-
ვარდენ დიდა განსაცდელსა. ზარნა განგებამან ლეთისამან და-
არლვია განზრახვა ესე ულმრთოისა მის ივლიანე მეფისა. იმა-
ვე ღამეს, როდესაცა მან მისცა ეს ბრძანება, წინამდგომელსა
ეკლესიისასა გამოეცხადება არა სიზმრად, არამედ ცხადად, ერ-
თი ნათლით შემოსილი, მშვენიერი მხედარი-ჭაბუკი; იგი შეა-
ტყობინებს მას მეფის ბოროტგანზრახვასა და უბრძანებს მას,
რათა დაიფაროს სამწყსო თვისი ბოროტისა ამის განზრახვისა-
გან. ზაკვირვებული ეპისკოპოსი ჰკიოთხავს მას, ვინ არის იგი და
რა სახით შეიძლება გამოიჩარდოს ვგოდენი ერი, ყოველ დღე
მყიდველი სავაჭროთა ადგილთა შინა დღიურისა საზრდოისა?
მაშინ ჭაბუკი იგი განუცხადებს მას, რომელ იგი არის თეო-
დორე ტირონი, ანუ მხედარი, რომელმან მიიღო წვალება
სარწმუნოებისათვის უწინარეს ასისა წლისა, და დაარიგებს მას,
რომ დასაცველად სამწყსოისა თვისისა ნაკერპავის უწმინდური-
სა საჭამანდისაგან მან უნდა უბრძანოს წმინდად შემზადება
უბრალო მოხარული ხორბლის, აკურთხოს იგი და დაური-
გოს ყოველთა და მით გამოზარდოს ქრისტიანები მათ დღეთა
შინა. მწყემს-მთავარმა აღასრულა ბრძანება მისი, განმავლობა-
სა შინა რაოდენიმე დღისასა იგი ზრდიდა ყოველთა ქრისტი-
ანეთა ესრედ შემზადებულითა წანდილითა. მს არის ის შემ-
თხვევა, რომელსაც იხსენებს ეკლესია აწინდელითა წანდილის
კურთხევითა. მაშასადამე, როდესაც ხედავ წესსა ამას, პირვე-
ლად მაღლობა შესწირე ლეგრთსა, რომელი არა დაუტევებს
ერთგულთა მსახურთა თვისთა განსაცდელში, არამედ შეეწევა
მათ; მეორედ, ამა წესის აღსრულებამან გვასწავლოს, რა დიდი
მნიშვნელობა აქვს მარხვას. თუ მარხვას დიდი მაღლი არ
ჰქონდეს, რისთვის მოახდენდა დღეს ლეგრთი ესრეთსა დიდსა

სასწაულსა, რისთვის დასტოვებდა საკვირველი იგი ჭაბუქი თეოდორე ზეცასა და დაარიგებდა მწყემსა ეკკლესიისასა? მართლა მარხვას დიდი მნიშვნელობა აქვს კაცისათვის! ვინც გულ-წრფელად მარხულობს, ამით ამტკიცებს, რომ იგი არის მორჩილი, თავმდაბალი შვილი ეკლესიისა. ზარეშე ამისა მარხულობა არის აღვირ-სხმა ხორციელთა ვნებათა და აღძვრა-თა, აგრძოვე სულიერთა გულის ზრახვათა. ვინც მარხულობს იგი ეძიებს სულიერსა წარმატებასა, ანგელოსების მზგავსებასა, და ვისაც მარხვა არ უყვარს ამით ემზგავსება იგი პირუტყვთა და არა ანგელოზთა; პირუტყვთა არა იციან მარხვა. ვინც მარხულობს, იგი ნანობს ცოდვათა, მხურვალედ და თავისუფ-ლად ლოცულობს. მაშასადამე, ნუ ვინმე იტყვის, რომ მარ-ხვა იყოს რაიმე მცირე და უსარგებლო საქმე. მართალია, ჩვენში, დვთის მაღლით, მრავალთა იციან გულ-მოღვინედ მარ-ხვა, გარნა ის კი ცუდია, ზოგჯერ და ზოგიერთნი მარხვას მი-აწერენ ზომაზე მომეტებულსა ღირსებასა, მარხვაზე აქვთ გარ-დამეტებული სასოება. როგორც ვსოქვით პატიოსანია მარხვა და სასარგებლო, გარნა მხოლოდ მაშინ და მით, როდესაც იგი შეერთებულია სხვათა კეთილთა საქმეთა თანა, სინანული-სა, ლოცვისა, აღსარებისა თანა. მარხვა შეეწევა წრფელსა სი-ნანულსა, ლოცვასა, სათნოებათა, როდესაც იგი გააუმჯობე-სებს, ვითარცა შინაგანს კაცის თვისებასა, ხასიათსა, აგრძოვე გარეგანსა მიისსა ჭკევასა და ცხოვრებასა, რომელიც და მოგ-ვანიჭოს დმერთმა. ამინ.

მ ო ძ ლ ვ რ ე ბ ა

ზისრეგად გამზადებულთათვის

თქმული ქუთაისა.

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! შმინდა წინასწარმეტყველი და მეფე დავით იტყვის ფსალმუნსა თვისსა: უსჯუდოებანი ჩემნი მე მიუიხსა და გზრუნვადე მე ცოდგისა ჩემისაოგის (ფს. 37, 18). თქვენცა ყოველნი აქა მდგომარენი ემზადებით მოთხრობად მოძღვართა უსჯულოებათა თქვენთა, ესე იგი, აღსარებისა, და ყოველნი ხართ მზრუნველნი ცოდვათა თქვენთათვის, ესე იგი, სწერხართ, ნანობთ ცოდვათა თქვენთა, ეძიებთ და გამოითხოვთ ლეთისაგან შენდობასა. რა სახით უნდა ვასრულებდეთ ორსა ამას დიდსა მოვალეობასა? ამაზე წინასწარმეტყველი დავით უშვილესად იტყვის ფსალმუნსა შინა თვისსა, რომელი იწყება ესრედ: მიწვალე მე ღმერთო დიდითა წევალბითა შენთა, და რომელი ყოველ ლოცვაზე წაიკითხების ეკლესიასა შინა, და რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს ყოველმა ბეჯითმა ქრისტიანემან. უსჯუდოება ჩემი მე ვუწევ და ცოდგა ჩემი ჩემ წინაშე ას, მარადის. ამ სიტყვებისაგან სჩანს, რომ ორი საშუალება, ანუ ღონისძიება უნდა იხმაროს ყოველმა კეთილ-გონიერმა კაცმა ქრისტიანემან, თუ ჰსურს, რომ არა უნაყოფოდ დარჩეს ზრუნვა მისი ცოდვათათვის და მოთხრობა უსჯულოებისა მისისა, ესე იგი, სინანული და აღსარება. პირველი ღონის-ძიება არის ცოდნა, ანუ შეტყობა თვისთა უსჯულოებათა: რამეოუ უსჯუდოება ჩემი მე ვუწევ; მეორე არის ღრმად გრძნობა თვისისა უღირსებისა და სიცოდვისა: და ცოდგა ჩემი წინაშე ჩემსა ას მარადის. ზანვიხილოთ ეს ორი საშუალება.

რამეთუ უსჯულოება ჩემი მე გუწყის. თუ კაცმან არ უშეის
თვისი უსჯულოება, არ ხედავს თვისსა სიცოდვესა და უღრო-
სებასა, ვერც მოინანებს ჭეშმარიტად თვისსა სიცოდვესა.

ზარნა რა არს შეტყობა თვისისა უსჯულოებისა და სი-
ცოდვისა? როგორ უნდა შეიტყოს კაცმა მისი სიცოდვე? შენ
უსჯულოებასა და სიცოდვეს იმით მარტო უერ შეიტყობ,
ძმაო, რომ გაიხსენო, რომელი და რამოდენი ცოდვა გიქმნია
მას უკან, რაც აღსარება უთხარი მოძღვარსა შენსა. მს ძნელი
არ არის, ძმანო ჩემნო, და არც დიდს სარგებლობას მოგცემსთ.
უსაჭიროესი საქმე აქ არის ის, რომ გამოიკვლიო და შეიტყო
შინაგანი შენი სულიერი მდგომარეობა, იცნობდე ყოველთა
შენთა ბოროტთა თვისებათა, მიღრეკილებათა, ჩვეულებათა,
რომელნი არიან მიზეზნი და წყარონი ყოველთა შენთა ბო-
როტთა თვისებათა, მიღრეკილებათა, ჩვეულებათა, რომელნი
არიან მიზეზნი და წყარონი ყოველთა შენთა ცოდვათა. თუ
შენ კარგად გამოიკვლიო და იცნობ მათ, და ამასთანავე, მე-
ცადინე იქნები, რომ გაისწორო იგინი, მაშინ ყოველნი შე-
ნი ცოდვანი თავის-თავად მოისპობიან. თუ მდინარე სათავე-
ში გაშრა, წყლის დინება მოისპობა. თუ გული გაიწმინდე,
საქმენიცა შენი წმინდა იქნებიან, არა შემაგადი მუწელსა შინა
შეაგინებს ქართველს, სთქვა უფალმან, არამედ გამომაგადი გუდისაგან
ქართველს, რამეთუ გულისაგან. ქართველი გამოგვლენ ერველთა გუდის სიტ-
ეგანთ ბოროტნი, ქართველი გველის, მრუშებანი, არაწმიდებანი, და პარ-
განია.

ცოდვას ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. მს არის მეორე საშუა-
ლება, რათა აღვასრულოთ კეთილ ნაყოფიერად აწინდელი
ჩვენი შრომა. სჩანს რომ, წმინდა ღვით წინასწარმეტყველი
ღრმად გრძნობდა, ფრიად სწუხდა თვისთა ცოდვათა ზედა, თუ
კი იგინი მარადის იყვნენ თვალთა წინაშე მისთა, ყოველ წამს
წარმოუდგებოდენ მას, ვერაოდეს ვერ მოიშორებდა ფიქრსა
მათზედა. ჩვენცა, ძმანო ჩემნო, არა მხოლოდ ამ ერთი კვი-
რის განმავლობაში უნდა გვახსოვდეს ცოდვანი ჩვენი, არამედ
მარადის უნდა იყვნენ იგინი თვალთა წინაშე ჩვენთა. მონანე-
ბა არის ღრმა გრძნობა, გულის შეწუხება თვისის უღირსები-
სათვის; თუ კი მართლა მწუხარე ხარ შენ ცოდვათაგან, რა

მიზეზია, რომ მარტო ამ კვირაში გამოიცვლი ხასიათსა და ყოფაქცევასა, და მერმე ისევ დაიწყებ ცხოვრებას, როგორც უწინ იყავ მიჩვეული: უმჯობესი, არ შეიქმნები, ჩვეულებას არ გამოიცვლი, ხასიათს არ გაიკეთებ! ჭეშმარიტის სინანულის ნაყოფი არის კაცის ცხოვრების და ყოფა-ქცევის ვანაჩლება. თუ ჩვენც განვახლდით ზიარების მერმეთ, ამით დამტკიცდება, რომ მონანება ჩვენი იყო ჭეშმარიტი, რომელიც და მოგვცეს ჩვენ დმერთმან. ამინ.

მოქლე მოძღვრება მაზიარებელთადმი.

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

შმიდა მოციქული იაკობ წიგნსა შინა თვისსა სწერს, სხვა-
თა შორის, რომელ თუ ვინმე მხოლოდ ისმენს სიტყვასა
ლვთისასა და არ ასრულებს მას, ის დაემზგავსება იმ კაცს,
რომელმან სარკეში თავის სახე განიხილა ერთ წამს, და მა-
შინვე დაავიწყდა იგი: უპეთუ განმე მსმენედ სიადო იყოს სიტ-
ყვისა ამას და არა მყოფედ, ესე გთარი იგი მზებას ას გაცისა მას,
რომელმან განიცადოს პირი ქმნილებისა თვისისა სარგითა; რამეთუ
განიცადა თავი თვისი და წარვიდა, და მეგასეულად დაავიწყდა, რაბაძ
რა იყო. (იაკობ. 1, 23. 24.) მს სიტყვები უმეტესად ითქმის
მაზედა და ეკუთვნის მათ, რომელნი მოემზადენ და მიიღეს ზი-
არება, თუ იგინი არ ეცდებიან თვით საქმითაც აღასრულონ ის,
რაც ესმოდათ ეკლესიაში, რაც გაიგონეს მათ მოძღვართაგან
და რისთვისაც მიიღეს. ზიარება.

მართლა, თქვენ, ძმანო, ჩემნო, რომელთა ახლა ეზიარეთ
და სხვანიც, რომელთა მიიღეს ზიარება ამ დიდ-მარხვის გან-
მავალობაში, ხედვიდით და განიცდიდით სულიერსა სახესა
თქვენსა სამთა სარკეთა შინა. პირველი სარკე იყო საღმრთო

წერილი და წმინდა მამების ლოცვები, რომელი წაიკითხებოდენ ეკულესიაში. ვინც ყურადღებით ისმენდა მათ, უთუოდ იგი შეიტყობდა მისის სულის სახესა და მდგომარეობასა; მეორე სარკე იყო თვით თქვენი გონება და სინიდისი; როდესაც თქვენ ემზადებოდით საზიარებლად, ეკულესიაში მიღიოდით, ლოცულობდით, უთუოდ, სხვათა შორის, კიდეც დაფიქრდებოდით თქვენს სულიერს მდგომარობაზე და შეიტყობდით სულიერსა ღირსებასა, ანუ უღირსებასა თქვენსა. მესამე სარკე იყო აღსარების თქმა წინაშე მძღვრისა თქვენისა, და დარიგება მოძღვრისაგან მიღებული.

აწ რა უნდა ქნათ თქვენ შემდგომად მისა, რომ სამთა ამათ სარკეთა შინა განიცადეთ სულიერი სახე თქვენი? არ უნდა დაივიწყოთ ის ნაკლულევანება, ის ცოდვები, რომელნიც უთუოდ დაინახეთ სულთა შინა თქვენთა, და ეცადოთ მათი გასწორება. რისთვის განიხილავს კაცი სარკეში თავის პირისახეს? მისთვის, რომ განისინჯოს, თუ გასვრილი, ანუ წამხდარი არა აქვს პირისახე, და თუ გასვრილი აქვს წავა და დაიბანს პირს, და, როდესაც დაიბანს, კიდევ შეხედავს და სარკის წინაშე გაიწმენდს პირსა თვისსა. ჩვენც ესრედ უნდა მოვიქცეთ, ძმანო ჩემნო! სამნი ზემოხსენებულნი სარკენი უთუოდ ცხადად გვაჩვენებდა, რომ სულიერი ჩვენი სახე არის გასვრილი და უწმინდური მრავალთა ცოდვათაგან ჩვენთა; დავიბანოთ სულიერი პირი ცრემლითა, გავწმინდოთ სულიერი სახე ჩვენი კეთილთა საქმეთა მიერ, ცუდთა ჩვეულებათა მოშლითა. სარკეში ხშირად ჩახედვა და სარკით სარგებლობა უმეტესად უყვართ ქალებს, მისთვის, რომ რითაც შეუძლიათ გაამშვენიერონ თავიანთი პირისახე; თუ რამე ცუდი გამოთქმულება აქვს მათს თვალებს, ანუ პირის-სახეს, გამოიცვალონ და უმჯობეს გამოთქმულებას მიაჩიონ! ამას ისინი იქმან ერთისა მხოლოდ ამაოებისათვის. უმჯობესი ის იქნება, და უფრო დიდი ბედნიერება, რომ ჩვენ იგივე საქმე ვქნათ საუკუნო ცხონებისათვის სულთა ჩვენთასა, ხშირად შევხედოთ სამთა იმათ სულიერთა სარკეთა და, თუ რამე ცუდი გამოთქმულება შევატყვეთ ჩვენს სულს, მოვიშალოთ იგი და მივაჩიოთ უმჯობესსა გამოთქმულებასა და ჩვეულებასა; ერთი სიტყვით, გავისწოროთ ცხოვრება.

სარკეში ხშირად ჩახედავს კაცი, დილით მაინც ერთ-ხელ არ ჩახედოს არ შეიძლება. რისთვის? მისთვის, რომ ძნელია მთელი დღის განმავალობასა შინა პირი კაცის არ შეისვაროს მტვერისაგან, ოფლისაგან და სხვა ქვეყნის ჭუჭყი-საგან, და არ დაჭირდეს პირის დაბანა და გასუფთავება. სული-ერიცა პირი ჩვენი, ჰაზრი, გული, არ შეიძლება მთელი დღის განმავალობაში არ გაისვაროს რომელიმე სულიერი ჩირქისა-გან, ცოდვისა და გულის თქმისაგან; ამისთვის საჭიროა, დღეში ერთხელ მაინც ჩახედოს კაცმა იმ სარკეს, რომელიც ყოველ-თვის მასთან არის უხილავად, და რომელსა ეწოდება სინდისი.. თუ ბეჯითად და გონიერად ჩახედავს ამ სარკეში, დაინახავს, რაოდენი ჩირქი დაედო მას დღის განმავალობაში; ამისთვის უნდა, დაიბანდეს სულსა თვისსა ლოცვითა, ცრემლითა და სინანულითა ორჯელ მაინც დღეში, დილით და საღამოით. ამინ.

ს ი ტ ყ ვ ა

მართლ-მაღიდებელობის კვირიაქესა შინა.

მართლ-მაღიდებელნო ქმანო ქრისტიანენო!

სოლომონ ბრძენი წიგნსა შინა თვისსა იგავთასა, სხვათა შორის, წარმოსთქამს: ნუ გადასდებ საზღვართა საუკუნეთა, რო-მელი დასდექს მამათა შენთა. თუმცა ამ სიტყვებში ცხადად არ დაინახება, რომელთა საზღვართა ზედა ამბობს სოლომონ, ნივთიერთა, თუ სულიერთა, გარნა, ვინაითგან იგი ამბობს საუკუნეთა საზღვართა ზედა, ხოლო ყოველნი ნივთიერნი სა-ზღვარნი არიან არა საუკუნენი, არამედ დროებითნი, ამის-თვის მას უთუოდ ჰქონდა მხედველობაში საზღვარნი სულიე-რისა სწავლისანი, ანუ საღმრთო სჯულისა. მაშასაღამე, იგი

ამ სიტყვებით გვასწავლის ჩვენ, რათა არ გამოვსცვალოთ, არ გადავსცილდეთ საზღვართა საღმრთოის სჯულისა, ესე იგი საღმრთო სჯული დავიცვათ და შევინახოთ ისე, როგორც გადმოგვცეს მამათა ჩვენთა.

შესი მართლ-მადიდებლობისა, რომელსაც ჩვენ ვასრულებთ ახლა, თვით საქმით გვასწავლის ჩვენ იმ ჰაზრს, რომელსა გამოთქვამს სოლომონი ზემოთქმულთა სიტყვათა შინა, ვინაითგან დღეს წმინდა ეკლესია მაღალითა ხმითა აღიარებს და დაამტკიცებს იმ ძველსა სჯულსა, რომელი გადმოგვცეს ჩვენ მამათა ჩვენთა; ხოლო ყოველთა მათ პირთა, რომელნი არღვევენ, გადასდებენ, ან შესცვლიან საზღვართა ამის სჯულისათა, გამოუცხადებს, რომ იგინი არიან განშორებულნი, გაგდებულინი ეკლესიის კრებისაგან და იქნებიან ქვეშ „ანათემისა“.

საღმრთოსა ჩვენსა სჯულსა აქვს ორი კერძო, ანუ ორი მხარე: ერთი არის სწავლა, ანუ გონებითი განმარტება სჯულის საზღვართა, ესე იგი როგორ უნდა გვესმოდეს ჩვენი სჯული, რა უნდა გვრწამდეს, და რას უნდა უარ-ვყოფდეთ. ამ კერძოს სწავლისას ეწოდება „დოღმატი“. მეორე მხარე ჩვენი სჯულისა არის თვით საქმე, ანუ ცხოვრება, ყოფა-ქცევა, ესე იგი, როგორი ცხოვრება უნდა გვქონდეს და რა საქმე უნდა აღვასრულოთ. ცხადია, რომ პირველი სჯულის კერძო, ანუ დოღმატი არის და უნდა იყოს შეურყეველი, შეუცვლელი. იგი ერთხელვე გადაწყვიტეს და განსაზღვრეს მამათა ჩვენთა, და ჩვენ არა გვაქვს უფლება, რომ გამოვცვალოთ ისინი როგორც მიგვიღია მამათა ჩვენთაგან, ისე უნდა გადავსცეთ იგინი ჩვენთა შვილთა და მომავალთა. ლოთის მადლით და შეწევნით ჩვენი მართლ-მადიდებელი ეკლესია ყოველთვის მტკიცედ ინახავს თვით იმ სჯულსა, ანუ დოღმატსა, რომელი შფალმან იესო ქრისტემან ასწავლა მოციქულთა თვისთა, მოციქულებმა გადასცეს თავიანთთა მოადგილეთა წმინდათა მამათა, და ამათგან მივიღეთ ჩვენცა შეურყეველად, შეუცვლელად. ქრისტიანენი მრავალნი არიან სხვათაცა ქვეყანათასა შინა, გარეშე მართლმადიდებელთა, მაგრამ მათი სწავლა, დოღმატები აღარ დაემზავსებიან იესო ქრისტეს და მოციქულების სწავლასა.

მრისტიანედ უწოდებენ თავის თავს მრავალნი განათლებულნი ხალხი, მეროპაში მცხოვრებნი, გარნა მათ შორის აღარ არის ერთობა სწავლისა. იქ ყოველ კაცს თავისებურად სწამს, ყოველ სოფელში განსხვავებული სწავლა არის სჯულისა, რომელიც არღვევს ერთობასა და დიდათ მავნებელია კაცისა. ამისთვის ჩვენ, მართლ-მადიდებელნი ყოველთვის უნდა ვმადლობდეთ ღმერთსა, რომ ვართ აღმსარებელნი ჭეშმარიტისა სჯულისა მართლ-მადიდებელისა, და კიდეც ვცდილობთ დაცვასა და აღსრულებასა მისსა.

გარნა, როგორც უწინ ვსთქვით, საღმრთო სჯულსა აქვს მეორე კერძო, ესე იგი ზნეობა, ცხოვრება, ყოფა-ქცევა. ეს კერძო კი ყოველთვის უნდა იცვლებოდეს, ესე იგი, კეთდებოდეს, უმჯობესი შეიქმნებოდეს, როგორც კერძო პირთა შორის, ეგრეთვე მთელსა საზოგადოებასა და ერსა შინა. ცხოვრება, ყოფა-ქცევა, ესე იგი, ზნეობა და ჩვეულება მარად-ჟამს დაუსრულებელად უნდა მაღლდებოდეს, ვრცელდებოდეს; როგორადაც თვითონეული კაცი, ეგრეთვე მთელი კაციაბრიობა თან-და-თან უნდა წინ მიღიოდეს სათნოებასა, ზნეობასა, პატიოსნებასა შინა შემწეობითა იმ საღმრთო სჯულისათა, რომელი მოგვცა ჩვენ ღმერთმან. დიდი სახე, დიდი იდეალი მოგვცა ღმერთმან. დიდი ასპარეზი, ანუ სარბიელი ცხოვრებისა დაგვინიშნა: იყვენით თქვენ სრული, იტყვის შფალი, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი სრულ არის! აპა რა თისრულე, რა სიწმინდე უნდა ვეძიოთ ქრისტიანეთა; იყვენით თქვენ წმინდა, რამეთუ მე წმინდა ვარ, იტყვის წინასწარმეტყველის პირით ღმერთი. ვის შეუძლია, ათასი წელიც რომ იცხოვროს ქვეყანაზე, აღსვლა ამისთანა ხარისხსა ზედა სათნოებისასა! გარნა მისწრაფება, მეცადინეობა მაინც უნდა არ დავაკლოთ; ყოველთვის უნდა ვზრუნვიდეთ სათნოებისათვის, სულიერი წარმატებისაოვის; ყოველთვის უნდა გვექონდეს თვალთა წინაშე ის სახე, ის მიზანი, რომელიც გვაჩვენა საღმრთომან სჯულმან ჩვენმან და ვნატრობდეთ მას. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

მართლ-მადიდებელობისა კვირისაქვესა ზედა.

ბულითა გვრწამს სიმართლედ, ხოლო
პირითა აღვიარებთ საცხოვრებელად. (რომ.
10, 10.)

დღეს, ძმანო მართლ-მადიდებელნო, წმინდა მართლ-მადი-
დებელი ეკკლესია ხმითა მაღლითა, სასმენელად ყოვლისა ერი-
სა, აღიარებს სარწმუნოებასა მართლ-მადიდებლისა ეკლესიი-
სასა ყოველთა უმთავრესთა ტაძართა შინა. ვევედროთ ღმერთ-
სა, რომ ეს აღსარება იქნეს საწხოვჭებელად ჩვენდა, ვითარცა
თქმულ არს ზემოდ მოყვანილთა სიტყვათა შინა წმიდისა პავლე
მოციქულისა: პირითა აღვიარებო საწხოვჭებელად. ზარნა ეს შესა-
ძლებლი იქნება მით, თუ ჩვენ გვახსოვს და ვასრულებთ მეორე
მუხლსა ზემოდ მოყვანილთა სიტყვათა შინა, ვითარმედ: გულ-
თა გვრწამს სიმართლედ. თუ კაცს გულითა ჰაწამს სიმართლედ,
მაშინ პირითაც აღიარებს საცხოვრებელად. ამისათვის ფრიად
საჭირო არის შევიტყოთ ნამდვილი ჰაზრი და სწავლა ზემო
მოყვანილთა სიტყვათა, მეტადრე დღეს, როდესაც ვდღესასწა-
ულობთ მართლ-მადიდებლობისა ძლევასა და გამარჯვებასა,
და საქვეყნოდ აღვიარებთ მისსა სისრულესა და სავსებასა.

გულთა გვრწამს სიმართლედ. რით უნდა მიიღოს და მიი-
თვისოს კაცმა სარწმუნოება? რომლითა სულიერითა ორღანოი-
თა უნდა დაიჯეროს და შეიტყოს კაცმა სახარება, ანუ საღ-
მრთო სჯული? შენ მეტყვი რომ ჭკუით, ანუ გონებით. შენ
ითვიქრებ: ჭკუამ, ანუ გონებამან კაცისამან უნდა იცნას. ჰაზრი
და შინაარსი სჯულის სწავლისა, და დაეთანხმოს მას. მე მარ-
თალია! ჭკუამ კაცისამან კი უნდა იცნას წინა-პირველად ჰაზრი

საღმრთოისა სჯულისა, გარნა დაჯერება, დარწმუნება, შეტკბობა მისი გულის საქმეა. გულით გგრძამს სიმართლედ. სხვა არის მიღება, დათანხმება ჭკუით რომელიმე ჰაზრის, ანუ წინადაღებისა, და სხვა არის დარწმუნება, შეტკბობა, დაჯერება. ჭკუა მიიღებს, იცნობს, დაეთანხმება, გული დაიჯერებს, შეტკბობს, შეიყვარებს. მართლა, როდესაც ჭკუა, ანუ გონება კაცისა მიიღებს, დაეთანხმება რომელსამე ჰაზრსა, რომელსამე სამეცნიერო წინადაღებასა, ესრედ მიღებული ჭკუისაგან ჰაზრი, სწავლა შეიქნება კერძო მასალა და ქონება საკუთრად გონებისა, და შეინახება მეხსიერებასა შინა. მსრედ მიღებულს ჰაზრს და ცოდნას თითქმის არაფერი გავლენა, ანუ ზედ-მოქმედება არ ექმნება კაცის ბუნებაზედ და ზნეობაზედ, და თუ აქვს ხან-და-ხან რომელიმე გავლენა, ისიც ზოგჯერ—ცუდი, მავნებელი. ბოლოს, მიღება, ანუ თანხმობა გონებისაგან, ჭკუისაგან რომელიმე ჰაზრის და ცნობისა არის უნებლივი, იძულებითი. ზონებას არ შეუძლია არ მიიღოს, არ დაეთანხმოს რომელიმე ჰაზრსა, თუ ის ჰაზრი მართალია, ცხადია. არა ეს-რეთი არის გულით მითვისება და შეტკბობა სარწმუნოებისა. სარწმუნოებას თავისუფლად მიიღებს გული კაცისა, და მაშინ სარწმუნოება დაიმორჩილებს ყოველთა ძალთა კაცის ბუნებისათა; მაშინ იგი შეიქნება უმთავრესი მართველი, წინამძღვარი კაცის ცხოვრებისა. ბული მიიღებს სარწმუნოებასა სრულიად თვისი ნებით და სურვილით; მიიღებს მისთვის, რომ მოსწონს მას იგი, ანუგეშებს, ახარებს მას. სარწმუნოება არა მარტო ჭკუისაღმი მიიქცევა, არამედ მთელი კაცობრივი არსებისა და ბუნებისაღმი, ამისთვის სარწმუნოება არის ზნეობითი მოღვაწეობა, თავისუფალი და სასურველი სულისა და გულისა, ანუ უმჯობესი არის თქმად, გულითადი სარწმუნოება არის უდიდესი და უმჯობესი ყოველთა მსხვერპლთა და შესაწირავთა ღვთისათა, ვინაითგან აქ კაცი ღმერთს შესწირავს თვის გულს, ჩააბარებს ღმერთს თვის სულს და ყოველსა ცხოვრებასა, და დაუმორჩილებს თვით თავის ჭკუასა და გონებასაცა. ამისთვისაც წრფელს სარწმუნოებას აქვს დიდი ფასი ღვთის წინაშე. ვინც გულით მიითვისებს და შეიტკბობს სარწმუნოებას, ამით იგი ამტკიცებს, ცხად ჰყოფს, რომ მას კეთილი და წმინდა.

გული აქვს, იგი კეთილის, და სიწმინდის, და მაღლის მოყვარული არის, ვინაითგან ბოროტის კაცის გულში, ცოდვისაგან გაფუჭებულში, არ შევა სარწმუნოება. აქეთგანვე ცხადი არს სიტყვა მოციქულისა, რომ კაცს გულათა სწამს, სიმართლედ, ესე იგი გასამართლებლად. ბულითადი სარწმუნოება გაამართლებს კაცს.

ვისაც აქვს ესრეთი გულითადი სარწმუნოება, იმას სარწმუნოების აღსარებაც ექნება საწსოვრებელად, მაგრამ რა არის აღსარება სარწმუნოებისა? ამასაც კარგი შეტყობა უნდა. შენ იქნება ფიქრობ, რომ სარწმუნოების აღსარება ის არის, როდესაც კაცი სიტყვიერად აუწყებს მოყვასსა თვისსა თავის სარწმუნოებასა. მართალია, ზოგიერთს შემთხვევაში სიტყვიერი აღსარებაც სარწმუნოების დიდი მოღვაწება არის და სიმართლედ დაეთვლება კაცს, მეტადრე ახლა, ამ ჩვენს დროში. ხომ იცი შენც, ძმაო, რა ნაირად გამრავლდენ ახლა კაცნი ურწმუნონი, სარწმუნოების შემარცხევნელნი და გამკიცხავნი. რისთვის გამრავლდენ ესრედ ისინი? პირველად მისთვის, რომ არ იციან, არ ესმისთ, არ ფიქრობენ რა არის სარწმუნოება, რა საჭირო არის ის კაცის ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ასე რომ გარეშე მისსა კაცის სული დაჩაგრული და დალარიბებულია, და ცხოვრება მისი წამხდარია. მეორე მიზეზი ურწმუნოთა განმრავლებისა ის არის, რომ რომელიც მორწმუნენი არიან, ისინიც დალონებულნი არიან, გულ-გრილნი, წინააღმდეგებს შეგონებას არ აძლევენ. ბსურსა ერთი მოღვაწება აღასრულო? როდესაც შეხვდე ურწმუნოს, ერთს ანუ მრავალს, სასოებით, მტკიცედ, გულის გრძნობით აღუარე მათ სარწმუნოება შენი, რათა შეიკტიმონ მათ. თუ ასე მოიქცევი, სწორედ საცხოვრებელად შენდა და მსმენელთა იქნება შენი აღსარება. ბარნა სიტყვიერი მხოლოდ აღსარება სარწმუნოებისა, უმეტეს ნაწილ, აღვილი საქმეა. ღმერთიც ჩვენგან მოითხოვს არა მარტო სიტყვიერსა სარწმუნოებასა, არამედ საქმიანსა. რა არის საქმიანი სარწმუნოება? ის, როდესაც მთელი შენი ცხოვრება შინაგანი და გარეგანი, ცხად-ჰყოფს, ცხადად ღალადებს, რომ შენ გრწამს, მორწმუნე კაცი ხარ. შინაგანი ცხოვრება არის ჰაზრი, მიდრეკილობა, ყოველიფერი შენი შინაგანი მო-

ძრაობა; ეგენი უნდა გქონდეს შენ განათლებული, განცხოველებული და განწმედილი სარწმუნოებით. ზარეგანი ცხოვრება კაცისა არის ყოველი მისი საქმენი და სიტყვანი. ისინიც უნდა იყვნენ აღბეჭდილნი სარწმუნოებით. გულიოა გვრჩამს სიმართლედ, ხოლო შირთა აღგიარებ საცხოვრებელად ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

მართლ-მადიდებელობის პვირიაკესა ზედა.

წყეულ იყავნ მოქმედი საქმისა და თისა-
სა უდებებით (0ერემია 48, 10).

შმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! საღმრთოსა სჯულსა ჩვენსა, ვითარცა იცით ოქვენცა ყოველთა, აქვს ორი კერძო, ანუ ორი მხარე: სწავლა და მოქმედება, სიტყვა და საქმე, ანუ კიდევ: ჰაზრი და ცხოვრება. ჰეშმარიტი, ნამდვილი ქრისტიანე ის არის, რომელსაც ორივე ესე აქვს მითვისებული და დაცული ისე, როგორადაც გვასწავლის წმინდა მართლ-მადიდებელი ეკლესია. თუ შენ, ძმაო, გსურს, რომ მართლა სრული და ჰეშმარიტი ქრისტიანე იყო, პირველად, ჰაზრი უნდა გქონდეს განათლებული და დამყარებული იმ სწავლითა, რომელიც გამოვიცხადა შფალმან ჩეგნმან იესო შრისტემან, გარდმოგვცეს მოციქულთა, განმარტეს წმიდათა მამათა, და უკლებელად დაიცვა მართლ-მადიდებელმა ეკლესიამან. მეორედ, ცხოვრებაც, ანუ ყოფა-ქცევა, ანუ ყოველნი შენი საქმენი, უნდა იყვნენ შესაფერი იმ სწავლისა, ანუ უმჯობესად: ის სწავლა, ის ჰაზრები, უნდა გადააქციო შენ ცხოვრებად, საქმედ, არსებაში უნდა მოიყვანო.

რა სწავლა მოგვცა ჩვენ შფალმან იესო შრისტემან, რომორ გარდმოგვცეს ჩვენ იგი მოციქულთა და მამათა, და რო-

გორ დაიცვა იგინი წმინდამან ეკლესიამან, ამას ახლავე გაიგონებთ მაღლის ხმის მღაღადებელისაგან, ამასთანავე გაიგონებთ მწუხარებასა წმიდისა ეკლესიისა და სასჯელსა მისგან განჩინებულსა მათზედა, რომელნი გარდააქცევენ, ანუ უარ ყოფენ ჰეშმარიტებასა ლვთისასა, და სიმართლესა ეკლესიისასა. ბარნა ნუ ფიქრობ ძმაო ჩემო, რომელ წმიდა ეკლესია, ანუ უმჯობეს არს თქმად, სიტყვა და სიბრძნე ლვთისა, რომელი დამყარებულია ეკლესიასა შინა ლვთისასა, განაცხოველებს და მართავს მას, ნუ ფიქრობ, რომ იგი სიტყვა ლვთისა მრისხანე არს და დასჯის მხოლოდ მათ, რომელნი გარდააქცევენ, ანუ სრულიად უარ-ყოფენ სწავლათა, ანუ დოლმატთა ქრისტიანულთა. ზემოდ მოყვანილმან სიტყვამან ლვთისამან, იერემია წინასწარმეტყველისაგან გამოთქმულმან, დაგარწმუნოს შენ, რომელ ლმერთი მრისხანე იქნება და დასჯის იმათაც, რომელნი ცუდად ცხოვრებენ, სწავლასა, ანუ ჰეშმარიტებასა ლვთისასა, არ მოიხმარებენ ცხოვრებაში. წევული იყავნ მოქმედი საქმისა დვთისასა უდებებით. რა არის საქმე ლვთისა? საქმე ლვთისა ის არის, როდესაც კაცი ლვთისაგან მიღებულ სიტყვას საქმედ გადააქცევს, ლვთის სწავლას, ლვთის ჰეშმარიტებას მოიხმარს, არსებაში მოიყვანს. რა სარგებელი გექნება, ძმაო, რომ სწავლა, რომელი მოგვცა ჩვენ ლმერთმან იცოდე, გრწამდეს და არ ხმარობდე, არ ასრულებდე მას? სიტყვა ლვთისა, სწავლა ლვთისა, მოცემულ არს ჩვენდამი მოსახმარებლად, და არა უქმი ბაასისათვის, გახსოვდეს და გეშინოდეს ამ საშინელის სიტყვისა: წევულ იყავნ მოქმედი საქმისა დვთისა უდებებით. შმჯობეს იყო შენთვის სრულიად არა გაგონებად სიტყვისა ლვთისასა, ვიდრელა გამგოხებელმან არა აღსრულებად. ისრე მტკიცედ უნდა იყოს შენს შორის შეერთებული სიტყვა და საქმე, სწავლა და ცხოვრება ქრისტიანული, რომელ ორივე ერთს შენს ბუნებას შეადგენდეს.

მრავალს სხვასა საქმესაც იქმს კაცი ქვეყანასა ზედა, მრავალ ფერნი და ურიცხვნი არიან მისნი მოქმედებანი და მოძრაობანი; გარნა იმაზედ უდიდესი და უპატიოსნესი საქმე არა აქვს კაცსა, რათა არსებაში მოიყვანოს სწავლა სახარებისა, მისი ცხოვრება შეიქნეს სასუფეველი ლვთისა, მისი სული, გული — ტაძარი ლვთისა, მისი მთელი ცხოვრება გადაიქცეს მზგავსე-

ბად და ხატად ლვთისა. თუ ამას უმთავრესსა მისსა საქმესა
იგი აასრულებს უდებებით, დაუდევნელად, უერთგულოდ, თუ
ამა დიდ საქმეს დაივიწყებს, არა რად შთააგდებს, იგი არათუ
სიტყვით იქნება უარის მყოფელი ლვთიურის სწავლისა და
საღმრთო სჯულისა, არამედ თვით საქმით ერგება მას წყევა
ლვთისა, რომელიც და განაშოროს ჩვენ ყოველთაგან ლმერთ-
შან და მოგვცეს მაღლი და ღონე დავიმკვიდროთ მისი ზეცი-
ური კურთხევა. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

თქმული ქუთაისის საკათედრო სობოროსა შინა 1878 წელსა 5-ს
მარტს.

მართლ-მაღიდებლობის კვირიაკესა ზედა.

მსე არის ძლევა; რომლითა ძლევს სო-
ფელსა სარწმუნოება ჩვენი (ითან. 5. 4).

დღეს არის დღესასწაული ძლევისა; დღეს ჩვენ, მართლ-
მაღიდებელნი ქრისტიანენი ვდღესასწაულობთ ძლევასა მას,
რომელი მიიღო სოფელსა ზედა მართლ-მაღიდებელმა სარ-
წმუნოებამ. ზარნა რითი, მიიღო ეს ძლევა სჯულმა ჩვენმა?
რითი გაიმარჯვა ქრისტიანობამ? სარწმუნოებითა: ესე ასე
ძლევა, რომლითა სძლევს სოფელსა სარწმუნოება ჩვენი (ითან 5, 4).

სარწმუნოებასა, ძმაო ჩემო, აქვს აუარებელი, სასწაულთ-
მოქმედი ძალა ყოველთა საქმეთა შინა, დიდთა და მცირეთა.
სარწმუნოება არის უდიდესი და უმთავრესი ზნეობითი ძალა
და სიმტკიცე. კაცობრივის ბუნებისა. ზარეშე სარწმუნოებისა

არ შეიძლება წარმატება არცა ერთსა საქმესა შინა. როდესაც გული და ღონე კაცისა არის განმხნევებული და განლვიძებული ძალითა სარწმუნოებისათა, მაშინ ადვილად სძლევს იგი ყოველთა დამაბრკოლებელთა და წინააღმდეგთა მიზეზთა, და მოიპოვებს წარმატებასა ყოველთა საქმეთა შინა. რაცა გინდა მცირე საქმე დაიწყო შენ, ძმაო, თუ არ გრწამს, რომ კარგად გაათავებ იმ საქმეს, დალონდები და ვერ შეასრულებ; ხოლო დიდთა და მძიმეთა საქმეთა შინა, თქმაც არ უნდა, მიუცილებელი პირობები წარმატებისა ის არის, თუ ხარ შენ გამხნევებული და გალონიერებული იმ აზრით, რომ შეგიძლია, ლვთის შეწევნითა ასრულება იმ საქმისა.

გარნა ის ძლევა, რომელზედაც იტყვის იმანნე ლვთის-მეტყველი ზემოთ მოყვანილთა სიტყვათა შინა, არის უსაკვირველესი ყოველთა სხვათა ძლევათა. მტკიცითა სარწმუნოებითა კაცი სძლევს, არა თუ მხოლოდ რომელთამე დიდთა, ანუ მცირეთა სოფლიურთა დამაბრკოლებელთა მიზეზთა, არამედ თვით სოფელსა: ესე ას დღეგა, რომდათა სძლევს სოფელსა სარწმუნოება ჩვენი. ვინც დაუკვირდება, ყურადღებით განიზრახავს ამა უკანასკნელსა თვისებას სარწმუნოებისას, მას არ შეუძლია არ შესწიროს დიდება და მაღლობა ლმერთსა, რომელმან მიანიჭა კაცის სულსა ეგოდენი ძალი.. მართლა, ისიც დიდია, როდესაც კაცი განმტკიცებული სარწმუნოებითა, სძლევს სოფლის ჩვეულებათა, საზოგადოების აზრსა და წინააღმდეგობასა, გარნა ის ას-წილ უფრო საკვირველია, როდესაც კაცი ძალითა და შემწეობითა სარწმუნოებისათა სძლევს თვით სოფელს, თვით ბუნებას სოფლისასა, და ბოლოს თავის საკუთარსა ბუნებასა. კაცი აღძრული და აღდგენილი სარწმუნოებათა ლვთისათა ხშირად დათრგუნავს თავის საკუთარსა ბუნებასა, უარს ჰყოფს თავის თავს, თავის საკუთარს სიამოვნებასა, თავის ხორცსა და თვით სიცოცხლესა თვისსა ხშირად შესწირავს ლმერთსა. ბოლოს, ამაზედ უმაღლესს და უსაკვირველეს რაიმეს გეტყვი, თუ დარტოვებ ამ სიტყვასა. კაცნი წმინდანი, გალონიერებულნი სარწმუნოებითა მიიღებდენ ძლევასა არა თუ მხოლოდ ბუნებასა ზედა კაცისასა, არამედ თვით უმძლავრესსა ბუნებასა ზედა არა-წმინდა სულითა, ეშმაკთა ზედა..

მოკლედ ვსთქვად: რაცა კი არის დედამიწასა ზედა დიდი და შესანიშნავი, რაც კაცობრიობამ ჰქნა საქები და ამაღლებული სიტყვით, ანუ საქმით, ყოველი ესე არის აღსრულებული სარწმუნოების შეგონებით, შემწეობით და ძალით. ჰეშმარიტად არა უსაფუძვლოდ, ხმითა მაღლით, სასმენელად ყოვლისა ქვეყნისა ღალადებს დღეს წმინდა ეკლესია: ესე არს სარწმუნოება მოციქულთა, ესე არს სარწმუნოება მამათა, ამან სარწმუნოებაში საფელი დასძებარა.

ბოლოს, საჭიროც არ არის ვეძიოთ სხვა დამტკიცება სარწმუნოების და ქრისტეს სჯულისა, ძალის ძლევისა, მხოლოდ გავიხსენოთ ის ძლევა, რომელი ამ უკანასკნელს ომში მართლ-მადიდებელთა და მაჰმადიანთა შორის მიიღო სარწმუნოებამან ჩვენმან. ნუ იფიქრებ ძმაო, რომ აქ სძლია თოფმა, იარაღმა და სიმრავლემ ქრისტიანების ჯარისა. იარაღი და თოფი მტერსაც თითქმის უმეტესი ჰქონდა. აქ სძლია სულმა, ზნეობითმა ძალამ და მიმართულებამან ჩვენისა სჯულისა. იქნება შენ, ძმაო, არ იცი ყოველი გარემოება მრავალ ჟამიერისა ჭიდაობისა და ბრძოლისა მაჰმადიანთა და ქრისტიანეთა შორის, თორემ განცვიფრებული იქნები რა ნაირად გამოჩდა მას შენა ძალი სარწმუნოებისა და ღვთის განგებულება. ლოთი საუკუნეა მას უკან, რაც მაჰმადიანი შემოვიდენ მვროპის საზღვრებში. ისინი იყვნენ ეგოდენ მძლავრნი და საშინელნი, რომ ყოველნი სახელმწიფონი მვროპაში ძრწოდენ ზარდაცემულნი მაჰმადიანთაგან. ამათ აიღეს და დაიმორჩილეს უმჯობესნი ადგილნი და ხალხნი მვროპაში, და ემუქრებოდენ სხვათა ყოველთა. მთელი რუსეთი იყო დაპყრობილი მათგან და აოხრებული. ჩვენი ესე მცირე მაჰული, რაღა თქმა უნდა, სრულიად იყო ტანჯული და აოხრებული მათგან. მაგრამ რა მოხდა მასუკან? ქრისტიანენი, დაცულნი თავიანთითა სარწმუნოებითა, წარმატებულნი და განათლებულნი სასოებითა ქრისტესითა, აღდგნენ გაიმართნენ, გამრავლდნენ, განდლიერდნენ; ოსმალები თან-და-თან ფუჭდებოდენ, მცირდებოდენ, ხდებოდენ, სუსტდებოდენ. რისთვის? რა მიზეზია რომ მაჰმადიანი ცხადად ფუჭდებოდენ, და საღაც მაჰმადის სჯული სუფევს იქ ყოველიფერი დაწყევლილია და წამხდარი? მიზეზი ამისა არის

მათი სჯული. იგი აფუჭებს მათს ზნეობას. ნუ გონებ, რომ თვით ოსმალები უნიჭო ხალხი იყოს, ან მოშიშარი, ან ბუნებისგან სხვაფერ დასჯილი; არა! ვინც იცნობს მათ, პირ-დაპირ იტყვის, რომ ისინი ბუნებისაგან ნიჭით, სიმამაცით, ზამოჩენილნი არიან; მაგრამ იგინი გაფუჭებული არიან თავიანთი უგნური და გაფუჭებულის სჯულის გავლენით. სჯული მათი აბნელებს მათ ჭკუასა, რყვნის ზნეობას, უფუჭებს ხასიათს, მაშინ როდესაც ჩვენი სჯული, ძრისტეს სარწმუნოება, აკეთებს კაცს, აუმჯობესებს, წარმატებაში შეიყვანს, თუ ვინმემ ჭეშმარიტად შეიყვარა იგი, მიანდო მას თავი თვისი, დაემორჩილა გულით და სულით. პჰა, ქმაო, რა სარწმუნოება მოგცა შენ ღმერთმა. რამდენი მაღლობა, დიდება, სიყვარული, მორჩილება გმართებს შენ ღვთისაღმი, რომ მართლ-მადიდებელი ხარ, სარწმუნოება ჭეშმარიტი გიპყრიეს და მით სძლევ სოფლისა ცოდვასა. ეს ას მდევრა, რომდოთა სძლევს სოფელსა სარწმუნოება ჩვენი.

ბოლოს, წარმოიდგინე. რა ზომად დანაშაულია ის ერი, ხალხი ქრისტიანე, რომელი არ ისარგებლებს ამისთანა სჯულითა! ამით კარგავს იგი ამ საუნჯეს, მიწაში შთაფლავს ღვთისაგან მოცემულს ტალანტსა, ფუჭდება ზნეობით, ეცემა ხასიათით. ღმერთმან განაშოროს ჩვენგან ამისთანა დაუდევნელობა. ამინ.

პირველსა დიდმარხვის პირიაკესა, მართლ-მაღიდებლობისა.

შებერა მათ და რქვა: მიიღეთ სული წმინდა, უკეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოლვანი, მიუტევნენ მათ, და უკეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ შეპყრობილ იყვნენ. (იოანნე. 20, 22, 23),

დღეს, ძმანო მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო, წმინდა ეკლესია ჩვენი მიიღებს უჩვეულოსა სახესა და აღასრულებს განსხვავებულსა, შესანიშნავსა წესსა. აქამომდე იგი იყო დედა ჩვენი, და ვითარცა ჭეშმარიტი დედა, იგი ჩვენ მხოლოდ გვლოცავდა, გვაკურთხებდა, გვასწავლიდა. დღეს იგი გარდაიქცევა მსაჯულად ჩვენდა და აღასრულებს მოვალეობასა მართლ-მსაჯულებისასა. აქამომდე ამ წმინდა ტაძარში თქვენ შემოღიოდით ვითარცა სახლსა შინა სალოცველსა, დაესწრებოდით ლოცვასა, მსხვერპლის შეწირვასა და დევონის ვეღრებასა, დღეს კი ეს სახლი გადაიქცა სასამართლოდ, დღეს თქვენ აქ მოისმენთ საღმრთოსა მართალის განჩინებასა.

ვინ დააყენა ეკლესია მოსამართლედ? ვინ ჰქნა იგი მსაჯულად? შთუოდ ესრედ იკითხავ. შენ გულში. თვით ეკლესიის გამჩენმან და დამამყარებელმან, შფალმან იესო ქრისტემან. აღდგა იგი მკვდრეთით და გამოეცხადა მოციქულთა და მოწაფეთა შეკრებილთა, შებერა მათ და რქვა: ძიღღეთ სული წმინდა, უკეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი—მათ, და უკეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ—პეტობილ იყვნენ. მიტევება და დაკავება ცოდვათა, შეკვრა ანუ გახსნა სულთა კაცთასა, აპა დიდი და მაღალი უფლება, რომელი მიანიჭა შფალმან მოციქულთა თვისთა და მათ

გარდასცეს საუკუნოდ თავიანთთა მოადგილეთა; აპა შართლ-
მსაჯულება, რომელსა ალასრულებს დღეს წმინდა ეკლესია!

ვისზედ ალასრულებს დღეს წმინდა ეკლესია თვისსა მო-
ვალეობასა? ვინ იქნება დღეს მიცემული სამართალში? ვინ არი-
ან ის დამნაშავე პირნი, რომელთა წმინდა ეკლესია დააყენებს
წინაშე თვისსა და წაუკითხავს თვისსა განჩინებასა? სამწუხაროდ,
ისინი არიან რომელნიმე თვით მისთა შვილთაგანნი, რომელ-
თა დაარღვიეს დედა-შვილობის კავშირი ეკლესიასთან, დაი-
ვიწყეს ის პირობა, რომლითაც ეკლესიამ იშვილა იგინი: წმი-
ნდა ეკლესია იმ პირობით იშვილებს ყოველსა კაცსა, იმ პი-
რობით ამოიყვანს ემბაზისაგან, ესე იგი სულიერად შობს, რა-
თა მან მიიღოს და დაიცვას შეუცვლელად ის სწავლა, რომე-
ლი მისცა ეკლესიას მაცხოვარმა იესო შრისტემ. ეს საღმრთო
სწავლა ყოველმა კაცმა ღრმად უნდა დაიმარხოს, არა აური-
ოს სოფლის ცრუთა ჰაზრთა და სწავლათა თანა, აწარმოვოს.
ისარგებლოს, დააშენოს მას ზედა მისი ცხოვრება და მოქალა-
ქობა. გარნა სამწუხაროდ, წმინდა ეკლესიამ იცის, რომ ზოგიე-
რთნი ქრისტიანენი არღვევენ ამ პირობას, ხან სრულიად უარს
ყოფენ უმთავრესთა მუხლთა სამღრთოისა სწავლისათა, ხან აუ-
რევენ უცხოთა სწავლათა-თანა, გარყვნიან შეუსაბამოითა აზ-
რებითა. ამათ გამოუცხადებს დღეს წმინდა ეკლესია თვისსა
განჩინებასა.

რა სახით ალასრულებს დღეს წმინდა ეკლესია თვისსა
მართლ-მსაჯულებასა? სრულიად სხვა სახით და საშუალობით,
ვიდრენა სოფლისა ამის მსაჯულნი. სამართალი, რომელსა
დღეს წმინდა ეკლესია განაჩენს, იმ ზომად არის ცხადი, უცი-
ლებელი, პირ-უთვენელი, რომ არც ერთს კაცს არ შეუძლია
გაამტყუნოს იგი, ანუ შესწამოს ეკლესიას უსამართლობა. რო-
გორ გააჩენს დღეს წმინდა ეკლესია სამართალსა? პირვე-
ლად, წაიკითხავს იმ პირობათა, რომლითაც მან გვიშვილა ჩვენ
ყოველნი. იმ სწავლას, რომელიც გამოგვიცხადა, და ესრეთ
ვსთქვათ, ხელი მოგვაწერინა ჩვენ ყოველთა, პირველ მონათ-
ვლისა; მერმე გამუაცხადებს, ამა და ამ მუხლს უარ-ყოფენ და
ამისთვის იგინი ალარ ურევიან ჩემთა შვილთა შორის, მათ
ალარ ერგება საღმრთო იგი სამკვიდრებელი, მაღლი და მაც-

ხოვარება, რომელიც მიაბარა ეკულესიას შფალმა იქსო შრისტემან დასარიგებლად ერთგულთა მორწმუნეთა ქრისტიანეთა.

რა სასჯელია ის სასჯელი, რომელსაც გაუჩენს დღეს წმინდა ეკულესია მოღალატეთა პირთა? რა დააკლდება მათ, ანუ რით დაისჯებიან იგინი? სასჯელი, რომელსა დღესა განაჩინებს წმინდა ეკულესია არის უდიდესი და უსაშინელესი ყოველთა მათ სასჯელთა, რომელნი მოგონებულ არიან ქვეყნიურთა მსაჯულთაგან. მრთი ძველთა წმინდათა მამათაგანი იტყვის: გასაჭერებელი არა უვის დიდად, მას არცა ზეციერი ღმერთი ეყოფება მამად. ამ სიტყვებისაგან ცხადად გამოჩნდება ის სასჯელი, რომელსა დღეს წმინდა ეკულესია მიაყენებს ჩამნაშავეთა თვისთა. ეკულესია უარ-ყოფს და განაგდებს თვისთა ურწმუნოთა შვილთა, და ამით იგინი გაგდებულნი იქნებიან თვით პირისაგან ღვთისა. ვისაც კი ესმის რამე, ის მიხვდება რომ ამაზე უსაშინელესი სასჯელი აღარ არის ქვეყანაზედ. მაგრამ დედობრივი სიყვარული და გულმტკიცნელობა ეკულესისა აქაც ცხადად ჩნდება, მით რომ იგი არ დაასახელებს დამნაშავეთა პირთა, და მით აძლევს მათ სრულსა შეძლებასა, თავისუფლებასა და საშუალებასა, მოიქცენ, გაისწორონ თავიანთი აზრი და კვალად შეიქმნენ შვილნი წმინდის ეკულესისანი და, მოიგონ ღმერთი მამად.

გარნა რას ნიშნავს, ძმანო ქრისტიანენო, ის გარემოება, რომ დღეს წმინდა ეკულესია მისცემს სამართალში და დასჯის მხოლოდ ისრეთთა პირთა, რომელნი სცოდვენ მხოლოდ აზრით, ესე იგი, უარ-ყოფენ საღმრთოსა სწავლასა და სცოდვენ ღმერთს გონებით, აზრით; გარნა სხვათა უმრავლესთა პირთა რომელნი სცოდვენ საქმით, ყოფა-ქცევით ეკულესია არ შეეხება დღეს და არ დასჯის. ნუ თუ ეს უკანასკნელი, დანაშაულობა არ არის მძიმე და არ ეწყინება ეკულესიას? არა, ძმანო ჩემნო! ცოდვის მოურიდებელი, უზნეო, ცუდი ყოფა-ქცევის კაცი იმ სახითვე არღვევს დედა-შვილობის კავშირს წმინდა ეკულესიასთან, როგორც გონეგით და აზრით უარ-მყოფელი სახარებისა. გარნა აქ პირველად ის უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ თუ კი რომელიმე კაცი არ უარ-ყოფს საღმრთო

სწავლასა, სწამს ეკულესია, მიიღებს მისგან ყოველთა საღმრ-
თოთა საშუალობათა, იგი არ არის განდგომილი ეკულესიასა-
გან, მაშასადამე ეკულესიაც არ განაგდებს მას, მოელის მისგან
ყოველთვის მოქცევასა, სინანულსა. მეორედ, ნუ გონებ მაინც
რომ ცუდი ცხოვრებისათვის წმინდა ეკულესია არაოდეს არ
გაასამართლებს ქრისტიანეთა და არც დასჯის მათ. იგინიცა
თავის დროზედ მიეცემიან სამართალსა და სასჯელში; მათს
გასამართლებას წმინდა ეკულესია მიანდობს კერძო პირთა, ესე
იგი მღვდელთა, მოძღვართა. მსენი გამოიძიებენ ცხოვრებასა
და ყოფა-ქცევასა თვითეული ქრისტიანე კაცისასა. თვითეულს
მორწმუნეს, არა განდგომილს ეკულესიისაგან, ყავს თავისი სა-
კუთარი მოძღვარი. ის მოძღვარი თავის დროზედ, ესე იგი აღსა-
რებაში, გამოიკვლევს თვით მისი პირისაგან მისს ყოფა-ქცევასა და
მისთა საქმეთა, და თუ საჭიროდ შერაცხა კიდეც დასდებს მასზედა
სულიერსა სასჯელსა, რომელიც არის ეპიტიმია. და თუ დაი-
ნახა, რომ იგი ჭეშმარიტად ნანობს თვისთა ცოდვათა, ცხადად
სურს გასწორება თვისისა ცხოვრებისა,—მიუტევებს მას სახე-
ლითა შფლისა იესო ქრისტესითა. წინაღმდეგ შემთხვევაში
დროებით გადააყენებს მას ზიარებისაგან, რათა უმეტესად შე-
ინანოს და გასწორდეს. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

მეორესა პვირიაპესა ზედა დიდისა მარხვისასა.

დიდი მარხვა, ძმანო მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო,
არის საკუთარი უამი ლოცვისა, მარხვისა, სინანულისა, და ამი-
სთვის ჩვენცა, სულიერნი მოძღვარნი თქვენნი ამ საგანზე, ესე
იგი ლოცვაზე, სინანულზე და აღსარებაზე საკუთრად და უმე-
ტესად უნდა გეტყოდეთ თქვენ.

დღესა მე მსურს ვიწყო თქვენთან უბნობა მაზედ, თუ რო-

გორ უნდა შევინანოთ ჩვენი ცოდვანი, რა ზომა უნდა მივიღოთ, რომ გასწორდეს ჩვენი ცხოვრება და ლირსეულად ვეზიარებოდეთ, გარნა პირველ, ვიდრე შეუდგები ამ საგანზე თქვენთან უბნობას, მოგახსენებთ ერთს უბრალო შემთხვევას, რომ ლისაგან გამოიყვანება ჩვენთვის კარგი სწავლა სინანულზე, მოქცევაზე, ცოდვის უარის-ყოფაზე, რომელზედაც დავაპირე დღეს თქვენთან უბნობა.

შარსულ კვირას ორშაბათს, ეკკლესიაში რომ მივდიოდი, გზაზე დამხვდა ერთი მახლობელის სოფლისა მცხოვრები უბრალო კაცი, რომელმანც შემომჩივლა: ჩემმა მოძღვარმა გამომიცხადა არ მიგიშვებ ზიარებისადმიო, უბრძანეთ რომ მაზიაროსო. ვკითხე; რა მიზეზი გამოგიცხადა? ამაზე იმ კაცმა გულწრფელად აღიარა: მართალია ცოდვილი ვარო, უგვირგვინოთ ვსცხოვრობ მეოთხე ქალთანაო, მაგრამ არ შემიძლია ახლა გავაგდო ისაო, წვრილი შვილები მყავსო, მეც ისე მოხუცებული არა ვარო. დიდ ხანს არ შემეძლო მასთან ბაასი. და მისი დარიგება, დრო არ მქონდა; შეუგონებლადაც დატოვება მისი არ შეიძლებოდა, უცბად ვუთხარი მე მას; კარგი! აბა შემოდი ამ ეკლესიაში, დადექი მაცხოვრის ხატის წინაშე და ესრედ ილოცე: მაცხოვარო, შფალო იესო ქრისტე! მართალია დიდს ცოდვაში ვარ, კიდეც ვსწუხვარ და ვნანობ, მაგრამ ახლა არ შემიძლია ჩემს ცოდვას გავეყარო; მერმე კი ვეცდები და გავეშორები იმ ცოდვას, ოღონდ კი ღირს მყავ ახლა შენისა წმინდისა ზიარებისა. მას ეუცხოვა ეს სიტყვა. მისმა სინიდისმა ამხილა, რომ არ შეიძლება ამისთანა ახირებული ლოცვა, და მიპასუხა: ასე ლოცვა როგორ შეიძლებაო; მაშინ მე ვუპასუხე; თუ კი ლოცვაშიც არ შეიძლება ამისთანა სიტყვის თქმა, მით უმეტესად ახირებულია და ცუდი საქმით მისი აღსრულება. სანამ შენ ცოდვას არ გაეყრები, ზიარებაც არ იქნება შენთვის სასარგებლო.

მე ვგონებ, ქმანო ქრისტიანენო, რომ მარტო ის ხსენებული სოფლის კაცი არ არის ამ მდგომარეობისა და ჰაზრისა, არამედ, ვგონებ, რომ მას მრავალი ამხანაგი ჰყავს; დარწმუნებული ვარ, რომ უმრავლესნი აწინდევლნი ქრისტიანენი ემზგავსებიან მას ამ შემთხვევაში.

ზემოდ მოხსენებულმა სოფელმა იცოდა თავისი ცუდი, სჯულის წინააღმდეგი მდგომარეობა, კიდეც ნანობდა, მაგრამ თავის ცოდვის უარის ყოფა, მისგან გაყრაარ უნდოდა, გარნა ზიარებასაც კი თხოულობდა. მრთის მხრით ისიც კი არის მოსაწონი, რომ ის კაცი გრძნობდა თავის სიცოდვეს, ისიც კარგია რომ ჰქონდა განზრახვა მერმე მაინც, ოდესმე დაეტოვებია თავის ცოდვა, მაგრამ ჰეშმარიტი სინანული არ იყო მის გულში. მას უნდოდა შეერთებინა ცოდვა და მადლი, სულის ცხონებაც სურდა, და ცოდვასაც ვერ იმეტებდა, ვერ იშორებდა. მის გულში იბრძოდა ორი წინააღმდეგი გრძნობა—ცოდვის სიყვარული და მონანების და ზიარების სურვილი. მსეც ერთი მხრით კარგია, როგორც ზემოდ ვსთქვით, ზოგიერთს კაცს აღარც ამისთანა რყევა აქვს. მრავალნი ქრისტიანენი ისე დამონებულნი არიან სხვა და სხვა ცოდვათაგან, რომელ სრულიად აღარ გრძნობენ რყევასა, არ ხედვენ იმ უფსკრულსა, რომლისა პირზე სდგანან იგინი, განმზადებულნი შთანთქმად.

გარნა, როგორც ვსთქვით, იმ კაცის გულში არ იყო ჰეშმარიტი სინანული. რასა შინა მდგომარეობს ჰეშმარიტი, ქრისტიანული სინანული? მრთი მიუცილებელი თვისება აქვს ჰეშმარიტს სინანულს. მაცი ჰეშმარიტად შემნანებელი მოიძაგებს თავის ცოდვას, ესე იგი არა თუ სწუხს მაზედ, არამედ კიდეც სძულს თავისი ცოდვა, და, მაშასადამე, რასაკვირველია, უარ-ჰყოფს მას, გააგდებს, და ეზარება მისი არა თუ კიდევ აღსრულება, არამედ წარმოდგენაც. ვინემ კაცი არ მოიძულებს, არ მოიძაგებს თავის ცოდვას, არ ითქმის რომ იგი ჰეშმარიტად ნანობს და ჰეშმარიტად ჰსურს საუკუნოდ გაყრა ცოდვასთან, საუკუნოდ მისგან განშორება.

მაშასადამე პირველ, ვიდრე მიხვალ შენ მოძლვართან აღსარების თქმად, კარგად განიხილე შენი სულიერი მდგომარეობა, გძულსა შენი ცოდვა, ანუ ცოდვები, შეგიძლია საუკუნოდ გაეყარო მათ? თვინიერ ამისა რა სასარგებლო არის ზიარება? მრთი კვირის განმავლობაში კი არ უნდა იყო გაფრთხილებული, არამედ მთელს შენს სიცოცხლეში, ესე იგი, უნდა სრულიად გამოიცვალო შენი ყოფა-ქცევა და ხასიათი.

ჟეშმარიტი სინანული მეორედ შობა არის კაცისა, იგი არს შესვლა ღვთის სიწმინდეში, ღვთის სასუფეველში. იუგით ოქგენ წმინდა, გითარწა მე წმინდა ჯარ, იტყვის ღმერთი. უნდა გამოვიდეთ ცოდვებისაგან და უნდა შევიდეთ ღვთისა სიწმინდეში.

სიძვა, შური, მცერობა, არა-წმინდობა, ვითარცა იტყვის წმინდა მოციქული პავლე, არა თუ საქმით სრულდებოდეს ჩვენს შორის, არამედ არც კი უნდა ისახელებოდეს. გარნა, რადგანაც სიტყვა, მოძღვრება და ქადაგება ჩვენი უნდა იყოს სარკე, რომელსა შინა ყოველი ქრისტიანი კაცი ცხადად დაინახვიდეს თვისსა სულიერსა პირის-სახესა, მე მეშინის, რომ ჩემს სუსტს სიტყვაში და ქადაგებაში, ვაი თუ ნათლად ვერ დაინახოს კაცმა თავისი სულიერი სახე. ამისთვის მოვიყვან ერთი ახლად დაბეჭდილის, ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოზის ქადაგებისაგან ერთს ადგილს, რომელსა შინა იგი აღრიცხავს სხვა და სხვა ცოდვებსა, მისთვის რომ იქნება უმრავლესთა მსმენელთა ჩემთა უმჯობესად იცნონ თავიანთი თავი.

უძრახსა, შურიანსა, ცილის მწამებელსა, სხვის განსაცდელზე მოხარულსა და სხვის საქონლის მპარავსა, და მომტაცებელსა, და თავის სახლში ნარბევის შემტანია, და სხვის ენის მიმტანსა, და შფოთის ჩამომგდებსა, სხვის თავ-საცილით მასხარად ამგდებსა, სხვათა ცოდვების გამკითხველსა. მძრახავსა და მკილავსა, და სხვის ცოდვების წამაყვედრებელსა, სხვათა ავის თვალით და ბოროტის შეყვარებით შემხედველსა, სხვათა მაჭანკალსა, და ბოროტად შუა შემომსვლელსა, და ბილწის სიტყვის მოლაპარაკესა, მრუდს მოსამართლესა, და ქრისტიათვის მიმფერებელსა, უმოწყალოსა, და გულ-გამოუბრუნებელსა ძვირის მოხსენესა, და ღვთის მაფიცარსა, და სიცრუით მქცევსა, და ტყულილის მოლაპარაკესა. ამისთახების მოქმედი, სწორეს მოგახსენებ, თუ ამისთანებზე ხელს არ აიღებს, არც სეფისკვერი ერგება, არც ზიარება ეღირსება, არც იმისი ლოცვა და შესაწირავი შეიწირება, და არც ის მართალს ქრისტიანებთან ჩაიგდება და არც იმისი ქრისტიანობა ირწმუნება. ამისთანახების მოქმედი ქრისტიანობასაც არცხვენს, და თავის თავი ხომ სრულიად სულით და ხორცით დასჯილიც აქვს და წარწყმედილიც; ამ ჩემს მოხსენებას, თვით წმიდა მოციქული

დასწერს და ამტკიცებს: ა) პორინთელთა მიმართ ეპისტოლება შინა, ვითარმედ აუგ არა უწყითა; რამეთუ ცრუთა სასუფეგელი ღმრთისა გერ დაძმვებიდრონ? ნუ ჰსცდებით, არცა შეძგოა, არცა გერბთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუპენთა, არცა მაძათ-მავრალთა, არცა მტაცებელთა, არცა მთმთვრადეთა, არცა მაგინებელთა და არცა ანგარფა, სასუფეგელი ღვთისა გერ დაძმვებიდრონ (პორ. 6, 9). მსენი რაც მოგახსენე, და წმინდა მოციქულმაც დაგვიწერა, დიდად დამსჯელი და შემარცხვენელი არის ამ სოფელსაცა, და იმ საუკუნოს ღიღებისა და სასუფეველისაგან დამკარგავი და წარმწყმედელი არის. მე თუ შრისტეს მონა ვარ, და ან თქვენი ერთგული მწყემსი ვარ, ამაებზე არავის უნდა მოგეფერო, და, ჭეშმარიტი უნდა მოგახსენო. ვინც ამისთანაების მოქმედია, და არ შეინანებს და ხელს არ აიღებს, იმას დასჯა, შერცხვენა და წარწყმედაც მოელის. სწორედ გული დააჯეროს, რომ ორსავ სოფელს გარდახდება, და თუ მოიქცევა, და კეთილს საქმეზე დადგება, როგორც წმიდათა და ყოვლად ქებულთ მოციქულთ ღიალ მრავალნი ცოდვილნი მოაქციეს, და სასუფეველი ელირსათ, აგრეთვე თქვენც ღვთისაგან იკურთხებით, და ამ წმინდის ღლესასწაულის მაღლიც დაგიფარავსთ, და წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი მეოხება სულისა და ხორცის განსაცდელისა, და შეჭირვებისაგანაც გამოგიხსნისთ, და მაღლი შემწე და მცველი გექნებათ, მაღლითა შფლისა იესო შრისტესითა, რომელსა პატივი, ღიღება და თაყვანის-ცემა შვენის აწ და უკუნისამდე. ამინ.

მეორესა პვირიაკესა დიდ-შარხვისასა.

ჭყეულ იყავნ მოქმედი საქმისა ღვთისა-
სა უდებებით. (იერ. 48, 10).

ჭარსულს კვირასაც ამ სიტყვებზე დავაფუძნეთ სწავლა და
ქადაგება თქვენდამი, ძმანო მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანე-
ნო! ღლესაც იგინივე უნდა დავდვათ საფუძვლად ჩვენისა სი-
ტვისა; გარნა დღეს სხვა მხრით უნდა ავხსნათ იგი, და სხვანი
სწავლანი და მაგალითი გამოვიყვანოთ მათგან.— წელი იყავნ
მოქმედნი საქმისა ღვთისასა უდებებით! ვისთვის იტყვის ამ საშინელ
სიტყვას სულიწმინდა, ძმანო ქრისტიანენო? ვინ არის ქვეყა-
ნაზედ მოქმედი საქმისა ღვთისა? შპირველეს და უაღრეს
ყოველთა მოქმედნი საქმისა ღვთისა ვართ ჩვენ, ულირსი
მწყემსნი თქვენი, საღმრთოთა საიდუმლოთა აღმასრულებელნი,
ნიჭთა და მაღლთა ღვთისათა ღამრიგებელნი. მს საქმე რომ
დიდია, და ჭეშმარიტად ღვთის საქმე არის, და ყოველთა სხვა-
თა საქმეთა უდიდესი და უპატიოსნესი, ეს ყოველმან
მორწმუნემან კაცმან კარგად იცის. შაშასადამე ეს საშინელი
სიტყვა იერემია წინასწარმეტყველისა უწინარეს ყოვლისა გვა-
ფრთხილებს და გვაშინებს ჩვენ, სამღვდელოთა პირთა. მარ-
თლა, რომელი ცოდვა იქნება ამაზე უდიდესი, როდესაც მღვდე-
ლი უდებებით ასრულებს ღვთის მსახურებასა? თუ კი მო-
ნა, უდებებით აღმასრულებელი მსახურებისა, დაისჯება შფ-
ლისა მისისაგან, მით უდიდესი სასჯელი არ ერგება მღვდელ-
სა, მდგომარესა თვით წინაშე ღვთისა და შემოქმედისა თვი-
სისა და უდებებით აღმასრულებელსა ღვთის მსახურებისასა?
მს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, და ამისა ყოველთვის უნდა
გვეშინოდეს ჩვენ, სამღვდელოთა პირთა.

ბარნა მარტო ჩვენზედ არ არის თქმული ეს სიტყვა წინასწარმეტყველისა; მარტო ჩვენ არა ვართ მოქმედნი საქმისა ღვთისა, არამედ თქვენცა ერის კაცნი. როდის და რა სახით? როდესაც თქვენ საყდარში სდგეხართ, წირვა-ლოცვასა ისმენთ, მაშინ თქვენ ღმერთს ადიდებთ, ღმერთს მადლობთ, ღმერთს ლოცულობთ, მაშასადამე ღვთის მუშაკნი ხართ, ღვთისა საქმისა მოქმედნი ხართ. მართალია, საყდარში ლოცვებს კითხულობენ, გალობასა წარმოსთქვამენ მღვდელნი და სხვანი სამღვდელო პირნი, მაგრამ თქვენც, ერის კაცნი, მოზიარენი ხართ ღვთის მსახურებაში. ხომ გესმისთ ყოველს წირვაზე ეს სიტყვები: გსდგეთ კეთილად, გსდგეთ შიშით, მთხედენ. ამ სიტვებს მწირველი ეუბნება ერის კაცთა, და ამით აუწყებს მათ, რომ იმათაც უნდა მიიღონ მონაწილეობა ღვთის მსახურებაში, წირვის აღსრულებაში. მართლა, ღვთის მსახურება ეკულესიაში მარტო იმით ვერ შესრულდება, რომ მღვდელნი ხმა მაღლა ლოცვებს წაიკითხავენ, მგალობელნი გალობას იტყვიან; უმთავრესი და უსაჭიროესი საქმე წირვისა დროსა არის ის გრძნობა, ის სასოება, ის საიდუმლო, მხურვალე ვედრება ღვთისადმი, რომელიც მაშინ კაცს უნდა ჰქონდეს დაფარულად გულში. ამაზედ კიდევ უდიდესიც წირვის დროს არის ერთი რომელიმე საქმე. რომელი? ზრთობა, შეერთება ყოველთა დიდთა და მცირეთა, მღვდელთა და ერთა, ქალთა და კაცთა, ერთი გრძნობითა, ერთი აზრითა, ერთი სიყვარულითა, და მოგბერ ჩვენ უფალო ერთითა გულითა და ერთითა ბირითა დადგებად და გაღიაბად, როგორც წირვაში ვსოხოვთ ღმერთსა. მს არის ჭეშმარიტი ღვთის მსახურება და მსხვერპლის შეწირვა; ამას მოითხოვს და მიიღებს ღმერთი და არა მხოლოდ ხმა-მაღლა ლოცვის წაკითხვას და გალობას. მაშასადამე შეიძლება, რომ საყდარში ზოგიერთი ღვთის მოყვარე ერის კაცი უმჯობესი წირვის შემასრულებელი იყოს, ვიდრე-ღა თვით მწირველი უდებებით მღვდელი. მაგრამ მარტო საყდარში კი არ უნდა იყო შენ, ძმაო ერის კაცო, ღვთის საქმის მოქმედი, არამედ ყოველგან და ყოველთვის. სიტყვა და მცნება ღვთისა მოკლერ არ უნდა გვესმოდეს ჩვენ და ვიწროდ, გრცელ ას მცნება შენი ფრიად და მთასან შენძან შეიყვანა იგი. მრისტიანე ხარ,

მონათლული ხარ, ღმერთთან შეერთებული ხარ, მაშასადამე ყოველთვის. ღმერთს უნდა ემსახურებოდე, ყოველნი შენი საქმენი, მრთელი შენი ცხოვრება ღვთის საღიღებელად უნდა იყოს. მუ გინდა უბრალო რაიმე სოფლიურ საქმეს აკეთებდე, მაინც ისეთი ხასიათი და მიმართულება უნდა მისცე იმ საქმეს, რომელ ისიც ღვთის საქმე იყოს; მაშასადამე, თუ რომელსამე ქრისტიანე კაცს არ ახსოვს თვისი დიდი წოდება და დანიშნულება, ცხოვრობს დაუდევნელად და უფიქრებელად, თავის მოვალეობას უდებებით ასრულებს, და მეტადრე ცოდვას არ ერიდება, და არცა ნანობს, ცუდს ზხეობას არ იცვლის, კეთილ და მადლიან საქმეს არ ეძებს, რასაკვირველია, რომ ამისთანა კაცს მომეტებულად ერგება ეს საშინელი სიტყვა ღვთისა: წევუდ იყავნ მოქმედი საქმისა ღვთისასა უდებებთ, რომელიც განაშოროს ჩვენგან შფალმან და მხსნელმა ჩვენმა იესო მრისტემ. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

გეორგესა პვირიაქვესა დიღისა მარხვისასა.

და აწ იტყვის შფალი ღმერთი: მოიქე-
სით ჩემდა ყოვლითა გულითა. თქვენითა
მარხვისა მოერ და ტირილისა და ტყებისა,
დაიპენით გულნი თქვენნი და ნუ სამოსე-
ლი. (იოელ. 2, 12).

დიდი მარხვა დიდსა საქმეს და ზრუნვასა მოგვიტანს ყო-
ველთა ღვთის მოსავთა კაცთა, ძმანო მართლ-მაღიდებელნო
ქრისტიანენო! ვინც ჭეშმარიტი ქრისტიანია, სულიერისა წარ-
მატებისა მაძიებელი, დიდად დაფიქრებული იქნება დღეთა
ამათ დიდისა მარხვისასა. ვისაც თავისი სული უყვარს, იგი ამ

დღეებში მარხულობს, ლოცულობს, ემზადება ზიარებისათვის. მას არ აქვს დავიწყებული რა დიდი მომზადება უნდა ზიარებას, იცის მან, რომ ვინც ღირსეულად მოემზადაბა — ღირსეულად ეზიარება, და მერმეცა დაიცავს ზიარებისაგან მიღებულსა მაღლსა, იგი ამით დააგვირგვინებს ქრისტიანულ ცხოვრებას და საუკუნო ნეტარება და ცხონება იქნება ეს მისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში საუკუნო სასჯელი. როგორ უნდა მოვემზადოთ, ძმანო, ზიარებისათვის, და, საზოგადოდ, როგორ უნდა ვიქცეოდეთ ამ დიდ-მარხვაში? მოდქენით ჩემდა! იტყვის შფალი დმერთი! აპა, პირველი საქმე, რომელიც უნდა ავასრულოთ ამ დიდ მარხვაში. პქამომდე ჩვენ ვიყავით მიქცეული პირითაც, გულითაც, საქმითაც და ყოველითურთ სოფლისადმი, ცოდვისა და ამაოებისადმი; ახლა მიუბრუნდეთ შფალსა ყოვლითა გულითა, გული გავიწმინდოთ და მივართვათ იგი დმერთსა, მოვუმზადოთ ჩვენს გულში შფალსა იქსო შრისტეს განსასვენებელი. თუ კაცს გულში აქვს ვნება, ბოროტი გულის თქმა, ბოროტი რამე თვისება, თუ კაცის გული სოფლის ამაოების მორჩილებაშია, შფალი იქსო შრისტე ვერ განისვენებს მის შორის. ღიდს ხელმწიფეს რომ ელოდე შენს სახლში, ძლიერ მოამზადებ სახლს, გაასპეტაკებ, შეამკობ. აპა ეს რა, თვით შემოქმედი ცისა და ქვეყნისა გესტურება შენა, გაასპეტაკე და შეამკე გული შენი. რა საშუალებით უნდა ვქნათ ეს? მათხვისა მაერ, ტირიდისა და ტეჟისა, დაუმატებს წინასწარმეტყველი ილია, პირისაგან დვოისა. ამათგან პირველსა, ესე იგი მარხვასა ყველანი ვასრულებთ რაოდენად შეგვიძლია, საჭმელს გამოვიცვლით და მოვიკლებთ, ზოგიერთნი კი სულ არ სჭამენ ერთს, ანუ ორ დღეს; გარნა გვაქვს, თუ არა, ტირილი და ტეჟება ცოდვათათვის. მსენი მხოლოდ არიან უნამდვილესნი ნიშანნი და ბეჭედნი მოქცევისა და სინანულისა. თუ ესენი არ გვაქვს, არათერი არა გვაქვს. მარხვა მისთვის გააჩინა წმინდა ეკლესიამ, რომ უადვილესად გაგვიჩნდეს გულში სინანული, ესე იგი გულის მწუხარება და ტირილი ცოდვისთვის. თუ გული არ გიწუხს, ცრემლი არ მოგდის, ეს მისთვის, რომ უთულდ არ გებრალება შენი სული, არ გეშინია სიკვდილის და დასჯის. რისთვის არის, რომ მიცვალებულის ტირილზედ.

როცა დაესწრები და დაინახავ გარეშემო მტირალთა, და მიცვალებულსა კუბოსა შინა მდებარესა უსულოდ, მოგივა ცრე-მლი და ტირილს დაიწყებ? მისთვის, რომ შეგეცოდება მკვდა-რი, გებრალება მისი ჭირისუფალნი: გარნა რისთვის არ გებ-რალება შენი სული, მკვდარი ცოდვათაგან, მომლოდინე საუ-კუნოს სასჯელისა? შენც ოდესმე იქნები მზგავსადვე კუბოში, უსახო, შენი თავიც იტირე, შენი სულიც გეცოდებოდეს. გა-იხსენე, რამდენი ცოდვები გიქნია, რამდენჯერ გაგირისხებია ზეციერი მამა შენი, დაემხვე, დავარდი მიწაზედ და ცრემლით ეველრე ღმერთსა.

ჯაიზენთ გული თქვენი და ნუ სამოსედი, დაუმატებს კიდევ ღმერთი პირითა იოელ წინასწარ-მეტყველისათა. რას ნიშნავს ეს სიტყვა? ძველ დროებაში ერთი ჩვეულება იყო, თუ ვისმეს დიდი რაიმე უბედურება შეემთხვეოდა, შესამოსელს დაიხევ-და, ან დაიპობდა, ნაცარს დაიყრიდა თავზედ, ძონძს ჩაიცვამ-და, ტიტველ მიწაზედ დაჯდებოდა და ისე დაიწყებდა ტი-რილს და ტყებასა. წინასწარმეტყველი გამოგვიცხადებს პირი-თა ღვთისა: გული დაიპეთო და არა შესამოსელიო; ჭეშმარი-ტად ჩვენც ცოდვილთა გვმართებს გული დავიპოთ მწუხარე-ბისაგან. ცოდვა, ღვთის განრისხება, უდიდესი უბედურება არის, ვიდრელა ხორციელნი უბედურებანი. იგი საუკუნოდ დაგვღუბავს და დაგვტანჯავს, მაშასადამე, ცოდვებს უფრო უნდა ვსტიროდეთ და ვიგლოვდეთ. თუ კაცი მოეგო თავის-თავს, ესე იგი ღრმად დაფიქრდა თავის ულირსებაზედ, თუ ცხოველად და პირუთნეველად წარმოიდგინა ყოველნი თვის-ნი ბოროტი სიტყვანი და საქმენი, არ შეიძლება სინანული არ აენთოს მას გულში. და თუ შენ ამას არ გრძნობ, ძმაო ჩემო, თუ გული არ გაიპე მწუხარებით, — ჭეშმარიტი სინანუ-ლი არ გაჩენილა ჯერე შენს გულში. — რა საცოდავი და და-ცემულია კაცის გული და სული! ხშირად მოხდება, რომ კა-ცხა იცის თავისი ღრმა დაცემულება, გაიხსენებს მრავალთა და მძიმეთა ცოდვათა, მაგრამ მაინც არ სწუხს, არ ტირის. რისგან არის ეს? ვგონებ რომ ამპარტავანებისაგან, რცხვენია ზოგიერთს კაცს ტირილისა. რამდენნი არიან, ძალად მოიყვა-ნებენ ცრემლსა მიცვალებულის ტირილზე საჩვენებლად, იქა

მდგომარეთა არ დამზრახონო! და თავის სულისათვის წინაშე ლვთისა რცხვენია ტირილის. არა, ქმაო ჩემო, ტირილი სირ-ცხვილია მხოლოდ კაცთა წინაშე. მაშინ იგი ნიშნავს, ან ფარისევლობას, ან სისუსტეს; გარნა ტირილი საიდუმლო წინაშე ლვთისა ცოდვათათვის არის დაუფასებელი საუნჯე. საკვირველი არის ჭეშმარიტად! მრავალნი წმინდანი კაცნი, ღირსნი მამანი, მეუდაბნოენი, ხშირად სასწაულთ-მოქმედნიცა, ყოველ დღე ცრემლით ევედრებოდენ ლმერთს, ძრწოდენ და ეშინოდათ სასჯელის და წარწყმედისა, და ჩვენ კი ცოდვით სავსენი, ყელაშიდი ჩაფლულნი ცოდვათა და ამაოებათა შინა, რომელნი ყოველ წამს ლმერთს ვარისხებთ, ერთს ცრემლსაც ვერ მოვიპოვნით ცოდვათა ჩვენთათვის ამ დღეებში, თვით იმ დროს, როდესაც ზიარებას ვემზადებით, ასე გაქვავებული ვართ ცოდვათაგან, და განშორებული ჭეშმარიტისა სინანულისაგან! ზარნა დრო არის, განვიღვიძოთ, ქმანო ჩემნო! აშ იტყვას უფალი ლმერთი: მოიქეცით ჩემდა ყოვლითა გულითა თქვენითა მარხვისა მერ ტირილისა და ტებისა, დაიშენით გულით თქვენნი და ნუ შესამოსელნი.

ბოლოს, ქმანო ჩემნო, ისიც უმეტესად საჭიროა რომ გვ-ქონდეს ნაყოფნი სინანულისანი— კეთილი საქმენი. აპა, გიჩვენებთ ერთს კეთილ საქმეს: უთუოდ იცი, გაგიგონია, რომ ამ ჩვენს ქალაქში გაჩნდა საზოგადოება, ანუ ამხანაგობა შესაწევნელად ღარიბთა მოსწავლითა. ამ წამს ჩამოატარებენ სინებს და ჩამოითხოვენ მათთვის შემწეობას. შეეწიე რაოდენიცა ძალგიძს. იცით ყოველთა რაოდენნი არიან ჩვენს ქალაქში ღარიბნი შეგირდნი. იცით მეორე მხრით, რა მძიმეა ახლა უსწავლელად დარჩენა შვილებთა. მაშასადამე, ნუ დაზოგავ რაც ლმერთმა მოგცა შესაწევნელად მათდა და მით შეავსე შენანება ცოდვათა, გაამართლე სარწმუნოება შენი, დაბეჭდე სასოება ლმერთზედ. ამინ.

გოდლვაბა

თქმული მეორესა პირიაპესა ზედა დიდისა მარხვი-
სასა.

სარწმუნო იგი მცირესა ზედა, მრავალსა
ზედაცა სარწმუნო არს; და ომელი მცი-
რესა ზედა ცრუ არს; მრავალსა ზედაცა
ცრუ არს. (ლუკ. 16, 10).

დღეს, ძმანო ჩემნო ქრისტიანენო, ჩვენ აღვირჩიეთ უბნო-
ბა თქვენთანა იმ საგანზე, რომელსა გვასწავლის ეს მოყვანი-
ლი სიტყვები. მახლობელი და პირ-და-პირი პაზრი ამ სიტყვე-
ბისა არის უბრალო და ცხადი. ამ სიტყვებით მაცხოვარი გვა-
სწავლის ჩვენ, რომელ თუ კაცი ყოველ მცირე საქმეში ყო-
ველოვის არის სარწმუნო და პატიოსანი, ესე იგი, მცირე სა-
ქმებსაც კეთილად და პატიოსნად ასრულებს, იგი დიდ სა-
ქმებშიაც იქნება სარწმუნო და კეთილი; წინააღმდეგ ამისა,
თუ კაცი მცირე საქმეში არის ცრუ, მრუდე და ყალბი, ის
დიდ საქმეშიც მსგავსივე გამოჩნდება. მს არის მახლობელი და
უბრალო პაზრი ამ სიტყვებისა; გარნა დიდი და ვრცელი ზე-
ობითი სწავლა გამოდის ამ პაზრიდამ.

სარწმუნო იგი მცირესა ზედა და მრავალსა ზედაცა სარ-
წმუნო არს. მცირეს შფალი იესო შრისტე აქ უწოდებს პი-
რველად მთელსა აქაურსა სოფლიურსა ჩვენსა ცხოვრებასა.
მართლა, როდესაც აქაურსა სოფლიურსა ჩვენსა ცხოვრებასა
შევადარებთ მომავალსა ზეციურსა ცხოვრებასა, მაშინ იგი გა.
მოჩნდება ერთობ მცირედ და არა რად შესანიშნავი, და არა
თუ მცირე არის იგი, არამედ ერთობ ვიწროც, აღვსებული
ყოვლითა მწუხარებითა. მაშასადამე, მაცხოვარი აქ გვასწა-
ვლის ჩვენ, რომელ უკეთუ შევიწროებულსა ამას ცხოვრება-

სა შინა ვიქმნებით ლვთის სარწმუნო, ესე იგი, კეთილად, პატიოსნად და მოთმინებით ვატარებთ დღეთა ჩვენთა, მაშინ ლმერთი მოგვანიჭებს ჩვენ დიდსა, ვრცელსა ცხოვრებასა. ჩვენც გვეტყვის მაშინ მზგავსად სარწმუნოისა მის მონისა: გეოდ მონარ, სახეორთო და სარწმუნოთ, რამეთუ მცირესა ზედა სარწმუნო იყვა, უმრავლესად ზედა დაგადგინო შენ; შეგვედ სახლსა უფლისა შენისასა. დიდი ნუგეში შემოდის იქითგან ყოველთა მათთვის, რომელნი ამ ქვეყანაში ითმენენ ვიწროებასა, სილარიბესა და უბედურებასა. თუ იგინი არ დაღონდებიან, სარწმუნოდ და პატიოსნად დარჩებიან ლვთის წინაშე, მაშინ ლმერთი მოთმინებისა მათისათვის მისცემს მათ დიდსა და ვრცელსა ცხოვრებასა სასუფეველსა შინა თვისსა. ბარნა მღიდარნი და ბეღნიერნი კაცნი ამა სოფლისანი უნდა გრძნობდენ დიდსა შიშსა, როდესაც მას ესმის ეს სიტყვები: სარწმუნო იგი მცირესა ზედა მრავალსა ზედაც სარწმუნო არს, და რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, მრავალსა ზედაცა ცრუ არს. რისთვის? მისთვის, რომ მათგანაც მოითხოვს ლმერთი რომ სარწმუნო იყონ იგინი ლვთისა, ეტყვის რა შემაშინებელსა ამას სიტყვასა: უგეოთ საცრუისა ამას მამონასა არა სარწმუნო ექმენით, ჭეშმარიტი იგი გინ გარწმუნოს თქვენ. მამონა საღმრთო წერილში ნიშნავს სიმდიდრესა. სიცრუის მამონა არის ყოველი აქაური ქვეყნიური სიმდიდრე და დიდება. ცრუ, ანუ სიცრუის არის სიმდიდრე მისთვის, რომ იგი არის წუთი, მოღალატე, განხრწნილი, როგორადაც სხვანი ყველა ამ ქვეყნის ნივთნი. უკეთუ ამ სოფლის სიმდიდრეში მყოფი კაცი ლვთის სარწმუნოდ არ იქცევა, ესე იგი, სიმდიდრესა თვისსა არა ხმარობს ლვთის და მისი სახელის საღიდებლად, მაშინ ჭეშმარიტსა სიმდიდრესა, ესე იგი ზეციურსა სასუფეველსა ვინ მისცემს მას? უგეოთ საცრუისა ამას მამონასა სარწმუნო არა ექმენით, ჭეშმარიტი იგი გინ გარწმუნოს თქვენ?

ეს არის პირველი აზრი და სწავლა ზემოდ მოყვანილისა სიტყვებისა. ახლა გამოვიყვანოთ მეორე.

სარწმუნო იგი მცირესა ზედა, მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს; სოდო რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, მრავალსა ზედაცა ცრუ არს. აქეთგან გამოდის შემდგომი დარიგება: ყოველი გონიერი ქრისტიანე კაცი უნდა ასრულებდეს სარწმუნოდ, ესე იგი ბე-

ჯითად და პატიოსნად, არა თუ მხოლოდ დიდ-დიდთა თვისთა საქმეთა და მოვალეობათა, არამედ ყოველთა მცირეთაცა თვისთა საქმეთა და ვალდებულებათა.

შოველნი საქმენი კაცონი, თუ გინდ ხორციელნი, თუ გინდ სულიერნი, და მეტადრე და სახელდობ მისნი სულიერნი მოვალეობანი ორად განიყოფებიან. ზოგიერთნი მათგანნი არიან უპირველესნი და უსაჭიროესნი, ხოლო სხვანი მცირენი და წვრილნი. შეჭველია, რომ ყოველმა კეთილ-გონიერმა კაცმა უმთავრესი თვისი ყურადღება და მეცადინეობა უნდა მიაქციოს პირველთა ზედა. შინაპირველად და უბეჯითესად მან უნდა ის ეცადოს, რომ უმთავრესნი მცნებანი არ დაურჩეს აღუსრულებლად; გარნა ამასთანავე არ უნდა დაივიწყოს მცირედნიცა და წვრილნი თავისნი მოვალეობანი; დაუდევნელი არ უნდა იყოს მცირეთაცა შინა საქმეთა, ეს მისთვის, რომ მცირენი საქმენი და მოვალეობანი უფრო ხშირად შეემთხვევიან მას, ვიდრე მაღალნი და უმთავრესნი. შოველ დღე და ყოველ წამს კაცი აკეთებს რომელსამე თვისსა მცირესა საქმესა; ყოველ წამს იგი ასრულებს რომელსამე წვრილსა მოვალეობასა, და თუ კეთილად და სარწმუნოდ ასრულებს, იგი მიეჩვევა სისწორესა და ბეჯითობასა; გარნა თუ მცირეთა საქმეთა შინა კაცი მიეჩვია სიცრუესა და დაუდევნელობასა, დიდს საქმეში როგორლა შეიძლებს იგი ბეჯითობასა და სარწმუნოებასა? თუ ადვილთა, მსუბუქთა მოვალეობათა, რომელნი ყოველ წამს შეემთხვევიან მას, ცუდად ასრულებს, ძნელსა და მძიმესა მოვალეობასა როგორლა აღასრულებს კეთილად? რაცის მოქმედება და ხასიათი არ უნდა იყოს ჭრელი, არამედ ერთგვარი, იგი არ უნდა იყოს შერყეული, არამედ მტკიცე. შოველს საქმეს, დიდს და მცირეს ერთ ფერად და ერთი მიმართულებით უნდა ასრულებდეს. როგორადც მზე მთლად წყლის წვეთში გამოიხატება, ეგრეთვე შენის ზნეობის სახე გამოჩნდება თვით უმცირეს საქმეში. თუ ერთი გროშის საქმეში ატყუებ კაცს, ერთი მანეთის საქმეში ვინდა გენდობა შენ?

ამაზე უნდა ესეც დავუშატოთ: თუმცა ზემოდ ჩვენ ვსთქვით, რომელ ყოველი გონიერი კაცი უმეტესად იმას უნდა ცდი-

ლობდეს, რომ კეთილად აღასრულოს უდიდესნი და უპირველესნი თვისნი მოვალეობანი, გარნა თუ კარგად დავუკვირდებით, მივხვდებით, რომელ ყოველმა კაცმა უნდა იწყოს მცირე მოვალეობათაგან და მერმე გადავიდეს უდიდესთა მოვალეობათა ზედა. პირდა-პირ ვერც ერთი კაცი ვერ შეუდგება დიდთა საქმეთა, დამტოვებელი მცირეთა თვისთა საქმეთა და მოვალეობათა ყოველი საქმე იწყება, ესრეთ ვსთქვათ, ანბანიდგან. თუ ანბანი კარგად არ დაისწავლა ბავშმა, ვერც ერთს წიგნს ვერ წაიკითხავს იგი. ავხსნათ ეს მაგალითით. ლოცვა, ანუ ღვთის ვედრება არის ერთი დიდი ქრისტიანული მოვალეობა. ვგონებ, რომ ქრისტიანებ ვერ ვუწოდებთ იმ კაცს, რომლიც არაოდეს არ ლოცულობს, და ლოცვას უარ-ჰყოფს. ახლა ლოცვაში ჩვენ გვაქვს ჩვეულებად პირჯვრის წერა; პირჯვრის წერა მართალია არ არის უმთავრესი მოვალეობა, იგი არის მხოლოდ ერთი მცირედი კერძო ლოცვისა, მაშასადამე წვრილი მოვალეობა. შეიძლება კაცი პირჯვარს სულ არ იწერდეს, მაგრამ სული და გული ქონდეს ანთებული ლოცვითა. ისიც შეიძლება, რომ პირჯვარს ყოველ წამს იწერდეს, და გულში კი არ ქონდეს ლოცვის მადლი. გარნა შეგვიძლია პირ-და-პირ ვთქვათ, და ვგონებ, არავინ არ გაგვამტყუნებს ამაში. რომელ ვინც პირჯვარს იწერს დაუდევნელად, უგემურად, დაზარებით, იგი მით წაახდენს მთელსა თვისსა ლოცვასა.

დაუკვირდი რა სხვა და სხვა ფერად ასრულებენ ქრისტიანენი პირჯვრის წერასა, და იქითგან იმასაც შეიტყობ, როგორ ლოცულობენ იგინი. შეხედე ზოგიერთს, როგორი ურწმუნო და ცრუ არის მისი პირჯვრის წერა! ზოგი ნახევარ პირჯვარს იწერს, ზოგი ერთობ მოკლეს, თითქოს რცხვენია სრული ჯვარის გამოხატვა გულზე; ზოგიერთი პირჯვარს იწერს და იქით აქეთ იხედება, ანუ სხვას ელაპარაკება. ვინ დაიჯერებს, რომ ესრეთნი პირჯვრის მწერელნი მხურვალედ და ლმობიერად ლოცულობენ თავიანთს გულში? ახლა დაუკვირდი ზოგიერთი მდაბალი აღამიანის პირჯვრის წერას. იგინი ხშირად გვჯობნიან ჩვენ, მაღალთა და განათლებულთა პირთა აღსრულებასა შინა საღმრთოთა მოვალეობათა. დაუკვირდი რა მეცადინეობით, შიშით და კრძალვით შეამტკიცებენ იგინი სამთა თითთა, მაღლა აღმართავენ ხელთა თვისთა

და მტკიცედ დაბეჭდავენ შუბლსა, გულსა და მხართა ზედა
სახესა ჯვარისასა. უმხედველი ამისა უნებლივად იფიქრებს,
რომ საიდუმლო ლოცვაც მტკიცე და მხურვალე არის მათს
გულში. მარხვის შენახვა, ესე იგი საჭმლის გამოცვლა და
მოკლება ზოგიერთთა დღეთა შინა, ვსოდეთ, არ არის უპირ-
ველესი და უმთავრესი ქრისტიანული მოვალეობა, გარნა ვინც
სარწმუნო არის ამ მცირე მოვალეობაში, გულ-მოდგინედ მარ-
ხულობს და არა ფარისევლობით, ავად ხდება, მაგრამ მაინც
ითმენს: უეჭველია, რომ ის ამას მისთვის იქმს, რომაქვს დმერ-
თზე სარწმუნოება, სასოება, სურს სათნო ეყოს დმერთსა და
ცოდვა თვისი მოინანოს და სული აცხონოს. მაშასადანე ამ
მცირე მოვალეობის სარწმუნოდ ასრულება ცხად ჰყოფს, რომ
სარწმუნო არის სხვათაცა შინა დიდთა მოვალეობათა. ძიღვ-
ერთი უკანასკნელი მაგალითი. მოვიყვანოთ. მკლესიაში დუმი-
ლით და კრძალვით დგომა თუმცა არ არის უდიდესი და უმთა-
ვრესი მოვალეობა ქრისტიანეთა, გარნა თუ რომელსამე ქრისტი.
ანესა არ ახსოვს ეს მოვალეობა, ესე იგი, საყდარში ყოველ-
თვის იქცევა უკრძალველად, ხმა მაღლად ლაპარაკობს, წირვას არ
ისმენს, კითხვას და გალობას არ ისმენს, არაოდეს არ დავიჯე-
რებ, რომ იგი სხვათაცა ქრისტიანულთა მოვალეობათა ბეჭი-
თად და კეთილად ასრულებდეს. მრთხელ ერის კაცობასა შინა
ჩვენსა მოგვიხდა ჩვენ თბილისის ქალაქში, წირვის დროს, შესვ-
ლა საყდარსა შინა სომხებისა, და რაც ჩვენ მაშინ ვნახეთ, ის
არასოდეს არ დაგვავიწყდება. ტაძრის დასავლეთის მხრისკენ; მუნ,
სადაც არის ქალების ადგილი, მთელი იატაკი იყო მოფე-
ნილი ხალიჩებითა, მუთაქებითა და ბალიშებითა, ქალები ის-
ხდნენ ფეხ მოკეცილნი და ისე ხმა-მაღლად ლაპარაკობდენ
სუსველანი, თითქოს დარბაზში სხედან სამუსაიფოდ, და არა
საყდარში წირვას ისმენენო. სხვანიცა მუნ მყოფნი მამა-
კაცნი ხმა მაღლად ლაპარაკობდენ, ასე იფიქრებდი,
რომ შესაბაზობდებოდეს არა დასავლეთის ბაზარში. მაშინ
გასაოცარი და შესაწუხებელი იყო ამის ხილვა; მაშინ
ჩვენ მაღლობა შევწირეთ დმერთს, რომ ჩვენს მართლ-
მადიდებელს ეკკლესიაში ამის მხგავსი არაფერი არ გვინახავს.
გარნა ახლა კი სამწუხაროდ გვეშინის, რომელ შემცდარი არ

ვიყოთ ამაში. ზავიგონეთ ჩვენდა შესაწუხებლად, რომ თვით აქ, ამ საყდარში, აქაურნი შემომავალნი ქალნი ცისკარზე და მწუხრზე ღაჯდებიან და მთელს ლოცვას ლაპარაკში გაატარებენ. მერმე როდის? თვით ამ დიდ-მარხვის განმავალობაში. სარწმუნო იგი მცირესა ზედა, მრავალსა ზედაც სარწმუნო არს; ხოლო რომელი მცირესა ზედა ფრუ არს, მრავალსა ზედაცა ფრუ არს. თუ ამ მცირე საქმეში, ცისკრის მოსმენაში, სიცრუით იქცევიან იგინი, როგორდა დევიჯეროთ, რომ სხვათა დიდთა მოვალეობათა კეთილად და ბეჯითად აღარულებენ იგინი.

ამისთვის წინა-პირველად ვეცადოთ, ძმანო ჩემნო. შეწევნითა ღვთისათა, მცირე-მცირე საქმეთა და მოვალეობათა ჩვენთა სარწმუნოდ და კეთილად აღარულებას, და მერმედ, უთურდ, დიდთაცა და მაღალთა მოვალეობათა ავასრულებთ კეთილად. მაშინდა გვექმნება სასოება, რომელ შფალი გვეტყვის: გეთიდ მონათ, სახიერო და სარწმუნო, რამეთუ მცირესა ზედა სარწმუნო იყავ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ: შეგვად სიხარულსა უფლისა შენისა.

დასასრულ სიტყვისა ჩემისა, მოვიყვან ერთსა სიტყვასა შფლისასა, ვითარცა უმაღლესსა და უეჭველსა დამტკიცებასა იმ ჰაზრისასა, რომელ უმცირესი მცნების დაციწყებაც და დარღვევაც საშინელს ზარალს აძლევს კაცა: უკეთუ გინმე დახსნას ერთი მწნებათა ამათგანი უმცირესთა, და ასწავლს ესრეთ კაცია, უძლიერს ეწოდოს მას სასუფეგელსა ცათსა, ხოლო რომელმან ჭყას და ასწავლს, ამას დიდ ერქვას სასუფეგელსა ცათსა. (მათე. 5. 19). და კიდევ: უღველი სიტყვა უქმი, რომელსა იტყოდენ კაცნი მისცნენ სიტყვა მათთვის დღესა მას სასჯელისასა. მრთი უქმი სიტყვის თქმა რა დიდი უნდა იყოს, მაგრამ ამისთვისაც პასუხს მისცემს კაცი ღმერთს. ჩვენ კი, ვინ იცის და ვინ დათვლის, რაოდენ უქმს, უსარგებლო სიტყვას ვიტყვით ყოველს საათში, არა თუ ყოველ დღეს. რისთვის? მისთვის რომ არაფრად მიგვაჩნია ეს ცოდვა, მცირე ცოდვადაც არ მიგვაჩნია იგი. ამინ.

მესამე კვირიაპესა ლილისა მარხვისასა.

განმარტება სახარებისა მარკოზ. ც.

ლდ—ლპ.

შრთობ ლრმა არის და მრავალ აზროვანი და ფრიად საჭირო ყოველთა ქრისტიანეთათვის ღლევანდელი სახარება. ზანვინილოთ იგი მოკლედ და შევიტყოთ, რას გვასწავლის იგი ჩვენ.

„რომელსა უნდეს შემოდგომა ჩემდა, მოსვლა, უარ-ჰყავ თვისი და აღიღე ჯვარი თვისი და შემომიდევი მე“. ამ სიტყვებით, ძმანო ჩემნო, მაცხოვარი გვამცნევს ჩვენ, რომელ თუ ვისმეს სურს ნამდვილად მისი მოწაფე იყოს, მან თავი თვისი დაივიწყოს, თავის თავს არ ეფერებოდეს, არ ზოგავდეს, არ ებრალებოდეს თავი თვისი, თითქმის ისე უნდა ექცეოდეს თავის თავს, როგორც მტერს. ფიცხელია ეს მცნება პირველი შეხედულობით, გარნა მიუცილებელი ჩვენისა ცხოვრებისათვის! შიმისოთ კაცი ვერ შეიქმნება, როგორც მაცხოვარი ამბობს, მისი მოწაფე. შოველი კაცის გულში ბუდობს უზომო თავხედობა, ყოველ კაცს უყვარს თავის მოფერება. სოფლის კაცი, ცოდვილი, თითქმის ისე ეფერება თავის თავს და ყოველთა თვისთა ხორციელთა მოთხოვნილებათა ისე აკმაყოფილებს, როგორც დედა მის მკლავზე მჯდომარეს ჩჩვილს; დედასა არ შეუძლია რამეზე უარი უთხრას ჩჩვილს, ეშინია არ შეწუხდესო, არ იტიროსო. თითქმის მზგავსადვე იქცევა ყოველი ცოდვილი კაცი. თუ კაცის გულში გადიდებულია ამისთანა თავხედობა, მას სადღა შეუძლია ჯეროვნად შეიყვაროს ან ლმერთი, ან კაცი. იგი ყოველთვის მზად არის, თვისი მოყვასი შესწიროს თავის კმაყოფილებას, არა თუ თავი თვისი მოახმაროს მოყვასთა. აღ-

ვირ სასხმელად ესრეთისა ვნებისა მაცხოვარი გვასწავლის თავის უარის ყოფას: იგი მოითხოვს, რომ არა ჩვენთვის და ჩვენის ნებით ვსცხოვრობდეთ, არამედ ლეთისათვის და ლეთისა ნებით, და მოყვასთა სიყვარულით, და გვქონდეს თავი დადებული ყოვლისა კეთილისა საქმისათვის. თვითოეულმა ჩვენთაგანმა მოთმინებით უნდა აიღოს თვისი საკუთარი ჯვარი, ესე იგი ყოველი, რაც შეემთხვევა მას სიცოცხლეში: შრომა, ჭირი, უბედურება, ვითარცა თვით მაცხოვარმა აიღო თვისი ჯვარი, და ესრეთ შეუდგეს შრისტეს გზასა და კვალსა.

„რამეთუ რომელსა უნდეს სულისა თვისისა განრინება, წარწყმიდოს იგი და რომელმა წარწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, გინა სახარებისათვის, მან აცხოვნოს იგი.“ მს სიტყვები მომეტებულად მძიმე და ფიცხელი ეჩვენება კაცსა. ბუნების წინააღმდეგიაო, იფიქრებს სოფლის კაცი, სულის წაწყმედით სულის ცხონება როგორ შეიძლებაო. მაგრამ აქ ჩვენ ის უნდა გავიხსენოთ, ძმანო ჩემნო, რომ აწინდელი ჩვენი ბუნება და მასთანავე სული და ცხოვრებაც აღარ არის ბუნებითი, ესე იგი, ისეთი, როგორიც იგი გამოვიდა შემოქმედის ხელისაგან, როდესაც პდამ და მვა ცხოვრობდნენ სამოთხეში. მაცი რომ არ შემცდარიყო, ცოდვაში არ ჩავარდნილიყო, მაშინ მისთვის რა საჭირო იქმნებოდა თავის უარის ყოფა, მაშინ მას უნდა შეენახა, დაეცვა თავისი ბუნება და ყოველი ნიჭი ისე, როგორც ლმერთმა შეჰქმნა იგინი. მაგრამ ახლა, რადგანაც კაცის ბუნება არის დაცემული, წამხდარი, მან სწორედ უნდა უარპყოს, დაღუპოს მისი აწინდელი სული და მით აცხოვნოს იგი. თუ ახლა კაცი თავის თავს ეფერება, ამით იგი გააცოცხლებს თავის გულში ყოველსა ცოდვასა და ვნებას. ამისათვის მან უნდა დაღუპოს, წარწყმიდოს თვის შორის ყოველიცერი აწინდელი, წამხდარი თავისი თვისება და მით შეუძლია აცხონოს თავისი სული.

„რა სარგებელ არს კაცისა, უკეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი და სული თვისი იზღვიოს, ანუ რა მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა.“ მაცი ცოდვილი, გაუმაძლრად, სიხარბით ელტვის ყოველსა სოფლიურსა გემოვნებასა და კმაყოფილებასა. მას სურს მთელი სოფელი შეიძინოს, მთელი

ქვეყანა მისი იყოს, ანუ ესრეთ რომ ვსთქვათ, მთელი სოფელი თვის მუცელში შეუშვას; ცოდვილი კაცის ცხოვრება ამ ქვეყანაზე, როგორც წმიდა ღვთის-მეტყველი და მახარებელი ითანხმებოდა, სხვა არა რა არს, გარნა „გულის თქმა ხორცია და გულის თქმა თვალთა და სილალე ამის ცხოვრებისა. და ესე არა არს მამისაგან, არამედ სოფლისაგან არს“ (ითან. 2. 16). მაცი ცოდვილი არს სოფლის მონა, იგი არის გართული ამ სოფლის ამაოეპაში, იგი დღე და ღამე ეძიებს კმაყოფილებასა, მხიარულებასა, ნუგეშს, სიამოვნებასა; სული თვისი არ ახსოეს, მას მარტო ხორცი უყვარს და ხორციელი ცხოვრება. მაშასადამე მან პირ-და-პირ იზღვია, ესე იგი ანაცვალა თვისი სული სოფლის წუთსა სიამოვნებას. პხლა შენ თვითონ იფიქრე, ძმაო, რა უგნურება არის ამისთანა ცხოვრება. რა აქვს კაცს თავის სულზედ უძვირფასესი და უდიდესი? თავისი სული როგორ უნდა დაღუპოს სოფლისათვის, სოფლიური კმაყოფილებისათვის. თუ სულს დაღუპავს, რაღა დარჩება მას. რა მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა? მაშასადამე სოფელიც უნდა უარ-ვყოთ, ისიც უნდა მოვიძულოთ და განვაგდოთ ჩვენგან.

„რომელსა იგი სირცხვილეულ უჩნდეს ჩემი და სიტყვათა ჩემთა ნათესავსა ამას მემრუშესა და ცოდვილსა, მას ძემანცა კაცისამან არცხვინოს, ოდეს იგი მოვიდეს დიდებითა მამისა თვისისასა ანგელოზისათანა“. აქ მაცხოვარი გვიშლის ჩვენ მესამე დიდია ცოდვასა, კაცის მოფერებასა, კაცის სათნო ყოფასა. მს ის არის, როდესაც კაცი ცოდვილი მომეტებულად უყურებს, დიდს ფასს აძლევს სხვა კაცების აზრსა, ანუ ლაპარაკსა; ცდილობს სხვათა კაცთა დაემგზავსოს; ეშინიან, როდესაც სხვანი მას დასძრახავენ, ოუ გინდ კარგ საქმისათვის დასძრახონ. სოფლიური კაცის თვისება ის არის, რომ კაცის უფრო უშინია და რცხვენია, ვიდრე ღვთისა. ზოგჯერ კიდევ გაიგონებ ამითანა სიტყვებს: მე შენი ისე მეშინია, როგორც ღვთისაო, ახუ კიდევ: ქვეყანა ასე ცხოვრობსო და მეც ასე უნდა ვიცხოვრო, რას იტყვიან სხვანი ჩემზედაო, ქვეყანას ვერ დავიძღურებო. ამისთანა კაცი, სოფლის სათნო მყოფელი, სხვა კაცთა მიმხედველი, არა თუ ღვთის სათნო აღარ იქნება, არა-

შედ ხშირად კიდეც შერცხვება ღვთის სჯულისა, ქრისტეს ჯვარისა. ამისთანა კაცს კიდეც რომ ქონდეს სარწმუნოება, ხშირად დამალავს, ურწმუნოთა კაცთა შორის მყოფი, ოვისსა სარწმუნოებასა და კიდეც ილალვის ღვთის სჯულზე და სარწმუნოებაზედ. ამისთანა კაცსა „ძემანცა კაცისამან არცხვინოს, როდესაც მოვიდეს სუფევითა თვისითა“.

მაშასადამე, ძმაო ჩემო, თუ გსურს, რომ ღვთის კაცი იყო, ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფე, სამ-გვარი უარის ყოფა ალასრულე, სამი საგანი უარ-ჰყავ: შენი თავი, სოფელი და სხვანი კაცნი. შენ თავს ნუ ეფერები, ნუ მისდევ სოფელს, ნუ პირ-მოთნე იქნები სხვათა კაცთა, გარდა ღვთისა ნურავის ემონები. ძნელია ეს მცნება, მაგრამ უზომოდ მაინც ნუ გააღიდებ იმის სიძნელეს, როგორადაც იციან ზოგიერთთა სოფლის მონათა: ჩემი თავი უარ ვყაო, სოფელიც და სხვა კაცნი, მაშასადამე ცოცხალი უნდა დავწვე სამარეშიო. შინააღმდეგ ამისა შენ სწორედ მაშინ გაცოცხლდები ღვთისათვის, კეთილობისათვის, როდესაც შენ თავს უარ-ჰყოფ. სოფლის უარის ყოფა არ მოითხოვს, რომ თავი მოიკლა; სოფელში შეგიძლია იცხოვრო, გარნა სოფლის მონა ნუ იქნები, არც ის არის საჭირო, რომ ყოველ კაცსა გაეშორო, კაცთა შორის იცხოვრე, გარნა მათ ნუ დაემონები, მათი ნუ გრცხვენია ღვთის მსახურებასა შინა. და თუ ვისმეს ხედავ, ანუ იცნობ ღვთის მოშიშს, მართალს, ღვთის სასუფეველის მეძიებელს, იმას დაუახლოვდი, მაგრამ ნუ დაემონები, არამედ ბაძევდი მას; ხოლო მონა იყავ ერთისა მხოლოდ ღვთისა. ამინ.

მეოთხესა კვირიაკესა ღიღისა გარევისასა.

ხოლო თავადმან ჰრქვა მათ: ესე ნათესა-
ვი ვერ შესაძლებელ არს განსელად, გარნა
ლოცვითა და მარხვითა.

(მარკ. 9, 25.).

დღევანდელი სახარება მოგვითხრობს ჩვენ, ძმანო ქრის-
ტიანენო, რომ ერთხელ კაცმან ვინმემ მოუყვანა მოციქულთა
იესო ძრისტესთა თვისი შვილი, შეპყრობილი და გატანჯული
სულისაგან არა-წმინდისა და ევედრებოდა მათ, რათა განკურ-
ნონ იგი. ზარნა მოწაფეთა ვერ შესძლეს მისი განკურნება და
მოპგვარეს იგი უფალსა იესო ძრისტესა და მან ერთითა სიტ-
ყვითა განაძო არა-წმინდა სული მისგან. ზანკვირვებულთა მო-
ციქულთა ჰყითხეს უფალსა, რისთვის ვერ შესძლეს მათ გან-
დევნა სულისა მის არა-წმინდისა, და მაცხოვარმან უპასუხა მათ:
ნათესავთ ესე ვერ შესაძლებელ არს განსელად, გარნა ღოდესთა და
მარხვითა.

ამ პასუხით მაცხოვარი გვაჩვენებს, რა დიდი ძალა აქვს
მარხვასა და ლოცვასა. ზარნა არა თუ მხოლოდ სიტყვითა,
არამედ საქმითაც მაცხოვარი ხშირად აჩვენებდა, რომ დიდათ
საჭირო არის კაცისათვის ლოცვა და მარხვა. ზიცით ჩვენ სა-
ხარებისაგან, რომ პირველ ვიღრე იგი შეუდგა ქადაგებასა,
ორმეოცის დღის მარხვითა და ლოცვითა და მოამზადა თავი თვისი
დიდისა ამის საქმისათვის. აგრეთვე, როდესაც მან ვანიზრახა
ამორჩევა ათორმეტთა მოციქულთა, რომელთა მერმე მთელი
ქვეყანა გაანათლეს ქადაგებითა თავიანთითა, მრთელი დამე
ილოცა და მერმე გამოარჩია იგინი. მრავალ გზის მოიყვანს
კიდევ სახარება ამის მზგავსთა მაგალითთა. ხშირად მაცხოვა-

რი საღამოს დროს განეშორებოდა მოწაფეთა და უდაბნო აღ-
გილს, ანუ მაღალ მთაზე განატარებდა მთელს ღამესა ლოცვი-
თა. საკვირველი არის! რა საჭირო იყო მისთვის ლოცვა და
მარხვა? როდესაც ჩვენ, კაცი, ვლოცულობთ და ვიმარხავთ, ამას
ვიქმთ მისთვის, რომ ჩვენ ვართ ცოდვილნი და გვუსურს ლო-
ცვითა და მარხვითა გამოვითხოვოთ და ვთისაგან შენდობა და
მოწყალება, გარნა მაცხოვარი იყო უცოდველი, კაცობრივი
ბუნება მისი იყო შეერთებული და ვთისათანა. რაღა საჭირო
იყო მისთვის ლოცვა? სჩანს, რომ ერთობ რამე დიდი მნიშვ-
ნელობა და ძალი აქვს ლოცვას თავის თავად, და, უეჭველია,
ამისთვის თვითონაც ინუგეშებდა მაცხოვარი ლოცვითა და
ჩვენცა საკუთარითა თვისითა მაგალითითა შეგვაგონებს ლო-
ცვასა და მარხვასა.

მართალია, ლოცვას დიდი მნიშვნელობა და მაღლი აქვს
კაცის სულისათვის, ვიცით ჩვენ ყოველთა რა დაცემულია
კაცის ბუნება, რა სახით მიღრეკილია ყოველი ადამიანი ცო-
დვისადმი! ზარნა მის შორის მაინც სრულიად არაოდეს არ
განქარდება თესლი და ვთის მაღლისა და სიკეთისა. რაც გინდა
გაფუჭებული იყოს და წამხდარი რომელიმე კაცი, რაც გინდა
დაყრუებული იყოს მისი სინიდისი, მაინც არ შეიძლება არ
დარჩეს მის შორის რომელიმე კეთილი კერძო, რაოდენიმე
ნეშტი და ვთის ხატებისა და მზგავსებისა. ზარნა, სამწუხაროდ,
ამ კეთილს კერძოს ჩვენისა სულისა აუქმებენ და აყრუებენ
ცოდვანი, განსაცდელნი და სოფლის ბოროტებანი. შფალი
ჩვენი ცესო ძრისტე მისთვის მოვიდა ქვეყანაზედა, რათა გაა-
ცოცხლოს და აღამაღლოს ეს უმჯობესი და უკითილესი კერ-
ძო კაცის ბუნებისა, და ერთ უდიდესს საშუალობად ამ საგ-
ნისათვის გვიჩვენა ჩვენ ლოცვა და მარხვა. ლოცვა მარხვა-
თან შეერთებული, თუ კი იგი არის გული-წრფელი, გააღვი-
ძებს და გააცოცხლებს ყოველსა მას, რაიცა არის კაცის გულ-
ში და სულში კეთილი, წმინდა, პატიოსანი, და ვთიური, და
დათრგუნავს, მოსპობს ყოველსა ბოროტსა სურვილსა და მი-
დრეკილებასა. თვით ჟამსა მყუდრო, წრფელი ლოცვისასა. კა-
ცის გულში დადუმებულია უნებლივად ყოველი ვნება და ცო-
დვა, და თუ კაცი ხშირად განიმეორებს მხურვალებით ლოც-

ვასა, მაშინ სრულიად დაიძინებს და დაიმაღება მის შორის ცუდი სურვილი და ყოველი გულის თქმანი. როგორადაც გაზაფხულის მზე გაათბობს ჰაერსა, განსდევნის ნისლსა ზამთრისასა და გამოიხმობს მიწისაგან მცენარეთა, აღაყვავებს ხე-ხილსა, მზგავსადვე სითბო ლოცვისა დააღნობს და განსდევნის კაცის სულისაგან ნისლსა და სიბნელესა ცოდვისასა, გამოიხმობს მისი გულისაგან ყოველსა კეთილსა ჰაზრსა, და წმინდასა განზრახვასა.

მეორედ, გულ-წრფელი ლოცვა და მარხვა არის ნიშანი სიმდაბლისა და ლვთის მორჩილებისა. იგი მოასწავებს, რომ კაცმა იცნა თავი თვისი, მოიძულა ცოდვა, მოეწყინა მონება ხორცისა, დაიმდაბლა თავი თვისი. ქაცა ამპარტავანსა და თავეედსა არ შეუძლია გულ-წრფელად ილოცოს. ვიდრემდის კაცს არ გაუჩნდება გული შემუსვრილი, სული შემუსვრილი და დამდაბლებული, იგი ვერ დაემხობა ლვთის წინაშე სიმდაბლითა. იქნება მან პირჯვარი იწეროს, წირვა მოისმინოს, გარნა ჭეშმარიტის ლოცვის მაღლი მას არ გამოუცდია.

მესამედ, ჭეშმარიტი ლოცვა გაუჩენს კაცს გულში გამოუთქმელსა ნუგეშსა და სიხარულსა, ასე რომ კაცმან, რომელმან იგრძნო ტკბილი გემო ლოცვისა, ადვილად იტვირთებს ცხოვრების სიმძიმესა ქვეყნისასა. როდესაც დავით წინასწარმეტყველსა და მეფესა გაუჭირდებოდა ამ სოფლის ცხოვრება, გარემოადგებოდენ განსაცდელნი მრავალ-ფერნი, მაშინ სული მისი მიიქცეოდა ლვთისადმი და ლოცვაში რპონიდა ახალსა ნუგეშსა და ლონესა. ვათარცა სახუდ ჰერთან იარებსა წერ-როთა მაძარი, წერ-თასა, ეგრეთ სურის სულის ჩემსა შენდაშა, დმერთო. სწერუნი სულის ჩემსა და გვირთისა მიძარი ძღვირისა და ცხოველისა რდეს მე მივიღე და გეჩენია ჰირსა და გვირთისა (ფს. 41. 1—2). ვითაც მე მივრდომა სახლისა და გვირთისა ჩემისა, უფროს ვიდრენა დამგვიდრებად ჩემდა საერთოებსა ცოდვილოსა (ფს. 83, 10). რაი სპეს ჩემი წირთა შინა, და შენგან რა ვინებე ქვეყნისა ზედა? მოაქლდა გულის ჩემსა და ხორთა ჩემთა დმერთო, გულისა ჩემისა და ნაწილ ჩემდა არს დმერთო (ფს. 72, 25, 26). მაგრამ ვის შეუძლია მოიყვანოს ყოველნი მშვენიერნი სიტყვანი „დავითნითგან!“ ზაღვიდეთ ახლა სხვათა მშვენიერთა და სასურველთა თვისებათა ზედა ლოცვისათა.

მრთი კიდევ და იგივე უმაღლესი თვისება ლოცვისა ის არის, რომელ ლოცვასა შინა კაცი სდგას ლვთის წინაშე, ლოცვა არის პირ-და-პირი და ვიწრო კავშირი, შეერთება კაცის სულისა ლვთისათანა. ხშირად გვესმის ეს სიტყვა, რომ ლოცვა არის უბნობა ლმერთთან, გარნა მეშინის, რომ არა საკმაოდ განვიზრახავთ რა დიდი ჰაზრი არის ამ სიტყვებში. მარტო ლმერთი არს კეთილი, სახიერი, წმინდა; იგი არს წყარო, დასაბამი ყოვლისა სიცოცხლისა, ნეტარებისა, სიწმინდისა, გარეშე ლვთისა ყოველი ძნელია; უძლურება და სიკვდილი. ბულწრფელს ლოცვაში კაცის სული შეუერთდება ამ წყაროს, სვამს თვით წყაროთაგან ლვთაებრივსა სიკეთესა, მაღლისა მაცხოვარებისა. დიდი არის ეს საქმე! აი რაისათვის იტყოდა დავით მეფე: ვითარდა სახედ ჭიშრას ირემსა წეართოა მიმართ წეართსა, ეგრეთ სურის სუდსა ჩემსა შენდამი, დმერთო (ფს. 41, 1). წარმოიდგინე, რომ ერთი ვინმე სოფელში გაზრდილი კაცი, თუმცა ბუნებით კარგი კეთილი, გარნა უსწავლელი, სიჭყვა პასუხის, მიხვრა-მოხვრის უცოდნელი, დაუმეგობრდა ერთს მაღალ განათლებულს, ფრიად კეთილს კაცს, ყოველთვის მასთან ლაპარაკობს, მასთან დადის, უყურებს მისსა ყოფა-ქცევასა, ესმის მისი გონიერი და კეთილი უბნობა. შეჭველია, რომ იგი ამით მიიღებს დიდ სარგებლობას, ფერს, თვისებას გამოიცვლის, ამაღლდება, ჭკუას ისწავლის. ახლა იფიქრე რაოდენ უმაღლესი არის ლმერთი კაცზე! თუ ლმერთთან საუბარი ისწავლე, თუ ლმერთის პირის წინაშე ხშირად იქცევი, ესე იგი ლოცვითა და კეთილისა გრძნობითა, სული შენი განიწმინდება, ამაღლდება, ყოველივე რაიცა არის შენს შორის უკეთური, უწმინდური, ხენეში, დაჩჩივილდება, დადნება, შენ შეიქმნები კეთილი, კაცთ-მოყვარე, ლმობიერი.

სწორედ უბედური არის ის კაცი, რომელმან ლოცვა არ ისწავლა გულწრფელი, გულითადი, ლვთიური. ნუ ფიქრობ ვინმე, რომ იგი არის ჭეშმარიტი ქრისტიანე, პირველ ვიდრე მიეჩინა სახიერსა, ლვთიურსა ლოცვასა. მაგრამ მძიმე, და ძნელი საქმე ის არის, რომ ესრეთი ნაყოფიერი და მაღლიანი ლოცვა ათასში ერთმაარ იცის. შეეტესი ნაწილი კმაყოფილია გარეგნითა ლოცვითა, მიჩვეული არიან მხოლოდ გარეგანთა

წესთა და მოძრაობათა ლოცვისათა და ამასაც აასრულებენ უაზროდ და უნაყოფოდ. მათი ლოცვა იქვე გათავდება, საღაც გაათავებენ იმ გარეგანთა მოძრაობათა, მაშინ როდესაც კეშმარიტი ლოცვა უნდა გაჰყვეს კაცს, დარჩეს მის გულში და თანაუვიდოდეს, წინაუძლოდეს ყოველსა შინა მისსა ცხოვრებასა.

მარხვისათვის აქ ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადა განაც მრავალ-გზის გვითქვამს და აგვიხსნია მარხვის მნიშვნელობა. მხოლოდ იმას დაუმატებ, რომ ლოცვას და მარხვას დიდი და მაგარი კავშირი აქვს, ერთი მეორეს აამაღლებს, და-ამტკიცებს. აპა მიზეზი, რომლისათვის მაცხოვარი შეაერთებს ზემოდ მოყვანილ სიტყვებში მარხვას და ლოცვას და ორივეს სწორს მნიშვნელობას აძლევს. საღმრთო წერილიც ყოველ-გან ორივეს ერთად ახსენებს და აგრეთვე წმინდა მამანი. მა-შასადამე ერთი მათგანი არ იქნება საკმაოდ ნაყოფიერი, თუ მეორეც არ შეეწია. ამინ.

ს ი ტ ყ ვ ა

დიდ-მარხვის მეოთხესა ევირიაჩესა ზედა.

მიუგო წესი და რქვა: ჰოი ნათესავი ურწმუნო! ვიღრემდე ვიყო თქვენთანა? ვიღრემდე თავს ვიდებდე თქვენსა? (მარკ. 9, 19).

სახარება მხოლოდ სამგზის ახსენებს, ანუ მოგვითხრობს, ისრეთს შემთხვევას, როდესაც იქსო შრისტე განრისხდა, ანუ მდაბიურად რომ იტყვიან, გაჯავრდა, ანუ გული მოუვიდა. მრთი ამისთანა შემთხვევა არის აღწერილი დღეს წაკითხულ სახარებასა შინა. იქსო შრისტე განრისხდა მოწაფეთა თვისთა ზედა, რადგანაც ისინი შთავარდენ ისრეთსა სულ-მოკლეობასა და ურწმუნოებასა შინა, რომ ვერ განკურნეს მოყვანილი ერ-

თი ყრმა, შეპყრობილი სულისაგან არა-წმინდისა, მაშინ როდესაც მათ ჰქონდათ მაცხოვრისაგან მინიჭებული ძალი განკურნებად ესრეთთა სნეულთა, და კიდეც ბევრჯელ აუსრულებიათ ესრეთი სასწაული. ჭრა ნათესავა ურწმუნა! გიდრებდე ვაურ თქვენთან? ვადრებდე თავს ვადებდე თქვენსა? შთხრა მათ განრისხებულმა იქსო ძრისტემ.

განრისხება, ანუ გაჯავრება არის სამ ნაირი, ანუ სამ ხარისხოვანი, ზოგჯერ განრისხება არის სამართლიანი და სათნოიანი.

კანონიერი და სათნოიანი განრისხება იქნება მაშინ, როდესაც კაცი ჯავრობს სიმართლით, საფუძვლიანად და მძიმე მიზეზისა გამო, მაგალითებრ: როდესაც კაცი გაიგონებს ღვთის და მისი საღმრთო სჯულის გმობას, სარწმუნოებაზე დაცინებას და სხვათა ამისთანა საპატიოთა და მძიმეთა საგანთა ზედა. ვასიღე უგულის-ხმონი და დაჯსდნებადდი, რამეთუ სატყვანია შენია არა დაამარხნეს, იტყვის წინასწარმეტყველი ღვით, ესე იგი დავსდნებოდიო, ჯავრისაგან ვკვდებოდიო, როდესაც ვუყურებდი უგულის-ხმოთა, უგულურთა, რომელთაც არ ახსოვდათ სიტყვა ღვთისა. ანუ როდესაც კაცი სწუხს და ჯავრობს შემხედველი კაცისა განრყვნილისა, რომელიც თვითონაც უგზოუკვლიოდ სცხოვრობს და სხვებსაც აფუჭებს, ანუ დაინახავს კაცსა ბოროტსა, უსამართლოსა, რომელიც სტანჯავს მოყვასთა თვისთა, არლვევს ყოველსა ღვთისა და ხელმწიფის სჯულსა. შოველთა ესრეთთა შემთხვევათა და გარემოებათა შინა მრისხანება კაცისა არა თუ არ არის დასაძრახისი, არამედ დიახ პატიოსანი და ღვთის სათნოა. რისთვის? მისთვის, რომ ამისთანა მრისხანება წარმომდინარეობს წმინდა წყაროისაგან, იგი არის აღძრული სიმართლის სიყვარულისაგან, საღმრთო შურისაგან. იგი გამოაჩენს კაცის კეთილობას და არა ბოროტბას. მართლა, ხშირად მოხდება, რომ ვერც კი შეიტყობ რახასიათი აქვს ზოგიერთს კაცს, ვიღრემდის გული არ მოუვიდა და არ გაჯავრდა, და როდესაც გაჯავრდება, მაშინ მდაქციე ყურადღება, რაზე გაჯავრდა და რისთვის, და იქიდგან შეიიტყობ რა კაცია იგი: სიმართლის მოყვარე და გულწრფელი, თუ ერთი უსაფუძვლო და თავის-მოყარე კაცი.

მეორე ხარისხი ანუ სახე მრისხანებისა, თუმცა არ არის ეგოდენ წმინდა და სათნო, როგორც პირველი, მაგრამ დასაძრახისი და გასამტყუნარი არც ის არის. ქაცს ხშირად უნებლივად მოუვა გული და გაჯავრდება, როდესაც მას ვინმე ჩაგრავს ან სიტყვით ან საქმით. თუ ვინმემ ცილის წამება მოიგონა, ანუ უსამართლოთ უჩივლა, წაართვა რამე, არ შეუძლია მაშინ კაცს გული არ მოუვიდეს, არ გაჯავრდეს, არ დაიწყოს წუხილი და ჩივილი მისთვის, რომ ისიც კაცია, ადამიანი, ყველაფერს ვერ მოითმენს. მაგრამ ამისთანა შემთხვევაშიც, ესე იგი როდესაც შენ ვინმე გჩაგრავს, გემტერება, გული რომ მოგივიდეს და გაჯავრდე, მაინც ეცალე, რომ დააკავო შენი გრძნობა, გეშინოდეს, რომ არ წაგიტაცის შენმა გრძნობამ და ცოდვაშიც არ ჩაგავდოს. თუ იმ ზომად განრისხდი, რომ შურის ძიება დაიწყე სიტყვით ან საქმით, მაშინ შენც მას დაემზგავსები და შენი მრისხანება შეიქმნება ცოდვილი, ღვთის წინააღმდეგი.

ზოგჯერ მრისხანება არის სრულიად უსამართლო. იგი სხვა და სხვა ნაირად გაჩნდება. ზოგჯერ იგი ნამეტანს უგუნურებას გამოაჩენს კაცისას, მაგალითებრ: ხშირად მოხდება, რომ კაცი განრისხდება ცუდს ტაროსზედ, რა წყეული და შეჩვენებული დღეარისო! ამითი იგი აჩვენებს თავის საკუთარს მოუთმენელობას, უგუნურებას და სულ-მოკლეობას. შფრო ხშირად ვხედავთ, რომ კაცი გაცოფდება და განრისხდება პირუტყვზე. რამდენჯერ დაინახავ სოფელში, რომ გაჯავრებული გლეხი თავის საკუთარს საქონელს ჯოხით სცემს თავში, პირში, თვალებს გაუფუჭებს; უნებლივად იფიქრებ ამისთანა შემთხვევაში, რომ თვითონ ის კაციც პირუტყვია ჭკუით და გონებით, მაგრამ პირუტყვზე ლაპარაკი რა საჭიროა! ნეტავი კაცთან მაინც სიმართლით ვირჯებოდეთ და არ ვურისხდებოდეთ ერთი მეორეს უსაფუძლოდ! რამდენჯერ მოხდება, რომ კაცი თვითონ ვე გააფუჭებს რომელიმე საქმეს და ნაცვლად მისსა, რომ თავის თავს გაუჯავრდეს, იგი უჯავრდება თავის მოსამსახურეს, ანუ ხელ-ქვეითს კაცს. საულ მეფემ თავისი ცუდი ყოფა-ქცევით, ღვთის ურჩებით, შებლალა და დაჩირქა თვისი მეფობა, მაგრამ ბრალი გადაადგა უბრალო დავითს, იესეს შვილს და

იშეულ მისი დევნა და ყოველ ლონის-ძიებას ხმარობდა, რომ
მოეკლა იგი.

ცხადია, რომ ამისთანა უბრალო სხვაზედ მრისხანება წარ-
მოსდგება თავხედობისაგან და ამპარტავნებისაგან, და ოუ კა-
ცი არის თავმდაბალი და თავის უარის-მყოფელი, მაშინ იგი
ყოველ შემთხვევაში თავის თავს განიკითხავს და არა სხვას,
რომელიც და გვასწვლოს და მოგვცეს ჩვენ ყოველია მაცხო-
ვარმან. ამინ.

მოკლე სიტყვა

მეცუთესა კვირიაკესა ზედა დიდისა მარხვისასა.

რომელსა უნდეს დიდყოფად თქვენ
შორის, იყოს თქვენდა მსახურ; და რო-
მელსა უნდეს თქვენ შორის პირველ ყო-
ფად, იყოს ყოველთა მონა (მარკოზ. 10,
43, 44).

ორთა მოციქულთა იესო შრისტესთა იაკობ და იონემ,
როგორადაც მოგვითხრობს დღეს წაკითხული სახარება, ერთ-
ხელ სთხოვეს შფალსა, რათა მან დააჯდინოს ერთი მარჯვე-
ნით თვისა და ერთი მარცხენით: მომეც ჩვენ, რათა ერთი მარ-
ჯვენით და ერთი მარცხენით შენსა დაგსჯდეთ დადებისა შენსა. თუმ-
ცა შფალი იესო შრისტე მრავალ-გზის ეტყოდა მათ, რომ სა-
სუფეველი ლოტისა, რომელისა დამყარებად მოვიდა იგი ქვე-
ყანაზე, არის სულიერი და არა ხოციელი, მაგრამ მოწაფენი,
რადგანაც ჯერ არ იყვნენ განათლებულნი სულისა წმინდისა-
გან, მაინც ფიქრობდენ, რომ იესო შრისტე იქნება სოფლიუ-
რი მეფე, და ამისთვის იაკობ და იოანე თხოულობდენ, რომ
მისს მეფობაში იგინი გამხდარიყვნენ სუსველაზე უდიდესნი.
სხვათა მოციქულთა ეჭყინათ ესრეთი მათი თავხედობა და პა-

ჭივის მოყვარება და დაიწყეს მათზედ დრტვინვა. თვით შფალ-მან უპასუხა მათ: არ იქნო რასა იტუგით, და მერმე აღუხსნა მათ, რომელი იგინი არ უნდა დაემზგავსნენ წარმართთა, რო-მელთა შორის მთავარნი უფლებენ და დიდ-დიდნი ხელმწიფე-ბენ. არა ეგრა იყოს ოქეები შორის, დაუმატა მაცხოვარმან, არა-მედ რომელსა უნდეს, ოქეები შორის დიდ კოფა, იყოს ოქეების მსახურა; და რომელსა უნდეს თქვენ შორის, შირვედ კოფა, იყოს უოგელთა-მანა,

პატივის და მთავრობის მოყვარება ღრმად არის დანერგუ-ლი ბუნებასა შინაკაცისასა. თითქმის ყოველი ხორციელი კა-ცი ცდილობს, რომ რითიმე განასხვავოს და აღაშალდოს თავი თვისი მოყვასთა შორის, მიზიდოს ყურადღება კაცთა, მოი-პოვოს გავლენა და მთავრობა საზოგადოებასა შინა. არა თუ მხოლოდ ისეთნი პირნი, რომელნი მართლა შემკულ არიან სულიერითა და ხორციელითა ნიჭებითა, არამედ, რაიცა უმე-ტესად საკუირველია, ხშირად თეთი უნიჭონი და არა რაით შესანიშნავნი პირნი გამოჩნდებიან ერთობ პატივის მოყვარეებად და მთავრობის მეძიებლებად. ახლის სჯულის მდებელმან, შფალ-მან იქსო ქრისტემან, იცოდა რა ესრეთი კაცის თვისება, არ მოითხოვა და არ დადვა სჯულად, რომელ სრულიად მოისპოს და განქარდეს ეს თვისება კაცის ბუნებისა, არამედ მისცა მას სხვა მიმართულება, განსხვავებული სახით გვაჩვენა ჩვენ ძიება პატივისა და მთავრობისა: რომელსა უნდეს დიდ-კოფა ოქეები შორის, იყოს კოფელთა მსახურ; და რომელსა უნდეს შირვედ კოფა თქვენ შორის, იყოს კოფელთა მონა. წარმართნი პატივსა და მთავრობასა ეძიებდენ შიშით და ჭალადობით, და როდესაც მიიღებდენ პატივსა და მთავრობასა, მას ხშარობდენ ამპარტავანებით, ქვეშევრდომთა მათთა უყურებდენ, ვითარცა საქონელსა, ანუ ნივთსა, რომელნი მისცა მათ ღმერთშან შესაჭმელად მათდა. საუბედუროდ, ახლაც ქრისტიანეთა შორის ვხედავთ ზოგიერთთა მსგავსთა მაგალითთა. ახლაც იმ ქვეყნებთა შინა, სადაც ქრის-ტეს სჯული არ არის ღრმად დანერგული და წარმატებული, პატივსა და მთავრობასა ეძიებენ შიშით, მზაკვარებით და ხან ძალადობით. ახლაც ზოგიერთთა უმეცართა და გაუნათლე-ბელთა საზოგადოებათა შინა კაცს პატივს სცემენ იმ ზომად, რა

ზომად მას შეუძლია შეშინება და პოროტის მოქმედება, და არა
იმ ზომად, რა ზომად იგი არის კეთილი და კეთილის მყოფელი.

არა ესრედ უნდა იქცეოდენ ჭეშმარიტნი იქსო ქრისტეს მოწა-
ფენი. არ აღუკრძალავს მათ შფალი იქსო ქრისტე, რომ
ისურვონ და ეძიონ დიდ-ყოფა, ანუ პირველ-ყოფა ძმათა შო-
რის მათთა; გარნა ამას უნდა ეძიებდენ არა ძალადობითა, შე-
შინებითა და ბოროტის ყოფითა, არამედ სიყვარულითა, თავის
უარის ყოფითა და დამონებითა: რომელსა უნდეს, დიდ-ყოფა თქვენ
შორის, იყოს ყოველთა მსახური: და რომელსა უნდეს თქვენ შორის
შირველ ყოფა, იყოს ყოველთა მარა. სასუფეველსა შინა ღვთისასა,
რომელი დააფუძნა ქვეყანასა ზედა იქსო ქრისტემან, ყოველთა
უდიდესი და უპირველესი ის იქმნება, რომელიც ყოველთა
უმეტესად სამსახურსა და სარგებლობასა მისცემს მოყვასთა
თვისთა, და არა ის, რომელსა ყოველნი კაცნი ემონებიან და
ემსახურებიან. აპა გზა, რომელი გვაჩვენა ჩვენ მაცხოვარმან
დასაკმაყოფილებლად ბუნებითგანვე თანშობილისა პატივისა
და მთავრობის მოყვარებისა, რომელსაც გრძნობს კაცი თავის
გულში. ამ სახით პატივის ძიება დიალ სანატრელი და სასარ-
გებლო იქმნება ყოვლისა საზოგადოებისათვის.

ბვახსოვდეს ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, ეს ჭეშმარიტება.
შოველი სული ქრისტიანე უნდა ცდილობდეს, რომ ემსახუროს
მოყვასთა თვისთა რაოდენ ძალ-უძს და ამაში ხედვიდეს თვისსა
პატივისა და პირველობასა. მეტყვი: ათასში ერთს არ შეუძლია,
რომ არა თუ მთელ საზოგადოებას, არამედ მარტო თავის თავს
საკმაოდ ემსახუროს და დააკმაყოფილოს მარტო თვისნი საჭი-
როებანი. ამაზედ გიპასუხებ: არცერთი კაცი არ არის ქვეყანაზედ
რომელსა არ ჰყავდეს მახლობელნი ნათესავნი, შინაურნი პირ-
ნი, რომელნი მისგან შოელიან შემწეობასა. თუ სხვებს ვერ
ემსახურები, იმათ მაინც შეეწიე, იმათ ბედნიერებას მაინც ეცა-
დე; ბოლოს, თუ ისრეთი უსაშუალო და უღონო კაცი ხარ,
რომ ვერცა ერთსა მოყვასსა შენსა ვერ ემსახურები, და ვერ
შეეწევი, მარტო თავი შენი შეინახე კარგად. ისიც კარგი
იქმნება და საქები, როდესაც კაცი თავის თავს თვითონვე ყოვლი-
თურთ უშველის და სხვას არავის არ დაამჭიმებს და არ შეაწუ-

ხებს ქვეყანაზე. შოველიპირი ამას მაინც რომ იქმოდეს, თავის თავს კარგად, კეთილად შეინახავდეს და არავის არ შეაწუხებდეს, ისიც დიდი სიკეთე და ბედნიერება იქმნება საზოგადოებისათვის და ქვეყნისათვის. შკანასკნელ არის ერთი საქმე, რომელიც ყოველმა ქრისტიანე კაცმა უთუოდ უნდა აღასრულოს. დმერთმა შენ შთაგბერა, ძმაო ქრისტიანე, უკვდავი სული. იმოდენი ეცადე და იღვაწე, რომ ის უკვდავი შენი სული არ დაუკარგო შემოქმედსა შენსა, არმედ შთააბარო დღესა განკითხვისასა და მიიღო მისგან გვირგვინი ცხოვრებისა, სასუფეველი ცათა და ამით დააკმაყოფილო ბუნებითი პატივის მოყვარება სულისა შენისა. რა საცოდავია ზოგიერთი კაცი! შოველ ლონეს მოიხმარს, თავს არ დაზოგავს, რომ მიიღოს რამე ჯილდო, ნიშანი, ჯვარი ჩამოიკიდოს გულზე! და მით დააკმაყოფილოს თავის პატივ-მოყვარება. იმ საბრალომ დაივიწყა, რომ უმთავრესი და უზენაესი პატივი, პირველობა, მთავრობა იქ არის, იმ სოფელში, საუკუნო ცხოვრებაში, სასუფეველსა შინა დვთისა. იქ კაცნი მართალნი განათლდებიან, ვითარცა ვარსკვლავი, მათ მიეცემა გვირგვინი უბრწყინვალესი მზისა! მს ეძიე, ამაზე იფიქრე და იღვაწე! მაშინ მოგეცემა აღუშერელი პატივი, სასუფეველში შეხვალ, გამიფლები, რომელიც და მოგცეს ღმერთმა. ამინ.

მესუთისა კვირიაპესა ზედა დიდისა მარხვისასა.

რომელსა უნდეს დიდყოფად თქვენ შორის, იყოს თქვენდა მსახურ; და რომელსა უნდეს თქვენ-შორის პირველ ჰყოფად, იყოს ყოველთა მონა (მარკ. 10, 43, 49).

დღევანდელი სახარება, ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, გვაძლევს ერთობ საჭიროსა და სასარგებლოსა ყოვლისა კაცისათვის სწავლასა. სხვათა ცოდვათა და ვნებათა შორის, რომელნი ჩვევიან დაცემულსა ბუნებასა კაცისასა არის პატივის, ანუ უფროსობის სიყვარული, რომელსა მდაბიურად თავხედობა ეწოდება. ამ ვნებას შობიდგან ვიდრე სიკვდილამდე ემონება თითქმის ყოველი კაცი. რაც გინდა საწყალი, მდაბალი კაცი იყოს, არ შეიძლება, რომ არ უყვარდეს პატივი, არ იყოს თავხედი, არ ეძებდეს პირველობას ტოლთა შორის. მოციქულნი ქრისტესნი იყვნენ აღრჩეულნი მდაბალი წოდებისაგან, ყოველ დღესა ხედვიდენ სიმშვიდესა და სიმდაბლესა თავიანთის მოძღვრისასა, იესო ქრისტესა; გარნა მათ შორისაც ხშირად მოხდება ცილობა, თუ ვინ არის მათ შორის უპირველესი და უმჯობესი. მრთხელ იაკობ და იოანემ, როგორადაც თქმული არს დღევანდლელს სახარებაში, სთხოვს იესო ქრისტეს, რომ იგინი დააჯდინოს ერთი მარჯვენით და ერთი მარცხენით თვისსა სუფევასა შინა, ესე იგი მისცეს მათ უპირატესობა და უმთავრესობა. მს ეწყინათ სხვათა მოწაფეთა. მაშინ მაცხოვარმან აუხსნა და აჩვენა მათ და მთელსა ქვეყანასა, როგორ უნდა უყურებდეს ქრისტიანე კაცი პირველობასა და პატივსა, რით უნდა იყოს ქრისტიანე პირველი და დიდი ძმათა შორის თვისთა: რომელსა უნდეს დად ერთა თქვენ შორის, იყოს თქვენდა მსახურ.

შფალმან იესო ქრისტემან თვისისითა სწავლითა აღადგინა, შესცვალა, განაახლა ბუნება კაცისა. მს საქმე მან მოახდინა მით, რომ ყოველთა ბუნებრივთა თვისებათა კაცის სულისათა მისცა განსხვავებული, წმინდა, ღვთაებრივი მიმართულება; უჩვენა განსხვავებული, კეთილი, წმინდა მიზანი. პატივის, ანუ პირველობის მოყვარეობა არის ბუნებითი თვისება კაცისა; ორის წლის ყრმასაც, რომელსაც ჯერედ ენაც არა აქვს კარგად ადგმული, შეატყობ, რომ უყვარს თვისითა ტოლთა შორის პირველობა. ამა ბუნებითი გრძნობას, ანუ თვისებას, თუ ცუდი მიმართულება მიიღო, შეუძლია მოახდინოს აურაცხელნი ვნებანი და უბედურებანი. წარმართთა და ცოდვილთა კაცთა შორის, მთავარნი და დიდნი კაცნი უფლებდენ ყოველთა სხვათა კაცთა ზედა, ესე იგი დაიმონებდენ მათ, და ხმარობდენ თვისიდა სასარგემლოდ. არა უწევთა, რამეთუ რომელნი იგი გათებედ მთავრად წარმართთა, უფლებენ მათ ზედა და დად-დადნი მათნი ხელმწიფებენ მათ ზედა (მარკ. 19, 42). ღილ-კაცნი და მთავარნი წარმართთა შორის ესრეთ ფიქრობდნენ, რომ ღმერთმან მათთვის შეჰქმნა ქვეყანა და სხვანი კაცნი, ერთი სიტყვით, სჭამდენ მათ; ხოლო იესო ქრისტეს მოწაფეთა ქრისტიანეთა შორის არა ესრედ უნდა იყოს. ქრისტიანეთა შორის პირველი და დიდი კაცი ის არის, რომელიც სხვათა ემსახურება. ღილ-კაცნა და მთავრობა არა მოსვენება არის და განცხრო. მა, არამედ ტვირთი, შრომა და მოღვაწება. არა ქვეყანა უნდა ემსახურებოდეს მთავარსა და დიდ-კაცსა, არამედ უკანასკნელი უნდა ზრუნვიდეს და ემსახურებოდეს ქვეყანასა.

აპა, ძმაო, რა სახე და მიმართულება მისცა შფალმა იესო ქრისტემან ბუნებითსა ამას თვისებსა, ესე იგი, პატივის და მთავრობის მოყვარეობასა: ზიყვარსა პირველობა, პატივი? ზსურსა, რომ იყო დიდი კაცი ძმათა შორის შენთა? ვიცი, რომ გიყვარს და გიამება. აბა, ემსახურე ქვეყანასა, სარგებლობა რაიმე მიეცი სოფელსა, წინამძღვარი იყავი ერისა ყოველთა წმინდათა საქმეთა შინა და დაუშალე ყოველი ცუდი საქმე! თუ მთელ ქვეყანას ვერ ემსახურები, შენს სოფელში აასრულე ეს ქრისტიანული სათნოება. თუ ასრე მოიქცევი, უთუოდ ყოველი გონიერი კაცი პატივს გცემს, შეგიყვარებს,

გაქებს და ღმერთი, რასაკვირველია, იქნება შენი მოწყალე
და განმაღიღებელი. მრთი სიტყვით, ქრისტიანეთა შორის ის-
არის ღიღი კაცი საზოგადოებაში, ვინც ღიღის სამსახურს,
ღიღის სარგებლობას აჩვენებს საზოგადოებას. წინააღმდეგ ამი-
სა კაცი, რომელიც ღიღ-კაცობას და პატივს ხედავს მხოლოდ
ღიღ ჩინში, ანუ ხარისხში, მრავალ ჯვრებში, ჯილდოებში,
და სხვათა გარეგანთა ნიშანთა შინა პატივისათა, და უყვარს
ბრძანებლობა და უფლება, და მიღება გარეგანისა სამსახური-
სა, და ეძიებს მხოლოდ თვისსა სარგებლობასა, იმას აქვს წარ-
მართული და არა ქრისტიანული მიმართულება და ხასიათი.

გაიხსენე სახე და ქცევა თვათ უფალი იქსო შრისტესი.
მან ყოველს საქმეში, ყოველს ნაბიჯში მოგვცა სახე და მაგა-
ლითი. იგი ემსახურებოდა ქვეყანას: მოციქულთა ფეხი დაბა-
ნა, ჯვარცმა მიიღო ჩვენთვის, არავისგან მას არ მიუღია სარ-
გებლობა, ან პატივი. იგი მხოლოდ გვასწავლიდა სარწმუ-
ნოებას, ითხოვდა მიიღონ მისი სწავლა, მაგალითი და
სახე. ამასაც ითხოვდა არა თავისი საკუთარი ღიღებისათვის,
არამედ ჩვენისა ბეღნიერებისა და წარმატებისათვის, რადგან
პირ-და-პირი ჩვენი ბეღნიერება და წარმატება იმაზედ არის
დამოკიდებული, რომ ვიყოთ შეძლებისა-გვარად მისი მზგავსნი,
რომელიც და მოგვანიჭოს ღმერთმან. ამინ.

ბზობის პვირიაკესა ზედა.

და ვითარცა მიეახლა, იხილა ქალაქი
იგი და სტიროდა მას ზედა და იტყოდა,
ვითარმედ უკეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას
მშეგიდობად შენდა! ხოლო აწ დაეფარა
თვალთაგან შენთა. (ლუკა. 19. 41. 42).

შესვლა შფალსა იესო შრისტესი იერუსალიმს, რომელსა
აწ ვდღესასწაულობთ, იყო ერთობ დიდებული და სადღესას-
წაულო. მთელი ქალაქის მცხოვრებნი მიეგებნენ მას, ვითარ-
ცა მიეგებებიან დიდებულსა და ძლევა. შემოსილსა მეფესა,
ხის შტოებითა, ღაღადებითა ასნა მაღალთა შინა! და ზოგნი
ტანისამოსსაც დაუფენდენ გზაზედ. მსრედ ითიქრებდა კაცი,
რომ იერუსალიმმა იცნო და ირწმუნა იესო შრისტე გარნა,
განსაცვიფრებლად, შფალი არა მიეცა სიხარულსა და ნუგეშ-
სა, არამედ როდესაც მაღალი გორიოგან დაინახა მთელი იე-
რუსალიმი, ტიროდა და იტყოდა: უკეთუმცა გაწნა შენ დღესა
ამას მშეგიდობად შენდა! ხოლო აწ დაეჭარა თგალთაგან შენთა.
რა იყო მიზეზი მისი მწუხარებისა და ტირილისა? ის, რომ
მან, ვითარცა გულ-მეცნიერმან, იცოდა, რომ ამ მიგებებას,
აღტაცებას და სიხარულს არა აქვს კეთილი საფუძველი; იცო-
და, რომ ურიანი მალე დაივიწყებდენ ამ სიხარულსა, და შემ-
დგომად სამისა დღისა ნაცვლად ოსანნა მაღალთა შინა! იწყებენ
ყვირილსა; ჯვარს აწ გვე! ამასთანავე მაცხოვარმან, ვითარცა
ყოვლის მეცნიერმან და წინა-მხედველმან, იცოდა, რომ დიდი
ესე ქალაქი მცირე უამისა მერმე იქმნება აოხრებული, და ერი
ესე ამოწყეეტილი და დაფანტული. ამისთვის ტიროდა იგი!
მწუხარებას კაცისას და მეტადრე ტირილსა დიდი მნიშვ-

ნელობა აქვს, ძმანო ქრისტიანები! იგი უნებლივად გამოხატავს კაცის თვისებას და ხასიათსა. როგორიც გული გაქვს, ძმაო, შენ, მწუხარებაც ისეთი გექმნება. მწუხარება და ცრემლი კაცისა გამოაჩენს ხანდისხან, რომ იგი არ არის მხნე, მამაცი, არამედ სუსტი და სულმოკლე. პაცი სუსტი, სულ მოკლე და უხასიათო ყოველი მცირე მიზეზისა გამო ტირის, ვითარცა დედა-კაცი. ხანდისხან მწუხარება მოასწავებს ცუდს გუნებას, ხასიათს. იქმნება შენ ხშირად შეწუხდი და თითქმის იტირე მისთვის, რომ შურიანი ხარ და გეწყინა რომელიმე შენი მოყვრის წარმატება და წინ-წასვლა. შურიანი კაცი იტანჯება და განიხერხება გულითა, როდესაც ხედავს სხვის ბეღნიერებას და წარმატებას, და თუ ამასთანავე ნამეტანი პატივის მოყვარეც არის და თავხედი, კვდება ჯავრით, თუ ვინ-მე წინ დაუდგა, ანუ ადრე ჯილდო არ მისცეს, და სხვა კი დააჯილდოვეს. მას მარტო თავისი თავი ახსოვს და თავისთვის უნდა ყოველივე სიკეთე. საუბედუროდ ამისთანა სენი და ვნება არის უმეტესად გავრცელებული სწავლულთა შორის და სამსახურთა შინა მყოფთა ჩინოვნიკთა, ვითარცა სამოქალაქოთა და სამხედროთა, ეგრეთვე, სამწუხაროდ და სასირცხოდ, უმეტესად ჩვენის, ესე იგი სასულიერო წოდების კაცთა შორის. ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ უეჭველია, რომელ მრავალი ზემოხსენებულთაგანნი სახელმწიფო მოსამსახურენი, დიდ ხარისხში და ჰასაკში მყოფნი, სტირიან ხშირად შურიან გამო, მხედველნი მოყვასთა და ამხანაგთა მათთა წინ-წასულთა და უმეტესად დაჯილდოვებულთა. ცხადია, რომ, ამისთანა მწუხარება და სულ მოკლეობა გამოაჩენს შურს, ხარბს, ამპარტავანს ხასიათს კაცისას.

ხშირად და არა ნაკლებად სწუხს კაცი და სტირის ანგაარებისაგან და სიხარბისაგან. ანგაარს და გაუმაძლარს კაცს, თუ ყოველ დღე არ ემატება სიმდიდრე, სწუხს, და თუ ნაცვლად მოგებისა კიდეც რამე მოაკლდა, ანუ ზარალი მიეცა, — სულ იტან-ჯება და სტირის, არა-მიმხედველი მისა, რომ მაინც მდიდარია, კიდევ ბევრი დარჩა. მრავალი პირი გამოაჩენს ბავშურსა სულ მოკლეობას სწეულობაშიც ანუ სხვა რაიმე მწუხარებასა შინა.

არა ესრეთი იყო შფლის იქსო მრისტეს მწუხარება და ცრემლი. მისი მწუხარება და ცრემლი გამოხატავს მისსა და თავისა გულსა და სიყვარულსა. იგი სტიროდა სხვისა მწუხარებასა და არა თავისა თვისისასა, მაშასადამე, ზოგჯერ მწუხარება გამოაჩენს კაცის კეთილშობილურსა გულსა და ხასიათსა, მისსა სიყვარულსა და თავის უარის-ყოფასა. მაცხოვარი სტიროდა მისთვის, რომ ურიანი იყვნენ დაბრმავებულნი, არ იცნეს დღე თავიანთისა მშვიდობისა, არ იცნეს, რომ იგი მოვიდა მათის გამოხსნისათვის და ცხონებისათვის, და არ მიიღეს მისგან ბეღნიერება და კურთხევა, რომლისა მიზეზისათვის მათ მოელოდა და ლევისაგან სასჯელი და უბედურება.

ჩვენც ხშირად ვწუხვართ, ძმანო, და ვსტირით. გარნა ჩვენი მწუხარება და ტირილი უმეტეს ნაწილად გამოაჩენს, რომ ჩვენ არ გვაქვს ხასიათი კეთილი, მაღალი, არამედ ავი და მდაბიო. ჩვენ ვწუხვართ ხშირად ჩვენი თავისა და არ სხვისათვის, რამდენჯერ გაგიგონია შენ, კიდეც გინახავს, რომ ესე და ეს პატიოსნი კაცი ჩავარდა საშინელ უბედურებაში, ანუ საუკუნოდ დასნეულდა, ანუ დაეკარგა ყოველივე ქონება, ლუკმა პური აღარა აქვს. ამ გაგონებით შენ იქმნება სრულიად არ შეწუხდი, ან იქმნება შეწუხდი პირ-მოთნეობით, და თუ უკმაყოფილება ჰქონდა შენთან იმ კაცსა, კიდეც გაგიხარდა გულში. რამდენს უბედურებას ხედავ გარემოს შენსა, რამდენი კაცი იჩაგრება, რამოდენი შენი მოყვასთაგანი არის უმართლოდ დევნული, რამდენი კაცი მშიერი, რამდენი იღუპება უმეცრებით და ცოდვით. მს ყოველი შენ უნდა გაწუხებდეს, თითქმის უნდა სტიროდე და საკუთარი შენი ლუკმა პური აღარ გიამოს. მაგრამ რას ვხედავ? თუ შენ კარგად ხარ დაკმაყოფილებული, მაინც და მაინც თავს არ შეიწუხებ, და თუ თვით შენ რამე მწუხარება გეწია, სტირი. ზარნა უმეტესად სწუხარ და სტირი, როგორც ზემოდ ვსტკვით, ცუდი და მდაბიო მიზეზისაგან, ასე რომ თვით იგი მწუხარება შენი გამტყუნებს შენ, ცოდვას გიმატებს, შენს ცუდს ხასიათს და მიმართულებას გამოხატავს.

ზარნა აქ მე უნდა გაჩვენო თქვენ, ძმანო ჩემნო, ერთნაირი მწუხარება და ტირილი, რომელიც მარტო ჩვენს ქვეყა-

ნაში მოხდება ხშირად, და ერთობ მდაბიო, საძრახისი და ავი არის, და ავსა ხასიათსა გამოხატავს, და დითქმის ერთობ სა-სირცხო და გასაკიცხავი არის ჩვენთვის. მე ვამბობ აქ იმ ტი-რილზე, რომელსაც ასრულებენ ჩვენს ქვეყანაში მიცვალებუ-ლებზედ განსხვავებული სახით და წესით. მწუხარება და ცრემ-ლი კაცისა ერთობ ძვირფასი რამე არის; ბოროტად არ უნ-და ხმარობდეს მას კაცი, ცოდვად არ უნდა გადააჭიოს კაც-მა ცრემლის ფრქვევა. სახარება კიდევ ახსენებს ერთს გარე-მოებას, რომელსა შინა შფალი იქსო ძრისტე სტიროდა. მს იყო ლაზარეს საფლავზე. ლაზარე ძლიერ უყვარდა შფალსა იქსო ძრისტეს, იგი იყო მისი მეგობარი და როდესაც დაინა-ხა მწარედ მტირალნი მისნი დანი მართა და მარიამი და სხვა-ნი, თვითონაც შეწუხდა და ცრემლი გადმოჰყარა. მაშასადამე მიცვალებულზე ტირილი არ არის დასაძრახისი რაიმე, მაგრამ მაშინ, როდესაც იგი არის ბუნებითი, პირუთვნელი, როდე-საც, ერთისიტყვით, მომდინარეობს ღრმა მწუხარებისაგან. რა-საკვირველია, როდესაც მიცვალებულზე სტირიან მისი მა-ხლობელნი ნათესავნი, ცოლი, შვილი, დედა, ძმა, მათ ვინ გაამტყუნებს, მათ არ შეუძლიათ არ იტირონ; კიდეც სჯობია, რომ იტირონ, ამისთვის რომ ცრემლით ინელებენ თავიანთს მწუხარებას. გარნა რა ზომად სასირცხო და გასაკიცხავი არის, როდესაც კაცი სტირის ერთისა მხოლოდ ჩვეულებისა აღსა-სრულებლად, სტირის ფარისევლობით, მოჩვენებით! რამდენ-ჯერ მოხდება, რომ ზოგიერთი არც კი იცნობდა იმ კაცს, რომელზედაც სტირის, იქმნება არც კი ეწყინა მისი სიკვდი-ლი, მაგრამ განგებ, ძალად სტირის. ზოგჯერ ბევრ ღვინოს დალევს მომტირალი, ცრემლი მომივიდესო. შეძველია ამის-თანა ფარისევლური, პირ-მოთნეობითი ტირილი აფუჭებს ხა-სიათსა კაცისასა. შენიშნულია, რომ ჩვენს ქვეყანაში მცხოვ-რებნი ერთობ მიჩვეულნი არიან ფარისევლობას, პირ-მოთნე-ობას, მოტყუებას და მლიქენელობას, და უთუოდ ამისა მიზე-ზი არის ის ურიგო, ჩვენებური ტირილი. ამისთვის მე მრა-ვალ გზის მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რომ დიდი ზნეობითი ვნება წარმოსდგება ჩვენებურს მიცვალებულებზე ტირილისა-გან და იგი აფუჭებს ჩვენს ხასიათს.

დასასრულ სიტყვისა ჩემისა გიჩვენებთ, ძმანო ქრისტიანები, რომელი ტირილი და მწუხარება არის ყველაზე უმჯობესი, და სათნო და სასარგებლო სულისა შენისათვის! მა არის მწუხარება ცოდვისათვის, ცრემლი სინანულისა, ცრემლი და და წინაშე, ლოცვაში. თუ დმერთმა და მისმა შმინდა სულის მადლმან მოგცა და გააჩინა შენს შორის სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი და დამდაბლებული, ვითარცა ოდესმე შორის დავით მეფისა, ასე, რომ შენ მიეჩივ ხანდისხან მაინც, საიდუმლოდ წინაშე და და ლრმა მწუხარებით ლოცვასა, მახლობელ ხარ ცხონებისადმი. რამდენ გზის შემხედველი მრავლისა ცრემლისა, რომელსა უსარგებლოდ აფრქვევენ ჩვენებურნი კაცნი მიცვალებულის კუბოზე, მწუხარებით ვიფიქრე ჩემს გულში: ნეტავი მათის საკუთარის სულის საოხად ამდენ ცრემლს იპოვნიდენ საწყლები! ამინ.

მოკლე სიტყვა დიდ-ხუთშაბათს.

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! აწინდელსა დღესა, დიდსა ხუთშაბათსა, თითქმის საჭიროც არ არის და ნამეტანი იქმნება ჩვენი მხრითგან თქმა ქადაგებისა. პირველად მისთვის, რომ დღეს თვით მაცხოვარი ჩვენი იესო ძრისტე გვაძლევს სახარებისაგან დიდსა და ვრცელსა დარიგებასა, მეორედ, ძნელია დღეს ქადაგების თქმა: მქადაგებელმა არ იცის რა საგანზე იწყოს დღეს უბნობა, რომელი სიტყვა მაცხოვრისა, დღეს თქმული, ანუ რომელი საქმე მისი, დღეს აღსრულებული აღიღოს საგნად ქადაგებისა; ისე მრავალნი არიან სიტყვანი, დღეს მისგან თქმულნი, და საქმენი, მისგან შესასრულებელნი. ნაცვლად ჩვენისა სიტყვისა თქვენი მხრითგან არის დღეს საჭირო მომატებული გულის ხმის ყოფით. სმენა და ხედვა ყოვლისა, რაიცა წაიკითხება და აღსრულდება დღეს საყდარში. მორწმუნე ქრისტიანე ყოველთვის სასოებით და ერთგულად უნდა სდგეს და ისმენდეს საყდარში, გარნა.

დღეს მომატებულის გრძნობით უნდა სდგეს იგი აქა. დღეს დაასრულა მაცხოვარმან საფუძველი პხლისა პლთქმისა, დღეს მისცა მან მოწაფეთა თვისთა უკანასკნელნი თვისნი დიდნი მცნებანი და სწავლანი, ოდეს დააწესა მან უმთავრესი ქრისტიანული საიდუმლო ზიარებისა, დღეს მისცა მათ უმაღლესი სახე და მაგალითი ქრისტიანულისა სიმდაბლისა და სიყვარულისა, დაბანა რა ფერხნი მათნი. ერთი სიტყვით, როგორადაც აღდგომა ქრისტესი არის დაგვირგვინება მისისა საქმისა და ჩვენისა სჯულისა, მზგავსადვე დღევანდელი დღე იყო შევსება და დასრულება მისისა სჯულის დებისა. ამას ყოველსა დღეს შენ, ძმაო ქრისტიანე, უნდა იხსენებდე განსხვავებულითა გრძნობითა და სასოებითა. დღეს შეგეტყობა შენ გიყვარსა მაცხოვარი შენი, და რა ზომად გიყვარს იგი. პხლა მაინც, ამ ერთ დღეს, დაივიწყე სოფელი და ყოველი მისი ამაოება. ამ დღეებში შენ განუშორებელად სულითა და გულითა უნდა იყო მაცხოვართან და ეზიარო მისსა ჯვარსა და ვნებასა.

ნეტარ არს კაცი იგი, რომელსა ღმერთმან მისცა ესრეთი გულითადი გრძნობა! ნეტარ ხარ შენ, თუ ახლა მაინც არ მოშორდები მაცხოვარსა შენსა, გაჰყვები მას, მიმავალსა ვნებად, დაესწრები მის პასუხის გებასა, ეზიარები მისსა ტანჯვასა, მოესმარები მას, მზგავსად სვიმეონ კვირინელისა, ჯვარისა ზიდვაში, ახვალ მასთან მთასა ზედა გოლგოთასა, დადგები წინაშე ჯვარისა მისისა, საყვარელისა მისისა დედისა მარიამისა და მოწაფისა მისისა ითანეს თანა, მოისმენ და დაიბეჭდავ გულში უკანასკნელთა მისთა სიტყვათა, და ამ სახით შენცა ჯვარს ეცმები მასთან. ნეტარ ხარ შენ, თუ გაქვს ესრეთი გრძნობა და სასოება! იგინი იმ ზომად დაატკბობენ გულსა შენსა, რომელ მასთან ყოველი სოფლიური გრძნობა და გემოვნება ვითარცა მტვერი და ნაცარი. მოგვეცინ ჩვენ, ღმერთო, კეთილი გრძნობა და სასოება. ამინ.

გოკლე სფავლა დიდ-ხუთშაბათს

ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

ვგონებ, რომელ განმავალობასა შინა მთელი წელიწადისა სა არ იპოვება არც ერთი დღე იმ ზომად საღმრთო, წმინდა, მალლ, აღსავსე სულიერითა აღშენებითა, სხვადასხვა მაგალითითა, ვითარცა დღე ესე დიდისა ხუთშაბათისა. ამ დღეს დააგვირგვინა მაცხოვარმა ყოველნი თვისნი სწავლანი უშვენიერესითა მით და უტკბილესითა სიტყვებითა, რომლითა ნუგეში სცა მოციქულთა, გამოეთხოვებოდა საყვარელთა თვისთა ათორმეტთა მეგობართა და მოწაფეთა. რა ზომ ტკბილ არიან და ლმობიერად მომყვანებელ უკანასკნელნი სიტყვანი მაცხოვრისა, როდესაც იგი გამოეთხოვებოდა მოციქულთა თვისთა უწინარეს თვისისა ვხებისა და ჯვარცმისა, რა ზომად ამაღლებულ და ვრცელ, როგორც თვით ცად! უკანასკნელი მისი ლოცვა ზეციერისა მიმართ მამისა მისისა, რომელსა შინა მან თვისნი საყვარელნი მოციქულნი და მოწაფენი გადასცა და მიანდო მფარველობასა მამისა თვისისა, და რომელსა შინა იგი ევედრებოდა მამასა არა თუ მხოლოდ წინა-მჯდომარეთა მოწაფეთა თვისთა თვის, არამედ ყოველთა მათთვის, რომელნი მიიღებენ და ირწმუნებენ ქადაგებასა მისსა: და არა ამათთვის ხოლო გქითხავ, არამედ უფეხლთათვის, რომელთა რწმუნენ სიტყვითა მათთა ჩემდა მომართ, (იოანე 17, 20). ამას ენა კაცის ვერ გამოთქვამს, მხოლოდ შეუძლია იგრძნოს გულმა მორწმუნისა კაცისამან. დღეს საიდუმლოსა სერობასა ზედა დაათუნდნა მაცხოვარმა უმთავრესი და უმაღლესი საიდუმლო ჩვენისა სარწმუნოებისა, მეტყველმან: სჭამეთ, ესე არს ხოლცი ჩემი; სჭით ამისაგან უფეხლთა, ესე არს სისხლი ჩემი, – ის საიდუმლო, რომელიც თუ სასოებით და ღირსებით იქმნა მიღებული, გამოსცვლის ბუნებასა კაცისასა, და ისე, როგორადაც ველური ტყის ხეხილი მომცემელი მწარისა

ნაყოფისა, როდესაც დაამყნევებ მას შინაურსა ზედა ტკბილსა ნაყოფსა. დღეს საიდუმლოსა სერობასა ზედა თვით საქმით მისცა მან მოწაფეთა თვისთა სახე და მაგალითი იმ სიმდაბლისა და სიყვარულისა, რომელსაც მარადის ასწავლიდა სიტყვით, დაბანა რა ფერხნი მოწაფეთა თვისთა საკუთარითა თვისითა ხელითა. ბოლოს, დღეს ბევსამანიის ვენახში ჰქმნა დასაწყისი ცხოველ-მყოფელისა თვისისა ვნებისა, ვინაითგან დღეს იქმნა იგი გაცემულ იუდასაგან და წარდგენილ წინაშე მსაჯულთა უსჯულოთა.

შოველ ზემოთქმულთა სწავლათა, სახეთა, მაგალითთა და მოქმედებათა შფლისათა, დღეს წმიდა ეკკლესია გამოხატავს წაკითხვითა, გალობითა, ლოცვებითა, წესებითა საუწყებელად თქვენდა, ძმანო მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო! მორწმუნე ქრისტიანე ყოველთვის უნდა გულის გრძნობით ისმენდეს ეკკლესიურთა ლოცვათა და წესის აღსრულებათა, გარნა დღეს მომეტებულითა გრძნობითა და ლმობიერებითა. გრძნობა, ანუ კაცის გულის მოძრაობა მართავს მისსა ცხოვრებასა და საქმეთა. ჰკუასა და მეცნიერნბასა ისე არა ემორჩილება კაცი, როგორადაც გულის წადილს და გრძნობასა. მაშასადამე, მოამზადე, დააწყვე გულისა შენისა ჭურჭელი იმ სახით, რომ აწინდელი დღის ეკკლესიასა შინა მოსმენილთა და ნახულთა, წაკითხულთა და აღსრულებულთა გაათბონ გული შენი, მოგიყვანონ ცრემლი, მოგცენ ნუგეში და ლმობიერება, დატოვონ შენს გულში აღმოუხოცელი კვალი, რომელიც და ქმნას ღმერთმან. ამინ.

დიდ-პარასკევის ჯვარცმის გარდამოსსნასა ზედა.

დმერთო ჩემო, დმერთო ჩემო! რასა-
რვის დამიტევებ მე? (მათე, 24, 46).

დღეს თვალნი ყოველთა ქრისტიანეთანი მიქცეულ არიან
ბოლგოთის მთისკენ და გულნი მორწმუნეთანი აღსავსე მიზ;
რაიცა მოხდა მას ზედა. მივაჭრიოთ ჩვენცა; ძმანო ქრისტია-
ნენო, თვალნი იმ მთისკენ, საიდამაც ისმის საშინელი ესე ხმა
მწუხარებისა: დმერთო ჩემო, დმერთო ჩემო! რაისათვის დამიტევებ
მე? რას და ვის დავინახავთ ჩვენ იქა? დავინახავთ შფალსა იე-
სო ქრისტესა: ა) ულრმესსა, საშინელსა დამდაბლებასა და შე-
ურაცხყოფასა შინა. შეხედეთ: უფალი ჩეენი და მაცხოვარი
ჩამოკიდებულია ჯვარზე. ვინ იყო უმახლობელესი მიზეზი
ამისა? მისი საკუთარი მოწაფე. იუდამ გასცა იგი! მტერიც
არ უნდა გამოიმეტოს კაცმა ამ სახით, და აქ საკუთარი მოწა-
ფე და მოციქული, ახალ ნაზიარები ხელისაგან შფლისა ამბო-
რის ყოფით გასცემს მას! ბ) მაცხოვარი ჰკიდია ჯვარზე, და-
ტოვებული, დაგდებული ყოველთა თვისთა უმახლობელესთა
მოციქულთა და მოწაფეთაგან. რაც გინდა ლარიბი და საწყა-
ლი იყოს ქვეყანაზე კაცი, როდესაც ჩავარდება რაიმე უბედუ-
რებაში, იგი ყოველთვის მოიპოვებს ერთს, ან ორს მეგობარ-
სა, ანუ მონათესავესა, რომელნი ნუგეშინის სცემენ მას, ეზია-
რებიან მისსა მწუხარებასა. თვით უკანასკნელი ბოროტის მომ-
ქმედი, კაცის მკვლელი, მიიღებს ზოგიერთთა მისთა მოყვარე-
თაგან ნუგეშინის ცემასა. აქ კი თვით უმახლობელესთა მეგო-
ბართა მიატოვეს იგი და გაიქცენ. მრთმა მათგანმა ფიცით
ალუთქვა მას, რომ ვიდრე სიკვდილადმდე არ დაგტოვებო მარ-
ტო, გარნა ამასაც შეეშინა, გაიქცა და სამ-გზის უარ-ჰყო. მარ-

თალია, იესო, ჩამოკიდებული ჯვარზე და მყოფი აღუწერელს ტანჯვაში, ხედვიდა დედასა თვისსა, რომელიც უყურებდა მას მწარითა თვალითა. გარნა ეს არა თუ ნუგეში იყო მის-თვის, არამედ ერთიორად გარდააქცევდა მისსა ტანჯვასა. დე-დამან მისმან მრავალი მწუხარება გამოსცადა უწინაც მასზედ, და უკანასკნელად საყვარელსა თვისსა შვილსა ხედავს ჯვარ-ზედ გატანჯულსა, გასისხლიანებულსა. აწ ასრულდა აქ მასზედ სამწუხარო წინასწარმეტყველება სვიმეონ მართლისა: მახვილ-მან განვდო გულსა მისსა; გარნა მაცხოვარიც უარესად იტანჯე-ბოდა, მხედველი მისისა მწუხარებისა. მაცხოვარი ჯვარს აც-ვეს მტერთა მისთა; იგინი მოရრიენ მას, სძლიეს; დიდი ხანია ეძიებდენ იგინი მისსა სიკვდილსა, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ იგინი მოახერხებდენ ამას; მარტო ხალხი, რომელი ათასობით მისდევდა შფალსა ყოველ დღე, ისმენდა მისსა სწავლასა; მიი-ლებდა იმისგან ურიცხვსა ქველის მოქმედებასა, თითქოს არ დაანებებდა მათ ამისთანა ბოროტებას. ჭარდა ამისა მთავრობაც იყო, რომელსაც ისინი თითქო არ უნდა მიეშვა ამისთა-ნა უსამართლო საქმისადმი; გარნა ბოროტთა მტერთა შისთა ყოველივე მოახერხეს, ხალხს თვალი აუხვიეს თავიანთითა მზა-კვარი ენითა, მთავრობა მოატყუეს და შეაშინეს; უსამართლო-ება დღესასწაულობს, მტრობამ და მზაკვარებამ სძლია, მარ-თალი და უბიწო კაცი ჩამოკიდებულია ჯვარზედ. რაბამ მწა-რეა და ძნელად მოსათმენელი ესრეთი დადაბლება და დასჯა კაცისა! იესო შრისტეს, ჯვარზედ ჩამოკიდებულსა, წარმოუდ-გენელად ტანჯულსა, მაყურებელთა და მიმომსვლელთაგან ეს-მოდა განკიცხვა: სხვანი აცხოვნა, აცხოვნე თავი შენი, ჩამოვედ მა-გიერ ჯგარიდგან, უპეოუ ქე ხარ ღვთისა; აცალეთ, ვიხილოთ, უბე-თუ მოვა ილია ცხოვნებად მისსა!

გ) იესო შრისტე, ლურსმნებით მიკრული ძელზედ, ჩამო-კიდებული რკინებზედ; თავი, ეკლის გვირგვინით გასისხლია-ნებული, გვერდი, გაპობილი ისრითა... ვინ წარმოიგენს მისსა ხორციელსა ტანჯვასა? გარნა სულიერი მისი მწუხარება იყო უმძიმესი და უსაშინელესი. მთელი ქვეყნის მწუხარება, ყოვე-ლი კაცის ხედვა, თითოეული ადამიანის კვნესა, კაცთა ნათე-საობის ცოდვა, გულში ჰქონდა მას გაწონილი. ბოლოს მისი

ტანჯვა და მწუხარება ისე გადიოდა, რომ თითქოს ღმერთმან
დასტოვა, მიაგდო იგი: ღმერთო ჩემთ, ღმერთო ჩემთ! რაისათვის
დაშიცევებ შე? ხმობდა იგი მწარედ. მიღრემდის კაცს გული აქვს
დაიმედებული ღვთის შემწეობით, მას კიდევ არაფერი უშავს,
კიდევ მოითმენს, გარნა თუ მან მწუხარებისაგან უნებლივად
იფიქრა — ღმერთმაც დამიტევა მე და მიმაგდოვო, მაშინ სჩანს,
რომ მისი ვნება და ტანჯვა ერთი რამე წარმოუდგენელი და
აღუწერელია. ამისთანა მდგომარეობაში იყო მაცხოვარი, რო-
დესაც იგი ხმობდა: ღმერთო ჩემთ, ღმერთო ჩემთ, რაისათვის და-
შიცევებ შე!

ზარნა ამას ყოველის შორის ბოლგოთას მთასა ზედა გა-
მობრწყინდა დიდებაცა მისი.

2) მთასა ზედა ბოლგოთასა ვხედავთ ჩვენ საშუალ დადა-
ბლებისა იესო შრისტესისა მისსა უმაღლესსა დიდებასა.

ა) ყოველივე ზემოხსენებული ტანჯვა და მწუხარება მან
მიიღო თვისი კეთილი ნებით, მიიღო ვნება და ტანჯვა ჩვენ-
თვის, კაცთათვის, და არა თუ მეგობართა და კეთილთა კაც-
თათვის, არამედ მტერთაცა თვისთა. მას ადვილად შეეძლო
მოშორება თავისია თვისისაგან ამ მწუხარებისა, მაგრამ არ ინე-
ბა. მაშასადამე, იფიქრე რაოდენი სიმაღლე სულისა გამოაჩი-
ნა მთასა ზედა ბოლგოთასა ჯვარზედ ჩამოკიდებულმა!

ბ) ჯვარსა ზედა მყოფი აუარებელსა ტანჯვასა შინა იგი
თავის თავს ივიწყებს და ზრუნავს თავის დედისათვის. პრცა
საშინელნი სატკივარნი, აღარცა ჰაზრი ქვეყნის გამოხსნისა არ
დააბრკოლებს მას, მიაქციოს ყურადღება მშობელს დედას და
ჩააბაროს იგი თავის მეგობარს სამზრუნველოდ. რაბამ გასაო-
ცარი სიმდიდრე სულისა, რა გული, რა შვილებრივი სიყვა-
რული უნდა ჰქონიყო მას, რომ ამისთანა მდგომარეობაში არ
დაევიწყა მას დედაცა და მთელი ქვეყანაც!

გ) იგი ჯვარზედ ჩამოკიდებული და სიკვდილზე მიახლო-
ვებული შეიწყნარებს ავაზაკსა, მასთანავე ჯვარცმულსა. ჩვენ,
როდესაც რამეზე ვფიქრობთ და დიდს საქმეს ვაკეთებთ, მცი-
რე-მცირე საქმეები სულ დავიწყებული გვაქვს, გარნა მაღალი
და ვრცელი სული მისი მცირე საქმეებსაც არ დასტოვებდა.
სისხლისა თვისისა მთელი ქვეყნისათვის დამთხვეველი, იგი

კერძო პირსაც არ ივიწყებდა, არამედ ანუგეშებდა მას.

დ) მაცხოვარმა, ჯვარზე მყოფმა მიუტევა მტერთაცა თვისთა. რა გასაოცარი სიმაღლე და სიმდიდრე გულისა გამოჩნდენ ამ სიტყვებში: მამაო, მოუტევე მათ, რამეთუ არა იწიან, რასა იქმონენ.

ე) ბოლოს მაცხოვარმა ჯვარზე ყოველივე აღასრულა: აასრულა ის საქმე, რომლისათვისაც მოვლინებული იყო ზეციდგან, მიაღწია იმ მიზანს, იმ ადგილს, რომლისკენ მიისწრაფებოდა თვისითა ვნებითა და მწუხარებითა; მან მოსპო, განაქარვა მწუხარება ყოველთა კაცთა, მისთვის რომ ვისაც კი ახსოვს მისი საქმე, ვინც დადგება მისი ჯვარის ქვეშა, მიიღო მისკენ და ზეცისაკენ, მზგავსად მისსა, გზითა ვნებისა და შრომისათა, იგი თვითონაც საკუთარს თვისსა მწუხარებასა არა რად შერაცხს. მან ჯვარითა თვისითა მოსპო ყოველი ცოდვა და ვნება. შინაშე ჯვარისა მისისა დაგუბდება ყოველი ვნება, შური, სიძულვილი, მტრობა, შურის ძიება, სიხარბე. მან შეისყიდა სისხლითა თვისითა ყოველი ცოდვა და ბრალი კაცთა, შესწირა მსხვერპლი სწორი და უდიდესიცა ყოველთა ჩვენთა ცოდვათა. მან შეგვარიგა ზეციერ მამასთან; ბოლგოთას მთაზედ დაარღვია ძალი ჯოჯოხეთისა, მოეფინა. ნათელი სოფელსა, სცხონდა ყოველი მეძიებელი ცხონებისა... აშინ.

ჯვარცმის გარდამოსესნასა ზედა.

და მუნ ჯვარს ატექს იგი.
(ლუკ. 23, 32).

შოველნი წიგნი საღმრთოისა წერილისანი რომ დაიკარგოსო, იტყვის დიდი წმინდა მამა ბასილი, მაშინ ერთი მხოლოდ შფლისა ჩვენისა იესო ძრისტესი ცხოვრება, ვნება და სიკვდილი საკმარდ გვასწავლის ჩვენ, რაი არს ქრისტიანობა. ბოლოგოთის ჯვარზედ აღწერილი არის ყოველი, რაიცა საჭირო არის ჩვენთვის ცნობად ლოთისა და ჩვენი თავისა. ჯვარი ძრისტესი არის თვით შუაგულ-ადგილი, რომელსა ზედა შეიკრიბებიან და შეერთდებიან ყოველნი სწავლანი და ჭეშმარიტებანი ჩვენისა წმინდისა სარწმუნოებისანი. ჩვენი დაცემა და აღდგინება, ცოდვა და მადლი, მართლ-მსაჯულება და მოწყალება—ეს ყოველი წაიკითხება ჯვარსა ზედა. ჯვარი არის სასწავლებელი, იტყვის ნეტარი ავგუსტინე, საღაცა მასწავლებელი უსიტყვოდ გვასწავლის ჩვენ ძელითგან, რომელსა ზედა დამოკიდებულია. ბარნა ამასთანავე იგივე ჯვარი არის ჩვენი სამსჯავრო.

ჯვარი მაცხოვრისა არის ჩვენი სასწავლებელი. ბოლოგოთის ჯვარი, თუ ჯეროვნად ვუმზერთ მასზედა ჯვარცმულსა, გვასწავლის ჩვენ: ა) სრულსა მოთმინებასა. რა მოთმინებით მიიღო შფალმან თვით უსაშინელესი ტანჯვანი, ამას კაცის გონება ვერ წარმოიდგენს. იგინი იყვნენ არა თუ მარტო ხორციელნი, არამედ ცალკე სულიც მისი იტანჯებოდა, სხეული მისი თავიდან ფეხამდი იყო გვემული, დახვრეტილი, გასისხლიანებული თავი ეკლის გვირგვინითა, გვერდი ლახვრითა, ხელი და ფერხნი ლურსმებითა, მთელი სხეული ჯოხის ცემითა. შოველნი მისნი, თვით უმცირესნი ასონი, სახსარნი, ძარღვნი

იყვნენ ანთებულნი, გაჭიმულნი. ჩვენ რომ ერთი რომელიმე ასო ფრიად აგვტკივდება, მთელი გვამი იტანჯება და გვტკივა. მაცხოვარს კი აღარც ერთი უმცირესი ასო დარჩენია მთელი, ყოველი ასო შიგნით და გარეთ სტკივოდა. ამისთანა მდგომარეობა კაცის სხეულისა, რასაკვირველია, მის სულსაც გასტანჯავს. ზარნა სულსა მაცხოვრისასა სხვანი ჰქონდენ საკუთარნი წყარონი ტანჯვისა. ზაიხსენეთ განკიცხვა, ნერწყვი, ყვრიმალს ცემა; გაიგონეთ სიტყვები: გიხართდენ, მეუფეთ ურთათ! ანუ: აცხდეთ, ვიხილდთ თუ მთვიდეს მასთან იღდა; ანუ კიდევ: სხვანი აცხოვნა, აცხოვნე თავი შენი; აჭა, რომელი ცაძარსა დაარღევეს და მესამესა დღესა აღაშენებს. ანუ წარმოიდგინეთ დანახვა წინაშე მისა მდგომარისა, მტირალისა დედისა მისისა და შეიტყვეთ, რომ არ იყო ქვეყანაზე ტანჯვა და ტკივილი, ვითარცა მისი. და ესრეთ თუ ვისმე თქვენგანსა ეწვიოს მწუხარება, სევდა, ტანჯვა, შეხედეთ ჯვარსა მისისა და ისწავლეთ მოთმინება.

ბ) ჯვარი შრისტესი გვასწავლის სიყვარულსა.. ჩვენ ვებრალებოდით მას, ჩვენმა სიყვარულმა აღიყვანა იგი ჯვარზე. თვით ჯვარზე ჩამოკიდებულმა, საშინელსა ტაჯვასა შინა მყოფმა, არ მოიკლო მან სიყვარული. ზაიხსენეთ მისი სიტყვები: მამათ, მიუტევე ამათ, არ იციან, რასა იქმონენ! ანუ გაიხსენეთ, რა უთხრა მასთან ჯვარცმულსა ავაზაკსა: ამინ გეტუვი შენ, დღეს ჩემთან იყო სამთხესა შინა. ხოლო დედასა თვისსა ჩაბარებს საყვარელსა თვისსა მოწაფესა, მეტყველი: აჭა მე შენი! და იოანეს ეტყვის: აჯა დედა შენი! რაც გინდა გაყინული ჰქონდეს კაცს გული, არ შეუძლია არ იგრძნოს ლმობიერება და სიყვარული შემხედველმა ბოლგოთის ჯვარისა და გაშგონემ ამათ სიტყვათა.

გ) ჯვარი გვასწავლის კიდევ, რათა ჩვენცა ჯვარს ვაცვათ ხორცნი ჩვენნი შრისტესთან. სხვა გზით, გარეშე ჯვარისა, არ შეეძლო შრისტეს გამოხსნა და ცხონება ჩვენი. პრც ჩვენ შეგვიძლია, ძმანო ჩემნო, ვეზიაროთ მისია მაცხოვარებასა, თუ ჯვარს არ ვაცვამთ ხორცთა ჩვენთა. ქრისტესთა მათ, იგი ვინც შრისტეს ეკუთვნის, ხორცნი მათნი ჯვარს აცვინ გნებათურთა და გუდისთქმით.

დ) ვისწავლოთ აგრეთვე ჯვარისაგან შეურაცხ-ყოფა სოფ-ლისა და მისი დიდებისა. მაცხოვარი ეკიდა ჯვარზე, ვითარცა ერთი უკანასკნელი და უღარიბესი კაცთაგანი. უწინ მას ერთი წყვილი ტანისამოსი მაინც ჰქონდა: ახლა ისიც გაძარცვეს, ტიტველია. ახლა მას ეკუთვნის მხოლოდ ერთი ფიცარი, რომელზედაც დამოკიდებულია და ხმა მაღლად, თუმცა უსიტ-ყვოდ, გვასწავლის: ნუ დაემთრჩიდებით სოფლის დიდებას!

ე) ვისწავლოთ სიმდაბლე: თუ ოდესმე, ძმაო, გულში გა-გიჩნდეს მაღალი პაზრი, თავხედობა, შეხედე ჯვარსა. რას და-ინახავ? მას ზედ დამოკიდებულია დიდება ღვთისა! ჩვენ ისე ღრმად დავეცით, რომ ეს ღვთისა სისხლსა თვისსა ღვრის და-კვდება ჩვენთვის.

ვ) ვისწავლოთ აგრეთვე შერიგება, მაღლი, მშვიდობა. ჯვარსა ზედა ცხადად დაწერილ არს: არა ნებავს, ღმერთსა სიკვ-დილი წოდვილია, არამედ რათა მოიქცეს და სცხოვნდეს. ხელით წერილი ცოდვათა ჩვენთა დაიხია! მაცხოვარს ხელები აქვს განპყრობილი, რათა მოეხვიოს ყოველთა ცოდვილთა, მონა-ნულთა. დაუფასებელი სისხლი დაითხია ცოდვათა ჩვენთათვის, ავაზაკი ცხონდა. ხმა მაღლა ქადაგებს ჯვარი: ყოველი კაცი მიიღებს ამიერ შენდობასა, მაღლსა, მშვიდობასა, თუ მოიტანს სინანულსა.

ზარნა, როგორც უწინ ვთქვით, ჯვარი არის ჩვენი სამ-სჯავროცა. ცოდვილი შემნანებელი ჯვარითგან მიიღებს უდი-დესა ნუგეშსა, ვინაითგან მაცხოვარმა ჭეშმარიტად ივნო და შეგვარიგა ზეციერს მამასთან; გარნა შეუნანებელი ცოდვილი-სათვის ჯვარი არის საშინელი სამსჯავრო და სასჯელი. რას ეტყვის მაცხოვარი, როდესაც წარმოუდგება მას განუღვიძე-ბელი ცოდვილი?

ა) მე თქვენ შეგიყვარეთ და თქვენ მომიძულეთ; მდევნი-დით, მკიცხავდით, მგმობდით; თქვენ არ დააფასეთ ჩემი სიყვა-რული და მომაგეთ მე უმაღურება; უმისოთაც ლირსი იყავით თქვენ სასჯელისა, ვითარცა ცოდვილნი, გარნა აწ ბრალი თქვენი უდიდესია, რადგანაც თქვენ შეურაცხ-ჰყავთ. ჩემი გა-ნუზომელი სიყვარული. ვისაც არ განაღვიძებს ამისთანა სი-ყვარული, იგი ჯოჯოხეთისა არის.

ბ) მე თქვენთვის ვივნე, მე უბრალო ვიყავი, გარნა მივიღე ჩემს თავზე ცოდვა ყოვლისა კაცისა და ვიტვირთე მათ-თვის ყოველი სასჯელი. არსად, არაოდეს არ გამოჩენილა ასე ფიცხლად მართლ-მსაჯულება ლვთისა, არცა სამოთხეში, არცა წარლვნაში, . არცა სოდომსა და ზომორზე. თქვენზე, შეუნანებელ ცოდვილთა ზედა იქმნება მსგავსივე ფიცხელი სასჯელი.

გ) მე შევწირე ჩემი თავი მსხვერპლად. ჩემი თავი მივეცი თქვენდა გამოსასყიდლად ცოდვისაგან, გარნა თქვენ მაინც შეიყვარეთ მონება ცოდვისა. თქვენ არაფერი შემომწირეთ მე, არცა გული, არცა ჰაზრი, არცა ერთი კეთილი საქმე. თქვენი კერპი, თქვენი ლმერთი იყო ვერცხლის სიყვარული, ანგარება, ხორცის სიამოვნება; იმათ უკმევდით საკმეველსა, მათ-თვის იკლავდით თავსა; მათ შესწირავდით თქვენს თავს მსხვერპლად.

დ) მე დავანთხიე სისხლი. მრთი წვეტი ჩემი სისხლისა საკმაო იყო განბანად მთელი თქვენის ცოდვისა. ადვილად შეგეძლოთ თქვენცა განთავისუფლება ცოდვათაგან, გარნა თქვენ არ უყურებდით ჩემსა თფლსა, ჩემთა ცრემლთა, ჩემს სისხლსა. ახლა რომლისა სასჯელისა ღირსი არა ხართ თქვენ?!

ე) მე მოვკვდი თქვენთვის, რათა თქვენც მოკვდეთ ცოდვისათვის. ზარნა არა შემხედველი ამისა, თქვენ არ მოკვდით ცოდვისათვის; ცოდვა ყოველთვის ცოცხალი იყო თქვენს შორის, ამისთვის თქვენ მიეცემით საუკუნოსა სიკვდილსა.

მე ვიქმენ დაფლულ; თქვენ კი, ნაცვლად მისსა, რომ დაგეფლათ ცოდვანი. თქვენნი, მე დამფალით. აწ ჯოჯოხეთი იქმნება თქვენი საუკუნო საფლავი,

დასასრულ, ძმანო ჩემნო, ვისთვისაც ჯვარი ქრისტესი არ არის სასწავლებელი, მცსთვის იგი გარდაიქცევა სამსჯავროდ, დასასჯელად. მეორესა საშინელსა მოსვლასა ძრისტე გამოჩენდება ჯვარითა თვისითა. მონანულნი, ცხონებულნი გაიხარებენ; ცოდვილნი იქმნებიან ზარ-განხდილნი, მოწყლულნი. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

დიდ-პარასკევის ჯვარცმის გარღმოსსნასა ზედა.

შრისტესთა მათ ხორცნი თვისნი ჯვარს
აცვნეს ვნებითურთ და გულის თქმით.
(გალ. 5, 24).

ძმანო მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო!

უკანასკნელთა ამათ დღეთა შინა არა ერთ გზის გაიგონეთ თქვენ ოთხთავე სახარებათაგან ვრცელი მოთხრობა შფლისა იესო შრისტესი ვნებისა და ჯვარცმისა; დღესაც კიდევ ერთხელ წაკითხულ იქმნა ყოველი, რაიცა მას უყვეს და რომელიც მოითმინა მან ჩვენთვის, და აპა ესერა, ხატიცა მისი, რომელიც ცხოვლად წარმოადგენს წინაშე თვალთა ჩვენია, რა მდგომარეობაში იყო იგი, როდესაც ჯვარისაგან გარდა-მოხსნეს.

რას გრძნობდით დღეთა ამათ შინა, რა მოძრაობა იყო გულთა შინა თქვენთა, როდესაც გესმოდათ საშინელი მოთხრობა იესო ქრისტეს წვალებისა? თუ უქმად და გულ-გრილად ისმენდით მოთხრობათა აწინდელთა დღეთასა, ეს იქმნება ფრიად სამწუხარო მოვლენა; მაგრამ არა! თვით თქვენი სახე გამოაჩენდა უნებლივად მწუხარებასა გულისასა; ზოგიერთს თქვენს შორის ცრემლიც მოსდიოდა. საკვირველიც არ არის! ვინც გულითად მოისმენს იესო შრისტეს წვალებას, არ შეუძლია არ შეწუხდეს და ცრემლი არ მოუვიდეს. გარნა რისაგან უნდა იყოს მწუხარება ჩვენი, რას ანუ ვის უნდა ვსტიროდეთ! ჩვენ თავზედ უნდა ვსწუხდეთ და ჩვენი თავი უნდა ვიტიროთ, და არა იესო შრისტე. ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტიროთ ჩემჩედა, არამედ თავთა თქვენთა სტირთდეთ და შვილთა თქვენთა (ლუკ 23, 26), უთხრა მაცხოვარმან დედათა, რომელნი სტიროდენ და იტყოდენ, მხედველნი მისი წვალებისა. ჩვენთვის დაითმინა

მან ყოველი, ჩვენთა ცოდვათა აღიყვანეს იგი ჯვარსა ზედა, ჩვენმა უგნურებამ შეუთხზო მას ეს ეკლის გვირგვინი, ჩვენმა სიავემ და თავხედობამ განუხვრიტეს მას ფერხნი და ხელნი, ჩვენმა სასტიკობამ და სიბრმავემ განუპეს მას გვერდი ლახვრითა, იგი უსჯულოებათა ჩვენთათვის აწვალა და წოდვათა ჩვენთათვის გვემუდ იქმნა; სასჯედი სოფლისა ჩვენისა მას ჟედა (ისაია 53, 5).

რით უნდა გადავიხადოთ ჩვენ მის წინაშე ეგოდენი მისი ქველის მოქმედება! რა მიგაგო უფალსა ეთვლისათვის, რომელი მოძაგვა მე? (ფს. 115.). თუ ფიქრობ, ძმაო ჩემო, ვითომც საკმაო იყოს შენი მხრით ის, რომ ამ დღეთა შინა ცოტაოდენ გული შეიწუხე, რამდენიმე ცრემლი გადმოყარე, მის ხატს დაუჩოქე და ეამბორე, შემცდარი ხარ. ბულის გრძნობა და ცრემლი ერთი წამის საქმეა, დაუდგრომელია; გახვალ აქეთგან და სხვანი ათასნი გულის გრძნობანი გაგიჩნდებიან და დაგავიწყებენ იმას. მაშ აა მიგაგო მას ეოველისათვის, რომელი მოგბაგვა ჩვენ? მივაგოთ შეძლებისა გვარად სწორი; მივაგოთ იგივე, რაიცა მან მოგვაგო. მან თვისი სიცოცხლე ჩვენ შემოგწირა, ჩვენც ჩვენი თავი, ჩვენი სიცოცხლე მას უნდა შევსწიროთ; მისნი უნდა ვიყოთ, მას უნდა დავუსაკუთროთ ჩვენი თავი; ყოველი ნაბიჯი მისდა სადიდებლად უნდა იყოს, ვითარცა იტყვის მოციქული პავლე: ცხაველ არდარა მე ვარ, არამედ ქრისტე არა, ცხაველი ჩემ შორის. მზგავსადვე, ჩვენცა არა ჩვენით ვცხოვრობდეთ, არამედ შრისტე უნდა ცხოვრობდეს ჩვენს შორის, არა ჩვენის ჭკუით ვზრახვიდეთ, არამედ შრისტეს მეცნიერებით, არა ჩვენი ნებით და გულის თქმით ვიქცეოდეთ, არამედ შრისტეს ნებით და მისი მორჩილებით. ამავე აზრსა საღმრთო წერილი გამოთქვამს კიდევ უფიცხელესად და ძლიერად: ვინც შრისტესი არისო, იგი შრისტესთანა ჯვარს უნდა ეცვასო. სწორედ შრისტესთან ჯვარს უნდა ვაცვათ ჩვენი თავი, თუ შრისტე გვიყვარს და შრისტესი ვართ, ქრისტესთა მათ სორცნი მათნი ჯვარს აწვნეს ვნებითურთ და გულის თქმით. თუ შემთხვევამ მოითხოვა, სიცოცხლეც არ უნდა დავზოგოთ შრისტეს სჯულის დაცვისათვის; მანამდისინ კი შრისტესთან სორცნი ჩვენნი ჯვარს ვაწვათ ვნებითურთ და გულის თქმით. ჯვარს აცვი შრისტესთან, ძმაო, ენა შენი ბოროტი, ამაოდ მეტყვე-

ლი, მგმობელი, ცილის-მწამებელი, ხშირად ცოდვის მოძლვარი და ცეცხლის აღმგზნებელი; ჯვარს აცვ თავხედობა, ამპარტავნება, უგნურება; ჯვარს აცვ შენი ბოროტის მზრახველი გული, მოშურნე, ანგაარი; ჯვარს აცვ ყოველნი შენი ასონი, მალიად მსრბოლნი და მარჯვენი ცოდვისათვის, ხოლო მედგარნი და ყრუნი კეთილისათვის. გარნა უმეტესად ყოვლისა ჯვარს აცვი შენი ხორცი, ბუდე იგი ყოვლისა ცოდვისა და ვნებისა, ბოროტი იგი მონა, რომელი ყოველთვის ცდილობს დაიმორჩილოს უფალი თვისი, უკვდავი სული; არ გყავდეს იგი აშობილი, შეავიწროვე, დაუმორჩილე სულსა, ამუშავე, ზედ დადექი, ნუ გაანებიერებ, აწვალე. თუ ამას ყოველსა ცდილობ, შენ იქმნები ჭეშმარიტი მოზრარე შრისტეს ვნებისა, და მერმე მისისა აღდგომისაცა, რომელიც მოგმადლა შრისტემან. ამინ.



ლ ၃ ၃ ၁

ნაცვლად ქადაგებისა, თავმული დიდ-პარასკევის, ჭირაშე
ჯვარცმის გარდამოსსისა.

მმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

ნაცვლად ქადაგებისა დღეს ჩვენ, წინაშე შრისტეს საფლავისა მდგომარეთა, გვირჩევნია აღვიაროთ ცოდვანი ჩვენნი, წარმოვსთქვათ ლოცვა და ვევედროთ ღმერთსა შენდობისა მიღებად. სადაცა თვით შფალი იქსო შრისტე ხმა მაღლა გვიღადებს დღეს ჩვენ ჯვარისაგან, რა საჭირო არის ჩვენი უძლური სიტყვა. ახლა ჩვენ უნდა ვტიროდეთ და ვგოდებდეთ ჩვენთა ცოდვათათვის. აწ წარვსთქვათ ერთი ძველი ლოცვა, სიღრმითგან გულისა ჩვენისა.

ლ ၃ ၃ ၁

ვსცოდე, უჯულო ვიქმენ და სიცრუე ვყავ შენს წინაშე, ყოვლად სახიერო მეუფეო! გარდავხედ მაცხოვარებითთა მცნებათა შენთა და საღმრთოთა აღთქმათა; რომელნი მო-

გეც შენ წინაშე წმიდისა შენისა საკურთხევლისა, წინაშე ან-
გელოზთა და კაცთა. ბავამწარე პატიოსანი სისხლი აღთქმისა
შენისა, რომლითა გავიწმინდე, მიმღებელი გამოხსნის ზიარე-
ბისა. მადლი სულისა შენისა უპატივოდ გამოვაჩინე, უდებ ვიქმენ
საშინელისა და ზესთა-ბუნებისა შეილობისა შენისა. ჟოველი
წერილი, საღმრთო სჯული და ლვთიური სწავლა, ამაო ჰაე-
რის ცემა და ცალიერი მხოლოდ ხმის ღალადება გამოჩნდა.
ჩემს შორის. სახელით მხოლოდ და სიტყვით ვიმარხავ პატიო-
სანსა სახარებასა ჭეშმარიტისა შრისტიანობისასა. ხელნი მქო-
ნან დაუზარებლად განმზადებულნი მტაცებლობისა და ანგა-
რებისათვის, ფერხნი მალიად და კადნიერად ყოვლისა უსამარ-
თლოებისადმი ბოროტად მსრბოლნი, მომზადებულნი ძმის
ნაწილისა მიტაცებად და დათრგუნვად, გლახაკთა შესაჭმელად.
ბაგენი, საღმრთოისა ლოცვისა და სიტყვისა ორლანო, ყოვ-
ლისა უწმინდურებისა, ამაოებისა, ფიცის გატეხისა, ეშმაკთა
ორლანოდ გარდავაჭციე; თვალნი და ყოველნი ჩემნი საგრძნო-
ბელნი აღვსებულ არიან სიმრავლითა მრუშებისა და ყოვლისა
ბილწებისათა: ჩემს შორის მფლობელისა გონებისა, საღმრთო-
ისა თესლისა დამთრგუნველმან, ასონნი შენი, შრისტე, მე-
ძავთა ასოდ გარდავაჭციე და ნაცვლად ლვთის ტაძრისა, ხრწნი-
ლებისა და ყოვლისა უწმინდურებისა სავანედ გამოვაჩინე.
ვინაიცა, ყოვლად სახიერო მეუფეო, მრავალი შენი კაცთ მო-
ყვარება განსაკიცხავად ჩემდა უბადრუკისა გამოჩნდენ და მრა-
ვალი შენი კეთილი ნიჭი სასჯელად ჩემდა შევქმენ, რომლი-
სათვისაც მე უბადრუკი არცა ჩემს შორის დაარსებულთა კე-
თილთა, არცა მოყვასთა ჩემთა სასჯელისაგან სწავლული, სრ-
მართლით ჩემზედა მოვაწევნინე სასჯელისა შენისა წყლულე-
ბანი. არამედ ნუ გულის წყრომითა შენითა მა-
მხილებ მე, ნუცა რისხვითა შენითა მასწავლი მე, შფა-
ლო! შენ მხოლოსა ზეგცოდე, გარნა შენ მხოლოსავე თა-
ყვანსა გცემ და შემუსრვილითა გულითა, ვითარცა მსხვერ-
პლსა, წმინდასა ამას აღსარებასა შოგართმევ: მილხინე, კაცთ-
მოყვარეო მეუფეო, დააყენე სამართლად მოწევნული ჩემზე-
და წყლულება; სძლოს სიმრავლემან მოწყალებათა შენთამან ცო-
დვათა ჩემთა მზაკვარს კრებასა, და შენმან სახიერებისა აღურაცხე-

ლმან უფსკრულმან დაჭთაროს მწარე ცრემლთა ჩემთა ზღვა. მქონან ხელთა ჩემთა შინა ხატი და დიდებულობა შენისა კაც-მოყვარებისა: ავაზაკი, მეზვერე, უძლები შვილი, რომელნი უფროს ჩემსა მონანებასა შინა გამოცდილნი, სასუფეველსა შინა შევიღნენ. მათ თანა მეცა აღმსაარებელი და მივრდომილი მიმიღე, მეუფეო! და თუმცა ყოვლითურთ მათსა მოქცევასა და მონანებასა ვშორავ, დაკლებული ჩემი აღავსოს განუზომელმან სახიერებამან შენმან; არამედ ყოველივე ჩემი აღავსოს, ვინაცა ყოვლისაგან ჰეშმარიტად განშორებულ ვარ. მოგარომევ შენ გონებასა გლახაკთასა, ხმასა ჩჩილთასა, მდაბალსა და უმანკოსა ყოვლისა ასაკისა მლოცველთა ნაწილსა, შენისა მოწყალებისა და მოტევებისაღმი მიმდრეკელი, ჯვარი და ნებსით სიკვდილი, რომელი ჩემთვის უმაღურისა მოითმინე, ღვაწლი მოციქულთა, მართალთა და მმარხველთა, სისხლი მოწამეთა; ხოლო ყოველთა ზედა საზოგადო, ყოველთა სასოება და ცხონება ზესთა-სიტყვისა მშობელი შენი, რომელთა ვედრების კაც-მოყვარებით მიმდებულმან შეისმინე, იესო ტკბილო, ჩემისა ლოცვისა არათუ მხოლოდ ჩემზედ, არამედ მათზედა, რომელთათვის თანამდებ ვარ ლოცვად: შემწე ეყავ უკეთილ-მსახურესა ხელმწიფესა და ყოველსა სახლეულობასა მისსა. აცხოვნე და შეიწყალე უწმინდესი სინოდი და ყოველი მწყემსთ-მთავარი და ყოველი განწმენდილი კრება ეკლესიისა, მიანიჭე მათ სიმრთელით, მშვიდობით, სარწმუნოდ, სიმართლით, ვითარცა დაწესებულ და გარდამოცემულ არს სულისა წმინდისაგან, წმიდათა მოციქულთა და მამათა მიერ მართვად სიტყვისა შენისა ჰეშმარიტებისა. შეცდომილთა მართლ-მაღიდებელის სარწმუნოებისაგან მწვალებელთა და განდგომილთა ცნობად ჰეშმარიტებისა მოუწოდე, ურწმუნონი ვანანათლე, რათა გიცნან შენ; ცოდვილნი მოიყვანე სინანულად, ქალწულთა მიეც სიწმინდისა დამარხვა, ქორწინებულთა პატიოსნებისა; ქვრივთა და ობოლთა საზრდო, გლახაკთა მფარველობა, მოგზაურთა შემწეობა, მენავეთა ნავთ-სადგური; მომნანებელთა მოტევება მიანიჭე, მტირალთა ნუგეში, კეთილთა კეთილად მყოფობა, საშუალთა უმჯობესობა, შემცოდებელთა აღდგინება და გამართვა. ჰოი, იესო, გლოცავ, მომეც

ცოდვათა შენდობა, გონებისა კეთილად დგომა, ხორცისა სიშ-
თელე, სიცოცხლისათვის ყოველი სახმარი, მშვიდობა დღეთა
ჩემთა, ჰაერის კეთილ შეზავება, მიწისა კეთილ ნაყოფიერება,
მართლ-მაღიდებლობის აღორძინება, წმინდათა ეკლესიათა
შენთა ერთობა, მწვალებელთა დამხობა, უკეთურთა რჩევათა
დარღვევა, ცეცხლი სიყვარულისა და ყოვლისა ლვთის მსახუ-
რებისა, ლოცვასა შინა გულისა სიწმინდე, განსაცდელსა შინა
მოთმინება და სულგრძელება, სასოებისა სიხარული, და ყო-
ველი სულიერისა და ხორციელისა სიმთელისათვის სასარგებ-
ლო, უმეტესად შდიდებულებობისა შენისა დიდებისა სათანა-
დო თხოვნა მომანიჭე და აღასრულე განუზომელთა მოწყალე-
ბათა შენთა, გამომხსნელმან ყოვლისაგან სამართლად მოწევ-
ნულისა სასჯელისა, სრვისა, ძვრისა, რღვნისა, ცეცხლისა, მახ-
ვილისა და ყოვლისაგან სიკვდილ შემოსილისა წყლულე-
ბისა, და არა მსურველმან ცოდვილთა სიკვდილისა,
მომეც მე უამი მონაწებისა, რათა აწმყოთაცა ბოროტთა და
მომავალთაცა საუკუნოთა ტანჯვათაგან თავისუფალ ვიქმნე
მაღლითა და კაცთ მოყვარებითა დაუსაბამოისა შენისა მამისა,
რომლისათანა კურთხეულ ხარ თანა ყოვლად წმინდით, სახიე-
რით და ცხოველმყოფელით სულით შენითურთ აწ და მარა-
დის, და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

კვირა-ცხოვლობასა ზედა, ანუ თომა მოციქულისა.

მოგიდა იესო და დასდგა შორის მათსა
(მოწაფეთა) და პრქვა მათ: მშვიდობა
თქვენთან! (იოანე 20, 19.).

ორმოცი დღის განმავლობაში შემდგომად აღდგომისა
გამოეცხადებოდა შფალი იესო მრისტე მრავალ გზის მოწა-
ფეთა თვისთა, ზოგჯერ თვითოვეულს, ცალ ცალკე, ვითარცა
მაგალითებრ, პეტრესა და იაკობს, ზოგჯერ ორ-ორს, მაგა-
ლითად, ორთა მოწაფეთა, გზასა ზედა მიმავალთა სოფელს,
ანუ ყოველთა ათერთმეტთა მოწაფეთა ერთად, ვითარცა მო-
ისმინეთ დღეს წაკითხულს სახარებასა შინა; ერთხელ გამოე-
ცხადა უმეტეს ხუთასთა მოწაფეთა და მორწმუნეთა შეკრე-
ბილთა მთასა ზედა გალილისა. შოველთა ამათ გამოცხადე-
ბათა შინა პირველი სიტყვა იესო მრისტესი იყო: მშვიდობა
თქვენთან! მერმე გაამხნევებდა მათ, დაამშვიდებდა, უჩვენებდა
ხელთა და ფერხთა თვისსა და გვერდსა თვისსა, რომელთა
ზედა იყვნენ კვალნი ლურსმებისა და ლახვარისა, მოწაფენი
მისნი აღიყსებოდენ სიხარულითა, ვითარცა თქმულ არს დღეს
წაკითხულს სახარებასა შინა: და განიხარეს მოწაფეთა, ისიდეს რა
უფალი. მაცხოვარი გაახსენებდა მათ იმ სწავლასა, რომელსა ა-
ღლევდა უწინარეს თვისის ჯვარცმისა და სიკვდილისა: გთარცა
შომავლისა მე მამამან, მეცაწარგავლინებ თქვენ. ბოლოს, რათა კეთი-
ლად და მხნედ აღასრულონ მათ მათი მოვალეობა, მისცა მათ
სულიწმიდა: შებერა მათ და ჰქეა: მიიღეთ სულიწმინდა.

ძმანო მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო! მაშინდელნი
მოციქულნი და მორწმუნენი, რომელთა მაცხოვარმან მისცა
მშვიდობა და სულიწმიდა, იყვნენ წარმომადგენელნი წინაშე

ქრისტესა ყოველთა მისთა მომავალთა მორწმუნეთა და მსა-
სოებელთა ქრისტიანეთა. არა თუ მხოლოდ მათ ეტყოდა მა-
ცხოვარი: მშვიდობა თქვენთან! არამედ ყოველთა; არა თუ მათ
მხოლოდ მისცა სულიშმინდა, არამედ ჩვენცა ყოველთა; დი-
დი, დაუფასებელი საუნჯე დაუტოვა მაცხოვარმა თვისთა მო-
წაფეთა. მშვიდობა მათთვის იყო უსაჭიროესი სხვათა ნიჭთა,
რადგანაც იგინი ემზადებოდენ დიდისა საქმისაოვის და მოე-
ლი თვისი ცხოვრება უნდა გაეტარებიათ დიდსა მოღვაწეო-
ბასა, შრომასა და ბრძოლასა შინა. იგივე მშვიდობა არის
უსაჭიროესი ნიჭი ყოველთა აწინდელთა ქრისტიანეთავის,
ლვთის მსახურება, ცხონება, მისწრაფება ზეცისადმი შეიძლე-
ბა მხოლოდ მუნ, სადაც სუფევს მშვიდობა; გარნა სადაც არის
შფოთი, სიძულვილი და განხეთქილება, მუნ არამც თუ სუ-
ლიერი წარმატება არ მოხდება, არამედ არცა მცირედი რამე
სიკეთე. ბედნიერი არის ქვეყანა იგი და ერი, რომელსა შინა
დამყარებულია და კეთილად წარმოებს სარწმუნოება, სასოება
და ლვთის მსახურება და ნაყოფი მათი. მშვიდობა, ყოველი
სიკეთე და წარმატება არის ნიჭი ლვთისა, ვითარცა იტყვის
წმიდა მოციქული იაკობი; ეღვგაღაგე მოცემული ბეთალი და ეღ-
ვგაღაგე ნიჭი სრული ზეგარდმო ანს გარდამდისრულ მამისაგან ნათლი-
სა (1, 17). გარნა ვის, რომელს ქვეყანას, რომელს ქალაქს და
რომელს ერს მისცემს ლმერთი ზეგარდამოსრულსა ნიჭსა? იგ
ქვეყანას და იმ ერს, რომელსა შინა სუფევს სარწმუნოება კე-
თილი, მსახურება ლვთისა, და რომელსა შინა წმინდა მართლ-
მადიდებელი ეკკლესია არს მტკიცედ დამყარებული, აშენებს
და აკეთებს ზნეობას ერისასა. მაცხოვარი აღგვითქვამს და
მოგვცემს არა თუ ზეციერსა სიკეთესა და სულის ცხო-
ნებასა, არამედ თვით ამ სოფელში არის ჩვენი მფარველი
და შემწე. თვით მაცხოვარმა მოგვცა ეს აღთქმა: ხოდო
თქვენ ეძიებდით ზირველად სასუფებელსა და სიმართლე-
სა მისსა, ესე იგი, უწინარეს ყოვლისა შეიძინეთ, ეძიეთ
ლვთის სასუფეველი, სიმართლე, ლვთის მსახურება, წმინდა
ცხოვრება და ესე ეღველი შეგძინოს თქვენ, სოფლიურიცა სიკე-
თე დაგემატება თქვენ (მათესი 6, 32). უბრივ თქვენ უმართულო-
იცით მისაწემელი გეთაღი მაცემად შვილთა თქვენია, რაოდენ უფროს-

და მამამან თქვენმან ზეციურმან მოსაწეს კეთილი, რომელი სთხოვდეს
მას (მათესი 7, 11), საღმრთო მოთხრობა ძველისა აღთქმისა
წარმოგვიდგენს ჩვენ მრავალთა მაგალითთა, რომელნი ამტკი-
ცებენ ამ აზრსა: ძველი აღთქმის მორწმუნე ხალხი ისრაილი
იყო ყოველთვის ლვთის მფარველობასა ქვეშ: სძენით თუ ის-
მანე უფლისა დვთისა შენისა, ეტყოდა მათ შფალი ლმერთი, და —
მარხვად და უოფად კოველთა ამათ მცნებათა, რომელია მე გამცნებ,
დღე-დღე გყოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან, ზეშთა კოუფელთა ნა-
თესავთა ქვეყინისათა (მეორე სჯული 28- 1). ეს სიტყვა ყოველ-
თვის სრულდებოდა ისრაილსა ზედა, ვიდრემდის იგინი იყვნენ
ერთგულნი და მორწმუნენი, ასრულებდნენ საღმრთოსა სჯულ-
სა, ლმერთი ადიდებდა მათ, იფარვიდა ყოველთა მტერთა მათ-
თაგან, გარნა როდესაც იგინი განდრკებოდენ ლვთისაგან, და-
იწყებდენ კერპთ-მსახურებას, მაშინ ლმერთი აიღებდა ხელს
მათზედ, და მათ ერეოდნენ მტერნი, აოხრებდნენ მათსა ქვე-
ყანასა, ხოლო როდესაც იგინი შეინანებდნენ გულწრფელად,
მიიქცეოდნენ ლვთისაკენ, მაშინ მიიღებდნენ ლვთისაგან შემწე-
ობასა, მტერნი მათნი უკუნ-მიიქცეოდნენ და ქვეყანა მათი
აჰყვავდებოდა. ბოლოს, როდესაც ებრაელთა სრულიად უარ-
ჰყვეს ჭეშმარიტი ლმერთი და მიეცნენ კერპთ-მსახურებასა, მა-
შინ ლმერთმა სრულიად აიღო მათზედ ხელი. ქვეყანა მათი
აოხრდა, მტრებმა იგინი წარტყვევნეს და დაფანტეს უცხოთა
ქვეყანათა შორის. ახლაცა ურიანი დაფანტულნი არიან უცხო-
თა თესლთა შორის მისთვის, რომ არ იცნეს მათ დღე ლვთის
მოხედვის, უარ-ჰყვეს, გასცეს და ჯვარს აცვეს თავიანთი მეს-
სია, შფალი ჩვენი იესო შრისტე, რომელსაც, უწინარეს ყოვ-
ლისა, სურდა განსაკუთრებით მათი განათლება, გაბედნიერება,
ცხონება. ლესაც იქმნებოდნენ ისინი თავიანთს ქვეყანაში გა-
ნათლებულნი და გაბედნიერებულნი, რომ იესო შრისტე ერ-
წმუნათ, მიეღოთ და მისს სახარებას დამორჩილებულიყვნენ.

იქმნება ზემოთქმულნი ჰაზრნი საეჭვოდ ეჩვენოს ვისმე და
არ დაიჯეროს. მაგრამ მე მოვიყვან ერთს უმახლობელეს მაგა-
ლითს, თვით ჩვენი საქართველოს ტომის და ერის ხვედრისა
და ცხოვრებისაგან. ზრი ათას წელიწადზე მეტი იქნება,
რაც დაიწყო ერთ-მეფობა იმ ქვეყნებში, სადაც ახლა ქართ-

ველნი სცხოვრობენ. უწინ იგინი იყვნენ წარმართნი, კერპთ-მსახურნი, მსგავსად გარემოსთ მყოფთა მათთა სახელმწიფოთა. მეოთხე საუკუნეში, ესე იგი ათას-ხუთასი წელიწადის წინ, ქართველთა მიიღეს შრისტე იესოს მართლ-მაღიდებელი სჯული. მასუკან მათ გადაემტერნენ, იწყეს მათი დევნა ყოველთა გარემოს ერთა და მეფეთა, ჯერ კერპთ-მსახურთ და მერმე მაპმადიანთა. ვის შეუძლია მოკლეს სიტყვასა შინა გამოხატოს, რამდენი ჭირი, მუსრი, ბრძოლა, აოხრება მოითმინა ჩვენმა ქვეყანამ განვავალობასა შინა თუთხმეტისა საუკუნოისა? შოველი მხრითგან გლეჯდენ მას, ვითარცა მგელი ცხვართა. განცვითრდება კაცის გონება, როდესაც წარმოიდგენს, რამდენი შური, მტერობა და რამდენი განსაცდელი ეწია ჩვენსა ქვეყანასა განგრძობასა შინა ამოდენთა საუკუნეთასა! შმეტესად განცვითრდება და იკითხავს თავის გულში კაცი: რამ დაიფარა, როგორ გადაურჩა ეს ერთი მუჭა ერი ამდენსა ჭირსა, მაშინ როდესაც გარემოს მისსა დაეცნენ და განქარდნენ უმძლავრესნი მეფობანი და ერნი, მაგალითებრ, ძველი დიდი მაკედონიის სამეფო, ძველი დიდი და უმძლავრესი სპარსეთის სამეფო, არაბეთი და სხვანი, რომელი უწინ აოხრებდნენ და თითქმის ამოწყვიტეს საქართველოს იმიერ და ამიერ ქვეყანა, და მერმე კი თვითონ განქარდნენ და კვალიც აღარ დაუტოვებიათ ქვეყანაზე! რამ დაიცვა ქართველები, როგორ მოხდა, რომ ჩვენი ერი არ მოისპო, არ განქარდა და ჩვენი სახსენებელი დარჩა ქვეყანასა ზედა? მიზეზი ამისი არის ის, რომ ჩვენი ერი იყო ყოველთვის ერთგული საღმრთოისა სჯულისა და დმერთიც იფარვიდა მას მეოხებითა და ვედრებითა დედისა მისისათა, რომელსა წილად ერგო ივერია და ერი ივერიისა. მს მცირე, ერთი მუჭა ერი გადარჩა, აღორძინდა, განათლდა; ხოლო ურიცხვნი მათნი მტერნი განქარდნენ.

ბვახსოვდეს ჩვენ, ძმანო, ყოველთა ეს ჭეშმარიტება და ამით ნუგეშინის ვსცემდეთ თავთა ჩვენთა. ბვახსოვდეს, რომ ჩვენი მშვიდობა და წარმატება დამოკიდებული არის ჩვენის სჯულის აღსაჩებასა ზედა და კეთილ მსახურებასა, და არა თუ მთელი ერისა და ქვეყნის, არამედ თვითოეული კაცისა, კერძო პირისაც; ყურადღებით უნდა დაუკვირდე გარემოს შენსა და ბევრს მაგალითს დაინახავ, რომ შენი ნაცნობი კაცი, რომელი უწინ მდიდარი იყო, დაღარიბდა, დაეცა, დაგლახაკ-

და; გამოიკითხე, შეიტყე, რა იყო მიზეზი მისისა დაგლახაკებისა, და შეიტყობ, რომ მიზეზი იყო ცუდი, ლვთის წინააღმდეგი ცხოვრება. პრ მიიღო მან მშვიდობა ლვთისა, და მშვიდობა განშორდა მისგან და შთავარდა იგი შფოთსა და უბედურებასა შინა.

უკანასკნელთა ამათ წელთა ჩვენს ქვეყანაში, მეტადრე ახალგაზღობამ მიაქცია ყურადღება ჩვენი ქვეყნის და ერის წარსულს ცხოვრებასა, ჩვენი მამა-პაპის ისტორიასა; იწყეს აღწერა და შესწავლება მათთა ჩვეულებათა. ხშირად მოგვიწოდებენ ჩვენც ისინი მამულის, ჩვენი ქვეყნის ისტორიის სწავლასა, ჩვენი ენის არა დავიწყებასა. დიალ პატიოსანი არის და მოსაწონი ეს მიმართულება! მაგრამ აქ ერთი მაკვირვებს მე და მაწუხებს: ის, რომ ახლანდელთა მწერალთა არა აქვთ საკმაოდ მიქცეული ყურადღება სწორედ იმაზე, რაც უმეტესად შესანიშნავი და უმთავრესი თვისება ჰქონდა ჩვენთა წინაპართა, რითაც იგინი იყვნენ გამხნევებულნი, აღტაცებულნი, რაც მართავდა მათ, აძლევდა ღონეს და ძალს. მს იყო სიყვარული საღმრთო სჯულისა, მართლ-მაღიდებელი ეკკლესიისა. სარწმუნოებამან მათმან დაიცვა იგინი, სარწმუნოებამან გააძლებინა და მოიცვანა ვიდრე აქამომდინ ჩვენი ერი!.. ამაზედ ახალი მწერლები არ მიაქცევენ საკმაო ყურადღებას და მით ივიწყებენ ჩვენი წინა-პრების უმჯობესსა სამკაულსა. საშუალ აურიცხველთა ამბოხთა, მტრების ბრძოლათა, მათ ჰქონდათ გულში ის საღმრთო მშვიდობა, სიყვარული, შური სჯულისა და მამულისა, რომელმაც იგინი დაიცვა და აქამომდე მშვიდობით მოიცვანა! ვევედროთ მაცხვარს ჩვენსა არ მოაკლოს ჩვენსა ერსა და ქვეყანასა მისი მფარველობა და შოვლად ჭმინდა დედა მისი მარადის უყურებდეს ამ ქვეყანასა, ვითარცა წილ ხვდომილისა თვისის საკუთარი მფარველობისასა. ამინ.

მენელსაცხებლეთა კვირიადესა ზედა.

და ვითარება გარდახდა შაბათი იყო, მარიამ მაგდალინელმა, და მარიამ იაკობისამან, და სალომე იყიდეს ნელსაცხებელი, რათა მოვიდენ და სცხონ მას.

(მარქ. 16, 1).

რა. მშვენიერი და ღირსი ქებისა იყო, ძმანო ქრისტიანენო, მოქცევა მენელსაცხებლეთა მათ, რომელთა ხსენებასა დღეს აასრულებს წმინდა ეკკლესია! მათ მოინდომეს მსახურება და პატივისცემა მიცვალებულისა, უპატიოდ დასჯილისა, განკიცხულისა, ჯვარცმულისა, ავაზაკთა შორის შერაცხულისა. მათ არ შეეშინდათ უწყალოთა იესო შრისტეს მტერთაგან, რომელნი სდევნიდენ ყოველთა მისა მეგობართა. იგინი უანგაროდ და თავგადადებით, ადრე განთიადისას მიდიან, რათა ძვირფასითა ნელსაცხებელით სცხონ მისი გვამი. მათ ჯერ არ იცოდენ, რომ იესო შრისტე იყო ძე ღვთისა. იგინი ვერც მოიფიქრებდნენ, რომელ მომავალს დროებაში მთელი ქვეყანა გახდება თაყვანისმცემელი იესო შრისტესი. თუ კი თვით მოციქულთა არ ესმოდათ ჯერ ეს დიდი ჭეშმარიტება, მენელსაცხებლენი დედანი როგორ მიხვდებოდნენ ამას! მოციქულნი და მოწაფენი შრისტესნი შიშისაგან დაიფანტნენ და დაიმალენ, გარნა სუსტნი დედანი თამამად გამოაჩენენ თავთა მათთა იესო შრისტეს პატივის-მცემლად.

აპა, დიდი და უსაჭიროესი მაგალითი ყოველთა ქრისტიანეთათვის. შრისტიანმა კაცმა ყოველი კეთილი საქმე, ქველის მოქმედება უნდა აღასრულოს პირველად უსასყიდლოდ, უანგაროდ. რამ განაღვიძა მენელსაცხებლენი მსახურებად დამარხულისა. იესო შრისტესა? რამ მისცა მათ ეგოდენი მხნეობა

და მამაცობა, რომ არათრის არ შეეშინდათ? მრთმა მხოლოდ მათმა კეთილმა ხასიათმა, დედობრივმა სიყვარულმა და პატი-ვისცემამ, და არა სასყიდლის მოლოდინმა. თუ კაცი კე-თილს საქმეს იქმს მისთვის, რომ სახეში აქვს რამე სასყიდლის მიღება, ანუ ჯილდოისა, მაშინ მის კეთილს საქმეს არა აქვს ზნებითი მნიშვნელობა.

მართალია, თვით საღმრთო წერილი კაცსა კეთილსა, ქვე-ლის მოქმედსა, აღუთქვამს სასუფეველსა ცათასა, გვირგვინსა, ზეციერსა დიდებასა, საუკუნოსა ნეტარებასა. არც ცოდვა არის, რომ კაცი განაღვიძებდეს თავის თავს ქველის მოქმედე-ბისათვის და წმინდა ცხოვრებისათვის წარმოდგენითა ხსენე-ბულთა ზეციერთა ჯილდოთასა. მსგავსადვე ამისა, იგივე სიტ-ყვა ლვითისა ემუქრება და შეაშინებს ცოდვის მოურიდებელსა კაცსა საუკუნო დასჯითა, დაუშრეტელი ცეცხლითა, დაუძი-ნებელი მატლებითა და სხვათა საშინელთა სასჯელთა მიერ; კიდეც უნდა წარმოიდგენდეს კაცი ხშირად ამათ ყოველთა და მით გაათროთხილებდეს თავსა თვისსა. ზარნა იგივე საღმრთო წერილი და წმინდანი მამანი განგვიმარტებენ, რომელ თუ ქრისტიანე მარტო შიშისაგან სასჯელთასა და სურვილისა გა-მო ჯილდოისა მოერიდება ცოდვათა და იქმს კეთილსა საქმე-სა, იგი სდგას დაბალსა ზედა ხარისხსა სათნოებისათა, იგი ან-გაარებით იქმს კეთილსა საქმესა. ხოლო უმაღლესი ხარისხი სათნოებისა ის არის, როდესაც ქრისტიანე კაცი კეთილსა იქმს, წმინდად სცხოვრობს, განლვიძებული ლვის სიყვარუ-ლითა და მოყვასის სიყვარულითა. მაგრა უნდა მიგიზიდავდენ შენ. თვით ლმერთიც არა მისთვის უნდა გიყვარდეს უმეტეს ყოვლისა, რომელ იგი აღითქვამს შენ და კიდეც მოგცემს სასყიდელსა, არამედ მისთვის, რომელ იგი არის უმჯობესი, უდიდესი, უკეთესი ყოვლისა და ყოვლითა. მოყვასი შენი უნდა გიყვარდეს და ყოველს კეთილს საქმეს იქმოდე არა მის-თვის, რომ მერმე დაგაჯილდოვებს იგი, გადაგიხდის, არამედ მისთვის, რომ თვით სიყვარული მოყვსისა და ყოვლისა კეთი-ლისა საქმისა არის კარგი, პატიოსანი და ღირსი შენისა ბუ-ნებისა. მაშასადამე თვით გუნება შენი, ანუ ხასიათი, თვისება, უნდა მიგიზიდავდეს მათდამი. როგორც სხეული შენი მოი-

თხოვს საჭმელსა, მსგავსადვე სული და გული უნდა ითხოვდეს ყოველსა კეთილსა საჭმესა.

მეორედ, კეთილი საჭმის აღსრულებისათვის კაცი უნდა იყოს თავ-გამომეტებული, თავ-გადადებული. ქეთილთა საჭმე-თა შორის იგინი უფრო დიდი ფასისა არიან, რომელნიც ჩვენ-გან მოითხოვენ მომეტებულსა შრომასა ჲთავის დადებასა. მდი-დარმა კაცმა მცირე მოწყალება რომ გამოიღოს გაჭირვებუ-ლი კაცისათვის, რა დიდი რამ იქნება; და თუ ამასაც არა იქმს, მაშინ იგი კიდეც დაისჯება. გარნა კაცი, რომელიც თვითო-ნაც ლარიბია, მაგრამ გამოიმეტებს და მისცემს მას მოწყალე-ბას, რასაკვირველია უფრო დიდი ფასი ექმნება მის კეთილ საჭმეს. მდიდარს და შეძლებულს კაცს რომ ემსახუროს ვინმე, პატივი სცეს, რა იქმნება; გარნა თუ საწყალს კაცს, დაჩა-გრულს ემსახურე, შეეწიე რომლისაგან არაფერს მოელი, ეს მართლა კარგი და მოსაწონი საჭმე იქმნება.

მენელსაცხებლეთა დედათა არა მიხედეს თავიანთს სისუს-ტესა, შიშასა, თავი გამოიმეტეს, და მისთვის დიდი ფასი ჰქონ-და მათსა საჭკიროესი ზნეობითი საჭმე ყოველი ქრისტიანე კაცისათვის ის არის, რომ მისი ცუდი ბუნება შეი-ცვალოს კარგ ბუნებათ, ხასიათი გაუკეთდეს, სულიერნი თვი-სებანი მისნი გაუმჯობესდნენ, თესლი იგი ხრწილებისა, რომე-ლიც არის მის ბუნებაში განქარდეს, ერთი სიტყვით, იგი შეიქ-ნეს ლვთის კაცად, გამზადებულად ყოვლისა კეთილისა საჭმი-სათვის. რა სარგებელი ექმნება იმ კაცს, რომელიც თუმცა კი იქმს ზოგჯერ ზოგიერთთა კეთილთა საჭმეთა, გარნა არა საუნჯისაგან კეთილისა გულისა თვისისა, როგორადაც იტ-ყვის საღმრთო წერილი, არამედ შემთხვევით, ანუ სხვა რომე-ლიმე უჯერო მიზეზისაგან, მაშინ როდესაც ყოველთა ცოდ-ვათა და ცუდ საჭმეთა იგი იქმს ხშირად გულითადი ერთგუ-ლობით, ანუ, როგორადაც თქმულ არს საღმრთოსა წერილსა შინა: ბორთტისაგან საუნჯისა გულისა მისისა გამთიდის ბორთო. ძარგია ისიც, როდესაც მონას ეშინია შფლისა თვისისა და ამისათვის რიგიანად ემსახურება მას; ამაზედ უმჯობესია, როდესაც მონა იფიქრებს: შფალი ჩემი დიდი კაცი არის, მდიდარი, თუ კარგად ვასიამოვნე, ვემსახურე, მოწყალებას

მომცემს, დამაჯილდოვებს, და ცდილობს კარგად ემსახუროს მას. ზარნა ამას ორივეს ის სჯობია, როდესაც მონას მართლა უყვარს. თვით შფალი, უყვარს მისთვის, რომ ხედავს სიკეთესა, სახიერებასა, მისსა და ემსახურება მას ერთგულად, თავ-გადა-დებით. მსრეთ ვფიქრობდეთ და ვიქმოდეთ ჩვენცა, მონანი ღვთისანი! მას ვემსახურებოდეთ, იგი შევიყვაროთ, მას ვემო-რჩილოთ, მისთვის, რომ იგი არის სახიერი მამა ჩვენი, მხო-ლო ღირსი ყოვლისა პატივისა და მორჩილებისა. სწორედ ასე მოიქცენ ნეტარნიცა იგინი მენელსაცხებლენი. ამინ.

ს ი ტ ყ პ ა

მესამესა კვირიაპესა ზედა მენელსაცხებლენთა.

ალსდგა, არა არს აქა. აპა ადგილი,
სადა დასდევს იგი. (მარკ. 16 6).

ხშირად დაფიქრდება, ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრის-ტიანენო, კაცი ღვთისმოყვარე და სულის ცხონების მოშურ-ნე და მომლოდინე, და გამოიკითხავს, რა მდგომარეობაში ვი-ქმნებით ჩვენ მომავალსა საუკუნესა შინა, რა ნაირი ცხოვრება იქმნება საიქიოსა. პრც უადგილო არის ამისთანა კითხვა და ფიქრი! დიალ ღირს, რომ გამოვიკვლიოთ, რა სახით იქმნება ჩვენი არსებობა და ცხოვრება იმ ქვეყანაში. შფალმან ჩვენმან იესო შრისტემან, როგორც სხვანი ყოველნი საჭირონი სწავ-ლანი და მოძღვრებანი მოგვცა და აღგვიხსნა, მსგავსადვე ყო-ველი, რაც საჭირო არის ამ საგანზედ საკუთარი თვისი მაგალი-თით აგვიხსნა და გვაცნობა. პლსდგა რა მკვდრეთით, იგი ორ-მეოცი დღე იქცეოდა კაცთა შორის, სწორედ იმ სახით და იმ მდგომარეობით, რომლითაც კაცნი ცხონებულნი იქმნებიან შემდგომად აღდგომისა. იესო შრისტეს აღდგომა მკვდრეთით გვაჩვენებს, რა მდგომარეობაში ვიქმნებით, რომლითა სახითა ვიცხოვრებთ ჩვენც შემდგომად აღდგომისა. და ესრედ, პირვე-ლად სიკვდილი, ანუ გარდაცვალება გაათავებს, ანუ მოსპობს

მხოლოდ აქაურსა, სოფლიურსა ჩვენსა მოქმედობასა, ხორციელ-
სა ცხოვრებასა. თვით იესო შრისტემ, აღდგომილმა მკვდრე-
თით, გვაჩვენა ჩვენ ესე. ვიდრემდის იგი იყო ქვეყანაზედ,
დაულალავად ასრულებდა ნებასა ზეციერისა თვისისა მამისა,
ავრცელებდა ქვეყანაზედ სასუფეველსა და თვისისა. ბოლოს ური-
ათა იგი ჯვარს აცვეს. ამან შეასრულა მისი სოფლიური შრო-
მა, საქმე. მისი სხეული იქმნა მიცემული საშინელსა სიკვდილ-
სა. მისნი სასწაულ მოქმედნი ხელნი ჯვარზედ მიმსჭვალულნი
გაშეშდენ და გაცივდნენ; თვალნი მისნი, რომლისაგან გამო-
ბრწყინავდნენ აუარებელი სახიერება და მოწყალება, დაბნელ-
დნენ, ბაგენი მისნი, რომლისაგან დაუცხრომელად გამოდიო-
დნენ საღმრთონი სიტყვანი, დადუმდნენ, ღვთაებრივი მისი გუ-
ლი, აღვსებული ზეციერითა მოწყალებითა და ლმობიერები-
თა, დადგა, აღარ ძერდა. იგი მოკვდა სოფლისათვის, გარნა
მისი არსება არ მოისპო. მან სული მისი შეავედრა ხელთა
შინა ზეციერისა მასისათა, რომლისაგან იგი მარადის მოელო-
და აღდგომასა, და ეს სასოება მისი არ გამტყუნდა: ადსდგა,
არა არს აქა. აქა ადგილი, სადა დასდგეს იგ! ჩვენიცა სოფლიუ-
რი ცხოვრება ოდესმე გათავდება, თესლი სიკვდილისა ყო-
ველთვის ჰბუდობს თვით ჩვენს სხეულში; გარნა სიკვდილი არ
მოსპობს ჩვენსა არსებასა. სიკვდილი არის გარდაცვალება, ანუ
გამოცვლა, შეცვლა აწინდელისა ცხოვრებისა სხვა უმჯობესს
ცხოვრებად. მოკვდება მხოლოდ ეს ჩვენი მძიმე სხეული. მიწა
მიწას მიეცემა, გარნა ის შინაგანი ჩვენი გაცოცხლებული სუ-
ლი არ ემონება სიკვდილსა.

მეორედ, შემოდგომად გარდაცვალებისა ჩვენ არ გვეკარგე-
ბა ხსოვნა, წარმოდგენა ყოვლისა, რასაც ამ სიცოცხლეში
ვიქმთ. შფალი იესო შრისტე შემდგომად აღდგომისა თვისისა
იყო იგივე, როგორც სიკვდილამდი. სიკვდილმა არ მოსპო მის
შორის მეხსიერება იმისა, რასაც იტყოდნენ მასზედა წინასწარ-
მეტყველნი, რაც აღუთქვა მან მოწაფეთა თვისთა. შემდგო-
მად სიკვდილისა იმასვე ასწავლიდა მოწაფეთა თვისთა, რასაც
სიკვდილამდე.

შეუძლებელია, ქმანო ჩემნო, რომ ჩვენთვისაც ისე არ

მოხდეს. შინააღმდეგ შემთხვევაში, ესე იგი თუ დაგვავიწყდა ყოველი, რაც ქვეყანაში ვნახეთ, აღვასრულეთ, შევიყვარეთ, აღარც ცხონება და აღარც წაწყმედა შეიძლებოდა კაცისა. ჩვენ მაშინ სულ სხვანი ვიქმნებოდით და ვეღარ მივიღებით და დასჯას.

მესამედ, იმ ქვეყანაში ჩვენ გადვიტანთ აქითგან ყოველთა სულიერთა ჩვენთა თვისებათა. აქეთგან გაგვყვება ჩვენ ყოველი ჩვენი ღირსება და თვისება, ნაკლულევანებაცა, ცოდვაცა და მადლიც. იესო ძრისტე შემდგომად აღდგომისა თვისისა იქცეოდა იმავე ხასიათით და მიმართულებით, როგორადაც უწინ სიკვდილამდე იქცეოდა, იგივე სიყვარული და სახიერება, იგივე მოშურნეობა და დიდებისა, იგივე სიბრძნე, სწავლა, ღიდება და ღვთაებრივი სახელი! მართლაც, თუ უკვდავსა სულსა სიკვდილი ვერ შეეხება, იგა ვერც მოაკლებს მას საკუთართა მისთა თვისებათა, რომელიც მან შეიძინა ამ ქვეყანაში; სიკვდილი ვერ წაართმევს სულსა კაცისას ყოველსა, რითაც თითოეული კაცი განსხვავდება სხვათა პირთაგან. და თუ ეს ასეა, ძმაო ჩემო, თუ აქედგან გაგყვება შენ ყოველნი შენი ღირსებანი და ნაკლულევანებანი, ნუ თუ არ ხედავ, რა სანუგეშოა ერთი მხრით ეს გარემოება და რა საშინელი მეორე მხრით? ნუ თუ არ ხედავ, რომ შენ აქვე შენი ხელით აშენებ შენ თვის, ანუ ჯოჯოხეთსა ანუ სამოთხესა? რას იქმ შენ მაშინ, იქა, ჰოი ანგაარო, ხარბო, შურით აღვსებულო? შოველი შენი ნუგეში, ყოველი შენი კერპნი აქ დაგრჩება, გადახვალ იქა გატიტვ ლებული და მოკლებული ყოველთა შენთა ნუგეშთა. მარტო ეს იქმნება შენთვის ერთი ჯოჯოხეთი. ზიხაროდენ თქვენ, კეთილის მოყვარენო, და მოყვარენო, სიმართლის მოყვარენო! იქ დაგხვდებათ თქვეს ბეღნიერება, მოგეცემათ რაც გიყვარდათ, შეემთხვევით, რაც გსუროდათ და რასაც ეძიებდით.

მეოთხედ, მომავალსა შინა საუკუნესა ჩვენ შევალთ ახალსა შინა წრესა ცხოვრებისასა, რომელსა შინა გამზადებული არის ნეტარება მათთვის. რომელი დაუცხომელად იღვწოდნენ ამ ქვეყანაში. სიკვდილმა გაათავა ყოველი მწუხარებანი და ტანჯვანი შფლისა იესო ძრისტესნი. მეოთონ იგი იტყოდა, რომ ვნებითა და სიკვდილითა უნდა შევიდეს დიდებასა თვისისა, და

მართლაც, შემდგომად აღდგომისა, ვითარცა თვითონ იტყოდა, მიუწა მას ეფეზიგე უფლება ფათა შინა და ქვეყნისა ზედა, დაჯდა იგი მარჯვენით გამისა თვისისა და მუნ იგი მართავს ყოველივეს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. ჩვენც ესრედ მოგვიხდება შემდგომად სიკვდილისა, სული ჩვენი, განთავისუფლებული ყოვლისა სოფლიურისა მწუხარებისა და ამაოებისაგან, დაუბრკოლებლად გაშლის, გაავრცელებს თვისთა თვისებათა და ლონეთა, გავა ვრცელსა ზედა ასპარეზსა ცხოვრებისა და მოქმედებისასა, თან-და-თან მიეახლება ღმერთსა, წყაროსა ყოვლისა კეთილობისა და ნეტარებისასა. ჩვენი ცნობის მოყვარეჭუუა იპოვნის ისრეთსა საგანსა ცნობისასა, რომელიც შეიქმნება საუკუნო მისი საზრდო და მისწრაფება.. ზული ჩვენი და გრძნობა მარადის მეძიებელი სიხარულისა და ბედნიერებისა, შეემთხვევა ისრეთსა წყაროსა ბედნიერებისასა, რომლისაგან უკუნითი უკუნისამდე აღმოივსებს დაუსრულებელსა სიხარულისა და ნეტარებასა.

ბოლოს, მეცუთედ, სხეულიც ჩვენი შემდგომად აღდგომისა შეიქმნება სულიერი, ჰაეროვანი, მსუბუქი და უკვდავი. მაცხოვარსა შემდგომად აღდგომისა ჰქონდა იგივე სახე ხორციელი, იგინივე ასონი, მისს საღმრთო ხორცზედ იხედებოდენ სახე სამსჭვალთა ეკლის გვირგვინისა. თომამ თითითა თვისითა განიხილა ხელნი მისნი, ფერხნი და გვერდნი. ზარნა, ამასთანავე მისი სხეული სულ სხვა ნაირი იყო, სიმძიმე ანუ ხენეშობა, ანუ რაიმე სოფლიური განხრწნადი მასალა არა ჰქონდა. იგი შევიდოდა კართა ხშულთა, უცბად იქმნებოდა ხილული და მყისვე უხილავი, წამსა შინა თვალისა იერუსალიმითგან ბალილისა გაჩნდებოდა წინაშე მოწაფეთა თვისთა, ბოლოს ამაღლდა ზეცად. ჩვენი ხორციც, ძმანო ჩემნო, შეიქმნება ეგრეცა უხრწნელი, ჰაეროვანი, არა ქვეშევრდომი სივრცისა, ანუ უამისა, იმასაც კედელი ვეღარ დააკავებს, ზეცას ამაღლდება თუმცა სახე და შედგენილობა ექმნება იგივე. მსრედ მაცხოვარმა გვიჩვენა ჩვენ, რა ვიქმნებით შემდგომად სიკვდილისა. ხორციცა ჩვენი უნდა დავიცვათ და მოვამზადოთ, ძმანო ჩემნო, მომავალისა ცხოვრებისთვის, მარხვით, მოთმინებით, სიწმინდით. იგიც იქმნება მოზიარე მომავალისა

ნეტარებისა, ანუ ტანჯვისა, რომელთაგან პირველი მოგვცეს ჩვენ ყოველთა ღმერთმან და მეორისაგან გვიხსნას. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

მესამესა მენელსაცხებლეთა კვირიაპესა, შემდგომად
აღდგომისა.

და მიჭირედა და იხილა, რომელი იგი დასდებდეს შესაწირავსა ფასის-საცავ-სა მას მდიდარნი. და იხილა ვინმე ქვრივი გლახაკი, რომელმან დასდვა ორი მწვლილი; და სთქვა: ჰეშმარიტად გეტყვი თქვენ, რამეთუ ქვრივმან ამან გლახაკმან უმეტეს ყოველთასა შესწირა. რამეთუ, ამათ ყოველთა ნამეტნავისაგან მათისა დასდვეს შესაწირავსა ამასა ღმერთისასა, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან თვისისა ყოველი, რაიცა აქვნდა საცხოვრებელი შესწირა. (ლუკ. 21. 1—4).

აწინდელი ჩვენი სიტყვა, ძმანო მართლ-შადიდებელნო ქრისტიანენო, იქმნება გაგრძელება იმ სიტყვისა, და იმავე საგანზე, რომელზედაც ვსთქვით ჩვენ სიტყვა წარსულს კვირიაკეში. გარნა, პირველად მოვიყვან სახარებისაგან ერთს მოკლე მოთხრობას, რომელიც ფრიად შეეწევა, დაამტკიცებს და განამაგრებს სიტყვასა ჩვენსა.

ერთხელ, შფალი ჩვენი იესო შრისტე მოწაფეებითურთ თვისით იყო იერუსალიმის ტაძარსა შინა და დაინახა, რომ ერთმა გლახაკმა ქვრივმა დედაკაცმა დასდვა შესაწირავად ეკლესიისა თრი მწვლილი, ანუ ორი ფარა, მაშინ როდესაც იქავე მდიდარნი შესწირვიდენ დიდ-ძალს ფულსა. მაცხოვარ-

მან მიიქცა და უთხრა მოწაფეთა თვისთა: ჭეშმარიტად გეტეგი თქვენ, რამეთუ ქვრივმან ამან გლასხავმან უმეტეს უფველოა შესწირა, რამეთუ ამათ უფველოა ნამეტნავისაგან მათისა დასდგეს შესწირავსა ამასა ღვთისასა, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან თვისისა უფველი, რაიცა აქვნდა საცხოვრებელი შესწირა. ამ მოკლე მოთხრობისაგან გამოდის ის სანუგეშო ჭეშმარიტება, რომელ ღმერთი მოწყალების თვალით უყურებს ყოველსა გულ-წრფელსა და ერთგულსა შესაწირავსა, რაც გინდა წმინდილი იყოს იგი, მაშასა-დამე ყოველსა ღვთის მოყვარესა კაცსა უნდა უყვარდეს შეწირვა ღვთისა და მსახურება ნაყოფისაგან თვისისა.

სხვათა შესაწირავთა და მსახურებათ შორის, რომლითა ქრისტიანე კაცს შეუძლია დაამტკიცოს თვისი ერთგულება და სასოება ღმერთზე, ძველთაგანვე მიღებულ არს ანთება ეკლესიაში წინაშე ხატთა წმინდა სანთლისა. რას ნიშნავს ეს ჩვეულება? რას მოასწავებს წინაშე ხატისა ანთებული სანთელი? როგორადაც ახსნიან წმინდანი მამანი, როდესაც კაცი სანთელს აღანთებს წინაშე ხატისა, ამით იგი ხილულითა ნივთითა გამოუცხადებს ღმერთსა, რომელ მისი გულიც და სულიც არის ანთებული ერთგულებითა, სიყვარულითა და სასოებითა ღვთისადმი. შოველთა შორის ურიცხვთა ქვეყნიერთა ნივთიერებათა, განგებ გამორჩეულ არს წმინდა სანთელი ძლვნათ ღვთისა, მისთვის რომელ იგი არის შედგენილი ტკბილისა და კეთილ სუნნელისა მასალისაგან, ესე იგი, თაფლისაგან, რომელსა ფუტკარი შეკრებს სხვათა და სხვათა ყვავილთაგან, მაშასადამე იგი არას, ყოველ ნივთთა შორის უმშვენიერესი და უწმინდესი. გარნა, მეორე მნიშვნელდბაც აქვს ანთებულს სანთელს. იგი ანათლებს და ათბობს გარემოს თვისსა, მაშასადამე იგი გამოხატავს მაღლისა სულისა წმინდისასა, რომელი ერთბაშად ათბობს და ანათლებს გულსა კაცისასა. მაშასადამე კარგს და კარგის მომასწავებელს ძლვენს. მიართმევს ის კაცი ღმერთსა, რომელიც ეკლესიაში აღანთებს სანთელსა. გარნა ესრეთსა ღვთის მსახურებასა და შეწირვასა აქვს მეორე კერძო, რომელიც უფრო დიდს ფასს და მნიშვნელობას აძლევს მას, რომელზედაც ახლა უხდა ვსთქვათ ჩვენ მოკლედ.

წმინდა სანთლის ანთებით მსახურება და შეწირვა ღვთი-

სადმი მით არის კარგი, რომელ, პირველად, იგი შეუძლია აღასრულოს ყოველმა კაცმა, ესე იგი, არა თუ მდიდარმა და შეძლებულმა, არამედ თვით უღარიბესმა. როგორადაც თავიდგანვე მოყვანილი მაგალითი გვიმტკიცებს, ღმერთი უყურებს არა რაოდენობასა შესაწირავისასა, არამედ ერთგულებასა შემწირველისასა. მეორედ, იმ ფულით, რომელიც რჩება ეკლესიაში გაყიდული სანთელისაგან, მრავალი ფრიად პატიოსანი და ღვთის სათნო საქმე სრულდება. იქნება შენ, ძმაო, არც კი გიფიქრია ამაზე და არც კი იცი, რა კეთდება იმ ფულით, რომელიც შემოვა ეკლესიაში სანთლის გაყიდვისაგან? ამცხოვის საჭიროდ ვრაცხ ახლა მოკლედ აღგიხსნა შენ.

მრავალი კეთილი და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე კეთდება იმ ფულისაგან მთელს ჩვენს სახელმწიფოში და თითქმის ყოველთა ქალაქთა შინა. სხვათა შორის სასწავლებელთა საეროთა ყოველგან, ვითარცა უწყით თქვენც ყოველთა, არიან სასულიერო სასწავლებელნი, რომელთა შინა იზრდებიან და სწავლობენ თითქმის უმეტეს ოცი ათასის ყმაწვილისა. მათ შორის თითქმის ნახევარი არიან ობლები, ამ სასწავლებელში სწავლობენ და ემზადებიან, და მათგან გამოდიან ყოველი ხარისხის სამღვდელონი და საეკლესო მსახურნი. ზარმოიდგინე ახლა, რაოდენი ფული დასჭირდება სასულიერო მთავრობას ხსენებულთა სასწავლებელთა შენახვისათვის? საითგან შემოდის ეს ფულები? შმეტესი ნაწილი იმ სანთლის ფულისაგან, რომელიც იყიდება და რჩება ეკლესიაში. ზარდა ამოდენი ურიცხვი ხარჯისა, თვით ეკლესიებს შენახვა უნდა და ხარჯი: შესამოსელი, წიგნები, სამკაული, შენობის დაცვა და შეკეთება. მსენიც ყოველნი დაკმაყოფილდებიან ერთი მხრით იმავე წყაროისაგან.

ახლა, ძმაო, იფიქრე და წარმოიდგინე, ერთად რაოდენი კეთილი და მოსაწონი კერძო აქვს ამ ჩვეულებას, ესე იგი, სანთლის ანთებას, რაოდენი კეთილი და სასარგებლო საქმე შეუდგება მას! მცირე რამე ფულს გამოიღებ შენ და აღანთებ სანთელს წინაშე ხატისა; ამით პირველად შენ მიართმევ ღმერთს ძლვენსა და პატივს სცემ ხატსა მისსა, მეორედ ეწევი შენი სალოცველის შენახვასა და შემკობასა, იმ სალოცველის,

სადაცა ძვალთა შენთა წინაპართა-თანა შენცა უნდა მიიღო საუკუნო განსვენება. მესამედ, რაც აქითგან გადარჩება, ის მოიხმარება ობლების გამოსაზღველად სასწავლებელთა შინა; მაშასადამე ერთითა და იმავე მცირითა ხარჯითა სამსა უპირველესსა სათნოებასა ასრულებ! ვისაც ეს ესმის, უთუოდ ის შეიყვარებს სანთლის აღნთებასა ეკულესიასა შინა. შეჭველია, ეს კარგად ესმისთ დალოცვილთა რუსეთის მართლ-მადიდებელთა მცხოვრებთა. იქ თვით უკანასკნელი და უღარიბესი კაცი ისე არ მოისმენს წირვას, რომ მცირე მაინც სანთელი არ აღანთოს. შენც შეგიძლია დაუკვირდე მათს ერთგულებასა და ხასიათსა, მაგალითებრ: რა საშუალება და ლონე უნდა ჰქონდეს უბრალო სალდათს? ვგონებ, ის თვეში ორ აბაზსაც ვერ ნახავს თავის ხელში; მაგრამ, თუ დაუკვირდები მათს საქ-ციელს, ძვირად დაინახავ, რომ მათგანმა ვინმემ არ აღანთოს მცირე მაინც სანთელი საყდარში წირვაზე. დაუკვირდი კიდევ, თუ გინდა, უბრალო მუშა ბერძენს, რაც გინდა ღარიბი იყოს; ტანსაცმელიც რომ არ ეცვას, საყდარში კი უთუოდ აღანთებს სანთელს.

მხედველი და გამხსენებელი ამის ყოვლისა, ჭეშმარიტად შეწუხდება, როდესაც ამასთან შეადარებს ჩვენსა ხასიათსა და ზნეობასა. არა თუ ღარიბთა, არამედ თვით მდიდართა შეხედე ჩვენში, ბევრჯელ აღანთებენ იგინი ეკლესიაში სანთელს? მაგრამ, რა ვთქვი ესა! დარიბნი და საწყალნი კიდევ ზოგჯერ მაინც, მზგავსად გლახაკისა მის დედაკაცისა, ერთსა ანუ ორსა მწვლილსა მოიხმარებენ ნაკლულევანებისაგან მათისა სანთლის საყიდლად, გარნა მდიდარნი ნამეტნავისაგანაც მათისა არაფერს არ იმეტებენ. ჩვენთა ეკლესიათა სანთლის მონაგებისაგან არა თუ არაფერი გადარჩება სასწავლებელში ობლების გამოზრდისათვის, არამედ თვით იგინი არიან გარეთგან დაუხურავნი, შიგნით შეუმკობელნი, ტრაპეზნი და მისნი მსახურნი შეუმოსელნი. ნუ მეუბნები, ეს ჩვენი სიღარიბისაგან არისო! არა სიღარიბისაგან არის, არამედ გულ-გრილობისაგან და სულ-მოკლეობისაგან, ორი მწვლილი, ანუ ორი კაპეიკი ვის არ ექმნება, ანუ ვის რას დააკლებს, რომ საყდარში სანთელი აღანთოს? შოველი კაცი რომ მარტო თითო კაპეიკის სანთელს

აღანთებდეს, იქითგანაც საკმაო შემოსავალი შედგება, მაგრამ ისიც ეზარება ჩვენში კაცს.

ქმაო! სამთა ეგოდენ დიდთა სათნოებათათვის, ვითარცა ლვთის პატივის-ცემა, ეკლესიის შემკობა, ობლების გამოზრდა, არა თუ განხრწნადი ფულის გამოლება არ უნდა გემძიმებოდეს, არამედ თავისა შენისა სიცოცხლე არ უნდა დაზოგო.

მოგვეც ჩვენ, ლმერთო, ესრედ ფიქრობად და ესრედ ქმნად. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

მენელსაცხებლეთა პვირიაქესა ზედა.

ქმანო მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო! დღეს, ვითარცა უწყით თქვენცა, წმინდა ეკლესია ასრულებს ხსენებასა და ქებასა წმიდათა მენელსაცხებლეთა: მოსებ არიმათელისა, ნიკოდიმოსისა, მარიამ მაგდალინელისა და სხვათა რომელთამე მენელსაცხებლეთა. რითვის ელირსნენ, ქმანო ჩემნო, ხსენებულნი პირნი ეგოდენსა პატივსა და დიდებასა, რომელ წმინდამან ეკლესიამან დანიშნა ეს პირველი და სხვათა უმთავრესი კვირიაკე საკუთრად მათის ხსენებისათვის, აქებს და აღამაღლებს მათ დღეს? რა ქმნეს მათ ამის ღირსი? სახარება არ მოგვითხრობს ჩვენ, რომ იგინი ყოფილიყვნენ მაცხოვართან მსგავსად მოციქულთა განუშორებელად, ანუ მერმე მიეღოთ მონაწილეობა ქადაგებასა შინა მისისა სახარებისა. არც ის სჩანს, რომ შემდგომად იესო ქრისტეს ამაღლებისა იგინი წასულიყვნენ სხვა და სხვა ქვეყნებში ქადაგებად სახარებისა, მიეღოთ მრავალი ტანჯვა, და სისხლი დაეთხიათ ქრისტეს სჯულისათვის. მაშასადამე, რისთვის მიანიჭა მათ ეკლესიამ ესოდენი ღირსება და პატივი? მხოლოდ მისთვის, რომ მათ დიდი ერთგულება, სიყვარული და სამსახური გამოაჩინეს იესო ქრისტესადმი, სწორედ იმ დროს, როდესაც იგი იყო დატევებული

და მოკლებული ყოველთა მისთა მახლობელთა და მოყვარე-
თაგან, დროსა ვნებისა, ჯვარცმისა და დაფვლისა. ისე ბ არი-
მართელი და ნიკოდიმოს, ვითარცა მოგვითხრობს სახარება,
უწინაც იყვნენ იესო ქრისტეს მოწაფენი, გარნა, ვიდრემდის
შფალი იყო დიდებასა შინა, ვიდრემდის მას ჭყავდა მრავალნი
განცხადებულნი მოწაფენი, ვიდრემდის მას მისდევდა ურიცხვი
ერი, რგინი განცხადებულად არ იყვნენ მასთან. ზარნა, როდესაც
შფალი ჯვარს აცვეს, და შეშინებულთა მოწაფეთა დასტოვეს
იგი, მაშინ ამათ, მხნეთა მენელსაცხებლეთა, თამამად გამოუცხა-
დეს. თავიანთი სიყვარული და ერთგულება. ისე ბ არიმათიე-
ლმა კაღნიერად გამოითხოვა პილატესაგან გვამი იესო ქრის-
ტესი, და დიდითა პატივითა და ერთგულებითა დამარხა იგი
თავის საკუთარს მომზადებულს სამარეში; ნიკოდიმოსმა დიდი
ერთგულებით და სიყვარულითა მრავალნი, ძვირფასნი ნელსა-
ცხებელნი მოიხმარა იესო ქრისტეს გვამის დამარხვაზე. მსგავ-
სადვე, დედანი მენელსაცხებლენი განცხადებულად ტიროდენ
და იგლივდენ იესო ქრისტეს ჯვარცმაზე, კაღნიერად და
უშიშრად იდგნენ წინაშე ჯვარისა მისისა, მოსწრაფებით და
მხურვალე ერთგულებით მირბოდენ განთიად საფლავსა ტირი-
ლად და ნელსაცხებელის ცხებად მისია. ამისთვისაცა მაცხო-
ვარმან დიდად დააფასა ამათი ღრმა სიყვარული, და შემდგო-
მად აღდგომისა თვისისა, იგი პირველად გამოეცხადა და „გი-
ხაროდენი“ უთხრა არა მოციქულთა და მოწაფეთა თვისთა,
რომელნი. სულმოკლედ დაიფანტენ შიშისათვის ურიათასა,
არამედ მხნეთა ამათ და სულ-გრძელთა მენელსაცხებლეთა
დედათა.

შმინდა ეკლესია ახლა აქებს და ადიდებს საქციელსა მე-
ნელსაცხებლეთასა. რისთვის? პირველად მისთვის, რათა მაღ-
ლობა გარდუხადოს მხნეთა ამათ და კეთილთა პირთა, რომელ
იგინიჟამსა მაცხოვრის ვნებისა და სიკვდილისა და დაფლვისა შეე-
წიენ, ემსახურენ მას. მეორედ მისთვის, რათა მათის მაგალი-
თითა განაღვიძოს ჩვენს გულში იგივე ერთგულება, სიყვარუ-
ლი და სამსახური იესო ქრისტესი. მათი მაგალითის წარმოდ-
გენით შმინდა ეკლესია ესრეთ ეტყვის ყოველთა კაცთა: შეხე-
დეთ მხნეთა ამათ მენელსაცხებლეთა, პბაძევდით მათსა ერთ-

გულებასა და თქვენცა ემსახურეთ მასვე შრისტესა ნაყოფთაგან თქვენთა. ნუ დაივიწყებთ მენელსაცხებლეთა დედათა ერთგულებასა და თავის გამომეტებასა; ეძიებდეთ თქვენცა შფლის იესოს მსახურებასა და შემწეობასა. **თუმცა იესო შრისტე ამაღლდა ზეცად, მჯდომარე არს მარჯვენით მამისა, და, მაშასადამე, მისთვის აღარ არის ახლა საჭირო ჩვენი შემწეობა, სამსახური, გარნა ერთი მხრით, იგივე შფლი იესო შრისტე ახლაცა ჩვენ შორის იქცევა და მდგომარეობს საყდართა, საიდუმლოთა, წირვა ლოცვას და სხვათა წესთა შინა. მაშასადამე, ახლაც საჭირო არის მისთვის მსახურება, ერთგულება, საჭირო არის სახლი ანუ ეკლესია, რომელსა შინა ახლაც ასრულებს იგი საიდუმლო სერობასა, პურის და ღვინის კურთხევასა. ახლაცა საჭირო არიან მისთვის ჭურჭელნი, შესამოსელნი, სახვეველნი. მაშასადამე, ახლაც ერთგულთა მისთა და კეთილთა მოყვარეთა შეუძლიათ, მსგავსად ნიკოდიმოსისა, მარიამ მაგდალინელისა და სხვათა მენელსაცხებლეთა ემსახურონ მას ნაყოფთაგან თვისთა.**

შსრეთნი განზრახვანი აქვს წმინდასა ეკლესიასა, როდესაც დღეს ასრულებს ხსენებასა წმინდათა მენელსაცხებლეთასა. მაღლობა ღმერთს, განზრახვა ეკლესისა დასწავლა მისი არ რჩება უნაყოფოდ! მრავალნი შრისტეს მოყვარენი დედანი და მამანი ისმენენ მისსა სწავლასა, ემსახურებიან შრისტეს მსგავსად მენელსაცხებლეთა, უშენებენ მას სახლსა, ანუ ტაძარსა, მიართმევენ მას სახვეველთა, ესე იგი შესამოსელთა, შესწირავენ ნელსაცხებელსა, ესე იგი, სანთელსა, საკმეველსა და ემსახურებიან სხვითა სახითა. მაცხოვარი ახლაც იმავე სახით მიიღებს სამსახურსა ამას, როგორადაც მიიღო მენელსაცხებელთაგან. რომელმა არა შეურაცხჲყო ორი მწვლილი, ანუ ფარა ქვრივისა ღარიბისა დედაკაცისა და სთქვა: ჭეშმარიტად გეტეგი იქვენ, რამეთუ ჭვრავმან ამან გლახაჭმან უმეტეს ყოველთა შესწირა, რამეთუ ამათ ყოველთა ნამეცნავისაგან მათისა დასდგეს შესაწირავგასა. ამას ღმრთისასა, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან თვისისა ყოველი, რაიცა აქნდა საცხოვრებელი, შესწირა! (ლუკ. 21, 1—4). ახლაც ხედავს იგივე ყოველსა ერთგულს შესაწირავსა, რაც გინდა მცირე იყოს იგი, მაშასადამე დიდი მნიშვნელობა აქვს და დიდი

სულიერი სარგებლობა მოაქვს ყოველსა, რასაც კაცი ერთგულებით შესწირავს და შეეწევა ეკლესიასა.

გარნა, საუბედუროდ, არა ყოველნი პირნი ფიქრობენ ამ საქმეზე. მრავალთა არა აქვთ ერთგულება ეკლესიის შეწირვისა და შემკობისათვის. რაოდენი არიან ჩვენში სოფლები, რომელთა შინა მიმავალი ნახავს მრავალს დიდ-დიდ სახლებს, შიგნით მდიდრად მორთულს, გარნა, იმავე სოფელში მაცხოვარს და დედასა მისსა არა აქვს შესაფერი ეკლესია, და ნაცვლად ამისა, ისრეთი შეუსაბამო და შეუფერებელი ეკლესიები არიან, რომ ლვთის მოყვარე კაცს, მათს შემხედველს, გული შეუწუხდება. არა ესრეთ არს ლვთის მოყვარეობა და ეკლესიისა ერთგულება რუსეთის მართლ-მადიდებელთა ერთა შორის. იქ ყოველ სოფელში დაინახავ დიდ-დიდთა, მაღალთა, შემკულთა ეკლესიათა, ხოლო გარემოს იმ ეკლესიისა ნახავ ლარიბთა, მომცროთა ქოხებთა მცხოვრებთასა. მართალია, ჩვენი ქვეყნის მცხოვრებნიც ლარიბნი არიან, გარნა, არა ყოველნი. შემტესად სამწუხარო ის არის, რომელ ვისაც ლმერთმა ჩვენში შეძლება მისცა, ისინი გულ-გრილად უყურებენ ეკლესიის სიღარიბეს, მაშინ როდესაც სახარება ბრძანებს, რომ ვისაც ლმერთმან მეტი მისცა, მისგან მეტს მოითხოვს. პიდევ ის არის სამწუხარო ჩვენში, რომ თვით ისეთნი პირნი, რომელთა ლვთის მსახურებისათვის, ეკლესიის აშენებისათვის და შემკობისათვის არ ემეტებათ მცირეცა ხარჯი, არ ზოგვენ მრავალსა ხარჯსა ამაო კმაყოფილებისათვის, რას ვავბობ, კმაყოფილებისათვის, თვით ზნეობის მავნებელი საქმისათვის, სულიერის და ხორციელის სიმთელის დამღუბველის ცოდვისათვის. რაოდენ გზის მომხდარა აქ, რომ მდიდარს კაცს მიადგა რომელიმე მთხოვნელი ეკლესიის აშენებისათვის, მას ეწყინა, გაჯავრდა, რას დაეთრევიანო ეს ხუცებიო, და არაფერი მისცა, ან დიდის უკმაყოფილებით ძლივს ერთს მანეთზე მოაწერა ხელი და მერმე იმავე ლამეს წავიდა და ქაღალდში წააგო ასობით, ანუ მთელი ქალაქის მდიდარნი პირნი და მაძღარნი დაპატიჟა და ორასი მანეთი მოიხმარა მათდა გასაძლომად და დასათრობად. ლმერთო, ვინ გაზომავს ამისთანა უგუნურებას! ხოლო ჩვენი დედანი რას შვრებიან?

რაოდენ გზის ნახავ, შევლენ იგინი სოფლის ეკლესიაში ფარ-
ჩებით, ოქრო-მკედით, ხავერდით მორთულნი, ხოლო ძრისტე
ღმერთი მისი სისხლით და ხორცით კალის ბარძიმ-ფეშეუმში
ასვენია, ჩითის სახვეველი ახვევია; მისი ტრაპეზი დახეული
შესამოსლით დაბურულია. ხოლო შენ ძმაო, ჩემო, ძრისტეს
მოყვარე თუ ხარ, ნუ დაემგზავსები ამათ, არამედ მზგავსად
მენელსაცხებლეთა კეთილთა ემსახურე ძრისტეს, შეძლებისა
გვარად. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა.

•კვირიაკესა ზედა განრღვეულისასა.

და მისთვის სდევნიდეს ურიანი იგი იე-
სოს, და ენება მოკვლაი მისი; რამეთუ ამას
იქმოდა შაბათთა შინა (იღან. 5. 16).

იესო ძრისტეს ქვეყანაზედ გამოჩინებამ და მისმან ამაღლე-
ბულმან სწავლამ და ქადაგებამ დიდი მოძრაობა მოახდინა ური-
ათა შორის. რომელნიც მათგანნი იყვნენ ღვთის მოყვარენი და
მადიდებელნი, რომელთა გულში ჰქონდათ სურვილი და იმე-
დი საუკუნოისა ცხოვრებისა, მათ სიხარულით მიიღეს სწავ-
ლა იესო ძრისტესიდა შეიქმნენ მისნი ერთგულნი მორწმუ-
ნენი და მოწაფენი; გარნა, უმრავლესი ნაწილი ურიათა გაქვა-
ვებული გულითა, დაბნელებული ჭკუთა, რომელი სჯულსა
ასრულებდა მხოლოდ გარეგანობით, და სოფლისა ამის ცხოვ-
რება უმეტესად უყვარდა, ვიდრედა მომავალი საუკუნო ნე-
ტარება, შეიქმნა მისი მტერი და წინააღმდეგი. გარნა, უმე-
ტესად ყოველთა იესო ძრისტე და მისი სწავლა მოიძულეს
მწიგნობართა, ფარისეველთა, მოხუცებულთა და სხვათა უფ-
როსთა კაცთა, მისთვის, რომელ იგინი იესო ძრისტეს ქადაგე-
ბასა შინა, ვითარცა სარკეში, ცხადად ხედვიდენ თვისთა ცო-

დფვათა, ვნებათა და ბოროტებათა. ისინი სასტიკად გარდაემ-
ტერენ იესო შრისტეს, სდევნიდნენ მას, მარადის ეძიებდნენ
მიზეზებსა, რომ იგი მისცენ მთავრობას და მოჰკლან. ზარნა,
ცხწდად ვერ ბედვიდენ ამას. შურსა, სიძულილსა და მტერო-
ბასა თავიანთსა იესო შრისტესადმი. იგინი მალვიდენ და ფა-
რავდენ სჯულის ერთგულების ქვეშე. დღეს წაკითხული სა-
ხარება მოგვიყვანს ჩვენ ერთსა ამის დამატკიცებელსა მაგა-
ლითსა. იესო შრისტემ ერთხელ განკურნა ერთი ოცდა თვრა-
მეტის წლის მდებარე, განრღვეული კაცი. მთელი ხალხი მა-
დლობდა და ადიდებდა მას ესრეთის საქმისათვის, გარნა გულ-
სა შინა მტერთა მისთასა აღენთო ცეცხლი შურისა. მათ უ-
რესად იწყეს დევნა იესოსი და ამის მიზეზად ის დასდევს, რომ
ვითომც იესო შრისტემ დაარღვია სჯული, შაბათს განკურნა
განრღვეული: ამისთვის სდეგნიდეს უჭიანი იგი იესოს და ენება მთ-
კვლათ მისი, რამეთუ ამას აქმოდა შაბათთა შინა. მსრეთი თვისება
აქვს დაცემულსა ბუნებასა კაცისასა; იგი ყოველთვის ცდი-
ლობს, რომ ცუდი თავისინი თვისებანი და საქმენი დაპფაროს,
და გაამრთელოს რომლითამე კეთილითა მიზეზითა. მარგად
იცოდა დავით წინასწარმეტყველმა ესრეთი თვისება კაცის ბუ-
ნებისა და მისთვის წარსთქვა. ეს მშვენიერი ლოცვა და-
დმი: ნუ მისდომე გულსა ჩემსა სიცევათა მიმართ უქეთურებისათა, მაზე-
ზებად მაზეზთა ცოდვისათა, გაცთა თანა, რამელნი იქმნე უსჯულობასა;
(ფსალ. 140, 4). მსე იგი, ნუ გააჩენ ჩემს გულში იმ უკეთურს
თვისებას, ანუ სიტყვას, რომ მე ვიწყო მიზეზობად, ანუ გან-
მართლებად ცოდვათა ჩემთა, მსგავსად კაცთა უსჯულოთა.

მართლა, ცუდი და მავნებელი თვისება არის, და ფრიად
აფუჭებს ზნეობასა კაცისასა მიზეზობა ცოდვათა, ანუ ძებნა
სხვათა და სხვათა გამამართლებელთა და შემამსუბუქე-
ბელთა მიზეზთა ცუდთა საქმეთასა. თუ კაცი ვინმე ჩა-
ვარდა ხელთა შინა სოფლიურთა მსაჯულთასა, ანუ მიე-
ცა ქვეყნიურსა სოფელსა სამართალსა შინა, მაშინ არ იქმ-
ნება ცოდვა, და შეუძლია მოძებნოს და წარმოადგინოს სხვა-
და-სხვა მიზეზები, რომელნიც ანუ გაამართლებენ მას, ანუ შე-
ამსუბუქებენ მისსა ბრალსა. რისთვის? მისთვის, რომელ მსა-
ჯულნი მისნი არიან კაცნი, ქვეშევრდომნი შეცდომისა, შეი-

ძლება, რომ იმათ კარგათ ვერ შეიტყონ მისი სიმართლე. ზარნა, სრულიად სხვა არის, როდესაც კაცი წარსდგება წინაშე ღვთისა, ან თავისი სინიღისით თავის გულს გასინჯავს. მაშინ სიცოფე იქმნება და დიდი უგუნურება, რომ კაცმა იწყოს მიზეზობა და განმართლება თავისა თვისისა. შვეყნიურისა, ხორციელისა მსაჯულისაგან კაცი მოელის მხოლოდ სიმართლეს, ანუ მართლ-მსაჯულებასა, ხოლო ზეციერისა მსაჯულისაგან უნდა მოველოდეთ მიტევებასა ცოდვათასა და მოწყალებასა. ღმერთი რომ მოწყალებას არ იხმარდეს ჩვენ კაცთა ზედა, არამედ მხოლოდ სიმართლით მოგვაგებდეს, ვერავინ გამართლდებოდა, სუყველანი დაისჯებოდნენ: უგაოუ უსჯულოებაოაებრ მააგებდე, უფალო, უფალო, გინმე დაუთმოს (შსალ. 149, 3). ამ მიზეზისათვის მოავლინა ღმერთმან ქვეყანასა ზედა მხოლოდ შობილი ძე თვისი, რომელმან ყოველნი ცოდვანი ჩვენი, ესრედ ვსთქვათ, ალილო მხართა ზედა თვისთა, რათა ჩვენ წყალობითა და მოწყალებითა გვამართლებდეს.

ზარნა, სამწუხაროდ, ახლაც, ჩვენცა ჭრისტიანენი არ ვიშლით ამ ცოდვას, ესე იგი მიზეზობას და თავის გამართლებას ცოდვათაგან. ახლაც რამდენჯერ მოხდება, რომ შურით ხოლოდ სდევნის მოყვასი მოყვასსა, და თავს იმართლებს მით, ვითომც იგი იყოს ცუდი კაცი, სჯულის დამარღვეველი. რამდენჯერ მოხდება, რომ წირვა-ლოცვაზე არ დადის, არ ეზიარება ქრისტიანე კაცი და თავს იმართლებს, ანუ სიღარიბით, თუმცა სიღარიბე არ დაუშლილა თვისი მოვალეობის აღსრულებასა, ანუ დროების უქონლობით, თუმცა ცხადად სჩანს, რომ იგი დროებას დიდად არ აფასებს, და ხშირად ცუდად ჰყარგავს. ზარნა, უმეტესი, ნაწილი კაცთა, მეტადრე უსწავლელთა, მდაბალთა კაცთა შორის თავის გასამართლებლად ერთს მიზეზს უფრო ხშირად მოიყვანს. მტერმა ჩამაგდო განსაცდელშიო, ეშმაკმა მაცდუნაო. რა უნდა ვსთქვათ ამაზედ? ის, ძმანო ჩემნო, რომელ თუმცა ეშმაკი მართლა ეძიებს კაცის ცდუნებასა, გარნა, როგორადაც იტყვის საღმრთო შერილი, ჩვენ თვითონ ვაძლევთ მას შემთხვევასა, რომ გვაცდუნოს და ცოდვაში ჩაგვაგდოს. შმინდა მოციქული პავლე აბროხილებს ქრისტიანეთა ესრედა ნუცა სცემთ ადგილ

ეშმაკის (მფეს. 4, 27). მსე იგი ნუ მიუშვებ შენთან ეშმაკს, ნუ მისცემ შემთხვევას, რომ გაცდუნოს შენ. რომელი იქნება ადგილი, ანუ შემთხვევა ეშმაკისა? შოველნი ბოროტნი თვისებანი, მიღრეკილებანი, გულის თქმანი, რომელნი ბუდობენ გულსა შინა ჩვენსა, არიან ეშმაკის გზანი და ადგილნი. იქითგან გამოგვცდის ჩვენ სულიერი მტერი, მათი საშუალობით ჩაგვაგდებს ყოველთა ცოდვათა და უბედურებათა შინა. ძრისტიანე მღვიძარე, აღჭურვილი ლოცვითა, ლვთის მაღლითა და მდევნელი, მოძულე ყოველთა თვისთა ვნებათა და ბოროტთა გულის თქმათა, არის ეშმაკისათვის მიუდგომელი ციხე, რომელი და მოგვცეს ჩვენ ყოველთა ძრისტე ღმერთმან. ამინ.

ს ი ტ ჟ პ ა

კვირისაქვესა ზედა სამარიტელისასა.

და იყო მათი წელიწად ერთ შეკრება ეკლესიად, და სწავლად ერისა მრავლისა, და წოდებად პირველად ანტიოქიას შინა მოწაფეთა მათ ქრისტიანედ (საქმე მოციქულთა, თავი 11 მუხლი 26).

იქმნება, ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, მრავალთა თქვენს შორის არც კი იციან აქამომდე, სად და როდის იწყეს პირველთა ქრისტეს მორწმუნეთა წოდებად თავისა თვისა ქრისტიანედ. ღლეს წაკითხული სამოციქულო გვიამბობს ამას. მს მოხდა დიდია ქალაქსა შინა ანტიოქიისასა, იქ იწყეს პირველთა ძრისტეს აღმსაარებელთა წოდებად თავისა თვისა ქრისტიანედ. მს იყო ძრისტეს ამაღლების შემდეგ სამის ანუ ოთხის წლის მერმედ, როდესაც მორწმუნენი ფრიად გამრავლდნენ ანტიოქიისა შინა. მას უკან, სხვათაც ყოველთა

ქალაქთა შინა და აღგილთა იწყეს მორწმუნეთა ამ სახელის წოდება. მის მერმედ ყოველი უწინდელი და აწინდელი ქრისტეს აღმსაარებელი უწოდებდა და უწოდებს თავის თავს შრისტიანედ. დიდ არს, ძმანო ჩემნო, და საღმრთო ეს წოდება! პრ არის არცა ქვეყანასა ზედა, არცა თვით ცათა შინა ამაზე უდიდესი წოდება! დიდითა და საშინელითა კრძალვითა და მორიდებითა უნდა ვზიდოთ ეს წოდება! პირველთა მათ ქრისტიანეთა, რომელთა ეს წოდება მიიღეს, კარგად ახსოვდათ ეს აზრი, და მთელს თავიანთს სიცოცხლეს ისე ატარებდენ, რომ გაემართლებინათ თავიანთი წოდება და არა დაედაბლებინათ. პრა ესრედ არს, საუბედუროდ, აწ, ახლანდელთა შორის!

შმეტესი და უმრავლესი ნაწილი ახლა მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანენი, და არა საქმით; ხოლო დანარჩენნი, ფრიად შეცირენი, სახელითაც და საქმითაც ქრისტიანენიარიან. რით შეეტყობა კაცს, რომ იგი მარტო სახელით არის ქრისტიანი და არა საქმით? სამი არის თვისება, ანუ სათნოება, რომელიც მიუცილებლად უნდა ჰქონდეს ნამდვილს ქრისტიანეს; გარეშე ამათ სამთა სათნოებათა კაცი არ იქმნება ქრისტიანე: სარწმუნოება, სასოფება და სიუვარული.

შმრავლესთა აწინდელითა ქრისტიანეთა, რომელნიც მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანენი, პირველი შეხედულობით, ვითომც კი აქვსთ სარწმუნოება, მაგრამ სარწმუნოება მათი არის რაცალა განუსაღზვრელი, უაზრო, მათ სწამსთ დმერთი, ხშირად იტყვიან ლმერთი მოწყალეაო, შეგვინდობსო, მოგვიტევებს ცოდვასაო; მაგრამ თუ სხვა რამე თვისება აქვს დმერთს, ამაზე აღარ ფიქრობენ. იმათ ჰგონიათ, რომ დმერთს მეტი არაფერი საქმე აქვს, მხოლოდ ცოდვების მოტევება; დავიწყებული აქვსთ, და ზოგს კიდეც ეზარება იმაზედ იფიქროს, რომ დმერთი ჩვენგან მოითხოვს წმინდა ცხოვრებას, ცოდვათა და ვნებათა აღვირის-სხმას. იმათ სწამთ, რომ არის მომავალი ცხოვრება, გარნა, არ ცდილობენ, რომ მოღვაწეობითა და სათნოებითა ეღირსონ იმ ცხოვრებას: დმერთი მოწყალეა, არ დაგვსჯისო. შკლესიაში გულ-გრილად დადიან და ძვირად მოძღვრის დარიგებას სმენულობენ. მოკლედ ვსთქვად, სარწმუნოება მათი მკვდარია, უსაქმო, უქმი, ანუ

ერთი უბრალო ჩვეულება. იგინი თავის თავს ანგარიშს არ აძლევენ. ამას ჩვენ ვიტყვით მათ ზედა, ვისაც ცოტაოდენ-რამე ესმის, ცოტაოდნად განათლება აქვს. უბრალო, უმე-ცარი, დაბალი ხალხის თვისება სულ სხვა არის. მათ, საწყ-ლებს გულითადი სურვილი აქვსთ იქონიონ ჰეშმარიტი სარწმუ-ნოება, გარნა, მათი მდგომარეობა და უმეცრება არ აძლევს ნებას; ამისთვის მათი სარწმუნოება არეულია მრავალთა ცრუ-მორწმუნებითა. ვგონებ, მათ უფრო მიეტევება მათი ბრალი, ვიდრელა განათლებულსა კაცსა, რომელი დაუდევნელობითა თვისითა ანგარიშს არ აძლევს თავის-თავს თავის სარწმუნოება-ში, და მით რჩება სახელით და არა საქმით ქრისტიანე.

შეორედ, ესრეთთა მხოლოდ სახელით ქრისტიანეთა თითქოს სასოებაც აქვსთ, გარნა, არა ჰეშმარიტი, არამედ სუსტი და ყალბი. შემცირესი მათგანი, ვიდრემდის ქვეყნიური კმაყოფილი და კარგი ცხოვრება აქვსთ, ესვენ ღმერთსა, ღვთის განგებით არის ესაო, და თუ მოაკლდა ქვეყნიური. სიკეთე, დასუსტდე-ბიან და სრულიად დაეკარგებათ ღმერთზე სასოება. ზოგთა მათგანთა მომეტებული იმედი აქვსთ თავიანთ ჰკუაზედ, ღო-ნეზე, მოხერხებაზე, სიმდიდრეზე, და თუ ამათ უღალატეს, ბედი დაეკარგათ, მაშინ ჩავარდებიან სასოწარკვეთილება-ში. თითქმის ყველანი, სახელით მხოლოდ ქრისტიანენი, ესვენ ღმერთსა და მოელიან ამ ქვეყნის სიმდიდრეს და ბედნიერებას. ზეცას იგინი ძვირად აღიხილავენ, ზეციერი, მომავალი ნეტა-რებისათვის არ ცდილობენ, თავის უარის-ყოფა, თავის გაჭირება მათ არ იამებათ და აწუხებს; მოკლედ ვსოდეთ, ხშირად სასოება მათი არის მიწიერი და ბიწიერიცა, და არა ჰეშმარი-ტი, ქრისტიანული.

ბოლოს, სახელით მხოლოდ ქრისტიანეთა სიყვარული, უდიდესი ორთა, წინად ხსენებულთა სათნოებათა, არა აქვსთ ჰეშმარიტი, ქრისტიანული. რომ ჰკითხოს მათ ვინმემ, გიყვარ-სა ღმერთი? იტყვიან: „გვიყვარსო“; გარნა, არ აძლევენ თავის თავს ანგარიშს, რაში მდგომარეობს ღვთის სიყვარული, და როგორ უნდა გამოაჩნდეს კაცს იგი. თავიანთი თავი და სო-ფლიური კმაყოფილება უფრო უყვარსთ მათ, ვიდრე ღმერთი; მოყვასთაგან მათ უყვარსთ, ანუ მხოლოდ ნათესავნი, და ისიც

არა ყოველნი, ანუ ისეთნი, რომელთაგან მოელიან რასმე სარ-
გებლობას. თავის გამომეტება, საკუთარი კმაყოფილების შე-
წირვა მოყვასის ბეღნიერებისათვის, მათ ეზარებათ. სულის
ცხონება, მომავალი საუკუნო ცხოვრება კი სურსთ, გარნა,
სულიერი მოღვაწეობა და ყოველი, რაიცა საჭირო არის სუ-
ლის ცხონებისათვის, არ ასრულებენ.

ახლა იმაზე ვსთქვათ, ვინ არიან ჰეშმარიტნი ქრისტიანე-
ნი, და რა თვისება აქვსთ მათ? თქმაც არ უნდა რომ მათ უნ-
და ჰქონდესთ, და კიდევაც აქვსთ, ჰეშმარიტი, ცხოველი სარ-
წმუნოება, ჰეშმარიტი, გულის მანუგეშებელი და გამამხნევე-
ბელი სასოება, და სიყვარული ლვთისა და მოყვსისა, დიდი,
ბეჯითი და თავდადებული. ზარდა ამისა, მათ აქვსთ სხვა სამი
სათნოება.პირველად დიდი სიმდაბლე. იგინი გრძნობენ, მათ იცი-
ან, რომ თავის თავად არა რაი არიან, თუ რამე აქვსთ, ყოველივე
ლვთისაგანა აქვსთ, მარადის შემუსვრილითა გულითა და დამ-
დაბლებულითა სულითა დაცემიან ლვთის წინაშე და გამოით-
ხოვენ მისგან შენდობასა, ემორჩილებიან წმინდა ეკლესიის კა-
ნონთა და გულმოდგინეთ ისმენენ თავიანთი მოძღვრის დარი-
გებას.

მეორედ, ნამდვილთა ყოველთა ქრისტიანეთა ახსოვთ დიდი
და საღმრთო წოდება თავიანთი, ყოველთვის შიშით და მოწიწე-
ბით ფრქრობენ, რომ იგინი ლმერთმა იშვილა და ახსოვთ, რომ
იგინი უნდა იყვნენ ტაძარი სულის წმინდისა და ყოველ ღონის-
ძიებას ხმარობენ, რომ გაამართლონ ლვთის წყალობა და ღო-
ნის-ძიება.

მესამედ, იგინი არიან მარადის გამზადებული ყოვლის კე-
თილის საქმისადმი, ყოველთვის ცდილობენ წინ წავიდენ კე-
თილსა ქრისტიანულსა ცხოვრებასა. შინა, მოამზადონ თავიან-
თი სული მომავალის ნეტარებისათვის. შოველთა მათთა საქ-
მეთა, დიდთა და მცირეთა, სულიერთა და ხორციელთა, გან-
სხვავებული, წმინდა მიმართულება აქვსთ, სული მათი აღვსე-
ბულია ლვთიურითა მშვიდობითა, გული ადუღებული. საღმრ-
თოითა სჯულითა, ერთი სიტყვით, იგინი არიან ლვთის მონა-
ნი, ლვთის კაცნი და არა ცოდვისა..

მრთხელ, ძმანო ქრისტიანენო, დიდმა მეფეებ და გმირმა,

ალექსანდრე მაკედონელმა ერთსა დიდს ბრძოლასა შინა შენიშნა, რომ ერთი მისი მხედარი შეშინდა, უკან დაიწია. რა გქვია შენ სახელიო? ჰყითხა მას ალექსანდრე მაკედონელმა, როდესაც ბრძოლა გათავდა. ჩემი სახელი ალექსანდრე არისო, უპასუხა მან. ალარ გაბედო ამიერითგან ამ სახელის წოდებაო! შენ შეარცხვინე ეს ჩემი სახელიო! შოველი ქრისტიანის ცხოვრება, ძმანო ქრისტიანენო, ამ ქვეყანაში იგივე ბრძოლა არის ცოდვასთან, ეშმაკთან, სოფელთან.. თუ ამ ბრძოლაში შეშინდი, უკან დაიწე, ოდესმე შენც მაცხოვარი გეტუვის: არ გიცნობ, შენ ჩემი სახელი შეარცხვინე, არ იყავი ქრისტიანე! რა შიში, სირცხვილი და ძრტოლა ეწევა ქრისტიანეს, თუ გაიგონა მაშინ: წარგედით ჩემგან, წევულნო, სატაჯველსა მას საუგუნესა! მსე განაშოროს ღმერთმა ჩვენგან და ყოველნი ღირს გვყოს სანატრელსა მას ხმასა: მთვედით ჩემთან, კურთხეულნო, მამასა ჩემისანო! — ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა .

სამარიტელის პვირიაკესა ზედა.

მოვალს ყამი, და აწვე არს, ოდეს ჭეშმარიტნი თაყვანის მცემელნი თაყვანის მცემელნი თაყვანის სტემდენ მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა, რამეთუ მამაცა ეგე-ვითარა ეძიებს თაყვანის მცემელთა მისთა. სულ არს ღმერთი და თაყვანის მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა აძს თაყვანის ცემა.

(0რანე. 4, 23, 24).

ერთობ დიდსა და მაღალს საგაისა გვაძლევს ჩვენ საუბრად თქვენთანა, ძმანო მართლმადიდებელნო ქრისტიანენო, დღეს წაკუთხული სახარება. მცნება, ანუ სწავლა ჭეშმარიტსა, სულიერსა ღვთის თაყვანის ცემასა ზედა, ეგოდენ საჭირო და სასარგებლო არის ყოველთა ქრისტიანეთათვის, რომელ, ვგონებ, არცა ერთსა სხვასა მცნებასა ისე ხშირად არ უნდა გაგანსენებდეს თქვენ, და არ უნდა აღგიხსნიდეს სულიერი მოძრვა-

რი თქვენი, როგორადაც ამ მცნებასა. მართლა, ყოველს კაც-სა, სამწუხაროდ, დიდი მიღრეკილება აქვს და ხშირად ჩვეულებადაც გადაექცევა, ნაცვლად ჭეშმარიტისა ლვთის თაყვანის ცემისასულითა და ჭეშმარიტებითა, მიართვას ლმერთსა ერთი მხოლოდ ხორციელი, გარეგანი, თაყვანის ცემა. პლაზ ვიტყვი უბრალოთა და უსწავლელთა სოფლის მცხოვრებთა ზედა ქრისტიანეთა: ამათ თითქმის ათასში ერთსა არ გაუგონია და არ იცის, რაი არს თაყვანის ცემა ლვთისა სულითა და ჭეშმარიტებითა. საწყალი, უმეცარი, სოფელში მცხოვრები კაცი დარწმუნებულია, რომელ, თუ თვეში ერთხელ, ანუ ორჯელ ეკლესიაში შევიდა და პირჯვარი დაიწერა, თუ დადებულს დღესასწაულს დღეში უქმი არ გასტეხა, როგორც იტყვიან სოფლის მცხოვრებნი, თუ მარხვა შეინახა—საჭმლის გამოცვლით, ანუ დაკლებით, მოსალოცავი ხატი, ანუ ეკლესია მოილოცა და მისი შესაწირავი, რომელიც ჰმართებს, ვითარცა იტყვიან, შესწირა და ღამე გაუთია, ესე იგი იმ ღამეს არ დაიძინა, და სხვანი ამის მსგავსნი რომელნიმე გარეგანი მოქმედებანი აღასრულა, ჰგონია, რომ მან თვისი მოვალეობა ლვთის წინაშე გაათავა, აღასრულა და სხვა მას აღარაფერი აღარ ჰმართებს. იმას შეენდობა თვისი უმეცრებისა და უსწავლელობისა გამო ესრეთი აზრი და მოქმედება. ზარნა, სამწუხაროდ, იგინიცა, რომელთა მათზე უმეტესი ესმის, რომელთა საღმრთო წერილი უსწავლიათ, რომელთა შეუძლიათ განარჩიონ ჭეშმარიტი თაყვანის ცემა სულითა და ჭეშმარიტებითა, იგინიცა ლვთის მსახურებასა შეამოკლებენ და განასაზღვრებენ გარეგანითა მხოლოდ თაყვანის ცემითა ლვთისათა.

რაი არს და რასა შინა მდგომარეობს თაყვანის ცემა ლვთისა სულითა და ჭეშმარიტებითა? მაცს აქვს სული და ხორცი, ესე იგი კაცის ბუნებას, ანუ არსებას, შეადგენს სული და ხორცი. სული კაცისა არს, ვითარცა ვიცით, უხილავი, და ყოველი მოქმედება სულისა, ესე იგი: გრძნობა, აზრი, მეცნიერება, სურვილი, ერთი სიტყვით, სულიერი მოძრაობა ყოველი, რაიცა აქვს კაცს სულში, არის უხილავი. მაშასადამე თაყვანის ცემა ლვთისა სულითა და ჭეშმარიტებითა არის ერთი უხილავი, საიდუმლო მიქცევა ლვთისადმი თვით სულისა და

ყოვლისა მისისა მოქმედებისა, დამორჩილება ღვთისა გონებისა, აზრისა, გრძნობისა, პატივის ცემა ღვთისა ყოველთა შინაგანითა სულის მოძრაობითა, კრძალვითა, შიშითა სიყვარულითა სულის და გულის ღვთისადმი მისწრაფებითა, ანუ მიღრეკილებითა. ღმერთი კაცისაგან მოითხოვს თვით სულსა, გონებასა და გრძნობასა, მისთვის, რომ თვით იგიარის სული: სულას დამერთი და თაყვანის მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანააძლეობა თაყვანის ცემა მისი.

მაშასადამე, მკითხავს მე ვინმე, გარეგანი თაყვანის ცემა, რა ყოფილა საჭირო ღვთისათვის? მაშასადამე, რისთვის გვაქვს ჩვენ, მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა, ჩვეულებად პირჯვრის წერა, მუხლის მოდრეკა, გალობა, ხმამაღლა ლოცვის წარმოთქმა? რისთვის ვიმარხავთ, ვდღესასწაულობთ, რათ ვაშენებთ ეკლესიებს? არა, ძმანო ჩემნო! მსენი ყოველი დიალ საჭიროა და კარგია, გარნა მაშინ, როდესაც ამათ თანა-უვლის სულიერი თაყვანის ცემა, ანუ როდესაც ისინი მომდინარეობენ სულიერისა თაყვანის ცემისაგან; ესენი უნდა იყვნენ ნიშანნი, გამომაჩინებელნი სულიერის თაყვანის ცემისა; მხოლოდ ამით აქვთ მათ ფასი და ლირსება; გარეშე მისა იგინი არიან უსარგებლონი და არა თუ უსარგებლონი, არამედ მავნებელნიცა. როდესაც შენ პირჯვარს დაიწერ და მოიდრეკ მუხლისა და შუბლისა შენსა დასწევ თითქმის მიწადმდე, მაშინ შენ, თუ გულშიც არ გაქვს სიმდაბლე და მორჩილება ღვთისა, თუ სულიერი ქედიც არ მოუდრიკე ღმერთსა, არამედ ამას იქმ, ვითარცა ერთსა უბრალოსა ჩვეულებასა, ანუ,—რომელიც უარესია და უსაძაგლესი, —საჩვენებელად კაცთა, მაშინ შენ სცოდავ, არა თუ კეთილს საქმეს იქმ. როდესაც შენ მარხულობ, მაშინ სულიც უნდა იყოს მწუხარე, მარხვასა შენსა ანუ წინა უვიდოდეს, ანუ შეუდგებოდეს სული შემუსვრილი და გული შემუსვრილი, და დამდაბლებული; თუ არა, მარხვა შენი არის ერთი მხოლოდ ფარისევლობა, ანუ მკვდარი, უსარგებლო ჩვეულების აღსრულება. როდესაც ბაგენი შენნი წარმოსთქმა-მენ ხმასა ლოცვისასა, მაშინ სულიცა შენი უნდა ჰლალადებდეს, მდუღარე უნდა იყოს, ერთი სიტყვით ყოველი გარეგახი შენი

მოძრაობა უნდა იყოს ნაყოფი და ნაშობი სულიერისა ღვთის თაყვანის ცემისა.

სული არს ღმერთი და თაყვანის მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანააძსთ თაყვანის ცემა მისი. თაყვანის ცემა ღვთისა არ უნდა განსაზღვროს, ანუ შეამოკლოს კაცმა არაფრით, ესე იგი არც ადგილით, არცა დროებით, არცა რომელითამე ერთითა მოქმედებითა.. არ უნდა იფიქრო, რომ ღმერთის თაყვანის-ცემა შეგიძლიან ერთს ადგილზე, მაგალითებრ, საყდრებში მხოლოდ, როგორათაც ჰავიქრობდა საწყალი იგი დედაკაცი სამარიტელი და ჰკითხავდა იქსო შრისტესა: სადა ჯერ არს თაყვანის ცემა ღვთისა, იერუსალიმს, ანუ მთასა ამას ზედაო. აგრეთვე არ უნდა შეამოკლო თაყვანის ცემა ღვთისა რომელითამე უამითა და დღითა, მაგალითებრ დღესა-სწაულებითა, აგრეთვე ნუ იფაქრებ, რომელ ღვთის თაყვანის ცემა, ანუ პატივის ცემა შეიძლება რომლითამე საკუთარითა მოქმედებითა, ესე იგი არ იფიქრო, რომ საქმენი კაცთანი, ორად გაიყოფებოდენ, ზოგიერთი ღვთის საღიდებელად და-დებულნი იყვნენ და სხვანი ამ სოფლისათვის, ანუ საკუთრად კაცის საჭიროებისათვის. არა ძმანო ჩემნო! პირველად ღმერთს უნდა ადიდებდე შენ ყოველს ადგილს, სადაც უნდა იყო: უფლესა ადგილსა უფლებისა მისისასა აკურთხევს სული ჩემი უფალსა (ფს. 102, 22), იტყვის წინასწარმეტყველი დაით. საყდარი, რასაკვირველია, განსაკუთრებით არის ადგილი ღვთის თაყვანის ცემისა, გარნა შენ სახლშიც უნდა თაყვანს სცემდე ღმერ-სა, გზაზე მიპდიხარ, თუ ტყეში ხარ, ანუ მინდორში, ზღვაზე, თუ ხმელეთზე, ყოველგან მისი უფლება არის და სულითა შენითა ყოველგან თაყვანს-სცემდე ღმერთსა, როგორა-თაც იტყვის იგივე წინასწარმეტყველი: წინასწარ გჭებედეგდ უფ-ალსა წინაშე ჩემსა მარადის, ამეთუ მარჯვე ჩემსა არს, რათა არა შევიძა (ფს. 15, 7). ნუ ჰგონებ ეგრეთვე, რომ ღვთის თაყვანის-ცემა ერთ რომელიმე დღეს შეიძლება და მეორეს არა, ნუ ჰფიქრობ, რომ დილით და საღამოთი ღმერთი უნდა ახსოვდეს კაცს, და შუადღეს კი უნდა დაივიწყოს. მაცთა მართალ-თა და წმინდათა უმეტესად უყვარდათ ლოცვა შუაღამეს, ესე-იგი იმ წამს, როდესაც ყოველი სულდგმული მოსვენებუ-ლია. განა არ შეიძლება, რომ იმ წამს, რომელიც შენ გა-

დადებული გაქვს ლოცვისათვის, რომელმანმე მიზეზმა დაგიშალა კეთილად ლოცვა, ხოლო სხვა დროს, რომელიც არა გაქვს დანიშნული ლოცვისათვის, ერთმა რომელმანმე შემთხვევამ მოგიყვანა კეთილი გრძნობა და ლმობიერება? მაშინ მიაქციე, იმ წამს, სული და გულიშენი ღვთისადმი.

გარნა უსაჭიროესი ყოვლისა ის არის, რომ არ იფიქრო, ვითომც ღვთის თაყვანის-ცემა და პატივის ცემა აღსრულდება და მდგომარეობს მხოლოდ რომელთამე საკუთართა მოქმედებათა შინა, მაგალითებრ პირჯვრის წერასა, ლოცვის წაკითხვასა, მარხვასა შინა, არამედ იცოდე, ეცადე და ისე დააწყე შენი ცხოვრება, რომელ ყოველი შენი სიტყვა და საქმე, დიდი და მცირე, იყოს ღვთის თაყვანის-ცემა და პატივის-ცემა. ისრეთი საქმე არც ერთი არ უნდა ჰქმნა, რომელშიც ერთის მხრით ღვთის მსახურება არ გამოდიოდეს. რა სახით შეიძლება ესე? — მეტყვის ვინმე, განკვირვებული. დიალ შეიძლება, ძმაო ჩემო, თუ მოინდომებ. ჟამა და სმა სულ ხორციელი საქმე არის, მაგრამ ისმინე, რასა იტყვის მოციქული პავლე: გინა თუ სჭამდეთ, გინა თუ ჭიშმიდეთ, გინა თუ რასაცა იქმოდეთ, ყოველსაგე სადიდებელათ ღვთისა იქმოდეთ. (1 ბორინთ. 10, 31). მართლა, თუ შენ სჭამ და სვამ ზომიერად და არა განსაკხრომელად ხორცისა. შენისა, სჭამ და სვამ ღვთის მადლობით, და ღონესა, რომელიც მოგემატება საჭმელით და სასმელით, მოიხმარ ღვთის სადიდებელად, არა ცუდისა, არამედ კეთილისა საქმისათვის, მაშინ ჭამა და სმა გადაიქცევა ღვთის სადიდებელად. მსგავსად ვე ყოველივე სხვა უბრალო სოფლიურ საქმეს თუ აღსრულებ გულმოდგინედ, იქნება მადლიანი და სათნო ღვთისა: ყოველსაგე, რასაცა იქმოდეთ, გულითად იქმოდეთ, გითარცა შფლისასა და ნუ გათარცა გაცოდსა. (ბოლ. 3, 23). ბესმის, როგორ გაგიადვილა, ძმაო, პავლე მოციქულმა მსახურება ღვთისა? შოველი საქმე დიდი ანუ მცირე, რომელსა იქმ, ღვთის მსახურება იქნება, თუ კეთილი გულით იქმ და ღვთის სასოებით. ამინ.

კვირიაკესა ზედა შობილგან ბრმისასა.

და ვითარეა წარვიღოდა იესო, იხილა
კაცი ბრმა შობილგან. ჰყითხვიდეს მოწა-
ფენი მისნი და ეტყოდეს: რაბი, ვინ ჰსცო-
და—ამან, ანუ მშობელთა ამისთა, რამეთუ
ბრმა იშვა? რქვა მათ იესო: არცა. ამან,
ჰსცოდა, არცა მშობელთა ამისთა, არამედ
რათა გამოსცხადნეს საქმე დმრთისა მაგას
ზედა (იოან. 9. 1—3).

მოწაფეთა იესო ქრისტესთა ჰქონდათ ის ჩვეულება, რო-
მელ როდესაც იხილვიდენ რომელსამე გასაკვირვებელსა. და
უცნაურსა მოვლენასა, ანუ როდესაც მოუვიდოდათ გულში
რომელსამე საგანზედ ეჭვი, მაშინვე ჰყითხვიდენ მოძღვარსა
და სთხოვდენ, რათა აუხსნას მან ეჭვი მათი. ახლაც დაინახეს
რა კაცი შობილგან ბრმა, მაშინვე იფიქრეს თავის გულში:
რისგან დაემართა მას ეს დიდი უბედურება, და ჰყითხეს
შფალსა: რაბი, ვინ სცოდა—ამან, ანუ მშობელთა ამისთა, რამეთუ
ბრმა იშვა? როგორც თვით ამ კითხვისაგან სჩანს, მოწაფენი
დარწმუნებულნი იყვნენ, რომელ კაცს ყოველი უბედურება
და მწუხარება შეემთხვევა თვისი ბრალით და ცოდვით და
ყოველი უბედურება და მწუხარება კაცისა არის. სასჯელი
ცოდვათათვის.

ახლაც არის, ძმანო ჩემნო, მეტადრე დაბალ წოდების
ხალხში, ეს აზრი გავრცელებული: ახლაც როდესაც კაცი ჰნა-
ხავს, ანუ გაიგონებს თვისი მოყვასის უბედურებასა, მაშინვე
იკითხავს და განიზრახავს რა მიზეზისათვის დაემართა მას ეს
უბედურებაო, და უმეტესი ნაწილი გადასწყვეტს თავის გულ-

ში, რომელ ყოველი უბედურება დაეძართება კაცს თვისი ცოდვისა და ბრალისაგან.

როგორ ახსნა შფალმან იქსო შრისტემან ეჭვი მოწაფეთა თვისთა? რა პასუხი მისცა მათ? მივაქციოთ ახლა ჩვენ ამაზედ ყურადღება და კარგად ავხსნათ პასუხი შფლისა იქსო შრისტესი. რადგანაც ჩვენც ყოველნი ქვეშევრდომი ვართ ჭირისა და მწუხარებისა, რადგანაც ცხოვრება ყოველი კაცისა ამ ქვეყანაზედ თითქმის ილევა ჭირთა, უბედურებათა და მწუხარებათა შინა, მაშასადამე ძლიერ საჭირო არს, რომ ჩვენ, ქრისტიანეთა, გვქონდეს მართალი და ქრისტიანული შეხედულობა ამ საგანზედ.

შფალმან იქსო შრისტემან ესრეთ უპასუხა მოწაფეთა თვისთა: არცამან სცოდა, არცა მშობელთა ამისთა არამედ – რათა გამოსცხადნეს საქმე დმრთისა მაგას ზედა. აპა პასუხი შფლისა ჩვენისა იქსო შრისტესი. იგი თუმცა პირ-და-პირ არ გაამტყუნებს მისი მოციქულების აზრსა, მაგრამ მიაქცევს მათ ყურადღებას მასზედ, რომელ ზოგიერთ კაცს უბედურება და მწუხარება არ დაემართება თვისი ცოდვისაგან, არ არის სათჯელი მისი ბრალისა, არამედ დაემართება ლვთის განგებულებით: რათა გამოსცხადნეს საქმე დათისა მას ზედა. რა საქნე ლვთისა უნდა გამოცხადდეს უბედურებითა და მწუხარებითა კაცისათა? ამას შევიტყობთ მაშინ, როდესაც გავიხსოვნებთ რა საქმეს აკეთებს ლმერთი ჩვენს შორის? ლმერთს, ძმანო ჩემნო, ერთი დიდი საქმე აქვს ჩვენს შორის, რომელსა იგი აკეთებს უწინარეს ყოვლისა: ეს საქმე არის ჩვენი სულიერი განათლება და გაკეთება, ეს საქმე არის ჩვენი მოქცევა, მონანება, განწმენდა და ცხოვნება. ამაზედ უდიდესი საქმე ლმერთსა არა აქვს ჩვენს შორის. ამ საქმისათვის მოგვცა ჩვენ ლმერთმან სჯული; ამისთვის მოავლინა ქვეყანაზედ მხოლოდ-შობილი ძე თვისი; ამისთვის მოითმინა შფალმან იქსო შრისტემან ქვეყანაზედ ტანჯვა, ჯვარცმა, სიკვდილი, დაფლვა. სხვათა შორის ღონეთა და საშუალებათა, რომელთა ლმერთი ხმარობს, რათა მოიყვანოს სისრულეში ეს დიდი საქმე, ისიც არის, რომ იგი ზოგიერთ კაცს მიაყენებს მწუხარებასა, მისთვის,

რომ ჭირი, მწუხარება განალვიძებს კაცსა, დააფიქრებს, მიაქცევს მის გონებას მის თავზე, სინანულში შეიყვანს. ჭირსა, უბედურებასა, მწუხარებასა დოდი გავლენა აქვს კაცის გულზე და სულზე; მრავალსა საკვირველსა მაგალითსა მოგვითხრობს, ვითარცა საღმრთო წერილი, ეგრეთვე სამოქალაქო ისტორია დასამტკიცებლად ამა აზრისა. მრავალნი პირნი, რომელნი იყვნენ სრულიად განრყვნილნი და უსჯულონი, ღმერთმან მოაქცია და განსწმიდა უბედურებითა და მწუხარებითა, რომ მელი მიაყენა მათ. შეიძლება დარწმუნებით ვსთქვათ, რომ ჭირი და მწუხარება არის უმჯობესი მასწავლებელი კაცის ჭიუისა, მზრდელი, გამაფრთხილებელი; გამაღვიძებელი კაცის გონებისა, განმამტკიცებელი მისი ლონისა და ნიჭიერებისა. მაგრამ, ვგონებ, დიდი დამტკიცება არ უნდა ამ აზრს! ვინ არ იცის, რომელ უმეტეს ნაწილად კაცი ბეღნიერებასა, * მოსვენებასა და ფუფუნებასა შინა მყოფი, ფუჭდება სულით და გულით, გარნა ჭირი და განსაცდელი გამოაფხიზებს მას და გამოაჩენს უმჯობესთა დაფარულთა მისთა ლონეთა და ნიჭთა. მაშასადამე უბედურება და მწუხარება ზოგჯერ არის საქმე და განგებულება ღვთისა კაცთა ზედა.

თვით დღევანდელი სახარების მოთხრობა, შობიდგან ბრმის განკურნებაზედ, ამტკიცებს ამას ყოველსა, რაიცა აქამომდე ვსთქვით, ესე იგი, რომ ხშირად უბედურება კაცს და ემართება ღვთის განგებით, იგი არის საქმე ღვთისა, იგი ხშირად მოაქცევს კაცს, შეეწევა სულის ცხოვნებასა შინა. ღილად და გამოუთქმელად უბედური იყო ბრმა იგი შობიდგან, გარნა ეს უბედურება მისი შეიქმნა საღიძებელად ღვთისა და საცხოვნებელად მისდა. მიიღო რა მან განკურნება — იგი შეიქმნა მორწმუნე იქსო შრისტესი; ამ დიდმა სასწაულმა მოაქცია და არწმუნა შრისტე შფალი მრავალთა სხვათაცა, და მით შეეწია მათსა ცხონებასა. გარნა ამითაც არ გათავდა საქმე ღვთისა ამ მოვლენაში. მოთხრობა შობიდგან ბრმის განკურნებისა აღიწერა სახარებაში და ურიცხვი კაცნი ისმენენ და ამოიკითხვენ მას და აღიდებენ ღმერთსა, მტკიცდებიან სარწმუნოებითა და სასოებითა. აპა, რაოდენი და რა დიდი საქმე ღვთისა გამოაჩნდა ამ კაცის უბედურებასა შინა. ღვთისა გამოაჩნდა ამ კაცის უბედურებასა შინა.

გარნა ჩვენ თავიდგანვე ვსთქვით, რომ შფალმან იესო შრისტემან თვისი პასუხით პირ-და-პირ არ გაამტკუნა ის აზრი მოწაფეთა თვისთა, რომელ უბედურება არის ხშირად საგალი, ანუ სასჯელი ცოდვისა. ახლა ისიც უნდა დავუმატოთ, რომელ თვით შფალი იესო შრისტე იტყოდა და ასწავლიდა იმ აზრს, რომ კაცს სასჯელი, უბედურება ხშირად მისი ცოდვით დაემართება. მრთხელ შფალმან განკურნა ერთიოც და თვრამეტის წლის უძლური, მდებარე, და შემდეგ უთხრა ეს სიტყვები: აპა ცოცხალ-იქმენ, ნურდარა სცოდავ, რათა არა უმკიდესი რამე გეედს შენ (იოანე 5, 14). მართლა, უმრავლესი ნაწილი კაცთა შთავარდება ჭირთა, უბედურებათა და მწუხარებათა შინა მათი უგუნურობით და ცოდვით. გარნა მე არ შეუდგები ახლა ამ აზრის ვრცლად დამტკიცებას, პირველად მისთვის, რომ არა ერთ გზის მითქვამს თქვენს წინაშე სიტყვა ამ საგანზედ, მეორედ მისთვის, რომ ეს აზრი თავისთავად ცხადია და არ მოითხოვს ვრცელსა დამტკიცებასა. მხოლოდ, დასასრულ სიტყვისა ჩვენისა დავუმატებ: როდესაც შეგემთხვევა შენ, ძმაო ჩემო, რომელიმე ჭირი, მწუხარება, უბედურება, მაშინ კარგად დაფიქრდი და პირ-მოუფერებლად გამოიკვლიე, რა იყო მაგის მიზეზი? სიდგან მოგევლინა ის მწუხარება? თუ შეატყო და სინდისმა შენმა პირ-მოუთნევლად გითხრას, რომ თვითონ შენ იყავი მიზეზი ამისა, მაშინ ეცადე მოსპო შენ შორის ის მიზეზი, დასტოვო ის ჩვეულება, გაისწორე ის-თვისება, განეშორე იმ ვნებას, რომელი არიან უმთვრესნი მიზეზნი შენთა უბედურებათა. გარნა, თუ ჭკუამან და სვინიდისმან შენმან დაგარწმუნოს, რომ შენ თვითონ არ იყავი პირ-და-პირ მიზეზი შემთხვეულისა უბედურებისა, მაშინ იგი მიიღე, ვითარცა ლვთისაგან მოვლინებული სწავლა და გაფრთხილება, რომლითაც ლმერთს ჰსურს წინ წაგიყვანოს შენ სულიერსა მოქალაქობასა შინა, მოგიმატოს გონიერება, გამოცდილება, სულიერი სისრულე, რათა იყო ძვირფასი, ვითარცა ოქრო, გამოხურებული ცეცხლსა შინა.

და ესრეთ, ვევედროთ ლმერთსა, რათა ჭირი და მწუხარება ჩვენ ისევე ლვთის განგებულებით, ჩვენდა განსაწმენდელად:

შეგვემთხვევოდეს, და არა სასჯელად ჩვენთა ბრალთა და ცოდვათა. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

კვირიაკესა ზეღა შობილგან ბრძისა.

იტყოდეს ვინმე ფარისეველთაგანი: ესე კაცი
არა არს ლვთისაგან, რამეთუ შაბათსა არა იმარ-
ხავს. (იოანნე. 9, 16.)

მაცხოვარმან განკურნა შობილგან ბრმა კაცი დღესა შა-
ბათსა, გარნა მრავალთა ურიათა არა თუ ირწმუნეს მისი, არა-
მედ იტყოდეს, რომ იგი ლვთისაგან არ არისო, ცოდვილი კა-
ციაო.. რისთვის? მისთვის, რომ შაბათი დაარღვიაო, შაბათს
კაცი მოსვენებული უნდა იყოსო, არაფერი საქმე არ უნდა
ჰქმნასო. იმ ზომით იყო მათი გონება შეპყრობილი ცრუ აზ-
რისაგან და ამაო მორწმუნოებისაგან! მათ სჯულში, ძველის
აღთქმის საღმრთო წიგნებში სრულიად არ იყო თქმული, რომ
შაბათს კაცი არაფერს საქმეს არ უნდა აკეთებდეს, არამედ
იყო ბრძანებული, რომ იმ დღეს დაეტევებინათ ჩვეულებრივი
სანიადაგო სოფლიური მუშაობა და შრომა; გარნა კეთილ-სა-
ქმეს, მოყვასის მოწყალეებას და შემწეობას არაოდეს შაბათი
დღე არ დაუშლიდა. ხოლო მათ, ურიათა, და თვით მათთა
მოძღვართა და მწიგნობართა მოიგონეს, სხვათა შორის ურიც
ხვთა ცრუ აზრთა და ცრუ მორწმუნებათა, ისიც, რომ ვითომც
შაბათს დღეს არა თუ მარტო მუშაობა იყოს ცოდვა, არამედ
სხვაცა, თვით კეთილი საქმე, მოყვასისადმი მოწყალების ქმნა.

გარნა ურიანი რა გასამტყუნებელნი არიან მაშინ, როდე-
საც ჩვენ ქრისტიანეთაცა შორის თითქმის ორი ათასი წელი-
წადი იქადაგება სახარება, რომელმან კაცობრივი ბუნება გა-
მოიყვანა ყოველი ცრუ მორწმუნოებისაგან, და ცრუნი აზრინი,

ამაონი რწმუნებანი ახლაც მრავალნი არიან ჩვენს შორის. გერც კი წარმოიდგენს კაცის გონება და არც დაიჯერებს არავინ, რომ უთხრან, რა გასაოცარი და კაცის გონების შემარცხვენელი ცრუ აზრი და მორწმუნებანი არიან ვიდრე დღეინდელადმდე მდაბიოთა სოფლის მცხოვრებთა შორის. მაგალითებრ, ვინ არ იცის რა გავლენა აქვს და დაჯერება სოფლის მცხოვრებთა შორის მკითხავთა ანუ მარჩიელთა. რაც გინდა უჭიუო და უგუნური და დაუჯერებელი სიტყვა უთხრას მკითხავმა, უთუოდ დაიჯერებს სოფლის კაცი. რა ზომად უჯერებენ მკითხავს მცხოვრებნი, ამის ერთს მაგალითს მოვიყვან, რომელიც მე თვითონ წარსულ კვირას შევიტყვე. მე მგონი ძლიერ დაიჯერებს კაცი იმ ამბავს, თუმცა იგი ნამდვილია. მრთს, მართალია ყრუ და მივარდნილს, მთის სოფელში მკითხავია, ვინც მივა მასთან, უბრძანებს, რომ ჯერეთ მოილოცოს ერთს მახლობელ გორაზე, სადაც ძველი ნასაყდრი ადგილია და მერმე გორის წვერზე დაწოლილი გადმოგორდეს. მს გორა მე თვითონ მაჩვენეს და მრავალთა პირთ დამარწმუნეს ამის სიმართლეში. როდესაც გადმოგორდებიან საცოდავნი, უჭიუონი, მათგანი ზოგიერთი, რასაკვირველია, გასისხლიანდება და კიდეც თითქმის მოიტეხს რომელიმე სახსარს, მაგრამ თავს არ იზოგვენ, რადგანაც დარწმუნებულნი არიან, რომ ესიამება დმერთს. პჰა, რა ზომად დააბნელებს კაცის გონებას და გააფუჭებს ცრუ, ამაოდ მორწმუნება. მაგრამ ამ ყრუ, მთიან სოფელში რა გასამტყუნებელია, როდესაც თვით ამ ჩვენს ქალაქში ყოფილა ერთი თათრის ქალი, რომელთან ყველანი მიღიან საკითხავად. აქაურ მცხოვრებთა დიდი გული აქვთ: ჩვენ განათლებული ვართო, ქალაქის მცხოვრები ვართო, და თვითონ კი სოფლის მცხოვრებზე უარესად იქცევიან, რადგან თათრის ქალთან მიღიან საკითხავად და ყოველ დღე სიცრუეს სმენულობენ და სტყუვდებიან.

სხვათა შორის, ჩვენ ქვეყანაში გადიდდა და ფრიად სამწერლო შეიქმნა ჩვენთვის ერთი ცრუ აზრი და ამაოდ მორწმუნება, ესე იგი ის, რომ ეკკლესიაში შიგნით დამარხვა სასარგებლო იყოს მიცვალებულის სულისათვის, შეეწეოდეს მის ცხონებასა. თუმცა დიდი ხანია მოქმედობს ეს ცრუ აზრი,

გარნა უკანასკნელ წლებში ნამეტანად გადიდდა და სამწუხარო შეიქმნა. შოველი კაცი, იწყე უკანასკნელი გლეხისაგან ვიდრე პირველ თავსდის შვილამდი, ცდილობს, რომ ეკულესიაში დამარხოს თავისი მიცვალებული. თუ მთავრობისაგან არ იშოვნეს ნება, ძალით დაჭმარხვენ, ან მოტყუილებით. შენ მკითხავ, რით არის ცუდი ეკულესიაში მიცვალებულის დამარხვაო, აკი თვით ეკულესია თხოულობს აქა მდებარეთა, ესე იგი ეკულესიაში მდებარეთა, ქრისტიანეთათვის ცხონებასა? ამასთანავე ეკულესია წმიდა ადგილია და განწმენდს მიცვალებულის გვამსა. ზარნა ესრეთი ფიქრი უმართლო არის! როდე საც სკულესია ლოცულობს აქა მდებარეთათვის, იგი ამით უჩვენებს მათ, რომელნი გარეშემო ეკულესიასა მდებარეობენ, და არა შიგნით. შენ ამბობ, რომ ეკულესია წმინდა ადგილიაო? მით უმეტესად არ უნდა ისურვო შიგნით დამარხა მიცვალებულისა, ამისთვის რომ ცოდვილნი ვართ სულ ყველანი და არა ვართ ღირსნი ეკულესიაში დავიმარხოთ. იქნება შენი მიცვალებული არც კი ჰფიქრობდა და არც ჰსურდა ეკულესიაში დამარხვა, რადგანაც ჰგრძნობდა თავის ულირსობას, არამედ შენ დაჭმარხე მხოლოდ პატივის მოყვარეობისათვის. კაცი წმინდანი, მოღვაწენი არაოდეს არ იკადრებენ და არც ისურვებენ შიგნით ეკულესიაში დამარხვასა. დასამტკიცებელად ამისა მოგიყვან ორთა მახლობელთა მაგალითთა. ზაგოგონია უთუოდ აქაური მიტროპოლიტი დავით, როგორი მოღვაწე იყო და უყვარდა მონაზონებრივი ცხოვრება. იგი დამარხეს, თანახმად მისისა ანდერძისა, გარეშე ეკულესიისა. აგრეთვე იქნება გაგონილი გაქვს მინგრელიის ჭყონდიდლის სახელი, რომელსა უწოდებენ, დიდი ანტონი. მან, შემდგომად გრძელ-ეამიერი სამსახურისა, დასტოვა კათედრა და სცხოვრებდა განშორებულ მოღვაწეობასა შინა. არც მან შეპრაცხა თავი თვისი ღირსად შიგნით ეკულესიაში დამარხვისა და, თანახმად მისისა ანდერძისა, დამარხულია. ნახარებოუს მონასტრის ეზოში. ახლა კი ზოგიერთ კაცს, რომელმანც მთელი სიცოცხლე გაატარა ურიგოთ, ორჯელაც არ მიუღია ზიარება, დაჭმარხვენ შუა ეკულესიაში. ზოგიერთი სოფლის ეკულესიები აღვსებულია მიცვალებულების საფლავებით, ასე რომ

ადგილი აღარ არის ეკულესიაში მღლოცველების დასადგომად, ვინაიდგან ზოგიერთ სოფელში უშლიან, არ ანებებენ საფლავზე დადგომას. გამოდის, რომ მიცვალებულებმა დაიპყრეს ეკულესია და განდევნეს იქიდგან ცოცხლები, მაშინ როდესაც ეკულესია აღშენებულია ცოცხლებისათვის და არა მკვდრებისათვის.

დაუშალე, ძმაო, ვინც ვინდა იყო, შენ ჭირის-უფლებსა დამარხვა შენი თავისა და სხვისაც ეკულესიაში, თუ, თავხედი არა ხარ, თორემ არა თუ სასარგებლო დარჩება შენთვის, არა-მედ ცოდვა მოგემატება; აგრეთვე ნუ დაიჯერებ ამაო, ცრუ აზრებს, ნუ იქნები ამაოდ მორწმუნე, არამედ ირწმუნე მხო-ლოდ სიტყვა ლვოისა, საღმრთო წერილი და ყოველი სხვა სიტყვა და აზრიც, არა წინააღმდეგი მისი. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

მესამესა კვირიაკესა ზედა შემდგომად სულის წმინდის მოფენისა.

სოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფე-
ველსა ღმრთისასა და სიმართლესა მც.სა.
(მათ. 6, 33).

როგორ პფიქრობთ, ძმანო ჩემნო. მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო, რით იწყო მაცხოვარმან ქადაგება თვისი ქვეყა-
ნაზე, რა საგანზე სთქვა მან პირველი თვისი სიტყვა ერისად-
მი? პირველი სიტყვა იქსო შრისტესი, როდესაც იწყო მან ქა-
დაგება სახარებისა, იყო სასუფეველსა ზედა ლვოისასა: და შემ-
დგომად მიცემისა ითანესა მოვიდა იქსო ზაღიღიად, პქადაგებდა სა-
ხარებისა სასუფეველისა ლვოისასა და იცეოდა, კითარმედ აღსრულებულ
არს ჟამი და მოახლებულ არს სასუფეველი ლვოისა, შეანანეთ და
გრწმენინ სახარებისა (მარკ. 1, 14 – 15). ამითვე იწყებდენ ქადა-

გებასა ყოველნი მოწაფენი მისნი. იგინი ეტყოდენ ყოველთა, რომ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა, ახარებდენ ყოველთა სასუფეველსა ღვთისასა, შეაგონებდენ, რომ შეიწყნარონ სასუფეველი ღვთისა, შევიდენ მას შინა და გახდნენ ძენი სასუფეველისა. სჩანს, ძმანო ჩემნო, რომ ერთობ დიდი არის ეს საგანი, თუ კი ამით იწყებდენ ქადაგებასა თვისსა ყოველნი წმინდანი, მაშასადამე საჭირო არის, რომელ ჩვენცა შევიტყოთ რაც არს სასუფეველი ღვთისა, როგორ უნდა შეიწყნაროს და მიიღოს კაცმა სასუფეველი ღვთისა.

თვითსაღმრთო წერილი ჰქსნის რასა შინა მდგომარეობს სასუფეველი ღვთისა; წმიდა მოციქული პავლე ერთსა ეპისტოლესა შინა თვისსა იტყვის: არა არს სასუფეველი ღვთისა საჭმელ და სასმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარულ სულითა წმინდითა. (რომაელთა 14, 17). ავაშენოთ ამ სიტყვებზე სწავლა სასუფეველსა ზედა ღვთისასა.

არა არს სასუფეველი ღვთისა საჭმელ და სასმელ. ამ სიტყვებით წმინდა მოციქული პავლე შეგვაგონებს ჩვენ, რომელ სასუფეველი ღვთისა არ არის რომელიმე გარეგანი ნივთიერება, ანუ ხილული საგანი. იგი არა მდგომარეობს არცა სასმელსა და საჭმელსა შინა, არცა ტანისამოსსა, არცა სიმდიდრესა შინა; არცა ქვეყნიურსა ლირსებასა ანუ დიდებასა შინა. მაშასადამე იგი არის უხილავი, შინაგანი თვისება გულისა და სულისა: არა არს სასუფეველი ღვთისა სასმელ და საჭმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარულ სულითა წმინდითა. (რომ. 14,17).

მაშასადამე სასუფეველი ღვთისა პირველად მდგომარეობს სიმართლესა შინა. რაი არს სიმართლე? ამ სიტყვას აქვს, ძმანო ჩემნო, განიერი, ვრცელი და მრავალ-გვარი მნიშვნელობა. ზარნა ჩვენ ქრისტიანეთათვის უფრო საჭიროა გვახსოვდეს და ვიცოდეთ ერთი უმთავრესი მისი მნიშვნელობა. საღმრთო წერილი ამ სიტყვით ჩვენ გვიჩვენებს იმ სიმართლეს, ანუ განმართლებას, რომელი მოგვანიჭა ჩვენ უფალმა იესო ქრისტემ თვისითა სიტყვითა და საქმითა, ესე იგი განმართლება უფლისა იესო ქრისტესის სისხლითა და ხორცითა, რომელი მან შესწირა ჩვენთვის. მაშასადამე სიმართლე არის მრთელი ქრისტიანობა. აქედგან ცხადია, რომელ სასუფეველი ღვთისა პირველად იმ კაცს აქვს გულში, რომელმაც მიითვისა ქრისტეს

სჯული, მისი მადლი, ანუ იესო ქრისტესაგან მონიჭებული სახარება.

მეორედ სასუფეველი ღვთისა მდგომარეობს მშვიდობასა შინა. მშვიდობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საღმრთო წერილში. როგორც საღმრთო წერილი გვასწავლის, ყოველ კაცს უნდა ჰქონდეს მშვიდობა, პირველად ღმერთთან, მეორედ თავის თავთან, შესამედ ყოველ მოყვასთან. რა სახით უნდა ჰქონდეს კაცს ღმერთთან მშვიდობა? საღმრთო წერილი გვასწავლის, რომ ყოველი ცოდვა არის მტერობა ღვთისა; ცოდვილი კაცი მტერია ღვთისა მისთვის, რომ ღმერთი არის უზენაესი სიმართლე, ჭეშმარიტება და სძაგს კაცი ცრუ. ამისთვის ცოდვის მოყვარე, ცრუ კაცი მტერია ღვთისა, ვინაიდგან ღვთის საქმეს, ღვთის მშვიდობას არღვევს. ღმერთთან ჩვენი მშვიდობა მოახდინა, ანუ შეგვარიგა ღმერთთან შფალმან იესო ქრისტემან, რაღგანაც მან მიიღო თავის თავზედ ყოველი ჩვენი ბრალი და შეცოდება ღვთისადმი, მაგრამ იმ პირობით, თუ ჩვენ გვახსოვს მისი სწავლა, ვემორჩილებით და ვასრულებთ მისთა მცნებათა. თავის თავთან მშვიდობა მაშინ აქვს კაცა, როდესაც მას თვისი ჭიუა და სვინიდისი არაფერში არ ამტყუნებს და არ არცხვენს, როდესაც იგი არ ემორჩილება ისრეთთა ცუდთა სურვილთა, ვნებათა, მიღრეკილებათა, რომელნიც დაარღვევენ კაცის მშვიდობასა და მოსვენებასა, შთააგდებენ მას ურვასა და შფოთსა შინა, წარიტაცებენ და დაატყვევენ მას. ღიღი და ძნელი საქმე არის, ძმანო ჩემნო, მოპოება ანუ შეძენა სულიერისა მშვიდობისა. იგი მიეცემა და გაუჩნდება გულში მხოლოდ იმ კაცს, რომელმან, დასთრგუნა ყოველნი თვისნი ვნებანი, დიდ ხანს და მრავალი იღვაწა. ამ სახით მშვიდობა არის განსვენება გულისა და სულისა ღმერთსა შორის, მაშასადამე იგი არ არის დაძინება ცოდვათა შინა, არამედ მღვიძარება კეთილთა საქმეთათვის; იგი არ არის უქმად ყოფნა, არამედ შრომა, მოღვაწეობა სულიერი. მართალია, უმრავლესნი ნაწილნი ქრისტიანეთა შორის, თუმცა ცოდვას არ იშლიან, უწესოდ სცხოვრებენ, მანც მოსვენებულნი არიან, თითქმის მშვიდობაც არის მათს გულში. ბარნა ესრეთი მშვიდობა არის

ცრუ და მცბიერი. იგინი ჰერძნობენ მშვიდობასა მისთვის, რომ არ იციან თავი თვისი, არ ეძებენ სისრულესა, არ შესულან ჯერედ სასუფეველსა შინა ცათასა. შმჯობესი იქნებოდა, რომ მათ გულში ყოფილიყო ურვა, ბრძოლა, სვინიდისის მხილება და მოუსვენებლობა, ამისთვის, რომ ეს იქნებოდა ნიშანი მისა, რომ მათ არ სძინავთ ცოდვასა შინა, და სული მათი ცდილობს როგორმე გამოსვლას ცოდვისაგან. მათი მშვიდობა და მსგავსება უფრო სასიკვდინე ძილსა, ვიდრე იმ მშვიდობას, რომელსა გააჩენს კაცის გულში სული წმიდა.

ბოლოს სასუფეველი ღვთისა მდგომარეობს სიხარულსა შინა სულითა წმიდითა. იქმნება ვისმეს გაუკვირდეს, რომელ ჭეშმარიტი ქრისტიანე, რომლისა გულში არს სასუფეველი ღვთისა, უნდა იყოს ავსებული სიხარულითა. მართალია, უფალმან იესო ქრისტემან გვითხრა ჩვენ: ნეცა იუგნენ მგლოვანე; სამღრთო წერილი ხშირად შეგვაგონებს ჩვენ, რომ კაცი ყოველთვის უნდა სწუხდეს და სტიროდეს თავის უღირსებას და ცოდვას; მაგრამ სიხარული სულისა მიერ წმინდისა არა თუ არ არის წინააღმდეგი სულიერისა მწუხარებისა, მონანებისა, შემუსვრილებისა, არამედ პირდაპირ მისი ნაყოფია. სიხარული სულისა მიერ წმინდისა მხოლოდ იმ კაცს გაუჩნდება გულში, რომელმაც მწუხარებითა და ცრემლითა განბანა სული თვისი ყოვლისაგან ბილწებისა და ამით მიიღო სიმართლე, ანუ გამართლება იესო ქრისტესი და შეურიგდა ღმერთსა და თავის თავსა.

რაც აქამდინ ვსთქვით, იმაზე ესეც უნდა დავუმატოთ: სასუფეველი ღვთისა კაცის გულში არ არის რაიმე უძრავი, არამედ თითქმის ყოველ დღე და ყოველს წამს იცვლება, ხან დიდდება, ხან მცირდება. თუ გსურისთ, ძმანო ჩემნო, რომ ყოველთვის იყოს თქვენს გულში სასუფეველი ღვთისა და იზრდებოდეს, ეცადეთ, რომ ყოველ დღე განაახლოთ იგი და გააცოცხლოთ სულიერითა საზრდოითა. როგორათაც სხეული კაცისა იზრდება და განაახლდება საზრდოის მიღებითა, ეგრეთ ვე შინაგანი ცხოვრება შენი, ესე იგი სასუფეველი ღვთისა, ყოველ დღე უნდა განაახლდეს სულიერის საზრდოის მიღები-

თა, რომელ არს ლოცვა, კეთილი გრძნობა, კეთილი საქმე, მარხვა, მოთმინება და სხვა. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

მეოთხესა კვირიაკესა ზედა შემდგომად ცულის წმინდის
მოუფენისა.

მიუგო ასის-თავმან მან და რქვა: შფა-
ლო! არა ღირს ვარ მე, რათამ მა სართულ-
სა ჩემსა ქვემ შემოხვიდე. (მათ. 8,8).

რა გასაოცარი, წრფელი, ღრმა სიმდაბლე გამოაჩინა, მართლ-მაღიდებელნო ძმანო ჩემნო, ასის-თავმან ჩაპერნაუმი-სამან. თუმცა იცოდა, რომ შფალი იესო მრისტე იყო მოწყა-ლე და თავმდაბალი, და არა თუ მის სახლში, არამედ უღა-რიბესთა კაცთა ეწვეოდა, გარნა ისეთი თავმდაბალი იყო, რომ შეეშინდა მას თვისი უღირსებისა, და როდესაც იესო მრის-ტემ უბრძანა: მე მოვიდე შენს სახლში და განვითარე მონა შენი,— მან მოახსენა: უფადო, არა ღირს ვარ, რათამცა სართულსა ჩემსა ქვე-შე შემოხვიდე; არამედ სიტყვით ხოლო სოქვი და განიჯერნოს მონა იგი ჩემით. ამის მსგავსითა სიმდაბლითა იყვნენ შემკულნი, ძმა-ნო ქრისტიანენო, უდიდესნი წმიდათა შორის: მოსე, დავით, პავლე. საღმრთო წერილი იტყვის, რომ თვით ზეციურნი ან-გელოსნი არიან მშვიდნი და თავ-მდაბალნი. იგივე სათნოება არის უდიდესი და უსაჭიროესი ყოველთა ქრისტიანეთათვის, რომელთა ჰსურსთ შესვლა სასთფეველსა შინა ღვთისასა. მს სათნოება, როგორც იტყვის წმინდა მამა ამბროსი მედიოლანე-ლი, არის სამკაული ყოველთა სხვათა სათნოებათა. რო-გორც გონიერი სახლის მშენებელი ეძებს მაგარსა საძირკველ-სა, და ვიდრემდის არ ჰნახავს კლდეს, არ დაიწყებს სახლის შენებას, მზგავსად კაცმა, რომელსაც ჰსურს აშენება თვისი

სა სულიერისა სახლისა, სიმდაბლეზე უნდა აღაშენოს იგი. სიმდაბლე ის არის კაცის ცხონებისათვის, რაიცა ფესვი მცენარისათვის. თუ ფესვი მრთელი და მაგარი აქვს მცენარეს, იგი არ დასჭირდება, თუ გინდ მრავალ-გზის მოპკაფონ მისნი რტონი, მაინც ახალთა გამოიღებს. მზგავსადვე, თუ მტკიცე სიმდაბლე არის კაცის სულში, იგი კაცი არ წაჰავი მდება, თუ გინდ მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი ეწიონ მას. ვერაფერი ვერ გაუსწორდება სიმდაბლეს, იტყვის იოანე მცერო-პირი. იგი არის დედა, ფესვი, საფუძველი, საზრდელი და კავშირი ყოვლისა სიკეთისა. ვინც ისწავლა სიმდაბლე, მან მხოლოდ ისწავლა ბაძვა იესო მრისტესი.

სიმდაბლე არის სარწმუნო მცელი ყოველთა სათნოებათა. წარმატება სათნოებათა შინა არის წარმატება სიმდაბლესა შინა. წინააღმდეგ ამისა, რაი არიან ყოველნი სხვანი სათნოებანი გარეშე სიმდაბლისა? მტვერი, რომელსა წარიტაცებს პირველი შებერვა ამპარტავნებისა. ზარეშე სიმდაბლისა ამაოა ყოველი სულიერი შრომა: არ არის არცა სიყვარული ღვთისა და კაცისა, არცა სიწმინდე გულისა, არცა ოთმინება, ერთის სიტყვით, არცა ერთი ლოთის წინაშე ლირსება. ვინც დაპკარგა სიმდაბლე, მან დაპკარგა ყოველიფერი, თუგინდ სხვაფერ კი სრული კაცი იყოს და დაახლოებული ლოთისადმი. შეაერთეთ ლოცვა, მარხვა, სიწმინდე; თუ სიმდაბლე დააკლდა, ყოველივე იგინი მალე განპკარდებიან. თვით ზეციერნი ანგელოსნი დაე. ცნენ და შთაცვივდნენ ჯოჯოხეთს, ოდესუა სიმდაბლე დაპკარგეს. ვის უყურებს ლმერთი?— მხოლოდ მდინარეთა, ლოთის მოშაშთა, რომელნი მრწაან სიტყვისაგან მისასა, იტყვის ისაია წინასწარმეტყველი.

რაიცა აქამომდე ვსთკვით, ეს ყოველი, ძმანო ქრისტიანენო, არა ჩვენი სიტყვები იყო, არამედ სიტყვა იოანე მცეროპირისა. იგინი ცხადად გამოპხატავენ, რა მნიშვნელობა აქვს სიმდაბლეს ქრისტიანული ცხოვრებისათვის. საუბედუროდ, აწინდელთა ქრისტიანეთა შორის ფრიად მცირენი არიან მცოდნენი და მქონენი ჭეშმარიტისა სიმდაბლისა. ზარეგანი შეხედულობა, მიხერა-მოხერა, უბნობა კი მრავალთა აქვს ვითომც მდაბალი, გარნა გულში არა აქვს ჭეშმარიტი სიმდაბლე. ზოგიერთი

აწინდელი ქრასტიანე ფეხების ქვეშ დაგეგება, კრავისაებრ
მშვიდად გამოაჩენს თავის თავს, გარნა, თუ რამე პირ-უთნევე-
ლი სიმართლე გარგონა შენგან, თუ რამე, მოვალეობისა მებრ
შენისა, ამხილე მას და აყველრე, მაშინ კი, დაუკვირდი, რა
ნაირად ალიძრება მისი ამპარტავნება! ან, თუ ვინმე აქე პირში,
თუ გინდ სრულიად არ იყოს ღირსი ქებისა, შეჲხედე, რა ნა-
ირად იამება და დაგიჯერებს კიდეც. ნამდვილად თავ-მდაბალ-
კაცს ქება ეწყინება და შეაწუხებს, ხოლო მხილება იამება და
დაგიჯერებს. მართლა თავ-მდაბალი კაცი სხვას არავის განი-
კითხავს და თავის თავს კი განიკითხავს, ამტყუნებს და სჯის.
თუ რამე კეთილი არის მის შორის და ღირსი ქებისა, იმას
სრულიად არ ჰედავს, და თუ რამე ნაკლულევანება აქვს და
ცუდი თვისება, იმისგან სცხვენია და იტანჯება. თუ რამე
უბედურება ეწვია—იტყვის, ღირსი ვარო ამისა, ჩემის ცოდვით
დამემართაო; თუ ბერნიერება მიიღო—ლერთმან მომცაო, რა-
თა ამით მე მოქცევა და მადლობის შეწირვა მასწავლოსო. ნუ
ჰთიქრობთ, ვინმემ მოიპოვოს წარმატება სხვასა რომელსამე
საქმეში, იტყვის წინად ხსენებული ამბროსი მედიოლანელი,
თუ არ შეიძინა პირველად სიმდაბლე.

რა საშუალებით უნდა შეიძინოს კაცმა ქრისტიანული,
ღრმა სიმდაბლე? შმიდანი მამანი, გამოცდილნი ყოველთა სა-
თნებათა შინა და უმეტესად სიმდაბლესა შინა, გვასწავლან,
რომ პირველი საშუალება შეძინებად სიმდაბლისა არის ხში-
რად დაფიქრება, მარადის წარმოდგენა შტლისა ჩვენისა იქსო
ჭრისტეს ცხოვრებისა და მისთა თვისებათა. თვით იგი უფა-
ლი გვიხმობს ჩვენ: ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშგად ჭარ და მდაბალ
გულითა. თუ ეგ ლვთისა ზეცით გარდამოხდა, ხატი მონისა
მიიღო, მოითმინა ქვეყანაზე ყოველ გვარი მწუხარება და დამ-
დაბლება, განკიცხვა, ნერწყვი, გვემა-ჯვარცმა, სიკვდილი, ჩვენ
კი,— მიწა და ნაცარი,— როგორ არ უნდა ვიყოთ მდაბალნი,
რით უნდა ვიყოთ ამპარტავანნი? საუბედუროდ, ხშირად მოხ-
დება, რომ კაცი გულ-დიდია მით, რაიცა მას არ ეკუთვნის,
რაც სხვისგან სამოწყალოდ მიუღია, ან თავის თავს შეადარებს
მათ, რომელნიც მასზე უარესნი არიან და მით გულ-დიდობს.
რაიცა ვართ—ლვთისაგან ვართ, რაც გვაქვს—ლვთისაგან ანუ

სხვათა კაცთაგან გვაქვს. მაშ რისთვის-და უნდა ვიყოთ გულ-დიდი! შენზე უმჯობესს კაცს უნდა შეამსგავსო შენი თავი და არა შენზედ უარესს. თუ კარგად გამოიკვლევ, რა გაკლია შენ, იმით ვეღარ იქმნები გულ-დიდი, რაიცა გაქვს.

თუ მართლა გსურს შენ, ძმაო ჩემო, იყო ჭეშმარიტი ქრისტიანე, ესე იგი თავმდაბალი კაცი, ერთ რჩევას მოგცემ მე, და თუ დამიჯერებ და კარგად აასრულებ, უთუოდ შეგვ-ძინება ლვთისაგან მადლი სიმდაბლისა, შოველ-დღე დილით და სალამოს ყოველი. შენი ლოცვა გაათავე ამ სიტყვებით: გლასაბ, დავწყდომიდ ფარი მე! ღმერთი შემეწიე მე! იცით, ვინ ლოცულობდა ასე? მეფე, წინასწარმეტყველი, ლვთის სულით სავსე დავით. თუ იგი ასე თავ-დაბალი იყო, ასე ლოცულობდა, შენ ვინ ხარ, საბრალოვ! შენ უფრო ხშირად, ყოველს წამს უნდა განიმეორო ეს ლოცვა. ამინ:

ს ი ტ ჟ ვ ა

მეცუთესა პვირიაპესა ზედა შეაღგომად სულის წმიდის
მოუვენისა.

სოლო ეშმაკნი იგი ეცედრებოდეს მას
და ეტყოდეს: უკეთუ გნევასხამ ჩვენ, მიბ-
რძანე ჩვენ მისვლად კოლოტა იმას ლოტ-
თასა. (მათ. 8, 31).

დღეს წაკითხული სახარება იპყრობს თვის შორის, ძმახო
ქრისტიანენო, ერთსა განსაცვიფრებელსა მოთხრობასა. ღდეს
შფალი იქსო ძრისტე მიმოსვლასა თვისსა სოფლითი-სოფლად
ქადაგებად სახარებისა, ერთხელ მიეახლა სოფელსა ბერგესვე-
ლსა, მოუხდენ მას ორნი კაცნი, დიდი ხნითვან შეპყრობილნი
და გატანჯულნი სულთაგან არაწმინდათა. როდესაც მაცხო-

ვარმან უბრძანა სულთა ამათ განსვლად მათგან, ისინი ეგედო-
ბოდეს მას და ეტეოდეს: უქეთუ განგვასხამ ჩვენ, მიბძანე ჩვენ მისვ-
ლად კოლოცტა იმას დორთასა. რას პიშავას, ძმანო, ეს უცნაური
და გასაოცარი თხოვნა სულთა ამათ არაწმინდათა? რამ შთაა-
გდო იგინი ესრეთსა საზარელსა მდგომარეობასა შინა, რამ
წაახდინა და გააფუჭა იგინი იმ ზომად, რომელ, როდესაც
იგინი დაიპყრობდენ კაცს - სტანჯვიდენ მას, მოაკლებდენ ჭკუ-
ასა და სახესა კაცისასა, და როდესაც მაცხოვარი უბრძანებს
მათ განსვლად მისგან— შესაფერს ადგილს ვერ პპოვულობენ
თვინიერ ღორთა, და ევედრებიან შუფალსა: უქეთუ განგვასხამ
ჩვენ, გვიბრძანე მისვლად კოლოცტა იმას დორთასა! ნუ თუ ბუნე-
ბითგან არიან იგრი გაფუჭებულნი ისე, რომ მხოლოდ უწმინ-
დურთა პირტყვთა შორის არის მათი შესაფერი ადგილი? არა,
ძმანო, იგინი, ვითარცა გვამცნებს ჩვენ საღმთო წერილი, თა-
ვიდგან იყვნენ ანგელოსნი, ესე იგი სულნი, აღვსებულნი ძლი-
ერებითა და სიწმიდითა. მაშასადამე, რამ გამოსცვალა იგინი
ამ სახით? ცოდვამ, ლვთის წინააღმდეგობამ!

აპა, როგორ წაახდენს ცოდვა თვით მაღალთა და მძლავ-
რთა არსებათა; აპა, ვითარ დაეცნენ ცოდვისგან თვით ძლიერნი
და ნათლით შემოსილნი არსებანი. ახლა ასე იფიქრე და გაშინ-
ჯე, ძმაო: ჩემო, უკეთუ ცოდვამ ამ სახით გამოსცვალა ანგე-
ლოსნი, რომელნი უწინ იყვნენ წინაშე ლვთისა ნეტარნი და
ნათელსა შინა მყოფნი, და ესეოდნად წაახდინა, რომელ უდა-
ბნოთა, ურწყულთა, კლდეთა, საფლავთა შინა და უწმინდუ-
რთა შინა პირტყვთა პპოებენ თავიანთთვის სასიამოვნო ადგი-
ლსა, ჩვენ რომ ბუნებიდგანვე ცოდვილნი ვართ და სუსტნი,
უარესად არ გაგვაფუჭებს ცოდვა? მართლა, ცოდვასა და უს-
ჯულოებასა აქვს უსაშინელესი მოქმედება კაცის ბუნებაზედ.
ვსოდეთ მოკლედ, რა ცვლილებას მოახდენს ცოდვა კაცის
ბუნებასა შინა.

ლმერომან შეჰქმნა რა კაცი, შეამკო იგი ორითა უმაღლე-
სითა ნიჭითა: პირველი ნიჭი კაცისა არის ჭკუა, ანუ გონება,
რომლითა იგი იცნობს ლმერთსა, ბუნებასა და თავის თავსა და
პმართავს თვისსა ცხოვრებასა და თვისთა საქმეთა; მეორე ნი-
ჭი კაცისა არის თავისუფლება, რომლითა მას შეუძლიან გან-

რჩევა ბოროტისა და კეთილისა და შეიყვარება ერთისა ანუ მეორისა. მრითა ამით ნიჭითა კაცი დაემსგავსება ლვთაებასა. ზარნა ცოდვა ორთავე ამათ ნიჭითა ესოდენ განპერწნის და წა-ახდენს, რომელ კაცი ხშირად დაემსგავსება პირტყვთა უწმინ-დურთა. დასამტკიცებლად ამისა, საკმაო არის წარმოგიღგინო რაოდენიმე მაგალითი და გაგახსოვნო რომელიმე შემთხვევა; ანუ გარემოება. კაცის გული და სული ხშირად ისე შეპყრო-ბილი არის რომლითამე ცოდვითა, ისე დამონებული არის რომლისამე ვნებისაგან, რომელ მისი ჭკუა და გონება ვეღარ მოქმედებს ჯეროვნად, თავისუფლება სრულიად აღარა აქვს, ვეღარ გაარჩევს კეთილსა და ბოროტისა. მაგალითებრ, კაცის გულს ზოგჯერ შეიძყრობს მრისხანება, ანუ გულფიცხელობა. რომელ მას აღარ ახსოვს, რას ჰლაპარაკობს, ანუ რას ჰმოქ-მედობს; იგი ისრეთთა საქმეთა აღასრულებს მაშინ, რომელ მერმე, როდესაც გულიდაუწყნარდა და მოეგო გონებასა, თვი-თონვე სცხვენია და ჰნანობს. მაგრამ გულფიცხელობა კიდევ ისე დადი ცოდვა არ არის, ის მხოლოდ ერთს წამს მოეკიდე-ბა გულს და მალე მაინც გათავდება. ზარნა ზოგიერთი სხვა ცოდვა ისე მოეკიდება გულსა კაცისასა, რომელ არ მოეშვება განმავალობასა შინა მრავლთა წელთასა და შთააგდებს მას მრა-ვალთა უშვერთა საქმეთა შინა. უცხოდ იტყვის ამაზე წმიდა მოციქული პავლე ეპისტოლესა შინა თავისსა: უწყი, გთარშედ არა რა დამგვიდრებულ არს ჩემთან, ესე იგი. არს ხორცობ შინა ჩემ-თა, კეთილი; რამეთუ ნება იგი წინა-მიძს მე, ხოლო საქმედ კეთილისა მის არა გვთვავე... და გხედავ სხვასა ჰსჯელსა ასთოა შინა ჩემთა, რო-მელი იგი წინაგანეწყვების სჯულსა მას გონებისა ჩემისასა და წარმტკი-ნაგს მე ჰსჯულითა მით ცოდვისათა, რომელი იგი არს ასთოა შინა ჩემთა. (რ. 7, 18 23). მაგ იგი: მე კი მსურს, რომ კეთილი სა-ქმე აღვასრულოო, გარნა ვხედავ ჩემს შორის რაღაცა სხვა ძა-ლასა, ესე იგი ძალასა ცოდვისასა, რომელიც მიშლის მე კე-თილი საქმის. აღსრულებასა და შთამაგდებს ცოდვასა შინაო. უბადუჟა მე ესე კაცი! ვინმე მიხსნეს ხორცობ ამათგან აშის სიკედი-ლისათა, (რომ. 7. 24), ესე იგი, რა საწყალობელი და საბრა-ლო არის კაცის ბუნებაო, ვინ უნდა გამოიხსნასო იგი ცოდვისაგან და სიკვდილისგან. აპა, რა ძალი და მოქმედება აქვს ცოდვასა

ბუნებასა ზედა კაცისასა. იგი არა თუ გარდაექცევა მას ჩვეულებად, არამედ—მეორე ბუნებად. ვინ არ იცის ეს, ვის არ გამოუცდია ეს თავის თავზედ? ვის არ უნახავს მრავალი ადამიანი სულითა და ხორცითა დაღუპული, უზომოდ გაფუჭებული, მოკლებული ყოველთა სიკეთეთა და მშვენიერებათა ცოდვისაგან. მაშასადამე, მოერიდე, ძმაო, ყოველსა ცოდვისა ვითარცა უსაშინელესსა მტერსა შენსა. შეპხედე და განიხილე გარემოს შენსა, რამდენსა ჰნახავ მაგალითსა, რამდენი კაცი დაიღუპა შურითა, ამპარტავნებითა, სიხარბითა, ანგაარებითა. ჰნახავ ერთს კაცსა, რომელი თითქმის აღარ არის თავის ჭკუაზე შურისაგან; მეორეს ჰნახავ დაცემულს, გაღარიბებულს მით, რომ უყვარს ლვინის სმა, ლხინი, განცხრომა; მესამე მიეცა მრუშებასა, მიაგდო ცოლ-შვილი, დაპლუპა თვისი ქონება, დააქცია ოჯახი; კიდევ ჰნახავ სხვას, ჩავარდნილს საზარელსა სენსა შინა, თვისი უწმინდური ცხოვრებისგან. მრთი სიტყვით, თუ ჭკუა გაქვს, დაფიქრება იცი, მრავალს ჰნახავს საბუთებს და ნიშნებს, რა სახით ცოდვა დასცემს, დაამახინჯებს კაცს. მაშასადამე, არა დაემონო ცოდვას, დაიფარე შენი თავი ცოდვის მძლავრობისაგან, იყავ მონა ლვთისა და არა ცოდვისა, რომელიც და მოგვცეს ლმერთმან მაღლითა თვისითა მრისტეს იესოს მიერ. ამინ.

მოძლვება.

მეცნობესა კვირიადესა ზედა.

განმარტება კვირიადესა სამოციქულოსა (რომ. 10. 1—11.)

ძმანო მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო! საღმრთო ლიტურლიის, ანუ წირვის ალსრულებასა შინა, უმთავრესთა წესთაგანი არის წაკითხვა სახარებისა და სამოციქულოისა. მა-

შასადამე, ვისაც ჰსურს ჯეროვნად და სასარგებლოდ მოსმენა წირვისა და მიღება მაღლისა, მან ყოველთვის საკუთარი ყურადღება უნდა მიაქციოს რიგის სამოციქულოსა და სახარებასა ზედა და ეცადოს; რომ კარგად გაიგოს აზრი და დარიგება, რომელნიც არიან მათ შინა.

აწინდელთა კვირიაკეთა შინა, ესე იგი შემდგომად სულის წმინდის მოფენისა, ყოველს წირვაზედ წაკითხებიან სამოციქულოისაგან რომაელთა მიმართ წმიდისა პავლე მოციქულისა ისრეთნი თავნი და მუხლისი, რომელნიც იპყრობენ თვის შორის დიდსა და ღრმასა სწავლასა. მეტადრე დღეს წაკითხული სამოციქულო წინა-დაგვიდებს ერთობ ღრმასა სწავლასა, რომელსა ყოველი ქრისტიანე ვერ გაიგებს ჯეროვნად, უკეთუ არ ეყოლა ხელ-მძღვანელი. ამისთვის, შეწევნითა ლვთისათა, ავხსნათ აზრი დღეს წაკითხულის სამოციქულოისა, ხოლო ხელ-მძღვანელად ჩვენდა მოვუწოდოთ დიდსა და წმიდასა მამასა ჩვენსა ითანე ღერო-პირსა, რომელმან დაგვიტოვა ჩვენ ვრცელი და მშვენიერი განმარტება ყოველთა პავლე მოციქულის წერილთა.

გარნა პირველ, ვიდრე შეუდგებით დღეინდელ სამოციქულოს განმარტებასა, უმჯობესი იქმნება მოკლედ ვსთქვათ, რა საგანზედ ლაპარაკობს წმინდა პავლე მას შინა. რაკი ამას შევიტყობთ, მაშინ გაგვიადვილდება ცალ-ცალკედ განმარტება თვითოეულის მუხლისა. მაშასადამე, რა საგანზედ ლაპარაკობს საზოგადოდ დღეს წაკითხული სამოციქულო? იმაზედ, რომელ ებრაელები შემცდარნი იყვნენ, როდესაც ამტკიცებდენ, რომელ კაცი განმართლდება და ცხონდება მათი, ძველი აღთქმის, სჯულით; წინააღმდეგ ამისა, კაცს შეუძლიან ცხონება მხოლოდ იესო ქრისტეს სარწმუნოებითა.. მს არის უმავრესი აზრი დღეს წაკითხულის სამოციქულოისა. შფრო მოკლედ რომ ვსთქვათ, ყოველი კაცი ცხონდება იესო ქრისტეს სარწმუნოებით და არა ძველი, ებრაელების სჯულით, რომელიც მათ მისცა მოსემ. ახლა დავიწყოთ თვითოეული მუხლის განმარტება ცალ-ცალკედ.

მმანო, ნება გულისა ჩემისა და ვედრება ჩემი ღმრთისა მიმართ ისრაილისათვის, ას საცხოვრებელად (მუხლი 1).

ამ პირველი მუხლის სიტყვებში წმინდა მოციქული არწმუნებს ებრაელთა, რომ მას დიდად ჰსურს მათი ცხონება და ლოცულობს მათი ცხონებისთვის ჩემი გულის ნება, ანუ წადილი ლვთისა მიმართ ვედრება ისრაილისათვის, ანუ ებრაელისათვის არისო, რათა იგინი ცხონდნენო.

გეწამები მათ, რამეთუ შური საღმრთო აქვს, არამედ არა მეცნიერებით. (მუხ. 2). აქ წმინდა მოციქული ამბობს, რომ მე თვითონ მოწამე ვარო, დარწმუნებული ვარო, რომ მათ, ებრაელთა, საღმრთო შური აქვთ, გარნა არა მეცნიერებით. რაი არს საღმრთო შური? საღმრთო შური არს დიდი და მომეტებული ლვთის ერთგულება. ვისაც ამისთანა შური აქვს, იმას ფრიად ჰსურს, რომ ყოველი კაცი ლმერთს ადიდებდეს და ძლიერ ეწყინება, როდესაც ჰნახავს ვისმეს თავის წინააღმდეგს. მსრეთი საღმრთო შური დიალ პატიოსანი და მოსაწონი თვისება არის,—გარნა მაშინ, როდესაც ის არის მეცნიერებით, ესე იგი ჭკუით, გონიერად. ბარნა ებრაელთა, სამწუხაროდ, ეს შური ჰქონდა არა მეცნიერებით.

ბარნა ამას შემდგომ მუხლში წმინდა მოციქული აღგვიხსვის ჩვენ: რამეთუ უმეცარ-იყენეს იგინი სიმართლისა მისგან ღმრთასა, და თვისსა მსს სიმართლესა ეძიებდეს დამტკიცებად, და სამართლესა ღმრთისა არა დაემორჩიდეს. (მუხლი 3). აპა, რასა შინა მდგომარეობდა მათი უმეცრება. მათ, ესე იგი ებრაელთა, კარგად არ გამოიძიეს და არ შეიტყეს ლვთის სიმართლე, ესე იგი ლვთის ნება, ლვთის განგება, და ნაცვლად ამისა თავიანთს საკუთარს სიმართლეს ეძიებდენ დამტკიცებად და ლვთის სიმართლეს არ დაემორჩილნენ. ერთი სიტყვით, ნაცვლად ლვთის ნების და ბრძანების აღსრულებისა, იგინი თავიანთს საკუთარს ნებასა და სურვილს ასრულებდენ. რა იყო და რომელი ნება და განგებაა ლვთისა, რომელსაც ებრაელნი არ დაემორჩილნენ? ამას წმინდა მოციქული აღგვიხსნის შემდგომსა მუხლსა შინა: რამეთუ დასასრული სჯულისა ქრისტე არს მაცსოვრად ეღვღისა მორწმუნისა. (მუხლი 4). აპა, რაში მდგომარეობდა ნება ლვთისა. ის ძველი სჯული, რომელიც ებრაელთა მისცა ლმერთმა წინასწარმეტყველების პირითა და ხელითა, იყო დროებითი, მოსამზადებლად მათდა შრისტე იესოს მოსვლისათვის. ძველი აღთქმის სჯულის დასასრული იყო შრისტე იესო, მოვლინებუ-

ლი მაცხოვარებად ყოვლისა მორწმუნისა მბრაელთა დაივიწყეს ეს ჭეშმარიტება. მათ არ მიიღეს უფალი იქსო შრისტე. ამისათვისაც იგინი უმეცარი შეიქმნენ ლვთის ნებისა, იგინი არ დაემორჩილნენ ლმერთსა.

რასეთუ შასე დაპსწეს სიმართლესა მას სჯული საგნისა, გათარმედ რომელმან ჰქმნეს იგი გაცმან, ჰსცხოგნდეს მას შინა. (მუხლი 5). აქ წმინდა მოციქული პავლე ცხადად და გონივრად ამტკიცებს, რომელ ძველი სჯულის საშუალებით კაცის ცხონება არ შეიძლება. როგორც თვითონ მოსე სწერს, სჯულის სიმართლე, ანუ განმართლება კაცისა სჯულის საშუალებით, შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც კაცი სჯულს აღასრულებს დაუკლებელად, სრულიად. რომელმან ქმნეს იგი გაცმან, სცხოგნდეს მას შინა. ვინც იქმს ანუ აღასრულებს სჯულს, ის სცხონდება სჯულით. გარნა, რადგანაც არ შეიძლება, რომ გამოჩნდეს ვინმე ისეთი კაცი, რომელსა შეეძლოს აღასრულება ყოვლისა სჯულისა, ესე იგი დაუკლებელად, და შეიქმნეს უცოდველი ყოველ კერძოდ, მაშასადამე არც ის შეიძლება, რომ ძველი სჯულის საშუალებით ვინმე სცხონდეს.

ახლა, ძმანო, სამს მუხლს: მეექვსეს, მეშვიდეს და მერვეს ერთად წავიკითხავ და ავხსნი, რადგანაც მათ ერთი აზრი აქვს.

ხოლო სარწმუნოებისაგან სიმართლე ესრედ იტევის: ნუ იტევი გულსა შენსა, გინ აღვიდეს ზეცად? — ესე იგი არს ქრისტესი გარდამოგანებად — ანუ გინ შთავიდეს უფსკრულად? — ესე იგი არს ქრისტესი შევდრეთით ადმოვანესა (მუხლი. 6, 7, 8).

წინად სთქვა, და კიდეც დაამტკიცა წმიდამან პავლემ, რომელ სჯულის საშუალებით, ანუ საქმეთაგან სჯულისათა შესაძლებელი არ არის სცხონდეს კაცი. ამისათვის, რომ არავის არ შეუძლიან მრთელი სჯული აღასრულოს, ესე იგი უცოდველად იცხოვროს.

ახლა იმას ამტკიცებს, რომ ცხონება უადვილესად და ყოველი კაცის შესაძლებელად შეიქმნა შრისტე იქსოს სარწმუნოების საშუალებითაო. ნუ იტევი შენს გულში, ესე იგი ნუ იფიქრებ გულში, რომ ძნელი რაიმე იყოს იქსო შრისტეს სარწმუნოება, ანუ მისი სარწმუნოებით გამართლება. ნუ იტევიო, ვინ ავა ზეცად, რომ შრისტე ჩამოიყვანოსო, ანუ ვინ ჩავა ქვესკნელად, რომ შრისტე ამოიყვანოსო; სიტევა სარწმუნოებისა მახლობელ შენდა არსო, ჰირსა შენსა და გულსა შენსათ, ესე იგი იქსო

შრისტეს სარწმუნოება ადვილი არისო, წინააღმდეგ სჯულის შესრულებისა, რომელიც შესაძლებელი არ არის.

გთარმედ აღვართა ჰირთა უფალი იქსო და გრწმენეს გულითა შენითა, რამეთუ ღმერთშენ ადადგინა იგი მქოდრეთით. (მუხლი 9). რა იქმნება ამაზედ უადვილესი, რომ პირითა შენითა აღიარო და გულითა გრამდეს იქსო ქრისტე მკადრეთით აღდგომილი და მით სცხონდე, რამეთუ გულითა გვრჩამს სამართლედ, ხოლო ჰირთა აღვარებთ საცხოვრებელად. (მუხლი. 10). ზულითადი სარწმუნოება გაგვამართლებს, პირითა აღსრულება გვაცხონებს.

ამ სახით გაგვიადვილა უფალმან იქსო ქრისტემან ცხონება. ახლა წარმოიდგინე უგუნურება ებრაელთა, რომელნი დაუინებით ამტკიცებენ, რომელ კაცი ცხონდება მათი სჯულის დამარხვითა? თვითონვე ჰედვიდენ, რომ მთელი სჯულის აღსრულება არ შეუძლიან არც ერთს კაცს, მაშასადამე ქვეყანა უნდა წარწყმედილიყო, თუ არ მოენიჭა უფალსა იქსო ქრისტეს ჩვენთვის ცხონება სარწმუნოებითა თვისითა. გარნა იმ ზომად იყვნენ ებრაელნი დაბრმავებულნი, რომ მაინც არ მიიღეს იქსო ქრისტეს სარწმუნოება.

ჩვენც უნდა გვეშინოდეს, ძმანო ქრისტიანენო, რომლითამე მხრით არ შემოგვერიოს სულიერი სიბრმავე და თავხედობა, მსგავსად ებრაელთა მათ. როდესაც დიდი და საკვირველი მამათა შორის, ზემო ხსენებული ღქრობირი აღსნის აწინდელსა სამოციქულოსა, ბოლოს გამოიყვანს თვისისა სამწყსოისათვის საკვირველსა ზნეობითსა სწავლასა. ეს სიბრმავე და სიკერპე ებრაელთა დაემართა, იტყვის იგი, ამპარტავნებითა და თავხედობით, და მერმე გააგრძელებს სიტყვასა, თუ როგორ უნდა ეშინოდესთ ქრისტიანეთა ამპარტავნებისა და სულიერისა სიბრმავისა. ნეტავი თქვენცა შემძლებელ იყვნეთ და კითხულობდეთ წიგნებსა იოანე ღქრობირისასა! რა სახით დაგიტკბებოდათ გული მისის დარიგებითა! მის სიტყვებს ისრეთი მოქმედება აქვს ჩვენს გულზედ, რომელ როდესაც ავიღებთ მისს წიგნს და ვკითხულობთ, მაშინ ყოველი სოფლიური მწუხარება და ამაოება დაგვავიწყდება, ცხოვრების ტვირთი შესარება და ამაოება დაგვავიწყდება, ცხოვრების ტვირთი შე-

გვიმსუბუქდება, რომელიც და მოგვცეს ჩვენ ყოველთა ღმერ-
თმან. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

აეხლოესა პვირიაკესა ზედა.

მაშინ ყოველი იგი ქალაქი გამოვიდა
შემთხვევად იქსოსა; და იხილეს იგი და
ეველრებოდეს, რათა წარვიდეს საზღვართა-
გან მათთა (მათესი 8, 34).

აჰა, ძმანო, საღამდის მიიყვანს და რა უგნურებაში ჩააგ-
დებს კაცს ანგარება! მრთხელ შფალმან იქსო ძრისტემან
მახლობლად ბერგესეველის სოფლისა განკურნა ორნი კაცნი,
შეპყრობილნი და მწარედ გატანჯულნი ეშმაკთაგან. როგორც
ეშმაკნი გამოვიდნენ კაცთაგან, იგინი შევიდნენ კოლოტსა შინა
ლორთასა; ლორები შეშინებულნი გაიქცნენ და შეცვინდნენ
ბაღარინელის ტბასა შინა და დაიხრჩნენ. როდესაც გაიგონეს
ეს იქაურთა ლორების პატრონთა, მთელი ქალაქი გამოვიდა
შემთხვევად იქსოსა და შეეხვეწეს მას, რომ წავიდეს იქითგან,
განეშოროს მათ, ნაცვლად სიხარულისა, რომ მათ ეწვია ესრეთი
პირი და ორი მათი ძმანი გამოიხსნა ეშმაკების საპყრობილესა-
გან, იგინი შეწუხდნენ იმაზედ, რომ მათი ლორები დაიხრჩნენ. ლორები უფრო ძვირფასი იყო და სანატრელი მათთვის,
ვიდრელა დიდი სასწაულ-მოქმედის ხილვა და ორი კაცის გა-
ბედნიერება. აღარც ქადაგების სმენა მოინდომეს იქსო ძრის-
ტესაგან, აღარც სასწაულები; ეველრებიან მხოლოდ, რომ მა-
ლე წავიდეს მათი ქვეყნიდამა, — ეგოდენ დააბნელა მათი ჭკუა
ანგარებამ!

გარდა ბაღარინელის მცხოვრებნი იყვნენ წარმართნი. და

ეგ ზომად არ არიან გასამტყუნებელნი და ლირსნი განკიცხვისა, ვითარცა ჩვენ, ქრისტიანენი. საუბედუროდ, აწინდელთა ქრისტიანეთა შორის, მეტადრე ჩვენს ქვეყანაში, გამოუთქმელი და გასაოცარი ანგაარება არის დანერგილი: რაოდენ უგუნურებაში და უბედურებაში შთავარდებიან აქაურნი მცხოვრებნი ანგაარებისგან, ამას ენა კაცისა ვერ გამოსთქვაშს. ბერგესეველნი, დღევანდელ სახარებაში მოხსენებულნი, ორი ათასის ლორის მოკლებისათვის შეწუხდნენ და თითქმის გააგდეს იქსო ძრისტე თავის ქვეყნისაგან; გარნა ჩვენს ქვეყანაში ხშირად ერთი გოჭის გულისათვის ძმა ძმას მოჰკლავს. ნუ ჰეონებთ, ძმანო ჩემნო, რომ ეს ნამეტანი ვსთქვი, —არა! მს ნამდვილია! სამი თვე არ გასულა მას უკან, რაც ერთს ჩვენი ქვეყნის დაბასა შინა ორი მკვიდრი ძმის შორის მოხდა ჩხუბი ერთი გოჭისათვის და ერთმა მეორე მოჰკლა. რამდენჯერ მოხდება ჩვენს ქვეყანაში, რომ ერთი ალაბი მიწისათვის ძმა ძმას წაეჩუბება და ერთმანეთს დაჰკოცვენ. ანუ დამპალი ლობის წალებისათვის, ანუ ერთს გოჯზე ლობის გადაცილებისათვის ჩხუბი და სიკვდილი მოხდება ძმათა შორის. მსრეთნი შემთხვევანი ისე ხშირნი არიან ჩვენში, რომ ალარავის არ უკვირს. მართალია, ღარიბი კაცისათვის ერთი გოჭი, ანუ ერთი ალაბის სივრცე მიწა დიდი არის და ვგონებ, რომ ღარიბ კაცს იმ ზომად არ მოჰკითხავს ღმერთი და არ დასჯის. ბარნა, რა უნდა ვიფიქროთ, როდესაც კაცი მდიდარი, აღვსებული მამულებით, ფულით, იმ ზომად ანგაარია, რომ არავის არ დაჰზოგავს კიდევ ფულის და მამულის შეძენისათვის, არც ერთს უსამართლოებას არ მოერიდება, ოლონდ იშოგნოს რამე, არა თუ მეზობელს წაართმევს რაც კი შეუძლია, აღარც ეკლესიას და მონასტერს დაჰზოგავს, თუ კი შეიძლო. სატირალი არ არის ამისთანადაცემულება ზნეობისა? ბასაოცარი არ არის და სატირალი ზნეობა იმ კაცისა, რომელიც ყოველი მოხერხებით და ღონით ცდილობს, რომ მშიერს და ღარიბს ბერებს წაართვას უკანასკნელი ლუკმა პური? ანუ არ გაგიკირდება, როდესაც გაიგონებ, რომ კაცი დაიწყებს საჩივარს თვის საკუთარს ოცის წლის ანუ მეტის მოძღვარზე, სულიერს მამაზე, ერთის მანეთის გულისათვის! ამისთანა მაგალითნი მრავალნი არიან ჩვენს ქვეყანაში.

ნუ დაემორჩილები, ძმაო, ანგაარებას! ნუ ხარ სულ-მოკლე, ნუ გაქვს შევიწროებული სული და გული, ანუ დაივიწყებ შენს ლირსებას და მაღალს სულიერს ხარისხს, რომელიც მოგანიჭა შენ ღმერთმან. ნუ იქცევი ისრე, რომ თითქოს საუკუნოდ უნდა სცხოვრებდე ქვეყანაზე. აქ სტუმარი ხარ შენ, აქაური მცირე რამე საქონლისათვის როგორ უნდა დაპკარგო უხრწნელი და საუკუნო ნეტარება! რა სარგებელ არს შენდა შეიძინო სფურვი ეკე, და სული წარწეშინდო, ანუ რა შისცეს კაცმა ნაცვალ სულისა თვისისა? ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

მეცამეტესა კვირიაკესა ზედა.

იგავი ვენახსა ზედა (მათ. 21. 32—42).

ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო!

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ყურადღებით მოისმინეთ დღეს წარკითხულის სახარებისაგან იგავი. შეჭველია, კიდეც მიჰხედით, რომ იმ იგავში უფალმან იესო შრისტემან მიფარულად და საიდუმლოდ აღწერა ბოროტი თვისება, უნაყოფოება, უმაღლება ებრაელთა. ვენახი იგი, რომელი დაასხა სახლსა უფალმან, მიფარულად პირიშნავდა იუდიანთ ქვეყანასა; სახლისა უფალითვით ღმერთსა; ზღუდე ვენახისა, საწნახელი, გოდოლი, რომელი აღაშენა სახლისა უფალმან, მოასწავებენ ყოველთა მათ ხორციელთა და სულიერთა სიკეთეთა, მშვიდობასა, სიმდიდრესა, სჯულსა, მაღლსა რომლითა ღმერთმან შეზღუდა და შეამკო ქვეყანა იგი ურიათა. რისთვის მიცა ღმერთმან ეგოდენი მაღლი ურიათა? მისთვის, რომ თავ-თავის დროზედ გამოიღონ ნაყოფი, ესე იგი: სარწმუნოება, სასოება კეთილნი საქმენი და სხვა; მაგრამ მათ ნაყოფი არ გამოიღეს.

ნაცვლად ამისა, როდესაც გაპეტავნიდა ღმერთი მონათა თვისთა წინასწარმეტყველთა ნაყოფის მისაღებად, ურიანი მათს სიტყვას არ ისმენდენ, ზოგიერთს მათგანს სცემდენ და სტანჯვიდენ, ზოგს მოჰკვლიდენ. ბოლოს ღმერთმან გაპეტავნა მათთან ძე თვისი, მხოლოდ-შობილი, რათა უკანასკნელი ზომა მიიღოს, თუ შეიძლება, მოაქციოს იგინი და ნაყოფი გამოაღებინოს; გარნა ურიათა არ შეიკვდიმეს მისიც, არამედ გამოიყვანეს იგი სავენახისა გარეთ, ესე იგი იერსალიმით, და ჯვარს აცვეს იგი. მსრეთი იყო უმაღურება და ბოროტება ერთა!.. მსრეთისა მათისა ბოროტებისათვის შფალმან გამოუცხადა, რაც დაემართებოდა მათ: ამისთვის გეტევი თქვენ, ვითარმედ მიგეღდს თქვენგან სასუფეველი ღმრთისა და მიუწეს ნათესავსა, რომელიც ჭეოფენ ნაყოფსა მისსა. (მათ. 21, 43). აპა, რა საშინელი სასჯელი მიეცა ურიათა? ღმერთი მათგან განეშორა, იგინი მოაკლდენ მადლისა და სასუფეველისა ღვთისასა. სასუფეველი ღვთისა ახლა მოგვეცა ჩვენ, ქრისტიანეთა, მაგრამ ჩვენც იმ პირობით, რომელი პირობითაც ჰქონდა მიცემული ურიათა, ესე იგი, რათა გამოვილოთ მისი შესაფერი ნაყოფი. მაშასადამე ნუ ჰტიქრობთ, ძმანო ჩემნო, რომ იგავი ესე, დღეს წაკითხული, შეეხება მხოლოდ ურიათა. არა! ახლა ჩვენ, ქრისტიანეთა, უმეტესად შეგვეხება და გვასწავლის იგი. ჩვენ, ქრისტიანენი, შევადგენთ ახლა ვენახსა ღვინისასა. ჩვენ, ქრისტიანეთა, მოგვცა ღმერთმან უმეტესნი და უდიდესნი მადლნი და სიკეთენი. ნაცვლად მოსეს სჯულისა, ჩვენ შეგვზღვნა ღმერთმან სახარებითა; საწნახლად ააშენა წმიდა ეკლესია და გოდოლად მას შინა დასდვა ცხოველს-მყოფელი თვისი ჯვარი. მაშასადამე, ჩვენგან ღმერთი მოელის უმაღლესსა ნაყოფსა. რა ნაყოფი უნდა მივართვათ ჩვენ, ქრისტიანეთა, ღმერთსა? წმინდა, მართალი და უბიწო ცხოვრება—აპა ნაყოფი, რომელსა მოელის ჩვენგან ღმერთი ჩვენი. ზიდრემდის ჩვენ ვცდილობთ ესრეთისა ნაყოფისა გამოღებას, ჩვენ ვიქმნებით შეყვარებული ღვთის ვენახი. ამისათვისაც ყოველს წირვაზე ვევედრებით ღმერთსა ხელ-აღპყრობილნი: გარდამთხხილე, ღმერთო, ზეცით, და იხილე, და მოჰკედე ვენახსა ამას, და განამტკიცე, რომელი დაასხა მარჯვენებან შენმან. როდესაც გესმის ეს უცხო სიტვები, ძმანო, გაიხ-

სოვნე, რომ ქრისტიანული ერი, წმიდა მართლ-მადიდებელი ეკლესია ახლა არის ვენახი ღვთისა და ჩვენ ყოველნი ერთბამად ვართ მუშაკნი ღვთის ვენახისანი. ხოლო სახელდობრ ჩვენ, ერი ქართველი ქრისტიანულის ეკლესია, არის ერთი უძველესთა ვენახთა ღვთისთაგანი. ჩვენ, უწინარეს მრავალთა აწინდელთა ქრისტიანულთა ერთა, გვიწოდა ზეციერმან მამამან მუშაკად თვის ვენახში. აქედან საკუთრად ჩვენთვის გამოდის ის სწავლა, გაფრთხილება, რომ არ დავემსგავსოთ იმ მეორე იგავში მოყვანილს უფროსს მას; რომელსა მამამ თვისმა უბრძანა წასვლად ვენახში მუშაობად, და რომელმან აღუთქვა — წავალო და არ წავიდა, მოატყუა მამა. თუ ჩვენ, უწინარეს სხვათა წოდებულნი და წოდების მსმენელნი, არ ვიქმნებით კარგი მუშაკნი, ამით სწორედ დავემსგავსებით მას უფროსსა შვილსა და შევიქმნებით მტყუარნი ღვთის წინაშე, რომელიც განაშოროს ჩვენგან ღმერთმან. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

მითიკურიული პერიოდის ზედა.

მოვიდა იგიცა, რომელსა ერთი ქანქარი მიეღო, და ჰრქვა: უფალო! უწყოდი, რამეთუ ფიტხელი კაცი ხარ შენ, მოიმკი, სადა არა დასოესი, და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიეს, და შემეშინა, წარგედ და დავმალე ქანქარი იგი შენი ქვეყანასა (მათ. 25. 24—25.)

ამ სიტყვებით უნდოდა დაემალა თვისი უკმაყოფილება და დრტვინვა მესამესა მონასა, რომელმან მიიღო ერთი მხოლოდ ქახქარი, ანუ ტალანტი. მან დაინახა, რომ სხვათა მონათა მიიღეს ხუთ-ხუთი და ორ-ორი ტალანტი მეფისაგან, და

ეწყინა; იფიქრა, რა უნდა მოვიგო ამ ერთი ტალანტისაგანო, ერთი სიტყით უკმაყოფილო დარჩა თავის გულში, დრტვინვა დაიწყო. მრავალნი არიან მსგავსნი ქვეყანაზედ მონისა ამის. ძლივს შეიძლება მოპოება ქვეყანაზედ ისეთი კაცისა, რომელიც არ დრტვინვიდეს, არ სტიროდეს, არ სჩიროდეს თვის ხვედრზედ, ანუ მდგომარეობაზედ. ზოგი ერთზე რამეზე დრტვინავს, ზოგი— მეორეზე; ყოველიფრით კმაყოფილი და მადლიერი ღმერ- თზედ კაცი თითქმის არ იპოვება ქანაზედ. რისგან არის ესა? რისგან წარმოსდგება ეს საზოგადო დრტვინვა და უმაღურება კაცთა. მიზეზი ამისა არა ერთია, არამედ მრავალი. მაგალი- თებრ: ზოგიერთი კაცი უკმაყოფილო არის თავის ხვედრზედ მისთვის, რომ მის ჭკუას და გონებას არა აქვს კანონიერი მი- მართულება, არ იცის კანონიერი მსჯელობა. იტყვიან ერთს ძველი დროების მეფეზედ, რომ ერთხელ ქუჩაში რომ დასე- ირნობდა, დაინახა რამდენიმე უბრალო მუშები სადილად ისხ- დენ, პურისა და წყლის მეტი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ ისე მხიარულად და სიცილით სადილობდენ, რომ შეეხარბა იმ მე- ფეს, ტირილი დაიწყო და სთქვა: მე არაოდეს არ მიჟამია ასე მხიარულად სადილიო, ის კი დაავიწყდა მას რაოდენი სხვა ჰქონდა დიდება, ბედნიერება და წარმატება. ზოგიერთი კაცი მარადის დრტვინავს და სჩივის მისთვის, რომ ცუდი გუნება აქვს, მარადის სნეულს კაცს დაემსგავსება; კიდევ რომ ყოვე- ლიფერი ჰქონდეს ქვეყანაზე, მაინც გუნება არ აძლევს მას კმაყოფილებას. ზოგიერთი დრტვინავს და უკმაყოფილოა მისთვის, რომ სუსტი ხასიათი აქვს, სიმტკიცე არა აქვს სული- სა და გულისა, ვერ მისცემს საზღვარს თვისთა სურვილთა და მისწრაფებათა: ალექსანდრე მაკედონელმა მრავალი ქვეყანა დაიმორჩილა, მაგრამ მაინც ვერ გაჩერდა, კიდევ უნდოდა ბრძოლა და მთელი დედამიწის დაპყრობა. სოლომონ ბრძენს ჰქონდა ყოველ-გვარი ნუგეში და კმაყოფილება, რასაც კაცის გული წარმოიდგენს მაგრამ მაინც მოწყენილი იყო და დრტვი- ნოდა: „ამათ ამაოებათა და ყოველიგე ამათ“ ოხვრით იტყოდა იგი: ეს მისთვის, რომ საზღვარი არ დაუდვა თვისთა სურვილთა და გრძნობათა. ბოლოს, ზოგიერთი მარადის უკმაყოფილოა, დრტვინავს მისთვის, რომ ზარმაცია და უსაქმოდ უყვარს ყო-

ფნა. იმ ზარმაცი და მედგარი მონისათვის ერთის მაგიერად ხუთი ტალანტიც რომ მიეცა მეფესა, მაინც დრტვინვას დაიწყებდა. შრომა, მეცადინეობა კმაყოფილებას გააჩენს კაცის გულში, ზარმაცობა კი—უკმაყოფილებას.

მაინც რა გამოვა ამისთანა უკმაყოფილებისაგან! ბამოვა, პირველად, უგუნურება და უბედურება კაცისა. დრტვინვით, უკმაყოფილებით ვერასფერს ვერ გაასწორებს კაცი. მარადის მოწყენილი, მარადის მდრტვინველი კაცი თავის თავს თითქმის განგებ აუბედურებს. ჭკუიანი, კეთილ-გონიერი კაცი მართლაც რომ ცუდ მდგომარეობაშიც იყოს, შეუძლია თავის დაწყნარებულს კეთილს სულში მოიპოვოს მრავალი ნუგეში და კეთილი აზრი. ნამდვილი მწუხარება და უბედურება გადიდება და დამძიმდება წუხილით და დრტვინვით; ხოლო დამცირდება და გაჰქრება, თუ კაცი სულგრძელია და მომთმენი. ზარნა სუყველაზე უარესი და საშინელი ის არის, რომ კაცი მდრტვინველი, უკმაყოფილო, აღვილად დაჰკარგავს საუკუნო ცხოვრებას და ნეტარებასაც. მს მისთვის, რომ იმას შეუმცირდება სარწმუნოება, დააკლდება სასოება კარგად ვერ ილოცავს, და მისთვის სიყვარული აღარა აქვს, ყოველი მოყვასი ეძაგება.

რა განკურნავს ამ სენს? განკურნავს მხოლოდ სახარება, შრისტე იესოს სჯული. იგი გვასწავლის ჩვენ, რომ ღმერთი არის მამა ჩვენი. თუ შენ დმერთი ცხოვლად გწამს და გახსოვს, რომ იგი არის შენი ზეციერი მამა, ეს განკურნავს ყოველს შენსა მწუხარებასა, მისთვის, რომ ადვილად მოითმენ ყოველს აქაურს მწუხარებას, რაღაც მოელი, სასოება გაქვს მიიღო ზეციერი, დაუსრულებელი ნუგეში და ბედნიერება, რომელიც და მოგვცეს ჩვენ ყოველთა დმერთმან. ამინ.

მ ო ძ ლ ვ რ ე ბ ა.

მეთევსეთეტესა პვირიაპესა ზედა.

შემარი ეგე მონაი განპხადეთ ბნელსა
მას გარესკნელსა, მუნ იყოს ტირილი და
ლრჭენა კბილოა (მათ. 25, 29).

რისთვის განურისხდა, ძმანო ქრისტიანენო, მონასა ამას.
მეფე იგი, ხსენებული დღეს წაკითხულს იგავში? რისთვის
უთხრა მას: ბორცულობა მონათ და მედგარო, და რისთვის გააგდო
იგი ბნელსა გარესკნელსა? მისთვის, რომ ის იყო მედგარი,
ესე იგი ზარმაცი, არ უყვარდა შრომა და მუშაობა. თავის
სიცოცხლეში მან არა თუ რაიმე კეთილი ჰქმნა და რაიმე შეი-
ძინა, არამედ ის ნიჭიც, რომელიც მას მისცა ღმერთმა—და-
ჰმალა მიწაში. შინააღმდეგ ამისა, რისთვის აქო მეუფემან იმა-
ვე იგავში ორნი სხვანი მონანი? რისთვის უწიოდა მათ: მონანო
სარწმუნონო და სახიერნო, და დააჯილდოვა იგინი, მეტყველმან:
რამეთუ მცირედსა ზედა სარწმუნო იყვნით, უმრავლესსა ზედა დაგა-
დგინო თქვენ; შეგედით სახარულსა უფლისა თქვენისასა! ცხადია,
მისთვის, რომ იგინი იყვნენ შრომის მოყვარენი; შრომა-მუშა-
ობით მათ ერთი ორად განამრავლეს ნიჭი იგინი, რომელნი
მათ მისცა ღმერთმა. მაშასადამე, დღეს წაკითხული იგავი გვა-
ფრთხილებს ჩვენ მედგრობისაგან, ანუ სიზარმაცისაგან და
გვასწავლის ჩვენ, რათა ვიყვნეთ მარადის მუშაკნი, შრომის
მოყვარენი და ვცდილობდეთ, რომ ჩვენის შრომით. და მეცა-
დინეობით აღვაშენოთ ჩვენი ბედნიერება და კეთილი მდგო-
მარეობა.

ბუნება ჩვენი ხორციელი, ძმანო ქრისტიანენო, ერთობ
მიღრეკილია და მსურველი ზარმაცად და უქმად დროების გა-
ტარებისა. შეპხედე და დაუკვირდი შენს თავსაც და სხვათაც

გარემოს შენსა. როგორ უყვარს ყოველს კაცს მოსვენებით და მხიარულად გატარება სიცოცხლისა, და თუ ეს არ შეუძლია, მაშინ ეძიებს, რომ ისეთი რაიმე მსუბუქი, და აღვილი საჭმე გამოირჩიოს, რომელიც მისგან დიდს შრომას არ მოითხოვდეს? მსრეთი არის ჩვენი ბუნების ოვისება! გარნა, როდესაც ჩვენ ყოვლის მხრით და კარგად გავშინჯავთ ჩვენსა მდგომარეობასა, ჩვენის ბუნების მოთხოვნილებათა, საჭიროებათა და გარემოებათ, რომელთა შინა კაცი იშვება და ატარებს ცხოვრებასა თვისსა, მაშინ ცხადად დავინახავთ, რომ შრომა არის საძირკველი ჩვენისა კეთილ-მდგომარეობისა და გარეშე შრომისა სხვა საშუალება არა აქვს კაცს, რომ მოიპოვოს ბედნიერება და კეთილ-დღეობა. თვით ღმერთმა შრომისათვის და მუშაობისათვის დაპტადა კაცი ქვეყანაზედ. ღდეს წაკითხულს იგავშირომ არის თქმული, რომ მეფემან დაიბარა მონანი თვისნი და დაურიგა მათ ტალანტნი, მსგავსად მათისა ძალისა, და გაუშვა იგინი სამუშაოდ, ეს იმას ჰინიშნავს, რომ ღმერთი კაცს შობიდგან აძლევს მხოლოდ, რომელთამე ნიჭთა, ანუ ხერხსა, ანუ ღონესა, რომლითაც მას მერე შეეძლოს შრომა და მუშაობა. კაცი ტიტველი და უძლური იშვება ქვეყანაზე. როდესაც გაიზრდება, ჰკუა გაეხსნება, სოფლიურნი და ხორციელნი ღონენი, რომელნიც მას მისცა ღმერთმა, გამოუჩნდება, მაშინ იგი გარემოს თვისსა დაინახავს მშვენიერსა ბუნებასა. ამ ბუნებაში თუმცა ყოველნი ნივთნი და არსებანი არიან მშვენიერნი და ბრძნად შექმნილნი, გარნა კაცისათვის არც ერთი მათგანი პირ და პირ არ არის სახმარი, არამედ ყოველი მათგანი კაცმან უნდა დაიმუშაკოს, თავისთვის მოიმზადოს. ბუნება თავის თავად არის ნედლი მასალა, რომელიც კაცმა უნდა აიღოს და მოამზადოს თავისთვის. მაშასადამე, ღმერთმა კაცს ერთის მხრით მისცა ღონე, ანუ ხერხი, რომლითაც მას შეუძლიან მუშაობა, მეორეს მხრით წინვე დაუდვა მრავალი. მასალა; დანარჩენი დამოკიდებულია მის მუშაობაზედ და შრომაზედ. შოველნი თვისი ბუნების საჭიროებანი, სახმარნი მოთხოვნილებანი კაცმან უნდა დააკმაყოფილოს თვისი შრომითა და მუშაობითა. მაშასადამე, რა უნდა ვსთქვათ იმ კაცზედ, რომელიც სრულიად არაფერს არ აკეთებს? რით ირჩენს იგი თავს? სხვისი შრომით

და სხვისი ნაქნარით. მაშასადამე, იგი ქვეყნისა და საზოგადოების კეთილდღეობას არათუ ეხმარება, არამედ უშლის. ქვეყნის ანუ მთელი საზოგადოების სიმდიდრეც, განათლებაც, წარმატებაც შესდგება კერძო პირთა შრომისა და მეცადინეობისაგან. ამისთვის ის პირი, რომელიც არაფერს არ აკეთებს, საჭმელსაც არ უნდა სჭამდეს. პას ჩვენ კი არ ვაბმობთ, არამედ წმიდა მოციქული პავლე: რომელსა ნრა უნებნ შრომად, ნურცა სჭამონ.

გარნა ზოგიერთნი პირნი თავის გულში ამ სახით იმართლებენ თავს: დიახ მზად ვართ, რომ ვიმუშაკოთ და ვიშრომოთ, მაგრამ რა ვქნათ, რომ საქმე ვერ გვიშონია, შესაფერი სამუშაო მასალა არა გვაქვს. ვგონებ, რომ ეს მიზეზი არ არის პატივ-სადები. როგორ შეიძლება კაცმა საქმე ვერ იშოვნოს, თუ კი მართლა შრომა და მუშაობა არ ეზარება. ეს დაბრკოლება შეემთხვევა ისრეთთა პირთა, რომელნი არიან თავის მოყვარენი, დიდ-დიდ საქმეებს ეძიებენ და მცირეს საქმეს კი არ კადრულობენ. მგინი არ ჰქოიქრობენ, რომ სულ უქმად ყოფნას სჯობია, რომ მცირე საქმე დაიწყოს კაცმა. ამისთვისაც აქო იგავსა შინა მეუფემან ორი ჭკვიანი მონა, რომელ იგინი მცირე საქმეს დასჯერდენ და გულმოღვინედ იმუშავეს: რამე-თუ მცირესა ზედა სარწმუნო იყავ, მრავალსა ზედა დაგვადგინო შენ. ხოლო მესამე, უგუნური, მონა მისთვის დაისაჯა, რომ მცირე საქმე, ერთი ტალანტი დაიწუნა, ხელი არ მოჰკიდა. ამ ორს მაგალითს, საღმრთო წერილისაგან მოყვანილს, დავუმატოთ ერთი კადევ მესამე, სოფლიური ამბავი. მრთხელ ერთმა უზომოდ მდიდარმა ვაჭარმა, როდესაც დაბერდა და დასუსტდა, ყოველნი თვისნი სავაჭრო საქმენი ჩააბარა თავის მემკვიდრეს და თვითონ კი ქალამნებს ჰკერავდა და გლახაკებს აჩუქებდა. როდესაც ჰკითხვიდენ, რა გაგიჭირდა, რომ ქალამნებს ჰკერავო?—უპასუხებდა: ამის მეტი საქმე აღარ შემიძლიაო და უსაჭმოდ ყოფნა კი ცოდვად სწერიაო.

ეს ამბავი მოგონებული არ არის, ნამდვილია. ის ვაჭარი იყო რუსეთში, უბრალო გლეხთაგანი, გამდიდრებული თვისი საკუთარი შრომითა. გარნა, ქმანო ქრისტიანენო, ყოველი, რაიცა აქამომდე ვსთქვით, შეეხება მხოლოდ აქაურსა, სოფ

ლიურსა ჩვენსა ცხოვრებასა. მართალია, ამაზედაც სულიერი მოძღვარი თქვენი თანამდებ არს გელაპარაკებოდეს და გარიგებდეს, მაგრამ უმეტესად და უფრო ხშირად იგი უნდა გასწავლიდეს თქვენ სულიერსა ცხოვრებასა და მოქალაქეობასა. გარნა საკვირველი ის არის, რომელ ესეც შრომასა და მოღვაწეობასა ზედა არის დაფუძნებული. აქაც ერთის მხრით ღმერთმა მისცა კაცს სულიერნი ნიჭნი: ჭკუა, სინიდისი, მისწრაფება ღვთისადმი და სხვანი, რომლითაც მას შეუძლია სულიერი მოქალაქეობა და მოღვაწეობა, მეორე მხრით მისცა მას მასალა, რომელიც მან უნდა დაიმუშაოს. მასალა არის მისი ხასიათი, ყოფა-ქცევა, ესე იგი მთელი ცხოვრება. და ესრედ, კაცი იგი, რომელიც მარტო ხორციელობაზედ, სოფლიურს ცხოვრებაზედ არ სცდილობს, არამედ სულიერებაც ახსოვს და იღწვის, რომ ხასიათი თვისი დაიმუშაოს და გააკეთილოს, ჭკუა გაინათლოს საღმრთო წერილით, სინიდისი გაილესოს, გული გაიწმინდოს, ყოფა-ქცევა შესცვალოს,—ესრეთი კაცი გამოაჩნდება სულიერადაც მუშაკი და შრომის მოყვარე, და მიიღებს მეუფისაგან ქებას: სარწმუნო მთავარ და სახიერო, რამეთუ მცირესა ჟედა სარწმუნო იყავ, მრავალსა ჟედა დაგადგინო შენ; შეგედ სიხარულსა უფლისა შენისასა. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

მეჩვიდმეტესა კვირიაპესა ზედა

არა კეთილ არს მოღებად პური შვილთაგან და დაგდებად ძალლთა. (მათ. 15, 26).

ძალლსა დაამსგავსა; ძმანო ქრისტიანენო, შფალმან ქალი ქანანელი, ანუ პირდაპირ ძალლად უწიოდა მას, ვითარცა იტყვის იოანე მქროპირი. რა საშინელი დამჩაგვრებლი და შესარცვენელი წოდება არის ესრეთი სიტყვა ყოვლისა კაცისათვის,

მეტადრე დიდსა საზოგადოებასა შინა! გარნა ქალი იგი არა
თუ არ შესწუხდა, არამედ მოითმინა, სიმღაბლით უპასუხა:
ჰე, შფალო! მართალია ესაო! სწორედ ასე არისო! ამისთვი-
საც შფალმან ადიდა მისი სარწმუხოება, აქო იგი და მიანიჭა
თხოვნა მისი, განკურნა ასული მისი. ჰთა დედაქაცო! დად არ-
სარწმუხოება ეგე შენი; გეჟაგ შენ, ვთთარცა გნებავს! აპა, ძმანო ჩემ-
ნო, უმჯობესი და უმშვენიერესი საშუალება, თუ გვსურს მი-
ვიღოთ მაღლი ლვთისა, გავაქარვოთ რისხვა ლვთისა და კაც-
თა. თუ დაგჩაგრა ვინმემ გულფიცხელობით, თუ გაგინა ვინ-
მემ, მწარე სიტყვა გითხრა—გული გაიმაგრე, ანუ, რომელიც
უმჯობესი იქნება და სათნო ლვთისა, უპასუხე: მართალია; მაგ-
რამ თუ ისეთი ვარ, როგორც შენ ამბობ, მომიტევე. ათასში
ერთხელ არ მოხდება, თითქმის არ შეიძლება, რომ შენს და-
მჩაგვრელს, მაგინებელს არ შერცხვეს, არ შეიკმიდოს და არ
მოინანოს. შენ იფიქრებ: როგორ შეიძლება ასე მოქ-
ცევა! თუ ასე მოვიქცევი, მაშინ ყოველი კაცი დამჩაგრავს,
ცხოვრება აღარ შემეძლება ქვეყანაზედ. ბრა, ძმაო! ამას შენ
იმისთვის ჰთიქრობ, რომ ცუდი, შეცდომილი აზრი გაქვს ადა-
მიანის ხასიათზედ. ვინ იქნება ისეთი მხეცი, რომ, მხედველი
ამისთანა შენი სიმშვიდისა, სიწყნარისა, არ შერცხვეს და არ
შეინანოს. ბოლოს, თუნდა სრულიად მხეცი იყოს შენი მო-
პირდაპირე, მაშინაც ძლიერ შესწუხდება მით, რომ მის ცუდს
სიტყვას მოქმედება არა აქვს შენზედ სრულიად. როგორც
ძალლის ყეფას მიმავალი კაცი, ისე ყურადღებას შენ არ აძლევ
მის სიტყვას. ის შეგატყობს, რომ შენი სულგრძელება აღემა-
ტება მის სულმოკლეობას და ამისთვის შერცხვება. ამისთანა
უნდა იყოს ჰეშმარიტი ქრისტიანე! აკი თქმულ არს: რომელ-
მან გცეს შენ ყვრიმალსა შენსა მარჯვენესა, მიუჰყარ მას ერთ გერ-
ძლება. (მათ. 5, 39). შენ უნდა იყო სულგრძელი, მომთმენი,
გონიერი. ამას გვამცნებს ჩვენ სახარება. სული და ხასიათი
ქრისტიანისა უნდა იყოს აღვესებული მშვიდობითა, სიწყნარი-
თა, სიყვარულითა.

გარნა არა ესრეთნი არიან აწინდელნი ქრისტიანენი! ათას-
ში ერთს არ ახსოვს, რომ დაჩაგვრას, გინებას მოთმინებით
უნდა მიიღებდეს და მით უნდა მიზიდავდეს მაღლსა ლვთისასა,

რომელი იტყვის ბაგითა წინასწარმეტყველისათა: გის შეგხედო, ანუ შევიწყნარო, გარდა მხოლოდ შეგიდსა და მდაბალსა, რომელი მოწის სიტყვათა ჩემთაგან. ახლანდელი ქრისტიანე არა თუ არ მოითმენს მწარე სიტყვას, გინებას, არამედ ერთი სიტყვისათვის მზად არის მოპკლას კაცი, სატევარს მოპკიდებს ხელს, თუ არა და გადაემტერება მთელ სიცოცხლეში დამჩაგვრელად. ახლანდელ ქრისტიანეთ სირცხვილად მიაჩნიათ დათმობა დაჩაგვრისა. რას იფიქრებს ქვეყანაო ჩემზედ, ქალაჩუნა არისო! მაშინ, როდესაც კაცი, მომთმენი დაჩაგვრისა, რომელიც ყურადღებას არ მიაქცევს გინებასა, ამით გამოაჩენს თვის სულგრძელებას და სიმტკიცეს; ხოლო მოუთმენელი, შურის მეძიებელი, ცხადად ამტკიცებს, რომ არის სუსტი ხასიათით, სულმოკლე, წარტაცებული თვისი ცუდი გუნებით, და დამონებული ვნებასა და ცოდვას. ხოლო გეტყვი თქვენ, რამეთუ რომელი ვანურისხდეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდებ ას სასჯედისა, და რომელმან ჭრქვას ძმასა თვისსა: ჰავა—თანამდებ ას ჭრებულისაგან განსვლად, და რომელმან ჭრქვას ძმასა თვისსა ცოდ თანამდებ ას გენისა ძას ცეცხლისასა (მათ. 5, 22) ასე ფიცხელად დაისჯება კაცის მაგინებელი, გარნა რომელიც მოითმენს გინებასა, ორკეც მადლს მიიღებს: თავის სულს აცხონებს, და მოყვასს კეთილ მაგალითს აჩვენებს. ამინ.

მ ღ მ ღ ვ რ ე ბ ა

მეჩიდვეთესა კვირიაპესა ზედა.

განმარტება სახარებისა. (მათ. 15, 22—28.)

ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! ერთობ უბრალო არის და მოკლე დღეს წარკითხული სახარება, გარნა იგი იპყრობს დიდსა საუნჯესა სულიერისა სწავლისასა? თვით უბრალო და მოკლე მოთხრობა იგი დღევანდელისა სახარე-

ბისა წარმოგვიდგენს ჩვენ მრავალთა და ფრიად აღმაშენებელთა მაგალითთა და დარიგებათა. პირველად გასაკვირველი არის და ერთობ სახმარი და სასარგებლო მაგალითი თვით იმ უბრალო ქანანელი დედაკაცისა, რომლისა ლოცვასა და ველრებასა აღწერს დღეს წარკითხული სახარება. რა გასაოცარი, შეურყეველი სარწმუნოება, გონიერება, სიმდაბლე და სიმშვიდე გამოიჩინა უბრალო სოფლის ქალმა წინაშე იესო მრისტესა! იგი იყო ქანანელი, მაშასადამე წარმართი. იგი სცხოვრებდა საზღვართა ზედა ურისტანისათა, გაგონილი ჰქონდა იესო მრისტეზე და მისთა სასწაულთა ზედა, იქნება კიდეც ნახა იგი მან ოდესმე და გაიგონა მისი სწავლა, ამისთვის მის გულში გაჩნდა შეურყეველი სარწმუნოება იესო მრისტესადმი. ამ უბრალო, უსწავლელმა ქანანელმა დედაკაცმა აჯობა სარწმუნოებით თვით ურიცხვთა სწავლულთა, მწიგნობართა, ერის მოძღვართა, რომელნი ყოველ დღე ჰქედვიდენ იესო მრისტეს, კიდეც იცოდენ წიგნთაგან მისი მოსვლა და მნიშვნელობა, ყოველ დღე ჰქედვიდენ მისთა სასწაულთა, გარნა მაინც ურწმუნონი იყვნენ. ამაზედ უფრო გასაკვირველი არის ის შეურყეველი სიმტკიცე, რომელიც მან გამოიჩინა ლოცვასა შინა. „შემაწყალე მე, იესო მეო დვთისათ“, — ესრედ დალადებდა იგი და მისდევდა მას. იესო მრისტემ დიდი ხანი ხმა არ გასცა მას, მაგრამ იგი მაინც არ იშლიდა ლოცვას; მერმე იესო მრისტემ პირდაპირ უარი უთხრა მას: არა ვარ მოვლინებული გარნა წარწემა-დილთა ძეთა ისრაილისათა. გარნა დედაკაცი არ დალონდა, არა მედ უმეტესის ერთგულებით ეველრებოდა მას. მოწაფეებსაც მოეწყინა ეგოდენი ყვირილი დედაკაცისა, და სთხოვეს იესო მრისტეს განტევება მისი, გარნა უფალმა არც მათი ისმინა. ბოლოს დედაკაცი მიეახლა იესო მრისტეს და კიდევ მწარედ ეველრებოდა: შემაწყალე მეო. მაცხოვარი თითქოს განრისხდა, შეურაცხყოფა აჩვენა მას, თითქმის აგინა, ძალლად უწოდა: არა ჯერ არს წართმევად პურისა შვილთაგან და დაგდებად ძაღლთა. სხვა ვინმე ვერ მოითმენდა ესრეთსა სასტიკობასა. გარნა, საოცარი გონიერება დედაკაცისა ამის თითქმის აღემატებოდა ყოველსა განსაცდელსა. მან თითქოს ესრედ უპასუხა: მართალია, მე ერთი ქანანელი დედაკაცი, წარმართი — არც კი ვარ

უმჯობესი ძალლისა, მაგრამ ძალლებსაც კი გადუგდებენ ტაბლიდან ნამუსრსა პურისასაო. ერთი სიტყვით, ამ დედაკაცის ლოცვა იყო მსგავსი ჭიდაობისა, ბრძოლისა. აქ ერთი მხრით შეურყეველი სარწმუნოება, სიმდაბლე, სიმშვიდე, მორჩილება, მეორეს მხრით თითქოს გასაოცარი სასტიკობა, შეურაცხყოფა, უარის ყოფა ჭიდაობდენ ურთიერთს შორის და სუსტმა, გარნა მორწმუნე დედაკაცმა, მიიღო ძლევა. მაცხოვარმა უპასუხა: ჰოთ დედაჭარო, დად არს სარწმუნოება ეგა შენა, გაეაგნ შენ, გითარცა გნებავს.

მეორედ უნდა მივაჭრიოთ ყურადღება განსხვავებულსა მოქმედებასა და ხასიათსა ზედა, რომელი გამოიჩინა ამ შემთხვევაში შფალმან იესო ქრისტემან, იგი ყოველთვის იყო მოწყალე და გულმტკივნეული. მსწრაფლ ისმენდა ლოცვასა და მიანიჭებდა მოწყალებასა ყოველთა მთხოვნელთა; ამ შემთხვნვაში კი იგი სრულიად სხვაფერ იქცევა. ბულმოდგინედ ლოცვას ქანანელი დედაკაცისას დიდხანს არ ისმენს; მერმე თითქო დიდს სასტიკობას გამოიჩენს და შეურაცხყოფას აჩვენებს მთხოვნელს. რისთვის ჰქონდა შფალმან ესრედ? მისთვის, რათა დედაკაცს მისცეს შემთხვევა ბოლომდის გამოჩენად თვისისა სულიერისა სათნოებისა, ესე იგი სარწმუნოებისა, მოთმინებისა, მორჩილებისა და სხვათა.

ახლა ყოველი, რაიცა აქამომდის იყო თქმული, მიაჭრიე, ძმაო, შენსკენ, შენის გულისა და სულისაკენ, და მიეც სულსა შენსა სულიერი სწავლა და აღშენება. ჩვენთვის დაიწერა ესე ყოველი. ჰქონდავ, რა სარწმუნოება, გონიერება გამოიჩინა უბრალომან ამა დედაკაცმან, უსწავლელმან და თითქმის წარმართთაგანმან. სირცხვილი არ იქნება ჩვენთვის, რომ არ გვქონდეს მტკიცე სარწმუნოება დროსა ლოცვისასა! შენი ლოცვაც უნდა იყოს მტკიცე და შეურყეველი. ნუ შეგეშინდება, ეჭვი ნუ მოგივა, თუ დიდხანს არ ისმინოს ღმერთმან ლოცვა შენი, არამედ ევედრე ღმერთსა უმეტესითა მორჩილებითა, სიმდაბლითა, ვითარცა ქანანელი დედაკაცი. ნაცვლად შენი ვედრების აღსრულებისა, კიდეც რომ მისი წინააღმდეგი დაგემართოს, რაიმე შეურაცხყოფა, ანუ მწუხარება მოგაყენოს ღმერთმან, მაინც ნუ დაპლონდები, არამედ უმეტესი სიმშვიდე

და მორჩილება გამოაჩინე ლოცვასა შინა შენსა, ვითარცა ჰყო
ქანანელმა დედაკაცმა. ბოლომდის უნდა მიიყვანო შენი მოთ-
მინება, მორჩილება, სიმდაბლე, სიმშვიდე. ზანა ღმერთმა წი-
ნადვე არ იცის, რა კაცი ხარ; მაგრამ შენ კი არ იცი ესა, შენ
უნდა შეგატყობინოს, რა თვისება გაქვს, რა არის კარგი, ან
ცუდი შენს შორის. შფლისა იესო შრისტეს მოქმედებამ, ესე
იგი, რომ მან უჩვეულო ხასიათი მიიღო, ნაცვლად ჩვეულე-
ბრივისა მოწყალებისა, ლმობიერებისა, გამოიჩინა ფიცხელო-
ბა და შეურაცხყოფა დედაკაცისადმი — გასწავლოს შენ, რომ
კაცის ხასიათზე და მოქმედებაზე არ უნდა ითიქრო და მიი-
ღო გადაწყვეტილი აზრი, მისი გარეგანისა მოქცევისა და ლა-
პარაკისაგან, არამედ იმას უფრო უნდა უყურო, რა განზრახვა
აქვს კაცს, რა მიზანი ანუ საგანი ამოქმედებს და ალაპარაკებს.
ამინ.

ს ი ტ ე ვ ა

თქმული ოცდამეტოთესა პვირიაკვისა ზედა.

შწყით, რამეთუ არა განმართლდების
კაცი საქმეთაგან პსჯულისათა, გარნა სარ-
წმუნოებითა იესო შრისტესითა. (ბალატელ-
თა 2, 16).

დღევანდელი სამოციქულო, ძმანო მართლ-მადიდებელნო
ქრისტიანენო, იპყრობს თვის შორის დიდსა, და ფრიად საჭი-
როსა ყოველსა ქრისტიანესათვის სწავლასა. იგი აგვიხსნის ჩვენ,
რით განმართლდება კაცი ღვთის წინაშე. ზარნა ვინც კარგა
ვერ გაიგებს დღევანდელი სამოციქულოის აზრსა, მას გულში
გაუჩნდება ბევრი ეჭვი და შეიძლება ჩავარდეს შეცდომაში.
ამისთვის ჩვენ წინაპირველად უნდა წავიტყოთ იგი ს შევიტ-

ყოთ მისი პირდაპირი აზრი, და მერმე მივაქციოთ ყურადღება, რას გვასწავლის წმინდა მოციქული პავლე კაცის განმართლებაზე.

შევით, ასმეთუ ანა განმართლდება ჭარა საქმეთაგან ჰეჭულისათ, განა სატყმუნოებით იქსი შთასტესთა. მაცი ვერ განმართლდებაო სჯულის საქმეთაგანო, ანუ სჯულის აღსრულებითა, არამედ იქსო ქრისტეს სარწმუნოებითა. რომელ სჯულზე იტყვის აქ წმიდა მოციქული პავლე? პრა ახალის აღთქმისა, არა მედ ძველი აღთქმის სჯულზე. ძველ აღთქმაში ღმერთმა მისცა ებრაელთა წინა-დაცვეთილება, სხვა და სხვა პირუტყვების შეწირვა მსხვერპლად, სისხლის სხურება, შაფათობა, კარვობა და სხვანი ამის მსგავსნი. შრიებს დიდი სასოება ჰქონდათ ამ წესებზედ და სჯულზე; იგინი ჰფიქრობდენ, რომ კაცის ცოდვა აღიხოცება, კაცი განმართლდება მხოლოდ მათი საშუალებით. ზარნა წმიდა მოციქული პავლე ეტყვის მათ, რომ ზემოხსენებული წესები და მცნებაები ვერ გაარმართლებენ კაცს ღვთის წინაშე. მაშ რისთვის მისცა ღმერთმა ებრაელთა ისეთი სჯული და მცნებაები, რომელიც მათ ვერ გაამართლებდა? იქნება ესრედ იფიქროს ვინმემ თავის გულში. ამაზედ მოკლედ გიპასუხებ: ძველი სჯული იყო აჩრდილი, ანუ წინა-მოსწავება ახლისა აღთქმისა, იქსო ქრისტეს ქვეყანაზე მოსვლისა და მისგან მიცემულისა მაცხოვარებისა. იგი იყო მიცემული დროებით, მოსამზადებლად ახლისა აღთქმისადმი, და როდესაც იქსო ქრისტე მოვიდა, იგი, ძველი სჯული, გაუქმდა, მან დაკარგა თვისი ძალა. ძველი სჯულის წესებს მხოლოდ მით ჰქონდათ მადლი და ძალი განმართლებისა, რომ ისინი მოასწავებდენ, უჩვენებდენ ქრისტე იქსოს ჯვარცმასა, და მისი საღმრთო სისახლით ჩვენსა განმართლებასა,

შევთუ მით გეძიებდეთ განმართლებასა ქრისტეს მიმართ, გიზოვნეთ ჩვენცა ცოდვად. თუ ძველი სჯულის საქმეებით ვეძიებთ განმართლებასა, ანუ ისე ვიფიქრებთ, რომ კაცს შაბათი, წინა-დაცვეთილება, ვერძის, კრავის და ძროხების სისხლი გაამართლებს, მაშ იქსო ქრისტეს მოსვლა ქვეყანაზე არაფერი ყოფილა, და ვინც ახლა იქსო ქრისტესაგან ეძიებს განმართლებასა, ის აქამომდე ცოდვაში არის.

უქეთუ რომელი იგი დაგარღვიგე და გეხდად მასკე გაშენებდე, გადამავალად ჰსფულისა თავი ჩემი შეგირაცხო (18 მუხლი). რაც იესო მრისტემ დაარღვია, მეც მასთანავე უარვყოფო, ესე იგი ძელი სჯულის საქმეები, რომელიც იესო მრისტემ გააუქმა თვისი ჯვარცმით და ოლდგომით, თუ ხელ-ახლა დავიწყეთ მისი აშენება, ანუ აღსრულება, იესო მრისტეს ახალი აღთქმის სჯულისა შეურაცხ-მყოფელი და დამარღვეველი ვიქნებით.

რამეთუ მე ჸსფულისათვის ჰსფულითა მოგებედ, რათა ღმრთისა გცხონდე. მრისტესთანა ჯვარცმულ გარ (19 მუხლი). ძველი სჯულისათვის მე მკვდარი ვარო, თვით იმ ძველმა სჯულმა მომკლაო. როგორ? სჯული როგორ მოჰკლავს კაცს? — იკითხავს ვინმე, თავის გულში. ამაზედაც მოკლედ გიპასუხებ: სჯულს შეუძლია კიდეც აცხონოს და კიდეც მოჰკლას კაცი. ვინც აასრულებს მრთელს სჯულს უნაკლულოდ, იმას სჯული აცხონებს; ვინც არ აასრულებს — იმას დაჲსჯის სიკვდილით. მაგრამ ვის შეუხლია ასრულება მრთელი სჯულისა, ესე იგი ვის შეუძლია უცოდველი იყოს? მაშასადამე თვით ის ძველი სჯული ჰსჯიდა, ჰკლავდა ებრაელთა და არ აცხონებდა, ვინაიდგან ვერც ერთი მათგანი ვერ ასრულებდა მას. შფალი იესო მრისტე მოვიდა, თვისი მადლი და, მოლვაწეობა მოგვცა, ჩვენ მაგიერად დაისაჯა და მოკვდა, ახლა ჩვენ მისი მადლით და სარწმუნოებით ვცხონდებით, რადგანაც ჩვენ მასთანავე ჯვარს უნდა ვეცვათ.

ხოლო წხაველ არღარა მე ვარ, არამედ წხაველ-არს ჩემთანა მრისტე... სარწმუნოებითა წხაველ-ვარ ძისა ღვთისათა (20 მუხლი). მე ცხოველ ვარო არა ჩემით, არამედ იესო მრისტე არის ჩემ შორის ცხოველიო; მისის სარწმუნოებით ვსცხოვრობო, მისი მადლი მოქმედებს ჩემს შორისო.

მს არის მახლობელი, ასო ასოით, აზრი დღევანდელისა სამოციქულოისა. ახლა გადავიდეთ იმ უმთავრეს კითხვაზე ესე იგი რით განმართლდება კაცი ღვთის წინაშე? გარნა წინა-პირველად მოკლედ განვსაზღვროთ, რაი არს განმათლება? განმართლება არის ის, როდესაც კაცს არ დაეთვლება, ანუ არ შეერაცხება თვისი ცოდვა, ვითარცა თანა-შობილი; ანუ გადმოსული მას ზედა ადამისაგან, აგრეთვე საკუთრად მისგან აღ-

სრულებული, მაშასადამე, როდესაც ის შეიქმნა უბრალო ღვთის წინაშე, და არღა ქვემდებარე არც ერთისა პასუხის გებისა, ერთი სიტყვით, როდესაც სცხონდება. ახლა, რით შეიქმნება კაცი ამის ღირსი? მარტო ღმერთი და მისი მადლი გაამართლებს კაცსა, თუ კაცმაც უნდა ჰქმნას რაიმე თვისძა გასამართლებელად? საკმაო არის, თუ არა, მარტო სარწმუნოება და სასოება გასამართლებელად კაცისა, ანუ სხვანიცა უნდა ჰქმნას თავის მხრით გასამართლებელად კეთილნი საქმენი? ბოლოს, შეუძლია კაცს რამე ნამდვილი, ჭეშმარიტი, კეთილი საქმე ჰქმნას ქვეყანაზე და განსამართლებელად თვისძა? შოველნი ესე კითხვანი დიდ ცილობას აღადგენენ შორის სხვა და სხვა ქრისტიანობის აღმსარებელთა. არიან ისრეონი ქრისტიანენი, მაგალითებრ, პროტესტანტები, რომელნი ამტკიცებენ, რომ კაცს თავის მხრით არცი შეუძლია კეთილი საქმე ჰქმნას თვისძა განსამართლებელად, და რომ კაცს გაამართლებს ერთი მხოლოდ იქსო შრისტეს სარწმუნოება. სხვანი ქრისტიანენი, მაგალითებრ, რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ ფრანგთა, ანუ კათოლიკებს, თითქმის ამცირებენ სარწმუნოებასა განსამართლებელად ჩვენდა და იტყვიან, რომ ყოველ კაცს შეუძლია და კიდევაც უნდა აღასრულოს საქმენი სჯულისახი, ესე იგი კეთილნი, განსამართლებელად ღვთისა წინაშე, და თუ ვისმე არ შეუძლია, კიდეც უნდა ისესხოს, ანუ იყოს ეკლესიისგან მადლი და მით განმართლება მოიპოვოს.

ახლა კვალადვე მივიქცეთ დღეს წაკითხულის სამოციქულოისადმი და ვკითხოთ წმიდა მოციქულს პავლეს, რით განმართლდება კაცი? წმინდა მოციქული პავლე, დღეს წაკითხულს სამოციქულოში, პირველის შეხედულობით თითქმის იმ აზრს ამტკიცებს, რომ კაცი განმართლდება მარტო სარწმუნოებით. უწევთ, რასეიოუ არა განმართლდების გაცი საქმეთაგან ჰსჯულისათა, არამედ სარწმუნოებითა იქსო შრისტესთა. პავლე მოციქული ახსენებს დღევანდელს სამოციქულოში, რომ კაცმან უნდა ჰქმნას კეთილნი საქმენი, ანუ საქმენი სჯულისანი თვისძა განსამართლებელად, არამედ პირ-და-პირ იტყვის—კაცი განმართლდება მხოლოდ სარწმუნოებითა იქსო შრისტესითა. გარდა

რა ნაირ სარწმუნოებაზე იტყვის აქ წმიდა მოციქული პავლე? ის სარწმუნოება, რომელზედაც ამბობს წმიდა მოციქული პავლე დღეს წაკითხულ სამოციქულოში, არ არის ერთი მხოლოდ უქმი ჭიუის მოსაზრება, ფიქრი, უბრალო გრძნობა კაცის გულისა, არამედ სარწმუნოება, რომელიც გადაიქცა კაცის სიცოცხლედ, რომელსაც კაცი არა თუ მარტო ჰერძნობს, ანუ ჰერძნობს გონებით, არამედ რომლითაც იგი მოძრაობს, სცხოვრებს. მე ჩრდილებაზე ჯვარცმულ-ჯარა, იტყვის წმიდა მოციქული პავლე, ცხოველ არღარა მე ვარა, არამედ იქსო ჩრდილება ცხოვრებისათვის ჩემ შორის. იქსო ჩრდილებათ გსუნოქავ, აგი შორისათვის, იგი მოქმედობს, ჩემ შორის. ჰო, ამისთანა სარწმუნოება დიალ გაამართლებს და აცხონებს კაცს, ამისთვის, რომელ, როგორც უწინ ვსოდეთ, ამისთანა სარწმუნოება არის ცხოველი და განმაცხოველებელი კაცისა, ეს არის სარწმუნოება მოძრავი, საქმიანი, შემოსილი კეთილთა საქმეთაგან, მოკლედ, იგი არის თვით ცხოვრება კაცისა. ამისთვის წმიდა ჩვენი მართლ-მატიდებელი ეკალესია, დაფუძნებული ზემო-მოყვანილსა სწავლასა ზედა პავლე მოციქულისასა და სხვათა მოციქულთა და წმიდათა, ღმერთ-შემოსილთა მამათა, გვასწავლის ჩვენ, ძეთა თვისთა, რომ კაცის განმართლებისათვის საჭირო არის ვითარცა სარწმუნოება იქსო ჩრდილები, აგრეთვე ცხოვრება, მოქმედება, ანუ კეთილნი საქმენი სარწმუნოებისამებრ. ამასთანავე იგი აგვიხსნის ჩვენ, რომ ყოველი საქმე კაცისა ლიდი და მცირე მხოლოდ მაშინ იქმნება ნამდვილად კეთილი და გამამართლებელი კაცისა, როდესაც იგი არის ნაყოფი, ანუ წარმომდინარეობს ცხოველი სარწმუნოებისაგან ჩრდილები იქსოსა, სასოებისა და სიყვარულისაგან, როდესაც თვით იქსო ჩრდილება სცხოვრებს და მოქმედებს კაცის გულში.

აბა, თუ გსურს, ძმაო ჩემო, განმართლება, ცხონება, და ვინ იქნება იმისთანა კაცი, რომ არ ჰსურდეს იგი! — შეიყვარე იქსო ჩრდილები, როგორც მოციქულმან პავლემ, რომელი იტყვის, ცხოველ არღარა მე ვარა, ადამედ ცხოველ-არა, ჩემთანა ჩრდილება, ესე იგი პავლემ თვისი საკუთარი ცხოვრება, თვისი ნება სურვილი უარ-ჰყო და ჩრდილება ნება-სურვილს დაემორჩილა.

საღმრთო სჯული მოითხოვს ჩვენგან ყოველთა კეთილთა

საქმეთა, მრავალსა მოთმინებასა, მოწყალეობასა, ლოცვა-სა, მარხვასა და სხვათა, გარნა ყოველი ესენი უნდა ავასრულოთ შრისტე იესოს სიყვარულით და სარწმუნოებით, არა ურიათაებრ, რომელი მხოლოდ გარეგნობით, ფორმით ასრულებენ თვისსა სჯულიერსა და თავის ნებას არ იშლიან, შაბათს იმარხავენ, უძრავად არიან და ორშაბათს კი გამოვლენ და ყოველს სი-ცირუეს, მოტყუებას, სიხარბეს, შურს, მტერობას ასრულებენ, და ცოდვადაც არ მიაჩნიათ. ურიამ რომ ურია მოატყუოს, ცოდვად მიაჩნია, და ქრისტიანე თუ მოატყუა-მადლად. პრა ესრედ უნდა ვიქცეოდეთ ჩვენ ქრისტიანენი! ჩვენი სარწმუნოება და ცხოვრება ერთი და იგივე უნდა იყოს, ანუ უმჯობეს არს თქმად: სარწმუნოება ჩვენი მარადის გამოიხატებოდეს ყოველთა საქმეთა შინა ჩვენთა დიდთა და მცირეთა. ერთი სიტყვით: სარწმუნოება ჩვენი—საქმით შემოსილი, და საქმენი ყოველი და თვით სიტყვანი, გრძნობანი, შინაგანნი ყოველი სულის მოძრაობანი—სარწმუნოებით შემოსილნი იმყოფებოდენ. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

ოცდაევორესა პვირიაკესა ზედა.

კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებო-
და ძოწეულითა და იხარებდა დღითი-დღე
ბრწყინვალედ. (ლუკა 16; 19).

შოველი გონიერი კაცი, ძმანო ქრისტიანენო, ჰეფიქრობს მომავალისათვის და სცდილობს, რომ წინადვე მოიმზადოს ყოველი, რაც შეეწევა მისს ცხოვრებასა და ბედნიერებასა. პრა ესრედ იქცეოდა მდიდარი იგი დღეს წაკითხულისა იგავისა; იგი არ ჰეფიქრობდა ხვალისათვის, არამედ სცხოვრებდა დღი-თი-დღე, ბრწყინვალედ იმოსებოდა, ტკბილად სვამდა და სჭა-მდა, ლხინობდა და იხარებდა ყოველ დღე, ერთი სიტყვით, იგი იყო დაუდევნელი, წინ-დაუხედველი. საუბედუროდ, ყოველ-თვის და ყოველგან ახლაც, აწინდელთა ქრისტიანეთა შორის ურიცხვნი არიან ამ კერძოდ მსგავსნი მდიდრისა ამის, უზრუ-ნველნი. დაუდევნელნი მომავლისა საუკუნოისა და ცხონე-ბისათვის.

რით და რაში გამოჩნდება დაუდევნელობა აწინდელთა ქრისტიანეთა?

პირველად მით და იმაში, რომ მრავალნი მათგანნი არ ჰყიქრობენ, რა მოელის მათ მომავალსა ცხოვრებასა შინა, როდესაც იგინი გაეყრებიან ამ სოფელს. ამას იქმენ ზოგიერთი მათგანნი ურწმუნოებისა გამო თვისისა. არ სწამთ მათ მომავალი ცხოვრება, ამისთვის ცდილობენ, რომ ამ ქვეყანაში მიიღონ კეთილი თვისი, როგორათაც უბასუხა აბრამმა სამოთხიდან მდიდარსა რომელი იტანჯებოდა ჯოჯოხეთსა შინა. რადგანაც მომავალი ცხოვრება არ არისო, ჰყიქრობდა იგი, აქ მაინც აღარ შევაწუხებ ჩემს თავსაო, ვილხენ და ვიხარებო. საიდგან შეიტყო მან, რომ არ არის მომავალი ცხოვრება? რით დარწმუნდა იგი, ან ვინ დაარწმუნა ამაში? — თვისმა უმეცრებამ და გარყვნილებამ! ჭამისა და სმისა და ლხინის საყვარულმან! ახლაც არიან ზოგიერთნი, რომელთა არ სწამთ მომავალი საუკუნო ცხოვრება, და ამისთვის არ ჰყიქრობენ მას ზედა და არ ეძებენ მას. ვინ დაარწმუნა ისინი, რომ არ არის მომავალი საუკუნო ცხოვრება? საიდან შეიტყვეს მათ ესა? მსგავსად მდიდრისა მის, ესენიც წარტაცებული არიან არა მეცნიერებითა და ლრმა მოსაზრებითა — მეცნიერებაში და სწავლაში სუსტნი არიან იგინი, — არამედ მათმა გარყვნილებამ, ცოდვის სიყვარულმა წარიტაცა იგინიცა და ჰყო ურწმუნო, მსგავსად მდიდრისა მის. მათაც უყვართ ჭამა, სმა, მთვრალობა და სხვა უძვირესნი ცოდვანი. მაგრამ იგინი არ არიან ისე დასაშრახისნი დაუდევნელობასა შინა მათსა მომავალისა ცხოვრებისათვის, როგორათაც სხვანი მრავალნი აწინდელთა ქრისტიანეთა შორის, რომელთა სწამს და კიდეც ჰსურს ცხონება, მაგრამ მაინც დაუდევნელნი არიან ამ დიდ საქმეში. თუ კი კაცმა ერთხელ თავის გულში გადასწყვიტა, რომ არ არის საუკუნო ცხოვრება, რასაკვირველია, ის აღარ ეძებს მას და სცხოვრობს მხოლოდ ამ ქვეყნისათვის; გარნა რით შეენდობა, რა გასამართლებელი მიზეზი აქვს კაცსა მორწმუნესა, როდესაც იგი შთაფლულია ამაოებასა შინა და არ ჰყიქრობს მომავლისა ცხოვრებისათვის, ის ცხოვრობს და იქცევა — თითქო არც კი იყოს მომავალი ცხოვრება.

მეორედ იმაში გამოჩნდება უზრუნველობა აწინდელთა ქრისტიანეთა, რომ იგინი ისე საკმაოდ, ესე იგი ბეჯითად არა

სცდილობენ, ანუ არა ჰერუნვენ მომავლისა ცხოვრებისათვის, როგორც შეეფერება ამ დიდს და მძიმე საგანსა. თუ შენ გწამს, ძმაო ჩემო, მომავალი საუკუნოის ცხოვრება, ისიც უნდა კარგად გახსოვდეს, რომის ცხოვრება იქნება, ესრედ ვსოდეთ, გაგდელება, ან შედეგი აქაურისა ცხოვრებისა, სხვითა, უმჯობესითა სახითა, ანუ, კიდევ, ნაყოფი აქაურისა ცხოვრებისა. აქ შენ სთესავ, იქ მოიმკი. რომელმან სთესოს ხორცოა შინა თვისთა, იტყვის მოციქული პავლე, ხორცოა მიერ თვისთა მთიმკას ხრწილება; ხოლო რომელმან სთესოს სულსა თვისთა, სულისაგან თვისთა მთიმკას ცხავერება საუგუნო (გალატ. 6, 8). აქაურნი შენი საქმენი იქ შენ უკან გამოგიღგებიან. იოანნე მახარებელს და ლვითის-მეტყველს ზეცილან ესმა ხმა და დასწერა: ნეტარ არიან მჯგდარნი იგინი, რომელნი უფლისა მიერ მოკედენ. ამიერითგან, იტყვის სული, ჟე, რათა განისავენონ შრომათაგან მათთა, და საქმე მათი შეუდგეს მათ (გამოცხ. 14, 13). ანუ, როგორც იტყვის წმიდა მოციქული პავლე: მთიღოს კაცად კაცადმან ხორცოა მათგან, რაიცა იგი ჰქმნა, გინა თუ კეთილდო, გინა თუ ბორცი. (პორინთელთა 5, 11). აქვე უნდა მოამზადო შენ გული და სული მომავლისა შენის ცხოვრებისათვის. აქვე უნდა მიეახლოვო ღმერთსა, განიწმიდო ცოდვათაგან სული შენი. თუ კაცი საღმე შორს ქვეყანაში მიდის, კარგად მოემზადება, საგძალს წაიღებს, სამოსელს და სხვას, რაც საჭირო არის მგზავრობასა შინა. ჩვენ სუყველანი ამ ქვეყანას მოგზაურნი ვართ, უნდა მოვემზადოთ ძლიერ შორს ქვეყანაში წასავალად. ნურაოდეს ნუ იფიქრებ გულში—მოვასწრობო, ჯერეთ მოხუცებული არა ვარო, რომ შევატყობ ჩემს თავს სასიკვდინედ, მაშინ მოვინანებო. ვაი, თუ მოსტყუვდე, უცბად გეწიოს სიკვდილი, ან კი რა მომზადება შეუძლია სნეულს კაცს, დასუტყბულს, შეშინებულს?

მრთობ მავნებელი და დამღუბველია დაუდევნელობა, ძმანო ჩემნო! ღაუდევნელი, წინ-დაუხედველი კაცი თვით ამ ქვეყანაზე არის ჭირში და განსაცდელში, პირ-და-პირ ვიტყვი, იგი დაემგზავსება პირუტყვს. პირუტყვმა არ იცის, რა არის მომავალი, და არ პფიქრობს ხვალინდელი დღისათვის, ხოლო კაცს როგორ შეენდობა, თუ არ იფიქრა მომავლისათვის, თუ

აქ, ამ ქვეყანაზედ ვერ მოიპოვებს მოსვენებას, მით უმეტესად ვერ ეღირსება იგი საუკუნო ცხოვრებას. დაუდევნელობა უშლის აყენებს კაცს, რომ გაისწოროს თვისი ცხოვრება გასწმინდოს სინიდისი, გაისწოროს გონება, მოიშალოს ცუდი ზნეობა, შეუდგეს სათნოებასა. შმთავრესი გახსხვავება კაცისა პირუტყვთაგან ის არის, რომ პირუტყვი დასაბამიდგან აქამომდე ერთ მდგომარეობაში არიან. თუმცა პირუტყვსა აქვს ცოტაოდენი გავება, მიხთომა, მაგრამ მათი ჭკუა და მიხთომა არ იზრდება, ერთ ნაირად არის. თუმცა მათაც აქვს რამე ზნე, მაგრამ მათი ზნე ერთ საზღვარშია, ვერ გაუმჯობესდება, წინ ვერ წავა. მაცი სულ სხვანაირად შეჰქმნა ღმერთმა, კაცი მარადის წინ მიდის ჭკუით, გონებით ზნეობით, ყოფაქცევით, ერთი სიტყვით, კაცს აქვს დაუსრულებელი მისწრაფება უმჯობესისადმი. ბარნა უზრუნველი, დაუდევნელი კაცი სცხოვრობს მხოლოდ დღევანდელი დღისათვის, მომავალი მისთვის არ არსებობს, იგი დაკმაყოფილებულია დღევანდელი დღის მცირე რამე ლხინით და სიხარულით. რა საჭიროა მისთვის მაინც-და-მაინც გაამდიდროს თვისი ჭკუა და გონება მეცნიერებით და გონების ამაღლებით! მისი ბეღნიერება მდგომარეობს დღევანდელს რამე მცირე ნუგეშში, მცირესა. რამე კმაყოფილებასა შინა. მაცხოვარმა გვიბრძანა: იუგენო თქვენ სრულ, გათარცა მამა თქვენი ზეციერი. პი რა დაუსრულებელი და ამაღლებული მიზანი გვიჩვენა ჩვენ მაცხოვარმან. პთასი წელიწადი რომ იცხოვრო ქვეყანაზე და დღე და ღამე რომ ეცადო, მაშინაც ვერ მიაღწევ ამ მიზანს; და დაუდევნელი კაცი არ პფიქრობს, რომ მოკლეა ცხოვრება ჩვენი, ხოლო დიდ არს და საშინელ, და მძიმე მიზანი იგი, რომლისა მიმართ მიმდინარეობს ყოველი გონიერი კაცი წუთსა ამას ცხოვრებასა შინა.

ბანაშორე ჩვენგან, ღმერთო, უზრუნველობა, წინდაუხედველობა, დაუდევნელობა! დანერგე გულთა შინა ჩვენთა შიში, ზრუნვა, ძიება უმჯობესისა, მიმართულება, სრბოლა ზეციერისა მიმართ მამისა ჩვენისა. ამინ:

მოძღვანელისა.

ოცდაშესუთხესა პირიადესა ზედა.

განშარტება რიგის სამოციქულოისა (ეფეს. 4, 1—6.)

ზანვიხილოთ და განვიმარტოთ, ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, დღეს წაკითხული სამოციქულო. თუმცა იგი არის მოკლე სიტყვებითა, გარნა არა აზრებითა. იგი იპყრობს თვის შორის მრავალთა მშვენიერთა, ღრმათა და სასარგებლოთა სწავლათა.

ბლოცაგ ოქენ, მე კრული ესე შფლისა მიერ, რათა დინსად ჭიჭიდოდეთ ჩინებისა მის, რომლითა იჩინენო. მს არის პირველი მუხლი დღეს წაკითხულისა სამოციქულოისა.

აქ პირველად ჩვენ ის უნდა ავხსნათ, რისთვის ხმარობს პავლე მოციქული ამ სიტყვას: ბლოცაგ ოქენ? რისთვის არ იტყვის იგი: გიბრძანებ, გამცნებ, ვალად-დაგდებ, არამედ გლოცავ? მისთვის, ძმანო ჩემნო, რომ ქრისტიანობა დამყარებული არის თავისუფალსა სიყვარულსა ზედა, და არა მონებრივსა შიშ-სა ზედა. დიალ, შეეძლო პავლეს, ვითარცა შრისტეს მოციქულსა, ვითარცა დიდისა უფლებისა და სულიერისა მადლისა მექონსა, ბრძანება მიეცა მორწმუნეთათვის, გარნა იგი, ნაცვლად ამისა, ჰლოცავს მათ, ვინაიდგან შიშით და იძულებით აღსრულება შრისტეს მცნებათა არად სარგებელ არს, არამედ თავისუფალი და სიყვარულით აღძრული მორჩილება შფლისა სათნო არს მისა.

ბლოცაგ მე კრული ესე შფლისა მიერ. როდესაც წმიდა მოციქული მისწერდა მფესელთა ამ სიტყვას, იგი იყო შეკრული საპყრობილესა შინა წარმართთა მიერ შრისტეს სახარებისათვის. განგებ გაახსოვნებს მოციქული მოწაფეთა თვისთა კრულებასა თვისსა, რათა ამით გააჩინოს მათ გულში კეთილი

გრძნობა და მით მოსდრიკოს იგინი მორჩილებით სმენად და აღსრულებად თვისისა დარიგებისა.

ახლა შევიტყოთ, რასა სთხოვს ესრედ გულ-მოდგინედ მოციქული მორწმუნეთა ქრისტიანეთა: რათა დინსად პევადოდეთ ჩინებასა მას, ჰამლითა იჩინენთ, ესე იგი, რათა მორწმუნენი იყვნენ ღირსნი იმა წოდებისა, ანუ იმ სჯულისა, რომელი მისცა მათ უფალმან. თქვენ ყოველთა უკვე იცით, ქრისტიანენო, რა არის ჩვენი წოდება და რაში მდგომარეობს ჩვენი სჯული? წოდება ჩვენი და სჯული ის არის, რათა ამ სოფელში ცხოვრებასა ჩვენსა ვატარებდეთ ყოვლითა სიწმიდითა და კრძალვითა და მით გამოვაჩინოთ თავნი ჩვენნი ღირსად მომავალისა დაუსრულებელისა ნეტარებისა.

შოგლითა სიმდაბდითა და სიმშვიდითა და სულგრძელებითა თავს იდებდით ურთიერთ-არს სიეგარულითა. პჰა, რით უნდა შევიქნეთ ღირსნი ჩვენისა წოდებისა. ჩვენ უნდა ურთიერთ-არს თავს ვიდვათ, ესე იგი ერთი მეორეს შევიწყნარებდეთ, უთმენდეთ, შევიყვარებდეთ ყოვლითა სიმდაბლითა და სიმშვიდითა და სულგრძელებითა. სიმდაბლე, სიმშვიდე, სულგრძელება მით უმეტესად არიან საჭირონი ჩვენთვის, რომელ ჩვენ ყოველნი ვართ სუსტნი, ცოდვილნი, ყოველთა გვაქვს მრავალნი საკუთარნი ნაკლულევანებანი, სულიერნი და ხორციელნი, და თუ ესენი არა თავს ვიდევით ურთიერთ-არს, არ შეუნდევით, არ მოვითმინეთ, მაშინ დაგვეკარგება ერთობა და სიყვარული, და თუ ესენი დაგვეკარგება—ქრისტიანობაც განქარდება ჩვენ შორის.

ისწავლით დამარხვად ერთობასა მას სულისასა საკერძოდითა მით მშვიდობისათა. პჰა, კიდევ როდის შევიქმნებით ღირსი ღიდისა ჩვენისა წოდებისა! მაშინ ვიქმნებით ჩვენ ჭეშმარიტნი ქრისტიანენი, როდესაც გვაქვს ერთობა სულისა. ბანგებ იტყვის მოციქული: ერთობასა სულისასა. შეიძლება და ხშირადაც ვხედავთ, რომ ზოგიერთთა ქრისტიანეთა ვითამც აქვთ ერთობა, გარნა ერთობა მათი არის უფრო გარეგანი, ხორციელი, ვიდრენა ერთობა სულისა, ზრდილობა, ანუ დარბაისლობა სოფლიური მოითხოვს, რათა შვილნი სოფლისა ამისანი ურთიერთ შორის იქცევდენ მოფერებით და თავაზობით. იფიქრებ, შემხედველი მათი,

რომ ვითომც მათ აქვსთ ერთობა და მეგობრობა, გარნა, სამწუხაროდ, მათი ერთობა არ არის სულიერი. როდესაც პირში ეფერებიან იგინი ერთი მეორესა, პირ-იქით ხშირად აგინებენ და ემტერებიან. არა ესრეთსა ერთობასა მოითხოვს ჩვენგან მოციქული, არამედ ერთობასა სულისასა საკურელითა მით მშვიდობისათა, ანუ კავშირითა მშვიდობისათა. რის-თვის არს, ძმანო, საკურელი, ანუ კავშირი მშვიდობისა ასე საჭირო, დიდი? მარტო ამ სიტყვას, ესე იგი მშვიდობას, საღმრთო წერილში ისრეთი ლრმა და მაღალი მნიშვნელობა აქვს, რომ მთელი დღე მაგაზე ვილაპარაკოთ, მაშინაც ვერ გავათავებთ სიტყვასა. გარნა მოკლედ მაინც უნდა ავხსნათ მნიშვნელობა ამ სიტყვისა. პირველად, ნუ ჰეონებ შენ, ძმაო, რომ მშვიდობა ჰნიშნავს რომელსამე დაძინებასა, ანუ განსვენებასა, ანუ სულიერსა უძრაობასა და უგრძნობელობასა. იგი ჰნიშნავს სრულიად ამის წინააღმდეგსა. მშვიდობა არის სულიერი ძალი და მოქმედება, ის მშვიდობა, რომელი მაცხოვარმან, მკვდრეთით აღდგომილმან, უწინარეს ყოვლისა ახარა მოწაფეთა თვისთა, მეტყველმან: მშვიდობა თქვენთანა, და რომელი იყო უდიდესი და უტკბილესი ხარება შორის პირვეთა ქრისტეანეთა, ის ზეგარდამო მშვიდობა, რომელსა ჩვენ ყოველ წირვა-ლოცვაზედ უწინარეს ყოვლისა გამოვითხოვთ ღვთისა-გან, მეტყველნი: ზეგარდამო მშვიდობისათვის... ვილოცოთ, ბოლოს, ის მშვიდობა, რომლითა, სიტყვისამებრ პავლე მოციქულისა, უნდა იყოს შეზღუდული გული, სული და გონება ქრისტიანეთა. იგი არის ერთი უმაღლესთა ნიჭთაგანი სულისა წმიდისა; ათასში ერთს არა აქვს ეს მშვიდობა! მხოლოდ ის ჰერძნობს ამ მშვიდობას, რომლისა გული და სული სულმან წმიდამან გასწმინდა ყოვლისა ცოდვისაგან. მშვიდობა არის სიყვარული და ერთობა შორის კაცისა და მოყვასისა მისისა; არის შეერთება შორის კაცისა და სინიდისისა მისისა; ბოლოს – შერიგება შორის კაცისა და ღვთისა.

დანარჩენთა სამთა მუხლთა შინა დღეს წაკითხულისა სა-მოციქულოისა წმიდა მოციქული პავლე გვაჩვენებს საფუძველ-სა და მიზეზსა ჩვენის ერთობისასა. იგი გვეტყვის, რომ ჩვენ ყოველნი ბუნებიდგანვე ვართ ერთ ხორც და ერთ სულ, ვითარცა წარმომდინარენი ერთისა კაცისაგან, და ეს ბუნებითი

ერთობა არის განმტკიცებული ერთობითა მაღლისათა, ვინაიდგან ჩვენ ყოველნი ვართ ჩინებულნი, ანუ წოდებულნი ერთითა სასოებითა. მრთ ხთაც და ერთ სულ, ვითარცა იგი იჩინენით ერთითა მით სასოებითა ჩინებისა თქვენისათა. გარდა ამისა და უმეტესად ამისა, ჩვენ ყოველთა გვყავს ერთი შფალი, მიგვიღია ერთი სარწმუნოება, ნათელს-ლებულ ვართ ერთითა ნითლის-ლებითა. მრთ არს შფალ, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლისფება. ბოლოს, რომელიც არის უდიდესი ყოვლისა, ჩვენ ყოველთა გვყავს ერთი ღმერთი და ზეციერი მამა. მრთ-არს ღმერთი და მამა უოველთა, რომელი უოველთა ზედა არს, და უოველთა მიერ, და ჩვენ უოველთა შორის, ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

ოცდამათუთასა პვირიაპვესა ზედა.

ღლევანდელი სახარება, ძმანო, მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო, გვასწავლის და გვიქადაგებს ჩვენ სიყვარულსა ღვთისა და მოყვასისასა. შეიუგარ შფალი ღმერთი შენი უოვლითა გულითა შენითა, და უოვლითა სულითა შენითა, და უოვლითა ძალითა შენითა და უოვლითა განებითა შენითა, და მოუვასი შენი—გათარცა თავი თვისი (ლუკ. 10, 27.)

ამ სიტყვებში, ძმანო ქრისტიანენო, პირველი ყურადღება მიაქციეთ მას ზედა, რა ზომის, ანუ უმჯობეს არს თქმად, რა უზომო სიყვარულსა ღვთისასა მოითხოვს სახარება ჩვენგან. ღმერთი უნდა გვიყვარდეს ჩვენ არა რომლითამე ერთითა ძალითა, ანუ კერძოითა სულისათა, არამედ მთელითა არსებითა, ანუ ბუნებითა ჩვენითა. შოველი ნიჭი და თვისება, ანუ ძალი, რომლითა ღმერთმა შეამკო ბუნება ჩვენი, სული, გული, გონება; მეხსიერება, ჭკუა—უნდა იყოს დაჰყრობილი და განათლებული ღვთის სიყვარულითა.

რისთვის უნდა გვიყვარდეს ჩვენ ესრედ უზომოდ ღმერთი? პირველად მისთვის, რომ იგი არის ერთი, ყოველიფერზე უდიდესი და უმჯობესი არსება, მაშასადამე, ლირს, და სჯობს, რომ მარტო იგი გვიყვარდეს სრულითა სიყვარულითა, ხოლო სხვა ყველაფერი იმ ზომად გვიყვარდეს, რა ზომად გაგვასოვნებს ღმერთსა, და გაგვამტკიცებს ღვითის სიყვარულში. მეორედ მისთვის, რომელ ღმერთი არის საუკუნო და მარად მყოფი და შეუცვლელი, ხოლო სხვა ყოველიფერი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა იცვლება და წარმავალია. ზეირჩევნია — ჩვენც ჩვენი სული და გული მივანდოთ მარად-მყოფსა და შეუცვლელსა. ჩვენი სული და გული განისვენებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მიენდობა საუკუნოსა ღმერთსა. მესამედ, კაცის სულსა და გულსა ისრეთი თვისება აქვს, რომ რასაც შეიყვარებს სრულითა სიყვარულითა, იმას დაემოხება, მისი მსახური და მასიამოვნებელი იქნება და ცდილობს, რომ იმას დაემზავსოს, ანუ, ესრედ ვსთქვათ, იმის ფერს მიიღებს. მაშასადამე, თუ ღმერთს შეიყვარებ შენ, ძმაო, ყოვლითა გულითა შენითა, მაშინ გული შენი აღივსება ღვითის მაღლითა, სახიერებითა და კეთილობითა; თუ შეიყვარებ ყოვლითა სულითა შენითა, მაშინ სული შენი ამაღლდება, განიწმინდება; თუ შეიყვარებ ყოვლითა ძალითა შენითა, მაშინ ყოველნი ძალნი და ნიჭინი შენისა ბუნებისანი განცხოველდებიან და ყოველნი მათნი მოძრაობანი და საქმენი იქმნებიან მართალნი და ნაყოფიერნი. ბოლოს, თუ შეიყვარებ ღმერთსა ყოვლითა გონებითა შენითა, ყოველნი შენი აზრნი, მოგონებანი იქნებიან აღბეჭდილნი ჭეშმარიტებითა და წრთველობითა.

შეაყვარო მოყვასი შენი, ყათარცა თაგა თვისი. აქაც კარგი ზომა მოგვეცა მაცხოვარმან: მოყვასიც უნდა შეიყვაროთ, ვითარცა თავი თვისი. თავის თავს კაცი არაოდეს არ ავნებს, ზარალს არ მისცემს, არამედ ყოველთვის ცდილობს თავის სარგებლობაზე და თავის სიკეთეზე. ამის მზგავსადვე ორნაირად უნდა აღასრულოს კაცმა მოყვასის სიყვარული. არცერთი მცირედი ზარალი და ვნება არ უნდა მისცეს კაცს, არცა ხორციელი, არცა სულიერი, არ დააკლოს რამე, არ წართვას, არ მოჰპაროს, არ მოატყუოს, არ აგინოს, არ დასწყევ-

ლოს, უმართლოდ არ უჩივლოს, არ აცთუნოს არცა სიტყვით, არცა საქმით. ნაცვლად ამისა ეცადოს ყოველიფერი, რაც შეუძლია, სარგებლობა ხორციელი და სულიერი მისცეს ყოველთა კაცთა, შეეწიოს მეტადრე გაჭირვებულთა, პატივი სცეს, ნუგეში სცეს, კუუა ასწავლოს, კეთილი სახე და მაგალითი აჩვენოს.

მაგრამ ვის შეუძლია აღწეროს თვითეულად ყოველი ნაყოფი სიყვარულასა! ჩვენ, ქრისტიანეთა, მხოლოდ ყოველთვის ის უნდა გვახსოვდეს, რომ სიყვარული ლვთისა და მოყვასისა არის ყოველთა უდიდესი მცნება, საძირკველი და წყარო ყოველთა სხვათა მცნებათა. შოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ლვთის და მოყვასის სიყვარულით განიზომება ჩვენი სულიერი ღირსება. რა ზომად გაქვს შენ, ძმაო ქრისტიანე, ლვთის და მოყვასის სიყვარული, იმ ზომად ხარ შენ ქრისტიანე. შოველიფერი სხვა რომ გქონდეს, ესე იგი ყოველნი სხვანი ნიჭნი და სათნოებანი, მაშინაც არ იქნები ქრისტიანე, თუ წინა-პირველად არა გაქვს ეს ორი: ლვთისა და მოყვასის სიყვარული. მაგრამ უმჯობეს არს ამაზე მოვიყვანოთ თვით საღმრთო წერილის სიტყვები და მით კიდეც დავასრულოთ აწინდელი ჩვენი სუსტი სიტყვა: ენსაღა თუ კაცისა და ანგელოზისა გატეოდე, ხოლო სიყვარული არა მაქანდეს, გაქმნე მე, გთარცა. რგადო, რომელი თხრის, გინა წინწილი, რომელი ქსმობებ; და მაქანდესდა თუ წინსაწარმეტყველება და უწყოდე გოველა საიდუმლო და უოგელი მეტნაერება, მაქანდესდა-თუ უოგელიგა სარწმუნოება, გადრე მთათაცა ცხალებადმდე, და სიყვარული თუ არა მაქანდეს—არარაგე ვარ; და შეღათუ-გაჭამო უოგელი მოხაგება ჩემთ და მიგჰსცნე სორცნი ჩემნი დასასწავლად, და სიყვარული არა მაქანდეს—არარაგე სარგებელას, ჩემდა (1 ძორინთ. 13, 1—3). ამინ,

ოცდამეცუთხსა პვირიაპვისა ზედა მოწყალე სამარიტე-
ლისასა,

თქმული უკანასკნელ რმიანობის დროს.

დღეს წაკითხულითა იგავითა მოწყალე სამარიტელსა ზედა,
შფალი იქსო ძრისტე გვასწავლის უანგააროსა და უანგარიშოსა
სიყვარულსა მოყვასისასა. არა ერთგზის გაგვიგონია ჩვენ იგავი
იგი მოწყალესა სამარიტელსა ზედა, დღესაც ჩვენგან მოსმენი-
ლი სახარებისაგან, გარნა, ვგონებ, რომ იგავი ესე არაოდეს
უწინ არ განაღვიძებდა გულთა შინა. ჩვენთა ისრეთსა გრძნობა-
სა, როგორათაც აწ, ამ ჩვენ დროებაში. მოქმედება იგი მოწ-
ყალისა სამარიტელისა, რომელი, მიღიოდა რა მგზავრად, დაი-
ნახა გზაზე ერთი უცნობი კაცი დაჭრილი ავაზაკთაგან და
დაგდებული გზის პირზე, შეიბრალა, აიყვანა, დააჯდინა თვის
სახედარზე, მიიყვანა სადგომში და უჭირის-უფლა მას. მს იგავი
არ გაგვასევნებსა. ჩვენ, რაოდენი არიან ახლა ერთის მხრით
დაჭრილნი ავაზაკთა აგარიანთაგან, და მეორე მხრითაც, რაო-
დენი გამოჩნდენ, მადლითა დავთისათა, მოწყალენი სამარიტე-
ლნი, რომელნი თავ-გამომეტებით ემსახურებიან და უჭირის-
უფლებენ მათ. დიდება განგებულებასა დავთისასა! მადლი და დი-
დება აუარებელსა სიბრძნესა დავთისასა! მძიმე და საშინელი არის
აწინდელი ომი; აღურაცხელი მსხვერპლი მოითხოვა მან, აღუწე-
რელი ტანჯვა და მწუხარება ურიცხვთა კაცთათვის მოიატნა მან;
გარნა ნაცვლად ამისა, ეგოდენი ქველის მოქმედება, თავის გა-
მომეტება და თავის დავიწყება გამოაჩინეს ზოგიერთთა მხნეთა
პირთა, რომ გაახარეს ყოველნი პრისტეს მოყვარენი კაცი,
მით, რომ ახლაც, ამ ჩვენ დროებაში, თურმე კიდევ ყოფილა

მართლ-მადიდებელთა ქფისტიანეთა შორის განუზომელი სა-
სოება ღვთისა და სჯულის სიყვარული. პრა თუ ერთი, არა-
მედ ათასნი და ბევრეულნი მოწყალენი სამარიტელნი მიდიან
დასახსნელად ურიცხვთა ქრისტიანეთა, რომელნი დიდი ხნი-
დან შთაცვივნილ არიან ხელთა შინა აგარიანთასა. სხვანი,
რომელთაც არ შეუძლიათ გაერიონ ომში, ჩავგამოდებულად
ემსახურებიან დაჭრილთა მხედართა. უსაკვირველესი კიდევ ეს
არის, რომ თვით სუსტი ბუნებიდგან დედაკაცნი უმეტესითა
შრომითა და თავგადადებითა ემსახურებიან დაჭრილთა. იქნე-
ბა შენ, ძმაო, დაწვრილებით არ კითხულობ აწინდელთა ამ-
ბავთა, ამისთვის მოგიყვან ორსა განსაცვიფრებელსა მაგალით-
სა თავის გამომეტებისასა სუსტის მდედრობის სქესისასა. მრთს
დაჭრილს მხედარს ეგოდენი სისხლი დაეკარგა, რომ მიაწია
სიკვდილამდის. ამ შემთხვევაში ერთიღა ღონე დარჩა მისი
მორჩენისა, თუ ვინმე ცოცხალი კაცი გამოიმეტებდა თავის
საკუთარს სისხლს, გადასასხმელად იმის დაჭრილს ძარღვებში.
ძალმა, რომელი მას უვლიდა, დიდი სიხარულით მისცა მას
საკუთარი თვისი სისხლი. ხელოვნებით გადასახეს მისი სისხლი
დაჭრილის ძარღვებში და მორჩა დაჭრილი იგი. მეორე მა-
გალითი იყო უფრო გასაცვიფრებელი. მრთი შძიმედ დაჭრი-
ლი დიდხანს ვერ მორჩა; რაოდენი ღონისძიება იხმარეს ექი-
მებმა, გარნა არ გაუმთელდა დაჭრილობა. ამ შემთხვევაში
ყოფილა თურმე ერთი საშუალება: თუ ვინმე მთელმა, ცოც-
ხალმა კაცმა თავი გამოიმეტა, ამოაჭრევინა თვისი ტანისაგან
რაოდენიმე ცოცხალი ნაჭერი ხორცი, ამ ნაჭრებსა დაადებენ
წყლულებაზე, და იგინი შეუერთდებიან დაჭრილ ასოს, და
გააცოცხლებენ მას. აქაც გამოჩნდა ერთი მხნე, გმირი ქალი,
რომელიც უვლიდა იმ დაჭრილს. მან ამოაჭრევინა თვისი
მკლავისაგან თვრამეტი ნაკვეთი ხორცი, რომელთა მოარჩინეს
ის დაჭრილი. მსრეთნი მაგალითნი მრავალნი არიან აწინდელ
დროებაში, მაგრამ ვინ აღწერს სუსტელას. თითქმის არ არის
არც ერთი კაცი რუსეთის სახელმწიფოში, რომელსა რაიმე
შემწეობა არ მიეცეს დაჭრილებისათვის, ანუ პირადის სამსა-
ხურითა, ანუ ფულების და ნივთების შეწირვითა. ზოგიერთ-
თა მდიდართა ასიათასობით შესწირეს დაჭრილების სასარგებ-

ლოდ. სოფლის მცხოვრებნი, ღარიბნი გლეხნი თითო გროშს შესწირავდენ, თუ მეტი არ შეეძლოთ. რომელსაც ერთი გროშიც არა ჰქონდა, ის მცირე ნაჭერ ტილოს შესწირავდა, ჭრილობის შესახვევად.

ახლა, შენ გყითხავ, მსმენელო ჩემო, შენ რა ქენი სასარგებლოდ დაჭრილებისა? ჩვენებურმა კეთილშობილმა საზოგადოებამ, თავად-აზნაურობამ, ღიას, შეძლებისა გვარად, არ შეირცხვინა თავი, მრავალი მსხვერპლი შესწირა მამულის დაცვისათვის, მრავალნი მათგანნი დაეცნენ ომში, მრავალნი დაიჭრნენ. სოფლის მცხოვრებთა ღარიბთა გლეხთა ჩვენს ქვეყანაშიაც არა მცირედი მსხვერპლი შესწირეს აწინდელს დროებასა შინა. მათ გამოიყვანეს მრავალნი მხედარნი, რომელთაგან მრავალნი დაიჭრნენ, ზოგნი მოკვდენ ამსა შინა. მუშაობითაც არა მცირედი შესწირეს სოფლის მცხოვრებთა. შენ რა ჰქენი, შენის მხრით, მოსვენებით მცხოვრებმა ქალაქში? ვაჭარი ფულს იგებს და ერთი ხუთად ჰყიდის თავის საქონელს, ჩინოვნიკი მოსვენებით ემსახურება და იღებს ჯამაგირს. დიდი სირცხვილი იქნება, თუ მათგანი ვინმე დარჩა უნაყოფოდ და არაფრით შეეწია დაჭრილებსა. სამწუხაროდ, ჩვენ, თუ რამე მოწყალებას გამოვიმეტებთ, იმასაც მხოლოდ ჩვენთა მოყვარეთა და ნათესავთათვის; გარნა ამით არა სრულდება მცნება მოწყალებისა და სიყვარული მოყვასისა. მოწყალემან სამარიტელმან შეიიწყნარა და უჭირისუფლა უცხოსა კაცსა, რომელიც არ იყო არც ნათესავი, არც ნაცნობი, და თითქმის მტერი იყო მისი ნათესაობისა. ახლა აქვს ყოველ კაცს მარჯვე დრო, აღასრულოს საღმრთო მცნება სიყვარულისა და მოწყალებისა უანგაროდ, ქრისტიანულად. ვინც ახლა შესწირავს, ანუ შრომით, ანუ ფულით, ანუ სხვა ნივთით, დაჭრილებსა, იგი პირდაპირ დაემსგავსება მოწყილესა სამარიტელსა, და გამოაჩენს თავის თავს მამულის ერთგულ შვილად და მოყვარედ. ამინ.

ოცდამეხუთესა კვირიაპესა ზედა.

იგავი მთწეულე საშარება, ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, გვიქადაგებს და შეგვაგონებს ჩვენ ქრისტიანულსა სიყვარულსა და მოწყალებას. ვგონებ, რომ წინაშე მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა არ არის საჭირო ვრცლად უბნობა მასზედა, თუ რა დიდი სათნოება არის მოწყალება. ეს იცის ყოველმა ქრისტიანე კაცმა, და არა თუ ქრისტიანეთა, არამედ სხვათა, უცხო სჯულისა კაცთა, მაგალითებრ, მაჰმაღიანთა, ურიათა დიდ სათნოებათ მიაჩნიათ მოწყალება, და დიახაც სცდილობენ აღასრულონ იგი. გარნა ქრისტიანული მოწყალება დიდად განსხვავებულია მათი მოწყალებისაგან.

თვით დღეს წაკითხული იგავი სახარებისაგან არა იმაზედ ლაპარაკობს, რომ მოწყალებანი დიდი სათნოება არისო, — ეს ყოველმა კაცმა იცის, როგორც ვსთქვით, — არამედ იმას, თუ როგორ უნდა აღასრულოს ქრისტიანემ ეს სათნოება, რომ იგი ნამდვილ ქრისტიანულ მოქმედებად შეიქმნას. როგორია ქრისტიანული მოწყალება? როგორ უნდა აღსრულდეს იგი? ამაზედ კი ფრიად საჭიროა ლაპარაკი წინაშე ქრისტიანეთა, ვინაიდგან არა ყოველნი ქრისტიანენი ქრისტიანულად აღსრულებენ მოწყალებას.

რასა შინა მდგომარეობს ქრისტიანული მოწყალება, და საიდგან წარმოსდგება იგი? ძრისტიანული მოწყალება არის ბუნებითი გრძნობა კეთილი კაცის გულისა, გარნა უმეტესად განლვიძებული და გაღონიერებული სარწმუნოებითა. თუ კაცს გული არა, აქვს გაფუჭებული და ზნეობა დაცემული, როდესაც დაინახავს შეწუხებულს და უბედურს კაცს, თვითონაც

უნებლივად შეწუხდება, მისი სული თანა-უგრძნობს მოყვასის შეწუხებას და უნებლივად მოინდომებს რითიმე შეუმსუბუქოს მას მწუხარება.

მოწყალე იგი სამარიტელი თავის საქმისთვის მგზავრად მიღიოდა ერთი უდაბური გზით, და როდესაც დაინახა დაჭროლი და დაგდებული გზის პირზედ ავაზაკთაგან კაცი, უნებლივად შესწუხდა, გაჩერდა და დაიწყო შემწეობა მისი.

ვის უნდა უყოს კაცმა მოწყალება? შოველს შეწუხებულს და გაჭივრებულს კაცს, ვინც გინდა იყოს იგი, თუ გინდ მახლობელი და მონათესავე კაცი, თუ გინდ უცხო, უცნობელი და სხვა სჯულის კაცი, ურია, გინდა თაოარი. რაოდენადაც შეგიძლია და ვისტამიც შეგიძლია, ჰყავ მოწყალება. მრთი მხოლოდ გაარჩიე: ვინც უფრო გაჭივრებულია, წინა პირველად მას შეეწიე. ასე არ მოიქცა მოწყალე იგი სამარიტელი? იმან არ მიჰედა მას, რომ დჭრილი იგი კაცი იყო ურიათაგანი, რომელნი ემტერებოდენ სამარიტელთა. მან მხოლოდ ის იფექრა, რომ კაცი, ადამიანი, გაჭივრებულია და სიჭიროა მისი შეწევნა.

როგორ, რა სახით უნდა აღასრულოს კაცმა მოწყალება ქრისტიანული? ამა კითხვაზე უფრო საჭირო არის გამოკვლევა. მრავალნი არიან ქრისტიანენი, რომელთაც უყვარსთ და კიდეც ჰყოფენ მოწყალებასა, გარნა, სამწუხაროდ, არა ქრისტიანულად, და ამით ამცირებენ ფასსა მოწყალებისასა. მოწყალება უნდა აღასრულოს კაცმა, პირველად, კეთილი და მხიარული გულით და შისწრაფებით, ვითარცა ჰქმნა მოწყალე სამარიტელმა: როგორც დაინახა მან დჭრილი მდებარე კაცი, მაშინვე ჩამოხდა ცხენიდგან, მივიღა მასთან, შეუხვია თავისი ხელით წყლულებანი მისნი, დაასხა ზეთი და ღვინო, შესვა თავის ცხენზედ, წაუძღვა წინ და მიიყვანა სასტუმრო სახლში და მიაბარა იქ მოსავლელად, სასყიდლის მიცემითა.

მეორედ, უდიდესი და და უმთავრესი საქმე ის არის, რომ მოწყალება უნდა აღასრულო უანგაროდ, განლვიძებულმა მხოლოდ ერთითა კეთილის გულის გრძნობითა, მოყვასის სიყვარულითა და უმეტესად სარწმუნოებითა. არიან მრავალნი ქრისტიანეთა შორის, რომელნი აღასრულებენ მდიდრად და უხ-

ვად მოწყალებასა, ასობით და ათასობით მოახმარებენ ღარიბთა კაცთა; გარნა ამასთანავე უყვარსო, რომ ქვეყანაშ შეიტყოს, ბუკი დაუკრან მათ მოქმედებაზედ, გაზეთებში დაბეჭდონ მათი მოღვაწეობა. ვგონებ რომ, ამით მოწყალება მათი ჰკარგავს ქრისტიანულს ხასიათსა და თვისებას. ბრა ესრედ მოიქცა მოწყალე იგი სამარიტელი! იგი არც ერთს ჯილდოს არმოელოდა, მის მოქმედებას არავინ უყურებდა, ვერც ვინმე შეიტყობდა, რომ ქებისათვის და თავის მოწონებით ექმნას მას მოწყალება. იქნება შენ გაგიკვირდეს, ძმაო, ესეთი აზრი, მაგრამ მაინც გეტყვი: როდესაც მოწყალებას რასმეს იქმ და კეთილს საქმეს, ნურც ის აზრი გაქვს მაშინ, რომ ღმერთი გარდამიხდისო, მაგიერს მომავებსო. მართალია, ღმერთი ყოველ კაცს გადუხდის მისი კეთილი საქმისათვის; საღმრთო წერილი პირაპირ იტყვის, რომ ვინც გლახაკს მოწყალებას მისცემს, ის ღმერთს ავასხებსო; მაცხოვარი გვეტყვის, რომ, ვინც ერთს სტაქანს გრილ წყალს დაალევინებს მწყურვალე კაცს, არ დაჰკარგავს მისს სასყიდელს. გარნა, თუ შენ მოწყალებას აღასრულებ მარტო იმ აზრით, რომ ღმერთი მაგიერს მომცემსო, და არა ღვთის და მოყვასის სიყვარულით, მაშინ შენი მოქმედება უფრო დაემსგავსება ვაჭრობას; იგი დაჰკარგავს ნამდვილ ქრისტიანულ ხასიათს, და მიიღებს სახეს და ხასიათს ფრანგულს, ანუ კათოლიკებისას, და ერთის შხრით მაპმადიანთა, რომელნიც კეთილ საქმეს ისე ანგარიშობენ, როგორც ვაჭარი ფულის თავნს და სარგებელს.

გარნა, მივუბრუნდეთ კიდევ მშვენიერსა მოქმედებასა სამარიტელისასა. მისი მოწყალება არა თუ უანგარო იყო, არამედ მოითხოვდა თავის გამომეტებასაც. ადგილი იგი, სადაცა დაჰკვდა მას დაჭრილი კაცი, იყო საშინელი, და მრავალნი იღუპებოდნენ იქ ავაზაკებისაგან. წინედ მის მოსვლისა, იქ გაიარეს მღვდელმა და ლევიტელმა, გარნა შიშისაგამო, ვერ გაჰდეს იქ გაჩერება და შემწეობის მიცემა დაჭრილისათვის. ხამარიტელმა არ მიჰედა ამას ყოველსა, არ იფიქრა მაა, რომ ავაზაკები, რომელთაც დაჭრეს კაცი იგი, მახლობლად იქმნებოდენ და მოჰკლავდენ მას, არამედ გამოიმეტა თავი და მისცა შემწეობა უბედურსა მას დაჭრილსა. მსრეთი თავის გამო-

მეტება შოწყალების აღსრულებაზე, არის ნამდვილი ქრისტიან
ნული მოწყალება, უმაღლესი სათნოება. როდესაც კაცი, არა
თუ თვისი ქონებისა და ნაყოფისაგან ეწევა გაჭირვებულს კაცს,
არამედ თვით სიცოცხლესაც აღარ ჰქოვავს მოყვასის გული-
სათვის, იგი აღსრულებს ჭეშმარიტად მცნებასა ქრისტიანუ-
ლისა სიყვარულისასა; იგი ჰპაძავს თვით მაცხოვარსა, რომელ-
მან თავი თვისი შესწირა დმერთსა სახსრად ჩვენდა. ამინ.

მ ო დ ღ ვ რ ე ბ ა

კვირიაქვესა უეგდგომად ჯვართ-ამაღლებისა.

შმანო, მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო! დღეს წარკი-
თხული მოკლე სახარება. იპყრობს თვის შორის ლრმასა და
ვრცელსა სწავლასა. მოვისმინოთ მოკლედ ვანმარტება მისი,
მვედრებელნი ღვთისა, რათა მოგვცეს გულის-ხმისყოფა და სუ-
ლიერი აღშენება. რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსევდა, უარ-
ჰყავნ თავით თვისი, და აღიღენ ჯვარი თვისი, და შემომიდეგინ მე (მარქ.
8, 34).

ამ პირველ მუხლში შფალი ჩვენი იესო ქრისტე გვაძლევს
ჩვენ დიდსა და მაღალსა სწავლასა. თითქმის მთელი სახარების.
სწავლა მოკლედ გამოთქმული არის სიტყვათა ამათ შინა. ამ
სიტყვებში შფალი ჩვენი იესო ქრისტე შეგვაგონებს ჩვენ, რა-
თა ჩვენსა ცხოვრებასა აღვილად და მსუბუქათ არ ვუყურებ-
დეთ, არამედ მძიმედ, ვითარცა ერთსა დიდსა ღვაწლსა და
შრომასა; არ ვიფიქროთ, რომ ეს ცხოვრება მოგვეცა ჩვენ
სალხინოდ და თავის შესაქცევად, არამედ ვიცოდეთ, რომელ
ცხოვრება ჩვენი აქ არის შრომა, მოთმინება, ხშირად ჭირი და
მრავალი განსაცდელი, და, ესრედ, წინადვე გავამზადოთ. სუ-
ლი ჩვენი აღებად მხართა ზედა ჩვენთა ჯვარისა, ესე იგი ყო-
ვლისა სიმჭიდრისა, ჭირისა და განსაცდელისა, უარს ვჰყოფდეთ

თავსა ჩვენსა, ესე იგი დავივიწყებდეთ ყოველსა, რაიცა იამება ხორციელსა, დაცემულსა ჩვენსა ბუნებასა, და ვიდოდეთ შემდგომად ძრისტესა, ესე იგი, ვითარცა მან განატარა ცხოვრება თვისი დიდსა შრომასა და აურაცხველსა მოღვაწეობასა შინა, ეგრეცა ჩვენც ვცდილობდეთ, რომ ცხოვრება ჩვენი განვატაროთ შრომითა, მოღვაწეობითა და მოთმინებითა.

ასეთუ რომელსა უნდეს სულისა თვისისა განრინება, წარიწყმიდას იგი, და რომელმან წარიწყმიდას სული თვისი ჩემთვის, გინა სახურისათვის, მან აფხოვნოს იგი. (შარკ. 8, 35). ამ სიტყვებში უფალი იესო ძრისტე ახსნის და განავრცელებს იმავე აზრსა, რომელიც წარმოსთქვა წინამავალსა მუხლსა შინა. აქ უფალი გვასწავლის ჩვენ, რომ, თუ ვინმემ თავი თვისი დაზოგა შრომისა და მოღვაწეობისაგან, თუ ვინმე ამ ქვეყანაზედ დაემალა ყოველსა ღვაწლსა, ჭირსა და განსაცდელსა, და ნაცვლად შრომისა და მოღვაწეობისა, იწყო ძებნა ლხინისა და განცხრომისა, იგი წარსწყმედს სულისა თვისისა. რა სახით? მით, რომელ იგი არა თუ მომავალსა საუკუნესა დაკარგავს, არამედ აქაც გააფუჭებს და წარწყმედს თავის სულისა, ვინაიდან ამ ქვეყანა-შიაც შრომა და მოღვაწეობა გაამტკიცებს და გაანათლებს კაცის სულისა, გარნა სიზარმაცე და განცხრომა - წაახდენს. ქაცი, რომელი არ ზოგავს აქ თავის თავს, არ ემალება შრომასა და მოღვაწეობასა, არ მოეფერება თვის დაცემულ ბუნებასა, არამედ წარწყმედს, ესე იგი დასთრგუნავს, მოსპობს ხორციელსა ზრახვასა და გემოვნებასა, იგი ამით აცხონებს სულისა თვისისა.

რა საჟგებელ არს კაცისა, უკეთუ შეიძინოს სოფელი ესე უოგელი, და სული თვისი იზღვის? ანუ რა მასჭტეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა. (8, 36—37). ქაცის ბუნებაში სული არის ხორცზედ უმთავრესი, მაშასადამე სულისათვის უმეტესად უნდა იზრუნოს კაცმან. უმჯობესია მოითმინოს მან ყოველი ჭირი, და სული თვისი დაიცვას. რა სარგებელი ექმნება, რომ კაცმა ერთის წუთის ნუგეშისათვის, დაღუპოს თვისი სული. ცოდვილი კაცის თვისება სწორედ ის არის, რომ იგი, ერთი წუთის კმაყოფილებისათვის, თავის საუკუნო ბედნიერებას შესწარავს. იგი თავის სულს აზღვევს ერთი უბრალო სოფლის გემოვნებისა-
15

თვის. ამ ცუდი ჩვეულებისაგან გვაფრთხილებს შფალი, როდესაც იტყვის: რა მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა.

რამეთუ რომელსა იგი სირცხვილ-უჩნდეს ჩემი და სიტუათა ჩემთა, ნათესავსა ამას შემრუშესა და ცოდნილსა, ქემანცა კაცისაშან არცხვინოს მას, რაჯაშს მოვიდეს დადებითა მაშისა თვისისათა ანგელზთა თანა წმიდათა— (8, 38). მს სიტყვები ერთი მხრით გააკვირვებენ გონებასა კაცისასა. ნუ თუ შესაძლებელია, რომ ისეთი კაცი იყოს ქვეყანაზედ, რომელსა სასირცხოდ უჩნდეს, ესე იგი შერცხვეს იესო შრისტესი და მისისა სწავლისა? არა ყოფილა ჯერედ ქვეყანაზედ მაზედ უმჯობესი არსება; არ არის და არ შეიძლება, რომ იყოს მის სახარებაზედ უღრმესი, უბრძნესი, უტკბილესი სწავლა და დარიგება. ამას ესრედ აღიარებენ თვით უპირველესნი ფილოსოფოსნი. ზოგნი მათგანნი თუმცა არ დაემორჩილენ მისისა სახარებასა, გარნა, მაინც აღიარებდენ, რომ მაზედ უმჯობესსა სწავლასა კაცი ვერ წარმოიდგენსო, ვერც გამოსთქვამსო. მაშასადამე, როგორდა შეიძლება, რომ ვისმეს შერცხვეს მისი სახელისა და მისი სწავლისა? მს შესაძლებელია, ძმაო, იმ კაცისათვის, რომელიც ამ სიცოცხლეში ეძიებს ნუგეშსა და კმაყოფილებასა, და არა ჰსურს იესო შრისტეს ჯვარის აღება და შედგომა, მისდა სვლა. ხშირად იტყვის სოფლის მოყვარე და ცოდვის მოყვარე კაცი: წუთი სოფელიაო; გავიხარებ და ვინუგეშებ, მინემ ცოცხალი ვარ, მოვკვდები - რა ვიცი რა დამემართებაო. მსრეთსა კაცსა სცხვენია იესო შრისტეს სიმდაბლისა, მისი ჯვარის აღება მას ეზარება.

ასე მძიმედ და ორმად უნდა უყურებდე შენ, ძმაო ქრისტიანე, შენსა სიცოცხლესა და მოქალაქეობასა. მსრეთითა შრომითა და მოწიწებითა უნდა აღსრულებდე შენსა მოვალეობასა. საცოდავი არის ის კაცი, რომელსაც ჰსურს ამ სიცოცხლის გატარება ხუმრობაში, სიცილში და თავის შექცევაში. იგი უსარგებლოდ ამძიმებს დედა მიწასა.

მაგრამ იმასაც ნუ იფიქრებ, ძმაო, რომელ ჭეშმარიტი მოლვაწე ქრისტიანე კაცი ყოველთვის მოწყენილი და გამწარებული უნდა იყოს, და უცხო ყოვლისა ნუგეშისა, არც უნდა იცნობდეს სიხარულსა და მხიარულებასა. წინააღმდეგ ამისა წმიდა მოციქული პავლე მისწერს ძოლასელთა: გიხართ-

დენ და გვალად გატეგი, გიხართდენ, ესე იგი ქრისტიანე კაცს ყოველთვის უნდა უხაროდეს. მართლა, ჭეშმარიტი, წმინდა, წრფელი სიხარული მხოლოდ იმ კაცს აქვს გულში, რომელიც არის ჭეშმარიტი ქრისტიანე. სოფლის მოყვარე, ცოდვის მოურიდებელი კაცის სიხარული ყოველთვის არის ყალბი, ხელოვნებითი და ძალადი: ცოდვილი კაცი გამხიარულდება ხან ღვინის სმით, ხან რომელიმე სხვა ცოდვის აღსრულებით. ზაილვიძა მთვრალმან: თავი სტკივა, ცუდ გუნებაზედ არის, სცხვენია; გაათავა სხვა ცოდვა რომელიმე, სინიდისი პქენჯნის, სცხვენია. და ესრედ, ჭეშმარიტი, წმინდა და გამაცოცხლებელი სიხარული და მხიარულება არის ნაყოფი შრომისა და მოლვაწეობისა; ხოლო სიხარული ცოდვის მოყვარისა არის ყალბი და წუთი. პირველი წარმომდინარეობს კეთილისა სინიდისისაგან, განწმენდილი აზრისაგან; ხოლო მეორე—რომელიმე ცოდვისაგან, და ცოდვის სიამოვნება კი წუთია, და მერმე გამამწარებელი. მნა კაცისა ვერ გამოსთქვამს იმ სიხარულსა, ნეტარებასა და ნუგეშს, რომელსა ხშირად პგრძნობდენ მრავალნი წმიდანი კაცნი, რომელიც მოგვცეს ჩვენ ყოველი ღმერთმან. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

ოცდამეექვსესა პვირიატესა ზედა.

ნუ დაითვრებით ღვინითა, რომლითა არს სიბილწე; არამედ აღივსენით სულითა. მტყოდეთ თავთა თვისთა ფსალმუნითა და გალობითა, და შესხმითა სულიერითა, უგალობდით და აქებდით გულითა თქვენითა შფალსა (ვფეს. 5. 18—19).

ამ სახედ გვასწავლის, ძმანო ქრისტიანენო, წმიდა მოციქული პავლე დღეს წაკითხულსა სამოციქულოსა შინა. ფრი-

ად საჭირო არის, ყოველ დღე, ყოველი კაცისათვის, ახსოვდეს ეს დარიგება, ამისთვის, რომელ ამ სიტყვებში მოციქული პავლე აგვიხსნის ჩვენ, რა ნუგეში, ანუ რა ნაირი შექცევა არის კანონიერი და სასარგებლო ქრისტიანე კაცისათვის, ანუ რომელი შექცევით და კმაყოფილებით უნდა ატარებდეს კაცი ქრისტიანე თავისუფალ დროებას, როდესაც შრომიდგან უნდა მოსვენება.

ვიცით ჩვენ ყოველთა, რა სახით უყვარს კაცს ლხინი, მხიარულად დროების გატარება. თვით ბუნება კაცისა ელტვის ანუ ეძიებს ნუგეშსა და კმაყოფილებასა. შრომასა, მოღვაწეობას კაცი თითქმის ძალდატანებით ასრულებს, ხოლო ლხინსა, განცხრომასა — თავის ნებით და მხიარულებით. მსეც ვიცით ყოველთა, რომელ ქვეყანაზე ათასი არის სხვა და სხვა ნაირი ლხინი და შექცევანი, დროების გატარება, და თითოეულსა კაცსა ერთი რომელიმე მათგანი სხვაზე მომეტებულად უყვარს. მაგრამ არის ერთი ხორციელი ნუგეში, ანუ სიამოვნება, რომელი თითქმის ყოველს ადამიანს უყვარს. მს არის მომეტებული ღვინის სმა. ვგონებ, ძნელად იპოება ქვეყანაზე ისეთი კაცი, რომელსა არ მოსწონდეს მომეტებულის ღვინის სმა და მით გამხიარულება. დიდი ძალა და გავლენა აქვს ღვინოს ბუნებასა ზედა კაცისასა. ამისთვისაც წმიდა მოციქული პავლე აღგვიკრძალავს მთვრალობას, და იქავე მოიყვანს მიზეზსა: ნუ დაითვრებით ღვინითა, რომლითა არს სიბილწე. თუმცა, გარდა ბილწებისა, სხვანიცა მრავალნი ვნებანი და ცოდვანი შეუდგებიან მთვრალობასა, მაგალითებრ, ერთი უსაძაგლესი ვნება, რომელიც მთვრალობისაგან წარმოსდგება, ის არის, რომ იგი ერთ ხანს კაცს პირუტყად გაჰქდის, ჭკუას დაუბნელებს, ენას დაუბამს; მაგრამ სუყველაზე უცუდესი თვისება მთვრალობისა ის არის, რომ მთვრალობას და ბილწებას აქვს განუწყვეტელი კავშირი. მაშასადამე, მოერიდე, ძმაო ჩემო, ვისაც გესმის ესა, სიხარბით ღვინის სმასა. პრა თუ არ უნდა დასთრვე, მომეტებულიც არ უნდა დალიო. არ დაგიშლის წმიდა მოციქული პავლე სრულიად ღვინის სმას, არამედ დაგიშლის მთვრალობას. თვითონ მან მისცა ნება და კიდეც უბრძანა საყვარელსა მოწაფესა თვისსა ტიმოთეს, რომელი დააყენა კვიპრეს, მწყემსთ-

მთავრად, მცირე ღვინის სმა სტომაქისათვის და სიმთელისა-თვის.

ნაცვლად ღვინის სმით შექცევისა და ლხინისა, წმიდა მოციქული პავლე გვასწავლის ჩვენ სხვა ნაირს სიამოვნებასა და შექცევასა. ნუ დაითრგებით ღვინითა... არამედ აღიგსენდო სულითა. ეტეოდეთ თაგთა თვისთა ფსიაზმუნითა, და გალობითა, და შესხმითა სულიერითა, უგალობდით და აქებდით გულითა თქვენითა უფალსა. იცოდა წმიდამან მოციქულმან, რომ სუსტი კაცის ბუნება ვერ გასძლებს სრულიად უნუგეშოდ და შეუქცევრად, ამისათვის გვაჩვენა ჩვენ საშუალება, რით უნდა შევიქცევდეთ თავსა და მოვიპოვებდეთ მხიარულებასა. ზალობა ძლიერ გაამხიარულებს ყოველსა კაცსა. რაც უნდა მოწყენილი და მწუხარე იყოს კაცი, ტკბილი ხმით გალობა დაავიწყებს მას მისსა მწუხარებასა. მაგრამ წმიდა მოციქული პავლე წინადაგვიდებს ჩვენ სულიერსა გალობასა და ქებასა ღვთისასა, მისთვის, რომ ესრეთი გალობა კიდეც გაამხიარულებს კაცსა და კიდეც აღა-შენებს სულისა მისსა, მაშინ, როდესაც ხორციელი, სოფლიური გალობა, ანუ სიმღერა, ხშირად აღელვებს ვნებათა კაცისათა და მისცემს ცუდსა ზნეობასა.

ჩვენთა ძველთა წინაპართა ერთი კარგი ჩვეულება ჰქონდა, ძმანო ქრისტიანენო, მათ უყვარდა თავის შექცევა და ლხინი სუფრაზე სწორედ იმ სახით, როგორათაც გვასწავლის ჩვენ წმიდა მოციქული პავლე. სუფრაზე დაჯდომილნი, იგინი დიდ-დხანს ნუგეშობდენ ძილის პირების, ფსალმუნების და სხვა საეკლესიო გალობის წარმოთქმით. მაშინ თითქმის ყოველმა კაცმა კარგად იცოდა საეკლესიო გალობა. ახლა კი, სამწუხაროდ. თან-და-თან ჰქრება ეს დიალ პატიოსანი ჩვეულება, და ნაცვლად ამისა შემოდის სხვანაირი დროების გატარება და თავის შექცევა, რომელიც, სამწუხაროდ, ძლიერ ჰშორავს იმ ძველ ჩვეულებისაგან პატიოსნებითა და სულიერი სარგებლობითა. მეტადრე ფრიად დასაწუნებელი და გასამტყუნებელია ერთი, სხვაზე მომეტებულად გავრცელებული, თავის შექცევა საზოგადოებასა შინა—ქალალდის თამაშობა. თუმცა ამაზე მეორჯერ, ანუ სამჯერ მითქვამს, მოვალეობისა-მებრ ჩემისა, გარნა კიდევ გარიგებ და გირჩევ, ძმაო ჩემო, ვისაც ეს ჩვეუ-

ლება გაქვს, დასტოვე იგი, რადგანაც არის მავნებელი სულიერადაც და ხორციელადაც. სულიერად იმ სახით, რომელ, როდესაც კაცი ქალალდს თამაშობს, მაშინ მის სულში აღიძვრებიან და განმტკიცდებიან მრავალნი ცუდნი ვნებანი: სიხარბე, ჯავრი, სიძულილი, ჩხები; ხორციელად ასე, რომ კაცი დიდხანს მჯდომარე ერთს ადგილს, გაფუჭებულის ჰაერის დიდხანს მსუნთქავი, წააგებს სიმრთელესა და მოიგებს სნეულებასა. ამისთანა თავის შექცევასა კიდევ სჯობია ის მეორე, ძველი თავის შექცევა, რომელი უყვარდა ჩვენთა წინაპართანადირობა. ნადირობაში სიმრთელეს არ ასუსტებს კაცი, არამედ გაამაგრებს, ხოლო სიმრთელე არის ერთი დიდი ლვთის ნიჭი, და დიალ საჭირო არის მისი დაცვა.

გარნა, ძმაო ჩემო, თუ გსურს, რომ თან-და-თან უმჯობესობაში და სულიერობაში შეხვიდე, თუ გსურს, რომ ბოლოს შეიქმნა კეშმარიტი სათნო ქრისტიანე, ეცადე, რომ შენი ლხინი და ნუგეში იყოს ლვთის ვედრება, წირვა ლოცვის მოსმენა ეკკლისიაში. დავით წინასწარმეტყველი იტყვის: განგიხარე მე, რომელთა მჟღვეს სახლისა უფლისასა წარვიდეთ. გამიხარდაო, როდესაც მითხრეს საყდარში წავიდეთო. გაგიხარდეს შენცა, როდესაც გაიგონებ ზარის ხმას. თუ მწუხარება რამე გეწია, თუ გული მოწყენილი გაქვს—ილოცე, თუ მოლხენილი ხარ—იგალობება. სჭირდეს თუ გინმეს თქვენგანსა, — გვასწავლის წმიდა მოციქული იაკობი,— იღაცევდი; მოღხინე თუ გინმე ას— ჰგალობდინ. აპა, ქრისტიანული ნუგეში და ლხინი! გაისოვნე, რა დაგემართა შენ და რა მდგომარეობაში ჰყოფილხარ, თუ, საუბედუროდ, დასთვერი, მეორე დღეს: თავი გტკიოდა, გული გერეოდა, გრცხვენოდა კაცის შეხედვისა, მოწყენილი იყავ და ყოველიფერი გეძაგებოდა. ამ სახით თავდება ყოველი უგნური და უწმინდური ლხინი. არა ესრეთია სულიერი ლხინი და ნუგეში; თუ საყდარში ტკბილად ილოცე, თუ კეთილი საქმე რაიმე აღასრულე, თუ სულიერი ტკბილი გალობით გამხდარულდი, მაშინ გამხნევდები, გასცოცხლდები, გული დამშვიდებული გაქვს, ყოველი კაცის სიყვარულსა ჰგრძნობ.

ნუ დაითვრებით დგინდთა, არამედ აღიგსენით სულიერი. ამინ.

ოცდამეექვსესა კვირიაკესა ზედა.

ნუ დაითვრებით ღვიწითა. რომლითა
არს სიბილწე; არამედ ალიგსენით სულითა
(მფესელთა 5, 18).

შოველთა შორის ფრიად საჭიროთა და სასარგებლოთა
დარიგებათა, რომელიც მოვცა დღეს წმიდა მოციქულმა პავ-
ლემ, უსაჭიროესი, მეტადრე ჩვენი დროებისათვის, არის ეს:
ნუ დათვეჯებთ დგინდთა, რომლითა, ასე სიბილწე; არამედ ადგივენით
სულითა.

საუბედუროდ, სიმთვრალე ყოველთვის და ყოველთა ხა-
ლხთა შორის იყო; გარნა აწ, ამ ჩვენს დროებაში, იგი გავრცელ-
და და ვრცელდება მომეტებულად. ძვირად იპოვება აწინ-
დელთა ქრისტიანეთა შორის კაცი, რომელი არ ემორჩილე-
ბოდეს ღვინოსა და არაოდეს არ დათვრებოდეს. საკვირველი
და სამწუხარო ის არის, რომ შორის განათლებულთა პირთა მე-
მთვრალენი არიან არა ნაკლებად, არამედ მომეტებულნი. სიმ-
თვრალე წარლვნასავით გავრცელდა მეროპაში და რუსეთში.
იგი ჰრისტიანის, ღუპავს, აღარიბებს ურიცხვთა პირთა და ოჯა-
ხობათა. მართლად, საუბედუროდ, ამ ჩვენ საუკუნეში სხვანიცა
ცოდვანი და ვნებანი გამრავლდენ ქრისტიანეთა შორის, გარ-
ნა უმეტესად ყოველთა—სიმთვრალე. ღვინოს ემორჩილებიან
არა მარტო უბრალონი, უსწავლელნი კაცნი, არამედ, ვითარ-
ცა ზემოდ ჯსთქვით, სწავლულნი და განათლებულნი არა ნაკ-
ლებად; არა თუ ლარიბის და დაბალის ხარისხისა, არამედ
უმაღლესთა ხარისხთა შინა მყოფნი, მდედრობითი სქესიც ღვი-
ნის მოყვარენი შეიქნენ, თანასწორ ყრმანი და მოხუცებულნი-
ცა. ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი მამა და პაპების დროს თითქმის
არ იცოდენ სიმთვრალე. მათ უყვარდათ მოლხენა, გამხიარუ-

ლება, გარნა საკუთრად სიმთვრალე ძვირად იპოვება მათ შორის, მეტადრე, ჯერაოდეს ვერ დაინახავდა კაცი უგრძნობელად მთვრალსა და ქუჩაზე, ანუ გზაზე მდებარესა მკვდარივით. ახლა კი, სამწუხაროდ და სატირლად, სულ სხვა არის. სიმთვრალე მოედვა ჩვენს ქვეყანას, და რაოდენი ვნება არის ჩვენ ქვეყანაში სიმთვრალისა გამო, ამას ვინდა აღწერს და ვინ წარმოიდგენს.

ამათ ყოველთა ზემოთ თქმულთაგან ცხადად სჩანს, რა ზომად საჭირო არის, რომ არ დავივიწყოთ დარიგება: ნუ დათვალებით ღვენითა, რომლითაცა არ სიბილჲე. საღმრთო შერილი ზარმაცს კაცს გაპგზავნის ჭიანჭველთან, რომ მისგან ისწავლოს. შრომის მოყვარეობა, ხოლო მემთვრალე უნდა გავგზავნოთ ძროხასთან და ცხენთან და სხვა პირტყვებიან, რომ იმათგან ისწავლოს ზომიერად მიღება სასმელისა. პირუტყვი უზომოდ და უდროვოთ წყალსაც არ დალევს; მემთვრალეს კი არც ზომა აქვს და არც დრო, დანიშნული ღვინის სმაში. როდესაც წმიდა ეკლესიას სურს გაღვიძება და დარიგება ცოდვილისა კაცისა, მაშინ იგი წარმოუდგენს მას მაგალითად ფფლისა იესო ქრისტეს და წმიდათა კაცთა ცხოვრებას; გარნა, როდესაც დაგვჭირდება დარიგება კაცისა მემთვრალესი, მაშინ პირუტყვები უნდა წარმოუდგინოთ მაგალათად. ამაზე უდიდესი განკიცხვა კაცის ბუნებისა რაღა იქნება! თუ კი კაცს ცოტაოდენი ჭკუა და სინიდისი აქვს, მან რათ უნდა ქმნას იმისთანა საქმე, რომელიც მას ჩააგდებს სირცხვილში და განკიცხვაში. მთვრალობა არის დიდად შემარცხევენელი ცოდვა. შურდენი და ღვინო ღმერთმა გააჩინა და მოგვცა, რომ ვიხმაროთ იგი ჩვენდა სასარგებლოთ და სასიამოვნოდ. ვინც ზომიერად ხმარობს ღვინოს, მისთვის იგი არის ღვთის ნიჭი და წყალობა, ვინც უზომოდ მიგჩია მის ხმარებას, ვინც დაემორჩილა მას ისე, რომ ვნებად ვარდაეჭცა ღვინის სმა, ერთი სიტვით, შეიქმნა მემთვრალე, მას დაეკარგა კაცის ღირსება და მან დაიმსახურა მოძაგება და განკიცხვა ყოველთა კაცთაგან. სიმთვრალე ამდაბბლებს კაცის ბუნებას. ღმერთმა კაცს მისცა უმთავრესნი: და უმშვენიერესნი ნიჭი: ჭკუა, თავისუფლება, ზნეობითი გრძნობა, რომელნიც კაცს გაასწორებენ ანგელოსთათანა და შეადა-

რებენ ლვთაებასთანა; გარნა სიმთვრალე დააბნელებს ჭკუას, წაართმევს თავისუფლებას, დაამგზავსებს პირუტყვს, ერთი სიტყვით, წაართმევს მას კაცობრივს ბუნებას. მამათა შორის დიდი გასილი იტყვის მემთვრალეთა ზედა: „მემთვრალე არ არის ღირსი იცხოვროს საზოგადოებაში; იგი უნდა დააყენონ და სცხოვრებდეს პირუტყვთა შორის“. შეიძლება და ხშირადაც მოხდება, რომ მემთვრალე კაცს აქვს ზოგიერთნი კეთილნი თვისებანი, გარნა იგინი არიან დამდაბლებულნი ერთითა ამით მისითა საშინელითა ვნებითა.

აქამომდე ჩვენ ვსთკვით იმ სულიერთა ვნებათა ზედა, რომელთა შინა კაცი მემთვრალე ჩავარდება; გარნა ხორციელადაც სიმთვრალე ჰდუპავს კაცს. იგი უეჭველად კაცს მოაკლებს სიმრთელესა. მართალია, მემთვრალე თავიდგანავე ვერ შეატყობს, რა ზომად აფუჭებს ღვინო მის სხეულს და სიმრთელეს, გარნა ბოლოს მით უმეტესად შეიტყობს ამას. უზომოდ მიღება, მეტადრე მაგართა სასმელთა, ცოტ-ცოტად გაუფუჭებს სისხლს, წაუხდენს ძარღვებს, აუნთებს ფილტვებს, რომლისაგან ხშირადუცებად შეემთხვევა მას სიკვდილი.

სიმთვრალე დააღარიბებს კაცს. მთვრალს კაცს ეზარება მუშაობა, ვეღარ მოპრთავს თავის სახლკარს, ყოველიფერი გარემოს მისსა წახდება და გაფუჭდება. როგორც მისი საკუთარი სხეული, ისრე ყოველი მისი მონაგები ილევა, ფუჭდება მისი სიმთვრალითა. ბარნა უმთავრესი ვნება, რომელიც წარმოსიდგება სიმთვრალისაგან, არის სიბილწე, ესე იგი მრუშება, არა-წმინდება.. ლვინისაგან აღულებული სისხლი და ფილტვი კაცისა, ვეღარ მოათმენინებს, შთააგდებს არა-წმინდებასა შინა.

მაშასაღამე, სიმთვრალე ამ ქვეყანასაც დაპლუპავს კაცს, მით, რომ სიცოცხლეს შეუმოკლებს, და იმ ქვეყნის ცხონებასაც მოაკლებს. თქმულ არს საღმრთო შერილში: მემთვრალეთა საუკუნო ცხოვრება ვერ დაიმგვიდროს.

გეშინოდეს, ძმაო, სიმთვრალისა, ნუ შეიქმნები მონა ღვინისა; შენ, იქნება, ყოველ დღე არ სთვრები, მაგრამ წელიწალში ერთჯელ, ან ორჯელ მიუშვებ შენს თავს უზომო ღვინის სმასა.. ბაფრთხილდი! ვინ იცის, იქნება იმ ერთი დღის სიმთვ-

რალემ დაგლუბოს შენ სრულიად. მეტადრე დანაშაული არიან ჩვენს ქვეყანაში იგინი, რომელი, ნაცვლად ჩვენი ბუნებითი ღვინისა, ეჩვევიან სხვათა მაგართა სასმელთა. ისინი უარესად და უსაშინლესად ჩავარდებიან ყოველთა მათ ვნებათა და უბედურებათა შინა, რომელთა ზედა ზემოდ ვსოჭვით. ჩვენ ფიცხელ და მხურვალე ქვეყანაში არაოდეს არ უნდა იხმაროს კაცმა არაყი, თუ მცირე ჭიუა მაინც დაურჩა მას.

ნაცვლად ღვინისა, წმინდა მოციქული პავლე გვირჩევს ჩვენ: აღივსენთ სულითა, ეტეოდეთ თავთა თქმენთა ფსალმუნითა და გალობითა სულიერითა. რაი არს აღვსება სულითა? ამაზე მე ვრცლად გეტყვი მერმე ოდესმე, თუ ღმერთმა ინება და მაცალა, ხოლო აწ მოკლედ გეტყვი: აღვსება სულითა ის არის, როდესაც კაცი ნუგეშობს სულიერითა ნუგეშითა, საღმრთო წერილის კითხვითა, სულიერის გალობის წარმოთქმითა, წმიდა მამების ცხოვრების შეტყობითა და სხვითა ამის მსგავსითა დროების გატარებითა. ინებოს შფალმან ღმერთმან და მაცხოვარმან ჩვენმან იესო შრისტემან, რომ, ნაცვლად ღვინის სმისა, ვეჩვეოდეთ და ვნუგეშობდეთ სულის წმინდის მაღლითა. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

ოცდამეექვსესა კვირიაპესა ზედა.

სულო! გაქს მრავალი კეთილი, დაუნ-
ჯებული მრავალთა წელთა; განისვე-
ნე, სჭამე და ჰსფი, და იხარებდე. (ლუა
12, 19).

დღეს წაკითხულისა სახარებისაგან იგავითა, შფალი ჩვე-
ნი იესო შრისტე გვაფოხილებს ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო,
უგუნურისა თავმოყვარეობისა, ანუ თავხედობისაგან. მდიდარი
იგი კაცი აღწერილი ამ იგავში, არის სახე, ანუ მაგალითი უჭ-

კუო თავის შეყვარებისა. როდესაც მას მოუვიდა მრავალი მოსავალი, და, ესრედ, უწინდელსა სიმდიდრესა ზედა მიემატა ახალი სიმდიდრე, ნაცვლად მისა, რომ ღმერთს მაღლობა შესწიროს და აღუთქვას გულში სიმდიდრისა მისისა მოხმარება კეთილთა საქმეთათვის, იგი მარტო თავის თავზე ჰქონდებს, თავის სიამოვნებას და განსვენებას ეძიებს. სულ! გაქვს მრავალდ გეთილი, დაუნჯებული მრავალთა წელთა, განისვენე, სჭაპე, ჰქონდე და იხარე. აპა, რისთვის გაუხარდა მას სიმდიდრის მომატება! აპა, რა ბეღნიერებას ეძიებდა იგი! სჩანს, რომ მის გულში, თვინიერ სულელურისა თავისმოყვარეობისა, სხვა არც ერთი კეთილი გრძნობა და აზრი არ იყო.

მართალია, ძმანო ჩემნო, არ შეიძლება კაცს თავი არ უყვარდეს, თავის სიკეთეს არ ჰქონდებდეს და არ ჰქონდეს. თვით ბუნებიდგანვე დანერგილი აქვს კაცს გულში თავისმოყვარეობა. მაგრამ, როგორათაც სხვანი ყოველნი კაცის თვისებანი და ნიჭნი, მზგავსადვე ეს თვისებაც, ესე იგი თავისმოყვარეობა, უნდა იყოს განათლებული, ამაღლებული შრისტეს სწავლითა და მცნებითა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგიცა მიიღებს ცუდსა, მავნებელსა მიმართულებასა. განათლებული, ქრისტიანული თავისმოყვარეობა დიალ უნდა ჰქონდეს კაცს, და იგი კეთილიც, პატიოსანიც და ქვეყნისათვის სასარგებლოც იქნება, გარნა უგუნური თავხედობა, არის სულის წარმწყმედელი და ქვეყნისათვის მავნებელი. აღვწეროთ აწ და შევიტყოთ, რომელი თავისმოყვარეობა არის კანონიერი და კეთილი, და რომელი ცუდი და მავნებელი.

უმდაბლესი და სუყველაზე უარესი თავისმოყვარეობა, როგორც ვსთქვით, ჰქონდა იმ მდიდარს, რომელი აღწერილ არს დღევანდელს წაკითხულს იგავში. მას უყვარდა თვისი მუცელი, ჭამა, სმა, ლხინი. მს იყო მისი ბეღნიერება! მსეთნი პირნი დაემსგავსებიან პირუტყვთა უგუნურთა. იგინი არა თუ უსარგებლო არიან ქვეყნისათვის, არამედ ფრიად მავნებელნიცა. მათ გულში დათრგუნვილია ყოველი კეთილშობილი კაცობრივი თვისება. თუ მდიდარი კაცი ჰქონდებს, რომ სიმდიდრე მას ღმერთმან მისუა ჭამისა, სმისა და ლხინისათვის, რაღა. იქნება ამაზე მომეტებული უგუნურება. მაგრამ, საჭირო არ

არის გავაგრძელოთ სიტყვა ესრეთთა პირთა ზედა, რადგანაც უმისოდაც ადვილად სჩანს, რა საძაგელი არის ესრეთი თავის-მოყვარეობა.

მეორე სახე თავისმოყვარეობისა მდგომარეობს მას შინა, რომ კაცს უყვარს პატივი, თავის განსხვავება, თავის გამოჩენა საზოგადოებაში, უყვარს, როდესაც მისი სახელი განთქმული არის, მის სიტყვას გავლენა აქვს. რა უნდა ვსთქვათ ესრეთსა თავისმოყვარეობასა ზედა. Ու, რომელ ზნეობითი მნიშვნელობა ესრეთის პატივის-მოყვარეობისა, დამოკიდებული არის მას ზედა, თუ რისთვის უყვარს კაცს პატივი, და რა საქმისთვის ხმარობს პატივსა? პატივის-მოყვარეობა, თავის გამოჩენა სარწმუნოებაში, შეიქმნება სასარგებლო და კანონიერი, პირველად მაშინ, როდესაც კაცი პატივსა ეძიებს და მიიღებს პატიოსნითა საშუალებითა, მეორედ მაშინ, როდესაც იგი პატივსა ხმარობს არა მხოლოდ თავისათვის, არამედ უფრო ქვეყნის სასარგებლოდ.

ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, საზოგადოდ Ոմբერეთში მცხოვრებნი, საკვირველად პატივის-მოყვარენი და მეძიებელნი ვართ. Ցიწყოთ თვით უკანასკნელისა და ულარიბესისა გლეხისაგან, ვიდრე უპირველეს თავადის შვილადმდე. Ույ არაფერი არ ასიამოვნებს აქაურსა კაცსა, როგორც პატივი. მაგრამ, რა პატივს ვეძიებთ ჩვენ, და რა საშუალებით, და რისთვის? როდესაც ამაზე კარგად ვითიქრებთ, დიდი მწუხარება გაჩნდება ჩვენს გულში. პატივი და გავლენა საზოგადოებაში კარგი არის მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მიეცემა კაცს მართლა ღირსას, მინიჭებულსა ჭკუითადა სათნოებითა, რომელსა შეუძლიან ქვეყანას სარგებლობა მისცეს. ჩვენში კი სხვანაირად მიდის საქმე. ქეთილი და სასარგებლო ის არის, როდესაც თვით პატივი ეძიებს კაცსა, და არა კაცი—პატივსა. ჩვენში კი სრულიად უკულმა მიდის საქმე! სათნოებითა, ჭკუითა და ქვეყნის სარგებლობითა არავინ არ ჰფიქრობს და არ ეძიებს თავის გამოჩენას, ათასში ერთს არ შეუძლიან აქ, რომ მართლა თვისი ღირსებით მიიღორს პატივი. ვარნა, რადგანაც პატივის წყურვილი დიდი აქვსთ გულში, ცდილობენ, რომ გამოიტანონ ჯვრები, ჩინი და ჯილდონი მთავრობისაგან, და მით გამოიჩინონ თავი და

მიიღონ პატივი. რავის თავს და თავის ქონებას არ დაჲზოგავს აქაური კაცი, ესრეთი პატივის მიღებისათვის *). რა ამბავი მოხდა აქ, ამ ჩვენს ქალაქში, მცირე უამის წინედ, ესრეთი პატივის მოყვარეობისა გამო, რაოდენი შფოთი, შური, სიძულილი, ჩივილი, დავა, დამდურება, მტერობა,—ამის აღწერა თითქმის არ შეუძლიან კაცს. რამდენიც გასაკირვებელი ამბავი მაშინ ისმოდა, თუ იმისი მეასედი მანცარის მართალი, სწორედ ტირილის ღირსი არის ჩვენი ამაოება. თა იყო ამდენი შფოთის და ამბოხის ღირსი? ნუ თუ ერთი მტკაველი სირმა, რომელსა დააკერებენ მხრებზე, ღირს იმად, რომ კაცმა თავისი მამული დახარჯოს, ან სასოწარკვეთილებაში შთავარდეს? ძარგი! ვსოდეთ იშოვნე ბოლოს, რასაც ამოდენის ამბოხით და ჭირით ეძიებდი, ჰოი საცოდაო, ამაოებით აღვსებულო კაცო! აწ მითხარ, რა მოგემატა? ჭკუა მოგემატა? სათნოება და ზნეობა გაგიკეთდა? ტანის სიმრთელე მოგემატა? სრულიად არც ერთი მათგანი არ მოგმატებია! მოგმატებია კი არა, იქნება, ზოგი მათგანი მოგაკლდა, ვინაიდგან პატივის ძიება ხშირად ზნეობას გაუფუჭებს და მრავალ ხარჯსაც მოითხოვს. მაშასადამე, რათ იკლავდი თავს, რათ წააგე ნახევარი შენი საცხოვრებელი, რათ აღავსე სული შენი შფოთითა და ამბოხითა? თუ შენ არ მიპასუხებ, მე გეტყვი ამის პასუხს. მსე ყოველი მისთვის მოახდინე, რომ შენ ჯერეთაც, თუმცა ასაკით მოჰქონდი, ჭკუითა და ხასიათით ხარ რეგვენი; აგრეთვე გარემოს შენსა შენნი ყოველნი მოყვასნი, თუ გინდ დაბერებულნიც იყვნენ. ასაკითა, არიან რეგვენნი ჭკუითა და ზნეობითა. რეგვენთა თვისება არის შეყვარება რომელთამე ბრწყინვალეთა ნივთთა, რომლითა იგინი თამაშობენ. შენც იმ სახით გყვარებია ჩინი და ჯილდო. ვინ ამბობს! მსენიც კარგია და საჭირო, როდესაც იგინი იქნებიან ნიშანნი ჭეშმარიტისა სამსახურისა და ღირსებისა; გარნა, როდესაც კაცი მათ ეძიებს და იზიდავს რეგვენული თავის მოსაწინად, მაშინ იგი შეიქმნება ერთი მხოლოდ ამაოება. ღმერთო, ზეციერო! ვის შეუძლია გაჲზომოს ჩვენი ამაოება.. სისაწყლე, რეგვენობა? ნაცვლად მისა,

*, მს იყო ნეტარად მიცვალებულის ი მ პ ე რ ა ტ ო რ ი ბ ლ ე ჭ ს ა ნ დ რ ე II ძუთაისს მოსვლის დროს 1871 წელს.

რომ შევიძინოთ ის, რაიცა ჰეშმარიტად სასარგებლოა და საჭირო: ჰკუა, განათლება, ცხოვრების გამოცვლა და გაუმჯობესობა, ზნეობის გაწმენდა ტალახისაგან, რომელსა შინა შთაფლული ვართ, რომ ყოველითურთ განვიწმინდნეთ, ჩვენ ვფიქრობთ დღე და ღამე მხოლოდ როგორმე ვიშოვნოთ რამე გარეგანი, განმასხვავებელი ნიშანი, რომელი მართლა ვერაფრით ვერ განასხვავებს კაცს სხვათა ცოდვილთა და ამაოთა კაცთაგან.

ბოლოს, ვსთქვათ ჰეშმარიტსა წმინდასა, ამაღლებულსა, ქრისტიანულსა თავისმოყვარეობასა ზედა. წმიდა მოციქული პავლე ერთსა თვისსა ეპისტოლესა შინა ცხადად იტყვის, რომელ მას სიკუდილი ურჩევნია, ვიდრელა თვისი პატივის გაუქმება. მაშასადამე, პატივი მასაც ჰყვარებია, თავისმოყვარე ყოფილა. მაგრამ რა ნაირ პატივზე იტყვის იგი? მს სჩანს მისგან, რომ წინაპირველად იგი აღწერს რაოდენი შრომა, ღვაწლი, მოთმინება მიიღო მან ქრისტეს სჯულისათვის, და შემდეგ იტყვის, რომელ ზოგნი ბოროტნი პირნი ცდილობენ დამდაბლებასა და გაუქმებასა ესრეთთა მისთა საქმეთა და შრომათა. აპა, რაში ეძიებდა და სთვლიდა წმიდა მოციქული პავლე თვისსა პატივსა. მისი სინიდისი და წრფელი გონება არწმუნებდა მას, რომ მან მრავალი კეთილი საქმე აღასრულა ქვეყნისათვის; ამით ნუგეშობდა იგი და ამაში სდებდა თვისსა პატივსა. მისი სინიდისი და წრფელი გონება არწმუნებდა მას, რომ მან მრავალი საქმე აღასრულა ქვეყნისათვის; ამით ნუგეშობდა იგი და ამაში სდებდა თვისსა პატივსა. აბა, რა არს, რაში მდგომარეობს წმინდა, ქრისტიანული თავის მოყვარეობა? იმაში, როდესაც კაცს ახსოვს თვისი სულიერი ღირსება, ახსოვს, რა პატივი მისცა მას ღმერთმა, როგორ აღამაღლა, რა საქმისთვის უწოდა, რა გზა უჩვენა ქვეყანაზე.

შენ, საწყალო! რისთვის არ გახსოვს, რომ შენ ისეთი პატივი მოგცა ღმერთმან, რომელზე უდიდესს კაცი ვერ წარმოიდგენს. შენ ღმერთმა შვილად აღვიყვანა, როგორც იტყვის ღვთის-მეტყველი იმანნე: რაოდენთა იქსო ქრისტე შეაწენარეს, მასცა მათ ხელმწიფება შეიღ ღმრთისა ყოფად, რომელთა სწამო სახელი მისი.

აპა. რა პატივით შეგამყო შენ ღმერთმან! ამით უნდა მოგწონდეს თავი, მაგრამ შიშით და ძრწოლით, რომ არ და- გიმცირდეს ეს პატივი. შიშით და ძრწოლით უნდა ჰზიდავდე ამ პატივს, რომ არ მოგაკლდეს, არავინ წაგართვას, არამედ დაგიმტკიცოს, დაგიმკვიდროს ღმერთმან. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა.

ოცდამეზვიდესა კვირიაპესა ზედა.

აღილეთ ყოვლად საჭურველი იგი ღმრთი- სა, რათა შეუძლოთ წინა-დადგომად დღესა მას ბოროტსა, და ყოველსაფე იქმოდეთ, რათა სდგეთ.
(მფესელთა 6, 13).

დღეს წაკითხულსა სამოციქულოსა შინა, ძმანო, მართლ- მადიდებელნო ქრისტიანენო, წმიდა მოციქული პავლე აგვი- ხსნის ჩვენ, რომ ცხოვრება ჩვენი ქვეყანასა ზედა, არის ბრძო- ლა, მოღვაწეობა, ჭიდაობა; სიცოცხლე ჩვენი გარემოცული არის მრავალთა ჭირთა და განსაცდელთა მიერ; დიდი ღონე, სიმტკიცე და თავის გამომეტება გვმართებს ჩვენ, რომ ჯეროვ- ნად და სათანადოდ გავატაროთ ჩვენი ცხოვრება. თუ თვით ღმერთი არ შეგვეწევა და არ გაგვაძლიერებს, ჩვენ არ შეგვიძ- ლია გავმაგრდეთ ბრძოლასა ამას შინა, რადგანაც ბრძოლა ჩვენი არ არის ხორცთა და სისხლთა მიმართ, ესე იგი უ- ძლურთა, სუსტთა კაცთა თანა, არამედ მთავრობათა და ხელ- მწიფებათა ამის სოფლისათა, ესე იგი საშინელთა უხილავთა და უკეთესთა სულთა მიმართ. ამისთვის, დაუმატებს წმიდა მოციქული პავლე: აღიღეთ ყოვლად საჭურველი ღმრთისა, რათა შეუძლოთ წინა-დადგომად დღესა მას ბოროტსა და ყოველსაფე იქმო- დეთ, რათა სდგეთ.

გავაჩეროთ ყურადღება ჩვენი ამ უკანასკნელ სიტყვათა ზედა დღეს წაკითხულის სამოციქულოისა. ამ სიტყვებში

წმიდა მოციქული პავლე შეგვატყობინებს ჩვენ, რომ, თუმცა
მთელი ჩვენი სიცოცხლე და ყოველნი დღენი ცოხვებისა
ჩვენისანი არიან ალსავსენი შრომითა, მოღვაწეობითა და ბრძო-
ლითა, გარნა ზოგიერთნი მათგანნი განსხვავებულად ბორო-
ტნი არიან, და ამისთანა დღეებისათვის საკუთრათ და განსხვა-
ვებულად უნდა ვიყვნეთ ჩვენ აღჭურვილი ყოვლითა ლვთის
საჭურველითა, ანუ იარაღითა. მს არიან ის ბოროტნი დღენი,
რომელთა შინა კაცს შეემთხვევა განსხვავებული რაიმე გან-
საცდელი.

რაი არს განსაცდელი? განსაცდელი არის ისრეთი გარემო-
ება, ანუ შემთხვევა, რომელსა შინა კაცმან უნებლივად უნდა
გამოიჩინოს ნამდვილნი თვისებანი სულისა მისისანი, სიმტკი-
ცე, ანუ სისუსტე მისისა სათნოებისა უღონოება მისისა სარწ-
მუნოებისა, სიმაგრე, ანუ უღონოება მისისა სათნოებისა და კე-
თილობისა. მრავალნი არიან ესრეთი შემთხვევანი და გარე-
მოებანი ცხოვრებასა შინა ყოვლისა კაცისასა, სიხარული და
მწუხარება, ბედი და უბედურება, შიში, დევნა, სნეულება,
სიკვდილი მოყვასთა და სხვა. იგინი გამოაჩენენ, რა არის ჩვენ
შორის უძლიერერესი ცოდვა, ანუ მაღლი; რას უფრო მივდევთ
და ვეძიებთ, ხორციელთა ზრახვათა, ანუ სულიერთა მოთხო-
ვნილებათა, რას უფრო ვემორჩილებით, საღმრთო სჯულსა,
ანუ სოფლის ამაოებასა? ამით გამოიცდება და გამოიხურება
ჩვენი სასოება, სარწმუნოება და მოთმინება. განსაცდელი რომ
ეწვა კაცს, მაშინ გაჩნდება მის გულში რყევა, ჭიდაობა
შორის ლვთისა და სოფლის სიყვარულისა, და რომელი
კერძო შიიზიდავს მის გულს და დაიმორჩილებს—მით გამო-
ჩნდება მისი ვინაობა. რისთვის შეემთხვევა კაცს ამისთანა-
განსაცდელი? მისთვის, რათა მან იცნას თავის თავი შეჭველია,
განსაცდელნი შეემთხვევიან კაცსა არა გარეშე ლვთის ნებისა,
არამედ ლვთის განგებით, გარნა იმისთვის კი არ აგდებს
ლმერთი განსაცდელში კაცს, რომ მას ჰსურს შეიტყოს კაცის
თვისება და სიმაგრე. ლმერთმა წინადვე იცის ყოველი კაცის
თვისება და ხასიათი, არამედ თვით კაცმა უნდა შეიტყოს, რა
ლირსება აქვს მას; ფრიად საჭირო არს, რომ ჩვენ ვიცნობდეთ
ჩვენს თავს, ვხედვიდეთ ჩვენს ღირსებას და ვიცოდეთ, რაი

არს ჩვენი ფასი. მრავალნი არიან, რომ არ იცნობენ თავის თავს; თავ-ხედობა, თავის-მოყვარეობა მრავალთა პირთა დაუ-ბნელებს ჭკუას, და შეაგონებს, ვითომც ისინი არიან საკმაოდ მღვიძარენი და გაფრთხილებულნი. მაშინ ღმერთი განგებ ჩააგდებს მათ განსაცდელსა შინა, რათა მათ იცნან თავი თვი-სი. ჩვენ ხშირად არც კი ვიცით, რითა ვართ ღვთის წინაშე დაკლებული, დანაშაული; გარნა განსაცდელი შეგვატყობინებს ჩვენ, რა გვაკლია და რაში ვართ სუსტი. შენ, ძმაო, ხშირად თავს იქებ, შენი თავი მიგაჩნია კეთილად და პატიოსნად, გარნა რით და როდის უნდა გამოჩნდეს ესა, თუ არ განსაცდე-ლში. აქ შეიტყობ შენ, რა გაკლია და რით ხარ სუსტი. მაშასადამე, განსაცდელი თუ კარგად მოიხადა კაცმა, იგი წინ წასწევს, აღამაღლებს, გასწმენდს. თითქმის გარეშე განსაცდე-ლისა არც კა შეიძლება სულიერი წარმატება. განსაცდელი აღამაღლებს აზრსა და გასწმენდს ცნობასა, გაგვისწორებს ზნეობასა, აღამაღლებს მიღრეკილებათა და სურვილთა. მინემ განსაცდელი არ ეწია კაცს, იგი დამონებულია, მედგა-რია. განსაცდელი გააბრთხილებს კაცს. ხშირად კაცს, რომელ-საც ჰსურს დაისწავლოს ცურვა, ძალად ჩააგდებენ წყალ-ში; მტევანი ყურძნისა, თუ არ გაიჭილიტა, ღვინოს არ გამოიღებს; მზგავსადვე კაცის სული, თუ არ შევიწროვდა, ვერ გამოიღებს კარგს ნაყოფს. ჰაერი თუ დიდხანს დაწყნარე-ბულია და მედგარი, ივება სხვა და სხვა ცუდი სუნითა და ხაშმითა, გარნა ქარიშხალი გასწმენდს მას. არაოდეს არ მო-ხდარა, რომ კაცი შეიქმნეს საონო და წმიდა გარეშე განსაც-დელისა.

როგორ უნდა ვიქცეოდეთ განსაცდელსა შინა? დიდის ყუ-რადღებით და გონიერებით უნდა მოვიხმარდეთ და ვისარგებ-ლებდეთ ყოველთა განსაცდელთა. თუ მრავალ გზის გეწვია განსაცდელი და არ მოიხმარე იგი, სრულიად დაიღუპები. დი-დი დაფიქრება და მოთმინება გმართებს განსაცდელსა შინა; იგი-ნი მოივლინებიან ჩვენდა გასაუმჯობესებლად. პირველი საქმე ის არის, რომ არ დაპლონდე დღესა ბოროტსა, მხნეობა არ დაჰკარგო; მეორედ, ეცადო, რომ განსაცდელი გარდაიქცეს შენდა სასარგებლოდ. დიდი ჭკუა და მხნეობა იქმნება, რომ

მწუხარებიდგან სიხარული გამოიყვანო, უბედურებიდგან გა-
მოიყვანო შენი სულისათვის სიკეთე და წარმატება; და ეს ნამ-
დვილათ მოხდება, თუ შენ არ დაპლონდები დღესა ბო-
როტსა, არამედ, აღჭურვილი საჭურველითა საღმრთოითა,
ესე იგი სასოებითა, სარწმუნოებითა,—ეცდები, რომ გაისწო-
რო ყოფაქცევა, უმჯობესი შეიქმნე, წინ წაიწიო სულიერითა
ცხოვრებითა. პიდევაც მადლობა შესწირე ღმერთსა, თუ გე-
წია განსაცდელი; მოითმინე იგი, დაიმდაბლე თავი: ჩემი ცო-
დვით იყოთ, მე ვარ დანაშაულითქო, ჩემი ცოდვის კითხვა
არისთქო! თუ ესრედ მოიქეცი, ყოველი განსაცდელი შეიქ-
მნება შენდა სასარგებლოდ, რომელიც და მოგვცეს ჩვენ ყო-
ველთა ღმერთმან ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა.

ოცდამეთხოთხმეტესა ქვირიაჭესა ზედა.

და მან ლალად-პყო და რქეა: იესო,
ძეო დავითისაო, შემიწყალე მე. ხოლო
რომელი წინაუძლოდეს, პრისხვიდეს მას,
რათა დასდუმნეს; ხოლო იგი უფროს
ლალადებდა და იტყოდა: იესო, ძე
დავითისაო, შემიწყალე მე. (ლუკ. 18,
38—39).

ერთხელ უფალი ჩვენი იესო მრისტე, როგორც თქმული
არს დღეს წაკითხულსა სახარებასა შინა, გარემოცული მრავლი-
თა ერთა, მიღიოდა მახლობლად იერიქონის ქალაქისა. ამ ჟა-
მად იმგზაზედ იჯდა ერთი შობიდამ ბრმა კაცი, სახელით ტიმეოს,
და თხოულობდა წყალობას. მას უთუოდ გაგონილი ჰქონდა,
ვინ იყო იესო მრისტე და რა სასწაულებს იქმოდა იგი. რომ
შეიტყო მან იესო მრისტეს მოახლოება, დაიწყო ხმითა მაღ-
ლითა ყვირილი: იესო, ძეო დავითისაო, შემიწყალე მე. მრი, რო-

მელი წინაუძღვდა და მისდევდა იქსო შრისტეს, უწყრებოდა და აყენებდა მას; გარნა მან უმეტესად იწყო ლალადება: იქსო, ძევ დავითისათ, შემიწევადე მე. მაშინ შფალმან იხმო იგი, დაინახა მისი მხურვალე სასოება და სარწმუნოება, და განკურნა იგი. ამ მოკლე მოთხრობისაგან ცხადად სჩანს, რომ ხსენებულმა ბრმამ, თვისითა დაუინებულითა ვედრებითა, რომ არ დაუჯერა სხვებს. არამედ თავისის იქმოდა, მოიგო, იშოვა, რასაც ეძიებდა. მაშასადამე, არა ყოველთვის უნდა უჯერებდეს კაცი სხვის შეგონებას, რჩევას, არამედ თავისი ჭკუით და გამოცდილობით უნდა იქცეოდეს უმეტეს ნაწილად. როდესაც კაცი ყოველთვის სხვის შეგონებას და რჩევას უჯერებს, ყოველთვის ისე იქცევა, როგორც სხვები აჩვენებენ და ეტყვიან, ამით იგი ამტკიცებს თვის სუსტ, უღონო ხასიათს.

ურიად საჭირო და სასარგებლო არის, ძმანო ჩემნო, კაცისათვის, როდესაც იგი არის თვით-მდგომარე, ესე იგი მტკიცე, ურყვეველი ხასიათისა. იგი დაემსგავსება კლდესა, რომელსა ვერ შეარყევს თვით უსასტიკესი ჭარიშხალი. იგი მალე არ დაუჯერებს სხვების შეგონებას და რჩევას, არამედ პირველად, თავისი ჭკუით ასწონის ყოველს საქმეს, გარემოებასა და რჩევასაც სხვებისას, და მერმე, რომელიც უმჯობესია მათგან, მიიღებს, და სხვათა არ შეიწყნარებს. ძარგად რომ დაუკვირდეს კაცი თავის ცხოვრებას და გაიხსოვნოს ყოველნი თვისინი საქმენი, შეიტყობს, რომ უმეტესი ნაწილი ცოდვათა, შეცდომათა, სჯულის წინააღმდეგობათა, რომელნი მას შეემთხვივნენ თვისს სიცოცხლეში—შეემთხვივნენ მას სხვების რჩევით და სიტყების დაჯერებით, შვეყანაზე ათასში ერთი არ იპოება ისრეთი მართალი, პირმოუთნელი, უანგაარო კაცი, რომელიც თავის მოყვასს აძლევდეს რჩევას, ანუ შეგონებას გულწრფელად და უანგააროდ; მომეტებული ნაწილი რჩევისა, შეგონებისა, დარიგებისა მოხდება: ანუ შურით, ანუ მტერობით, ანუ ანგაარებით, ანუ პირმოთნეობით. ამისთვის გონიერმან კაცმან ყოველივე ნათქვამი კი უნდა მოისმინოს, არამედ არა ყოველივე დაიჯეროს და აღასრულოს. მრთი სიტყვით, სუსტი ხასიათის მექონი კაცი ყოველთვის არის წარტაცებული მოყვასების რჩევით, ვითარცა მტვერი, რომელი აღგავის ჭარმან;

გარნა გონიერი და თვით-მდგომარე ხასიათის კაცი, ვითარცა კლდე, შეურყეველი თვით უსასტიკესის ქარიშხალისაგან. პირველი ვერც ერთ კეთილს და მაღლიანს საქმეს ვერ იქმს ქვეყანაზე, რაოგანაც კეთილს საქმეს უნდა ღონე და მოთმინება, მეორე კი, თუ ხასიათის სიმაგრისათანა კეთილი მიმართულება აქვს და ლვთის მოყვარეობა, რასაც კეთილს საქმეს დაიწყებს—აღასრულებს და მრავალს ნაყოფს გამოილებს.

მრავალს სამწუხაროს მაგალითს ჰნახავს ჩვენს ქვეყანაში კაცი, დასამტკიცებელს მ ა, რაიცა აქამომდე ვსთქვით! საუბედუროდ, ჩვენს ქვეყანა, მცხოვრებთა უმეტეს ნაწილად ისეთი ხასიათი აქვს, რომ აღვილად დაიჯერებენ ყოველსა შეგონებასა, არ შეუძლიანთ ასწონონ თავისი სინიღისითა, რასაც სხვანი ურჩევენ, არა აქვსთ სიმტკიცე ხასიათისა, რომ თავის ჭკუით მძიმედ და დაკვირებით აღასრულონ ყოველი საქმე. ზარნა ამაზე უფრო სამწუხარო და სატირალი კიდევ ის არის, რომ აქაურნი მცხოვრებნი ცუდს, ბოროტს, წინააღმდეგს რჩევას უფრო აღვილად დაიჯერებენ და ასრულებენ, ვიდრელა კეთილსა და სასარგებლონსა. დასამტკიცებლად ამისა მოგიყვან ერთსა ფრიიად სამწუხარო მაგალითსა, რომელი გახშირდა ახლა ამ ჩვენს ქვეყანაში.

ლვთისა და ხელმწიფის მოწყალებით, ჩვენს ქვეყანაში ორი წელიწადია, რაც დაწესდა ფრიიად გონიერი, სასარგებლო ქვეყნისათვის სასამართლო. ვინც კი იცნობს ახალი სასამართლოების სჯულ-დებულებას და წესსა, და ამასთანავე გაიხსოვნებს, როგორი იყვნენ უწინდელნი სასამართლონი, მაღლობა უნდა შესწიროს ლმერთს. მაგრამ რა? უმჯობესად სრულდება, თუ არა, ახლა მართლ-მსაჯულება ჩვენს ქვეყანაში? მართალი კაცი ყოველთვის მართლდება, და დამნაშავე კაცი ყოველთვის ისჯება, თუ არა? საუბედუროდ უნდა ვსთქვათ, რომელ ეს ასრე არ არის? მართლ-მსაჯულება ეხლაც არ სრულდება ისე კარგად, როგორც ჩვენ ველოდით. რა არის ამის მიზეზი? ბმის მიზეზი ვართ თვით ჩვენ, ჩვენი ხასიათის ნაკლულევანება, სახელდობრ ის სისუსტე და აღვილად აყოლება სხვის რჩევისა და ლაპარაკისა, რომელზედაც ვსთქვით. ზაჩნდა ახლა ჩვენს ქვეყანაში ერთი განსხვავებული გროვა კაცთა, რომელ-

თა თვისი ცუდი შეგონებით, რჩევით, დარიგებით გააძხელეს. დააბრკოლეს მართლ-მსაჯულების აღსრულება. ისინი თავისთვის უწოდებენ ადვოკატად, მაგრამ ისე შორს არიან ჭეშმარიტი ქვეყნის სასარგებლო ადვოკატთაგან, რომელთა თვით სჯული მოითხოვს და მიუშვებს საქმის გასაკეთებლად, როგორათაც ყორანი შორ არის არწივისაგან. პატიოსანი, გამოცდილი, ჭყუიანი ადვოკატი დიალ საჭირო და სასარგებლო არის საქმის წაყვანისათვის მართალი გზით.

პატიოსანი ადვოკატი უნდა შეეწეოდეს სიმართლის აღსრულებას; ესენი კი, რომლებზედაც ჩვენ ვამბობთ, სრულიად უშლიან და აფუჭებენ. პატიოსანი და მართალი ადვოკატი, თუ მისი ჭყუა და სინიღისი ჰქედავს, რომელ ვინმე მოხოვნელთაგანი მართლა დანაშაულია, ქურდი და კაცის მკვლელი, არც კი უნდა მიიღებდეს თავის თავზედ მისს დაფარვას და გამართლებას; ესენი კი ამას არ უყურებენ, ოღონდ ფული იშოვონ მარწმუნებელისაგან, და ვინც გინდა იყოს იგი, ამაზე არ სწუხან. პატიოსანმა ადვოკატმა თვისი მარწმუნებელის დაფარვისათვის უნდა იხმაროს პატიოსანი და კანონიერი ხერხი და საშუალება; ჩვენებური ადვოკატები ამაზედ არ ფიქრობენ, არ ჰქოვენ და არ შეირცხვენ არც ერთსა სჯულის წინააღმდეგს საშუალებასა და ხერხის მოპოებასა. ჭეშმარიტი ადვოკატი ხშირად კიდეც უნდა უშლიდეს უცოდინარს კაცს საქმის დაწყებასა, საჩივარსა, შეარიგებდეს მომჩივანთა; ხოლო ახლანდელნი ცრუ ადვოკატები, წინააღმდეგ ამისა, მარტო იმას ეძებენ, რომ განამრავლონ ერთი მეორის მომჩივანი, თვითონ შეაგონებენ და აღძრავენ საქმის დაწყებას, და იმედს მისცემენ, ათამამებენ. მერმე იშოვნიან ცრუ მოწმებს. ზოგნი კიდევ ამაზე უარესს სჩადიან. ვაი სიავესა მათსა! ვაი არს მათი უსჯულოება! აგონებენ, რომ ჯვარზე და სახარებაზე დაფიცებას არა აქვს ძალაო; ხშირად ურიებსაც წარმოადგენენ ერთ მოწმად და მოფიცრად. დაეცა. ზნეობა! შახდა ქვეყანა! განმრავლდა ცრუ მოწმობა, ფიცის ჩეხა! გათამამდენ ქურდი და ავაზაკნი! რაოდენი კაცის-მკვლელი უი დაღის ახლა თამამად და შეუბოვრად, ეძებს მარჯვე დროს, კიდევ იტაცოს და მოჰკლას!

შენ იქმნება იფიქრო, ძმაო, რას უყურებს სასამართლო, რათ უჯერებენ მათ მსაჯულნიო? ამაზე მე გიპასუხებ: იგინი თვითონვე სწუხან ამაზე. ბამიგონია მე მათგან, რომ ცხადად სჩანს დამნაშაობა ზოგიერთი კაცისა სასამართლოში, მაგრამ, თუ კი ოთხს და ხუთს დაფიცებულს კაცს ათქმევინებენ თვისს სიმართლეს, ჩვენ რა უნდა ვქნათო. მაგრამ, მარტო ადვოკატები არ არიან ამაში დამნაშავენი. არა! როგორც ზემოდ ვთქვით, ჩვენ, საზოგადოება, უფრო ვართ დამნაშავე, ჩვენის ცუდის ხასიათით. თუ ცუდი კაცის რჩევა დაიჯერე და აღასრულე, შენ უფრო დამნაშავე იქმნები, ვიდრელა შენი მრჩეველი. ის სიტყვით სცოდავს, და შენ თვით საქმით. ამისთვის მე მარტო ადვოკატების მოქმედებაზე არ ვსტირი, არამედ მომეტებულად ჩვენს ცუდს ხასიათზე და სისუსტეზე. ადვოკატებს ოდესმე დმერთი მოჰკითხავს მათ ცუდს მოქმედებას და ხალხის გარეუნას. თუ სახარებაში არის თქმული, რომ უმჯობესია კაცმა დიდი ქვა მოიკიდოს კისერზე და ზღვაში ჩაიგდოს თავი, ვიდრელა აცთუნოს ერთი მცირეთა ამათგანი, რაოდენად მომეტებული სასჯელის ღირსი იქმნებიან იგინი, როდესაც არა ერთსა მცირეთაგანსა შეაგონებებ ცრუ მოწმობას და ფიცის ტეხასა, არამედ მრავალსა; მაგრამ მე ისინი უმფრო მებრალებიან, რომელნი მათის ცრუ შეგონებით იღუპებიან. ვსტირი და ვსწუხვარ, რომ ჩვენს ქვეყანაში კიდევ მრავალნი იპოებიან ეგოდენ გამოუცდელნი და სუსტნი, რომელნი ფიცისა სტეხენ და ცრუ მოწმობას აღსრულებენ, და იმ სახით, უმეტესად ბრმანი გამოჩნდებიან, ვიდრელა ბრმა იგი დღეს სახარებაში მოხსენებული. უბედურნი და საწყალნი! ადვოკატებს ამდიღრებენ, თვითონ კი საუკუნოდ იღუპებიან. მართალ მხარეს ჰლუპავენ თავის ცრუ მოწმობით, ხოლო დამნაშავე მხარეს და ადვოკატებს ახარებენ, და მათს სასჯელს და ცოდვას თავის თავზედ იღებენ.

დმერთო! იხსენ ქვეყანა ჩვენი ცრუ ადვოკატებისაგან, და ცრუ მოწმებთაგან! ამინ.

პვირიაკესა შეადგომად ნათლის-ლებისა.

მაშინ იქსო აღმოიყვანა უდაბნოდ
სულისაგან, გამოცდად ეშმაკისაგან.
(ჩათ. 4, 1).

სახარება. მოგვითხრობს ჩვენ, რომელ, ოდეს უფალმან
ჩვენმან იქსო შეისტემან ნათელს-ილო მოანესაგან მორდანესა
შინა, მაშინ იგი აღმოიყვანა, ან წარყვანილ იქმნა სულისაგან
უდაბნოდ, გამოცდად ეშმაკისაგან. მოთხრობა სახარებისა ამ
საგანზე, ესე იგი იქსო შრისტეს ეშმაკისაგან გამოცდაზე, ერ-
თობ შესანიშნავია, ძმანო ჩემნო, ქრისტიანენო, და აღსავსე
სულიერითა სწავლითა და აღშენებითა. ჯერ მარტო ეს ვი-
ფიქროთ, ძმანო ჩემნო, თუ სულმან ბოროტმან გაჰედა მოა-
ხლება უწმინდესისა არსებისადმი და გამოცდა მისი, თუ მან
გაჰედა და იფიქრა, რომელ მას შეუძლია რაიმე სულიერი
ვნება მისცეს თვით უწმინდესსა ღვთაებრივსა არსებასა შრის-
ტესსა, წარმოიდგინე და იფიქრე, რომელი კაღნიერება და
ღონე არ ექმნება მას, მოგვეახლოს და გამოგვცადოს ჩვენ
ყოველნი, ჩვენ, რომელნი უიმისოდაც ვცდებით და ვნებულ-
ვართ თვით საკუთართა ჩვენთა ცუდთა თვისებათა და ხასია-
თისაგან. იქსო შრისტეს შორის ბოროტი სული ვერ ჰნახავდა
ისრეთსა თვისებასა, ანუ კერძოსა, რომლითაც შეეძლო მას
მიყენება თვისთა ბოროტთა მანქანებათა; ჩვენ კი ყოველ დღე
და ყოველ წამს თვითონ ვაძლევთ მას მრავალთა შემთხვევათა,
და ვაჩვენებთ გზათა, რომლითაც მას შეუძლია ისარგებლოს
და შთაგვაგდოს. მრავალთა განსაცდელთა შინა. მაშასადამე,
ერთობ საჭირო არის შევიტყოთ, რით და რა სახით გამოჰ-
ცდის იგი კაცთა.. ამისთვისაც ვრცლად და დაწვლილებით

არის ორთა სახარებათა შინა მოთხოვა იქსო შრისტეს გა-
მოცდასა ზედა, რათა წინადვე ვიცოდეთ ეშმაკის მანქანებანი
და ფრთხილად ვიყვნეთ.

აღვიდა რა უდაბნოდ, უფალმან იქსო შრისტემან ილოცა
და იმარხა ორმოცი დღე, და ბოლოს შეემშია. მაშინ მოუხდა
მას გამომცდელი იგი და პრეზა მას: ჟჰეთუ შენ ხარ ძე ლეისა,
სოჭუ, რათა ქვანი ესე ჟურ იქმნენ. (მათ. 4, 3). მაშასადამე, გამომ-
ცდელი ეშმაკი პირველსა თვისსა მანქანებასა მიაქცევს ხორ-
ციელისა ბუნებისადმი, მას ჰსურს შეიტყოს, რაოდენი სული-
ერი ძალა და სიმტკიცე აქვს იქსო შრისტეს, აქვსაა მას მო-
თმინება, თუ არა? სული მისი ჰულობს და სძლევს ხორციელსა
ბუნებასა, თუ, პირიქით, ემორჩილება მას? ამ სახითვე გამო-
გვცდის ეშმაკი ჩვენ ყოველთა, ხორციელთა კაცთა. შერავ-
ლესნი მისნი ვნებანი და განსაცდელნი მოიწევიან ჩვენზედა
მაშინ, როდესაც სული ჩვენი დასუსტებული არის და დამო-
ნებული ხორცითა. ხოლო ხორცი არის გაშვებული, აღვირ-
უსხმელი, როდესაც კაცი ყოველთვის ეძიებს დააკმაყოფილოს
ყოველნი თვისნი ხორციელნი ვნებანი, უყვარს მრავალი ჭამა,
უზომო სმა, გრძელი ძილი და მოსვენება, არაწმინდება და
ყოველნი ხორციელნი ცოდვანი. მსრეთნი კაცნი ყოველთვის
შეიქმნებიან საშოვარი ეშმაკისა, სული ბოროტი მათ ათამა-
შებს თავის ნებაზე. წინააღმდეგ ამისა, თუ კაცს ხორცი თვისი
აქვს დაპყრობილი და აღვირასხმული, ყოველსა თვისსა ხორ-
ციელსა მოთხოვნილებასა აკმაყოფილებს კანონიერად, ზომი-
ერად, სჭამს და ჰსვამს ზომით, მრავალი ძილი და უქმად
დროების გატარება არ იცის, თვისს სისხლსა განგებ არ ააღუ-
დებს უწმინდურის აზრებით და უწმინდურის წიგნების წაკი-
თხვითა, ერთი სიტყვით, თუ სული მისი ჰმართავს ხორცსა
მისსა, და არა ხორცი—სულსა, ხორცი არის მისი, ვითარ-
ცა მონა, ანუ ხერხი, რომელსა ჭკუა მისი ამუშავებს და
სწვრთნის, მაშინ ეშმაკს მოსპობილი აქვს ერთი დიდი გზა
მიახლებად მისა და გამოცდად მისა. მსე ყოველი, რაც
ჯამომდე ვსთქვით, მოკლედ და ძლიერად გამოხატა უფალმან
იქსო შრისტემან იმ პასუხსა შინა, რომელი მიუგო ეშმაკსა.
ხოდო იქსო მიუგო და ჰრევა: წერილ არს, რამეთუ არა ჰურითა ხო-

დო სცხონდების გაცია, არამედ უფლებითა სიტყვითა, რომელი გამო-
გალს პირისაგან ღმრთისა. (მათ. 4, 4),

შეიტყო რა ეშმაკმან, რომელ იქსო ძრისტეს ამ კერძოდ
ვერა ერთსა განსაცდელსა ვერ მიაყენებს, განიზრახა მან გამო-
ცდა მისი მეორე მხრით, ესე იგი სულის კერძოით. შთუოდ
წარმოიდგინა მან, რომ რადგანაც იქსო ძრისტე ესრეთი სუ-
ლიერი კაცია და არ ემორჩილება ხორციელთა ვნებათა, იქ-
ნება მას ჰქონდეს სულიერი ამპარტავნებაო. მაშინ წარიეგანა იგი
ეშმაკმა და დაადგინა სართულსა ეკლესიისას, და ჭრება; გვეთუ ძე ხარ
ღმრთისა, გარდაიგდე თავი შენი ქვეყანად, ასმეოუ წერილ არს, გითარ-
მედ ანგელოსთა მისთა და უბრძანებიეს შენთვის, და ხელთა მათთა ზე-
და აღგიპრონ. შენ (მუხ. 5. 6). აპა, მეორე მანქანება ეშმაკისა.
ამ სახითვე იგი ხშირად გამოცდის და აცთუნებს ყოველთა
კაცთა. იქნება შენ თვითონ გამოგიცდია, ძმაო ჩემო, ან შენ
თავზე, ან სხვას ვისმეს შეატყვე, რომელ, თუ რომელიმე ქრი-
სტიიანე არის ღვთის მოშიში და მლოცველი, უყვარს სულიე-
რი მოღვაწება და ბეჯითობა, ერთი სიტყვით, ცოტა-ოდნად
მაინც არის ღვთის მოყვარე, მაშინ ეშმაკი მას გაუჩენს გულში
სულიერს ამპარტავნებას, შეაგონებს მას: „შენ წმიდა კაცი ხა-
რო, შენ სხვას არ ჰგევხარო, სხვები სუყველანი ცუდები არი-
ანო, შენ კი სხვებს სჯობიხარო.“ ხშირად მოხდება, რომ, თუ
ამისთანა კაცს რამე მწუხარება შეემთხვია, ეწყინება გულში
და იტყვის: რათ დამემართა მე ეს, რომ ასეთი ღვთის მოსავი
ვიყავიო? ბულში კი არა, ხმა მაღლადაც, მაგალითებრ, ტირილ-
ში, ჰყვირის ზოგიერთი ამ სახით: ღმერთო, რას მემართლე-
ბოდიო, რომ ამისთანა მწუხარება მომაყენეო? მე შენი მოსა-
ვი და მლოცველი ვიყავიო; ანუ კიდევ მიცვალებულზე იტ-
ყვის: ღმერთო, რათ მოჰკალი ასე აღრეო, რომ კეთილი კაცი
და შენი მლოცველი იყოვო. ცხადია, რომ ყოველნი ესენი
ცუდნი და უგუნურნი აზრნი და სიტყვანი, არიან ნაყოფნი
ამპარტავანებისა, ამისთვის ფრთხილად იყავ, ძმაო ჩემო, ვისაც
გესმის, და თუ ოდესმე ღმერთმა მოგანიჭა წარმატება სული-
ერსა ცხოვრებასა შინა, არ გაჰლალდე. საღმრთო წერილი
გვასწავლის ჩვენ, რომელ, თუ კაცმა კიდეც აღასრულა ყოველ-
ნი მცნებანი ღვთისანი, მაშინაც უნდა სთქვას, რომ იგი არის

მონა უხმარი, მისთვის, რომ ნამეტანი არა რა უქმნია, მხოლოდ ის ჰქმნა, რასაც თანემდებ იყო, და თუ ყოველთა მცნებათა აღმსრულებელმან, მაშასადამე, კაცმან სრულმან და წმიდამან, ესრედ უნდა იფიქროს და მიაჩნდეს თავის თავი უხმარად, ჩვენ რაღა უნდა ვიფიქროთ და როგორ ვუყურებდეთ თავსა ჩვენსა, რომელნი, არა თუ ყოველთა, არამედ ერთსაცა მცნებასა ვერ ვასრულებთ ჯეროვნად,

ახლა, ძმანო. უნდა გადავსულიყავით და გველაპარაკა მესამესა გამოცდასა ზედა, გარნა გვეშინის არა დაგამძიმო თქვენ გრძელითა ლაპარაკითა, ამისთვის გადავსდებ სიტყვასა მომავალისა დროისათვის; ხოლო აწ გვეველრები თქვენ, ყოველთვის მიქცეული გქონდეს ჭკუა და უურადღება სულიერსა მდგომარებასა ზედა თქვენსა, და არა მისცემდეთ ეშმაკსა გულთა შინა თქვენთა ადგილსა, განსაცდელად თქვენდა. ამინ.

ს ი ტ ზ გ ა

ახალს 1884 წელსა, თქმული ქუთაისის სობოროსა შინა.

ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუუველსა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგადინოს თქვენ. (მათე 6, 33).

დღეს, ჩვეულებისამებრ, ყოველნი კაცნი მიულოცავენ ერთმანეთს ახალ წელს და ისურვებენ ერთმანეთისათვის ახალს ბედნიერებას და ახალს სიხარულს. ბედნიერება, კეთილ-წარმატება, სასიხარულო დღეები—აი რას ელტვიან ყველანი და რას ისურვებენ ერთმანეთისათვის, აკვიდგან თვით საფლავამდის. მსრეთი მისწრაფება კაცთა ბედნიერებისაღმი, არის თვით ბუნებრივი და კანონიერი მოთხოვნილება. ძაცის ბუნება უნებლივად ერიდება მწუხარებასა, და ეძიებს ბედნიერებას. ღმერ-

თსაც წვალებისათვის კი არ შეუქნია კაცი, არამედ ბედნიერებისა და სიხარულისათვის. მაგრამ კაცთა ახირებული წარმოდგენა აქვსთ ბედნიერებაზე. მზგავსად ძველთა კერპთ-მსახურთა, ჩვენ დროშიაც უმეტესი ნაწილი ხალხისა წარმოიდგენს თავის ბედს რაღაცა კაცის სახედ, რომელიც დადის კაცთა შორის თვალ-ახვეული, და ვისაც შემთხვევით მიადგება, მას მიანიჭებს ყოველივე ბედნიერებას. არა, ძმანო ქრისტიანენო, ჭეშმარიტი ბედნიერება არ მიენიჭება კაცსა შემთხვევით, უმიზეზოდ, ის თითქმის ყოველთვის, შედეგია მრავალთა შრომათა და მოღვაწეობათა.

რაც გინდა ილაპარაკონ კაცთა ამის წინააღმდეგ, მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ბედნიერება ხშირად არის ჯილდო კაცის კეთილმოქმედებისა, მაგრამ კაცნი შემცდარნი არიან, როდესაც გარეგან და ნივთიერ წარმატებაში ჰქედავენ თავის ბედნიერებას, ვინაიდგან ერთი მხოლოდ გარეგანი ბედნიერება და ნივთიერი სიკეთე, არ შეადგენს კაცის ბედნიერებას. მრთი უბრალო, მაგრამ გონიერი რუსული ანდაზაა, რომ საშვალ ოქროსაგანაც ცრემლი მოსდის კაცსა. როდესაც კაცის სული არ არის დაწყნარებული, როდესაც კაცის გული სკდება სხვადასხვა ცუდთა ვნებათაგან, მაშინ არავითარ ქვეყნიურს დიდებას არ შეუძლია მიანიჭოს კაცსა კმაყოფილება და ბედნიერება.

ჭეშმარიტი გზა, რომლითაც კაცს ძალ-უძს შესაძლებელი ბედნიერება მოიპოვოს ქვეყანაზე, ნაჩვენებია ზემო-მოყვანილ მაკებოვრის სიტყვებში: ხოდო ოქვენ ეშიებდით ჰირგელად სასუფე-გელსა ლვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე უოველი შეგძინოს თქვენ (მათ. 6, 33.), ესე იგი, ეცადეთ უწინარეს ყოვლისა, რომ სულთა შინა თქვენთა დაარსდეს სასუფეველი ლვთისა, შეიქმნენით ძენი სასუფევლისა ლვთისა, სცანით სიმართლე ლვთისა და შეიყვარეთ იგი, და მაშინ ყველა დანარჩენი, ესე იგი მშვიდობა, სიხარული და ყოველივე, რაიკა არის საჭირო კაცისათვის ქვეყანაზე, ესე იგი საჭმელი, სასმელი, ტანისამოსი და სხ. თავის-თავად მოგენიჭება თქვენ.

სულ უბრალო და მოკლე მოფიქრება მიიყვანს კაცს ამ დასკვნამდის. მართლა, რა აბრკოლებს უფრო კაცის კეთილდღეობას ქვეყანაზე? სისუსტე, ბიწიერება, ვნება, კაცისაგან და

ამათგან წარმოდგენილი: სიღარიბე, ავადმყოფობა, მტერობა და შური ერთმანეთში. მრთი უდიდესი უბედურებათგანი; რომ-ლებიც არღვევენ კეთილ-წარმატებას მრავალთა კაცთასა, არის სიგლახაკე და სიღარიბე. ზარნა თვით კაცნი არიან ხშირად მიზეზი სიღარიბისა თავისი სიზარმაცით, ცუდად ხარჯვით და თავისი ბიწიერი ცხოვრებით. მეორე უბედურება, შემმუსრაჲი ხალხისა, არის ავად-მყოფობა და უდროვო დროს სიკვდილი. მაგრამ, განა არ მოხდება აქაც ხშირად, რომ თვით კაცი, თვისი ურიგო და არა ზომიერი ცხოვრებით, არღვევს თავის ტანის სიმრთელეს და იწვევს უდროვოდ სიკვდილს? ბოლოს, სიღარიბისა და სნეულებათა უარესად, თვითონ კაცნი პლუპვენ თავის თავს ერთმანეთის მტერობით და შურით. მაგრამ ყოველნი უმთავრესნი მიზეზნი ხალხთა უბედურებისა, შემცირდებიან და კიდევ განპქარდებიან, თუ თვითეული კაცის, ანუ მთელი საზოგადოების სულში, დამყარდება სასუფეველი ლეთისა, ესე იგი სიმართლე, მშვიდობა და სიყვარული. შეიძლება ამაზე გვითხრან: ვარდა იმ უბედურებათა, რომელნიც თვით კაცისაგან წარმოსდგებიან, არის კიდევ მრავალი სხვა მოულოდნელი უბედურება, რომლებიც კაცს ცხოვრებაში შეჰვდებიან. მს მართალია. და ნეტა იმას, ვინც მამაცად აიტანს და სულით არ დაეცემა, არამედ მეცადინეობს, რომ ყოველთა უბედურთა შემთხვევათაგან გამოიტანოს რაიმე ზნეობითი სარგებლობა. მაგრამ ვის უფრო შეუძლია ასე მოიქცეს? იმას, რომლის სულშიაც დამკვიდრებული არის სასუფეველი ლეთისა, რომელიც, სიტყვისამებრ მოციქულისა, არის: ჭეშმარიტება, მშვიდობა და სიხარული სულისა მიერ წმიდისა.

მართლა, ბედნიერება არ არის რაიმე გარეგანი კაცისა; ის არის მისი შინაგანი, მშვიდობიანი, მხიარული და მხნე სულის მდგომარეობა, და ამისთანა სულის მდგომარეობა შესაძლებელია კაცისათვის მაშინ; როცა კაცის სინიდისი წმინდა და დამშვიდებული არის. ამიტომაც ვსოქვით ჩვენ ზემოდ, რომ ბედნიერება და ჩვენი წარმატება, ვერ მოგვანიჭებს ჩვენ ნამდვილსა ბედნიერებასა. მართლა, ყოველთვის იყვნენ მრავალნი პირნი, და ჩვენს დროში უფრო მომეტებულია, რომლებიც თავის თავს ნამდვილ ბედნიერ კაცად სოვლიან, მაშინ მხო-

ლოდ, როცა შეუძლიათ საკმაოდ დააკმაყოფილონ თავიანთი სხეულის პირუტყული მოთხოვნილებანი, და ამას გარდა სხვაზე აღარას ჰქონიერება. მაგრამ ამისთანა ბედნიერება, ჩვენის აზრით, შეეფერება მარტო პირუტყვთა, და არა გონიერთა არსებათა. ქაცს, რომელიც მთლად არ ემორჩილება თავის პირუტყვულს მოთხოვნილებასა, ყოველთვის აქვს ერთი რამე საგანი, უმაღლესი მიზანი, რომელზედაც მისი აზრი და გონება არის დამყარებული, და სულიერი და ფიზიკური მისი ძალა ეძიებს რამე. მიმზიდველს სამოქმედო ასპარეზს. და ეს იქმნება დანერგვა და აღორძინება სულთა შინა ჩვენთა ლეთის სასუფეველისა, ხოლო აქ საჭიროა მეცადინეობა, რათა გავ-სწმინდოთ, გავაუმჯობესოთ ჩვენი სული, განვაშოროთ მისგან ყოველივე სიწამხდრე, ცოდვა, მივაჩიოთ ჩვენი სული და გული უმაღლეს ლტოლვილებას. მრთი სიტყვით, მიუუახლოვ-დეთ ლერთსა, ვიცხოვროთ მასთან.

ხორციელი წრთვნა (ხორცის მოფერება), ამბობს მოცი-ქული ჟავლე, მცირედ სასარგებლოა. ლეთის მსახურება ყოველ შემთხვევაში სასარგებლოა. შოველივე ქვეყნიური წარმატება მიანიჭებს კაცს მოკლე-დროებითს სარგებლობას, ხოლო ლეთის მსახურება ყოველთვის და ყველგან სასარგებლოა. ის ქვეყანაზედაც მისცემს კაცს მშვიდობას და ბედნიერებას, და მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვისაც მიანიჭებს მას საუკუ-ნო ნეტარებას.

მანო, მართლადიდებელნო ქრისტიანენო, ჩვენ ყველანი, ყოველ დღეს ვევედრებით ლერთსა: „მოვედინ სუფევა შენი“. ზარნა, ვსოდოვთ რა ლერთს სიტყვითა, ჩვენ საქმითაც უნდა ვსცდილობდეთ მოსვლას და წარმატებასაც მისსა ქვეყანაზე. მაგრამ ვინ უფრო ვალდებულია ჩვენ შორის, განსაკუთრებით, მოწმობაროს ამ საქმეს? ჩვენ, ნასწავლნი და განათლებულნი პირნი, უმეტესად ისინი, რომელნიც მსახურებენ ლერთსა და მეფესა, რომელნიც სდგანან საზოგადოების წინ, და რომელნიც იცვენ საზოგადოების სულიერთა და ნივთიერთა სარგებლობა-თა. მეტად დიდია ჩვენი პასუხის-გება ლეთის წინაშე, განსაკუთ-რებით ეხლანდელ დროში, როდესაც ცხადად ინიშნება საზოგა-დო ზნეობითი და გონებითი რყევა და არეულობა. მთელი სა-

ხელმწიფოის ცხოვრებაში იმისთანა სამწუხარო მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ ეხლა ვხედავთ, დიდი ხანია არ უნახავს კაცობრიობას ქვეყანაზე. შოველთვის ყოფილან ქვეყანაზე: ქურდნი, მცარცველნი, კაცის-მკვლელნი, მაგრამ არაოდეს არ უნახავსთ, თვით ველურ ხალხთა შორის, რომ ისინი შეერაცხოთ არა დამნაშავედ, ტაში დაეკრათ მათვის და პატივი მიეცათ. მაგრამ რას ვხედავთ ეხლა ჩვენ? დიდი ქალაქების საზოგადოება ამისთანა დამნაშავეთა, არა თუ ამართლებს, არამედ ტაშს უკრავს. მამის მკვლელთა, საზოგადოების ფულების მცარცველთა და სხვა დამნაშავეთა პატივით მიიღებენ. ამისთანა საზოგადო ველურ მოვლინებათა დროს, ყველანი, რომელთა გულშიც კიდევ დარჩა ცოტაოდენი პატივისცემა კაცის ღირსებისა, უნდა აღსდგეს დასაცველად სიმართლისა და კეთილისა, დასაცველად განხრწნილთა არა-კეთილთა პირთაგან. სიტყვით და საქმით უნდა აღუდგეთ წინ ამისთანა სიმართლის დამაბნელებელთა და დამამცირებელთა მოვლენათა, ვიდრემდის არ გამქრალა ჩვენში უკანასკნელი ნაპერწკალი ლვთის ჭეშმარიტებისა და მამულის სიყვარულისა, რომელიც განათლებული მცროპის წინაშე დამდაბლებულია საოცარი მოქმედებაებით. ამინ.

მოკლე მოძღვრება

ა ხ ა ლ ი ჭ ლ ი ს ა თ ვ ი ს .

მოგილოცავ, ძმანო ქრისტიანენო, ახალსაწელსა და ვსოხოვ ღმერთსა, რომ თქვენ ყოველთა მშვიდობით და ბედნიერად გაატაროთ იგი.

გარნა, რაი არს ბედნიერება, საიდგან მოუვა, ანუ საიდგან მიეცემა იგი კაცს? ლირს, რომ ამაზე ჩვენ ვსოდვათ ორიოდე სიტყვა, მეტადრე დღეს, როდესაც ყოველნი ერთმანეთს მიულოცავთ და ვისურვებთ ბედნიერებას.

ჩვენ ყოველთა საზოგადოდ, შეცდომილნი აზრნი გვაქვს

ამ საგანზე. თუ ვინმე კარგად და წარმატებით სცხოვრებს, თავისი ყოველი საქმე კარგად მიჰყავს — ბედნიერი კაცი არისო; თუ ვინმემ ცუდად წაიყვანა თავისი საქმე, ხშირად უკმაყოფილება და მწუხარება შეემთხვევა — ბედი არა აქვსო, რაღაცა უბედური არისო, იტყვიან იმაზე. ცხადია, რომელ, ვინც ასე ჰყიქ-რობს, ან იტყვის, იმას ჰგონია, რომ ბედი და უბედურება, არის რაღაცა ბრმა და ყრუ არსება, დადის ქვეყანაზე, და ვისაც უცბად პირველად შეჰვდება, თავზე დააყრის ყოველს ბედს და სიკეთეს; და რომელსაც მეორედ შეეყრება, იმას იგი სულ წახდენს, უბრა-ლოდ და უმიზეზოდ. არა, ძმანო ჩემნო, თუ კარგად დაუკვირ-დებით კაცის ცხოვრებას ქვეყანაზე, მაშინ ცხადად დაინახავთ, რომ კაცის ბედი დამოკიდებულია მის ხასიათზე და ყოფაქცევა-ზე, და ბუდობს უმეტესად კაცის სულში და გულში, ვიდრე-ლა გარეგანსა მის გარემოებასა და მდგომარეობასა შინა. თუ გული და სული აქვს კაცს აშფოთებული, დაუწყნარებელი, აღელვებული და მოუსვენებელი, მაშინ იგი ვერ იქნება ბედნი-ერი, თუ გინდა ურიცხვი სიმღიღრე ჰქონდეს და პატივი; წინა-აღმდეგ შემთხვევაში, როდესაც გული აქვს დამშვიდებული და დაწყნარებული, როდესაც იგი კმაყოფილი არის თავის მდგომა-რეობაზე, და ჰმადლობს ლმერთს, მაშინ, თუგინდ ლარიბიც იყოს და მრავალი რაიმე აკლდეს, იგი უფრო ბედნიერი არის ყოველთა მდიდართა კაცთა ზედა. პაცი მხნე, შრომის მოყვა-რე, წმიდა სინიდისის მექონი, რომელიც, ამასთანავე, არ ეძიებს მრავალსა, არამედ მცირედითაც კმაყოფილია — უთუოდ ბედნიერი იქნება, რაოდენადაც შეიძლება კაცისათვის ამ წუთს სოფელში; ხოლო კაცი ხარბი, მოუსვენებელი, გაუმაძლარი, ავი სინიდისის მექონი, ვერაოდეს ვერ შეემთხვევა ბედნი-ერებას, ვინაიდგან სადაცა არ არის მშვიდობა, მუნ არცა ბედნიერებაა.

მაშასადამე, პირდა-პირვე უნდა ვსთქვათ. რომელ ჭეშმა-რიტი ბედნიერება არის ნაყოფი ჭეშმარიტისა ქრისტიანობისა, ვინაიდგან წმინდა სინიდისი, გული დამშვიდებული და შინა-განი კმაყოფილება, მიეცემა მხოლოდ ნამდვილსა ქრისტიანესა, ამისთვის იგი მხოლოდ იქნება ნამდვილ ბედნიერი, თუგინდ გარეგანი მისი მდგომარეობა იყოს ძნელი და მწუხარე. მაგრამ,

როდესაც ჩვენ ვიტყვით დამშვიდებულ გულზე, დაწყნარებულ
და კმაყოფილ ხასიათზე, ნუ იფიქრებთ, ძმანო ჩემნო, რომელ
ჭეშმარიტი ქრისტიანე არის დაძინებული, უსაქმო და მცონა-
რე. სრულიად არა! შინაღმდევ ამისა, მხოლოდ კაცი მხედვე,
შრომის მოყვარე აღვსებული ცხოველითა სულიერითა მოძრა-
ობითა, იქნება ახლო შესაძლებელი ბედნიერებისა. აქ მხოლოდ
ის განსხვავება არის, რომ კაცი, სოფლის მოყვარე, მარადის
არის აშფოთებული და აღელვებული თავის შრომაში და
მეცადინეობაში, გარნა ქრისტიანის გული, არის დამყარებუ-
ლი კლდესა ზედა იესო მრისტეს სარწმუნოებისასა, და ამისთვის
მას აქვს გულში ის ლვთაებრივი მშვიდობა, რომლითაც
ლმერთი შეჰდლუდავს კაცის სულსა: მშვიდობამან დმტთისამან,
რომელი პმატეს ეოველთა გონებათა, შეჰდუდენინ გული თქვენი და
გონებანი თქვენი ქრისტე იესოს მიერ. (ვილ. 4,7). ამინ.

ს ი ტ ყ ვ ა

მირჩმის ანუ მიგვაგის დღვესასაულსა ზედა.

აღმოიყვანეს ყრმა იგი იერუსალი-
მად, წარდგინებად წინაშე უფლისა,
ვითარცა წვრილ-არს სჯულსა უფ-
ლისასა. (ლუკა 2, 22—23).

თუმცა მთელი ცხოვრება შფლისა ჩვენისა იესო მრისტე-
სი, ყოველი მისი სიტყვა, თითოეული ნაბიჯი, იყო დიდი, ამა-
ლებული, ლვთაებრივი, სახე და მაგალითი წმიდა ცხოვრე-
ბისა, გარნა წმიდამან ეკკლესიამან მრისტეს ცხოვრებისაგან
გამოარჩია მხოლოდ რაოდენიმე, უმეტესად შესანიშნავნი და
აღმაშენებელნი, და სავსენი სწავლითა და ლვთაებრივითა მაგა-
ლითითა გარემოებანი ანუ შემთხვევანი, მაგალითად: მისი შო-
ბა, ნათლის-ღება, ვერისცვალება, ამაღლება და სხვა, და და-
აწესა, ანუ განაჩინა მათვის საკუთარნი დღენი დღესასწაულად.

მრთი ამის მსგავსთაგანი შემთხვევა იქსო შრისტეს ცხოვრებისაგან იყო მირქმა, ანუ მიგებება ჩჩვილისა იქსოსი ტაძარსა შინა სვიმეონ მართლისაგან: აღმოიეგანეს ერთა იგი იერუსალიმად, წარდგინებად წინაშე უფლისა... და მან, სვიმეონმან მაირქვა იგი მჰლაგთა თვისთა ზედა და აკურთხევდა ღმერთსა.

რათ არის შესანიშნავი ესე გარემოება, რას გვასწავლის, რა მაგალითს და დარიგებას გვაძლევს ეს შემთხვევა? იგი გვასწავლის ჩვენ ქრისტიანეთა, რა მტკიცედ და ერთგულად, და რა სასოებით უნდა ვასრულებდეთ საღმრთოსა სჯულსა. ამ დიდსა და ფრიად საჭიროსა ჭეშმარიტებასა გვასწავლის დღეს, პირველად - თვით შფალი იქსო შრისტე, თუმცა იგი მაშინ იყო ჩჩვილი; მერმე — შოვლად-წმიდა დედა მისი, მამად წოდებული იოსებ, მართალი სვიმეონ და, ბოლოს, მოხუცებული ქვრივი ანნა, და გვასწავლიან არა სიტყვიერად, არამედ თვით საქმითა და მოქმედებითა თვისითა, რომელიც არის უმტკიცესი სიტყვისა.

აღმოიეგანეს ერთა იგი იერუსალიმად, წარდგინებად შფლისა, გთარცა წერილ-ას ჰსჯულსა შფლისასა. მბრაელთა პეტრინდათ ღვთისაგან მიცემული წესი, რათა ყოველი პირმშო ვაჟი წარედგინათ მშობელთა მათთა ტაძარსა შინა, შეწირვად ღვთისადმი მსხვერპლისა შეძლებისდა გვარად, ზედ — მიღებად ღვთისაგან მაღლისა და კურთხევისა. ამა საღმრთოსა ჩვეულებას აღსრულებენ დღეს უთუოდ წმიდა მარიამი და იოსები. რადგანაც იყვნენ ღარიბნი, მათ მეტის შეწირვა არ შეეძლოთ, და შესწირეს მხოლოდ ორი ტრედის მართვენი. ამ ჟამად წმინდა სვიმეონ, მოხუცებული უმეტეს ასის წლისა, მიეგება ყრმასა იქსოს, აღიყვანა იგი მკლავთა ზედა თვისთა და აკურთხა იგი. ახლა იფიქრე, ძმაო, და წარმოიღვინე, რა საკვირველი და ამაღლებული მაგალითია ეს ყოვლისა კაცისათვის. შფალი იქსო შრისტე იყო ძე ღვთისა, რა საჭირო იყო მისთვის წარდგინება ტაძრად და მსხვერპლად შეწირვა, მსგავსად ერთისა ცოდვილის კაცის შვილისა. ბარნა იმან დაიმდაბლა თავი თვისი და დაემორჩილა სჯულსა იმას, ცოდვილთა კაცთათვის დაწესებულსა, რათა გვასწავლოს ჩვენ მორჩილება და აღსრულება სჯულისა. ამაზედ კიდევ ის. აზრიც დაუმატე, რომ შფალი ჩვენი იქსო შრისტე მისთვის მოგიდა.

ქვეყანაზე, რათა გააუქმოს ძველი სჯული და ყოველნი მისნი წესნი, რომელნი მხოლოდ დროებით იყვნენ მიცემულნი კაცთათვის; და ნაცვლად მისა მოგვცეს ჩვენ ახალი, უმაღლესი და უწმინდესი სჯული. მაშასადამე, რაღა საჭირო იყო აღსრულება ძველისა ამის ჩვეულებისა, რომელიც მაღე უნდა გაუქმებულიყო? ზარნა, ვინაიდგან ძველი იგი სჯული არ იყო ჯერედ გაუქმებული, მაცხოვარი დაემორჩილა სჯულისა მას და აღასრულა იგი. პჰა, დიდი მაგალითი ყოვლისა კაცისათვის! ამით იგი გვასწავლის ჩვენ, რათა ჩვენცა პატივს-ვსცემდეთ ყოველისა სჯულისა. დიდი არის ფრიადეს მაგალითი ჩვენთვის! სჯულის დამორჩილება, ერთგულად და სასოებით აღსრულება ყოვლის საღმრთო ჩვეულებისა და წესისა, არის დედა-ბოძი, როგორათაც სულიერის, ზნეობითის წარმატებისა, ეგრე მსგავსადვე ამ სოფელში მშვიდობით და მყუდროებით ცხოვრებისა. სჯულის დამორჩილება და პატივის ცემა მისთვის არის საძირკველი და ბოძი სულიერი წარმატებისა, რომელ იგი აღვირს-უსხამს ვნებათა და ცოდვათა ჩვენთა. მით კაცი მიუჩვევა წესიერებას, რიგიანობას ყოველთვის, სიტყვაში და საქმეში. თუ შენ, ძმაო, ერთგულებით აღსრულებ ყოველთა ქრისტიანულ წესთა, დღესასწაულებს არ შეურაცხესყოფა, არამედ საყდარში მოხვალ და წირვა-ლოცვას მოისმენ, მარხვებს არ დაივიწყებ, თავის დროზედ ეზიარები, თავის დროზედ სხვათა მოთხოვნილებათა სულიერთა და წესთა აღასრულებ, მით შენ გამაგრდები და განამტკიცდები ქრისტიანულსა ცხოვრებასა 'შინა. შოველი ქრისტიანული წესი, მარხვა, წირვა-ლოცვის მოსმენა, აღსარება, ზიაერება, მონათვლა, ზეთის კურთხევა, სასოებით აღსრულებულნი, განაახლებენ და განამტკიცებენ შენს გულში და მაღლისა, სასოებასა, და თუ ესენი არ მიგაჩინა, ან უსასოდ აღსრულებ, ანუ გვიან, გვიან გაგახსენდება, შენ, სასოება მოგაკლდება, გული გაგიცივდება, მაშასადამე ცოდვა განძლიერდება შენს გულში, უმჯობესი კერძო შენი ბუნებისა დასუსტდება, ხოლო უარესი განძლიერდება.

მსგავსივე ამისა ითქმის თვით სოფლიურის, ხორციელის ცხოვრებისათვის. რომელიც კაცი პატივის-მცემელია სამოქალაქო სჯულისა, ეშინია და არ უყვარს მათ დარღვევა, რაც

ჰმართებს მას სჯულით, კანონით, იმას ყოველთვის აღსრულებს ერთგულად, იმ კაცის ცხოვრება რიგიანია და წესიერი და სასარგებლო ქვეყნისათვის. ის ქვეყანა, რომელშიაც ჰსუფევს საზოგადოებაში პატივის-ცემა და მორჩილება სჯულისა, უფრო მშვიდობიანი და წარმართებულია. იქ მძლავრი კაცი ვერ დასჩაგრავს სუსტს; სიმართლე არაოდეს არა ვის დაეკარგება. მაგალითებრ, სამოქალაქო სჯულით, წესით, ყოველი საქმე და სიმართლე უნდა დამტკიცდეს ფიცით. ახლა, თუ რომელიმე ქვეყანაში ყოველთა მცხოვრებთა აქვთ პატივი ამ კანონისა, ფიცს არაოდეს არ დაარღვევენ, იქ ყოველი კაცი მოსვენებულია, იცის, რომ მისი სიმართლე არ დაიკარგება, იმას ვერავინ ვერ დასჩაგრავს. ზარნა წარმოიდგინე მეორე სახე, წარმოიდგინე, რომ რომელიმე ქვეყანაში ისე გაფუჭდა ზნეობა, რომ ფიცი აღარაფრად მიაჩნიათ, ერთს და იმავე საგანზედ და კითხვაზედ ხუთი ანუ ექვსი დაფიცებული პირი ანბობს—„ჰო“! და სხვები დაფიცებული პირნი ანბობენ—„არა“! რაღა მშვიდობა უნდა იყოს იმ ქვეყანაში და წარმატება? და თუ ამისთანა ჩვეულება თანდათან განმტკიცდა, იმ ქვეყანაში პატივისანს და მართალს კაცს ცხოვრებაც აღარ შეუძლია. შეჯობესია ტყეში იცხოვროს კაცმა პირუტყვებთან, ვიდრე ამისთანა საზოგადოებაში.

ამისთვის გახსოვდეს, ძმაო, ჩემო მსმენელო, რა დიდი მაგალითი გვაჩვენა დღეს მაცხოვარმან: ერთგულებით უნდა ვასრულებდეთ სჯულსა, პატივი და მორჩილება გვქონდეს ყოველი კანონისა. თვით ჩვენი სულიერი და ქვეყნიერი, ხორციელი წარმატება და ბედნიერება მოითხოვს ამას. ამინ.

მირშმას იესო ქრისტისსა

აწ განუტევე, მეუფეო, მონა შენი,
სიტყვისაებრ შენისა, მშვიდობით,
რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მა-
ცხოვარება შენი. (ლუკა 2, 29—30).

მსრედ წარმოსთქვა მოხუცებულმან სვიმეონ მართალმან, როდესაც შეეგება ტაძარსა შინა ჩჩივილსა იესოს და მიიღო იგი მკლავთა თვისითა ზედა. მას ჰქონდა აღთქმული სულისაგან შმიდისა, არა ხილვად სიკვდილისა, ვიდრემდის იხილავს მოსულ-სა მაცხოვარსა სოფლისასა, და როდესაც იგი იხილა, აკურთხა დმერთი, დალოცა დედა მისი და ევედრა დმერთსა, რომ გა- ნუტეოს იგი ამ სოფლიდგან: აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, მშვიდობით. ამაზე უკეთესს რას დაინახავდა იგი ქვეყანასა ზედა. იგი იყო ლრმად მოხუცებული, მან ალასრულა ქვეყანაზე თვისი მოვალეობა: ემსახურა დმერთსა მრავალი წე- ლიწადი მარხვით, მოთმინებით, აღიდა იგი სიტყვით და საჭ- მით. ერთი მხოლოდ ჰქონდა მას ვეღრება და სურვილი, რად- განაც იცოდა სულისაგან შმიდისა, რომ მოახლოებულ იყო დრო ქვეყანასა ზედა მოსვლისა მესიასი, მხსნელისა, ჰსურდა ხილვა მისი, და როდესაც იხილა, ევედრა დმერთსა: აწ განუ- ტევე მონა შენი, მეუფეო მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი.

მზგავსადვე უნდა მოიქცეს ყოველივე ქრისტიანე კაცი; იგივე სიტყვები უნდა წარსთქვას მან, როდესაც მოიწევა დღე მისისა აღსასრულისა. თუ დმერთმა შენ, ძმაო, მოგცა ქვეყა- ნასა ზედა გრძელი და მშვიდობიანი ცხოვრება, თუ შენ გიყ- ვარდა დმერთი, და, რაოდენიც ძალ-გედვა, ემსახურე მას,

აღასრულე ქვეყანასა ზედა. სულიერი შენი მოვალეობა, კეთილს საქმეს იქმოდი და მით ადიდებდი ლმერთს შეძლებისა გვარად შენისა, მაშასადამე— შენც გინახავს მაცხოვარება ლვთისა არა ნაკლებად, ვიდრელა სვიმეონს მართალსა. მან მხოლოდ ჩვილი იესო იხილა, შენ კი სულიერითა თვალითა და სარწმუნოებითა გიხილავს იესო შრისტე, აღმასრულებელი ჩვენისა ცხოვრებისა, ჯვარცმული, აღდგომილი მკვდრეთით; თვით მისი სისხლი და ხორცი მიგიღია. მაშ შენც, როდესაც მოიწიოს უამი შენის აღსასრულისა, არ შეგეშინდეს, არამედ თამამად წარსთქვი სასოებითა, მშვიდობიანითა გულითა: აწ განუტევე მონა შენი, მეუფეთ, მშვიდობით. ზარნა, თუ გინდ გრძელი და მშვიდობიანი არ იყოს ცხოვრება შენი, არამედ მოკლე და აღსავსე მწუხარებითა, თუ გინდ შენ იყო მზგავსი ათასთა და ბევრეულთა კაცთა, ჭირვეულისა და მძიმისა ცხოვრებისა განმატარებელი, არაფერი შესანიშნავი და მადლიანი საქმე არ აგესრულებინოს ქვეყანაზედ, მაგრამ ქრისტიანე კაცი მაინც იყავი და ხარ, მონათლული ხარ, პირჯვარს იწერდი, ლმერთი არ დაგივიწყებია, სასოწარკვეთილებაში არ შეჰსულხარ— შენც შეგიძლია დააგვირგვინო ცხოვრება შენი, თუ გინდ ადრე გეწიოს უამი სიკვდილისა, დაიბარე მოძღვარი შენი, უთხარ მას უკანასკნელი აღსარება, მიიღე მისგან მაცხოვარება ლვთისა, ესე იგი ზიარება შრისტეს სისხლისა და ხორცისა, სასოებით, ცრემლით, სინანულით, და შემდეგ წარსთქვი თამამად: აწ განუტევე მონა შენი, მეუფეთ, მშვიდობით. რაც გინდა საწყალი და ღარიბი იყოს კაცი ქვეყანასა ზედა, თუ გინდ იგი იყოს უკანასკნელთა გლახაკთაგანი, იმასაც კი შეუძლია დაიგვირგვინოს ცხოვრება თვისი პატიოსნითა, ქრისტიანულითა გარდაცვალებითა. მოხუცებული სვიმეონ მართალი, არ იყო მთავართა, დიდებულთა, ანუ მდიდართაგანი, არამედ ერთი მცირე და თავმდაბალი კაცი, რომელიც მოღვაწეობითა, სიმდაბლითა ატარებდა ცხოვრებასა თვისსა.

ბოლოს, კიდევ რომ კაცმან მთელი თვისი ცხოვრება გაატაროს უქმად, მრავალი ცოდვა აღასრულოს, ლვთის მსახურება, დიდება არ ეფიქრებიოს ქვეყანასა ზედა, თუ მოინდომა, ჭკუა იხმარა, ლმერთი შეიწია, იმასაკ კი შეუძლია უკანასკ

ნელს უამს შეინანოს, იტიროს, მოემზადოს, ეზიაროს და მით
ძლევა შეიმოსოს ცოდვასა და ეშმაკსა ზედა, და მაინც კეთი-
ლად დააგვირგვინოს ცხოვრება თვისი. პატიოსანი და ქრის-
ტიანული გარდაცვალება არის გვირგვინი ქვეყნიურისა ცხო-
ვრებისა. არა ამაოდ არის თქმული: პატიოსან არს სიკვდილი
მართალთა. ხოლო ცოდვილისა კაცისა, შეუნანებელისა, რომე-
ლი თვით სიკვდილის დროს არ მოვა გრძნობაში, არ გაიხ-
სოვნებს—ბოროტე არს სიკვდილი მასი, სიკვდილი ცოდვილთა.

და ესრედ, ძმაო, ეცადე გულმოდგინედ რომუკანასკნელ-
ნი მაინც წამნი შენისა ცხოვრებისა მოიხმარო შენი სულის
ცხონებისათვის, შეინანო, ეზიარო სასოებით, მაშინ შენც შე-
გიძლია თამამად სთქვა: აშ განუტევე, მეუფე, მონა შენი მშვი-
დობით. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

**თქმული ქუთაისს, დღესა უფლის მიგვმებისა, ანუ
მირჩმისასა.**

იქსო წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასა-
კითა, და მადლითა წინაშე ღმრთისა და
კაცთა. (ლუკ. 2. 52).

სახარება დაწვლილებით არ მოგვითხრობს ჩვენ, ძმანო
ქრისტიანენო, რა სახით სწავლობდა და იზრდებოდა უფალი
იქსო ძრისტე სიყმაწვილესა შინა თვისსა. მრთი მხოლოდ
ლუკა მახარებელი ახსენებს მოკლედ, რომელ იგი იყო და-
მორჩილებულ დედმამათა თვისთა და წარემატებოდა სიბრძნითა
და ჰასაკითა, და მადლითა წინაშე ღვთისა და კაცთა. ზარნა ესეც
საკმაო არის ჩვენდა სასწავლებლად. ზონიერნი და ღვთის მო-
შიშნი მშობელნი ამ მოკლე სიტყვისაგანაც გამოიყვანენ, თვის-
და სახელმძღვანელოდ, დიდსა სწავლასა და დარიგებასა იმა-

ზედ, თუ რა სახით უნდა ჰზრდიდენ იგინი თვისთა მცირე წლოვანთა შვილთა.

ბარნა, პირველ, ვიდრე შეუდგებით ჩვენ უბნობასა ამ საგანზე, გამოვითხოვ თქვენგან ნებას, მოგახსენო თქვენ ერთი მცირე შემთხვევა, რომელიც მოხდა ამ დღეებზე. ის შემთხვევა, სხვათა შორის აღვიხესნის და დაგვიმტკიცებს, ჩვენ, რა უგუნურად იზრდებიან ჩვენ ქვეყანაში მშობლების სახლებში, და რაოდენი ცუდი ზნე და ვნება წარმოსიგება იქიდგან. ის შემთხვევა იყო ამ სახით: ერთს პატარა ხუთის ანუ ექვსის წლის ბავშს, ღარიბს, ფეხ-ტიტველს, თავ-დაუხურავს, ხელში ეჭირა ცოტა ოდენი ფული და მირბოდა სახლში, სადაც მას ჰყავდა მოხუცებული მამა, თუ ბიძა, გარდაცვალებული. იმ ფულით უნდა ეყიდათ კუბო მიცვალებულისათვის. ამ უამად იმას მიეწევა ერთი ვიღაცა ყმაწვილი კაცი, კარგად ჩატული და უთუოდ კეთილშობილთაგანი, გამოსტყუებს ამ ფულს, და ჰსურს წართმევა მისი. ბარნა შორიდგან დაინახა ეს საქმე სხვამ ვინმე კაცმა, მივიდა, შეარცხვინა იგი და დააბრუნებია ფული ბავშვისათვის. ძლიერ უბრალო არის ეს შემთხვევა, მაგრამ რაოდენს სამწუხარო აზრს გააღვიძებს იგი კაცის გულში. პირველად, მიაქციე ურადვება, ძმაო, იმაზე, რომელ ის კაცი, რომელსა არ შერცხვა ამისთანა უღმრთო საქმისა, არ იყო ერთი გავარდნილი და გარყვნილი ქურდი. იგი იყო, როგორც ვსოდეთ, კარგად ჩატული, უთუოდ კეთილშობილი; თუმცა სახელი და წოდება მისი დარჩა უცნობელი, გარნა, როგორათაც ზოგიერთნი ამბობენ, იგი არის სამსახურში. შოველს შემთხვევაში, უეჭველია, რომ საზოგადოებაში იგი იქცევა კეთილშობილურად, ლაპარაკი და სახე იმას აქვს უთუოდ მოსაწონი, ერთი სიტყვით, იმას ისრეთი სახე, და ქცევა აქვს, რომ ვერავინ ვერ იფიქრებს, რომ იგი ამისთანა საძაგელ საქმეს არ მოერიდება,—და რისგან და საიდგან არის ეს-რეთი გასაოცარი უთანხმოება და წინააღმდეგობა კაცის საქმისა და სახისა, ლაპარაკისა და მოქმედებისა? რისგან არის, რომ გარეგანი კაცისა სჩანს პატიოსნად, მოსაწონად, მაშინ, როდესაც შინაგანი მისი არის აღვსებული ყოვლითა საძაგლობითა და სიმყრალითა? ვგონებ, შეცდომა არ იქნება ჩემგნით

ვსოდეთ, რომ ერთი ამის უმთავრესი მიზეზთაგანი, არის ცუდი, უგუნური აქაურის ბავშების აღზრდა თავის დედ-მამის სახლში.

სახარებაში თქმულ-არს, როგორც ზემოდ მოვიყვანეთ, რომელ შფალი იესო შრისტე, როდესაც იგი იყო მცირე-წლოვანი, იყო მორჩილებასა შინა დედმამისასა, და წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა, და მადლითა წინაშე ლვთისა და კაცთა საკვირველია, რა სიბრძნესა სწავლობდა მცირე წლოვანი შრმა, და რა მადლით წარემატებოდა იგი? აქ, ძმაო, წიგნების სწავლაზე არ არის თქმული, არამედ ზნეობის და ხასიათის სწავლაზე. მშობელნი მისნი ადრიდგანვე, ვიდრე იგი იყო მცირე-წლოვანი, აშენებდენ მის სულში და გულში საფუძველსა კეთილსა ზნეობისა, სიწმიდისა, სიმართლისა და სათნოებისასა. ასე იზრდებოდა შფალი იესო შრისტე! თუმცა იგი იყო ძე ლვთისა, მაშასადამე, მისთვის რა საჭირო იქმნებოდა აღზრდა, დედმამის მორჩილება, სწავლა, გარნა ეს მოხდა და დაიწერა სახარებაში ჩვენთვის, რათა ყოველთა მშობელთა ახსოვდეს, თუ რა მოწიწებით და მეცადინეობით უნდა პზრდიდენ იგინი თვისთა შვილთა. ზნეობის სწავლა, პატიოსნების მიჩვევა, სიცრუვის მოძულება, ყოველი სიბრუნვის, სიყალბის მორიდება, სიყრმიდგან, სამი-ოთხი წლიდგანვე უნდა ასწავლონ, მჩაჩვიონ მშობელთა თვისნი შვილნი. როგორც ენას ამოიდგამს ბავშვი, მაშინვე ცოტაოდენი განრჩევა ცუდისა და კარგისა, მოსაწონისა და დასაწუნებელისა უნდა შეატყობინონ მას, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ უმფრო საკუთარი ქცევით.

გარნა, საუბედუროდ, ჩვენებურნი მშობელნი იქცევიან სრულიად ამის წინააღმდეგად; უმეტესი ნაწილი აქაურთა მშობელთაგანი, სრულიად არ ჰთიქრობს და არ სცდილობს, რომ მცირე-წლოვანთა ბავშვთა ასწავლოს კეთილი ყოფა-ქცევა და კეთილი ზნეობა. აქაურნი ბავშვნი იზრდებიან სრულიად მიუხედველად მათდა. რას სწავლობენ იგინი, რას ეჩვევიან—ამას მშობლები სრულიად არ ეძებენ. თუ რაიმე ცხადი სიცუდე ჰქმნა, ბავშვი არისო, არაფერიაო, გაიზრდება—გამოიცდებაო. როდესაც გაივლი ქალაქის ქუჩებში, ანუ სოფ-

ლებში, სახლების წინაშე, პნახავ, რომ მცირე წლოვანი ბავ-შვები გდიან მიწაზე, ტალახში, ანუ მტვერში, გოჭებთან, ანუ თხებთან, გასვრილნი, ერთმანეთს ეჩხუბებიან და აგინებენ, და ეჩვევიან ყოველსა ცუდსა ზნესა. ღილიდამ სალამომდი მშობ-ლები ერთხელაც არ შეჰედვენ მათ, და ერთ დარიგებასაც არ მისცემენ. ამ სახით, ვიდრე ბავშვი შეიქმნება რვისა ანუ ათის წლისა, იგი გაიგონებს, პნახავს და ისწავლის ყოველსა სიცუდესა და სიბილწესა, გარნა კეთილსა აზრსა და ზნეობასა ვერც ერთს ვერ შეიტყობს, ვერ ისწავლის. რა კეთილი უნდა გამოვიდეს ამ სახით გამოზრდილისა ბავშვისაგან.

ბარნა, მსმენელნო, იქნება იფიქროთ, რომ ამ სახით იზრ-დებიან მხოლოდ დაბალი ხალხისა, და არა კეთილშობილთა შვილები. ამაზე მე გიპასუხებთ, რომ დიდი განსხვავება არ არის მათ შორის: კეთილშობილის ოჯახის შვილები პირველ-სა ჰასაკასა, რვა თუ ცხრა წლამდის, იმ სახითვე ატარებენ დროებას ქუჩებში, მინდვრებში, ეზოებში, ტყებში და ველში, პნახვენ და ისწავლიან ყოველსა ცუდსა. მართალია, ამის მერ-მე მშობელნი მათ მისცემენ სასწავლებელში, მაგრამ ცუდ სა-ფუძველზე კარგის სწავლის დაშენება არ შეიძლება. რაკი ცხრა წლამდის ყრმა იყო დამორჩილებული დედ-მამისა, და არ წა-რემატებოდა სიბრძნითა, ჰასაკითა და მადლითა წინაშე ღვთისა და კაცთა, მერმე ძნელი იქნება მისი ხასიათის გასწორება.

მართალია, არა ყოველნი მშობელნი იქცევიან ესრედ უგუნურად. მრავალნი მათგანნი სცდილობენ, რომ მათ მცირე წლოვანების გულში დანერგონ კეთილი ზნეობა და პატიოსა-ნი ყოფა-ქცევა, მაგრამ აქაც ერთი შეცლომილი ჩვეულება აქვსთ აქაურთა მშობელთა. ნაცვლად მისა, რომ მათ ყოველი თვისი მეცადინეობა მოიხმარონ, რათა შვილი მათი წარემატე-ბოდეს ჰასაკითა, სიბრძნითა და მადლითა წინაშე ღვთისა, ესე იგი შეაგონონ თვის შვილსა, რომელ ღმერთი ჰქედავს ყო-ველსა მისსა აზრსა და საქმესა, მას უნდა სცხვენოდეს ღვთისა, და ცუდ საქმეს ერიდებოდეს ღვთის გულისათვის, სულის და გულის სიღრმეში გაუჩინონ, გაუზარდონ მართლ-მსაჯული, წრფელი სინიდისი, — მშობელნი ასწავლიან შვილთა მხოლოდ გარეგანსა პატიოსნებასა. თუ ცუდი რამე ჰქმნა ბავშვმა, მაშინვე

მიაძახებენ: არა გრცხვენიაო, რომ დაგინახონ, რას იტყვიანო შენზე. ამისთანა ლაპარაკით ბავშვის გულში ის აზრი და მეცადინეობა გამოიხატება, რომ ოღონდ ვინმემ კაცმა არ დაინახოს მისი ცუდი ქცევა, და, რაც გინდა ჰქნას, არაფერია. იმას კი არ ჰფიქრობს, რომ ყოველ ცუდ საქმეს მოერიდოს, არამედ სცდილობს, რომ სხვამ არავინ შეუტყოს მისი ცუდი საქმე, და სადაც შეუძლია ჩუმად ცუდი საქმის ქმნა, იქ არ მოერიდება, როგორათაც ის საცოდავი, რომელზედაც თავიდგანვე ვსთქვით. მაცის სირცხვილი არ დაგიცავს ცოდვისაგან, თუ საკუთარი შენი სინდისი გაჩუმებულია; თუ შენი სინდისი არ გელაპარაკება, არ გარცხვენს, არ გაწუხებს, თუ იგი გაყრუებულია, ათას ნაირად შეგიძლია ცოდვა აღასრულო, და არავინ დაგინახოს.

მათ ქრისტიანე! თუ დმერთმა მოგცა შვილი, ეცადე და ფრთხილად იყავი, რომ ადრიდგანვე არგაჰდებუჭდეს მისი ზნეობა და ხასიათი. ადრიდგანვე, ვიდრე იგი შენს ხელშია, დაპნერგე მის გულში ის ჩვეულება, რომელ იმას, ყოველი ცუდი საქმისათვის და ქცევისათვის, თვისი ჭკუა, ანუ, უმჯობეს არს თქმად, თვისი სინდისი, დვთის მაღლით განათლებული, აშინებდეს და არცხვენდეს. მრთი სიტყვით, ეცადე, რომ იგი წარემატებოდეს, ვითარცა შფალი მესო შრისტე, სიბრძნითა და მაღლითა, არა მხოლოდ წინაშე კაცთა, არამედ პირველად წინაშე დვთისა და მერმე კაცთა. ამინ.

ვერის-ცვალებასა ზედა.

მოვედით აწ უალრესითა შეცვალებითა შეცვალებულთა, თავნი თვისნი განვიშადეთ ხვალისად, კეთილად აღსვლად მთად ლვთისად წმიდად, უცვალებელისა ძრისტეს დიდებისა აელვარებულისა ხილვად. (საგალობელი დღესასწაულისა).

მს სიტყვები, ძმანო ქრისტიანენო, ჩვენ მოვიყვანეთ ერთი-სა საეკლესიო საგალობელისაგან, რომელიც ითქმის მწუხარსა ზედა აწინდელისა დღესასწაულისასა.

ვგონებ, რომელ ზოგიერთთა თქვენგანთა, რომელნი ყურადღებით და სასოებით ისმენთ საეკლესიო წიგნთაგან საკითხავთა, იცით, რომ საიღესასწაულო საგალობელნი და წასაკითხავნი, ფრიად მშვენივრად აღსნიან დღესასწაულის მნიშვნელობასა, და მრავალთა მშვენიერთა და აღმაშენებელთა და გრძნობად მომყვანებელთა აზრთა და დარიგებათა იპყრობებ თვის შორის. ამ სახით, ზემო-მოყვანილი სიტყვებით წმიდა ეკკლესია მოგვიწოდს ჩვენ, რათა თავნი ჩვენნი განვამზადოთ უალრესითა შეცვალებითა, ესე იგი, სიცუდისაგან და სიბოროტისაგან შევიცვალოთ თავნი ჩვენნი, ანუ, მოკლედ ვსთქვად, ჩვენცა ფერი ვიცვალოთ, და, ესრედ, კეთილად აღვიდეთ მთად წმიდად, ხილვად უცვალებელის ძრისტეს დიდებისა.

მართლა, რისთვის იცვალა ფერი შფალმან იესო ქრისტემან მთასა ზედა? რად გამოაჩინა მან ბრწყინვალე დიდება თვისი მთასა ზედა თაბორსა, მაშინ, როდესაც მას, ვითარცა მოგვითხრობს სახარება, არაოდეს არ უყვარდა თვისი დიდების გამოჩენა, არამედ ჰმალვიდა და ჰფარვიდა თავსა თვისისა სოფლისაგან? სხვათა შორის, მისთვის, რათა აღვიხსნას და

ცხადად გვაჩვენოს ჩვენ საიდუმლო მომავალისა ცხოვრებისა ცათა შინა, და დიდებისა მართალთა კაცთა. დღევანდელი სახარება მოგვითხრობს ჩვენ, რომელ, როდესაც შფალი იქსო ძრისტე აღვიდა მთასა ზედა თაბორსა, და დადგა ლოცვად, მაშინ იცვალა მათ წინაშე მოციქულთა სხვა ფერად, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, და სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი. (მათ. 17, 2.) ამასვე არ იტყვის წმიდა მოციქული პავლე მართალთა ზედა? რომელ იგინი სასუფეველსა შინა ცათასა გაბრწყინდებიან ვითარცა მზე? მაშასადამე, შეიძლება ვსოდეთ, რომ ცხონება მართალთა სასუფეველსა შინა იმაში მდგომარეობს, რომელ იგინიცა ფერს იცვლიან და განბრწყინდებიან, ლირსებისამებრ თვისისა, ვითარცა შფალი მთასა ზედა თაბორსა.

გარნა ესრეთი განბრწყინვება, ანუ ესრეთი ფერის-ცვალება უცვად, მოუმზადებელად არ მოხდება. დიდი მეცადინეობა, მომზადება და მოთმინება უნდა ვიხმაროთ ჩვენ ყოველთა ქრისტიანეთა, რათა ველირსნეთ ესრეთსა ფერის-ცვალებასა. აქვე, ამ ქვეყანაზე და ახლავე უნდა ვიწყოთ ჩვენი ფერის-ცვალება. მოვედით აწ უაღრესათა შეცვალებითა შეცვალებულოა, ვიდრე-მდის აქვე ვართ ქვეყანასა ზედა, თაგნი თვისისნი განვაჭმადეთ სვალისად, ესე იგი მომავალისა საუკუნისათვის, გეთილად აზა-გლად მთად წმიდად დგომისად, ესე იგი სასუფეველსა შინა ცათასა, უცვალებელისა ქრისტეს დიდებისა აელგარებულისა ხილვად.

მართალია, მთელი ქვეყნიური ცხოვრება კეთილგონიერის ქრისტიანისა, სხვა არაფერი არ უნდა იყოს, გარნა ერთი მხოლოდ განუწყვეტელი და ხარისხითი-ხარისხად აღმავალი სულიერი ფერის-ცვალება, ესე იგი შეცვალება, ანუ გადასვლა არა-კეთილისა სულიერისა მდგომარეობისა და ხასიათისა, კეთილსა და წმიდასა მდგომარეობასა შინა, და ესრედ აღსვლა მდაბლისა ხარისხისა—უმაღლესსა ხარისხსა ზედა სიწმინდისა და სათნოებისასა. სულიერი ცხოვრება და წმდგომარეობა ქრისტიანისა თან-და-თან, დღითი-დღე უნდა იცვლებოდეს, განახლდებოდეს, უმჯობესდებოდეს, ამაღლდებოდეს. შმაღლესი ნიჭი, ანუ თვისება კაცის სულისა, არის გონება, მეცნიერება, ანუ ჭიუა. მს ნიჭი და გონება ჩვენი თან-და-თან უნდა იზრდებოდეს,

სრულდებოდეს, განახლდებოდეს, ვითარცა იტყვის წმიდა მოკიქული პავლე: ნუ თანა-ხატ-ექმნებით სოფელსა ამსა, არამედ შეიცვალენით განახლებითა მით გონებისა თქვენისათა, რათა გამოაცადოთ, რა იგი ასე ნება ღმრთისა, კეთილი, სათხო და სრული. (რომ. 12, 2.) ამ სოფელს ნუ დაემსგავსებითო, არამედ შეიცვალენით გონების განახლებითაო, რათა იცნათ ნება ღვთისა. თუ გონება ჩვენი თან-და-თან არ მდიდრდება და არ განახლდება ღვთის მცნებისა, საღმრთო წერილის, ანუ ღვთის სიტყვის სწავლითა, მაშინ იგი შეიქმნება ბიწიერი, სოფლიერი, მაშასადამე, ფერს ვერ იცვლის, ვერ გაბრწყინდება. მეორე, უდიდესი სულისა ჩვენისა თვისება, ანუ ნიჭი, არის ნება ანუ სურვილი, რომელსა კიდევ ეწოდება მნებელობა, რომელი ჰმართავს მოქმედებასა ჩვენსა. ძეთილგონიერმა ძრისტიანემ ყოველთვის უნდა ეცაროს, რომ გული თვისი განახლოს, გაიცოცხლოს, შესცვალოს, ერთი სიტყვით, სხვა სულიერი და საღმრთო ფერი მისცეს. სიტყვა ღვთისა გვიმტკიცებს ჩვენ, რომელ, თუ გული, ანუ სურვილი კაცისა ცოტ-ცოტად არ იცვლება სულის წმიდის ტაძრად, მაშინ იგი გადიქცევა ცოდვისა და ეშმაკისა საღვურად. მაშასადამე, მორწმუნე და გონიერი ქრისტიანე მღვიძრად უნდა იდგეს სახმილავსა ზედა გულისა თვისისასა, და დღითი-დღე მიუშვებდეს სულისა წმიდასა, რათა მაღლმან სულისა წმიდისამან ცოტ-ცოტად სცვალოს სულიერი ფერი მისი. მრთი სიტყვით, კაცი მონათლული ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ ყოველი ძველი, ცოდვისაგან წამხდარი ფერი განიძარცვოს, და ახალი, განათლებული მაღლითა, შეიმოსოს, ვითარცა იტყვის წმიდა მოკიქული პავლე: განიძარცვედ შეეღია იგი კაცი საქმით მისთურთ, და შეიმოსეთ ახალი იგი განათლებული მეცნიერება, მცგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა.

მაშასადამე, ცხადი არის, რომელ თუ აქვე, ამ სოფელში არ ვიწყეთ მზადება, აქვე არ შევუდეგით ჩვენსა სულიერსა ფერის-ცვალებასა, მაშინ ვერ ვეღირსებით დიდებასა ღვთის სასუფევლისასა, რაც შეიძინა აქ კაცის სულმა, იმას გადიტანს იმ სოფელში. რაც ფერი აქ მიიღო მისმა სულმა, იმ ფერით გადავა იმ სოფელში. თუ გული მისი მუდამ იყო აქ აღვსებული ბოროტებითა, ამაოებითა, ცოდვითა, იქ როგორდა გაბრ..

წყინდება და რით განათლდება? აქ უნებლივად გაგვახსოვდება ჩვენ ერთი არა-გონიერი ჩვეულება, რომელიც ძველად ჰქონდათ ჩვენთა წინა-პართა და ახლაც, ერთის მხრით, დაშთენილი არს ჩვენ შორის. ზოგიერთი საბრალო ქრისტიანე, თუმცა მორწმუნე არის და სასოება აქვს, გარნა წარტაცებული სოფლის ამაოებითა, სიკვდილადმდე ანუ სრულიად არ ჰყიქრობს, ანუ ჰყიქრობს ძრიელ მცირედ და სუსტად სულის ცხონებაზე, და როდესაც მოიწევა უკანასკნელი უამი, მაშინ იწყებს ურვას, მწუხარებას, შიშითა და სირცხვილითა არა იცის რა ჰქმნას, და ესრედ საცოდავად შეშინებული, გადავა ამ სოფლიდან. გარნა ზოგიერთნი კიდევ მაზე უარესად და უგუნურად მოიქცევიან. ზოგიერთთა იმედი აქვთ თავის შეძლებაზე, ანუ სიმდიდრეზე; სიცოცხლეში, არ სცდილობენ, რომ სული და გული, ხასიათი შეიცვალონ, ერთი სიტყვით, გაშავებული ცოდვისაგან ფერი სულისა შეიცვალონ სათნოების, ესე იგი ლვთის და მოყვასის სიყვარულის, ფერად, და როდესაც მიადგება მათ სიკვდილი, მაშინ იგინი გასცემენ მრავალთა სასყიდელთა, თუ მონასტრებსა შინა, თუ ეკკლესიათა, ანუ საწირავად, და ამით მხოლოდ ჰყიქრობენ, რომ სცხონდებიან. რასაკვირველია, წირვა-ლოცვა და გაცემული სამოწყალო, ვითარცა გვასწავლიან. წმიდანი მამანი, შეეწევიან კაცის სულის ცხონებას, გარნა როდის? მხოლოდ მაშინ, როდესაც მიცვალებული თავის სიცოცხლეში არ იყო უდები, არამედ სულსა თვისსა ამზადებდა, ცუდსა და მყრალსა ცოდვის ფერსა იცვლიდა, და, ბოლოს, საწირავიცა და სამოწყალოც გასცა იმ სასოებით, რათა ლოცვამან ეკკლესიისამან და მოყვასთა მისთა, დაკლებულნი მისგან შეავსონ და განამტკიცონ ლვთისა წინაშე. ამინ,

უერის-ცვალებასა ზედა.

და, აპა, ხმა იყო ღრუბლით გამო და
ჰქონდა: ესე არს ძე ჩემი, საყვარელი, რო-
მელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ
(მათე 17, 5).

უერის-ცვალება შფლისა ჩვენისა იესო შრისტესი, რომელ-
სა აწ ჩვენ ვდღესასწაულობთ, ძმანო ქრისტიანენო, არის ერთი
სხვათა უმეტესად შესანიშნავი გარემოება ქვეყნიერისა მისისა
ცხოვრებისა, ამისთვისაც წმიდა ეკლესიამ საჭიროდ და ღირ-
სად შეპრაცხა დაწესება საკუთარისა დღისა სადღესასწა-
ულოდ ამ შემთხვევისა, და გვიწოდებს ჩვენ, რათა ჩვენ-
ცა აღვიდეთ მთასა ზედა მისთანა: მოგედით და აღვიდეთ
მთად მიმართ შფლისად და სახით ღვთისა ჩვენისა, და ვიხი-
ლოთ დიდება ფერის-ცვალებისა, დიდება ვთარცა მხოლოდ-შობილისა
მამისა მერ. ღვემორჩილოთ ხმასა ელესიისასა, და აღვიდეთ
სულითა, აზრით და გულით მთასა ზედა თაბორსა, და მუნ
ვიხილოთ შფალი გაბრწყინვებული, ვითარცა მზე, და ვისმი-
ნოთ ხმა ზეცით მეტყველი: ესე არს ძე ჩემი, საუჯარელი, რომე-
ლი მე სათნო ვიყავ; მაგისი ისმინეთ.

საკვირველნი და შესანიშნავნი იყვნენ ყოველნი გარემოე-
ბანი, რომელნი წინა უძლოდენ და უკანა უვიდოდენ ფერის-
ცვალებასა შფლისა იესო შრისტესსა. იგინი ყოველნი არიან
აღვსებულნი დიდიდა სწავლითა, და მრავალთა აზრთა განა-
ლვიძებენ გონებასა შინა ჩვენსა. მაგალითებრ, რისთვის იცვა-
ლა შფალმან ფერი მაღალსა მთასა ზედა, და არა სხვა ადგილს?
რისთვის იცვალა ამდღეს, და არა უწინ, ანუ მერმე? რისთვის წაი-
ყვანა მოწმად მხოლოდ სამნი მოციქულნი, და არა თორმეტნი? რი-
სთვის მოვიდენ ზეციდგან მხოლოდ მოსე და ილია, დასწრებად

ფერის-ცვალებასა ზედა, და არა სხვანი რომელნიმე წინასწარ-
მეტყველნი? დიალ, ლირს და სასარგებლო იქმნება ახსნა და
განმარტება ამათ ყოველთა და სხვათაცა მრავალთა გარემოე-
ბათა, რომელნი გარემოუვიდოდენ ფერის-ცვალებასა შფლი-
სასა; გარნა ჩვენ დღეს მიგაქციოთ ყურადღება მხოლოდ ერთს
საგანზედ, ესე იგი შევიტყოთ, რისთვის იცვალა შფალმან
ფერი? რათ გამოაჩინა მან ესრეთი და თავისი დიდება
წინაშე მოწაფეთა თვისთა, მაშინ, როდესაც მას არ უყვარდა
თვის გამოჩენა, და არავისგან არ ეძიებდა და არ მიიღებდა
დიდებასა?

შმიდა ეკლესია ერთსა შინა საგალობელსა თვისსა ერთი
მხრით ალგვიხსნის ამას. იგი იტყვის, რომელ შფალმან მის-
თვის გამოაჩინა დღეს დიდება წინაშე მოწაფეთა თვისთა, რათა,
როდესაც ისინი იხილავენ მისსა ვნებასა, ჯვარუმასა, განკიცვა-
სა, სიკვდილსა, არ დაბრკოლდენ, არ დაჰკარგონ სარწმუნოე-
ბა, არამედ გაიხსოვონ ფერიცვალება მთასა ზედა თაბორსა, და
მიჰხედენ, რომელ ყოველი ვნება და დამდაბლება, მაცხოვარმან
მიიღო თავისი ნებით, ჩვენისა ცხონებისა და გამოხსნისათვის.
მს იყო ერთი მიზეზი, რომლისათვისაც მაცხოვარმან ფერი
იცვალა მთასა ზედა თაბორსა, გარნა მეორე მიზეზი, ანუ სა-
განი ფერის-ცვალებისა, მიზეზი უმაღლესი, იყო ის, რათა
მოქლემა ქვეყანამ, ყოველმან ნათესავმან კაცთამან, მაშინდელ-
მან, ახლანდელმან და მომავალმან გაიგონოს, და ვისაც სული
და გული აქვს მიმღებელი, ისმინოს და მიიღოს და მიითვი-
სოს ეს სიტყვა, ზეგარდამოსული ზეციერისა მამისაგან: ესე
ასე მე ჩემი, საყვარელი რომელი მე სათნო ვიყავ; მაგისი ისმინეთ.

პირველად, მიაქციეთ, ძმანო, ყურადღება, საიდგან გამოვიდა
ეს საკვირველი სიტყვა? ის გამოვიდა არა ქვეყანისაგან, არამედ
ზეციდგან. მს სიტყვები სთქვა არა კაცმან ვინმემ, არცა ანგე-
ლოზმან, არამედ თვით დმერთმან, ცის და ქვეყნის შემოქმედმან.
თვით ზეციერი მამა და შემოქმედი ჩვენი იტყვის დღეს, რო-
მელ იქსო შრისტე არის მისი საყვარელი და სათნო ძე, და
გვიბრძანებს, რათა მაგისი ვისმინოთ. თუ ეს გარემოება მარ-
თალია, ესე იგი, თუ მართლა თვით ზეციდგან ეს ხმა იყო და
ეს სიტყვები მოციქულთა გაიგონეს, წარმოიდგინე, მაშინ,

ძმაო, რა დიდსა ნუგეშსა, რა დიდსა სიხარულსა, რა დიდსა სიმტკიცესა შეიქმს ჩვენ ყოველთა მორწმუნეთა ქრისტიანთა-თვის ეს შემთხვევა! და, რომ ეს გარემოება მართალია, ეს ჩვენ ვიცით თვით მხილველთა მოწმეთაგან, რომელი დაესწრენ და იხილეს დიდება იქსოს ფერის-ცვალებისა. მრთმან მათგან-მან, პეტრე მოციქულმან, თავის სიცოცხლეშივე დაწერა თავის ხელით წიგნში ეს გარემოება. მისგან დაწერილი წიგნი მასუკან ყოველთვის არის ჩვენ, ქრისტიანეთა, ხელში. სხვათა დამსწრეთა მოწმეთა, თუმცა თვისი ხელით არ დაუწერიათ, გარნა მაშინვე დააწერინეს თვისთა მოწაფეთა, სამთა: მათეს, ლუკას და მარკოზს, და ამათგან დაწერილი სამი სახარება იმ დღიდგან მარადის არის ხელთა შინა ქრისტიანეთასა, და წა-იკითხების საყდარში.

დიდითა კრძალვითა და დიდითა სიხარულითა და ნუგე-შითა უნდა განვიზრახვიდეთ ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, ამას ყოველსა; დიდსა და აღურაცხელსა მაღლობასა უნდა შევსწირ-ვიდეთ ღმერთსა მას ზედა, რომ მან მოგვცა ესრეთი ცხადი დამტკიცება ჩვენის სჯულისა, ესრეთსა კლდესა ზედა დაამყა-რა იგი სჯული, რომელ, ვისაც კი უყვარს სიმართლე და ჰე-შმარიტება, ვისაც გული ცოტა-ოდენ გამზადებული აქვს და შეუძლია შეყვარება სიწმინდისა, სათნოებისა, ღვთის მცნები-სა და ღვთის სიტყვისა, მას არცა ერთი მცირედი მიზეზიაღარ დააბრკოლებს მიღებად და ოწმენად სახარებისა.

მეორედ, მივაქციოთ, ძმანო, ყურადღება მას ზედა, რა აზრი არის ამ სიტყვებში: ესე არა მე ჩემი, საუჯრედი, რომელი მე სათნო ვიყავ; მაგასი ისმანეთ.

ამ სიტყვებით თვით ღმერთი მოკლედ გამოპხატავს ორსა უმთავრესსა კერძოსა, ანუ შინაგანსა არსებასა ჩვენისა საღმრ-თოისა სჯულისასა. მრისტიანულს სჯულს აქვს ორი კერძო; ერთი არის სწავლა, რომელსა ეწოდება დოღმატი, ესე იგი რომელიმე აზრი, თვით ღვთისაგან გამოცხადებული რომელ-სამე საღმრთოსა, ჩვენის სულის ცხონებისათვის საჭიროსა სა-განსა ზედა; მეორე კერძო მცნება, ანუ რომელიმე პრძანება, ანუ მოვალეობა. პირველი, ესე იგი დოღმატი, ანუ სწავლა, ჩვენ უნდა მივიღოთ და ვირწმუნოთ ჭკუითა; მეორე, ესე იგი

მცნება, ანუ ბრძანება, უნდა აღვასრულოთ საქმითა. ის სიტყვა რომელი მთასა ზედა თაბორსა მოვიდა ზეციდგან: ესე არს მე ჩემი საფა და, რომელი მე სათნა ვიყავ; მაგისა ისმინდო, - იპყრობს თვის მორის უმაღლესსა ქრისტიანულსა დოღმატსა და უდიდესსა მცნებასაცა.

ესე არს ძე ჩემი საფარელი, რომელი მე სათნა ვიყავ! აპა, უპირველესი ქრისტიანული დოღმატი, სწავლა, რომელისა ზედა დამყარებულნი არიან ყოველნი სხვანი ქრისტიანულნი სწავლანი და დოღმატნი. იესო მრისტე არის საყვარელი, მხოლოდ-შობილი ძე ღვთისა ჩვენი მაცხოვარი. მან შეგვარიგა ღმერთთან; მას მხოლოსა შეუძლია გამოყვანა ჩვენი ცოდვისაგან და მიყვანა ზეციერისა მამისადმი.

მაგისა ისმინდო! აპა, უმაღლესი და უპირველესი ქრისტიანული მცნება, ანუ ბრძანება! იესო მრისტეს სმენა, ანუ მორჩილება არის წყარო ყოველთა სხვათა ქრისტიანულთა სათნოებათა, ესე იგი ყოველი საქმე, რომელსა იქმს ქრისტიანე, მხოლოდ მაშინ არის კეთილი და ღვთის სათნო, როდესაც იგი არის ქმნილი მრისტეს მორჩილებითა; გარნა ყოველი ის საქმე, რომელსა კაცი იქმს თავის მნებელობით, თავის-მოყვარეობით, თავის-მოწონებით, თუ გინდ იგი იყოს ჭკუიანი და სასარგებლო საქმე, არ შეერაცხება მას სათნოებად.

მაგისა ისმინდო! მსე იგი, რაც მან გიბრძანოსთ, რაც დაგიდვასთ მცნება, ის ჰქმენით. თქვენი ნება და ჭკუა დაუმორჩილეთ მის ნებას და სურვილსა. არა მარტო სასმენელით, ანუ ყურით, მისი სწავლა მიიღეთო, არამედ გულითა და სულით შეიყვარეთო. იგი გამოგზავნა ზეციერმა მამამან საცხონებლად ჩვენდა. რა ზომად მას დაემორჩილება კაცი, იმ ზომად ამაღლდება ზნეობით, მიეახლება ღმერთსა და ცხონდება. ამინ.

უერის-ცვალებასა ზედა.

გლობავ თქვენ, ძმანო, ნუ თანა-ხატ-
ექმნებით სოფელსა ამას, არამედ შეი-
ცვალენით განახლებითა მით გონებისა
თქვენისათა, რათა გამოიცადოთ, რა
იგი არს ნება ღმრთისა, კეთილი, სათ-
ნო და სრული (ჩომაელთა 12, 2.)

დღეს ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, ვდღესასწაულობთ ფერის-
ცვალებასა შფლისა ჩვენისა იქსო შრისტესასა. რისთვის იცვალა
იქსო შრისტემ ფერი? რისთვის გამოიჩინა მან დღეს თვისი ღვთა-
ებრივი დიდება წინაშე მოწაფეთა? მისთვის, რათა გვაჩვენოს ჩვენ
ის დიდება, ის სახე და მდგომარეობა, რომელიც მიეცემა ყო-
ველსა ღირსა კაცსა მერმესა საუკუნესა შინა. სასუფეველსა ში-
ნა ცათასა ყოველნი ცხოვებულნი კაცნი ფერს რცვლიან, ანუ
გაბრწყინდებიან, საზომისამებრ მათის ღირსებისა, ვითარცა იქსო
შრისტე მთასა ზედა თაბორისასა. ზარნა ეს დიდება და ბედნი-
ერება ვის მიეცემა, და რა პირობით მიეცემა? მიეცემათ მათ,
რომელნი აქვე, ამ ცხოვრებაში სცდილობენ გამოიცვალონ ფე-
რი და სახე ცხოვრებისა. მომავალი საუკუნოის ცხოვრება, ანუ
ბრწყინვალება, იმ პირობით მიეცემა კაცს, თუ აქვე, ამ საუკუ-
ნეშივე გამოიცვლის სოფლის ფერსა და მიიღებს სულიერსა ზე-
ციერსა, წმინდასა სახესა. ამისთვისაც გვლოცავს ჩვენ ზემო-მო-
ყვანილთა სიტყვათა შინა წმიდა მოციქული პავლე: ნუ თანა-
სატ-ექმნებით სოფელსა ამას, ესე იგი სოფლიურს ხატს და ფერს
ნუ მიიღებთო, არამედ შეიტყვალენთ ანუ ფერი იცვალეთო, გა-
ნახლებთა მით გონებისა თქვენისათა, რათა გამოიცადოთ, რა იგი არს
ნება ღმრთისა, კეთილი, სათნო და სრული.

ერთი ცუდი და თითქმის სულიერად დამღუბველი თვისე-
ბა აქვს ყოველსა კაცსა - ის, რომ ყოველი კაცი ჰბაძავს სხვათა

კაცთა, სკულილობს ისე იცხოვროს, როგორც სხვანი ყოველნი სცხოვრებენ, სოფლის ჩვეულებას დაემორჩილება, სოფლის ჩვეულება ეს არისო, იტყვის კაცი, ქვეყანა ასე სცხოვრობს, და მეც ასე უნდა ვიცხოვროთ. ჩვენ ვსთქვით, რომ ეს ოვისება და-მღუბველია; ეს მისთვის, რომ ზნეობა, ჩვეულება, ცხოვრება ქვე-ყანისა, ანუ საზოგადოებისა, უმრავლეს ნაწილად ყოველთვინ არის ცუდი, შრისტეს სჯულის წინააღმდეგი. დასამტკაცებელად ამისა საღმრთო შერილიდგან გვესმის მრავალ-გზის, რომ სო-ფელი ცოდვასა შინა სძევს. „მემავნო და მემრუშენო! არა უწეოთა, რამეთუ სიყვარული სოფლისა ამის მტერობა არს ღმრთისა? აწ უბეგ რომელსა უნებს მეგობარ-უოფად ამის სოფლისა, მტერად ღმერთისა აღუდგების“, — იტყვის წმიდა მოციქული იაკობ (იაკ. 4, 4.). „ნუ გიყვარს სოფელი ესე, ნურცა — რა არს სოფელსა ამის შინა; რომელსა უყვარდეს სორ ათ ესე, არ არს სიყვარული მამისა მისთხა, რამეთუ უფელიგე სოფელსა შინა, ესე არს გულის-თქმა ხორცოა, და გულის-თქმა თვალთა, და სიღაღე ამის სოფლისა“, — იტყვის იოანე ღვთის მეტყველი და მახარებელი.

იქნება შენ, ძმაო, კიდეც გაგიკვირდეს და გეწყინოს ეს სიტყვა, რომ სოფელი ცოდვასა შინა სძევს და წინააღმდეგია შრისტეს სჯულისა, და იქნება გეგონოს, რომ ეს მართალი არ არის; მაგრამ მიიხედ-მოიხედე გარემოსა შენსა: რას პნახავ? ახ-ლა ხომ მარხვა არის. ამ მარხვას, უწინ ღვთის მოსავნი ქრის-ტიანენი მძიმედ ინახავდენ. ახლა კი, ამ ჩვენს ქალაქში რომ მოიკითხო და დაუკვირდე, შეიტყობ, რომ ათი კაცისაგან ერ-თიც არ მარხულობს. მეორე მაგალითს მოგიყვან: მითხარი, ძმაო, ქრისტიანე კაცი, თუ მართლა ღვთის მოსავი არის, რა საგანზედ უნდა ჰფიქრობდეს ხშირად და რას განიზრახვიდეს? ანუ რა საგანზე უნდა ჰქონდეს ბაასი მოყვასთან მო-მეტებულად? რასაკვირველია, სულიერსა საგანსა ზედა, სულის ცხონებაზედ. ჟეშშარიტი ქრისტიანე, ღვთის მოსავი კაცი, ყოველთვინ უნდა გამოიცდიდეს, ვითარცა გვლოცავს წმიდა მოციქული პავლე, რა იგი არს ნება ღვთისა კეთილი, საონთა და სრული, ყოვლის ნაბიჯის გადადგმაზედ, ყოველი საქმის და-წყებაზედ, დიდი იყოს, გინა მცირე, უწინარეს ყოვლისა, ის

უნდა გამოიკვლიოს, კეთილი არის ის საქმე და სათნო ღვთისა, თუ არა, არის თუ არა ღვთის ნება და კურთხევა იმ საქმეზედ? ზარნა ვის პნახავ ახლა სოფელში, რომ ესრედ იქცეოდეს და ამას პზრახვიდეს? ახლა ყოველი კაცი მარტო იმას პფიქრობს—მოვიგებ, თუ წავაგებ ამ საქმეშიო? თუ რომელიმე საქმე მას მოგებას აღუთქვამს, მეტს არაფერს იკითხავს, და შეუდგება იმ საქმეს, თუ გინდ ცუდი იყოს და ღვთის წინააღმდეგი—არ ეძიებს. ასეა სოფელი, მისი ჩვეულება და ზნეობა. ამისთვის, თუ ღვთის მოსავი ხარ, ძმაო ჩემო, ნუ თანა-ხატ-ექმნები სოფელსა ამას, სოფლის ფერი შეიცვალე, სოფლის ჩვეულებას ნუ უყურებ, მტკიცედ გახსოვდეს და იცოდე, რომ თუ შენ ხარ ერთი სოფლის კაცი, არა უმჯობესი ათასთა და ბევრეულთა სოფლის კაცთა ვერ სცხონდები. არ დაივიწყო, რომ ცხონება კაცთა იქნება გამორჩევით. მჰადალნი არან წადებულ, გარნა მცირედი რჩებულ. დიდი და ფართო გზა არის სოფლის გზა, გარნა იგი მიიყვანს ჯოჯოხეთად; ცხონებულნივიწრო და მძიმე გზით დადიან.

მაგრამ სხვებს ნუ განიკითხავთ, თითოეულმა თავის თავი განიკითხოს, თვისი საკუთარი გული გამოიკვლიოს. აბა, გაიხსოვნე, ძმაო, პირმოუთნელად, რაზედ არის შენი დილიდგან სალამომდინ ზრუნვა და ფიქრი? რისთვის პემარობ შენსა ღონესა, სულიერსა და ხორციელსა, ვის შესწირავ უმჯობესთა შენთა ნიჭთა და გრძნობათა. საუბედუროდ, დილიდგან სალამომდინ და თითქმის ძილშიაც, ეს სოფელი და მისი ამაოება გახსოვს და ღმერთი და მისი დიდება არ გახსენდება ერთხელაც; ყოველი შენი ღონე და ფიქრი დამოკიდებულია სოფლის სიყვარულსა და მსახურებასა ზედა. ანუ, კი ევ, გაიხსოვნე, უთუოდ შენ, ვითარცა კაცსა, არა ერთგზიც გეწვია მწუხარება, იქნება არა ერთხელ გიტირია კიდეც; მითხარი, შენი მწუხარება რისგან იყო და ვისთვის, სოფლისაგან და სოფლისათვის, თუ ღვთისათვის? რამ გატირა შენ, სოფლის ამაოებამ, თუ ღვთის მადლმან? სოფლისათვის სტიროდი, თუ ღვთის წინაშე? მეორეს მხრით, უთუოდ არა ერთხელ მოჰსულხარ აღტაცებაში სიხარულისაგან, გარნა რამ გაგახარა შენ? სიხარული შენი სულიერი იყო, ან იქნება ღვინისაგან, ანუ სხვა უ-

რესი მიზეზებისაგან? ნეტავი მესამედი იმ მხურვალებისა და ერთგულებისა, რომელსა შენ სწირავ სოფელსა, ან პირდაპირ ცოდვასა, გეხმარებია ღვთისათვის და შენი სულისათვის!

მრთი სიტყვით, მთელი ჩვენი ცხოვრება გვაქვს შეწირული სოფლისათვის, ამაოებისათვის; ჩვენ ყოველთა გვაქვს სოფლიური ფერი და ზნე, მაშასადამე, თუ არ შევიცვალეთ ჩვენი სულიერი ფერი, თუ აქვე, ამ ქვეყანაშივე არ გამოვიცვალეთ ზნე, ხასიათი, ყოფაქცევა, ვერ მივიღებთ სულიერსა ფერსა და ნათელსა იმ ქვეყნისასა.

გარნა ამას ყოველსა, რაც აქამომდე კსტქვი, ესე იგი სოფლიური ფერის შეცვლას და ზეციური ფერის მიღებას, უნდა წინა-უვიდოდეს განახლება გონებისა. შეიცვალენთ განახლებით მთ გონებისა თქვენისათა. ზონება, აზრი ჰმართავს კაცის ზნეს, ცხოვრებას. თუ გონება აქვს კაცს დაბნელებული, გაუნათლებელი ქრისტეს სახარებითა, მისი სჯულითა, თუ გონებასა კაცისასა აქვს წარმართული, კერპთ-მსახურებრივი მიმართულება, მაშინ ყოველი მისი საქმე და ცხოვრება მიიღებს სოფლიურს, ბნელს ფერს; ამისთვის უმეტესად საჭირო არს ჩვენთვის, რომ გონებასა ჩვენსა და ჭკუასა ყოველთვინ განვაახლებდეთ, განვაცოცხლებდეთ საღმრთო წერილის კითხვითა და საღმრთო საგნებზე ზრახვითა და შესწავლითა. ამინ.

ს ი ტ ყ ვ ა,

თქმული ჯვართ-ამაღლების დღესასწაულსა ქუთაისის
საკათედრო ეპკლესისას შინა სახორციელო და სასუ-
ლიერო სასწავლებელთაგან შეპრეზიდოთა მოსწავლეთა-
დღი, 1874 წელსა.

დაღაცათუ ჩვენ, გინათუ ანგელოსი
ზეცით გახარებდეს ოქვენ გარეშე მი-
სა, რომელი იგი გახარე თქვენ, შე-
ჩვენებულ იყავნ. (ზალატელთა 1, 8).

დღეს თქვენდამი არის ჩემი სიტყვა და ქადაგება, საყვარელ-
ნო ყრმანო, რომელნი სწავლობთ სახორციელო და სასუ-
ლიერო სასწავლებელთა შინა ამის ქალაქისათა. დღეს მე ჩემი
საღმრთო მოვილეობა უნდა აღვასრულო თქვენს წინაშე: თქვენ
უნდა მოგცე სწავლა, დარიგება, გაფრთხილება. ისმინეთ ყუ-
რადღებით სიტყვა ჩემი და მოიხმარეთ იგი თქვენი სულიერი-
სა სიკეთისა და წარმატებისათვის.

გარნა პირველ, ვიდრე ვიწყებ სიტყვასა თქვენდამი, ერთი
შემთხვევა უნდა მოგიყვანო თქვენ, რომელიც მოხდა თვით აქ,
ამ ჩვენს ქალაქში, სამი თვეა მასუკან. იქნება ზოგიერთმა თქენ-
განმა კიდეც გაიგონა ეს სამწუხარო ამბავი, და ზოგიერთთათვის
ახლა პირველი გაგონება იქნება. მს ანბავი ის არის, რომ ერთ
სასწავლებელში ერთმა საცოდავმა, დროებით დაქირავებულ-
მა მასწავლებელმა, წინაშე თვით მცირე-წლოვანთა
მოსწავლეთა, წარმოსთქვა, ანუ, უმჯობესია, წარმოათხია პი-
რისაგან საშინელი გმობა, ანუ გინება, თვით ჩვენსა იესო ძრი-
სტესა და შოვლად-შმიდასა მისსა დედასა ზედა. არ არის საჭი-
რო დაუმატო აქ, რა შფოთი და უკმაყოფილება შეუდგა ამ
საჭმეს. ამ შემთხვევამ დაამტკიცა, რომელ ზოგჯერ მცირე-

წლოვანნი ბავშნი უფრო გონიერად იქცევიან, ვიდრელა დიდ-წლოვანნი კაცნი, და მოსწავლენი ყრმანი უფრო ჭკუიანნი გა-მოჩნდებიან, ვიდრელა მათნი მასწავლებელნი. ამ შემთხვევაში მოსწავლენი აღშფოთდენ, გაჯავრდენ და აღარ მოინდომეს სმენა მისი, გარნა მან, უგუნურმან და საცოდავმან, არ შეიკდი-მა და არც შეირცხვინა, ამ შემთხვევამ მეც ფრიად შემაწუხა და შემაშინა, რომ სხვაგანაც არ მოხდეს რაიმე ამის მსგავსი, მეშინია, რომ სხვანიცა თგვენგანნი არ აცდუნოს და გარდაა-ქციოს ვინმე ბოროტმა კაცმა. ბოლოს, იმისიც მეშინია, რომ, თუ არ გასწავლე თქვენ და არ გაგაფრთხილე, ჩემს დაუდევ-ნელობას არ მიაწეროს ღმერთმან ეს, და არ მომკითხოს მე. ბმისთვის დაგიბარე მე დღეს თქვენ აქა, და მსურს, რომ გაგა-ფრთხილო.

დადაცათუ ჩვენ, გრძათუ ანგელოზი ჸეცათ გახსარებდეს თქვენ გა-რეშე მისა, აჟაცა გახარე მე თქვენ, შეჩვენებულ იყავნ. მს სიტყვები მიწერა წმინდამან მოციქულმან პავლემ ბალატელთა, მისგან მონათლულთა და გაქრისტიანებულთა. შეიტყო მან, რომ ბა-ლატელთა შორის გამოჩნდენ ზოგიერთნი ბოროტნი კაცნი, რომელნი მათ ეტყოდენ იმის წინააღმდეგს, რაც მათ პავლე-საგან ისწავლეს. ამისთვის მისწერს მათ, რომ, გინა თუ მეო, გი-ნა თუ ზეციური ანგელოზი გასწავლიდეს თქვენ იმის წინააღმ-დეგს, რაც ჩემგან ისწავლეთო, შეჩვენებული იყოსო. მეც ამ სიტყვებით დავიწყებ ჩემს სიტყვას: გინა თუ თვითონ მე, გინა თუ რომელიმე თქვენმა მასწავლებელმა, გინა თუ ზეციერმა ანგელოზმა შეგაგონოს თქვენ იმის წინააღმდეგი, რაიცა თქვენ გესმისთ და სწავლობთ კლასში ღვთის სჯულისაგან ანუ კატე-ხიზისაგან, შეჩვენებულ იყოს. ფიცხელი და საშინელია ეს სი-ტყვა, მაგრამ ამის ლირსია ის კაცი, რომელიც ამისთანა საქმეს იქმს. ღირსია მისთვის, რომელ მას ჰსურსაცთუნოს მცირე-წლო-ვანი ყრმა, ნაცვლად ჭეშმარიტებისა ასწავლის სიცრუეს; მას უნდა შენი გარევნა და გაუბედურება. რაც შენ კლასში გესმის საღმრთო წერილისაგან და ღვთის სჯულისაგან, იმით შენ უნ-და გაჲნათლდე და გაჲკეთდე, იმაზე უნდა იყოს დამყარებული მომავალი შენი ცხოვრება და ცხონება აქაურიცა და ზეციუ-რიც. მას მაცდურსა ჰსურს, რომ მოგაკლოს ეს საუნჯე და

შთაგაგდოს უსჯულოებასა და უღმრთოებასა შინა. რა დიდი ცოდვა არის უმანკუ ყრმის ცოტუნება, ამაზე თვით მაცხოვარმა სთქვა საშინელი სიტყვა. მრთხელ მას მოჰვარეს დედებმა თვისნი შეილნი, რათა აკურთხოს იგინი. მაცხოვარმან დაპლოცა იგინი, აკურთხა, ხელი დაასხა მათ თავებზე, მოეფერა მათ და შემდეგ სთქვა: უმჯობესი არს კაცმა მოაჭიდოს, გულზე წისქვიდის ქვა და თავი შთაგდოს ცდაში, ვადრედა აწოუნოს ერთი მცირეთა ამათგანია

საყვარელნო ყრმანო! თქვენ ჯერ ცხოვრებაში გამოუცდელი ხართ, თქვენ ჯერ ჩჩილი ჭკუა და გული გაქვთ; თქვენ ჯერ არ შეგიძლიანთ ავი და კარგი კაცი ერთმანერთში გაარჩიოთ; თქვენ ყოველი კაცი კარგი და პატიოსანი გვთნიათ, ამისთვის ყოველ ბოროტუგანმზრახველს კაცს აღვილად შეუძლიან თქვენი ცოტუნება, თუ არ გაფრთხილდებით. საუბედუროდ, ახლა მრავალნიგამოჩდნენ ისრეთი უღმერთობი და დამწვარნი სინიდისითა კაცნი, რომელთა არ ახსოვთ ზემო-მოყვანილი საშინელი სიტყვა მაცხოვრისა და მოციქულისა პაცულესი, და არ ეშინიათ, და არ სცხვენიათ ცოტუნება და გაფუჭება მცირე-წლოვანთა ბავშვთა. ამისთვის ფრთხილად უნდა იყოთ, რომ თქვენც ვინმემ არ გაცოუნოს. თუ ჭკუას მოიხმარ და ფრთხილად იქნები, აღვილად შეგიძლია შეატყო, ვის უნდა შენი ცოტუნება და წახდენა. იმას უნდა, ვინც შენ გელაპარაკება იმის წინააღმდეგს, რაც გესმის შენ კლასში მოძღვრისაგან და საღმრთო წერილისაგან. აბა, შენ თვითონ იფიქრე და წარმოიდგინე, ამ ორში რა უნდა იყოს უმჯობესი და ჭეშმარიტი ერთის მხრით კლასში შენი მოძღვარი აგიხსნის შენ საღმრთო წერილს და ლეთის სჯულსა, გასწავლის მას, რასაც მთელს ქვეყანაში ასწავლიან მთავრობის ზედამხედველობით, რაზედაც მთელი ქვეყნის ბედნიერება და განათლება დამყარებულია, რასაც ასწავლიან ეს ორი ათასი წელიწადია, რომლისაგანაც შენ ისწავლი ყოველიფერს, რაც არის კეთილი, პატიოსანი და სასარგებლო; მეორეს მხრით ვინცალა, თვითონ ცუდი და გაფუჭებული და ყოველიფრის საქმისაგან გაგდებული კაცი გეუბნება ამის წინააღმდეგს, თვით შენ მიჰვდები აქ, თუ ჭკუას და სინიდის დაუჯერე, როგორ ფრთხილად უნდა იყო და ვის უნდა

დაუჯერო. მფიქრე: ნუთუ ამოდენა სასწავლებელნი, ამოდენა ხარჯი, ამოდენა მთავრობის ზრუნვა ამისთვის არის, რომ შენ სიცრუე გასწავლონ? მთავრობას ის უნდა, რომ შენ ყოველი-ფერი კეთილი და პატიოსანი ისწავლო, რომ კარგი კაცი გა-მოხვიდე, შენი თავისთვის და ქვეყნისთვისაც გამოსადეგი. რა-საც თქვენ ახლა ისწავლით, მიითვისებთ, მიიღებთ, ის შეიქმნე-ბა თქვენი სულიერი სიმდიდრე. ვრთხილად იყავი, რომ არავინ მოგპაროს ეს სიმდიდრე. ჯიბეში რომ ორი, ან სამი ოქტო გქონდეს, ხომ გეშინია და ფრთხილადა ხარ, ხშირად სინჯავ ხე-ლით, რომ ჯიბის ქურდმა არ მომპაროსო იგინი. სწავლა, რომელიც აქ გესმის, თუ მიითვისე, მრავალ ოქტოებზე უძვირ-ფასესია, გარნა, სამწუხაროდ, ახლა ბევრი იმისი ქურდებიც გა-მოჩნდენ,—ფრიად გაფრთხილდი, რომ ისიც ვინმემ არ მოგტა-ცოს.

გარდა ამისა, და კიდევ უდიდესად ამისა, გაფრთხილდი, რომ ვინმემ, უღმრთომ და გარყუნილმა კაცმა, ზნეობა არ გაგიფუ-ჭოს, ცოდვას არ მიგაჩიოს. სად შეუძლია ზედამხედველსა-შენსა ყოველ წამს და ყოველ ნაბიჯზე გიყუროს, შენს თავს შენვე უნდა მოუარო, თუ შენი საკუთარი სიკეთე და ბედნიერება გინდა. შალაქში ყოველთვის არიან მრა-ვალნი უქმნი, უსინიდისონი კაცნი, რომელთა არ სცხვენია. მცირე-წლოვანის ბავშვის გარყვნა. მაგალითებრ, ვინმემ რომ გითხრას, წავიდეთ დუქანში, ანუ ტრაქტირში, ღვინო დავ-ლიოთ და ვილხინოთ, რაც გინდა პატარა იყო, ნუ თუ ისე უჭიურ იქმნები, რომ ვერ მიხვდე, რომ იმისთანა კაცთან შენი ამხანაგობა არ ივარგებს?

რაც აქამომდე ვსთქვით, იმას ერთი კიდევ უნდა დაუმა-ტოთ: ვინც შენ გაცოუნებს და შეგაგონებს ღვთის სჯულის წინააღმდეგს აზრებს, იმას თითქმის ყოველთვის ის განზრახვაც აქვს, რომ მთავრობის წინააღმდეგობა და ხელმწიფის ღალა-ტობაც გასწავლოს. იცის ბოროტმა და ეშმაკეულმან კაცმან, რომელ, ვიდრემდის შენ იქნები მტკიცე საღმრთო სჯულში, იმ დრომდის ღმერთს არ უღალატებ, არც ხელმწიფის მოღა-ლატე შეიქმნები, მისთვის, რომ თვით ჩვენი საღმრთო სჯუ-ლი გვასწავლის ხელმწიფის ერთგულებას და მორჩილებას.

ამაშიაც გაფრთხილებული იყავი, თუ შენი თავის დაღუპვა არ გინდა, საყვარელო ყრმაო; ნუ დაივიწყებ, რისთვის მოგივანეს შენ აქ მშობელთა შენთა; ვიდრემდის სასწავლებელში ხარ, სხვა საქმე არა გაქვს, მხოლოდ უნდა ისწავლო და გაჰნათლდე. თქვენი მშობელნი, ჭირისუფალნი, თვით საზოგადოება და, ბოლოს, თვით წმიდა ეკკლესია, თქვენგან მოელის მომავალს დროებაში ნუგეშსა, შემწეობასა, კეთილსა და პატიოსანსა შრომასა. ღიდი ცოდვა დაგედებათ, თუ ნაცვლად ამისა, იგინი ჰენახვენ მწუხარებასა და დაბრკოლებასა.

თვით შფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან, რომელმან აკურთხნა ყრმანი, დალოცა და ფიცხლად აღგვიკრძალა ჩვენ, დიდროვანთა, თქვენი ცოტნება და გაფუჭება, კეთილი დასაწყისი მისცეს და კეთილად წარმართოს სწავლა თქვენი. ამინ.

მ ო დ დ ვ რ ე ბ ა

ამაღლების დღესა ზედა.

და განიყვანა იგინი გარე, ვიღრე ბეთანიალმდე, და ალიპრნა ხელნი თვისნი, და აკურთხნა იგინი. და იყო კურთხევასა მას იესოსსა მათდა მიმართ, განეშორა მათგან და აღვიდა ზეტად. და იგინი თაყვანის-სცემდეს მას, და მოიქცეს იერუსალიმად სისარულითა დიდითა. (ლუკ. 24. 50—52).

მსრედ აღსრულდა ცხოვრება იესო ქრისტესი ქვეყანასა ზედა. მრავალი ღვაწლი და შრომა მიიღო მან თავის თავზე, გარნა მრავალიცა დიდება მიეცა მას. მან აღასრულა საქმე იგი, რომელი მიანდო მას მამამან ზეციერმან. აღასრულა მოვალეობა, რომელი მიიღო თავის თავზედ, თავი თვისთვამდან

და და ხატი მონისა მიიღო, ვითარცა იტყვის წმიდა მოციქული პავლე, და მსგავს კაცთა იქმნა, და ხატით იშვგა, გითარცა კაცი; და-იმდაბლა თავი თვისი და იქმნა იგი მორჩილ, ვიდრე საქვდილადმდე, და სიგვდილითა მთ ჯვარისათა. ამისთვისცა იგი ღმერომან უმუტესად აფასადღა, და მანიჭა მას, სახელი უზესოაქსი, უფროს ეოველთა სა-ხელოსა. (ვილიპ. 2, 7, 8, 9.)

მოციქულთა იხილეს რა დიდებით ამაღლება შფლისა ზეცად, სიხარულითა დიდითა მოიქცენ იერუსალიმს, და მიიღეს, შემდგომ ორმოცდა ათის დღისა, ზეგარდამო სული წმიდა, იწ-ყეს თავის მხრითაც მოღვაწეობა, შრომა, ქადაგება სახარებისა ყოველსა ქვეყანასა ზედა. შეიძლება ვსთქვათ, რომელ, ვითარცა პირველთა იესო შრისტეს მოციქულთა და მოწაფეთა, ეგრეთ-ვე ყოველთა ქრისტიანეთა, პირველ საუკუნეთა შინა ცხოვრე-ბასა შინა თვისსა, განახლეს და განიმეორეს იესო შრისტეს ცხოვრება, შეძლებისა გვარად თვისისა. მათი ცხოვრება, ყოფა-ქცევა და მოქმედება იყო ხატი და მსგავსება იესო შრისტეს ცხოვრებისა. შფალი იესო შრისტე გაცოცხლდა მათ შორის. რა ზომადაც შეიძლება ცოდვილი კაცის ბუნებითა, იმ ზომად იესო შრისტეს მაღლი, ხასიათი, სიწმიდე, სიბრძნე, განახლდე-ბოდა, გაცოცხლდებოდა და განმეორდებოდა მათ შორის.

ახლაც ეს არის უმთავრესი და უპირველესი მოვალეობა ყოველთა ქრისტიანეთა. იმ ზომად ვიქმნებით ჩვენცა ქეშმარიტ-ნი ქრისტიანენი, რა ზომად იესო შრისტე ჩვენს გულში გამო-იხატება და გაცოცხლდება. მოკლედ ვსთქვათ, მთელი იესო შრისტეს ცხოვრება, შობიდგან ამაღლებამდინ, ყოველი ქრის-ტიანი კაცის გულში უნდა განმეორდეს და შესრულდეს, პირვე-ლად, იესო შრისტე შენს გულშიც უნდა დაიბალოს, ანუ იშვას, ძმაო. როდის, ანუ რა საქმით მოხდება ეს? როდესაც შენ მოგ-ნათლეს, მაშინ იესო შრისტე შენს გულში მართალია დაიბადა, მაგრამ შენ პატარა იყავი და ვერ იგრძნე. ხოლო როდესაც ჰა-საკში მოხვალ, ჭკუა გაგეშლება, მაშინ იესო შრისტე უნდა იც-ნა და გულით შეიყვარება: ეს იქნება იესო ქრისტეს დაბადება შენს გულში და შენთვის. ვისაც იესო შრისტე არ უცვნია და არ შეუყვარებია, მისთვის იგი არცკი დაბადებულა ჯერედ, თუ გინდ დიდი ხანია მონათლულიც იყოს.

მეორედ იესო შრისტე შენს გულში უნდა გაიზარდოს, ჰა-
საკში მოვიდეს. მს მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შენ დაუ-
ახლოვდები იესო შრისტეს, როდესაც მისი მაღლი გადიდდება
შენს გულში, როდესაც იგი იწყებს უფლებასა და მეფობასა
შენზედა.

მესამედ, იესო შრისტემ უნდა იწყოს შენს გულში ლაპარა-
კი, ქადაგება, დარიგება. სახარების კითხვას როდესაც შენ ერთ-
გულად ყურს უგდებ და თვითონაც კითხულობ, როდესაც სა-
ხარების სიტყვებს შენ მიიღებ ისეთის კრძალვით და სასოებით,
ვითომც თვით შფალი იესო შრისტე იდგეს შენს წინაშე და
თვისი ბაგითა გელაბარაკებოდეს, მაშინ მაცხოვარს დაუწყია
ქადაგება შენთვის და შენს გულში.

მერმე ნიშები და სასწაულები უნდა აღასრულოს მაცხო-
ვარმა თვით კაცის გულში. თუ სახარების სიტყვამ ისე იმოქ-
მედა შენს გულში, რომ გაასწორა შენი ჭკუის ცუდი, დაბნე-
ლებული აზრი, და, ნაცვლად მისა, დანერგა მუნ წმინდა ღვთი-
ური აზრი, ეს იქნება სასწაული, მზგავი ბრძის თვალის აღხილ-
ვისა. როდესაც მაცხოვრის მაღლი ცუდსა, გარყვნილსა, გაფუ-
ჭებულსა კაცსა მოაქცევს, გასწმენდს, ღვთის მაღლს მის გულში
გამოაცოცხლებს და აღადგენს, ეს იქნება უდიდესი სასწაული,
ვიდრენა მკვდარის გაცოცხლება.

ამისა მერმედ იესო შრისტემ კიდეც უნდა ივნოს, ჯვარს
ეცვას და მკვდრეთით აღსდგეს შენს გულში. როდესაც კაცი
სიმართლისათვის, კეთილი საჭმისათვის მიიღებს ვნებას, ითმენს
უსამართლოებას, მეტადრე, როდესაც სათნოებისათვის და წმი-
და ცხოვრებისათვის კაცი აიწროებს, სტანჯავს თავის ხორცს
და ვნებასა, და ცოდვასა, მის შორის მყოფსა, მაშინ იგი ივ-
ნებს და ჯვარს ეცმის იესო შრისტესთანა.

ამ სახით უნდა განახლდეს და განმეორდეს იესო შრისტეს
ცხოვრება კაცის გულში. ნუ ჰეონება, ძმანო ჩემნო, საყვარელ-
ნო, რომელ, რაც ჩვენ აქამომდე ვსოჭვით, ის იყოს რამე ნა-
მეტნავი და ჩვენგან მოგონებული. არა! მს არის ნამდვილი
სწავლა საღმრთო წერილისა, თვით საღმრთო წერილში არის
თქმული: ჟაფენთა ქრისტეს მიერ ნათელ გვიღების – ქრისტე შე-
გვიმდის. თვით პავლე მოციქული იტყვის თავის თავზე:

ცხოველ-გარ არა მე, არამედ იქნა ქრისტე ჩემ შოთის ცხოველ არს თვით იგივე იტყვის: ქრისტესთანა უნდა ჯგარს ვეცვნეთ, რათა იმას-თანა ადგსდგეთ. მრთი სიტყვით, საღმრთო წერილი ნამდვილად მოითხოვს ჩვენგან, რომ ძრისტე იესოს ცხოვრება განახლდეს და განმეორდეს ჩვენ შორის.

მხოლოდ ორი არის გარემოება, ანუ შემთხვევა იესო ძრისტეს ცხოვრებისა, რომელიც ვერ განახლდება ახლავე კაცის ცხოვრებაში: პირველი მკვდრეთით აღდგომა და მეორე ზეცას ამაღლება დიდებითურთ; გარნა ეს ორი იქნება ჯილ-დო და გვირგვინი მათვეის, რომელთა სხვანი ყოველნი სახენი და მაგალითნი იესო ძრისტეს ცხოვრებისა განიმეორეს და გა-ნაახლეს თვის გულში. მეორესა მოსვლასა შინა შულისა იესო ძრისტესა, ყოველნი მისნი მორწმუნენი, რომელთა კეთილად დაიცვეს ბეჭედი და ნიჭნი სულისა წმიდისანი, რომელთა, შეძ-ლებისა გვარად, განაცოცხლეს იესო ძრისტე თვის გულში, იყვნენ ხატნი და მსგავსებანი მისის ცხოვრებისანი და, მსგავ-სად პავლე მოციქულისა, თვით სხეულთა თვისთა შინა იტვირ-თეს წყლულებანი იესო ძრისტესნი,—აღსდგებიან მსგავსად იესო ძრისტესა, შეეგებებიან მას ზეცას, და მოისმენენ სანატ-რელსა ხმასა: მოვედოთ, გურთხეულნო მამისა ჩემისანთ,—და მერმე მასთან ამაღლდებიან ზეცად საუკუნისა ნეტარებისათვის, რომელი და არა შოგვაკვლოს ჩვენ ყოველთა ღმერთმან მად-ლითა თვისითა. ამინ.

მ თ ძ ლ ვ რ ე ბ ა,

თამული გელათის 8 სეპტემბერს 1882 წელსა

ნუ დაითვრებით ღვინითა, რომ-ლითა არს სიბილწე, არამედ აღივსე-ნით სულითა. (მფესელთა 5, 18).

ძმანო, მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანები! გუშინა და დღესაც წირვის დაწყებადმდე, დიდხანს ვიყავი დაფიქრებული,

რა სიტყვა გითხრათ დღეს, რა დარიგება მოგცეთ, რა საგანი ავი-
ლო დღეს თქვენდა დასამოძღვრებლად. მქადაგებელმან სიტყვისა
ღვთისამან კარგი დაფიქრებით უნდა გამოარჩიოს, რომელი სი-
ტყვა, საგანი უსაჭიროესია მსმენელთათვის. მან უფრო ხშირად
და მტკიცედ უნდა ილაპარაკოს და მისცეს დარიგება იმ ცოდ-
ვის და ნაკლულევანებისათვის, იმ სულიერი სენისათვის, რო-
მელიც მისს სამწყსოს უფრო ეჩვევა და ავნებს, მეტადრე იმის-
თანა დროს და შემთხვევაში და იმისთანა ადგილზე, როგორც
არის დღეს. აქ დღეს თქვენ შეკრებილხართ მრავალთა სხვათა
და სხვათა სოფლებიდან; მაშასადამე, მე უფრო საჭირო და
სასარგებლო სიტყვა უნდა გითხრათ დღეს, და მით მეც ღვთის
წინაშე უფრო მაღლი მექნება, რომ ასე ერთგულად ვცდი-
ლობ თქვენს სულიერს წარმატებას, და თქვენთვისაც უფრო დი-
დი სულიერი აღშენება მოხდება. შთუოდ ისიც შეიძლება, რომ
ვინმე თქვენგანმა დღეს აქ გაგონილი სიტყვა გარდასცეს თვის სო-
ფელში მეზობლებს, და მაშინ უფრო გავრცელდება დღეს თქმუ-
ლი სიტყვა, და უმეტეს სარგებლობას მოიტანს. და ესრედ, მაღ-
ლითა და შეწევნითა ღვთისათა, მოვიყვან ხალმრთო წერილისა-
გან ამ სიტყვებს; „ნუ დაითვრებით დგინდთა, რომელსა შინა არს
ბილწენა, არამედ ალიგსენით სულითა“, — და ვიწყებ თქვენთან
დღეს ლაპარაკს იმაზე, თუ რაოდენად მავნებელია მთვრალო-
ბა, რა ზომად უბედურია მემთვრალე კაცი, რა სახით უნდა
სცდილობდეს ყოველი ქრისტიანე კაცი, რომ ფხიზელი იყოს,
ღვინოს არ დაემორჩილოს.

მე ვგონებ, რომელ არ არს საჭირო ვსთქვა იმაზე, რა სა-
შინლად გავრცელდა ამ უამად მომეტებული ღვინის სმა, მთვრა-
ლობა მშერეთში. ვისაც თვალი აქვს ხილვად, და ყური სმე-
ნად, ის თვითონ დაინახავს და გაიგონებს, რა ხშირად სთვრე-
ბიან ეხლა სოფლებში და უმეტესად ქალაქებში, მეტადრე
დღესასწაულ დღეებში, ქორწილზედ და ნათლობაზედ, და, —
რომელიც უფრო საკვირველი და სამწუხაროა და სასირცხვო, —
თვით მიცვალებულების ტირიოლზედ. შოველი წოდების კაცთა-
გან, თავადთა, აზნაურთა და მოხუცებულთა გლეხთაგან, და მო-
მეტებულად მღვდელთაგან მრავალ-გზის გამიგონია ჩივილი და
მწუხარება, რომ მათი ახალგაზდა შვილები შეუსაბამოდ იქცე-

ვიან, სოვრებიან; აბნევენ მამა-პაპათაგან შეძენილს ქოხებას, ერთი სიტყვით, არ იქცევიან ისე, როგორც ჩვენ ვსცხოვრებდითო და ვიქცეოდითო ყმაწვილობას, ფხიზლად, ჩვენი მშობლების მორჩილებით და სამსახურითაო. ხოლო რაოდენი ვნება და უბედურება წარმოსდგება ამისთანა ლხინთა და ლვინის სმისაგან, ვინ არ იცის ესა და ვის არ გაუუღონია! არ გაივლის ისე ერთი თვე, რომ სადმე სოფლის დღესასწაულზედ, მთვრალებმა არ დასჩეხონ და ან კიდეც არ მოჰკლან ერთმანერთი; ან სადმე ქორწილზე დამთვრალებმა, ლხინი არ გადააჭირონ ტირილად და გოდებად, ერთმანერთის დაჩეხითა. ამისთანა შემთხვევა, ესე იგი უზომოდ სმა, მთვრალობა, ყოველი კაცისათვის სამწუხაროა, და ყოველი კაცი ცხადადაც მიშვდება, რა ზომად შემარცხვენებია მთვრალობა საზოგადოებისათვის, და ამაზე მრავალი უბნობა არ არის საჭირო. მე მხოლოდ ის მსურს შეგაგონო შენ, რომ არა თუ იმ უკიდურეს ზომამდე არ მიხვიდე ლვინის სმაში, რომ სრულიად ჭიუა და გონება დაჰკარგო და აღარ იცოდე რას სჩადიხარ, არამედ მომეტებული, ესე იგი რაც საჭირო არ არის, იმაზე მეტი ლვინო არ დაჰკლიო. „ნუ დასთერები დგინოთა, რომელსა შინა ასე ბიღწება“, იტყვის წმიდა მოციქული პავლე, ესე იგი მომეტებულ ლვინოს ნუ დაჰკლევ, ნუ შეღვინიანდებით. შგრძნობლად დამთვრალი პირუტყვზედ უარესი არის. მასზედ აღარც კი ლირს ლაპარაკი. მე შენ იმას შეგაგონებ, მომეტებულიც აღარ დაჰკლიო, ლვინით არ გაახურო სისხლი; ესეც ბიღწება არის და ბიღწებაში ჩაგაგდებს. ზომიერი ხმარება ლვინისა, სიმრთელეა კაცისათვის. არც ღმერთი აღგვიკრძალავს; უზომო ხმარება თავის თავად ცოდვაა და სხვა ცოდვის მიმზიდველი. ნუ აავსებ ლვინითა მუცელს, თორემ მისი ორთქლი მუცლიდან თავში აგივარდება, ტვინს დაგიბნელებს, ჭიუას ჩამოგართმევს, ეშმაკის ხელში ჩაგაგდებს და მტრის სათამაშოდ გაგხდის.

„ნუ დასთერებით დგინოთა, არამედ აღიგსენით სულითა“. რას ჰნიშნავს აღიგსენით სულითა? შემეტეს ნაწილს ლვინის სმა იმიტომ უყვარს, რომ იგი გაამხიარულებს კაცს, მხიარულება ყოველ კაცს უყვარს, იგი ბეღნიერებად მიაჩნია ყოველ კაცს, და ამისთვის ლვინოს დაჰკლევს, რომ გამხიარულდეს. საღმრ-

თო შერილიც, დათის სიტყვა არ გვიშლის ჩვენ მხიარულებას; თვით იგი გვეტყვის: სასუფეველი დათისა არას სისარული, სიმართლე და მშვიდობა. მაგრამ იგი გვიშლის ცუდს, მავნებელს და ბიწიერს მხიარულებას. ხოლო ძალადობით, ხელოვნებით გამხიარულება, ღვინის შემწეობითა ერთობ ცუდია. პირველად მისთვის, რომ კაცის სიმთელეს ავნებს, მეტადრე თუ ხშირად განიმეორა; მეორედ, მისთვის, რომ მოკლეა, მალე გათავდება ღვინისგან მიღებული მხიარულება, და მერმე უარეს მწუხარებაში ჩააგდებს კაცს. მთვრალი კაცი რომ გამოიფხიზლებს, თავი სტკივა. სინიდისი აწუხებს, მეტადრე თუ სიმთვრალეში რამე სულელობა ჩაიდინა. მისთვის გვიშლის წმიდა მოციქული ჰავლე ღვინის სმას და გვეტყვის: აღივსენით სულითა, რომ განგვაშოროს ხორციელს, მავნებელს მხიარულებას და გაგვიჩნოს სულიერი მხიარულება. წუ დასოვრებით დგინდთა, არამედ ადიგსენათ სულითა, სულიერი სიხარული ეძიეო. რა არის სულიერი სიხარული? სულიერი სიხარული ის იქნება, თუ შენ სუფრაზე დაჯდომილი, საჭმელს და სასმელს ზომიერად მიიღებ და, ნაცვლად მრავალი ღვინის სმისა, შენ წარსოქვამ სულიერსა გალობასა და იმით გამხიარულდები. და აგრეოვე დასტკბები ნახვითა და საუბრითა შენს ნათესავებთან, მოყვრებთან, რომელნიც გეწვიენ შენ. აღაგსენით სულითა. ამ დარიგებას ასრულებს უმჯობესად ის ქრისტიანე კაცი, რომელსა დლესასწაული უყვარს დღესასწაულისათვის, და არა ჭამისა და სმისათვის. ამისთანა კაცი ეკკლესიაში რომ სდგას, წირვალოცვას, ტკბილს, სასიამოვნო გალობას ისმენს, ამისთანა დიდებულ ტაძარს, ვითარცა ესე ბელათის ტაძარია, ჰნახავს, და მრავალთა აქა შეკრებილთა საზოგადოებათა შეეყრება, ნაცნობთა, ნაოესავთა, ესე ყოველი ასიამოვნებს, სულიერს სიხარულს მისცემს.

საუბედუროდ, არა ესრედ იქცევიან მრავალნი აწინდელი ქრისტიანენი. უმეტესნი მათგანნი, თუ დღესასწაულს სიხარულით ელიან და შეემთხვევიან, ეს მარტო მისთვის, რომ ბევრი სჭამონ და ჰსვან. გარნა არც ის არის კარგი, რომ მრავალნი პირნი აქ მოვიდენ მისთვის, რომ გვმართებსო, ალთქმა მიკეცითო, რომ დღეს ბელათში უხდა ვილოცოთო. მართალია, ვეცითო, რომ დღეს ბელათში უხდა ვილოცოთო.

თუ აღთქმა მიეცი, უნდა აღასრულო კიდეც; მაგრამ, როგორ აღსრულებ ამ აღთქმას? მოხვალ და ესწრები წირვაზე, დაფანტული გონებით, ერთი ორი კაპეიკის სანთელს აანთებ, ხატებს ემთხვევი და ერთ შაურს შესწირავ. ნუ თუ ამის მეტი არაფერი გმართებს შენ დვითისა? მს ყოველიფერი ხომ გარეგანი მოქმედება არის, და დიდი ფასი არა აქვს. შენ სხვა, ამაზე უდიდესი გმართებს დვითისა. რა?— ის, რომ თვით შენი გული და სული დმერთს უნდა შესწირო, შენი გულით და სულით დვითის მონა უნდა იყო, და ნაცვლად ამისა, რამდენიმე გარეგან მოქმედებას აღსრულებ ეკკლესიაში, და ამით დააჭიმაყოფილებ შენს სინიდის. აქ, ამ ეკკლესიაში გულგრილად და გაფანტულად სდგეხარ, ორ სიტყვას ვერ მოახერხებ, რომ დმერთი ჯეროვნად ილოცო მდუღარითა სულითა; გარნა, როდესაც დასჯდები სუფრაზე, მაშინ უნდა შეგხედოს კაცმა, რა გამხიარულებული ხარ, რა ანთებული გაქვს თვალები, და რა ბედნიერ კ ჰრაცხ შენს თავსა. მაშასადამე, შენი სული და გული სოფელის ეკუთვნის; ჭამა და სმა ხორციელი. შეადგენს შენს ბედნიერებას, სოფლის ამაო ჩვეულება არის შენი ნუგეში. არა ესრედ უნდა იყოთ, ძმანო! მიაჩვიე, შეწევნითა დვითისათა, შენი სული სულიერსა ნუგეშსა, ეცადე, რომ ლოცვა, მარხვა, სამღრთო წერილის კითხვა და სმენა, არა უნაკლულესად ანუგეშებდეს სულსა შენსა, ვიდრელა ჭამა და სმა, და ლხინი ხორციელი. ნუ დაითვრებდა დვინითა, რომელითა ას სიბილწე, ასამედ აღივსენით სულითა. ამინ.

ლვთის-მშობლის შობის დღესა, თქმული გელათის მონასტერს 1877 ჭელსა.

მიუგო იქსო და პრქა მას: მართა! მართა! პზრუნვე და პშფოთ-ხარმრავალისათვის; აქა ერთისა არა სახმარ. ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოიჩია, რომელი არა სადა მიეროს მისგან. (ლუკა 10, 41—42).

ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! იქნება ზოგიერთს თქვენგანს კიდეც აქვს შენიშნული, რომელ ყოველს ლვთის-მშობლის დღესასწაულს წირვაზედ ერთი და იგივე სახარება წაიკითხება, რომლიც მოისმინეთ თქვენ დღეს. იმ სახარებაში არის აღწერილი ერთი უბრალო შემთხვევა ანუ გარემოება, შფლისა იქსო შრისტეს ცხოვრებიდგან; გარნა ამ მოთხრობისაგან კარგი და ფრიად სასარგებლო სწავლა გამოიყვანება მათთვის, რომელთა უყვარს სულიერი სწავლა და აღშენება. რა მოთხრობა იყო დღევანდელს სახარებაში? მრთხელ შფალი იქსო შრისტე შევიდა, ანუ ესტუმრა ერთს კაცს, სახელად ლაზარეს, რომელიც უყვარდა შფალსა და იყო მისი მეგობარი. ამ სახლში იყვნენ ორნი ლაზარეს დანი, მართა და მარიამი. მათ, რასაკვირველია, გაუხარდათ ნახვა იქსო შრისტესი, რადგანაც იგინი იყვნენ მორწმუნენი და იცოდნენ, ვინ იყო იქსო შრისტე. ბარნა ამ ორი დების სიხარული და სარწმუნოება სხვა და სხვა ფერად გამოჩნდა. მარიამი მაშინვე დასჯდა ფერხთა-თანა იქსოსთა და ისმენდა სიტყვათა მისთა. მან ითვირქა: ამაზე უკეთესს ვეღარ უნახავა, ამაზე უმჯობესს სწავლას ვისგან გავიგონებო, და ისეთის სასოებით ისმენდა სიტყვასა მისსა, რომ ჭამაც დაივიწყა და სმაც. მართა კი სულ სხვა ფერ

მოიქცა. იმან მაშინვე დაიწყო მზადება მრავალთა საჭმელთა, ძვირფასისა სტუმრისათვის; გარნა დაიხახა რა, რომ და მისი არ ეხმარებოდა მას, თითქმის აყვედრა შფალსა იქსოს: უფალო, არა იღვწია, რამეთუ დამან ჩემმან მარტო დამიტვეა მე მსახურებად; არქუ მას, რათა შემეწეოდეს მე. მაშინ მაცხოვარმან ეს სიტყვა უთხრა: მართა, მართა! ჰეროუნავ და ჰიტოთავ მრავლისათვის, ხოლო აქა ერთი არს სახმარ.

ვგონებ, თქვენ კი მიშვდებით, ძმანო ქრისტიანენო, რას გვასწავლის ჩვენ ეს უბრალო მოთხოვობა დღევანდელისა სახარებისა და პასუხი იქსოსი. იგი გვასწავლის ჩვენ, რომელ სმენა ლვთის სიტყვისა, საღმრთო სჯულის სმენა და აღსრულება, უდიდესი და უსაჭიროესი საქმე არის: ვიდრე ჭამა და სმა, და ყოველი ქვეყნიური, ხორციელი საქმე, და არა თუ უდიდესია, არამად მარტო იგი არის სახმარ და სასარგებლო კაცისათვის: აქა ერთი არს სახმარ. ძაცი იგი, რომელიც დაემსგავსება, ანუ ჰეთიანი მარიამს, უკეთესად იქცევა და უმჯობეს საქმეს ამოირჩევს: მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, და ის ნაწილი ყოველთვის მასთან იქნება, მას აცხონებს; ხოლო კაცი, რომელი დაემსგავსება მართას, ესე იგი სცდილობს და ჰშფოთავს მარტო მრავლისა საჭმლისათვის, და ლვთის სიტყვის სმენას და აღსრულებას იმდენად აღარ ეძიებს, იგი გამოარჩევს თავისათვის უსარგებლო ნაწილსა.

მართა და მარიამი გამოპხატავენ ორნაირს, ანუ ორგვრს ხასიათსა, ანუ თვისებასა კაცთასა. შოველი ქრისტიანე კაცი დაემსგავსება მართას, ანუ მარიამს თვისითა ხასიათითა და თვისებითა. ზოგიერთი ქრისტიანე არის ლვთის ერთგული და მსასოებელი, მას უყვარს სმენა ლვთის სიტყვისა, კითხვა საღმრთო წერილისა, მოსმენა წირვა-ლოცვისა, ფიქრი და ლაპარაკი საღმრთოთა საგანთა ზედა, ერთი სიტყვით, არის ლვთის სიტყვის მოყვარე, მოშურნე. ჰამისა და სმისათვის, სოფლიური მოლხინებისათვის იგი არაოდეს არ დაივიწყებს საღმრთო წირვა-ლოცვის მოსმენასა. გარნა, სამწუხაროდ, ფრიად მცირენი არიან ახლა ამისთანა მიმართულების და ხასიათის ქრისტიანენი. შმეტესი ნაწილი აწინდელთა ქრისტიანეთა, საუბედუროდ, არიან სოფლის და არა ლვთის კაცნი.

მათთვის საჭმელი, სასმელი და სხვა ამ ქვეყნის სიამოვნება უფრო საყვარელია, ვიდრელა სმენა ღვთის სიტყვისა. მსგავსად მართასი, იგინი მარადის ჰშფოთვენ და ჰზრუნვენ მრავალთა ამ ქვეყნის ამაოთა საქმეთათვის. რომელიც ერთი მხოლოდ არს სახმარ და სასარგებლო კაცის სულისათვის,—სმენა და აღსრულება მაცხოვრის დარიგებისა,—იმაზედ ბევრად არ ჰფიქრობენ.

ახლა, ძმაო ჩემო, შენ თვითონ შეიხედე ამ სარკეში, რომელიც მე ახლა გაჩვენე, და გაშინჯე შენი სულიერი სახე, ვის ემსგავსება შენი ხასიათი: მარიამს, თუ მართას? რა უფრო გიყვარს შენ, და რა უფრო დაატყბობს შენს გულსა დღეს? აწინდელი ლოცვა ამ ეკლესიაში, თუ სუფრაზე ჯდომა და ლხინი. ვაი ჩვენსა სისაწყლესა და სიცოდვესა! რაოდენნი არიან დღეს აქა მდგომარენი, რომელნი თუმცა აქ არიან ხორცით, გარნა მოუთმენელად უცდიან, რომ მალე გამოვიდეს წირვა, რათა წარვიდენ და მალე დასჯდენ სუფრაზე და ილხინონ—უზომოდ ჰსენ და სჭამონ! რაოდენნი არიან მართას მსგავსნი, რომელთაც დღეს სრულიად ვერც კი მოიცალეს საყდარში მოსასვლელად, მაცხოვრის სიტყვების სმენად, არამედ დარჩენ სახლებში, დარბიან და ჰშფოთვენ მრავალი საჭმელების მზადებისათვის. აბა, რა ვქნა, იფიქრებ შენ, ნუ თუ უჭმელად შეიძლება ცხოვრება? ამას არ გეუბნები შენ მე! რასაკვირველია, კაცი ვერ გასძლებს, თუ არა აქვს სახმარი ხორცისათვის. მე მხოლოდ ის მინდა შევიტყო, ანუ უმჯობესია თქმად, შენ თვითონ შეგატყობინო, რა გიყვარს შენ უმეტესად, ხორცი, თუ სული. რისთვის ჰზრუნავ მომეტებულად, რისთვის ჰფიქრობ უმფრო ხშირად, სასმელ-საჭმლისათვის, თუ წირვა-ლოცვისათვის, ღვთის სიტყვის სმენისათვის? სად და რა უხარის სულსა შენსა მომეტებულად, საყდარში ღვთის სიტყვის სმენა, თუ სუფრაზე საჭმელ-სასმელის მიღება? მრთი სიტყვით, ღვთის კაცი და მონა ხარ შენ, თუ ერთი ათასთა სოფლის მოყარეთაგანი? ამაზედ უნდა ჰფიქრობდე შენ ხშირად და ჰზრუნავდე შენ ყოველთვინ, და ევედრებოდე ღმერთს, რომ მან ოდესმე მოგცეს ისეთი გული და ხასიათი,

რომ იქმნე შერაცხილ შორის მისთა სარწმუნოთა მონათა.
ამინ.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა,

თქმული გელათის 1869 ფელსა ფ სეკტერბერს.

ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისე-
ველნო, ორგულნო, რამეთუ ათეულსა მი-
იღებთ პიტნაკისასა, და ცერცეისასა, და
ძირაკისასა, და დაგიტევებიეს უმძიმესი
სჯულისა: სამართალი, და წყალობა, და
სარწმუნოება. მსე ჯერ-იყო საქმედ, და
იგი არა დატევებად. (მათ. 23, 23).

დღეს, ძმანო, მართლმადიდებელნო ქრისტიანენო, საჭი-
როდ ვრაცხ და მსურს მოძღვრება ჩემი თქვენდამი, რომელნი
შეჰქრებილხართ აქა სხვათა და სხვათა მრავალთა სოფლებით-
გან, დავათუძნო სიტყვათა ამათზედა სახარებისათა: ვაი თქვენ-
და, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ ათე-
ულსა მიიღებთ პიტნაკისასა და ცერცეისასა, და ძირაკისასა, და და-
გიტევებიეს უმეტესი სჯულისა: სამართალი, და წყალობა, და სარ-
წმუნოება. ესე ჯერ-იყო საქმედ, და იგი არა დატევებად. თქვენ
თვითონაც გესმისთ, რა საშინელსა და ფიცხელსა საყვედურ-
სა გამოუცხადებს ამ სიტყვებით შფალი იქსო შრისტე ფარი-
სეველთა და მწიგნობართა. ვინ იყვნენ ფარისეველნი და მწი-
გნობარნი – ეს მრავალ გზის მითქვამს, და ვგონებ თქვენც გე-
ცოდინებათ, რადგანაც საღმრთო წერილიდებან მრავალ-გზის
საყდარშიაც გაიგონებდით მათს მოქმედებას და ხასიათს. მა-
შასადამე ამაზე ალარ გავაგრძელებ სიტყვას, და პირ-და-პირ
გადვიდეთ იმაზე, რა აზრი არის ამ ზემოდ მოყვანილ სიტყვებ-
ში, ესე იგი რომელს ცუდს საქმეს აყვედრებს მაცხოვარი
ფარისეველთა ამ სიტყვებში? ზემო მოყვანილ სიტყვებში
მაცხოვარი აყვედრებდა ფარისეველთა, რომელ იგინი
სჯულსა ასრულებენ ბრუნდედ, ყალბად, არა გულწრფელად.

რაც სჯულში იყო უმთავრესი და უსაჭიროესი მცნება, ესე იგი სამართალი, წყალობა და სარწმუნოება, მათ დავიწყებული ჰქონდათ, და რომელიც მათ ჰქონდათ საკუთარი, თვის-განვე დამატებული, ანუ მოგონებული კანონები და წესები, წვრილი, და არა ეგოზნად საჭირო, იმას კი ბეჯითად ასრულებდენ. ძველ მოსეს სჯულში, სხვათა შორის, იყო თქმული, რომ ყოველ მოსახლე კაცს უნდა შეეწირა ეკულესის და მის მსახურთათვის ათეული ყოვლისა მოსავლისა, მაშასადამე, ძირაკისა, ცერცვისა და პიტნაკისაცა. ამას იგინი ბეჯითად აღსრულებდენ, გარნა, რომელიც სჯულის თავი და საძირკველი არის – სამართალი, სარწმუნოება და წყალობა, ესენი დაუტევეს. ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ ათეულსა მიიღებთ პიტნაკისა, ძირაკისა და ცერცვისასა, და დაგიტევებიეს უმეტესი სჯულისა: წყალობა, სამართალი და სარწმუნოება. ესე ჯერ-იყო საქმედ, და იგი არა დატევებად. აჰა, რას აყვედრებს მაცხოვარი ფარისეველთა და მწიგნობართა.

გარნა ფარისეველთა და მწიგნობართა თავი დავანებოთ, და ჩვენი თავი გავიკითხოთ. შოთუოდ სახარებაშიაც სულმან წმიდამან, ხელითა მოციქულთასა, სხვათა შორის იესო შრისტეს სიტყვათა და სწავლათა, მისთვის დასწერა ესე ზემოდ მოყვანილი სიტყვები, რომელ წინადვე უწყოდა, რა საჭირო და სასარგებლო იქმნებოდნენ იგინი ჩვენცა ქრისტიანეთა-თვის.

მართლა, ჩვენცა, ქრისტიანენი, სამწუხაროდ, ხშირად და-ვემსგავსებით ფარისეველთა და მწიგნობართა ამ უემთხვევაში, მით რომელ ჩვენცა ხშირად გვავიწყდება და ბეჭათად არ ვა-სრულებთ უმთავრესთა და უსაჭიროესთა მცნებათა შრისტეს-თა: სამართალსა, სარწმუნოებასა, მოწყალებასა, სიყვარულსა; და რომელნიც უმცირესნი და წვრილნი კანონები და წესები არიან, და ისიც არა ლვთისაგან პირ-და-პირ ნაბრძანებნი, არა-მედ კაცთა რომელთაგანმე, ანუ უბრალონი ჩვეულებანი, იმას ვასრულებთ ბეჯითად და მიუცილებლად. ამას მე თქვენ, თუ გნებავს, დაგიმტკიცებ მრავლითა მაგალითითა. მითხარი, ამ ორში რომელი არის უფრო დიდი და საჭირო საქმე ქრისტია-ნეთათვის: წმიდა საიდუმლოს მიღება ყოველ წელიწადს; თუ

ჭურის და მარნის კურთხევა მღვდლისაგან? რასაკვირველია, პირველი უფრო დიდი მცნება არის, ვიდრე მეორე. პირველი თვით იქსო შრისტესაგან არის და მოციქულთაგან ნაბრძანები, და ისეთი დიდი მცნებაა, რომ გარეშე მისა კაცი ვერ სცხონდება, მეორე კი უბრალო ჩვეულებაა, თუმცა კი არა ცუდი და წინააღმდეგი, გარნა არა დიდი რამე. შენ კი ორ სამ წელიწადს არ ეზიარები და არარას ჰერუნავ იმაზე, არ შეიწუხებ თავს, და თუ მღვდელმა წლის განმავლობაში მარანი არ გიკურთხა, მაშინ სჯავრობ და უჩივლებ მღვდელს მთავრობასთან. ან, თუ მღვდელმა შესაწირავი ცხვარი არ გიკურთხა, ანუ, თუ სხვა რომელიმე ამისთანა წვრილი და არა დიდად საჭირო ჩვეულების წესი არ აგისრულა, დიდად გეწყინება, დაემდურები მას. მრთხელ ერთმა სოფლის მცხოვრებმა კაცმა საჩივარი შემოიტანა ჩემთან, და, როგორ ჰყოიქრობ, რა დასწერა იმ საჩივარში? დასწერა, რომ წირვაზე ჩვენმა მღვდელმაო, სახარება რომ გამოასვენა საკურთხეველიდგან, სამეუფო კარში შესავალზე უკულმა მიიბრუნაო. იმ საწყალობელს ეგონა, რომ ერთი რამე დიდი შეცდომა არის. ზამოსაცდელად მისა, მე ვკითხე, რა დღესასწაული იყო იმ დღეს და რომელი სახარება წაიკითხეს მეთქი. მან ვერცერთი ვერ მითხრა. მაშასადამე, ის საცოდავი კაცი საყდარში მიდის და არ იცის რა დღესასწაული არის; წირვაზე სდგას და სახარებას ყურს არ უგდებს, და იმას კი უყურებს, წალმა მობრუნდება ღვდელი, თუ უკულმა. ამ ნაირად იქცევიან თითქმის ყოველნი სოფლის მცხოვრებნი. რაც არის მაღალი და მძიმე, სულის განმანათლებელი და საცხონებელი, იმას სრულიად არ ტყობულობენ და არ აღასრულებენ, და რომელიც უბრალო ჩვეულება არის, გარეგანი, უფრო ხორციელი და აღვილი, იმაზე უმეტესად სცდილობენ და იმას უფრო აღსრულებენ..

მმანო, მართლ-მაღიდებელნო შრისტიანენო! შური დამიგდეთ! შოველს მოქმედებას კაცისას, მეტადრე სჯულის აღსრულებას, აქვს ორი კერძო, ანუ ორი მხარე; ერთი ხილული, გარეგანი და არა ეგოდენ მძიმე და საჭირო, მეორე სულიერი, შინაგანი, უფრო მძიმე და უსაჭიროესი. ამისათვის შენ ყოვე-

ლი შენი ყურადღება უმეტესად უნდა მიაქციო მეორე მხარეს, და იგი ალასრული უბეჯითესად. აგიხსნი ამასაც მაგალითით, ვინაიდგან მაგალითი უფრო ცხად ჰყოფს ყოველს აზრს, და უმეტესად პმოქმედებს კაცის ჭკუაზე. თუ შენი მშობელი ჭიუიანნი არიან, მათ შენ უთუოდ გასწავლეს პიჯვრის წერა. ამ ჩვეულებას, ანუ მცნებას აქვს ორი კერძო: პირველი ხილული, ესე იგი, სამი თითოთ ჯვარის გამოსახვა გულზე, შუბლზე და მხარზე. მსეც უნდა სისწორით ალასრულო, გარნა შინაგანი კერძო უფრო გახსოვდეს, ესე იგი კრძალვა, ყურადღება, სასოება უნდა შეართო, თორემ უიმისოდ არ ექმნება ფასი პირჯვრის დაწერას. შენ კი მარტო ხელს აქნევ და გონება დაფანტული გაქვს, იქით აქეთ იხედები, ხშირად ელაპარაკები მეზობლებს და ისე პირჯვარს იწერ. სხვა უფრო დიდს მაგალითს მოგიყვან. შირვის მოსმენას, ანუ საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ყოველს ლოცვას ორი კერძო აქვს. შოველი ხორციელი მოძრაობა, რომელსა მოითხოვს ლოცვა, პირჯვრის წერა, მეტანია, სიტყვების წარმოთქმა, ესენი არიან გარეგანნი და უმცირესნი კერძონი ლოცვისა, ხოლო უმძიმესი და უსაჭიროესი კერძო ლოცვისა, არის გული შემუსვრილი და მდუღლარე, სული და გონება მიქცეული და მიმჭვალული ლვთისადმი, შიში და სასოება ლვთისა. გარნა, საუბედუროდ, შენ მხოლოდ გახსოვს და ბეჯითად ალსრულებ იმ უმცირესსა კერძოს ლოცვისას. შენ მხოლოდ პლოცულობ ენითა, და არა გულითა, სხეული შენი მოძრაობს და სული უძრავად არის, ამისთვის ლოცვა შენი უფრო ხშირად რჩება უნაყოფოდ. მარხვაში ყოფა-ქცევა უნდა გამოიცვალო, და შენ მხოლოდ საჭმელს გამოიცვლი; დღესასწაულში სულით უნდა გაიხარო, შენ ხორციელ სიხარულს ეძიებ; მაგრამ ნულარ გავაგრძელებთ სიტყვას. ბეტყვი კიდევ ერთს უმთავრესს და უსაჭიროესს მაგალითს: რომელი არის უმთავრესი და უპირველესი მცნება საღმრთოისა ჩვენის სჯულისა? ვინ არის ჭეშმარიტი და ნამდვილი ქრიმტიანე? რა გაანათლებს და აცხონებს ქრისტიანესა უმეტესად ყოვლისა? სიმართლთე, წყალობა, სარწმუნოება, სასოება, სიყვარული, აპა უშინაგანესნი და უსაჭიროესნი მცნებანი, რომელთა ალსრულებას შენ უნდა ესწრაფო უმე-

ტესად ყოვლისა. შეშმარიტი და ნამდვილი ქრისტიანე ის არის, რომლისა სული და გული არის დამუშავებული, განათლებული სიმართლითა, წყალობითა და უმეტესად ლვთის და კაცის სიყვარულითა. ზარნა, საუბედუროდ, სიმართლე წყალობა, სიყვარული უფრო დავიწყებულია ჩვენ შორის; და მარნის კურთხევა, ან კოხინჯრობა, ოქონობა და სხვა ახირებულნი დღესაწაულნი ძლიერ გვიყვარს.

ამით უნდა გამეთავებია ჩვენი უბნობა დღეს, გარნა ორი-ოდე სიტყვა კიდევ უნდა დავუმატო. მეშინის, რომ ვინმემ არ იფიქროს თავის გულში ესრედ: მაშასადამე, გარეგანი აღარასფერი აღარ უნდა აღვასრულოთ? მაგალითებრ, მარანი აღარ ვაკურთხებინოო? პირჯვარი აღარ უნდა დავიწეროო, საყდარში მეტანია აღარ უნდა ვქნაო? ამის პასუხად კვალად მივიქცეთ ზემოდ მოყვანილს მაცხოვრის სიტყვისადმი. როგორ იტყვის მაცხოვარი: ესე ჭერ იყო ქმნად, და იგიცა ათა დატევებად. მსენიც აღასრულე, მაგრამ უმეტესად ეცადე, რომელიც უდიდესი და უპირველესი მცნებანი არიან, მათი აღსრულება. რადგანაც მამაპაპური ჩვეულება არის, რადგანაც გიყვარს და გიამება. მარანიც აკურთხებინე და ჭურიცა, სხვანიცა მცირენი ჩვეულებანი, თუ გსურს, აღასრულე, გარნა გახსოვდეს, რომ ესენი არიან მცირენი და წვრილნი საქმენი, გარნა წყალობა, სამართალი და სიყვარული არიან პირველნი და უსაჭიროესნი. ესე ჭერ იყო ქმნად; ესენი პირველად, უთუოდ და მიუცილებლად უნდა აგესრულებას, როგორც უბრძანა ფარისეველთა შფალმან, და იგინიცა არ დაგეტევება.

ამინ.

მოკლე მოძღვრება

ტაძრად მიჟვანებასა ზედა უოცლად-შეიძისა ლვთის-მშობლის.

ქმანო, მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო! ტაძრათ მიუვანება შოვლად-შმიდისა მალწულისა მარიამისა, რომელსა დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ, ყოველთა ლვთის მოყვარეთა და ლვთის მოსავთა ქრისტიანეთა მისცემს დიდს სწავლასა, ნუგეშსა და გალვიძებასა. მივაჭიოთ ყურადღება რომელთამე გარემოებათა ზედა აწინდელისა დღესასწაულისა და შევიტყოთ, რაზომად არიან იგინი ჩვენთვის აღმაშენებელნი. პირველად ვსთქვათ მშობელთა ზედა შოვლად-შმიდისა მარიამისა, იოაკიმ და ანნასა ზედა. თუმცა იგინი იყვნენ ყოვლის მხრით ბედნიერნი და კმაყოფილნი დიდის საცხოვრებელის პატრონნი, დიდისა შთამომავლობისანი და პატივცემულნი, და რომელიც ყოველსა ზედა უდიდესი და უმჯობესია, იყვნენ ლვთის წინაშე მართალნი და ლვთის სჯულის მოშურნენი და აღმასრულებელნი; გარნა ერთი დიდი მწუხარება დაავიწყებდა მათ ყოველსა სხვასა ბედნიერებასა—მათ არ ჰყავდათ არც ერთი შვილი. მაგრამ მიჰედეთ მათ მოთმინებასა, სულგრძელებასა და სასოებასა! თუმცა მათ მიაღწიეს სიბერემდი, მაშასადამე, მოსპობილი ჰქონდათ ყოველი იმედა შვილოსნობისა, გარნა მაინც არ დაუკარგავთ სასოება ლმერთზე, არამედ თანდათან უმატებდენ ლოცვასა, მოღვაწეობასა და სხვასა სათნოებასა. ამისთვის ლმერთმანაც დააჯილდოვა მათი სათნოება, აღასრულა გულისა მათისა წადილი და მისცა მათ შვილი.

შენცა, ქმაო, ჰბაძევდე ესრეთსა მათსა სულგრძელებასა და ბეჯითობასა. არ დაჰკარგო სასოება არაოდეს ლმერთზე, გინდ ჰედვიდე, რომ მოსპობილია ყოველი იმედი აღსრულე-

ბად შენისა გულის წადილისა, თუ ის წადილი არის წმინდა
და პატიოსანი, ნუ ჩაჰვარდები სასოწარკვეთილებაში, არამედ
გრწმენინ, რომ ღმერთი ბოლოს მოგცემს შენ აღსრულებასა
შენისა პატიოსნისა სურვილისასა.

მივიქცეთ კვალად იოაკიმესა და ანნასადმი. ამათ ღვთის
წინაშე დასდვეს აღთქმა, რომელ, თუ ღმერთი მათ მოსცემდა
შვილსა, იგინი მას შესწირვიდენ ღმერთს, ტაძარში. ეს აღთქმა
მათ აღასრულეს. შოვლად-წმიდა იყო ჯერედ ყრმა სამისა, ანუ
ოთხის წლისა, მაგრამ მათ წაიყვანეს იგი იერუსალიმს, მიიყვა-
ნეს ტაძარში, და აქ მიაბარეს იგი აღზრდად და სწავლად საღ-
მრთო წერილისა და საღმრთო მსახურებასა შინა. თუ კარგად
დაუკვირდები, არა მცირესა. სწავლასა და სარგებლობასა ჰნახავამ
წმიდა იოაკიმეს და ანნას მოქცევაში! სიბერის დროს მდიდარ-
თა ამათ კაცთა შეიძინეს ერთი მხოლოდ შვილი. ამისთანა
შემთხვევაში, სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, არაოდეს არ გამო-
იმეტებდა და არ განიშორებდა შვილსა. მრთი შვილის მეტი
არ მყავსო, იტყვიან ამისთანა შემთხვევაში ზოგნი, აქ რომ
დამეტარგოს, რაღა უნდა ვქნაო, და ნამეტანითა მოფერებითა,
უგუნურითა სიყვარულითა, უმეტესად აფუჭებენ თვისსა შვილ-
სა თავის სახლში, ვიდრე ასწავლიან. არა ესრედ მოიქცენ
გონიერნი იოაკიმ და ანნა. მათ გონიერად არჩიეს მოკლება
თავის ნუგეშისა, ვიდრელა დატევება თვისისა შვილისა უსწავ-
ლელად და გაუზრდელად. მერმე ისიც იფიქრე, რა სწავლას
ცდილობდენ იგინი თავის შვილისათვის: იგინი იყვნენ ერთობ
მდიდარნი; მაშასადამე შეეძლოთ მათ თვის სახლში მოწოდე-
ბა მრავალთა მსწავლებელთა და სხვა ახალი მოდით, ანუ წე-
სით, გაზრდა თავის შვილისა, ესე იგი სხვადასხვა უცხო ენე-
ბისა, კარგად და ახალი მოდის ლაპარაკი, ცეკვა, საკრავების
დაკურა და ამის მსგავსნი სწავლანი; მაგრამ ბრძენი იოაკიმე
და ანნა ასე არ ჰყიქრობდენ. მათ უნდოდათ, რომ მათი შვი-
ლი გამოსულიყო მართალი, პატიოსანი და სასარგებლო ქვეყ-
ნისათვის და მოყვასთათვის, და არა ერთი რომელიმე მსგავსე-
ბა მაიმუნისა, რომელიც თავისას არაფერს არც იქმს, არც
იტყვის, არამედ სხვა კაცთა ქცევას გამოჰატავს; კარგია, თუ
ცუდი ის, რასაც სხვები იქმენ, იმას არ გაჰსინჯავს, არამედ

მარტო იმას სცდილობს, რომ სხვათა კაცთაგან არაფრით არ განირჩეოდეს, რომლისა მაგალითსა, სამწუხაროდ, ხშირად ვხედავთ აწ ჩვენ შორის.

ბოლოს ესეც უნდა დავუმატოთ: მართალია ეს ყოველი, ესე იგი ტაძრად მიყვანება შოვლად-წმიდისა და ყოველნი მისნი წინანი და უკანანი გარემოებანი მოხდენ და აღსრულდენ ლვთის ნებით და განგებით; თვით ლმერთი ამზადებდა მარიამს დედად შფლისა იესო ქრისტესისა; გარნა აქედგან იმც ნუ იფიქრებ, ძმაო ჩემო, რომ ითაკიმე და ანნას და ლვთის-მშობელს არცა ერთი პატივი და ქება არ უნდა მიეწერებოდეს. არა! მათ სრულიად არ იცოდენ, რომ ესე ყოველი, ლვთის განგებით იყო; ისინი ამას ყოველსა თვისი კეთილი სურვილით აღსრულებდენ. შენც ასე მოიქეცი, ძმაო! შენი ნებით, შენი სურვილით ჰქენი, ეძიე, შეუდეგი ყოველს კეთილს საქმეს, რომელთა შორის შვილების გაზდა ქრისტიანულად, წმიდად, პატიოსნად, უდიდესია და უკეთესი ყოველთა, და ამით შენ აღასრულებ თვით ლვთის ნებას, რომელიც და მოგცეს თქვენ ყოველთა მშობელთა. ამინ.

მ ღ ა ღ ვ რ ე ბ ა

დღესასწაულსა ზედა ხარებისასა.

ძმანო, მართლმადიდებელნო ქრისტიანენო! ღღევანდელი დღე არის ერთი უმთავრესთა ქრისტიანულთა დღესასწაულთა განი, ანუ, ვითარცა თქმულ არს ერთსა საეკლესიო საგალობელსა შინა, აწინდელი დღესასწაული არის დასაბამი, თავი ჩვენისა ცხონებისა, და გამოჩინება საუკუნოიდგან დამალულისა საიდუმლოისა. მით უმეტესად უნდა ვცდილობდეთ ჩვენ, ქრისტიანენი, რომ ვისარგებლოთ დღევანდელი დღესასწაულითა, ჩვენდა აღსაშენებელად და სანუგეშოდ.

პირველად მიაქციე ყურადღება მასზედა, როგორ მოხდა

ხარება, რა სიტყვებით გამოუცხადა მთავარ-ანგელოზმა გაბრი-ელმა ქალწულს ნება ღვთისა, და რა პასუხი მიიღო ქალწუ-ლისაგან. შეპირიშვილი, თუ არა, რა შიშით და ეჭვით მიიღო შოვლად-წმიდა ქალწულმან სიხარულოვანი სიტყვა მთავარ-ანგელოზისა? საკვირველი და სანატრელი სიტყვები უთხრა ანგე-ლოზმან მას: გისართდენ, მძმადღებული, უფალი შენობა, გურთხეულ ხარ შენ დედათა შორის. ამისთანა სიტყვები ვის არ გაახარებდა; გარნა ქალწულმან მარიამმა არ მიიღო დაუფიქრებელად ეს სიტყვა, არ დაანება თვისი გული სიხარულსა, არამედ შეძრ-წუნდა, დაფიქრდა: ვთარშე ჯა, მოვდოხვა კაჟ. აქედამ უნდა გამო-ვიყვანოთ ჩვენ პირველი სწავლა და მაგალითი ყოველივე სი-ტყვა, ამბავი, რასაც გავიგონებთ, უნდა მივიღოთ დაფიქრე-ბით, მოსაზრებით; მისთვის მოგვცა ღმერთმან ჭკუა, რომ ყო-ველ საქმეში მოვიხმაროთ იგი და ყოველთვინ გონიერად ვიქ-ცეოდეთ. ადვილად დაჯერება სიტყვისა და ანბავისა, რასაც გაიგონებს კაცი, არის ნიშანი უსაფუძვლო ჭკუისა, გონების სისუსტისა, და მრავალ გზის ვნებას და ზარალს მისცემს კაცს.

ახლა მივიქცეთ კიდევ სახარების მოთხრობისადმი ხარე-ბასა ზედა. როდესაც ანგელოზმან შეატყო ქალწულსა, რომ იგი შეშინდა და დაფიქრდა, უთხრა: ნუ გეშინინ, მარიამ, რამე თუ ჰპოვე მადლი წინაშე ღვთისა, — და მერმე აუხსნა ვინ იშვება მისგან, და რასა შინა მდგომარეობს ესე დიდი საიდუმლო. გარნა შოვლად-წმიდამა ქალწულმან მაინც არ დაიჯერა, კი-დევ ეჭვით მიუგო: ვთარმე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამა კაცი არა ვიცი. მთავარანგელოზმან აუხსნა მას, რომ შობა მისი იქნება სულისაგან წმიდისა; ამასთანავე გაახსოვნა მას ძა-ლი და ყოვლად-შემძლებელობა ღვთისა, რომელიცა გამოჩნდა ნათესავსა ზედა მისსა მლისაბედსა, რომელი იყო ბერწ, გარნა მისცა ღმერთმა შეილი სიბერესა შინა მისსა, და მაშინ მხო-ლოდ დაემორჩილა შოვლად-წმიდა ღვთის-მშობელი და ჰრქეა მას: აჲა, ესერა მხევალი ღვთისა, მეყავნ მე სიტყვისამებრ შენისა.

ახლა, ძმანო ჩემნო, დავფიქრდეთ ამაზედ: ერთის მხრით როგორ მიიღო ეგოდენი კადნიერება ქალწულმა მარიამმა, რომ ჰქედავდა წინაშე თვისსა ზეციერსა მახარებელსა, შეატ-ყო, რომ იგი არის მთავარ-ანგელოზი, და მაინც მალე არ და-

უჯერა, არამედ გამოაცხადა იჭვნეულობა თვისი და მოითხოვა მისგან დამტკიცება და ახსნა მისი ხარებისა. მეორეს მხრით როგორ დაუთმო მთავარ-ანგელოზმა, არ აყვედრა მას თვისი იჭვნეულობა და პასუხის გება. აქ გავიხსოვნოთ, რომ როდესაც იგივე, მთავარ-ანგელოზი ბაბრიელი, წინად ამისა, გამოცხადა ზაქარიას ტაძარსა შინა და ახარა მას შობა შვილისა, და როდესაც ზაქარიამ არ დაიჯერა, უთხრა როგორ იქნება ესაო, ვინაიდგან მე და ცოლი ჩემი ღრმად მოხუცებულნი ვართო, მაშინ გაურისხდა მას და ფიცხელი სასჯელი დასდვა მას ზედა, ესე იგი მოაკლო მეტყველება. ბარნა აქ, შოვლად-წმინდასა, არა თუ არაფერი აყვედრა, არამედ დიდის კრძალვით და მოთმინებით დააჯერა იგი, და არ გაეშორა მას, ვინემდის არ გაიგონა მისგან: აჳა ესერა მხევალი დვთისა. მს მისთვის მოხდა, ძმანო, ჩემნო, რომ ზაქარიამ მართლა გულში გამოაჩინა ურწმუნოება, გარნა შოვლად-წმიდა მარიამი არა ურწმუნოებით და უსასოებით გამოჰკითხავდა მთავარ-ანგელოზს, არამედ სასოებით და სიმდაბლით. შოვლად-წმიდისა სისწორით უნდოდა შეტყობა დვთის ნებისა, ეშინოდა, რომ არ შესცდეს, გონიერებით და დაფიქრებით. როგორათაც წინად ვსტკვით, ჰსურდა ალსრულება დვთის ნებისა, და როდესაც ყოველი კარგად გაიგო, მაშინ დაემორჩილა და სტკვა: აჳა, ესერა მხევალი დვთისა. აქედგან გამოდის, ძმანო და დანო ჩემნო, დიდი სწავლა ყოვლისა კაცისათვის. დმერთს არ ჰსურს, ძალით და შიშით ალგვასრულებინოს რომელიმე საქმე, ანუ დაგვიშალოს რომელიმე მოქმედება. თუმცა ზეციერი ჩვენი მამა არის კეთილ, მართალ, წმიდა, და ჰსურს, რომ ჩვენც ესრეთნი ვიყვნეთ, გარნა შიშით და იძულებით არ გვაქნევინებს ჩვენ კეთილს, არამედ შეგონებით, დარიგებით, სწავლით, სიყვარულით. მას ჰსურს, რომ ჩვენი კეთილ-მნებელობით ვიქმოდეთ ყოველსა კეთილსა საქმესა. მეორეს მხრით დმერთს ეძაგება ყოველი ცუდი საქმე: სიცრუვე უსამართლოება. ცოდვა გარნა არ შეუძლია მას, რომ ცუდსა, უსჯულო კაცს მოუსპოს ყოველი საშუალება ცუდის საქმის ალსრულებად, გარნა ამას არ ნებულობს დმერთი. ჩაკი ერთხელ დმერთმან შეჰქმნა კაცის და მისცა თავისუფლება და ჭიჭა,

აღარ ნებულობს, რომ დაუმალოს მას თვისი ნებით და ჭკუ-
ით მოქმედება. ღმერთი მხოლოდ გვაცნობებს ჩვენ თვისია
ნებასა; მან შეგატყობინა რა უყვარს მას და რა სძულს, გვა-
ცნობა რა არის ჩვენთვის სასარგებლო და მავნებელი, რით შე-
გვიძლია ჩვენ, რომ მას სათნო ვეყოთ, ანუ გავარისხოთ, მოგვ-
ცა ღვაებრივი სჯული განსანათლებელად ჩვენდა, შემწეობა-
საც აძლევს მადლითა თვისითა ყოველსა კაცსა, რომელი დაე-
მორჩილება მისსა ნებასა და მოინდომებს სულის ცხონებასა,
—დანარჩენი ჩვენ უნდა ვქმნათ, ჩვენი კეთილითა ნებითა და
სურვილითა. მაშ დაემორჩილე ღმერთსა, ვითარცა შოვლად-
წმიდა, მეტყველმან: „აჲა, მხევალი ღვთისა“.

სანატრელი არის შოვლად-წმიდა ღვთის-მშობელი! მთე-
ლი ქვეყანა უწოდებს მას ნეტარად, აქებს და ადიდებს. ზარნა
რით მიიღო მან ესრეთი ღირსება? მით, რომ დაემორჩილა
სიტყვასა ღვთისასა, და არა მხოლოდ მით, რომ მისგან იშვა
იესო შრისტე. სახარება მოგვითხრობს ჩვენ, რომ ერთხელ,
როდესაც იესო შრისტე იყო გარემოცული ურიცხვითა ხალ-
ხითა, და მას მოახსენეს, რომ დედა მისი და ძმანი ეძებენ მას
და ნახვა უნდათ მისი, მაცხვარმან მიუგო: ვინ არს დედა ჩე-
მი და ძმანი ჩემნი? მერმე ხელითა თვისითა აჩვენა მოწაფენი,
თვისნი და პრქვა: აჲა, დედა ჩემი და ძმანი და დანი ჩემნი, რა-
მეთუ რომელმან ისმინოს სიტყვა ღვთისა და დაიმარხოს, იგი არს
დედა ჩემი, მამა და დაი. ზესმის ესა, ძმაო ჩემო? შენც შეგი-
ძლია შეიქნა იესო შრისტეს დედად, ძმად და დად, უკეთუ
დაემორჩილები სიტყვასა ღვთისასა ისე, რომ, ვსგავსად შოვ-
ლად-წმიდისა მარიამისა, სიღრმითგან წმინდისა და წრთელის
გულისა შეგეძლოს წართქმად: აჲა ესერა მე მონა ღვთისა, იყავნ
ჩემდა სიტყვისამებრ შენისა. ამინ.

ხ ა რ ე ბ ი ს დ ღ ე ს ა

რამეთუ მოხედა სიმღაბლესა ზედა
მხევლისა თვისისასა, რამეთუ აპა ესე-
რა, ამიერითგან მნატრიდენ მე ყო-
ველნი ნათესავნი (ლუკა 1, 48).

მგალობელი საღმრთოთა ფსალმუნთა წინასწარმეტყველი
და მეფე დავით ერთსა შინა თვისისა ფსალმუნსა, ესრედ შე-
გვაგონებს: ახარებდით დღითი დღე მაცხოვრებასა ღვთისასა ურ-
თიერთ არს. ჟოველ დღე ახარებდითო მაცხოვარებასა ღვთი-
სასა. თუ ყოველ დღე კეთილ არს ხარება ღვთის მაცხოვრე-
ბისა, მით უმეტესად აწინდელსა დღესა, რომელი საკუთრად
არის დღე ხარებისა, რომელსა შინა მთავარ-ანგელოზი ახა-
რებს ქალწულსა ზეციერსა მაცხოვარებასა კაცთა ნათესა-
ვისასა და რომელიც არის თავი, დასაბამი ჩვენის ცხოვრებისა,
ვითარცა ჰეგალობს წმიდა ეკკლესია. და ესრედ, გახარებ თქვენ-
ცა დღეს, ძმანო, მაცხოვარებასა, ღვთისასა, გახარებ და გამოგიც-
ხადებ, რომ ჩვენ ყოველნი ქრისტიანენი ვიქნებით უკვდავნი,
ცხოველნი და ცხონებულნი უკუნითი უკუნისამდე, თუ ღირ-
სებით მივიღებთ და დავიცავთ ამ ხარებას; დაუსრულებელად
ვიქნებით გამოუთქმელსა შვებასა და ნეტარებასა შინა, გაბრწ-
ყინვებულნი ნათლითა ღვთისათა, გვირგინოსანნი, გამეფებულ-
ნი. ზარნა ესეც საკმაო არ არის, ამაზე უდიდესიც და თითქმის შე-
საძრწუნებელი კაცის გონებისათვის უნდა გახარო: ჩვენ ყოველ-
ნი ვიქმნებით, არა თუ ცხონებულნი და გამეფებულნი, არამედ
მოზიარენი თვით ღვთაების არსებისა, გაღმერთებულნი, და ესე
არა თუ მხოლოდ სულითა, არამედ თვით სხეულითაცა ჩვე-
ნითა. ასე ინება ღმერთმა! კაცის გონება როგორ წარმოიდ-
გენდა ამას, გარნა თვით ღმერთმა საუკუნიდგან განიზრახა და
დღეს დასდვა დასაბამი ამის აღსრულებისა; დღეს საშოსა შინა

ქალწულისასა თვით მხოლოდ-შობილი ჟე ღვთისა, ქერუბიმთა ზედა მჯდომარე, შეისხამს ჩვენსა, კაცობრივსა ხორცსა, და მით ჩვენსა სხეულსა შეაერთებს ღვთიურსა არსებასა თვისსა.

არ ვიცი, ძმახო, რას ჰყოიქობთ და რას ჰგრძნობთ თქვენ, მსმენელნი და წარმომდგენელნი ეგოდენთა საშინელთა ღვთის განგებულება > კაცობრივისა ნათესავის ცხოვრებისათვის. მე კი, როდესაც ამაზე დავფიქრდები, ხან მივეცემი გამოუთქმელსა სიხარულსა, აღტაცებასა, ხან შევშინდები, ვიფიქრებ: მე ცოდვილი, უწმიდური, როგორ უნდა ვეღირსო ამისთანა დიდებას? შეჭველია, თქვენწმორის, მსგავსადვე, ზოგიერთნი ეჭვში ჩავარდებიან, შეშინდებიან. გარნა ნუ გეშინინ, ასე ინება ღმერთმა; მისი მოწყალებაც ისე განუზომელია, მოგორც მისი ბუნება, ღლონდ გახსოვდეს ეს დიდი შენიდანიშნულება, და კრძალვით იყავი. გარნა, თუ ვისმეს გაგიჩნდეს გულში წმინდა ღვთისნიერი სიხარული, ზომაზე არ გადახვიდე. ღვთის წინაშე და ღვთის მადლისაგან გახარებული კაცი, სიხარულსაც კრძალვით და შიშით უნდა შეაზავებდეს. ჰმონეთ უფალსა შიშით, და უგალობდით მას ძრწოლით, იტყვის ღავით წინასწარმეტყველი (ფსალმ. 2, 11). მრთი სიტყვით, მოიქცი ისე, როგორც მოიქცა მარიამ ღვთის-მშობელი დღეს. როგორ მოიქცა იგი? როდესაც მას ესმა გასაოცარი სიტყვა მთავარანგელოზისაგან, შეშინდა, დაფიქრდა და ჰკითხა: ვითარმე იყოს ესე ჩემდა? მერმე, როდესაც ანგელოზმა აუხსნა მას საიდუმლო სახარებისა, გაუხარდა მას გულში. ეს ვიცით ჩვენ იმ სიტყვისაგან, რომელიც მან თვით წარსთქვა, როდესაც ჰნახა ნათესავი თვისი მლისაბედი: ადიდებს სული ჩემი უფალსა, და განიხარა სულმან ჩემმან ღვთისა მიმართ მაცხოვარისა ჩემისა. გარნა სიხარული ესე მისი იყო შეზავებული ღვთის მადლობითა, დიდებითა და შიშითა. ამისათვის ესრედ უპასუხა მან მახარობელსა მთავარანგელოზსა: აჲა მხევალი უფლისა, მეყავნ მე სიტყვისამებრ შენისა.

რით და რისთვის მიიღო ქალწულმა მარიამმა ეგოდენი მადლი ღვთისა, რომ იქმნა აღრჩეული მთელი კაცობრივისა ნათესავისაგან, მსახურებად ღვთის განხორციელებისა? მართალია, იგი იყო შემკული ყოვლითა სათნოებითა, რა ზომადაც შეიძლება კაცის ბუნებისათვის, ასე რომ, ვიდრემდის ახარებდა მას

მთავარანგელოზი, იგი კიდეც იყო ჭეშმარიტი ტაძარი ღვთისა. ზარნა ყოველთა მისთა ნიჭთა და მადლთა და სათნოებათა შორის, უდიდესი და უსანატრელესი იყო მისი სიმდაბლე და სიმშვიდე. ამ უკანასკნელისა სათნოებისათვის მიჰქედა მას ღმერთმა, ვითარცა თვითონ სულის წმიდის შეგონებით აღიარებს: ჩამეთუ მოჰქედა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თვისისასა. პრის ერთი ძველიდგან გარდამოცემული მშვენიერი მოთხრობა ქალწულ ღვთის-მშობელზე. როდესაც იგი კითხულობდა ისაია წინასწარმეტყველის წიგნსა და შეპხვდა შემდგომი ადგილი: ავა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ, — დაფიქრდა ამ სიტყვებზე და სთქვა თავის გულში: რა სანატრელი იქნება ქალწული იგი, რომელზედაც თქმულ არს ეს სიტყვა! და მერმე კიდეც ევედრა ღმერთსა, რომ აღირსოს მას ხილვა იმ ქალწულისა, რათა ემსახუროს მას, ვითარცა მხევალი. მსრეთი სიმდაბლე ჰქონდა მას გულში! უთუოდ მან დაინერგა ლრმად სიტყვა იმავე ისაია წინასწარმეტყველისა, რომელი პირისაგან ღვთისა იტყვის: ვის მივხედო, გარნა მდაბალსა, მშვიდსა და რომელი ძრწის სიტყვათა ჩემთაგან გარნა. შენც მოგხედავს, ძმაო, ღმერთი მოწყალითა თვალითა, თუ შეიძინე სრული სიმდაბლე და სიმშვიდე. თვინიერ სიმდაბლისა არც ერთს სხვა სათნოებას არა აქვს ფასი. აბრაამ მამათ-მთავარი და ღვთის მეგობარი იტყოდა, წინაშე ღვთისა მდგომარე: მევარ მიწა და ნაცარი. დავით მეფე და წინასწარმეტყველი იტყოდა თავის თავზე: მევარ მატლ, და არა კაც, ხაყვედრელ კაცთა. ქალწული მარიამი ჰნატრობდა, რომ მხევლად ყოფილიყო ღვთის-მშობლისა, და როდესაც თვითონ შეიქმნა დედა ღვთისა, და იცოდა, რომ გახდა სანატრელ და სიქადულ ყოველთა ნათესავთა, არა თუ არ მოიკლო სიმდაბლე, არამედ უმეტესად თავმდაბალი შეიქმნა და მშვიდი. იგი სცხოვრებდა მყუდროდ, მიმალული; არავის არ ეხებოდა, ვერც ერთსა მისსა მოთხოვნილებასა, ანუ უფლებასა ვერ დაინახვდა ვინმე. თუ ესრედ იქცეოდა იგი, ჩვენ, ცოდვილნი, რა ზომად-ლა უნდა ვიყვნეთ მდაბალნი და მშვიდნი! სიმდაბლე და სიმშვიდე მით არის საკვირველი, რომ ღირსთა, მაღალთა, სათნოთა კაცთა ღირსებასა იგი დააგვირგვინებს, და თუ ვისმეს სხვა არაფერი სათ-

ნოება არა აცს და არაფერი კეთილი საქმით ღმერთი არ ასი-
ამოვნა, შეავსებს მის ნაკლულევანებას და მარტო იგი გაამარ-
თლებს, მისიზიდავს თავსა მისსა ზედა ღვთის მოხედვასა: რამე-
თუ მოჰქმდა სიმდაბლესა ჩემსა. ამინ.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა,

თქმული ქუთაისის კათედრის ეპისკოპოსი 25 მარტს, ხა-
რების და ბზობის დღესასწაულთა ზედა, 1879 წელს.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.
დღეს, ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, მოძღვრე-
ბასა ჩვენსა დავიწყებთ მით, რომ მოგახსენებთ ერთს მცირე
ნამდვილ ამბავს, რომელიც მოხდა წარსულს წელსა. იმ ნამ-
დვილი ამბავისაგან, როგორც ვგონებ, გამოიყვანება კარგი
სწავლა და დარიგება. იქიდგან ჩვენ დავინახავთ, ვითარცა
სარკეში, რა ზნეობა და ხასიათი მიიღეს ზოგიერთთა წევრთა
ჩვენისა საზოგადოებისათა.

წარსულს წელს, შუა ზაფხულში, შუთაისიდგან წავიდნენ
რაოდენიმე ახალგაზდანი ვაჟნი და ქალნი ბელათის მონა-
სტერში. მონასტერში, ვგონებ, ქრისტიანე კაცი ლოცვისა-
თვის და ღვთის თაყვანის-ცემისთვის უნდა წავიდეს, გარნა ხსე-
ნებულთა პირთა, როგორც გამოჩნდა და როგორც მიამბეს
ბერებმა მის მონასტრისათა,— მე თვითონ კი არ მინახავს იგი-
ნი, არც ვიცი ვინ იყვნენ, და არც საჭიროა ვიცოდე, და ნე-
ტავი არც გამეგონა ეს ანბავი,— თითქოს ეკკლესიის და მო-
ნასტრის გასაკიცხავად წავიდნენ მონასტერში. ბელათის სო-
ბოროში რომ შევიდნენ, ისე უწესოდ და ურიგოდ იქცეო-
დენ, რომ საწყალი მოხუცი ბერები განცვიფრებული და შე-
წუხებული იყვნენ მათი მოქცევითა. ბოლოს ერთმა ყმაწვილ-
მა კაცმა,— ამას კაცი როგორ დაიჯერებს,— თუმცა არა შუა
საყდარში, გარნა მაინც საყდარში, პაპიროზს მოუკიდა ცეცხ-
ლი. იქიდგან რომ გამოვიწნენ, დასხდნებ და იწყეს ღვინის
სმა, დიდი ყიუნით და ხმაურობით. მასუკან აღვნენ და იწყეს

თამაშობა, ასე რომ, ცხადად შეეტყობოდა, სულ ყველანი, არამც თუ ვაჟნი, ქალებიც მომეტებულად დალეულნი იყვნენ. **თუმცა** წინამძღვარმა უმდაბლესად სთხოვა, რომ მოეშალათ ეს უწესოება, მაგრამ არ დაუჯერეს, ბევრი საყვედურიც უთხრეს. **იქნება** შენ იფიქრო, რომ ისინი იყვნენ გაფუჭებულნი, ან გარყვნილი სახლიდგან გამოსულნი. მსე რომ ყოფილიყო, ვინ მიაქცევდა ყურადღებას: გაფუჭებულნი და გარყვნილნი, საუბედუროდ, ყოველს ქვეყნებში არიან. სამწუხარო აქ ის არის, რომ ხსენებულნი პირნი ივყნენ ნასწავლთაგანნი. ვგონებ, უმეტესი ნაწილი სამსახურისა იყვნენ. ჩალებს ეცვათ ყველას ახალ-მოდის ტანისამოსი, სუყველანი რუსულად ლაპარაკობდნენ, რომელიც ჩვენში არის ნიშანი განათლებისა. როდესაც გავიხსოვნებ ამ ამბავს, მწუხარებით ვკითხავ ჩემს თავს: რას ვშვრებით? სად მივდივართ? რას ვსწავლობთ? საიდგან მიიღეს და ვისგან ისწავლეს ამისთანა ზნეობა ახალგაზდა. ყმაწვილთა კაცთა? ნუ თუ მსგავსნი პირნი იმას ჰავიქობენ, ვითომც განათლება მდგომარეობს იმაში, რომ სირცხვილი უკან გადააგდოს ახალგაზდა ქალმა, ყმაწვილ-კაცებთან დალიოს, აირიოს მათთან და ისე მოურიდებლად და უსირცხვილოდ ეთამაშოს. ან იმ უფალმა, რომელმაც პაპიროსი დაანთო საყდარში, ვსთქვათ იმას ღმერთი აღარა სწამს, ეკლესიას არ ერიდება, გაზდილობა მაინც უნდა ეხმარა, არ უნდა შეერცხვინა და შეეწუხებინა მოხუცებული ბერები ამისთანა ქცევით. ბაზდილი კაცი, სტუმრად რომ შევა სხვის სახლში, ნებას გამოითხოვს სახლის. პატრონისაგან პაპიროზის მოკიდებაზე. აქ, საყდარში, პაპიროზს ანთებენ, ბერებისა არა სცხვენიათ. ამას მოითხოვს ზრდილობა? თავაზიანობა?.. სამწუხაროა ესრეთი ყოფა-ქცევა და ზნეობა. რაც კარგი და მოსაწონი იყო ძველ დროებაში და ცხოვრებაში, ივიწყებენ; ნაცვლად მისა ეჩვევიან ყოველისფერს ცუდს და საძაგელს. შმინდად და პატივის საცემლად მათ არაფერი არ მიაჩნიათ, ყოველნი ხორციელნი ვნებანი აშვებულნი აქვსთ და აღვირ-აუსხმელნი; გულ-დიდნი კი არიან, რომ განათლებულნი ვართო, რაღაც გვისწავლიაო... ბვიხსენ, ღმერთო, ამისთანა განათლებისაგან და ესრეთთა განათლებულთაგან.

მაგრამ მე არა ნაკლებად მაწუხებს და მარცხვენს ის, რაც მოხდა აქ გუშინ ზეთის კურთხევაზედ და ბაიას დარიგებაზედ. რა არეულობა, ყვირილი, თითქმის კრივი იყო... რას იფიქრებდა ვინმე უცხო კაცი, რომ ენახა ჭაშინ ჩვენი ეკლესია? შთუოდ იფიქრებდა, რომ აქ ქრისტიანები კი არა, უმეცარნი, გაუნათლებელნი, ტყეში მცხოვრებელნი შეიკრიბნენო. ამოდენი ხანია გასწავლით, გიქადაგებთ, და ეს მცირე საქმე ვერ გასწავლეთ, რომ ეკკლესიაში წესიერად დასდგებოდეთ. რათ მოიტაცეთ, ძმანო, ძალით ის, რასაც მე ჩემი ნებით, კურთხევით გაძლევდი? ანუ არ შეგეძლო ერთი წამი კიდევ გაჩერებულიყავ ეკკლესიაში და მშვიდობით და კურთხევით აგელო ბაია?

გარნა მარტო თქვენ არ გაბრალებ ამას. აქ მთავრობაც არის დანაშაული. ამბობენ, ქალაქში არის პოლიციაო! საკვირველია, სადაც სწორედ საჭიროა პოლიცია, იქ მას ვერ ვხედავთ, და სადაც სრულად არ არის საჭირო, იქ კი გამოჩნდება ხშირად, მაგრამ რა ვქნათ. მაღლობა ღმერთს, რაც მოხდა, მოხდა, უთუოდ ჩემი ცოდვით იყო ესა! ჩემდა საკდემელად, რათა არა ვიფიქრო მაღლად ჩემ თავზედ, ცხადად დავინახო, რა მცირე არის და მოკლე ჩემი სულიერი ძალი და ღონე შეგონებად თქვენდა. რაიმე კეთილისა. იყავნ ნება ღვთისა! ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

დღესა ხარებასა, თქმული ქუთაისის სობოროსა შინა.

ძმანო და დანო, მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო!

თუმცა აწინდელი დღესასწაული დიდ არს და სასიხარულო ყოველთა კაცთათვის, გარნა უმეტესად დედა-კაცთათვის, რადგანაც ვდღესასწაულობთ ჩვენ ხარებასა შოვლად-წმიდისა მარიამისასა. ამისთვის დღეს სიტყვასა და მოძღვრებასა ჩვენსა მივაქცევთ განსაკუთრებით ქრისტიანულთა ქალთა მიმართ. ამ განზრახვით, პირველად მოვიყვან და წავიკითხავ თქვენ წინაშე რაოდენთამე მუხლთა წიგნისაგან ისუ ზირაქისა, რომელიც

იყო წარჩინებული სიბრძნითა მწერალი ძველისა აღთქმისა. შევიტყოთ, რა ზნეობას მოითხოვდა იგი ქალთაგან, რას უქებდა იგი ქალთა და რას უწუნებდა მათ, რა შეხედულობა და აზრი ჰქონდათ ძველი აღთქმის მწერალთა დედაკაცების ზნეობაზე და ყოვთა-ქცევაზე. ეს მით უმეტესად იქნება დღეს შესაფერი, რომ ამასწინად, თვით ამ დღესასწაულს, ჩვენ მოვიყვანეთ და აღგიხსენით აზრნი და შეხედულობანი ქალთა ზედა მეორისა, უმეტესად შესანიშნავისა და ბრძნისა ძველი აღთქმის მწერლისა, ესე იგი სოლომონ ბრძნისა მაშასადამე, შეწევნითა დვთისათა, ვიწყოთ ჩვენი საუბარი.

ისუ ზირაქი წიგნისა შინა თვისსა, პირველად, ოცდა მეხუთესა თავსა შინა, აღწერს თვისებათა და ჩვეულებათა ცუდისა, ბოროტისა დედაკაცისასა, მერმედ, ოცდა მეექვესესა თავსა შინა, აღწერს კეთილსა, სათნოსა ქალსა. ჩვენც პირველად მოვიყვანოთ სიტყვები ოცდა მეხუთისა თავისა, და მერმე ოცდა მეექვესისა.

უმჯობეს არს ცხოვრება ლომთა თანა და ვეშაპთა, ვიდრე ცხოვრება დედაკაცისა ბოროტისათანა (თავი 25, 18).

იქნება ეს სიტყვები ვისმეს თქვენგანს ეჩვენოს ნამეტან ფიცხლად და უადგილოდ, მეტადრე ვისაც არ გამოუცდია ცხოვრება ბოროტისა დედაკაცისათანა, ის ითვიქრებს ამ სახით. მაგრამ თუ ჰკითხავ იმ კაცებს, რომელთაც დიდხანს უცხოვრიათ ბოროტთა დედაკაცთა თანა; ისინი დასთანხმდებიან ისუ ზირაქის აზრსა. მართლა, ერთობ დიდი უბედურება და მოუთმენელი განსაცდელი არის ცხოვრება ბოროტისა დედაკაცისათანა.

სიბორეტე დედაკაცისა შეუცვლის სახესა მისსა და დააბნელებს პირსა მისსა, ვითარცა ძაძა (თავი 19). ამ მუხლს ბევრი ახსნა არ უნდა. სიბოროტე გულსა შეცვლის და გააფუჭებს სახესა, არა თუ დედაკაცისას, არამედ მამაკაცისასაც; მაგრამ, რადგანაც პირისახეს დედაკაცისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მამაკაცისათვის. ამისთვის აქედგან ის უნდა ვისწავლოთ, რომ სიბოროტე გულისა ამ მხრითაც უფრო დიდ ვნებას აძლევს დედაკაცს.

მცირე არს ყოველი სიბოროტე წინააღმდეგ სიკ როტისა დე-

დაკაცისა (მუხ. 21), — ესე იგი დედაკაცის სიბოროტე უფრო დიდი არის, ვიდრე სხვა სიბოროტე. რისთვის? მისთვის, რომელ ქალს. ღმერთმან მისცა უფრო ჩვილი გული ლმობიერი ხასიათი, და თუ ქალმან ეს ბუნებითი თავისი თვისება შესცვალა, ბოროტი შეიქმნა, უფრო საძაგელია.

რისხვა და ურცხვინოება და კდემა დიდი დედაკაცისა, უკვათუ ხელმწიფებს ქმარსა მისსა (მუხ. 24), — ესე იგი, თუ დედაკაცი უფლობს, ანუ უფროსობს თავის ქმარზეო, ის დიდი სირცხვილი, კდემა და ურცხვინოება არისო. იქნება აქ ვინმემ ამის წინააღმდეგი ითვიქროს: განა არ შეიძლება რომ ზოგჯერ ცოლი უფრო ჭკუიანი და მხნე იყოს, ვიდრედა ქმარი მისი? ცუდი რა იქნება, რომ იმან დაიწყოს უფროსობა ოჯახში და ამით ოჯახი გაკეთდეს? არა, დანო ჩემნო! შფროსობა და უფლება ცოლისა ქმარსა ზედა, როგორც ძველს აღთქმაში, აგრეთვე არც ახალს აღთქმაში არ არის შენდობილი. რაც გინდ უმჯობესი და უგონიერესი იყოს ცოლი ქმარსა ზედა, მაინც იმას უნდა ემთრჩილებოდეს. მჯახის წარმატებას და გაკეთებას ეს არ დაუშლის, ქმრის პატივის ცემა და მორჩილება შეიძლება კეთილად შეერთდეს ზრუნვასა, შრომასა და გაკეთებასა ოჯახისასა.

გული მდაბალი და პარი მჭმუნვარე და დაწყლულება გულისა დედაკაცი ბოროტი (მუხ. 25), — ესე იგი ქმარსა ბოროტის დედაკაცისასა პარი მჭმუნვარე აქვს და წყლულება. აქვს გულში.

ხელით უძლური და მუხლით დახსნილი დედა-კაცი, რომელიცა არა პნატრის ქმარსა მისსა (მუხ. 26). დედა-კაცისაგან დასაბამი ცოდფისა, და მით მოვკვდებით ყოველწინი (მუხ. 28).

ასე სასტიკად და ფიცხლად აღწერს ისუ ზირაქი ბოროტისა, ცუდისა დედაკაცება: გარნა, ნაცვლად ამისა, იგივე ისუ ზირაქი ძრიელ შეამკობს და აქებს დედაკაცება კეთილსა.

დედაკაცისა კეთილისა სანატრელ არს ქმარი, და რიცხვი დღეთა მისთა მრჩობლ (თავ. 26, 1). ესე იგი ბერნიერი და სანატრელი არის კეთილი ქალის ქმარი, მისი ცხოვრება ქვეყანაზე ორკეც იქნება, ესე იგი ერთი არად გაგრძელდება. ამ აზრს, მე მგონი, ყოველი კაცი და ქალი დასთანახმდება. ვინ არ იცის,

რა ბედნიერება არის კაცისათვის კეთილი ცოლი, ისიც უეჭველია, რომ ამისთანა ქალის ქმარი უფრო ღიღხანს იცხოვრებს ქვეყანასა ზედა. როგორც შთოთი და მწუხარება შეამოკლებს ცხოვრებასა კაცისასა, მსგავსადვე მყუდროება და სიხარული შინაური გააგრძელებს მას.

დედა კაცი კეთილი ახარებს ქმარსა მისსა, და წელთა მისთა აღავსებს მშვიდობითა (მუხ. 2).

მდაბალი დედაკაცი ქმარსა მისსა და ძვალთა მისთა განაპოხებს ხელოვნება მისი (მუხ. 16).

ნიჭი უფლისა — დედაკაცი მდუმარე (მუხ. 17). მადლი მადლ-სა ზედა დედაკაცი მორცხვედი. (მუხ. 19).

აპა, როგორ შეამკიბს ისუ ზირაქი კეთილსა დედაკაცსა! სჩანს, რომ ძველ აღთქმაშიაც დედაკაცებში მოსწონდათ მორცხვედობა, მდუმარება, კეთილობა, მყუდროება, ოჯახის მეურნოება და ოჯახისათვის მზრუნველობა. თუ ძველ აღთქმაში ესრეთი იყო მხედველობა და დანიშვნა ქალისა, მით უმეტესად ახალ აღთქმაში კაცი უნდა იყვნენ შემკობილნი იმავე და უმჯობესოთა სათნოებითა.

დანო ჩემნო, მორწმუნენო ქრისტიანენო, ქალისაგან ახალი აღთქმის სწავლა უფრო ამაღლებულსა სათნოებასა მოითხოვს და უფრო ამაღლებულსა დანიშნულებასა უჩვენებს მას. ამაზე დიდი და ვრცელი ლაპარაკი არის საჭირო, მაგრამ მეშინის გაგრძელება სიტყვისა, რაღგანაც გრძელი წირვა-ლოცვა იყო და დიდი ხანია სდგენართ აქ. ამისთვის ახლა მხოლოდ რაოდენთამე მოკლეთა სიტყვათა შინა აღგიხსნი თქვენ, რა მნიშვნელობა აქვს და როგორი უნდა იყოს ახალი აღთქმის ქალი.

როდესაც გავიხსოვნებთ ერთად ყოველთა იმ სიტყვათა და სწავლათა, რომელი არიან თქმულნი ახალი აღთქმის საღმრთო წიგნებში, შესახებ ქალების ზნეობისა და მათი ყოფა-ქცევისა და, ამასთანავე, როდესაც ერთად წარმოვიდგენთ ყოველთა მათ სახეთა და მაგალითთა, რომელი მოგვცეს ჩვენ მრავალგვართა წმიდათა ქრისტიანულთა ქალთა, ქალწულთა, მოწაფეთა, ღირსთა მონაზონთა, დედათა, მეუდაბნოეთა და სხვათა ქალთა, წმიდათა შორის შერცებილთა, და, მეტადრე,

როდესაც წარმოვიდგენთ იმ ქალწულსა, რომელსა დღეს მთა-
ვარ-ანგულოზმან მიართვა ხარება და რომელსა წმიდა ეკკლე-
სია უწოდებს უპატიოსნესად ხერუვიმთასა და აღმატებით
უზესთაესად სერაბიმთასა, მაშინ მოკლედ ასე უნდა გამოვსქვათ,
რომ ქრისტიანულის ქალის მნიშვნელობა ის არის, რათა იყოს
იგი მცველი, განმამტკიცებელი, განმავრცელებელი სიწმინდი-
სა, პატიოსანი ზნეობისა, დამამყარებელი და აღმაღორძინე-
ბელი ქრისტიანულის ცოლ-ქმრობისა, მამაშვილობისა, ერ-
თი სიტყვით, ოჯახის ცხოვრებისა, სიწმინდისა და ზნეობისა.
რა დიდი და მაღალი არის ეს მნიშვნელობა, ამას მოკლედ ვერ
ახსნის კაცი. მხოლოდ იმას დაუმატებ: ნეტარ არს ის ქვეყანა
და ერი, რომელსა შინა ქალნი არიან წმინდისა ზნეობისა,
პატიოსნის ცხოვრებისა. ის ქვეყანა და ერი ყოველთვის იქნება
წარმატებასა შინა და ბელნიერებასა. წინააღმდეგ ამისა, უბე-
დურ არს და სატირალ ის ქვეყანა და ერი, რომელსა შინა
ქალთა დაივიწყეს თვისი მნიშვნელობა, მიიღეს ცუდი ზნეო-
ბა, დაიწყეს დაფანტული, ქრისტიანულის ზნეობის
წინააღმდეგი ცხოვრება. მალე წარხდება და დაეცემა ის ქვე-
ყანა და ერი.

იესო მაცხოვარო! მეოხებითა შოვლად-წმიდისა დედისა
შენისათა, მოგვეც ჩვენ პირველი და განაშორე ჩვენგან მეო-
რე. ამინ.

ს ი ტ ჟ ა ხ

თბილი ქათაისის სობოროვი 25 მარტს 1881 წელს.

ვაი არს, რომელნი იტყვიან ბო-
როტსა კეთილად, და კეთილსა ბო-
როტად, რომელნი დასდებენ ბნელ-
სა ნათლად, და ნათელსა ბნელად და
რომელნი დასდებენ მწარესა ტკბი-
ლად, და ტკბილსა მწარედ. (ისაია
5, 20).

ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! თუმცა ამ წმი-
და დღეს ჯერ-იყო უბნობა თქვენ წინაშე რომელსამე სულიე-
რსა საგანს ზედა, მაგალითებრ: მარხვასა, ლოცვასა, მონანე-
ბასა, ან თვით დღევანდელი დიდი დღესასწაულის მნიშვნე-
ლობასა ზედა, გარნა აწინდელთა საქვეყნო გარემოებათა მაი-
ძულეს მე წართქმად თქვენს წინაშე სიტყვისა იმ საშინელს
მოვლენაზე, რომელზედ ახლა ყოველი კაცი ჰლალადებს, სწუხს,
სჯის, მით უმეტესად, რომ ეს შემაძრწუნებელი მოვლენა, მი-
სი ცხოვლად წარმოდგენა და გახსოვნება, დააფიქრებს კაცს,
გააჩენს მის გულში, თუ კაცობრივი გრძნობა არ დაუკარგავს,
მწუხარებას, სინანულს და ლოცვას.

შექველია, თქვენ კიდეც მიჰევდით, რომ მე ვანბობ ჩვენი
ხელმწიფე იმპერატორის საშინელს სიკვდილზე. ვიცი ისიც, რომ
თვით თქვენცა ყოველნი უმეტესად განცვითრებულნი და შე-
წუხებული ხართ ამ შემაძრწუნებელი ანბავისაგან. ან კი რო-
გორ შეიძლება არ განცვითრდეს კაცი და ზარდაცემული
არ შეიქმნეს, თუ იგი კაცია, ადამიანი, და არა მხეცი, როდესაც
ცხოვლად წარმოიდგენს, რა სახით გარდაიცვალა ნეტარ-ხსენე-
ბული ხელმწიფე ჩვენი! იმ დროიდგან, რაც ქვეყანაზედ არ-
სებობენ ხელმწიფებანი და ხელმწიფები, არ მომხდარა ამისთანა
საზარელი საქმე. მჯდომარე ქვეყნის უმაღლეს ტახტსა ზედა,

შპყრობელი თითქმის ასი მილიონის ქვეშევრდომისა, რომელთა უზომოდ უყვარდათ იგი, რომელმან გააბედნიერა თვისი ერი, გამოიყვანა იგი ეტვიპტეს მონობისაგან, დააყენა ფართოსა გზასა ზედა განათლებისა და წარმატებისა, და არა თუ მარტო თვისი მამულისა და ქვეშევრდომთა იყო კეთილის მოქმედი, არამედ გამოიყვანა ბგარიანების ტანჯვისაგან და გაანთავისუფლა არა ერთი მილიონი მართლ-მადიდებელი ქრისტიანენი,— ესრეთი ხელმწიფე, თვის სატახტო ქალაქში, შუადღისას, მიმავალი თვისს სასახლეში ბარბაროსულად მოიკლა რაოდენთა მიერ, კაცის სახის მექონეთა, მხეცოაგან, მას ესროლეს საფეხქელი, დაუმტვრის მუხლები და ფეხები, დასწვეს, დაგლიჯეს, ასე, რომ უმაღლესმა გვირგვინოსანმან ძლივს მიახწია თავის სასახლეში და მყისვე განუტევა სული. ჩვენ ას მილიონამდი ვართო მისი ქვეშევრდომიო, იტყოდა ერთი მქადაგებელი ეკლესიაში, წინაშე ურიცხვთა, ზარგანხდილთა, მტირალთა მსმენელთა, და თვითონეული ჩვენგანი მზად იყო მისთვის შეეწირა სიცოცხლე, და როგორ დაგვემართა ეს საშინელი საქმეო, როგორ განვიკიცენით ასე წინაშე მთელი ქვეყანისაო, როგორ ვერ დავიცევით ჩვენი მამა, ჩვენი კეთილის მყოფელი, ჩვენი დიდება და სიქადული, რომლისა მსგავსი, ჭკუითა და კეთილ-გონებით, არ ყოფილა ხელმწიფეთა შორისო. მაგრამ ვინ წარმოიდგენს და ვინ აღწერს იმ მწუხარებას, იმ შემუსევრილებას, იმ სირცხვილს, რომელსა მიეცნენ ყოველნი მისნი ქვეშევრდომნი, როდესაც შეიტყეს ეს საშინელი ანბავი. ადგილი, სადაც დაითხია უბრალო სისხლი კეთილისა ხელმწიფისა, შეიქმნა ადგილი სალოცველი, დილიდან საღამომდის ურიცხვნი კაცნი, ყოველი ქალაქებიდგან და სოფლებიდგან, მიღიან იმა ადგილზედ, დაიჩოქებენ, ჰყოცნიან ალაგს, რომელმან მიიღო სისხლი მართალი, სანთელს ანთებენ და ლოცულობენ. შოველთა რუსეთის დიდ ქალაქების რჩევათა დიდ ძალი ფული გადასდევს, რომ ააშენონ იმ ადგილზედ ტაძარი, ძეგლად და საუკუნო სახსენებლად მისი სულისა, და დიდი სახლები, გამოსაზრდელად ღარიბთა ქვრივთა და ობლებისა. მსრეთსა განუცხრომელსა მწუხარებასა შინა მყოფთა, რუსეთის ქვეშევრდომთა დარჩა ერთი ის ნუგეში, რომ მარადის სახსენებელმა ხელმწიფე იმპერატორმა დასტოვა თავის ტახტის მემკვიდრე, თვისი უფროსი ძე, მყო-

ფი სრულს, ყვავილოვანსა ჰასაკსა შინა, გამოცდილი ყოველთა სამოქალაქო, სამხედრო და უმეტესად სახელმწიფოთა საქმეთა შინა. რაიცა შეეხება მარადის სანატრელსა, აწ მიცვალებულსა ხელმწიფესა, თუმცა მ-ცვალება იგი მისი იყო საშინელი და შესაძრუწუნებელი, გარნა მისმა ესრეთმა სიკვდილმა დააგვირგვინა მისი ცხოვრება. მან მიიღო წვალება არა მის-თვის, რომ ცუდი რაიმე ჰქმნა, ან ცუდი კაცი იყო, არამედ მისთვის, რომ იყო მტკიცე, მცველი თვისისა ერისა. მკვლელნი არა მისი პირადი მტერნი იყვნენ. არამედ მთელისა რუსე-თისა. შეშმარიტად, შეიძლება თქმა: იგი იწამა მთელი თვისი ერის ერთგულებისათვის. ბარდა ამისა, მისი დანობეული, მარ-თალი სისხლი დიდს ნაყოფს გამოილებს, იგი გააღვიძებს, გა-აბრთხილებს, თვალს აუხილავს ყოველს საზოგადოებას, ყო-ველნი შეიტყობენ, რას უნდა მოველოდეთ იმ გამხეცებულ კაცთაგან, რომელთა მოჰკლეს იგი. ძიდეც ახლავე შეეტყობა, რომ ყოველთა გაიღვიძეს რუსეთში, ასე რომ ამ საქმეში-აც ცხადად სჩანს ლვოს განვება, მტერთა მისთა არა თუ შეა-სრულეს თვისი ავაზაკური განზრახვა, არამედ უმეტესად აამა-ლლეს ის საქმე, რომლისა გაფუჭება მათ უნდოდათ. მისი სის-ხლი შეიქმნება განსანათლებელად ზოგიერთ კაცთა დაბნელე-ბულის აზრისა და მიმართულებისა!

ბარნა, აქ ჩვენ მივადექით ერთს მძიმე კითხვას: ვინ არი-ან ხელმწიფის მკვლელნი? მიცი, რომ თქვენც, ყოველნი ამას ჰკითხულობთ თქვენს გულში. ცხადად, დაწვრილებით და უშემ-ლად ახსნის და გამოაჩენს იმას მომავალი დროება; მაგრამ ახ-ლაც ბევრი არის შეტყობილი, და შეიძლება ახსნას კაცმან აზრი, მოქმედება და მიზანი იმ პარტიისა, რომელთაც, თხუთ-მეტის წლის განმავლობაში, გაუმწარეს მიცვალებულს სიცო-ცხლე, და მისი სახელმწიფო გვირგვინი გარდააქციეს ეკლის გვირგვინად. დიდიხანია გაჩნდა ევროპაში ერთი ახირებული, ანუ, უმჯობეს არს თქმად, გადარეული პარტია. ამ პარტიამ მცირე რამ საქმე არ მოინდომა. მან მოინდომა მთელი ქვეყ-ნის მოწყობილობის, ჩვეულების, სჯულის, ყოფა-ქცევის გა-მოცვლა, გადაბრუნება. თავდაპირველად მან დაიწყო სწავლა და შეგონება ყოველთა, რომ ქვეყანა ცუდად არის დაწყობი-

ლიო, ზოგი მდიდარია, ზოგი ღარიბიო, ზოგს ბევრი ქონება აქვს, ფული, მიწა-წყალი, ზოგს არაფერიო, ასე არ ვარგაო, თავის საკუთრება არავის არაფერი უნდა ჰქონდესო, ყოველი-ფერი საზოგადო უნდა იყოსო. პმისთანა აზრებისთვის მათ ჰკიცხვიდენ სუყველანი: თქვენ გინდათ კაცთა საზოგადოების ცხოვრება ისეთი იყოს, როგორც ნახირისაო. მაგრამ ამაზე-დაც არ გაჩერდა ის პარტია; იგი მიჰევდა, რომ ვიდრემდის ქვეყანაზედ იქმნება წესიერება, საღმრთო და სამოქალაქო სჯული, მთავრობა, უმცროსობა, იგინი თავის აზრს ვერ აღა-სრულებენ, ამისათვის იმ პარტიამ უარ-ჰყო ესე ყოველი, და იწყო გმობა ღვთის სჯულისა და მთავრობისა. არც ეკკლესი-ები უნდა იყოს ქვეყანაზე და არც ლოცვაო, არც მთავ-რობაო და არც სხვა ახლანდელი წესიერებაო, ერთი სიტყ-ვით, მოინდომა ყოველიფერი. ახლანდელი მოწყობილების მოსპობა. საუბედუროდ, ამ პარტიამ იშოვნა მრავალი მოკერ-ძე, უსაქმოთა, გაფუჭებულთა, მეტადრე, ახალგაზდა პირთა შორის. წინაპირველად იგინი სცდილობდენ, რომ თვისი აზ-რები და სწავლა გაევრცელებინათ მთელს ხალხში სიტყვით და ქადაგებით, და ბევრიც აცთუნეს, მაგრამ მაინც ათასში ერ-თი არ იქმნებოდა მათი აზრის თანახმა. ბოლოს მათ სთქვეს: მარტო ლაპარაკით და ქადაგებით არაფერი გაგვივაო; ძალა ვიხმაროთო, ვინც ჩევნს საქმეს დაგვიშლის დავხოცოთო. სხვა სახელმწიფოებშიაც მოინდომეს მათ ხელმწიფების და მათის მოხელეების მოკვლა, მაგრამ ვერ შეასრულეს, და ჩევნ სახელ-მწიფოში კი, საუბედუროდ, მათ აცთუნეს და მიიკერძეს მრა-ვალნი ახალგაზდა მოსწავლენი, სხვა და სხვა სასწავლებლე-ბიდგან, დაუბნელეს მათ გონება, და დააჯერეს, რომ ხელმ-წიფის და სხვა კაჯების მოკვლა, რომელნიც მათი პარტიიების. წინააღმდეგები არიან, არ არის ცუდი საქმე. პირველი სასრო-ლი ხელმწიფეს ესროლა ერთს სასწავლებელში მყოფმა ცხრა-მეტის წლის ბავშვან. მრთი სიტყვით, ამ უკანასენელს წლებ-ში მიიღო იმ პარტიამ ავაზაკური მიმართულება, გარდაიქცა კაცის მკვლელად, ავაზაკად და ისეთ ავაზაკად, რომელთა მსგავსი არ ყოფილა ჯერედ ქვეყანაზედ. დრო არის აქ გან-ვიმეოროთ ის სიტყვები, რომლითაც დავიწყეთ ეს ჩევნი უბ-ნობა: ვაი არს, რომელნი იტყვიან ბოროტსა კეთილად, და კეთილსა

ბოროტად, რომელი დასდებენ მწარესა ტკბილად, და ტკბილსა მწარედ, და რომელი დასდებენ ბნელსა ხათლად, და ნათელსა ბნელად. ამ სიტყვების ამომკითხველი ისაია წინასწარმეტყველისაგან, გაპკვირდება და იფიქრებს: ვინ იქნება ქვეყანაზედ იმისთანა ჭიუა შეშლილი, რომ ბოროტს დაარქას კეთილი, ბნელს ნათელი და მწარესა ტკბილი, მაგრამ ამას კი მოვესწარით ამ ჩვენს დროში, რომელსაც უწოდებენ განათლებულ დროდ. ხსენებული პარტიის პირნი მოკვლას, მოწამლვას, ღალატობას, მოტყუებას, დიდ-დიდი ქალაქების გადაწვას, — ესეც კი ჰქმნეს მათ, — უწოდებენ კეთილ საქმედ. დიდი გული აქვსთ, დღესასწაულობენ, როდესაც ვისმეს მოჰკვლენ და ქალაქებს გადასწვენ. უბრალო ლაპარაკში ვიტყვით: ძალად ღმერთიც კი ვერ აცხონებს კაცსაო, და ამ პარტიას უნდა ძალად გააბედნიეროს მთელი ქვეყანა. ტიდეც რომ მათი აზრი და მიზანი ქვეყნის გაბედნიერება იყოს, ნუ თუ შეიძლება სიკვდილით, მოწამლვით, ავაზაკობით გაბედნიერება ქვეყნისა? ხსენებული მხეცური პარტია, ვინც მათ სიტყვას და სწავლას არ დაიჯერებს, მოჰკვლენ, მოსწამვლენ, დასწევენ და ამბობენ — ქვეყანა უნდა გავაბედნიეროთ!

დასასრულ, ქმანო, გამოვიყვანოთ ჩვენთვის ზნეობითი სწავლა ზემოდ თქმულთა სიტყვათაგან და აღწერილთა გარემოებათაგან, ვკითხოთ ჩვენს თავს: რამ გააფუჭა, რამ გაამახინჯა, რამ დასცა ამ ზომად ამდენი პირნი, რომ აღარაფერი კაცობრივი გრძნობა და ზნეობა აღარ არის მათში? რა ზომად გამახინჯებულნი არიან იგინი, ამის საჩვენებელად მოვიყვან ერთს სურათს: ამბობენ რომ, ქალებიც ერიენო ხელმწიფის მკვლელთა შორის, — კიდეც დაიჭირეს ერთი მათგანი, რომელმან თვისი ხელით გატენა სასროლი! რა არის ეს? რის მსგავსია ამისთანა ქალი? ქალს ბუნებიდგან ჩჩივილი გული აქვს; იგი თანამგრძნობელია ყოველი მწუხარებისა? ქალს, თუ გაფუჭებული არა აქვს მდედრობრივი, ბუნებითი გრძნობა, ქათმის დაკვლაც არ შეუძლია, ეზიზლება, და აქ რას ვხედავთ? ქალი ამზადებს ჯოჯოხეთურ საფეთქელს, დასაღუპველად მრავალთა პირთა! მრთი სიტყვით, იგი აქ დაემსგავსა მხეცს, მან მიიღო ზნე დედალი მგლისა, რომელსაც უხარის, როდესაც რო-

მელსამე ცხოველს დაჲგლეჯს და შესჭამს. ტიდევ ვიკითხავთ: რამ დასცა და დაამახინჯა ეგოდენი პირნი ახლანდელ განათლებულ დროებაში? ვრცლად და დაწვლილებით ახსნა ამისა არ შემიძლიან ახლა, მხოლოდ მოკლედ გეტყვით: უმთავრესი მიზეზი ამისა არის დამცირება, დაცემა სარწმუნოებისა, ქრისტიანული ზეობისა. მრთხმად აღიარებენ ყველანი, რომ იმ ზემოხსენებულის პარტიის პირნი, სუყველანი არიან ურწმუნო და, ამასთანავე, გასაოცრად გარყვნილნი, რომელთა ქვეყანაზედ არაფერი არ მიაჩნიათ ცოდვად. საუბედუროდ, აწინდელსა სწავლას და განათლებას ფრიად სუსტი და შერყეული საფუძველი აქვს. ახლა ყოველს სასწავლებელში მოსწავლეს გაუტენენ გოგრას ათასნაირ სხვა და სხვა სამეცნიერო აზრებითა და სწავლითა, და რომელიც ჰეშმარიტად ერთი მხოლოდ არს სახმარი, იმაზედ მცირე ყურადღებას მიაქცევენ. ახლანდელნი ჰქუის განმანათლებელნი დაემსგავსებიან **ლაზარეს** დას მართას, უმზადებენ ახალ-გაზრდა მოსწავლეთა მრავალსა საჭმელებს, და რომელიც ერთი მხოლოდ არის საუკუნო სახმარი — შიში და სიყვარული **ლეთისა**, იმას არ აძლევენ. მართალია, ყოველ სასწავლებელში ასწავლიან ლეთის სჯულს, საღმრთო მოთხრობას, მაგრამ ასწავლიან ვითარცა ერთს სხვა საგანს, სიტყვიერად, ზეპირად, გოგრაში ჩაუდებენ აზრებს, და საქმით კი ზნეობას და ხასიათს არ უსწორებენ. დრო არის გავიღვიძოთ ყველამ! **თუ** ამისთანა საშინელმან შემთხვევამ არ გაგაღვიძა, რაღა გაგაღვიძებს! საუკუნოდ მძინარეს, მკვდარს დავემსგავსებით მაშინ, რომელიც განაშოროს ჩვენგან ლმერთმა. ამინ.

მ თ ა ჯ ე ს ი ტ ჟ ვ ა

ლვთის-მშობლის მიძინებასა ზედა.

დღეს ჩვენ, ძმანო და დანო, ქრისტიანენო, ვასრულებთ
ხსენებას ლვთის-მშობლის მიძინებისასა, ანუ მიცვალებისას.
გარნა ჩვენ არა ვართ მწუხარენი, არამედ გვიხარის, არა ვსტი-
რით, არამედ ვდღესასწაულობთ. რისთვის არის ესრედ? მის-
თვის, რომ მიცვალება შოვლად-წმიდის ლვთის-მშობლისა იყო
მხოლოდ სამი დღის მიძინება, ანუ მშვიდობიანი და აღვსებუ-
ლი ნიშნებითა და სასწაულებითა მოსვენება. ამისთვისაც სიკვ-
დილსა მისსა ვუწოდებთ მიძინებად. ზვიხარის ჩვენ და ვდღე-
სასწაულობთ დღეს კიდევ მისთვის, რომ შოვლად-წმიდა, შემ-
დგომად გარდაცვალებისა, დასდგა მახლობელიად ძისა თვისისა,
შფლისა ჩვენისა იქსო შრისტესა, მლოცველი და შუამდგომე-
ლი ჩვენ ყოველთა ქრისტიანეთათვის.

თქვენ ყოველთა იცით, რა ძალა და გავლენა აქვს დედის
ვედრებასა და ლოცვასა ძისა მიმართ მისისა! გარნა მარტო სი-
ხარული და დღესასწაულობა არ ვარგა და არც გვარგებს.
შმჯობესი იქნება ვისწავლოთ რამე დღევანდელი დღესასწაუ-
ლისაგან; რომელიმე სულიერი აღშენება და ნუგეში მივიღოთ,
კეთილს რამეს მივაჩვიოთ გული და სული. თუ ვისურვებთ, თუ
მოვსებნით, დიდთა და აურაცხელთა სწავლათა და მაგალი-
თთა მივიღებთ ლვთის-მშობლის ცხოვრებისაგან. დღეს მოვი-
ყვანოთ მხოლოდ ორიოდე გარემოება მისის ცხოვრე-
ბისაგან.

რა ხასიათი ჰქონდა და მიმართულება ყოვლად-წმიდას
ლვთის-მშობელსა? რასა შინა მდგომარეობდა თვისება და სამ-
კაული სულისა მისისა? შმთავრესი და უმშვენიერესი თვისება
შოვლად-წმიდისა ლვთის-მშობლისა იყო მისი ქალწულებრივი
გრძნობა, სიწმიდე, კრძალვა, მორცხვედობა, არა თუ მაშინ,

როდესაც იგი იზრდებოდა დედმამის სახლში და მერმე ტაძარში, არამედ მერმეც, როდესაც იგი შეიქმნა დედად შფლისა იქსო შრისტესი და მასთან ყოველგან გადიოდა, და მთელი ქვეყნის თვალნი იყვნენ მიქცეულნი, ვითარცა იქსო შრისტესადმი, ეგრეთვე დედისა მისისადმი; კიდევ და უფრო მერმე, როდესაც იქსო შრისტე ამაღლდა ზეცას, ქრისტიანობა იქადაგა და გავრცელდა ქვეყანაზედ, და ყოველნი ქრისტიანენი ვითარცა ერთს გამოუთქმელსა ბედნიერებასა, ეძიებდენ ლოთის-მშობლის ნახვასა და თაყვანის-ცემასა, — ერთი სიტყვით მთელი ზეისი სიცოცხლის განმავლობაში, იგი იყო შემკული და დაცული ქალწულებრივითა სიწმიდითა, კრძალვითა, მორიდებითა და სიმღაბლითა. შოველი ქრისტიანე ქალი უნდა უყურებდეს და ჰგაძვიდეს ესრეთსა ხასიათსა შოვლად-წმიდისა ლოთის-მშობლისასა. ვგონებ, რომ ქალს სხვა ხასიათი უნდა ჰქონდეს, ვიღრიელა ვაჟს, ანუ მამაკაცს. მამაკაცისაგან არავინ არ ეძიებს მომეტებულსა მორცხველობასა, კრძალვას. იმას არავინ არ დაუწენებს და არ დასძრახავს, რომ არც კი ჰქონდეს მორიდება, კრძალვა სიტყვაში, ქცევაში. შალის საქმე კი სხვა არის. ვგონებ, იგი უნდა იყოს შემკული სიმღაბლითა, მორიდებითა, კრძალვითა. მისი უდიდესი და უძვირფასესი თვისება ის არის, თუ იგი იცავს და სხვასაც ასწავლის საზოგადოებასა შინა წმინდა ზნეობას, მშვიდს, წყნარს და მშვენიერს ერთმანეთთან მოქცევასა. შალებმა რომ ესრეთნი თვისებანი დაივიწყონ, და ნაცვლად მისა დაიწყონ ბაძვა მამაკაცთა სენებთა და მოურიდებელ ყოფაქცევათა, მაშინ დაეცემა ზნეობა საზოგადოებისა. მრიოდე კერძო მაგალითი უცხადესად აღხსნის ამ აზრს: გინება, ლანძღვა, ანუ რამე სასირცხო ხუმრობა ხომ დასაძრახისია ძლიერ და ყოველთვინ, მაგრამ ვაჟკაცს უფრო არ დაჰსრახვენ ამაში, და ქალის პირისაგან კი უშვერი და საძრახისი არის. მამაკაცმა რომ მომეტებული ღვინო დალიოს, გამხიარულდეს ღვინით, ამასაც სასირცხოდ არავინ შეჰრაცხავს, და ქალმა რომ ჰქნას ესა, უშვერი იმნება და შეუნდობელი. შალისაგან ჩვენ მოვითხოვთ, რომ უმჯობესი იყოს მამაკაცზე, ქცევითა, ზნეობითა. ანუ კიდევ ერთი მაგალითი: მამაკაცმა რომ მარტო იაროს შუალამედინ, ბულვარში, ვინ

დასძრახავს; გარნა ქალმა, მეტადრე ახალგაზდამ, რომ ეს ჰქმნას, დასაძრახისია. ახალგაზდა ქალმა და უმეტესად გაუთხოვარმან, შუალამემდის რომ იაროს ბულვარში, და ისიც ყმაწვილ კაცებთან, როგორათაც ახლა იქმენ უზომოდ ქალიშვილები, ვგონებ, რომ ყოველნი გონიერი კაცი დასძრახავს მას სიმართლით, და იტყვის, რომ ეს არის წინააღმდეგი კეთილისა, ქრისტიანულისა ზნეობისა. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

29-ს აგვისტოს, იოანე ნათლის-მცემლის თავის კვეთასა ზედა.

ჩამეთუ ეტყოდა იოანე იროდის, ვითარმედ არა ჯერ-არს შენდა, ვითარმება ცოლად გესვა ძმის ცოლი შენი; ხოლო იროდის გულსა დაედევა მისთვის, და უნდა მოკვლა მისი (მარკ. 6, 18—19).

როდესაც შევამგზავსებთ ხასიათთა და თვისებათა ორთა ამათ პირთა, იოანე ნათლის-მცემლისა და იროდი მეფისას, ჩვენ გაგვაკვირვებს მაგარი, ვითარცა კლდე, ხასიათი, ანუ ლონე პირველისა, და სუსტი, შერყეული, ვითარცა ლერწამი, და დაუდგრომელი, ვითარცა ქალი, ხასიათი მეორისა. იროდი მეფემ, რომ გაიგონა საკვირველი ცხოვრება და სწავლა იოანე ნათლის-მცემლისა, მოინდომა ნახვა მისი და სმენა მისისა სწავლისა. როდესაც გაიგონა მისი სწავლა და დარიგება, უმეტესად გაუკვირდა, ესრედ, რომელ, როგორც თქმულ-არს დღეს წაკითხულს სახარებაში, ეშინოდა იოანესი, და იცოდა იგი, რამეთუ კაცი მართალი და წმინდა არს, და სცვიდა მას, და ისმინის მისი, და მრავალსა პატივსა უყოფდა; და ჯეროვნად ისმენდა მისსა (მარკ. 6, 20) იოანე ნათლის-მცემლის მაგიერად,

სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, ამისთანა შემთხვევაში როგორ ისარგებლებდა და როგორ მოიქცეოდა? ათასნი მაგალითი და ნამდვილი შემთხვევანი აღვიხსნიან ამას. როდესაც ვინმე დაუახლოვდება მეფეს, და შეიძენს მეფის ყურადღებასა და წყალობასა, მაშინ იგი სცდილობს, რომ ისარგებლოს ამ შემთხვევით თავის გამდიდრებისა და ამაღლებისათვის; იგი სცდილობს, რომ ყოველთვის ასიამოვნოს მეფეს მოფერებითა, პირში ქებითა, არაოდეს არ ეტყვის მეფეს, რაც მას არ იამება; სამართალს იგი არ ეძებს, თუ არ იამება ხელმწიფეს. არა ესრედ მოიქცა ნეტარი იგი წინამორბედი იოანე. ხელმწიფის მოწყალება და ყურადღება მან თავის სასარგებლოდ არ მოიხმარა, მოფერებითა და ქებითა იგი თავს არ შეაყვარებდა მეფეს, არამედ პირ-და-პირ და უშიშრად უთხრა მას ყოველი სიმართლე. ტ' გად ძცოდა იოანე ნათლის-მცემელმა, რა მტერობა და სიაულილი აღნებოდა იროდის გულში, როდესაც იგი აგონებდა მეფე იროდის, რომ არა ჯერ არს შენდა, რათა ცოლად გესვას ძმის ცოლი შენი; მაგრამ ამ შიშმა არ დაადუმა მისი ენა. აჲა, რა სულიერი ღონე ჰქონდა მას! ახლა მიაქციე, ძმაო, ყურადღება იროდისკენ. იროდი ჰქედავდა რა დიდი წინასწარმეტყველი და წმიდა კაცი არის იოანე ნათლის-მცემელი, იგი სიამოვნებით ისმენს მისსა სწავლასა, და მრავალსა პატივსა სცემს მას, — სჩანს, რომ მას არ ჰქონდა გული და სული სრულებით გაფუჭებული, მას არ უყვარდა ბოროტის მოქმედება და კაცის დალუბვა; მაგრამ, როდესაც ბილწმა დედა-კაცმა ითხოვა მისგან თავი იოანე ნათლის-მცემლისა, მაშინ თვისი უხასიათობით ვერ წინააღმდეგა მისს თხოვნას, და შეიქმნა დამნაშავე იოანე ნათლის მცემლის მკვლელობასა შინა.

ვისწავლოთ აქედგან, ძმანო ქრისტიანენო, რა დიდი უბედურება არის კაცისათვის, როდესაც მას არა აქვს მტკიცე ხასიათი და სულიერი ღონე. ძაცი მტკიცე, სულიერად ღონიერი, აღვილად წინააღმდეგება ყოველსა ბოროტს მოთხოვნილებას, და გამაგრდება ლოთის-მსახურებასა შინა, და პატიოსნებასა; კაცი უღონო და დაუდგრომელი, წარტაცებულიარის ყოვლისაგან ცუდისა და წინააღმდეგის გარემოებისაგან; უღონო და უხასიათო კაცისათვის ყოველი ნიჭი, ჭკუა, სწავლა, სიმდიდ-

რე, სიდიდე ანუ უსარგებლო არის, ანუ მავნებელი, ვინარდ-
გან იგი ამას ყოველსა ხშირად ხმარობს ცუდად. ქაცი უხა-
სიათო თავის აზრს და ნებას ვერაოდეს ვერ აღსრულებს, არა-
მედ სხვის ნებაზე იქცევა. იროდი მეფე თვითონვე შესწუხდა,
როდესაც ბილწმა დედაკაცმა მოითხოვა თავი იოანესი, მაგ-
რამ მაინც აღასრულა მისი თხოვნა. ამაზე უცუდესი მოქმედე-
ბა რაღა იქნება ქვეყანაზე? ქაცი, რომელი თავის თავს აღარ
ეკუთვნის, თავის კარგს და პატიოსანს აზრს და სურვილს ვერ
აღსრულებს, არამედ აჟყვება სხვის ცუდს, მავნებელს შეგონე-
ბასა, იგი შეიქმნება სათამაშო ყოვლისა მცბიერისა და მზაკვა-
რისა მოყვასისა. მას აღარ გამოადგება არც ჭკუა თვისი, არც
სწავლა, არც კეთილი მიდრეკილება და თვისება. არა ამაოდ
არის თქმული: მოეც ღმერთო, ძალი სიკეთესა ჩემსა. თუ ძალი
და ღონე არა აქვს კაცსა, კეთილიც რომ იყოს, და ყოველ-
თვის კეთილს ეძებდეს – მაინც ვერაფერს კეთილს ვერ აღასრუ-
ლებს, არამედ იქმნება წარტაცებული ბოროტთა კაცთა მიერ,
ვითარცა იროდი მეფე ბილწისა მის ქალისაგან.

ამისთვის, ძმანო ჩემნო, ვეცადოთ, რომ ადვილად, დაუ-
კვირვებელად არ დავემორჩილოთ რჩევასა კაცთასა, ვიყვნეთ
მტკიცენი, თვითმდგომარენი. თუ კი კეთილი აზრი და გან-
ზრახვა გაქვს გულში, რისთვისლა უჯერებ კაცსა, რომელი
იმის წინააღმდეგს შეგაგონებს? რათ სცვლი შენს კეთილს იმის
ბოროტში. მოეც ღმერთო, ძალი სიკეთესა ჩვენსა. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

პეტრე-პავლობის დღესა.

სიბრძნესა მათსა მიუთხრობენ ერნი, და
ქებასა მათსა აღიარებენ ეკლესიანი (ისუ
ზირაქი 44, 14).

წარჩინებული ძველი აღთქმის მწერალი და ზნეობის მას-
წავლებელი, ისუ ზირაქი, წიგნსა შინა თვისსა აღწერს ცხოვ-
რებას და მოლვაწეობასა ზოგიერთთა ძველის აღთქმის წარჩი-
ნებულთა პირთა, და, სხვათა შორის, ამას იტყვის მათზედა:
სიბრძნესა მათსა მიუთხრობენ ერნი, და ქებასა მათსა აღიარებენ
ეკლესიანი.

იგივე სიტყვები ისუ ზირაქისა უაღრესად და უდიდესი
სიმართლით ჩვენ, შვილთა ახლისა აღთქმისათა, შეგვიძლია
ვსთქვათ, წმინდათა თავთა მოციქულთა პეტრეს და პავლესა
ზედა. დღეს ყოველნი შრისტეს მორწმუნენი ერნი და
ყოველნი ეკლესიანი, არა თუ მხოლოდ მართლმადიდე-
ბელნი, არამედ არა მართლ-მადიდებელნიცა, სიბრძნესა
მათსა მიუთხრობენ, და ქებასა მათსა აღიარებენ. დღეს ურიცვნი
ერნი, ყოველთა ეკლესიათა შინა შეკრებილნი, ყოველთა
საღმრთო წიგნთაგან, სამოციქულოისაგან, სახარებისაგან და
სხვათა ყოველთა ეკლესიურთა წიგნთაგან, მოისმენენ ქებასა
მათსა, და ეგრეთვე სიბრძნესა მათსა, თვით მათი დაწერილი
წიგნებიდგან ამოკითხვითა.

გარნა, საყვარელნო ძმანო ჩემნო, ქრისტიანენო, აწინ-
დელს დღესასწაულს აქვს მეორე, ამაზე უდიდესი მნიშვნელო-
ბა. წმიდამან ეკლესიამან დღევანდელი დღესასწაული მარტო
მისთვის არ დააწესა, რომ მხოლოდ ვაქოთ და ვადიდოთ წმი-
დანი თავნი მოციქულნი პეტრე და პავლე, არამედ უმეტესად
მისთვის, რათა ჩვენ ვხედვიდეთ მათ შორის მაგალითსა და,

შეძლებისაგვარად, ვბაძევდეთ მათსა ცხოვრებასა და მოღვა-
წეობასა: მობაძავ ჩემდა იყვენით, ვითარცა ძე ქრისტესა, გვასწავ-
ლის ჩვენ თვით წმიდა მოციქული პავლე. რა საქმეში უნდა
ვიყოთ ჩვენ მათი მობაძავი? იმ საქმეში, რომელიც იყო უმთა
ვრესი საგანიდა მიზანი მათის შრომისა, მოღვაწეობისა, რო-
მელთათვის იგინი თავის თავს არ ჰზოგვიდენ, რომლისათვის
მათ მრავალ-გზის სისხლი დასთხიეს და, ბოლოს, ცხოვრებაც
თვისი შესწირეს,—ეს არის ძრისტე იესოს სახარების ქადაგება
ქვეყანასა ზედა, ლვთის სასუფეველის განვრცელება კაცთა
შორის, მოქცევა ლვთისადმი და განათლება ყოვლისა კაცისა.

როგორ ჰავიქრობთ, ძმანო ჩემნო, ქრისტიანენო, ვისი საქ-
მე და მოვალეობა არის ქრისტიანობის ქადაგება, გავრცელე-
ბა, ცოდვილთა კაცთა მოქცევა და განათლება? სამწუხაროდ,
თითქმის ყოველნი ახლანდელნი ქრისტიანენი დარწმუნებულ-
ნი არიან, და სხვა ფერად არ ჰავიქრობენ, რომელ ეს საქმე და
მოვალეობა ეკუთვნის მხოლოდ ეკლესიის მსახურთა, მღვდელ-
თა და ბერთა. მრის კაცს ფიქრადაც არ მოუვა გულში, რომ
ქრისტიანობის გავრცელება და სახარების ქადაგება არის სა-
ზოგადო და საერთო მოვალეობა ყოველი ქრისტიანი კაცისა,
თუ გინდ მღვდელი იყოს, თუ გინდ ერის კაცი. ახლა სრუ-
ლიად დავიწყებულია ეს აზრი, გარნა ადვილად შეგვიძლია
დავამტკიცოთ მისი სიმართლე. მარტო ერთს უბრალო დამ-
ტკიცებას მოვიყვან. აიღე, ძმაო ჩემო, ქამნი, დაათვალიერე
ყოველი დღისა და რიცხვის, რომელიც სწერია, სახელები წმი-
დანებისა, რომელთა ხსენებასა აღასრულებს წმიდა ეკლესია დღი-
თი-დღე. რას ჰნახავ იქა? ჰნახავ, რომ, თუმცა, მართალია მრავალ-
გზის სწერია სახელები მღვდელ-მოწამეთა, მღვდელ-მთავართა
და სხვათა სამღვდელო პირთა, გარნა უმეტესი რაწილი სახე-
ლებისა, ქამნში მოხსენებულთა, არიან ერის კაცთა, დიდთა
მოწამეთა, ლირსთა მეუდაბნეთა და სხვათა, რომელნი არა
იყვნენ ტრაპეზის მსახურნი, არამედ ერის კაცნი: ჰნახავ ჩაწე-
რილთა ყოველი წოდების ერის კაცთა, ექიმთა, მხედართა, ვა-
ჭართა, უბრალო მოსამსახურეთა, მასწავლებელთა, მოსწავლე-
თა. ამაზე მომეტებულად შესანიშნავი ის არის, რომელ მრა-
ვალ-გზის შეპხვდები სახელებსა მდედრის სქესისათა, ქალწულ-

მოწამეთა, ღირსთა დედათა. რისთვის ჩასწერა წმიდამან ეკლესიამან ჟამნში იგინი და რისთვის აღსრულებს მათსა ხსენებასა? მისთვის, რომ იგინი იყვნენ ქრისტეს სახარების მქადაგებელი, და ქრისტიანობის გავრცელებისათვის მიიღეს მრავალი შრომა, ზოგიერთთა სიკვდილიც. საკმაო არის ეს მაგალითი დასამტკიცებლად მისა, რომ ყოველი ქრისტიანე, თუ გინდერის კაცი იყოს, უნდა სცდილობდეს ქვეყანასა ზედა, შეძლებისა გვარად, გავრცელებას და განმტკიცებას. ქრისტეს სჯულისას.

მართლა, თუ ქრისტეს სარწმუნოება და სასოება ცხოველი არის კაცის გულში, მაშინ არ შეიძლება, რომ კაცმა არ ეცადოს გარდაცემა, ანუ განვრცელება თვისი გრძნობისა და სასოებისა სხვათა კაცთა. ნიშანი, ანუ მაჩვენებელი ცხოველი სარწმუნოებისა, არის მოქმედება, გავრცელება, გარდაცემა მისი სხვათათვის. მარგია ისიც, როდესაც სარწმუნოება მოქმედებს კაცის გულში, აკეთებს და ასწორებს მისსა საკუთარსა ცოხვრებასა, გარნა უმჯობესი ის არის, როდესაც, ამასთანავე, მას ეგოდენი ძალი და მოქმედება აქვს, რომელ თვისსა ცხოველობასა გაავრცელებს სხვათა კაცთა ზედაცა. რით ვიცნობთ ჩვენ ცეცხლს? მით, რომ იგი ათბობს და უნათებს ყოველ კაცს გარემოს თვისსა. მსგავსადვე უნდა იცნობებოდეს კაცი, ცხოველი სარწმუნოების მექონი.

რის საშუალებით უნდა აღასრულოს ერის კაცმა ეს თვისი საღმრთო მოვალეობა, ესე იგი ქრისტიანობის გავრცელება და განმტკიცება. პთასნი არიან ღონენი და ხერხნი, რომელთა ხმარება ამ საქმისათვის შეუძლია გონიერსა კაცსა. თვით მისი ჭეუა და თვით მისი სარწმუნოების ცხოველობა უჩვენებს მას და აუხსნის, როდის და სად რომელი ღონე უნდა იხმაროს ამ საქმისათვის. შპირველებსი საქმე კი ის არის, როდესაც თვით საკუთარი ცხოვრება და ყოფაქცევა ქრისტიანი კაცისა, არის მართალი და პატიოსანი, ასე, რომ უსიტყვოდ აღაშენებს და უხმოდ დაარიგებს მხედველთა თვისთა. ამისთანა ცხოვრება უფრო სასარგებლო არის, ვიდრე მრავალი ენით ლაპარაკი და ქადაგება. გარნა, სადაც საჭირო არის, ხმაც უნდა ამოილო და ენაც ახმარო სამხილებელად ურწმუნოთა, აღსაღენებლად სუსტთა, უსუსურთა. ბოლოს, თუ სხვა არა-

ფერი შეუძლია კაცს, თავის ქონებისაგან და ნაყოფისაგან უნდა შეწეოდეს შრისტეს სახარების გავრცელებასა,

შმანო ჩემნო, საყვარელნო! მოისმინეთ, ბოლოს, კიდევერთი აზრი. ახლა ისეთი დროება დადგა ამ ჩვენს ქვეყანაში, რომელ ჩვენ თანდათან უახლოვდებით, ვიკითხავთ, ვტყობილობთ უცხო ქეყნების, მეტადრე მვროპის განათლებულ ხალხთა ამბავსა, მათსა ზნეობასა, ყოფაქცევასა, აზრსა. სამწუხაროდ, მათ შორის არა ყოველიფერი არის კეთილი და მოსაწონი. საუბედუროდ ჩვენდა, ცხადად სჩანს, რომელ მაგან, ესე იგი უცხო, განათლებულის ქვეყნების ჩვეულებათაგან, ჩვენ ხშირად შივილებთ იმას, რაიცა არ არის მოსაწონი, არამედ არის წინააღმდეგი ლვთისა და ლიტსი მოძაგებისა; ხოლო რაიცა მართლა არის სასარგებლო და რასაც უნდა ვტყობულობდეთ და უნდა ვბაძავდეთ იმას არ ვტყობულობთ და იმაზედ ყურადღებას არ მივაქცევთ. მაგალითებრ, თვით ის აზრი, რომელსაც ჩვენ ვამტკიტებთ ამ ჩვენს დღევანდელს სიტყვაში, ესე იგი, რომ ყოველი ერის კაციც თანანდებარს შეეწიოს ქრისტიანობის განმტკიცებასა, ფრიად ცხოველი არის და მოქმედებს მვროპის განათლებულთა ხალხთა შორის. იქ არიან შეღვენილნი ამ საქმისათვის მრავალნი საზოგადოებანი, არა თუ სამღვდელოთაგან, არამედ ერის კაცთაგანაც. ვისაც თვითონ არ შეუძლია წასვლა უცხო ქვეყნებში და ქადაგება, იგი თავის ქონებით, ფულით შეეწევა ამ საქმესა. შოველ ენებზე გადასთარგმნიან დაჰჭერებდენ საღმრთო წერილსა; მერმე წაიღებენ და დაურიგებენ უსასყიდლოდ, ყოველთა, ვისაც კი ჰასურს წაკითხვა საღმრთო წერილისა. ზახსნიან შკოლებს, ზრდიან ობლებს. იქნება აქაც, ჩვენს ქვეყანაში, შეჰვდე, ძმაო, რომელსამე უცხო ქვეყნის ერის კაცს, რომელსა დააქვს საღმრთო წერილის წიგნები, ფრიად მშვანიერად გადაკრული, ყოველ ენებზე, თვით ქართულზედაც, და ფრიად იეფად, თითქმის მუქთად ჰყიდის. აპა მაგალითი, რომელსა უნდა ვბაძავდეთ ჩვენცა, მართლ-მაღიდებელნი ქრისტიანენი! საუბედუროდ, ამისთანა მაგალითებს კი არ მოგიყვანენ და გეტყვიან იგინი, რომელნი იქადიან განათლებასა, ნახვითა და ცნობითა და მოგზაურობითა განათლებულს ქვეყნებში. ნაცვლად ოქროისა და

თვალ-მარგალიტისა, იგინი ხშირად ევროპიდგან ტალახსა და მყრალსა ნაგავსა გვიზიდავენ ჩვენ, რომელიც ჩვენშიაც უხვად არის. ნუ დაუგდებ, ძმაო, ყურს ამისთანა პირს, თუ არ გსურს, რომ გაისვარო. ნაცვლად ამისა ამხნევებდე და ანათლებდე სულსა შენსა პატიოსნითა სწავლითა, და მაგალითებითა, მეოხებითა წმიდა მოციქუთა თავთა პეტრე და პავლესითა. ამინ.

მოკლე მოძღვრება

პეტრე პავლობასა ზედა.

მოიხსენენით წინამძღვარნი იგი თქვენი რომელნი გეტყოდეს თქვენ სიტყვათა მათ და მათისათა: და პხედვიდით გამოსვლასა მას ცხოვრებისა მათისასა, და პბაძევდით სარწმუნოებასა მათსა. (მბრ. 13, 7).

წმიდა მოციქული პავლე, სიტყვათა ამათ შინა, მოგვიწოდებს ჩვენ, ქრისტიანეთა, რათა მოვიხსენებდეთ წინამძღვართა მათ, რომელთაგან მიგვიღია და გვისწავლია სიტყვა და მათისა, და უყურებდეთ განსვლასა, ანუ აღსასრულსა მათისა ცხოვრებისასა, ესე იგი რა ნაირად გაუტარებიათ მათ თვისი ცხოვრება, და ვბაძევდეთ, ანუ ვემსგავსებოდეთ მათ სარწმუნოებითა.

დღეს ვართ ჩვენ აღმასრულებელნი ამის მცნებისა, მაგრამ არა სრულიად, არამედ ერთის მხრით. დღეს მისთვის შევიკრიბენით ჩვენ, რათა აღვასრულოთ ხსენება თვით წმიდისა მის პავლე მოციქულსა, რომელმა მოგვცა ეს მცნება, და მისისა ამხანაკისა და ტოლისა, წმიდა მოციქულისა პეტრესი. მაგრამ დღეს მხოლოდ სიტყვით და გონებით ვყოფთ მათსა

ხსენებასა, ვაქებთ, ვადიდებთ, ნეტარ-ვყოფთ მათსა ხსენებასა, და მეოხად ჩვენთვის ლვთის წინაშე ვადგენთ მათ. გარნა ეს-რეთი ხსენება საკმაო არ არის. შმიდა მოციქული პავლე მოი-თხოვს ჩვენგან, არა თუ მხოლოდ სიტყვითა მოვიხსეხებდეთ წინამძღვართა ჩვენთა, არამედ საქმითა: მოიხსენენით წინამძღვარნი, და ჰბაძავდით მათსა სარწმუნოებასა, ესე იგი გაიხსოვ-ნეთ იგინი, მათი შრომა, მათი სარწმუნოება, და ჰბაძევდით მათო.

უმთავრესი და თითქმის მხოლოდ ერთი მათი საქმე და შრომა, იყო გავრცელება კაცთა შორის ძრისტეს სჯულისა, მისი სახარებისა. ამ საქმისათვის ჰქონდათ მათ თავი გადადე-ბული, ამ საქმეს შესწირეს მათ თვისი ღონე და ცხოვრება: ჩვენც ამ საქმეში უნდა ვბაძავდეთ მათ. უოველ ქრისტიანე კაცს აქვს მოვალეობა, შეეწიოს ძრისტეს სახარების გავრცე-ლებასა ქვეყანასა ზედა. თუმცა პეტრემ და პავლემ და სხვათა მოციქულთა და წმიდათა მამათა, მრავალნი საკვირველნი ღვაწლნი და შრომანი მიიღეს თავის თავზე, უოველ თესლებს უქადაგეს: ყოველსა შვეყანასა განხდა ხმა მათი, მაგრამ ეს საქ-მე ჯერაც არ არის გათავებული, ახლაც უმრავლესი ნაწილი კაცობრიობის ნათესავისა, ესე იგი დედა-მიწაზე რაოდენიც არიან მცხოვრებნი, სხვა ტომნი რომ დავთვალოთ, ისე გამო-ვა, რომ ათ კაცში მარტო ერთი არის მონათლული, ქრის-ტიანე, და დანარჩენთა შორის უმეტესი ნაწილი ახლაც კერპთ-მსახურნი არიან, ესე იგი მრავალ-ღმერთების თაყვანის მცე-მელნი. მამასადამე ყოველი ქრისტიანე კაცი ახლაც უნდა ცდილობდეს ყოველი ღონისძიებით იქსო ძრისტეს სახარების გავრცელებასა კაცთა შორის. ეს მოვალეობა ეკუთვნის არა მხოლოდ სამღვდელოთა პირთა, ტრაპეზის მსახურთა, არამედ საზოგადოდ ყოველსა ქრისტიანესა. შმიდა მოციქული პავლე ყოველს კაცს ეუბნება: მოიხსენენით წინამძღვარნი თქვენი და ჰბაძევდით მათ.

როგორ და რით უნდა შეეწიოს ერის კაცი ძრისტეს სჯუ-ლის გავრცელებას? — რითაც შეუძლია, რაც ღონე მისცა ლმერ-თმა. თუ კი მართლა გიყვარს, ძმაო, შენი სჯული, თვით იგი სიყვარული და ერთგულება დაგარიგებს შენ, როგორ

უნდა მოიქცე, და რა სახით უნდა შეეწიო ლვთის სასუფევლის გავრცელებასა ქვეყანასა ზედა. რასაკვირველია, ყოველ კაცს არ შეუძლია წავიდეს სხვა ქვეყანაში და იქადაგოს ქრისტიანობა; მაგრამ რა საჭიროა შორს წასვლა! მახლობლად შენდა არიან მრავალნი, რომელთა არ მიუღიათ ჯერედ სიტყვა ლვთისა: იმოქმედე მათზედა, რომ მოიქცენ და მოინათლონ. ზარნა მათგანნიცა, რომელნიც მონათლულნი არიან და ქრისტიანად უწოდებენ თავის თავს, მრავალნი არიან სახელით, და არა საქმით ქრისტიანენი. პლვილად შეგიძლია იმოქმედო მათზედა და განამტკიცო იგინი. თუ სიტყვიერად არ შეგიძლია ამ საქმის აღსრულება, ნაყოფისაგან შენისა შესწირე რამე ამ საქმეს. მოჟებმარე ფულით, ანუ ნივთის რამის შეწირვით მათ, რომელნი შრომობენ და ჰქადაგებენ ქრისტეს სახარებასა ურწმუნოთა შორის. ბოლოს, თუ არც ეს შეგიძლია, ერთი საქმე მაინც შეგიძლია, და იმაზე უარს ვეღარ იტყვი. შენ თავს მაინც კარგად მოუარე, შენ გულში და სულში გაავრცელე და გაამაგრე ქრისტეს სახარება, რომ შენ მაინც იყო ჰეშმარიტი, საქმიანი ქრისტიანე. მსეც დიდი რამე იქნება! ნეტაი ამას მაინც აღსრულებდენ ყოველნი მონათლულნი ქრისტიანენი! მაშინ ქრისტიანობა ფრიად განმტკიციდებოდა და თავის თავად გავრცელდებოდა ქვეყანაზე. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

პეტრე-პავლობის დღესა ზედა.

შპველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი, და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი. (ვსალმ. 18, 4).

დღეს ჩვენ, ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, ვდღესასწაულობთ ხსენებასა წმიდა თავთა მოციქულთასა ჰეტრე და ჰავლესა, და არა თუ მხოლოდ ჩვენ, არამედ ურცხვნი მორ-

წმუნენი ყოველთა ადგილთა შინა, სადაცა კი იხსენება სჯული მრისტესი, დღეს, შეკრებილნი ტაძართა შინა, აქებენ, ადიდებენ და თაყვანისცემენ წმიდათა ამათ მოციქულთა. მრი ათასი წელი გავიდა თითქმის მასუკან, რაც იგინი სცხოვრებდენ ქვეყანასა ზედა, გარნა ხსენება მათი, არა თუ არ მოისპოვა კაცთა შორის, არამედ უმეტესად განვრცელდა. რა არის მიზეზი ამისი? ვინ იყვნენ იგინი? რა ჰქმნეს იმის ღირსი? რით დაიმსახურეს ეგოდენი პატივი? იქნება, იგინი წინაპარობით, ანუ შთამომავლობით იყვნენ დიდებულნი? არა! პეტრე იყო უბრალო მეთევზეს შვილი და თვითონაც მეთევზე; პავლეც დაბალი კაცის შვილი, და ხელოვნებით კარვის მკერავი. ანუ, იქნება იგინი იყვნენ ერთობ მდიდარნი, ღონიერნი და მძლავრნი? არა! იგინი იყვნენ ღარიბნი და საწყალნი. ანუ, იქნება, იგინი იყვნენ ერთობ სწავლულნი, მაღალნი ფილოსოფოსნი? არცა ესა! პეტრე სრულიად უსწავლელი იყო; პავლემ იცოდა მხოლოდ ძველი სჯულის წიგნები. მაშასადამე, რით ეღირსნენ იგინი ეგოდენსა პატივსა, რომელ სახელსა მათსა ზედა აწაშენებენ დიდსა ტაძრებსა, და წინაშე ხატთა მათთა თავსა და მუხლსა სიმდაბლით მოიღრეკენ მეფენიცა და მდიდარნიცა, და სწავლულნიცა, და ითხოვენ მათგან შემწეობასა?

ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი. და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი. პჲა პასუხი ამისა! იგინი იყვნენ მქადაგებელნი მაღლისა ჭეშმარიტებისა; დაუცხრომელად და დაუღალავად ჰმოძღვრიდენ და ასწავლიდენ იგინი ყოველთა კაცთა, და სწავლითა თვისითა ისეთი კეთილი ცვლილება მოახდინეს კაცთა შორის, ისრე აღამაღლეს და გააუმჯობესეს კაცთა ზნეობა, რომელ სახელი მათი არის და იქნება უკვდავი, ვიდრემდის ქვეყანაზე დარჩება სიყვარული ჭეშმარიტებისა.

რას და რა სახით ასწავლიდენ იგინი? რა იყო საგანი მათის ქადაგებისა; და რას მოითხოვდნენ იგინი კაცთაგან? მიმავალნი ქალაქითი ქალაქად და სოფლითი სოფლად, იგინი ყოველგან ჰლადადებდენ და იტყოდენ: გაიღვიძეთ, განახლდით, გამოიცვალენით; მოვიდა სასუფეველი და მოიწია მაცხოვარება ზეციდგან; დაივიწყეთ ყოველი უწინდელი, და შეუდექით ახალსა ცხოვრებასა; უარ-ჰყავით ყოველივე ძველი

და თავიცა თქვენი; სიცოფელ შეპრაცხეთ ყოველი, რასაც აქამდის ჰუკრობდით და რისაც ჩვეული იყავით, და ხელმეორედ დაიბადენით.

აჟა, რა, საკვირველსა სიტყვასა ეტყოდენ იგინი ყოველთა კაცთა. მცირეს რამეს კი არ ითხოვდენ იგინი მსმენელთაგან, არამედ თვით სულსა, გულსა და სიცოცხლესა მათსა. სიცოცხლე, სისხლი და ყოველი ქონება გამზადებული უნდა ჰქონოდა მსმენელთა მათთა, შესაწირავად ყოველ წამს ამ ქადაგებისათვის. მრთობ მძიმე და გასაოცარი იყო ესრეთი ქადაგება და ეგოდენი მოთხოვნილება! ვის შეეძლო მიღება მისი, ვინ და რა სახით აღასრულებდა ამ სიტყვას? გარნა, განსაცვიფრებლად ჩვენდა, ურიცხვნი პირნი ემორჩილებოდენ მათსა სწავლასა; სიტყვა მათი ცეცხლად ეკიდებოდა გულთა კაცთასა, და რომელნი უწინ იყვნენ შთაფლულნი ცოდვათა შინა და სიცრუეთა, აღსდგებოდენ, გამოიცვლებოდენ და შეიქმნებოდენ სახედ სიწმიდისა, და თავთა თვისთა აღარ პზოგავდენ ამ ქადაგების წარმატებისათვის.

რა სახით და რა საშუალებით მოახდენდენ მოციქულნი ესრეთთა საკვირველთა საქმეთა? თვისითა საკუთარითა ძალითა და მადლითა, ანუ სხვის შემწეობითა? იგინი აღიარებდენ და იტყოდენ, რომელ ჩვენა ვართ მოწამენი და მოციქულნი, მოვლინებულნი ჯვარცმულისა და მკვდრეთით აღდგომილისა იქსო შრისტესაგან. იგინი ყოველგან და ყოველთვის შეაგონებდენ და იტყოდენ: ამიერიდგან ქვეყანა უნდა აღსდგეს და სცხონდეს შრისტე იქსოს მიერ. რა სახით? შოველმა აღამის ძემან მხურვალითა გულითა უნდა მიიღოს სულსა შინა თვისსა იქსო შრისტე და მისი სიტყვა, და ყოველნი თვისნი ძელები ზრახვანი მიამსჭვალოს ჯვარსა ზედა იქსო შრისტესა, განახლდეს, ხელ-ახლად დაიბადოს და ამიერიდგან სცხოვრებდეს არა თავით თვისით, არამედ შრისტე იქსო უნდა სცხოვრებდეს მის გულში, ვითარცა იტყვის პავლე მოციქული თავის თავზე.

ძმანო, მართლმადიდებელნო შრისტიანენო! შმიდა მოციქულნი პეტრე და პავლე დღესაც მასვე ჰქადაგებენ ჩვენს წინაშე. თუმცა იგინი აღარა სცხოვრებენ ჩვენს შორის, გარნა

უმჯობესი მათი კერძო სული, და გული მათი, გამოხატული წერილთა შინა მათთა, ახლაც არის ჩვენთან და ყოველ დღე წაიკითხება ეკლესიათა შინა. მათი სიტყვა, მათი ქადაგება ახლაც თითქმის იმ სახითვე არის საჭირო ჩვენთვის, ვითარცა იყო საჭირო იმ დროს, როდესაც იგინი ჰქადაგებდენ. მართალია, ჩვენ ამ სწავლაშივე დავიბადენით, სიყრმიდ განვე გვესმის იგი და დავემორჩილეთ მას, სიყრმეშივე მოვინათლენით, მაშასადამე, განვახლდით და ხელახლა დავიბადენით, გარნა, საუბედუროდ, ახლაც საჭირო არის ჩვენდა განახლება და ხელ-ახლად დაბადება, მისთვის, რომ დავძველდებით ცოდვათა შინა ჩვენთა. უკეთუ ვისმეს აქვს სიყვარული წმიდათა მოციქულთა ჰეტრესი და პავლესი, და ჰსურს მათი პატივისცემა და მიღება მათგან მადლისა და შემწეობისა, ყური დაუგდოს მათსა სწავლისა, გაიღვიძოს და განახლდეს მრისტე იესოს მიერ უფლისა ჩვენისა, რომელსა ჰშვენის ყოველი დიდება და პატივი. ამინ.

მ ო რ დ ვ რ ე ბ ა,

თქმული ქუთაისის მთავარ-აზეველოზის ეკკლესიასა შინა.

სარწმუნო იგი მცირესა ზედა, და მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს; და რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, მრავალსა ზედაცა ცრუ არს. (ლუ. 16, 10).

დღეს, ძმანო ჩემნო, მართლმადიდებელნო ქრისტიანენო! ჩვენ განვიზრახეთ უბნობა თქვენთანა იმ საგანზე, რომელსა გვასწავლის ჩვენ მაცხოვარი, ახლა მოყვანილსა სიტყვასა შინა: სარწმუნო იგი მცირესა ზედა.... მახლობელი და პირ-და-პირი აზრი ამ სიტყვისა, არის უბრალო და ცხადი: აქ მაცხოვარი გვასწავლის ჩვენ, რომელ კაცი, სარწმუნოდ და პატიოსნად აღმასრულებელი ყოველი მცირე საქმისა და მოვალეობისა,

მსგასადვე, პატიოსნად და სათნოდ აღასრულებს დიდ-დიდ საქმეებსაც; წინააღმდეგ ამისა, თუ ვინმე მცირე საქმეებში ყალბად და ბრუდედ იქცევა, ის დიდ საქმეებსაც ურწმუნოდ და ცუდად აღასრულებს. უბრალო და ცხადი არის ეს აზრი, მაგრამ დიდი და სასარგებლო ზნეობითი სწავლა გამოიყვანება მისგან.

სარწმუნო იგი მცირესა ზედა, და მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს. მცირედ შფალი იესო მრიტე აქ უწოდებს, პირველად, აქაურსა, სოფლიურსა ჩვენსა ცხოვრებასა. მართლა, როდესაც ჩვენ ამ წუთის სოფლის ცხოვრებას შევამსგავსებთ მომავალსა, ზეციურსა ცხოვრებასა, იგი გამოსჩნდება ერთობ მცირე და არათუ მცირე, არამედ, ამასთანავე, ერთობ ვიწრო, აღვსებული ყოვლითა მწუხარებითა. მაშასადამე, მაცხოვარი ამ სიტყვებით, პირველად, გვასწავლის ჩვენ მას, რომელ, უკეთუ ჩვენ ამ მცირესა და შევიწროებულსა ცხოვრებასა შინა ვიქცევით დევთის სარწმუნოდ, ერთგულად, მოთმინებით, პატიოსნად, მაშინ დმერთი ჩვენ გვიცნობს თვისდა სარწმუნო კაცად, და მოგვანიჭებს ვრცელსა ზეციურსა ცხოვრებასა: ჩვენც გვეტყვის მაშინ, ვითარცა მას მონასა სარწმუნოსა, რომელმან, მიიღო რა მცირეოდენი საჩუქარი, ესე იგი ხუთი ტალანტი, სარწმუნოდ მოიქცა, გაისარჯა, განამრავლა იგინი და ერთი ორად წარუდგინა შფალსა თვისსა: კეთილ მონაო, სახიერო და სარწმუნოო, რამეთუ მცირესა ზედა სარწმუნო იყავ, უმრავლესსა ზედა დაგადგინო შენ. დიდი ნუგეში ეძლევა აქედგან ყოველთა მათ ქრისტიანეთა, რომელნი სულგრძელად ითმენენ ამ სოფლის ვიწროსა და შემაწუხებელსა ცხოვრებასა, თუ არ დაჰკარგვენ იგინი დევთის ერთგულებასა. ზარნა მდიდარნი და ბედნიერნი ამ სოფლისანი უმეტესად უნდა დაჰფიქრდენ, როდესაც ესმისთ მათ ეს სიტყვა. რისთვის? მისთვის, რომ მათგან უფრო დიდსა სარწმუნოებასა, სიფრთხილესა მოითხოვს შფალი იესო შრისტე. აპა, რას ეტყვის შფალი იმავე სახარებაში მდიდართა, რომელნი ცუდად ხმარობენ თვისსა სიძლიდეებსა: უკეთუ სიცროუისა ამის მამონისა სარწმუნო ექმენით, ჭეშმარიტი იგი ვინ მოგანდოს თქვენ. ამ სიტყვების აზრი ეს არის: მამონს საღმრთო წერილი უწოდებს სიმდიდრეს; ცრუ მამონად, ანუ ცრუ სიმდიდრედ

ის მისთვის უწოდებს, რომელ ყოველი სოფლიური სიმღიდრე არის ცრუ და ყალბი, ვინაიდგან იგი არის წარმავალი და წუთი. თუ ეს სოფლიური, ცრუ სიმღიდრე ლვთის სარწმუნოდ, კეთილი საქმისათვის არ მოიხმარა კაცმა, მაშინ დმერთი როგორდა მისცემს მას ზეციურსა, ჭეშმარიტსა სიმღიდრესა, ანუ ნეტარებასა.

ეს არის პირველი ზნეობითი სწავლა, რომელი გამოდის ზემო მოყვანილისა სიტყვისაგან. ახლა გამოვიყვანოთ მეორე, უმახლობელესი და ჩვენთვის უსაჭიროესი.

სარწმუნო იგი მცირესა ზედა, და მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს, და რომელი იგი მცირესა ზედა ცრუ არს, და მრავალსა ზედაცა ცრუ არს. ამ სიტყვებიდგან გამოიყვანების შემდგომი ზნეობითი სწავლა: რომელიც კაცი მცირეთა და მდაბალთა საქმეთა და მოვალეობათა თვისთა კარგად და პატიოსნად აღსრულებს, იგი დიდთაცა თვისთა საქმეთა და მოვალეობათა, მსგავსადვე, კარგად აღასრულებს; და რომელი მცირეთა საქმეთა და ვალდებულებათა შინა იქცევა ყალბად, იგი უთუოდ დიდთაცა შინა საქმეთა იქნება ურწმუნო და ყალბი. ჟოველნი საქმენი და მოვალეობანი კაცთანი, თუ გინდ ხორციელნი, ანუ სოფლიურნი, მით უმეტესად სულიერნი, ორად განიყოფებიან. ზოგიერთნი მათგანნი არიან უმთავრესნი და უსაჭიროესნი, ხოლო სხვანი— მცირენი და წვრილნი. შექველია, რომ ყოველმა კეთილგონიერმა კაცმა უმეტესითვისი ყურადღება და მეცადინეობა უნდა მიაქციოს პირველთა ზედა, ისინი არას გზით არ დაუტეოს აღუსრულებელი; გარნა, ამასთანავე, არ უნდა დაივიწყოს მეორენიცა, არ იყოს დაუდევნელი მცირეთაცა შინა თვისთა საქმეთა და მოვალეობათა. ეს მისთვის, რომელ მცირენი საქმენი და მოვალეობანი უფრო ხშირად შეემთხვევიან მას, ვიდრელა მაღალნი და უმთავრესნი. ჟოველ დღე და ყოველ წამს კაცი აკეთებს რომელსამე მცირესა თვითსსა საქმესა, ყოველ წამს იგი აღსრულებს რომელსამე წვრილსა მოვალეობასა, და თუ კეთილად და პატიოსნად აღსრულებს, მაშინ უნებლივად მიეჩვევა პატიოსნებასა და ბეჯითობასა, და თუ არა— იგი მიეჩვევა სიყალბესა და სიცრუესა, და ამ ჩვეულებას გადიტანს დიდ-დიდ საქმეებშიაც. თუ მცირეს და ადვილს მოვალეობას, რომელიც დიდ

ღონეს და შრომას არ მოითხოვს, ცუდად აღსრულებ, დიდ მოვალეობას როგორლა აღსრულებ კარგად. ამასთანავე, კაცის ხასიათი არ უნდა იყოს ჭრელად და შერყეული, არამედ ერთფერი და მტკიცე, ესე იგი, რომ ყოველ საქმეს, დიდსა და მცირესა, ერთი მიმართულებით და ერთი ხასიათით აღსრულებდეს. მზე მთლად გამოიხატება წყლის ერთ წვეთში; კაცის ხასიათი მთლად გამოსჩნდება ერთს თვით მცირე მოქმედებაში. თუ მცირე ფასის საქმეში ატყუებ კაცსა, დიდ საქმეში შენ რაღა რწმუნება გექნება.

რაც აქამდინ ვსთქვით, იმას ესეც კიდევ უნდა დავუმატოთ: არავის არ შეუძლია პირ-და-პირ შეუდგეს დიდ საქმეს და კარგად აღსრულოს იგი, თუ მცირე საქმესაგან არ დაიწყო და მერმე არ გადვიდა დიდზე. შოველი საქმე, ესრედ ვსთქვათ, ანბანიდგან დაიწყება; თუ ჯერ ანბანი კარგად არ დაისწავლა კაცმა, წიგნს როგორ წაიკითხავს. ავხსნათ ახლა ეს ყოველი ერთი, ანუ ორი მაგ უითით: ლოცვა, ანუ გულმოდენედ ლვოს ვედრება, არის იდი და მაღალი მოვალეობა, ესრედ, რომელ, ვისაც ან არა ჰსურს, ან არ შეუძლია კარგად, გულითად ლოცვა, იგი ვგონებ, ქრისტიანეც არ არის. ხოლო ლოცვაში ჩვენ, ქრისტიანენი, ვხმარობთ პირჯვრის წერას. პირჯვრის წერა, ვსთქვათ, არ არის უმთავრესი მოვალეობა, არამედ მცირედია. შეიძლება კაცი პირჯვარს არ იწერდეს, მაგრამ გული პქონდეს ლვოსად-მი მიქცეული მდუღარითა ლოცვითა. ზარნა შეგვიძლია პირ-და-პირ ვსთქვათ, რომ ვინც პირჯვარს იწერს დაუდევნელად, უგემურად, დაზარებით, იგი ამით წაახდენს თვისსა ლოცვასა. დაუკვირდი, რა ნაირად იწერს ზოგიერთი პირჯვარს და იქიდგან შეიტყობ, რა ნაირია მისი ლოცვა; შეპხედე, რა ურწმუნოდ აღსრულებს ზოგიერთი მცირესა ამას მოვალეობასა, ხან ნახევარ პირჯვარს დაიწერს, ხან ერთობ მოკლეს, თითქოს სცხვენია, ანუ ეზარება, ზოგჯერ იქით-აქეთ იხედება, ლაპარაკობს და ისრე იწერს პირჯვარს. ძნელად დავიჯერებ, რომ ესრეთს პირჯვრის დამწერს კაცს გულში კი კარგი ლოცვა პქონდეს. ახლა სხვას, ბეჯითს ქრისტიანეს დაუკვირდი: რა კრძალვით და მოწიწებით იწერს პირჯვარს: ერთგულად შეამტკიცებს იგი სამსა თვისსა თით-სა, მაღლად აღმართავს ხელსა და დაპბეჭდავს შუბლსა, გულსა და

მხართა თვისთა, სახითა ჯვარისათა. შოუოდ, რომ მას აქვს
ბეჯითი ლოცვა. მეორე მაგალითად მოვიყვანოთ მარხვის შე-
ნახვა, ესე იგი საჭმლის არა თუ მხოლოდ გამოცვლა, არამედ
მოკლებაცა. მსთქვათ, რომ ესეც არ არის უმთავრესი ქრის-
ტიანული მოვალეობა, გარნა ვინც სარწმუნო არის ამ მცირე
მოვალეობაში, გულ-წრფელად მარხულობს, და არა ფარისევ-
ლობით, უჭირდება, გარნა ითმენს, უეჭველია, ამით იგი დაა-
მტკიცებს სარწმუნოებასა და სასოებასა. თუ არ ჰქონდეს მას
ღმერთზე სასოება, რათ გაიჭირებდა საქმეს, რათ მოიკლებდა
ნუგეში? წინააღმდეგ ამისა, ვინც მარხვას, არ ინახავს, არა მი-
სთვის, რომ არ შეუძლია, ან ავად ხდება, ამ შემთხვევაში
შესაწყნარებელია,—არამედ მისთვის, რომ არა-რად ჰრაცხს მა-
რხვას, ანუ მცირედ რაიმდე მიაჩნდა, იტყვის: სხვაში კარგი
ვიყო, თორემ მარხვა რა არისო,—მეშინის მე ამისთანა კაცზე;
მეშინის, რომ სხვაშიაც დაუდევნელი არ იყოს და უდიდესი
მოვალეობაც არა რად არ მიაჩნდეს. ძიდევ ერთი უკანასკნე-
ლი მაგალითი მოვიყვანოთ. ეკულესიაში დუმილით და კრძალ-
ვით დგომა, თუმცა არ არის უმთავრესთა მოვალეობათაგანი,
გარნა იგი დაამტკიცებს დვთის შიშა და სასოებასა; ხოლო
წინააღმდეგი ამისა, ესე იგი ცუდად, უკრძალველად ეკულესი-
აში დგომა, დაამტკიცებს დვთის უშიშრობას და ცუდსა ხასი-
ათსა. მრთხელ, ერის კაცობასა შინა ჩვენსა, მოგვიბდა ჩვენ
თბილის ქალაქში, წირვის დროს, შესვლა საყდარსა შინა სო-
მეხთასა, და რაც ჩვენ მაშინ ვნახეთ, ის არაოდეს არ დაგვა-
ვიწყდება. ტაძრის დასავლეთის მხრისკენ, მუნ, სადაც არის
ქალების ადგილი, იატაკი იყო მოფენილი ხალიჩებითა, მუ-
თაქებითა და ბალიშებითა. ქალები ისხდენ ფეხ-მოკეცილნი,
და ისე ხმამაღლად ლაპარაკობდენ სუყველანი, თითქოს ბაზა-
რში ისხდენ სამუსაიფოთა, და არა საყდარში წირვას ისმენე-
ნო. სხვანიცა მუნ მყოფნი მამაკცნი ხმა შალლად ლაპარაკობ-
დენ. ასე იფიქრებდი, რომ შუა-ბაზარში სდგეხარ, და არა
საყდარში. მრთობ გასაოცარი, შესაწუხებელი იყო ამის ხილვა.
მაშინ ჩვენ მაღლობა შევსწირეთ ღმერთს, რო მანამდის ჩვენ
მართლ-მაღიდებელს ეკლესიაში ამისი მსგავსი არაფერი არ
გვინახავს. გარნა ახლა კი, სამწუხაროდ, გვეშინის ჩვენ, რო-

მელ შემცდარი არ ვიყოთ ამაში. ზავიგონეთ, ჩვენდა შესაწუ-
ხებლად, რომ თვით აქ, ამ საყდარში, აქაურნი შემომავალნი
ქალნი, ცისკარზე და მწუხრზე დაჯდებიან, და მთელს ლოც-
ვას ლაპარაკში გაატარებენ, მერმე რა დროს? თვით ამ დიდ-
მარხევის განმავლობაში. სარწმუნო იგი მცირესა ზედა, და მრავა-
ლსა ზედაცა სარწმუნო არს, ხოლო რომელი მცირესა ზედა ცრუ
არს, და მრავალსა ზედაცა ცრუ არს. თუ ამ მცირე საქმეში, ცი-
სკრის მოსმენაში, ასე სიცრუით იქცევიან, როგორლა დავი-
ჯეროთ, რომ სხვათა დიდთა მოვალეობათა კეთილად და ბე-
ჯითად აღასრულებენ იგინი.

დასასრ ლ სიტყვისა ჩემისა, მოვიყვან ეროსა სიტყვასა
უფლისასა, ვითარცა უმალლესსა და უეჭველსა დამტკიცებასა
იმ აზრისას, რომელ უმცირესი მცნების დავიწყებაც და დარ-
ღვევაც საშინელ ზარალს აძლევს კაცსა: უკეთუ ვინმე დაჭსხნას
ერთი მცნებათა ამათგანი უმცირესთა, და ასწავოს ესრედ კაცთა,
უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა; ხოლო რომელმან
ჰყოს და ასწავოს, ამას დიდ ერქვას სასუფეველსა ცათასა (მათ. 5,
19). და კიდევ: ყოველი სიტყვა, უქმად რომელსა იტყოდენ კაც-
ნი, მისცენ სიტყვა მათთვის დღესა მას სასჯელისასა. ერთი უქმი
სიტყვის თქმა რა არის, მაგრამ ამისთვისაც პასუხს მისცემს კა-
ცი ღმერთს. ჩვენ კი, ვინ იცის და ვინ დასთვლის, რამდენს
უქმს, უსარგებლო სიტყვას ვიტყვით ყოველ საათს, არა თუ
ყოველ დღეს,—რისთვის? მისთვის, რომ არაფრად მიგვაჩნია
ეს ცოდვა, მცირე ცოდვადაც არ მიგვაჩნია იგი.

ამისათვის წინაპიროველად ვეცადოთ, ძმანო ჩემნო, შეწე-
ვნითა ღვთისათა, მცირე საქმეთა და მოვალეობათა ჩვენთა
სარწმუნოდ და კეთილად აღსრულებას, და მერმედ უთუოდ
დიდთაცა და მაღალთა მოვალეობათა აღვასრულებთ კეთი-
ლად. მაშინდა გვექნება სასოება, რომელ უფალი გვეტყვის
ჩვენცა: კეთილ მონაო, სახიერო და სარწმუნო! რამეთუ მცირესა
ზედა სარწმუნო იყავ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სი-
სარულსა უფლისა შენისასა. ამინ.

თბილი ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიასა
შინა.

შოველსავე, რასაც იქმოდეთ, გუ-
ლითად იქმოდეთ, ვითარცა უფლისა-
სა, და ნუ ვითარცა კაცთასა. (კოლა-
სელ. 3, 23).

შმიდა მოციქული პავლე, ეპისტოლესა შინა თვისსა ძო-
ლასელთა მიმართ, სხვათა შორის მშვენიერთა სწავლათა და და-
რიგებათა, ამასაც მისწერს და ასწავლის: ყოველსავე, რასაცა
იქმოდეთ, გულითად იქმოდეთ, ვითარცა უფლისასა, და ნუ ვითარ-
ცა კაცთასა, ესე იგი ყოველი თქვენი საქმე, დიდი და მცირე
რასაც კი დაიწყებთო, გულმოღვინედ და ერთგულად გააკე-
თეთო, როგორათაც ლვთის საქმეს აკეთებთო, და არა კაცის
საქმესო.

ეს სიტყვა, ძმანო, მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო,
პირველად, იპყრობს თვის შორის. დიდსა და გამოუთქმელსა
ნუგეშსა ყოვლისა კაცისათვის, და, მეორედ, დიდსა და მაღა-
ლსა მოვალეობასა დაგვიღვენს. ვაჩვენოთ, რომელსა ნუგეშსა
გვაძლევს მოციქული ამ სიტყვებით და რა მოვალეობას სდებს
ჩვენ თავზედ.

ყოველსავე, რასაცა იქმოდეთ, გულითად იქმოდეთ, ვითარცა
უფლისასა, და ნუ ვითარცა კაცთასა. ამ სიტყვებიდან ის დრდი
ნუგეში და სასიამოვნო აზრი გამოდის, ძმანო უმნო, რომ
ჩვენ ყოველთა შეგვიძლია ყოველი ჩვენი საქმე და შრომა
გარდავაჭციოთ ლვთის მსახურებად. ამ სიტყვებიდამ გამოდის,
რომ ლმერთს არა მხოლოდ მაშინ ვემსახურებით ჩვენ, როდე-
საც, მაგალითებრ, ეკკლესიაში ვდგევართ და ვლოცულობთ,
ანუ როდესაც, გამახსოვნებულნი ლვთის მცნებისა, რომელსამე

ქველს საქმეს, ანუ სათნოებას ვასრულებთ, არამედ იმითიც კი შეგვიძლია ვემსახუროთ ღმერთსა, როდესაც ჩვენს საკუთარს, სოფლიურს საქმეს ვაკეთებთ, თუ კი ის საქმე პატიოსანი არის, თუ ერთგულად და ღვთის წინაშე ვაკეთებთ იმას. რაღა უნდა იყოს ამაზედ უმეტესად სასიამოვნო და მანუგეშებელი ჩვენთვის! ღმერთს რომ შენთვის პირობა გამოუცხადებია: თუ გსურს საუკუნო ცხოვრება მიიღო, დასტოვე სოფელი და ყოველი მისი საქმე, განეშორე კაცთაგან, გაიქეც უდაბნო ადგილს, და მუნ ლოცვისა და ღვთის ვედრების მეტი არაფერი აღარა ჰქმნაო, — თუმცა ძლიერ მძიმე იქმნებოდა ეს პირობა, მაგრამ მეტი გზა რაღა გექნებოდა, ერთი წუთის სოფელში ცხოვრებისათვის საუკუნო ნეტარებას ვერ დაჰკარგავდი, და უთუოდ მიაგდებდი ყოველსავე სოფლიურს საქმეს, და წახვიდოდი უდაბნო ადგილს სულის ცხონებისათვის. მაგრამ ღმერთი ამას არ მოითხოვს შენგან; შეგიძლია დარჩე სოფელში, შეგიძლია ყოველი შენი საქმე აკეთო, და მაშინაც სათნო ეყო ღმერთსა და მოიპოვო საუკუნო ცხოვრება, თუ კი გულითად აქეთებ საქმეს, ვითარცა შფლისასა, და არა კაცთასა.

მაგრამ კიდევუმახლობელებად მიაქციე ყურადღება ამ სიტყვებზედ. მოციქული: ყოველსავე, რასაცა იქმოდეთ, — ესე იგი, არ არჩევს აქდიდსა და მცირესა საქმესა, ოღონდ კი საქმე პატიოსანი და სასარგებლო იყოს, — და რაც გინდა მცირე იყოს იგი, თუ გულმოდგინედ აღასრულე, ამით ღმერთს ემსახურები. მაშასადამე, არა თუ მხოლოდ იმათ უნდა ინუგეშონ ამ სიტყვითა, რომელთა აბარია დიდ-დიდი სახელმწიფო საქმეები, არამედ თვით უკანასკნელი დღიური მუშა კაცი, თუ გულ-მოდგინედ და სინიდისიანად მუშაობს, მასაც უნდა უხაროდეს, ვინაიდგან იგიცა ღმერთს ემსახურება. პიდევ ვიტყვი: რაღა უნდა იყოს ამაზედ უტკბილესი ნუგეში ყოველთა კაცთათვის!

გარნა, თუმცა, ერთის მხრით, დიდს ნუგეშს იპყრობს თვის შორის ზემომოყვანილი დარიგება მოციქულისა, მეორეს მხრით, დიდსა მოვალეობასაცა სდებს ჩვენზედა. მართლა, მოციქული გვაუწყებს ჩვენ, რათა ყოველსა საქმესა, დიდსა და მცირესა, ისე ვასრულებდეთ, ვითარცა ღვთის საქმესა.. აბა, რა სახით,

რა კრძალვით, რა შიშით და სინდისით უნდა აღსრულებდეს კაცი ყოველს საქმეს! ამაზედ სიტყვის გაგრძელება საჭირო არ არის. აյ მხოლოდ ის უნდა გახსოვდეს, ძმაო, რომ ყოველი საქმე, თვით უკანასკნელი, ისე უნდა აღასრულო, ვითარცა დვთის საქმე. ბარნა, საუბერისუროდ, უმრავლესნი კაცთა შორის, არა თუ მცირედთა რომელთამე საქმეთა არ აღსრულებენ გულმოდგინედ და ბეჯითად, ისე ვითარცა დვთის საქმეს, არამედ თვით დიდთა და საქვეყნო საქმეთაცა. იქმნება ათასში ერთმან, და ისიც რომელსა ერთობ დიდი რაიმე საქმე აბარია, გაიხსოვნოს, რომ იგი არა კაცს ემსახურება, არამედ დმერთსა, და ეცადოს დვთის წინაშე კეთილად აღსრულება საქმისა თვისისა, სხვანი კი, უმრავლესი ნაწილი, დაუდევნელად და უერთგულოდ აღსრულებენ ყოველსა თვისსა საქმესა. მეტადრე, თუ ვინმე გულ-დიდია და იფიქრა, რომ მისი საქმე არის ერთი მცირე და წვრილი, მაშინ იგი აღსრულებს მას დაუდევნელად და უგულისხმოდ, თავის გულში ჰავიქრობს: რა დიდი საქმეა ეს ჩემი საქმე, რომ თავი მოვიკლა ამაზედაო მაგრამ ეს აზრი უგუნური არის! რაც გინდა წვრილი იყოს შენი საქმე, ძმაო, გულმოდგინედ აღასრულე, ვითარცა შფლისა, და არა კაცთა. შენ გგონია დიდი ზარალი არავის დაემართება, რომ შენი წვრილი საქმე ცუდად აღასრულო, და იმას კი არ ჰავიქრობ, რომ ეს შენთვის არის დიდი ზარალი, მით, რომ შენ მისჩვეულხარ დაუდევნლობას და უხალისობას. თუ ერთი სიტყვაც, ცრუ და ბრუნდე, შენი პირისაგან გამრასული, ცოდვა არის ვითარცა გვამცნებს სამლრთო წერილი საქმე რომელიმე, ბრუნდედ და ცუდად გაკეთებული, რაც გინდა მცირე იყოს, უმეტესი ცოდვა იქმნება. მაშასადამე, ეცადე, ძმაო, რაც გინდა მცირე იყოს შენი საქმე, რომელსაც აკეთებ, რაც გინდა დაბალი იყოს შენი ხელობა, ისე აღასრულე იგრ, როგორც დვთის საქმე. და თუ ყოველი, თვით მცირე საქმე და მოვალეობა, გულმოდგინედ და დვთის წინაშე უნდა აღასრულოს კაცმა, უეჭველია, ვინც დიდს საქმეს და მოვალეობას დაუდევნელად აღსრულებს, იგი უმეტესსა შინა შთავარდება განკითხვასა დეთისაგან.

თუმცა, რაც აქამოშდე ვსთქვით, ყოველმა ქრისტიანე

კაცმა უნდა მიიღოს ყურადღებით, გარნა მომეტებულად მან, რომელიც არის სახელმწიფო სამსახურში. საუბედუროდ, მრავალნი სახელმწიფო მოსამსახურები; ჩინოვნიკი, აგრეთვე, სამწუხაროდ, ეკლესიის მსახურნიცა, თუ კი დიდი ადგილი არ მიიღეს და მცირე ალაგზე დარჩენ, ხშირად დაუდევნელად აღსრულებენ თვის მოვალეობას, გულ-გრილად ეკიდებიან საქმეს, მისთვის, რომ თავმომწონი არიან. დიდად მიაჩნიათ თვისი თავი და ჰეთიქრობენ, რომ იგინი უმაღლეს ადგილზე უფრო სასარგებლო იქმნებიან. ბარნა ეს დიდი შეცდომა არის. თუ დაბალ ადგილზედ არ ივარგა, თუ მცირე საქმე კარგად არ აღასრულა კაცმა, ან მთავრობა როგორ იფიქრებს, რომ უდიდეს ალაგზე უმჯობესი იქმნება? ის ივიწყებს სიტყვასა სახარებისასა: ურწმუნო იგი მცირესა ზედა, მრავალზედაც ურწმუნოა. მას არ ახსოვს კიდევ მეორე სიტყვა სახარებისა: კეთილ მონაო და სარწმუნოო, მცირესა ზედა სარწმუნო იყავ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ, ამინ.

ს ი ტ ჟ პ ა

თქმული 14-ს იანვარს ქუთაისის საქალებო გიმაზიაში
(რუსულად).

ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათთანა ზეთი, ჭურჭელთა მათთა ლამპართა მათთა თანა (მათ. 25, 4).

ქეთილშობილნო მოწაფენო! თქვენ უეჭველად არა ერთგზის გექმნებათ გაგონილი შმიდა ნინა საქართველოის განმანათლებელის დღესასწაულზე, — რომელიც თქვენის ეკლესიის დღესასწაულიც არის, — სახარებისაგან მაცხოვრის იგავი ათთა ქალწულთა ზედა. მს იგავი იპყრობს თვის შორის დიდთა ჭე-

შმარიტებათა და დარიგებათა, რომელნიცა საჭირონი არიან ყოველივე ასაკისა წოდებისა და სქესისათვის. მაგრამ მან განსაკუთრებით უფრო თქვენი ყურადღება უნდა მიიზიდოს, რადგან იმ იგავში მაცხოვარი იტყვის ათა ქალწულთა ზედა და უჩვენებს მათში, ხუთთა კეთილგონიერებასა, წინდახედულობას, ხოლო ხუთთა სხვათა—უსაფუძვლო ჭიუასა და წინდაუხედველობასა,— და მით შეგვაგონებს მივბაძოთ სიბრძნესა ხუთთა გონიერთა ქალწულთა, ხოლო განვეშორნეთ ხუთთა უკანასკნელთა უჭიუობასა და წინ-დაუხედველობას.

სიბრძნე, კეთილ-გონიერება, წინ-მხედველობა—აპა უსაჭიროესნი თვისებანი, რომლითაც უნდა იყვნენ აღჭურვილნი ყოველნი, რომელთა ჰსურთ გაატარონ მყუდრო და კმაყოფილი ცხოვრება; მეორეს მხრით: უჭიუობა, მოუფიქრებლობა, წინდაუხედველობა—აპა თვისებანი, რომელნიცა ყველაზე უფრო ჰლუბვენ კაცის ცხოვრებას ქვეყანაზე, და ამიტომ ამ თვისებათა კაცი ყოველივე ღონისძიებით უნდა ერიდოს. დედათ სქესი, ჩემის აზრით, უმეტესად ისჯება ამა ნაკლულევანებათაგან. დარწმუნებით შეიძლება სთქვას კაცმა, რომ უმეტესი ნაწილი იმა უბედურებათა, რომელნიცა შეემთხვევიან ცხოვრებაში ქალთა, წარმოსდგებიან მათი მოუფიქრებლობით და უსაფუძლო ჭიუით. მაშასადამე, ქვეყნიური ჩვენი ცხოვრებისათვისაც და მოქმედებისათვის კეთილ-გონიერება, წინ-გამსჭვრეტელობა შეადგენენ წიგნს მყუდრო ცხოვრებისას; ხოლო ამის წინააღმდეგნი თვისებანი გვიქადიან ჯავრს და უბედურებას. ზარბა ყოველი, რაიცა აქამომდე ვსთქვით, უმეტესად ეკუთვნის და ითქმის ჩვენს სულიერს, ქრისტიანულს ცხოვრებაზე.

რაში მდგომარეობენ ეს ორნი, ერთმანეთის წინააღმდეგნი თვისებანი? ამას გვიჩვენებს მაგალითი ათა ქალწულთა, იგავსა ამას შინა. იგინი, აღმოსავლეთის ჩვეულებისამებრ, საღმოს გამოვიდნენ ლამპრებით მიგეგებად სიძისა, რომელიც უნდა მოსულიყო თავის საცოლოსთან საქორწილოდ. სიძეს, ჩვეულებისამებრ, შეიძლებოდა დაპგვიანებიყო, და ამიტომ ხუთმა იმა ქალწულთაგანმა მოიმზადეს ლამპრები და ზეთი, და ამით გამოიჩინეს თავისი გამჭრიახობა და კეთილ-გონიერება; დანარჩენმა ხუთმა ქალწულმა, უსაფუძლო ჭიუისაგამო მათი-

სა, დაივიწყეს ლამპრებთან ზეთის წამოლებაც. პირველნი შეეგებნენ სასიძოს ანთებული ლამპრებით, გაჰყვნენ მას და იქმნენ მიწვეულნი ქორწილში. მოუფიქრებელთა ხუთთა ქალწულთა გამოელიათ ზეთი და გაუქრათ ლამპრები, და ამიტომ ვერ მოასწრეს ვერც შეგებება და ვერც გაყოლა სიძისა, ამიტომაც მოაკლდნენ ქორწილში დაპატიჟებას. შეჭველია, უმეტესმა თქვენთაგანმა უკვე იცის, რომ სიძე, რომელზედაც არის ლაპარაკი იგავში, არის თვით შფალი იქსო ძრისტე, ჩვენი მაცხოვარი, ჭეშმარიტი, საყვარელი სიძე ჩვენისა სულისა; ხოლო ათი ქალწული გვიხატავენ სულთა ყოველთა ქრისტიანეთასა, ლამპარნი და ზეთნი გამოჰქატვენ სარწმუნოებასა და მასთა წმიდა ცხოვრებას, რომელნიცა არიან ორი უმთავრესი სათნოებანი ჭეშმარიტთა ქრისტიანეთა.

ჩვენ ყოველნი ოდესმე უნდა შევეგებნეთ ჩვენს ზეციერს სიძესა, მეორესა მისსა მოსვლასა. ბედნიერნი იქმნებიან ისინი, რომლებიც, მსგავსად ხუთთა ბრძენთა ქალწულთა, სცდილობენ დაიცვან თავის სულში აღნთებული ლამპარი სარწმუნოებისა, წმიდითა ცხოვრებითა და კეთილითა საქმეებითა. იგინი შეეგებებიან თავიანთ ზეციურს სიძესა და იქმნებიან მიღებულნი მის ზეციერ სასუფეველში. წინააღმდეგ ამისა, უბედურნი იქმნებიან ისინი, რომელნიცა, მზგავსად ხუთთა სულელთა ქალწულთა, რომელთაც კი ჰქონდათ სარწმუნოება, მაგრამ სარწმუნოება მათი მხატე ჭკუის და დაფანტული ცხოვრების გამო, არ იყო შემკული კეთილთა საქმეთაგან, და ამიტომ მათი სარწმუნოებაც განჭერა გულისაგან.

მაღალი სახე ბრძენისა ქალწულისა თქვენ ყოველთვის გაქვს თვალწინ, თქვენი ეკლესიის ანგელოზი — წმიდა ნინა. წარჩინებულმან დამაარსებელმან ამა თქვენის სასწავლებელისა, განსვენებულმა მლისაბედ ვორონცოვის მეუღლემ, რომელიც თვითონაც, უნდა ვსთქვათ აქა, ღირსია ბრძენთა ქალწულთა შორის შერაცხვისა, ვინაიდგან იგი თვისსა ურიცხვსა. სიმდიდრესა უხვად აბნევდა კეთილთა საქმეთათვის, არა უსაფუძლოდ დაარქვა ამ თქვენს სასწავლებელს წმიდა ნინას სახელი, მას ჰსურდა და კიდეც ფიქრობდა, რომ წმიდა ნინას ცხოვრება იქმნებოდა თქვენთვის დიდი მაგალითი და ჭკუის მასა-

წავლებელი. შმიდა ნინა სულით და გულით მიენდო თავის სულიერს სიძეს — მაცხოვარს და მის დედას. იგი ცხოველი სარწმუნოებით შეუდგა ღვთის სამსახურს და აღასრულა დიდი ღვაწლი. მარტო მით კი არ არის იგი შესანიშნავი და ღირსი თაყვანის-ცემისა, რომ მთელი ჩვენი ერი გააქრისტიანა, არამედ უმეტესად მით, რომ მისი უმანკო ცხოვრება და მისი ხასიათი, ქალწულებრივი, ქრისტიანული, დარჩა თესლად, რომელსაც მოჰქონდა კეთილი ნაყოფი მრავალ საუკუნეების განმავლობაში ქართველი ქალების ცხოვრებასა შინა. მის კვალზე და მის მზგავსად იქცეოდნენ თავის შმიდა ცხოვრებით სახელ-განთქმული ქალნი: შუშანიკი, შეთევანი, რითსიმე და სხვანი მრავალნი. ბარნა საზოგადოდაც სიმართლით უნდა ვსოდეთ, რომ უმეტესი ნაწილი ქართველთა ქალებისა, ყოველთა წოდებათა, აღსრულებდნენ ყოველთა ქრისტიანულ მოვალეობათა, იყვნენ ჭეშმარიტნი დედანი სახლობათა, მეტად უყვარდათ თავიანთი შვილები და ქმარნი, ხშირად გასაჭირ საზოგადო საქმეებში იყვნენ მხნენი და კეთილნი თანაშემწენი თავიანთ ქმართა, არა ერთხელ ხელში იარაღით შეპირობიან, ქმართათანა, მტერთა და დაუფარავთ სამშობლო. მაგრამ, ჩემის აზრით, უფრო მოსაწონი იყო მათი უბრალო, ზომიერი, ფხიზელი და შრომის-მოყვარული ცხოვრება; ყველა ახლანდელი ქალებისათვის ამისთანა წინანდელი ქალების ხასიათი შეადგენს უძვირფასესს მაგალითს მისაბაძავად. შველამ ცის, რომ ამ ჩვენი საუკუნის დასაწყისამდის და ახლანდელ განათლებამდის, ქართველნი ქალნი თავის ხელის ნაწარმოებით იცვამდნენ თავის ტანს, და აგრეთვე აცვამდნენ მთელ თავიანთ სახლობასაც. მს მეტად საქები რამ იყო, რადგან ამით დიდს შემწეობას აძლევდნენ თავიანთ ქმართა, რომელნიც მუდამ ჩხეუბში იყვნენ და იცავდნენ თავის ქვეყანასა და სარწმუნოებასა. მართლა, რომ ძველმა ქართველმა ქალებმა არ იცოდნენ ჩაცმა ახალ მოდაზე და არც ფრანცუზულ ენაზე ლაპარაკი, მაგრამ პზრდიდენ ტანმრთელს შვილებს, რომლებსაც აჩვევდნენ ყოველივე გაჭირვების ატანას და სარწმუნოების დაცვისათვის თავის გამომეტებას.

მს იყო აგერ ახლა! რაღა იქმნება ამის შემდეგ, რითი გა-

მოიჩენენ თავს აქაური ქალები, აღზრდილნი შვროპიულად? მს მხოლოდ დმერთმა უწყის! ბევრი გარემოებანი ეხლანდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა ვერ გვიქადიან ჩვენ კარგს მომავალს. მხოლოდ ჩვენი მოვალეობა არის გაგაფრთხილოთ თქვენ კეთილ-შობილნო მოწაფენ! ამ სასწავლებელში მიიღებთ თქვენ განათლებას: აქ ჰერგვენ თქვენს სულში მეცნიერების ლამპარს; ეს კარგი საქმეა, მაგრამ ერთი მხოლოდ განათლება ვერ გიხსნისთ თქვენ ზნეობითი დაცემისაგან, არამედ იგი გახდება თქვენ დამღუპველად, თუ ამასთანავე თქვენი ცხოვრების გზა არ იქნება მუდამ განათლებული სარწმუნოების ლამპარით, ანთებულით წმინდა ზეთით, ესე იგი წმინდა ცხოვრებით და კეთილი საქმეებით. ცუდი დროა ახლა! ხალხის ტვინში იბადებიან მრავალნი დამღუპველნი აზრნი და მისწრაფებანი, რომელნიც აქრობენ კაცში სარწმუნოებას. იღუპებიან ბევრნი განათლებულნი წალწულნი თავის სუსტი ჭკუის და დაუდეგარი ხასიათის გამო. როცა, დვთის შემწეობით, დაიწყებთ თქვენ თავისუფალს ცხოვრებას, მტკიცედ დაიხსომეთ დვთის სჯული, რომელიც თქვენ აქ ისწავლეთ, ერიდეთ, როგორც ჭირს, ყოველივე კაცს, რომელიც გაშორებს თქვენ დმერთს და აქრობს თქვენში თქვენი საჭიროების ლამპარს. წინააღმდეგ ამისა, თქვენ თვითონ გაბედვით და მხნედ იმეცადინეთ დარიგება ყველა თქვენის მაცუნებელისა. ცხოვრება კაცისა არის ბრძოლა კეთილსა და ბოროტსა შორის; ყოველივე წინააღმდეგობა კეთილისა და მიღრეკილება ბოროტისადმი, თუ კაცს არ სცხვენიან და არ ინანებს თავის შეცოდებას, არის დასაწყისი დაცემისა და დაღუპვისა. ბოროტებას, ცოდვას და ცუდთა გულის თქმათა არ შეუძლიათ კაცი ბედნიერი გაპხადონ, არამედ იგინი ჰლუპვენ ყოველ კაცსა.

შეგეწიოსთ თქვენ ზეციური სიძე—მაცხოვარი, რომ თქვენ ყოველთვის იყოთ მომხრე ქეთილისა და სიწმიდისა, რომ თქვენ, მზგავსად ხუთთა ბრძენთა ქალწულთა, სარწმუნოების და სათნოების ლამპრებით მზად იყვნენ მიგეგებად მისა. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა

თქმული ქუთაისის საკათედრო ეპისტოლაში შინა მოს-
ავლეთაღვი სხვათა და სხვათა ქუთაისის სასაზღვრ-
ბელთა შინა, 1879 ჭელსა.

ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ
შორის, აჩვენენ კეთილად სვლისაგან
საქმენი თვისწინი, სიმშეიდითა სიბრძ-
ნისათა (ზაკ. 3, 13.)

საყვარელნო ყრმანო, მოსწავლენო სხვათა და სხვათა ჩვე-
ნი ქალაქის სასწავლებელთა შინა! წელიწადში ერთხელ მაინც
მსურს საკუთრად თქვენ წინა-დაგიდვა სულიერი სწავლა და და-
რიგება. თქვენთვის უფრო საჭირო არის სულიერი, ზნეობითი
სწავლა, და უფრო სასარგებლოც იქმნება. ღროება და მრავალ-
ნი საქმენი ნებას რომ მაძლევდენ, ერთხელ კი არა, ასჯერაც
რომ მომეცა თქვენთვის დარიგება, ისიც არ იქნება ნამეტა-
ნი. თქვენ ახლა ისეთ ჰასაკში ხართ, რომ თქვენი გული და
სული უფრო მომზადებულია სწავლის მიღებისათვის. ღვთის
მაღლით, თქვენი გული და სული არ არის ჯერ გაფუჭებული,
და უფრო მტკიცედ დაიბეჭდება თქვენს შორის ყოველი სწავ-
ლა. გარდა ამისა, თქვენ ყოველნი ხართ მოსწავლენი; ახლა
შენდება საძირკველი მომავლისა თქვენისა ზნეობისა, ყოფა-
ქცევისა, ხასიათისა, ერთი სიტყვით, მთელისა ცხოვრებისა. მი-
უცილებლად საჭირო არის, რომ ეს საძირკველი მომავალისა
თქვენისა ცხოვრებისა იყოს დამყარებული სიტყვასა ზედა და
სჯულსა ღვთისასა, იყოს გამაგრებული სულიერითა, ქრისტი-
ანულითა სწავლითა და მოძღვრებითა. თუ ეს ასე არ იქმნა,
თუ მომავალი თქვენი ცხოვრება აშენდა სხვა, სოფლიურ, ამაო
საძირკველზე ეს იქმნება უბედურება თქვენთვის და მთელი
ჩვენი ქვეყნისათვის. თუ მარტო გონებითს მეცნიერებას მიი-

ღებთ სასწავლებლებში, თუ მარტო მრავალ სამეცნიერო საგნებს ისწავლით, მარტო გონებას, მეხსიერებას გაამდიდრებთ, ხოლო გულის თვისებას, ხასიათს არ გაიკეთებთ, სწავლულნი შეიქმნებით, და სიმართლეს და წმინდა, ქრისტიანულ ზნეობას არ შეიძენთ, მაშინ თქვენ გამოხვალთ უბედურნი და ქვეყნისათვის მავნებელნი, და არა სასარგებლონი. ვინ არს ბრძენ და მეცნიერი თქვენ შორის, აჩვენენ კეთილად სელისაგან საშმენი თვისი, სიმშვიდითა სიბრძნისათა, იტყვის წმიდა მოციქული იაკო', ესე იგი, თუ ვინმე ჭკვიანი და სწავლული არისო თქვენს შორის, ეს მან დაამტკიცოს თვით საქმით, ზნეობით, ყოფა-ქცევითაო. მართლა, რით უნდა გამოაჩინოს კაცმა თვისი სწავლა და ჭკუა, თუ არა კეთილი საქმით, კარგი ზნეობით? გარნა, კარგს ზნეობას, კარგს ყოფა-ქცევას საკუთრად უნდა მიეჩიოს კაცი; დიდი და განუცხრომელი ყურადღება უნდა ჰქონდეს კაცს მიქცეული, რომ გაისწოროს თვისი ხასიათი. თუ შეგირდი, ანუ მოსწავლე, სასწავლებელში მარტო იმაზედ ჰქონდებას და ყურადღება იმაზედ აქვს მიქცეული, რომ სხვა-და-სხვა სამეცნიერო საგნები კარგად დაიზეპიროს, სხვა-და-სხვა ძველი და ახლი ენები კარგად დაისწავლოს, ხოლო თავის ზნეობას და ხასიათს არ იკეთებს, წმიდა, პატიოსან ცხოვრებას არ ეჩვევა, ერთი სიტყვით, დევთის სჯულს არ მიითვისებს, ის მოსწავლე, როგორც ზევით ვსთქვით, რაც გინდა კარგი სწავლული გამოვიდეს, უსარგებლო იქნება ქვეყნისათვის, და ფრიად მავნებელი. უმჯობესი დამტკიცება ამ აზრისა რაღა იქნება, თუ არა ის, რასაც ჩვენ ახლა ვხედავთ, და რაც ახლა ამბავი გვესმის ყოველი მხრიდამ. ვგონებ, რომ არც თქვენ იქნებით უცნობელი იმისა, რაც ამ ჩვენს დროებში მოვლენა არის, არა თუ მთელს რუსეთში, არამედ მეროპაშიაც. უთუოდ თქვენც გაგიგონიათ; რა დარდი, რა დიდი მწუხარება გაუჩნდა ახლა ყოველთა მშობელთა, მთელს საზოგადოებას და თვით მთავრობას, და რაოდენი ყმაწვილი კაცი საუკუნოდ დაიღუბა ახლა, მით, რომ დაივიწყეს ყოველივე წმიდა, პატიოსანი, მართალი, რაც არის მიღებული ყოველთა განათლებულთა კაცთა და საზოგადოებათაგან, რაზედაც დაფუძნებულია აწინდევლი ქვეყნის განათლება, ცხოვრება, წარმატება, და შეუდგენ ყოველ-

სა სიბოროტესა და გარყვნილებასა. ზამოჩნდა ერთი საშინელი, გამახინჯებული პარტია, რომლის მსგავსი არ ყოფილა დასაბა-
მიდგან ქვეყნისა. ვრცლად და დაწვრილებით რომ მოგიყვე ახ-
ლა, რა აზრები აქვს ამ პარტიის, და რას ეძებს იგი, ან რას სჩა-
დის, რომელი საქმეებით გამოაჩენს თვისს განზრახვას, ეს შეუძლე-
ბელია აქ, მოკლე სიტყვაში. მხოლოდ აღგიხსნი აქ ამ პარ-
ტიის აზრებს და ყოფა-ქცევას ერთი მცირე მაგალითით. წარ-
მოიდგინე, რომ ერთი ვინმე უცნობი კაცი მოვიდა შენთან და
დაიწყო საუბარი და დამტკიცება, რომ ცოდვას და მადლს, კე-
თილს და ბოროტს, პატიოსანს და უპატიოსნო საქმეს, სიწმინ-
დეს და უწმინდურებას და გარყვნილ ცხოვრებას არაფერი გან-
სხვავება არა აქვს, რომ კაცის კვლა, ქურდობა, სახლების გა-
დაწვა, ლალატობა არ არის ცოდვა, დასაძრახისი? უნ იფიქ-
რებ, ის კაცი ან ხუმრობს, ან ჭკუაზედ შეშლილია. ან იქნება
კიდეც შეგეშინდეს, იფიქრო, რომეს კაცი ქურდია ან ავაზაკი,
და უნდა, რომ შენც მიგიზიდოს და გაგაფუჭის. მით უმეტესად
გასაკვირველი და სამწუხარო ის არის, რომ მართლზ გამოჩნ-
დენ ერთობ მრავალნი პირნი, და შეადგინეს დიდი პარტია,
და სიტყვითაც იმას ამტკიცებენ, რაც ახლა ვსთქვი, საქმითაც
არ ერიდებიან არც ერთს ცოდვას, არც კაცის კვლას, არც მო-
წამვლას და არც სახლების და ქალაქების გადაწვას. სწვავენ
ცეცხლით სოფლებს და ქალაქებს, და თვითონ ამბობენ და კი-
დევაც სწერენ ზოგიერთა გაზეთებში, რომ ჩვენ ახლანდელი
ქვეყანა უნდა დავამხოთ და სუპველანი გავსწყვიტოთ, ვინც
ჩვენ არ დაგვიჯერებს და არ დაგვემორჩილებაო. იქმნება კი-
დეც იფიქრო გულში, რომ, ქურდები, ავაზაკები და კაცის-
მკვლელები ყოველთვის იყვნენ ქვეყანაზედ, და ახლა უთუოდ
მათ პარტია შეადგინესო.. მაგრამ საქმე ის არის, რომ ისინი
არ არიან უბრალო ქურდები და ავაზაკები. აქვე, სამწუხაროდ
და განსაცვითრებლად თქვენდა, უნდა გითხრათ, ვინ შეადგენს
ამ პარტიას. უმეტეს ნაწილად ის პარტია შესდგება ნასწავლ-
თაგან, სხვა-და-სხვა სასწავლებელში ნაყოფთაგან; ზოგიერთი
იმათგანი მაღალ სასწავლებელშიაც ყოფილან. როგორ მოხდა
ეს გასაოცარი საქმე? რას სახით გამახინჯდა ნასწავლი კაცი
ისე, რომ მას აღარაფერი აღარ მიაჩნია ცოდვად: კაცის კვლა,
ქურდობა, სახლების გადაწვა? მს მოხდა მისთვის, რომ მათი

სწავლა იყო ერთ კერძოიანი, სწავლობდენ მხოლოდ სხვა-და-სხვა საგნებს. იმატებდენ მხოლოდ სხვა-და-სხვა აზრებს, ხოლო ხასიათს და ყოფა-ქცევას არ სწავლობდენ. იქნება საღმრთო შერილსაც, ლვის სჯულს, სწავლობდენ სასწავლებელში, გარნა სწავლობდენ ზეპირად, და გულით არ მიითვისებდენ. მრთი კერძოობით სწავლას, ანუ მარტო გონების და ჭკუის გამდიდრებას სხვა-და-სხვა აზრებითა, ცუდი გავლენა აქვს კაცის ბუნებაზედ, იგი ზნეობას გაუფუჭებს. აპა მიზეზი, რომლისთვისაც საღმრთო შერილი სწუნობს და შეურაც-ჰყოფს, და უწოდებს ცრუ სწავლად ზემოთქმულსა ერთ კერძოიანს სწავლასა. საღმრთო შერილი აგვისენის ჩვენ, რომელ კაცის ჭკუა და სიბრძნე, ანუ სწავლა, საქმით უნდა გამოჩნდეს, ყოფა-ქცევით, და არა მხოლოდ სიტყვით და ლაპარაკით: გინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ შორის, აჩვენენ კეთილად სვლისაგან საქმენი თვისნი... ზეგარდამო სიბრძნე პირველად სიწმინდე არს და მერმე მშვიდობა, სახიერება, მორჩილება, სავსე წყალობითა და ნაყოფითა საქმეთა. კეთილთათა (იაკობ 3, 13, და 17).

აი, რა სახე და მიმართულება უნდა ჰქონდეს ქრისტიანულს სწავლასა, სიბრძნესა. იგი, პირველად, უნდა იყოს საქმიანი, და არა ფუჭი, უქმი, უხმარი ცხოვრებაში, სიმშვიდე-ში, ზეგარდამო ანუ ზეციერ სიბრძნეში. ძიდევ მოვიყვან სიტყვებს წმიდა მოციქული იაკობისას: პირველად სიწმინდე-არს, მერმე მშვიდობა, სახიერება, მორჩილება, სავსე წყალობითა და ნაყოფითა კეთილთათა (იაკ. 3, 17).

გახსოვდეთ, დაიბეჭდეს გულში, საყვარელნო ყრმანო, რომ კაცის არსებას, ანუ ცხოვრებას აქვს ორი კერძო, ანუ მხარე; პირველი არის აზრი, გონება, მოსაზრება, ერთი სიტყვით სულიერნი, უხილავნი ნიჭნი, თვისებანი; მეორე მხარე არის საქმე, მოძრაობა, ყოფა-ქცევა, ხასიათი. მს მეორე მხარე კაცის ბუნებისა უსაჭიროესი არის უდიდესი. საქმე უდიდესია, ვიდრე სიტყვა და აზრი. პირველი კერძო, ესე იგი, გონება, ჭკუა, ღმერთმა მისცა კაცს მეორე კერძოისათვის. ღრივე კერძონი მოითხოვენ გაუმჯობესობას, გამართვას გამდიდრებას. მაგრამ სჯობია კაციუსწავლელი იყოს, სხვა-და-სხვა მეცნიერება არ იცოდეს, და საქმით კარგი იყოს, ვიდრე-ლა სწავლული

და საქმით ცუდი. გარნა ყველაზე უმჯობესი და უმშვენიერესი ის არის, თუ კაცი გონებითაც განათლებულია და საქმენიც, ყოფა-ქცევაც განათებული, კეთილი აქვს. ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ შორის, აჩვენენ კეთილად სვლისაგან საქმენი თვისნი, სიმშვიდითა სიბრძნისათა, რომელი და მოგცეს თქვენ ყოველთა ღმერთმან სანუგეშოდ თქვენდა მშობელთა და მზრუნველთა. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა,

თქმული ქუთაისის საკათედრო ეპკლესიასა შინა სასულიერო და სახორციელო სასწავლებლების მოსწავლე-
თაღმი, 1876 წელს.

ჩატი ვინმე იყო სახლისა შფალი, რომელმან დაასხა ვენახი, და ზღუდე გარე მოსდვა მას, და ჰქმნა მას შინა საწახელი, და ალაშენა გოდოლი და მისა იგი მოქმედთა ქვეყანისათა.
(მათე 21, 33).

საყვარელნო ყრმანო, საერო და სასულიერო სასწავლებელთა მოსწავლენო! ჭარსულს წელიწადს, წინად სწავლის დაწყებისა, დაგიბარე მე თქვენ შმიდასა ამას ტაძარსა შინა და მოგეცი დარიგება, მსგავსადვე ახლაც მსურს აღვასრულო ჩემი თქვენდამი მოვალეობა. იმედი მაქვს, რომ ზოვიერთთა მაინც თქვენგანთა ახსოვს ის სწავლა, რომელიც მოგეცი თქვენ ჭარსულს დწელს. მე თქვენ ის აზრი აღგიხსენი, რომ თქვენ ყოველნი ფრთხილად უნდა იყვნეთ, რათა ვინმემ ბოროტის განმზრახველმა პირმა არ გაცოუნოს, არ შეგაგონოს რაიმე სჯულის წინააღმდეგი აზრი. ახლა მე მსურს მოგცე თქვენ სხვა

დიდი და ფრიად საჭირო სწავლა სულიერი, მე მსურს აღგიხ-
სნა თქვენ, რა დიდი მნიშვნელობა. აქვს ქრისტიანულსა. სჯუ-
ლსა, არა თუ მხოლოდ თითოეულისა კაცისათვის, არამედ
მთელი ერის და ხალხის. ცხოვრების წარმატებისათვის. ამას
აგიხსნი მე თქვენ არა ღრმა ფილოსოფიური აზრებითა, რო-
მელთა უმეტესი თქვენგანი ჯერედ ვერც კი გაიგებს, არამედ
უბრალო ისტორიული მაგალითების მოყვანითა. მე აღგიხსე-
ნი, რომელ ჰეშმარიტი წარმატება და ბედნიერება კაცობრი-
ობისა თვით ამ ქვეყანაზედაც დამოკიდებული არის შრისტე
იესოს სახარების და სარწმუნოების მიღებაზედ და აღსრუ-
ლებაზედ. ამ აზრის დასამტკიცებლად მე წარმოგიდგენ ცხად-
თა და ცხოველთა მაგალითთა, თვით ჩვენთა წინაპართა ცხო-
ვრებისაგან, და აგრეთვე სხვათა ძავკასიაში მცხოვრებთა ტომთა
ცხოვრებისაგან. ზარნა, წინაპირველად, მე უნდა მოგიყვანო
ერთი სახარების იგავი.

ძაცმან ერთმან, დიდმან, იტყვის შფალი იესო შრისტე, აღ-
შენა ერთი დიდი ვენახი, კედელი შემოადგა, საწნახელი და
გოდოლი დასდგა მას შინა, და, ესრედ მომზადებული, ჩააბა-
რა მომქმედთა, ანუ მუშაკთა, იმ პირობით, რომ თავ-თავის
დროზე ვენახის ნაყოფი მიართვან ვენახის პატრონსა, მაგრამ
ამათ არ აღასრულეს ეს პირობა, ვენახისგან ნაყოფი არ მიარ
თვეს პატრონსა; მისგან გამოგზავნილნი მოსამსახურენი ზოგ-
ნი გააგდეს, ზოგთა სცემეს; სხვანი მოჰკლეს. ამისთვის ვენა-
ხის პატრონმა დაჲსაჯა ბოროტნი მუშაკნი, ქალაქი მათი აღ-
ოხრა, ვენახი მათ ჩამოართვა, და ჩააბარა სხვათა, ნაყოფის
მომცემთა, მუშაკთა.

რას ნიშ კს ეს იგავი? ვენახის დამსხმელი და პატრონი
არის თვითი ერთი; ვენახი არის ღვთის სჯული, ქრისტიანუ-
ლი ეკლესია; მომქმედნი, ანუ მუშაკნი ვენახისანი, არიან ყო-
ველნი კაცნი და ერნი, ღვთის სჯულის მიმღებნი და აღმას-
რულებელნი. ღმერთმან მისთვის განაჩინა და მისცა კაცთა-
სჯული, სახარება, ქრისტიანობა, ეკლესია, რომელ იგინი
მოიხმარონ, ნაყოფი გამოიღონ, ესე იგი კეთილი, პატიოსანი,
ქრისტიანული ცხოვრება იქონიონ. თუ რომელიმე ერი, ანუ
ხალხი მიიღებს ვენახსა ამას კეთილად და იმუშავებს, ნაყოფს

გამოიღებს, იგი იქმნება გარეშე მოზღუდული კედლითა და დაცული ლვთის მაღლითა, და თუ რომელიმე ხალხი არ მი-
იღებს ამ ვენახს, ანუ მიიღებს, და კარგად არ შეიმუშავებს,
არ მოიხმარს ლვთის სჯულსა, ნაყოფს არ გამოიღებს, ლმერთი
მათ ჩამოართმევს ამ საღმრთოსა ვენახსა, და მისცემს სხვას, უფ-
რო ღირსას ხალხსა; და თუ რომელსამე ერსა, ანუ ხალხსა და-
ემართა ეს საქმე, ის ხალხი დაეცემა და დაიღუპება, თვით აქ
ამ ქვეყანაშიაც, და შეიქმნება ვითარცა ერთი უნაყოფო, გამ-
ხმარი ხე.

დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთთა თქვენგანთა კიდეც
გაუგონიათ ეს იგავი, და იციან, რომ შფალმა იესო შრისტემ
ეს იგავი სთქვა ურიათა ზედა, და მათი მომავალი ხვედრი
აჩვენა. პირველად ეს იგავი კიდეც აღსრულდა მბრაელის ერსა
ზედა, რომელმან არ შეიწყნარა შრისტეს სჯული, და ამისთვის
ქალაქი მათი იქმნა აოხრებული, და მათ დაჰკარგეს თვისი
ქვეყანა, და დაფანტული არიან სხვათა შორის თესლებისა.
მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ არ გიფიქრიათ და
არ იცით, რომ იგავი ესე, ვითარცა ლვთიური სიტყვა, იყო
არა მხოლოდ ურიათა ზედა, არამედ მთელი ქვეყნისათვის და
ყოველთა ერთათვის, და წინასწარმეტყველება, მას შინა თქმუ-
ლი, მრავალგზის აღსრულდა სხვათაცა ერთა ზედა, და იგივე
გასაოცრად აღსრულდა მრავალთა ქავკასიის ერთა ზედა და
თვით ჩვენთა წინაპართა, ქართველთა ზედაცა.

მე დამივლია მრავალნი ქავკასიის მხარენი: სვანეთი, მსე-
თი, აფხაზეთი, ახალციხე, შართლ-ძახეთი, იმერეთი და სამე-
გრელო. როდესაც ამ ქვეყნებში დავდიოდი, ერთი გარემოება
მაკვირვებდა მე, და უნებლივად ფიქრში შემიყვანდა. შოველ
კუთხეებში: მთებში, ტყეებში, ხეობებში, მინდვრებზედ,
სოფლებში და უდაბურ ადგილებში, ვხედავდი მრავალთა
ძველთა ნიშანთა ქრისტიანობისა, ეკკლესიათა, მონასტერთა,
ჯვრებსა, დიდ-დიდსა ტყავის წიგნებსა. აქედამ სჩანს, რომ
ძველ დროებაში, არა თუ მარტო ჩვენი წინაპარნი ქართველნი,
არამედ სხვანიცა, ყოველნი კავკასიის მცხოვრებნი, სხვა-და-სხვა
ერნი და ნათესავნი: მსნი, აფხაზნი, სვანნი, ლეკნი და ჩერქე-
ზნი, იყვნენ განათლებულნი ქრისტიანულის სჯულითა. მაგრამ

საკვირველი ის არის და შესანიშნავი, რომელ ქრისტიანობა ყოველგან, ყოველ სხვა ხალხებში ადრევე მოისპო, და დარჩა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში. მს მოხდა მისთვის, რომ ყოველნი სხვანი ჰავკასიის ერნი არ გამოჩენდენ კარგნი მუშაკნი ღვთის ვენახისანი, არ შეიყვარეს კარგად ქრისტიანობა; გარნა ჩვენთა წინაპართა სულით და გულით მიითვისეს და შეიყვარეს ქრისტიანობა. შრისტიანობა, გარდაიქცა, ესრედ ვსოქვათ, სისხლად და ხორცად ჩვენთა მამათა. ვისაც ცოტაოდნად წაუკითხავს და გაუგია ცხოვრება ჩვენთა წინაპართა; იცის რანაირად თავ-გადადებულნი იყვნენ შრისტეს სჯულის დაცვისათვის, რაოდენი მსხვერპლი შესწირეს მათ ამ საქმეს, რაოდენი ტან-ჯვა და აოხრება მოითმინეს მათ. მს მცირე და ერთი მუჭა სუ-სტი ხალხი, გარემოცული მრავალთა ურწმუნოთა ხალხთაგან, დღე და ღამე დაიარაღებული იცავდა თავის სჯულსა უწყალო-თა მტერთაგან. სპარსი, თათარნი, ლეკნი, ჩერქეზნი, ოსნი, განმავლობასა შინა მრავლისა საუკუნისა, მას. ჰელეჯდენ, ჰმუსვრიდენ, აოხრებდენ, სტყვევნიდენ. უნებლივად განცვი-ფრიდება გონება კაცისა, რამ დაიცვა ეს ერთი მუჭა ერი ამო-დენა მტერთაგან! იგინი დაიცვა, ძმანო ჩემნო, სჯულმან ქრი-სტესმან! იგინი დაიფარა მართლ-მადიდებელი ეკკლესიის სიყვა-რულმან, და არა თუ მარტო დაიცვა და დაიფარა სრულიად ამოწყვეტისაგან, არამედ კიდევ გაანათლა და გაადიდა, რაო-დენიც მაშინ შესაძლებელი იყო.. სარწმუნოებითა თვისითა გამხნევებულთა, მათ, არა თუ დაიცვეს თვისი ქვეყანა და ეკკლესიები კხოთა მტერთაგან, არამედ გააჩინეს მწიგნობრო-ბა და მწერლ აბა, გადმოსთარგმნეს საღმრთო შერილი და წერილი წმიდათა მამათა, დააწესეს საკუთარს ენაზედ წირვა, ლოცვა და მწერლობა. მრთი სიტყვით, მრავალთა ქავკასიის ტომთა და ერთა შორის, მხოლოდ ჩვენთა წინაპარ-თა მიიღეს ცოტაოდენი წარმატება და განათლება, და დაიცვეს თვისი ენა და ხალხოსნობა შრისტეს სჯულის შემწეობითა. ამისთანა სიკეთე და ბეღნიერება. მისცა შრისტეს სჯულმა ჩვენთა წინაპართა! ახლა ის გაიხსოვნეთ და იფიქრეთ, რა მოუ-ვიდა, რა დაემართა სხვა მრავალთა ქავკასიის ერთა და ტომთა: ლეკთა, ჩერქეზთა, სვანთა, აფხაზთა და სხვას? იგინი ყოველ-

ნი, რადგანაც არ შეიწყნარეს ქრისტიანობა, დარჩნენ ველურს, დაცემულს მდგომარეობაში. არა თუ განათლება ვითარიმე არ გაჩნდა მათ შორის, არამედ სახელებიცა მათი ძლივს იხსენება, თუმცა, უეჭველია, ზოგიერთი მათგანი ოდესმე უმრავლესნი და უმძლავრესნი იყვნენ ჩვენთა წინაპართა ზედა. ვინც გულ-წრფელად და პირმოუთნეველად შეჰვედავს ამ ისტორიულს მოვლენას, იმას არ შეუძლიან არ სთქვას, რომ ეს არის ერთი უდიდესი ლვთის სასწაული!

ახლა, ვგონებ, თქვენც გაიგეთ, რა მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ცხოვრებაში ქრისტიანულს სჯულს. ვგონებ, თქვენც მიჰევდით, რომ ამ ქვეყანაზედ მხოლოდ იმ ნათესავს, ანუ შთამომავლობას აქვს სახელი და წარმატება, რომლის შორის დანერგილია საღმრთო ვენახი ლვთისა, ესე იგი ქრისტიანობა. ჩვენ წინაპართა რომ ქრისტიანობა არ მიეღოთ და არ შეეკავებინათ, ჩვენც ახლა ვიქმნებოდით უსახელო, ველური და წარმართი, ვითარცა ერთი ძავკასიის აალხი: ოსნი, ჩერქეზნი, ანუ ბჟეზნი.

და აწინდევლი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, მყუდრო, მშვიდობიანი, წარმატებული, დაცული ყოველთა მტერთაგან რისგან არის? შენ მეტყვი, რომ მძლავრი რუსეთის ხელმწიფის მოწყალებისა და მფარველობისაგან. მართალია! მაგრამ, ვგონებ, თქვენ ჯერედ, რადგანაც მცირე წლოვანი ხართ, არ გიფიქრიათ, საიდგან და რისგან მივიღეთ ჩვენ ეს ბედნიერება, რომ დაცული ვართ დღეს რუსეთის ხელმწიფისაგან. მს უკანასკნელი ბედნიერება მოგვანიჭა ჩვენ შრისტეს სჯულმან! რუსეთის ხელმწიფები რისთვის მიიღო ჩვენი ქვეყანა? რათა დაცული იქმნას ამ ქვეყანაში მართლმადიდებელი სჯული. ჩვენთა წინაპართა, მეფეთა, დიდებულთა ამით შეაბრალეს ეს ქვეყანა და თვისი თავი რუსეთის ხელმწიფეს და მიაღებინეს, რომ მართლ-მადიდებელნი იყვნენ, ვითარცა რუსეთის მცხოვრებნიცა.

აპა, რაოდენად დავალებული ვართ ჩვენ შრისტეს სჯულითა. აპა, რაოდენი ძალა და ღონე აქვს საღმრთო სჯულსა ჩვენსა თვით ამ ქვეყნის წარმატებისა, არსებისა და ცხოვრებისათვის! ნუ დაივიწყებთ ამას, საყვარელნო ყრმანო. სხვათა

საგანთა შორის, კლასებში უნდა ისწავლოთ სჯულიცა ოქვენი. ისწავლეთ იგი არა ზეპირად, არამედ სულით და გულით მიითვისეთ იგი. ზახსოვდესთ, რომ რა ზომად კაცი მიითვისებს და შეიყვარებს ამ სჯულს, იმ ზომად იქმნება იგი პატიოსანი, მხნე, წარმატებული ყოველსა კეთილსა საქმესა შინა. თუ ვინ-მემ დაგიწყოს ლაპარაკი, ანუ შეგონება რაიმე ამა სჯულის წინააღმდეგი, იგი შეპრაცხე, ვითარცა ცოფიანი ძალი, რო-მელმან, თუ უკბინა კაცს, მოსწამლავს და მოჰკლავს. ამინ.

ს ი ტ ჟ პ ა ,

თქმული საკათედრო ეკალესიაში 1877 წელსა, ჭირაშე შეიჩაბილთა მოსწავლეთა სევა-და-სევა სასწავლებელ-თაგან.

მკრძალენით ცრუ-წინასწარმეტყველთა-
გან, რომელნი მოვიდოდნენ თქვენდა სა-
მოსლითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან
იყვნენ მგელ-მტაცებელი. ნაყოფთა მათთა-
გან იცნეთ იგინი. (ზაფ. 7, 15—16).

ამ სიტყვებით, ძმანო, შართლ-მადიდებელნო ქრისტიანე-
ნო, შფალი ჩვენი იქსო ძრისტე გვასწავლის ჩვენ, რომ გა-
ვუფრთხილდეთ, მოვერიდოთ ცრუთა წინასწარმეტყველთა,
ესე იგი ცრუთა მოძლვართა, მასწავლებელთა, რომელნი არა
ჭეშმარიტებასა გვასწავლიან, არამედ სიცრუვესა, ლეთისაგან
გამოცხადებულის სჯულის და სიტყვის წინააღმდეგსა სწავ-
ლასა.

ახლა სწორედ მრავლდებიან ესრეთნი ცრუნი წინასწარ-
მეტყველნი ანუ მასწავლებელნი. მს რომ მართალია, სუყვე-
ლამ ვიცით. ზოგიერთთა ჩვენგანთა არა თუ ვიცით, არამედ
სატირლად და საგოდებლად გაგვიჩნდა ესა. ბევრნი მამანი არი-
ან, რომელნი სტირიან ახლა და თავს იკლავენ ჯავრითა, ახ-
ლანდელთა ცრუ-წინასწარმეტყველთა მიზეზით. მაშასადამე,

ჩვენ, სულიერთა მოძღვრთა თქვენთა, მიუკილებელი მოვალეობა გვაქვს, ხშირად გაგაფრთხილოთ თქვენ ამა ცრუ წინასწარმეტყველთაგან, მათ ახლაც ისეთი ნიშნები აქვთ და სახე, როგორიც ჰქონდა ცრუ-წინასწარმეტყველთა, მაშინ, როდესაც იქსო ძრისტე იტყოდა ამა სიტყვებსა: ეკრძალენით ცრუ-წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდნენ თქვენდა სამოსლითა ცხვართათა, ხოლო შინაგან უყვნენ მგელ-მტაცებელ. ნაყოფთა მათთაგან იცნეთ იგინი. ახლანდელი ცრუ-წინასწარმეტყველნიც მოღიან სამოსლითა ცხოვართათა: ისინიცა შეაგონებენ, რომ მათ ჰსურსთ თქვენი წარმატება, სიკეთე და ბედნიერება; ტკბილად გელაბარაკებიან, მაგრამ შინაგან არიან მგელმტაცებელ. იმათ ჰსურსთ, რომ მოგტაცონ შენ ის, რაც არის უძვირფასესი კაცისათვის: მოგტაცონ და წაგართვან შენ ღმერთი და სჯული, ანუ, უმჯობეს არს თქმად, შენი სურა გააშორონ და მოსტაცონ ღმერთსა და სჯულსა, და ჩააბარონ ეშმაკა და ჯოჯოხეთსა. ვინ იცის, იქმნება მართლაც ზოგიერთნი მათგანი დარწმუნებულნი არიან, რომ კეთილსა რასმეს ეძებენ, იქმნება მართლა ზოგიერთა მათგანთა ქვეყნის ბედნიერება ჰსურს, მაგრამ ის ზომა და საშუალება, რომელსაც იგინი აცხადებენ, შეიქმნება დაღუპვა ქვეყნისა, და არა გაბედნიერება: ნაყოფთა მათთაგანს სცანით იგინი, იტყვის მაცხოვარი. ჟეშმარიტად, შეგიძლიათ, ძმანო, თუ დაუკვირდებით, მათთა ნაყოფთაგან იცნათ; ვინ და რანი არიან იგინი, ესე იგი მათის ცხოვრებისაგან და, უმეტეს სიტყვათაგან იცნათ რა კაცნი არიან იგინი. აპა ზოგიერთი მათი ნიშნები: თითქმის ყოველნი ახლანდელნი ცრუ წინასწარმეტყველნი გამოსულნი არიან სას. წავლებელთაგან, რომელნიცა მათ არ შეასრულეს, ანუ ვერ შეასრულეს, ზოგმა სიზარმაცით, ზოგმა ცუდის ყოფა-ქცევისაგამო, მაშასადამე, ისინი ყოველნი არიან ნახევრად, ანუ ზედაპირად სწავლულნი, რომელიც სრულიად უსწავლელზედ უარესია, და თვითონ კი თავის თავს ჰრაცხვენ მეცნიერად, ბრძნად და წინასწარმეტყველად. მათი ამპარტავნება და თავხედობა ეთანასწორება მათს უმეცრებას. გარდა ამისა, უმეტესი მათგანი სრულიად ცუდის ყოფა-ქცევისა. არიან არც ერთს ცოდვას არ ერიდებიან; ბევრნი მათგანი ახლავე, სიყმაწვილეში, ლპე-

ბიან ცუდის სნეულებისაგან. მაგრამ უმჯობესად და უსწორე-
სად თვით მათის სიტყვებისაგან და ლაპარაკისაგან შეიტყობ,
თუ რა ნაყოფს უნდა მოველოდეთ მათგან. სიტყვაც და ლაპა-
რაკიც ხომ ნაყოფია კაჯის სულისა და გულისა, და ამასთანავე
გამოაჩენს, რა საქმე უყვარს კაცს, რა საქმეს შეუდგება იგი.
აბა, რას ლაპარაკობენ იგინი და რას წინასწარმეტყველებენ?
ახლა, ამ მოკლე სიტყვებით ყოველიფერს, რასაც იგინი ჰპოდ-
ვენ, ვერ აგიხსნი, მხოლოდ რაოდენსამე მათსა-ლაპარაკსა, რო-
გორათაც გამიგონია, გეტყვი. ღმერთი, ეკლესია და საღმრთო
სჯული მათ არა სწამს,—ამაზე მრავალ-გზის მითქვამს. მარტო
ეს არის საკმაო, რომ შეიტყოთ, რა ცოფნი და ბრმანი არიან.
ისინი. გისაც ღმერთი და მისი სჯული არა სწამს, იმას რაღა
კეთილი სიტყვა და საქმე შეუძლია ქვეყანაზე. მართლაც, სხვა-
ნიც მათნი აზრნი და სწავლანი არიან ერთობ განსაცვიფრებელ-
ნი და უგუნურნი. მაგალითებრ: უმცროს-უფროსობა აღარ უნ-
და იყოს ქვეყანაზე, არამედ სუყველანი უნდა გასწორდნენ პა-
ტივითაც, ქონებითაც.— თუ კი თვით ღმერთმა, ანუ როგორა-
თაც იგინი იტყვიან, ბუნებამ, კაცი კაცთან არ გაასწორა, არც
ჭკუით, არც გულით, არც გონებით; არამედ თვით დაბადებიდ-
გან და სიყრმიდგან ზოგიერთნი ნიჭიერნი და ლონიერნი გამო-
დიან და ზოგიერთნი სუსტნი და უღონონი ჭკუით და სული-
თაც, ვინ და როგორლა გაასწორებს მათ? შონება და ცხოვ-
რება ყოველი კაცისა როგორ შეიძლება, რომ გასწორდეს?
ზოგიერთი კაცი არის ჭკუიანი და მშრომელი, და, რასაკვირ-
ველია, ბევრს შოულობს; ზოგიერთი არის ზარმაცი და გარ-
ყვნილი, და რაც დედ-მამამ დაუტევა, ისიც დააბნია. ნუ თუ
პირველმა თავის ნაშრომი და ნაოფლარი გაუყოს მეორეს? რა
სამართალი იქნება ესა? ან კი რა გამოვა აქედგან? გამოვა ის,
რომ პირველი წახდება და გაღარიბდება, და მეორეც არ გა-
მდიდრდება. ზარმაცებს, გარყვნილებს, რასაკვირველია, კი ია-
მებათ, რომ ჭკუიანთა და მდიდართა გაუყონ და გაუზიარონ
თვისი ქონება; მაგრამ რა საშუალებით მოვახდინოთ ეს ცვლი-
ლება? აქ, ძმანო, ისინი, ახლანდელი ცრუ წინასწარმეტყველ-
ნი, თურმე, ერთს ისეთს რამე საშუალებას იტყვიან, რომ არ
დაიჯერებ, ზღაპარი გეგონება; არც მე მჯერა, მაგრამ მრავლის

მხრით გამიგონია და კიდეც წამიკითხავს. ისინი, თურმე, ამბობენ, რომ ვინც თანახმა არ გახდება ამ ჩვენის პლანისა და დაწყობილობისაო, იმათ უნდა სისხლი გამოუშვათ, ამოვწყვიტოთ, და მასუკან კაცობრივი ნათესავი გაბედნიერდებაო.

მაგრამ გვეყოფა, რაც აქამდის ვსთქვით. მე მცხვენია ამ საღმრთო ადგილისაგან, რომ ესრეთი გადარეული და ცოფიანი აზრები მოვიყვანე თქვენს წინაშე, გარნა საჭიროებამ მაიძულა. როგორც წარსულს კვირას მოგახსენე, ცუდი და მძიმე დროება არის ახლა, ძმანო ჩემნო. მეშინის რომ ვინმე თქვენგანი არ წარიტაცონ იმა ცრუთა წინასწარმეტყველთა. შემოტესად გაუფრთხილდით თქვენთა ძეთა და ასულთა. ისრეთი ურცხვენელნი არიან ის წანასწარმეტყველნი, რომ არავის ზოგვენ, არამედ ჰრისტიანთა თვით მცირე-წლოვანთა ყრმათა.

ეკრძალენით ცრუ-წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდენ თქვენდა სამოსლითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ-მტაცებელ. ნაყოფთა მათთაგან იცნეთ იგინი. ამინ.

ს ი ტ ჟ პ . ა ,

თამაში ქუთაისის საპაროგილები, ეპკლესიის კურთხევასა ზედა, 1871 წელსა იანვრის 3-სა.

საპარობილება შინა ვიყავ, და მოხვედით ჩემდა. (მათე 25, 36).

შფალი ჩვენი იესო მრისტე, სხვათა შორის კეთილთა მოქმედებათა, ამასაც მოითხოვს ჩვენ ქრისტიანეთაგან, რომ არ დავივიწყოთ, არამედ მივხედოთ მათ, რომელნი თვისმა უბედურებამ შთაგდო საპარობილება შინა. აღმასრულებელნი ესრეთისა მცნებისა, ჩვენ, შემწეობითა მრავალთა კეთილ-მსახურთა ქრისტიანეთა, ავაშენეთ და მოვაწყეთ ეკკლესია ესე, და დღეს, ლვთის მაღლით, იგი იქმნა განახლებულ და კურ-

თქველ. დიდითა სიხარულითა და მაღლობითა უნდა მიიღოთ თქვენ, ძმანო და ქრისტიანენო, აქა დაპყრობილნო, ესრეთი მოწყალება ლოცისა და საზოგადოებისა! თუ ეკკლესია ვისმე-სთვის ქვეყანაზე არის საჭირო და სასარგებლო, თქვენთვის ასწილ უმეტესად.

თქვენ ყოველნი შეპყრობილნი ხართ აქა უთუოდ ცუდი-სა საქმისათვის, და მით უმეტესად საჭირო არის თქვენთვის ქველესია, ლოცვა, სინანული, ვედრება ლოცისა. თქვენც ქრი-სტიანენი ხართ, მონათლულნი ხართ! დმერთმან ნუ ჰქმნას, რომ თქვენ შორის ვინმე იყოს უღმრთო, სჯულზე ხელ-აღებული-რაც გინდა ცოდვილი იყოს კაცი, ყოველთვის გაღებული არის მისთვის კარი ეკლესისა. შმიდა ეკლესია არის დედა ჩვენი, რომელმან გვშვა ჩვენ ემბაზისაგან. დედა არ დაივიწყებს თავის შვილსა, როგორიც უნდა იყოს მისი შვილი. თქვენგანაც მოე-ლის იგი სინანულსა, მოქცევასა. დედას უფრო ებრალება თვი-სი შვილი, უბედურებაში ჩავარდნილი. შვეყანამ რომ უარ გყოს, საკუთარმა დედამ რომ აღარ მიგიღოს და შერცხვეს შე-ნი, წმიდა ეკკლესია არ დაგივიწყებს შენ და არ გაგაგდებს, არამედ ყოველთვის ელის, რომ მიიქცე მისდამი და მიიღო მის-გან სულიერი განახლება. და განწმენდა.

ამისთვის მაღლობას უნდა შესწირვიდეთ დმერთსა და მთავ-რობასა და მთელს საზოგადოებასა. დმერთსა მისთვის, რომელ, თუმცა მრავალგზის და მრავალ-ფერად შეგიწუხებიათ იგი ცუ-დითა თქვენითა ყოფა-ქცევითა, ხშირათ შეურაცხ-ჰყოფთ მაღ-ლისა მისსა, არცხვენთ სახელსა მისსა, რომელი მოგცა და გეწო-და თქვენ. მაგრამ მან მაინც არ გაგაგდო თქვენ, მაინც ელის, რომ მიჰბრუნდებით მისკენ. შეპხედე, რა მოწყალებებით იტ-ყვის შფალი იესო მრისტე: საპყრობილესა შინა ვიყავ, და მომ-ხედეთ მე, ესე იგი: ვინც საპყრობილეში მყოფს მიჰხედა და შეეწია, იგი მე შემეწევა და მომხედავსო, მე ვიყავი საპყრობი-ლეში, მე შემეწიე შენაო. მთავრობას და საზოგადოებას მის-თვის უნდა ჰმადლობდე, რომელ, თუმცა თქვენ მთავრობისაც, საზოგადოებისაც და მთელი ქვეყნის შემაწუხებელი იყავით, თუმცა მრავალი ჭირი და უბედურება მიაყენეთ მრავალთა კა-ცთა, გარნა მაინც ებრალებით მათ. მართლა, ფრიად საბრა-

ლონი და საცოდავნი ხართ, და არა მხოლოდ მით, რომელ
აქ შეპყრობილნი ხართ, დატყვევებულნი,—ეგ კიდევ დიდი
არაფერი იქნებოდა,—არამედ ფრიად საცოდავნი და სატირა-
ლნი ხართ თქვენ მით, რომ ცოდვისაგან ხართ შეპყრობილნი,
ცოდვის ტყვენი ხართ, ცოდვისაგან წარტაცებულნი და შეკ-
რულნი. ამისთვის ებრალებით თქვენ ღმერთსა და კეთილ-
გონიერსა კაცა. ცოდვა არის პირველი თქვენი მტერი და და-
მატყვევებელი, ცოდვამ შემოგაგდო. თქვენ აქ და მოგაკლო
თქვენ პირველი სიკეთე კაცისა—თავისუფლება. დამიჯერეთ,
ძმანო ჩემნო, როდესაც ცოდვას გააგდებ გულისაგან, თუ ოდე-
სმე ცოდვისაგან დაგიხსნა ღმერთმან, მაშინ ამ საპყრობილე-
დგანაც გამოხვალ. ამისთვისაც მოგვცა დღეს ღმერთმან ეს
მოწყალება, რომ ელირსეთ საყდარსა, ამისთვისაც ეცადა მთა-
ვრობა და საზოგადოება აშენებას საყდრისა ამის, დაყენებას
მღვდელისას, წირვა და ლოცვის აღსრულებას, რომელ, იქმ-
ნება, ვინმემ თქვენგანმა ბოლოს იცნას რისგან წარმოსდგება
მისი უბედურება, იცნას ჭეშმარიტება, მოვიდეს სინანულში,
და მით დაიხსნას თავი თვისი სულიერისა ტყვეობისაგან, რათა
მიენიჭოს მას ხორციელიცა თავისუფლება.

მაგრამ ეს შესაძლებია, ძმანო ჩემნო, მხოლოდ მაშინ,
როდესაც თქვენ ეცდებით და კარგად, გონიერად ისარგებ-
ლებთ ამ ეკლესითა. როგორც უწინ ვსთქვი, არავისთვის არ
არის ისრე საჭირო და სასარგებლო ეკლესია, როგორც თქვე-
ნთვის. თქვენი მდგომარეობა სხვა არის და მძიმე. ძმანო ჩემ-
ნო. ვინც კი სოფელში თავისუფლად სცხოვრებს და არაფე-
რი უჭირს, იმასაც კი ჰმართებს, რომ თავის თავზე და თავის
მდგომარეობაზე ჰჭიქრობდეს, და ღმერთს ევედროს, რომ გა-
აუმჯობესოს მისი მდგომარეობა; მით უმეტესად გმართებსთ
თქვენ, რომ თქვენ თავზე იფიქროთ. როდესაც შემოგიყვანონ
ამ ეკლესიაში, ძმაო ჩემო, დაპფიქრდი შენ გულში, ჰკითხე
შენს თავს: რისთვის დაგემართა შენ ეს უბედურება, ესე იგი
საპყრობილეში შესვლა? ნუ ეფერები შენს თავს, ნულარ დაპ-
მალავ შენს გულში შენს ბრალს, მოინანე შენი ცოდვა, ევე-
დრე ღმერთსა, რომ გამოგიყვანოს სულიერისა ტყვეობისაგან,
და მით განთავისუფლდე ხორციელისა ტყვეობისაგანაც. ვისაც

ჭკუა სრულიად არ დაუკარგავს, ვინც სრულიად არ გამოსულა სირცხვილისაგან, ვისაც აჩნია კიდევ ცოტაოდენი აღამიანობა და კაცის სინიდისი, მას შეუძლია ისარგებლოს თვისი უბედურებით, თვისი უბედურება გარდააქციოს ბედნიერებად: ამ საპყრობილესაგან გამოვიდეს განათლებული და განთავისუფლებული.

დმერთო, მოწყალეო, მაცხოვარო ჩვენო! მოჰედე საწყალთა ამათ და დაჩაგრულთა ცოდვისაგან და ეშმაკისაგან. განუღე მათ კარი სინანულისა და მოქცევისა. განაახლე ზოგიერთი მათგანი, რომელთაც ისურვონ, მიეც მათ ლმობიერება გულისა, და შემუსვრილება სულისა. მრავალი და დიდი შეუძლია. შენსა მოწყალებასა! როგორათაც დღეს საკურთხეველსა ამას ზედა აღნთებულ იქმნა შენს წინაშე სანთელი, ეგრეთვე აღანთე მათ გულში ნათელი შენისა მეცნიერებისა. ამინ.

ს ი ტ ა ვ ა,

თქმული 1880 წ. ქუთაისის საპყრობილესა შინა.

შოველივე სწავლა (სასჯელი) მეყვეულად არა არს სიხარულ, არამედ მწუხარება; ზოლო უკანსკნელ ნაყოფი მშვიდობისა მის მიერ წურთოლთა მათ მოაგის სიმართლე. (ზგრ. 12, 11).

შმიდა მოციქული პავლე ამ სიტყვებით გვასწავლის ჩვენ, რომ, თუ კაცი ჩავარდა რომელიმე სწავლაში, ანუ სასჯელში, უბედურებაში, იგი სწუხს, მაგრამ შემდეგ, თუ განიწრონა, ანუ გამოიცადა, ჭკუა იხმარა, ის სასჯელი მისთვის სასარგებლო შეიქმნება; ნაყოფსა მშვიდობისასა გამოილებს და სიმართლეს მოიგებს.. შბრალო და კეთილი ყოფა-ქცევის კაციც რომ იყოს სასჯელში ჩავარდნილი, იგიც გამოიცდება, თუ

ჭკუიანად მოიქცა, და უმჯობესი შეიქმნება. მით უმეტესად, თუ დამნაშავე და ბოროტის მოქმედის კაცი დაისაჯა და სწუხს, მაგრამ ჭკუა იხმარა, მოითმინა, შეინანა, სასარგებლოდ გამოიყენებს თავისთვის სასჯელს, და გამართლდება სულიერად.

თქვენ ყოველნი, ძმანო ქრისტიანენო, ამ საპყრობილესა შინა დაჭერილნი, სასჯელში ხარო, მწუხარე ხართ, მაგრამ, თუ ჭკუას იხმართ, თუ ეცდებით, შეიძლება, რომ ეს თქვენი სასჯელი შემდეგ სასარგებლოდ დარჩეს თქვენთვის, ნაყოფი სიმართლისა მოგაგოსთ: ესე იგი გაპმართლდეთ სულიერად ღვთის წინაშე, მოგიტეოსთ ღმერთმან ცოდვანი თქვენნი. რა უნდა ჰქნათ თქვენ და როგორ უნდა მოიქცეთ, რომ აწინდელმა თქვენმა მწუხარებამ და სასჯელმა გაგამართლოსთ ღვთის წინაშე და სიხარულად გარდაიქცეს? ამაზედ ვსთქვათ ორი-ოდე სიტყვა.

იქნება თქვენ შორის ერთი, ანუ ორი ვინმე პირი შეც-თომით არის შთაგდებული ამ საპყრობილეში, ესე იგი უმარ-თლოდ აიღეს მასზედ ეჭვი, დანაშაული არ არის. ამისთანა პირმა მოთმინებით უნდა მიიღოს ეს შემთხვევა, სასოება არ დაჰკარგოს ღმერთზედ, კიდეც უნდა ჰმადლობდეს ღმერთს. პი რას იტყვის წმიდა მოციქული პავლე: რომელი უყვარს უფა-ლსა, ჸსწავლის და სტანჯის, ყოველი შვილი, რომელი შეიწყნარის. უკეთუ სწავლასა დაუთმოთ, ვითარცა შვილთა, შეგიწყნარებს თქვენ ღმერთი (ებრ. 12, 6–7). ღმერთი განგებ მიუშვებს სწავლასა, ანუ სასჯელსა ზოგიერთ კაცზე, რომ უმჯობესი შეიქმნა, გა-მოიცადოს. სასჯელი, ტანჯვა ხანდისხან მოასწავებს ღვთის მოწყალებას და სიყვარულს, და არა რისხვას და სიძულვილს. ვინც სულგრძელად და ჭკუით მოითმენს სასჯელს, იგი ღვთის შვილად შეირაცხება.

მაგრამ საპყრობილეში უბრალონი და არა-დამნაშავენი თითქმის არაოდეს არ შთაცვივდებიან, არამედ ყოველთვის ბრა-ლეულნი და დამნაშავენი. ზარნა იმათაც კი შეუძლიან და კი-დეც უფრო მომეტებულად უნდა ეცადონ ალსრულება ზემო-მოყვანილი წმიდა მოციქული პავლეს დარიგებისა. რა სახით? მით, რომ შეინანონ, შეიკვდიმონ თვისი ცუდი ყოფა-ქცევა.

დაფიქრდით, ძმანო, რამ შემოგიყვანათ ამ საპყრობილები? რამ მოგაყენათ ამისთანა სირცხვილი, უბედურება? ნუ ატყუებ შენს სინიდისს! ზანა ღმერთმა არ იცის შენი გული, და არ იცის რა გიქნია? სასამართლოში რომ წაგაყენებენ წინაშე მსაჯულთა, შენც და შენი ადვოკატიც სცდილობთ როგორმე გაათეთროთ შენი თავი, და კიდეც ხშირათ აღასრულებთ ამ სურვილს, რაც გინდა დანაშაულობა გქონდეს. მაგრამ ღვთის წინაშე ამისთანა ღონის ძიება არ შეგეწევა; ღვთის წინაშე შენს გულში ყოველთვის ესრედ უნდა იტყოდე: უცოდვილეს ვარ ყოველთა კაცთა! შენ უწყი ყოველნი ჩემნი საქმენი და გულის თქმანი, შემინდე, შემეწიე! შემეწიე, რომ ამიერიდგან მაინც მოვიშალო ცუდი ყოფა-ქცევა, მომეც სინანული. შენ მხოლოსა შეგცოდე, შფალო, შენ მხოლო განგარისხე. თუ ასე ილოცავ, ძმაო, თუ გულრწფელად აღიარებ წინაშე ღვთისა შენთა ცოდვათა, აღთქმას მისცემ, რომ ამიერიდგან უარ-ჰყო ეშმაკი და ყოველნი მისნი საქმენი, ამით შენ არცხვენ ეშმაკას სასჯელსა ამას გარდააქცევ ჯილდოდ, მწუხარებას—სიხარულად, ერთი სიტყვით მოიგებ ნაყოფსა კეთილსა—განმართლებასა და ცხონებასა, რომელიც მოგცეს თქვენ ყოველთა ღმერთმან. ამინ.

მ თ ა დ ვ რ ე ბ ა

თქმული ჯუთაისის საკათედრო ეპისტოლაში,
აურდობისათვის

განმარტება სამოციქულოისა (მფეს. 4, 28).

ძმანო, მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო! მრთს წარსულს კვირიაკეს ვიწყეთ ჩვენ განმარტება ერთისა ფრიად საჭიროისა და სასარგებლოისა სამოციქულოისა, რომელი იპყრობს თვის შორის სწავლასა და დარიგებასა, ყოველ დღეს და ყოველ წამს სახმარსა ჩვენთვის. გავაგრძელოთ ახლა განმარტება დანარჩენთა მუხლთა.

ჩვენ გავჩერდით მაშინ ოცდა მერვესა მუხლსა ზედა, რომელი არის შემდგომი: მპარაჭი იგი ნულარა იპარავნ, არამედ უფროსლა ჰშვრებოდენ, და იქმოდენ კეთილსა თვისითა ხელითა, რათა აქვნდეს მიცემად, ვის იგი უხმდეს (მფეს. 4, 28).

იქნება ვინმემ თქვენგანმა ითიქროს, ძმანო ჩემნო, რომ ამ მუხლის განმარტება არც არის საჭირო, არც შესაფერი, რადგანაც აქ მოციქული იტყვის მპარაობასა, ანუ ქურდობასა ზედა, რომელიც არის ერთი სასირცხო და სათაკილო ცოდვა, და, მაშასადამე, ლაპარაკიც მას ზედა იქმნება სათაკილო და შემარცხევნელი. მე მართალია, ძმანო ჩემნო! პირ-და-პირ მპარაობასა ზედა არც საჭირო არის აქ ლაპარაკი და უადგილოც იქნება, ვინაიდგან დარწმუნებული ვარ—არც ერთსა ჩემთა მსმენელთაგანსა, აქა მდგომარეოა, ეს ლაპარაკი არ შეეხება. გარნა სიტყვა და მცნება ლვთისა ჩვენ არ უნდა გვესმოდეს მოკლედ, ვიწროდ; ყოველსა ლვთის სიტყვასა და მცნებასა აქვს ფართო მაღალი, ღრმა და ურცელი აზრი და მნიშვნელობა. ფართო არს მცნება შეხი ფრიად უფალო! იტყვის მეფე და წინასწარშეტყვე-

ლი დავით. ამისთვის ნუ გაგიკვირდება, ძმაო ჩემო, რომელ, თუმცა არცა ერთი ჩვენ, აქა მდგომარეთაგანი, არარის, — და ღმერთმან ნუ ჰქმნას, რომ იყოს, — პირ-და-პირ ქვემდებარე ცოდვისა ამის, გარნა, როდესაც კარგად, ფართოდ ავხენით რაი არს მპარაობა, მაშინ ვაი თუ ერთიცა ჩვენგანი რომლითამე სახითა არ დარჩეს უბრალო ამ ცოდვაში. რაი არს მპარაობა, ანუ ქურდობა? მპარაობა, ანუ ქურდობა მარტო ის ნუ გვინია, ძმაო ჩემო, როდესაც კაცი, ანუ მალვით, ანუ ძალადობით, პირ-და-პირ წართმევს მოყვასსა თვისსა რომელსამე ნივთსა. მპარაობა არის ყოველი ისეთი მოქმედება, როდესაც შენ სიტყვით, ან საქმით რომელიმე ზარალი, ანუ დაბრკოლება მიეცი მოყვასსა შენსა, ანუ თუმცა პირ-და-პირ ზარალი არ მიგიცია, მაგრამ არც გიჩვენებია სიყვარული და შემწეობა. მოგიყვანოთ რომელიმე კერძოობითნი მაგალითნი ამის ასახსნელად.

ვგონებ, რომ მპარავი იქმნება ის კაციც, რომელმან არ აღასრულა სიტყვა და პირობა, რომლითა იგი შეიკრა წინაშე მოყვასისა თვისსა, და მით ზარალი მისცა მას. ზარნა რავდენ გზის, რაოდენ ნაირად მოუხდეს თითქმის ყოველ კაცს ესრეთი შემთხვევა. შექველია, რომ პირობის დარღვევითა უდიდესი და უმთავრესი ზარალი ემართება კაცთა, საზოგადოდ რომ ვსოქვათ, ვიდრე პირ-და-პირ ქურდობითა: პირ-და-პირ ქურდობისაგან კაცი თავს დაითარავს როგორმე, პირობის დამრღვეველსაც და ცრუ კაცისაგან — ვერაოდეს ვერა. მაშასადამე, პირობის დარღვევა არა უმცირესი ცოდვა არის, ვიდრელა მპარაობა. მაშასადამე, თუ გსურს, ძმაო ჩემო, არ იყო მოზიარე მპარაობისა, ეცადე, რომ ანუ არ მიიღო ის პირობა, რომელიც შენ არ შეგიძლია აღასრულო, და რომელიც პირობა მიიღო შენ თავზე, ეცადე, რომ კიდეც აღასრულო.

შექველია, რომ მპარავის მსგავსი შეიქმნება ის ხელმწიფის მოსამსახურე, ანუ ჩინოვნიკი, რომელიც დაუდევნელად, და არა ერთგულად აღასრულებს თანამდებობასა თვისსა; ჯამაგირი და ჯილდო, რომელსაც იგი იღებს ხელმწიფისაგან, მოპარული აქვს ესრეთსა ჩინოვნიკსა; ვაჭარი, რომელი იღებს უზომო ფასს თავის საქონელში, ანუ, ნაცვლად კარგის საქო-

ნლისა, აძლევს ცუდს საქონელს, და ფასს სრულს იღებს, ვგონებ, პირ-და-პირ უნდა შეირაცხოს მპარავთა შორის. მპარავი არის შინაური მოსამსახურეც, რომელიც მიიღებს სასყიდელსა და არა ერთგულად ემსახურება უფალსა თვისსა. ერთი სიტყვით, როგორათაც უწინ ვსქვით, ათას ნაირად და ათას შემთხვევაში იქნება კაცი მოზიარე ამის ცოდვისა. ისიც უნდა დაუმატოთ, რომ, ვინ იცის, იქნება წინაშე თვალთა მართლ-მსაჯულისა და თისა პირ-და-პირი ქურდი არ არის იმ ზომად ცოდვილი, ვითარცა ესრეთნი—ფარულად და მზაკვარებით აღმასრულებელნი მპარაობისა. ბარიზრახე, ძმაო და მიიღე ყურადღებაში, რომელ პირ-და-პირთა ქურდთა რა სახელი აქვსთ რა სახით მოძაგებული არიან, რა შიში აქვსთ და სირცხვილში არიან,—ეს ყოველი ვგონებ, კიდეც ექმარება მათ სასჯელად. ხოლო ფარულნი ქურდნი უარეს ზარალს მისცემენ მოყვასთა, რაღაც არავის არ მიაჩნია იგინი ქურდად, კიდეც ხშირად არიან პატივცემულნი და ამპარტავანნი ამ ქვეყანაზე მოყვასთა შორის. ბარნა, ძმაო ჩემო, დმერთი ისე არ უყურებს ჩვენს მოქმედებას, ვითარცა კაცის მოკლე ჭკუა, ამისთვის გეშინოდეს და ეცადე, რომ ყოველი მოქმედება შენი იყოს პატიოსანი, უზაკველი და უვნებელი მოყვასთა შენთათვის.

ბოლოს, ერთი კიდევ დაუმატოთ. ვნება და ზარალი, რომელსა ერთი მეორეს მისცემენ კაცნი, იქნება ხორციელი და სულიერიც; უკანასკნელი უფრო დიდი და საძაგელი ცოდვა არის, ვიდრე პირველი. თუ შენ, ძმაო, სიტყვით ანუ მაგალითით აცთუნე ვინმე მოყვასთაგანი, ესე იგი ცოდვა ასწავლე, ცუდ საქმეში შეიყვანე, გარყვნილებას მიაჩვივ, ეს ას-წილ უმწარესი ცოდვა არის, ვიდრე ნივთიერი ზარალი, რომელსაც ქურდი მისცემს კაცს; ამისთანა მოქმედება საუკუნოდ წასწყმებს კაცის სულს, საუკუნოდ ზარალში ჩაგდებს. ამისთვისაც საღმრთო წერილი იტყვის: უმჯობესი არის კაცმა მოიკიდოს კისერზე ლოდი და ჩაგდოს ზღვაში თავი თვისი, ვიდრენა აცთუნოს ერთი ამათ მცირეთაგანი.

სრედ ვრცლად, ფართოდ უნდა გვესმოდეს ჩვენ, ძმანო ჩემნო, მცნებანი და თისაც ბრუნდე სინიდისი აქვს, დაბნელებული ჭკუა, არ ესმის ძალი და თისაც სიტყვისა, იგი ხშირად

იტყვის: მადლობა ლმერთს, მე ხომ ქურდი არა ვარო! მე ხომ კაცის მკვლელი არა ვარო! — მაშინ, როდესაც მრავალ-გზის შეი-ქმნება მოზიარე ორთავე ამათ ცოდვათა. პრა ესრეთ იქცევა გონიერი ქრისტიანე! იგი არის ფრთხილი და ცდილობს, რომ არცა პირდაპირ, არცა რომლითამე მიფარულითა სახითა არ დაარღვიოს მცნება ლვთისა, არამედ ყოვლის კერძოდ იყოს ლვთის წინაშე უბრალო.

მოციქული პავლე, ვითარცა კეთილსა წამალსა, მპარაობისა ანუ ქურდობისაგან მკურნებელსა, უჩემენებს შრომასა: მპარავი იგი ნულარა იპარავნ, არამედ უფროხლა ჰშვრებოდენ, და იქმოდენ კეთილსა თვისითა ხელითა, რათა აქვნდეს მიცემად, ვის იგი. უხმდეს. მართლა, დაუცხრომელი შრომა არის უმჯობესი საშვალება მისი, რომ კაცს მოეძაგოს ყოველ-ნაირი მპარაობა, პირველად მისთვის, რომ მშრომელსა კაცსა არა აქვს თავისუფალი დრო, რომ აღასრულოს ცოდვა მპარაობისა, მეორედ მისთვის, რომ მშრომელსა კაცსა ის უხარის და იამება, რასაც შეიძენს შრომითა თვისითა; გარნა უმსჯობესი ყოვლისა ის არის; რომ შრომა მიაჩვევს მოყვარესა მისსა რიგსა, წესიერებასა, კრძალვასა, ბეჯითობასა. შრომის მოყვარე კაცს ჭიუა და გონება აქვს შეკრებილი თავის შრომაზე, მას, ვითარცა მაგარსა ციხესა, ყოვლის მხრით შეზღუდულსა და დაიარაღებულსა, განსაცდელი ვერ სძლევს, მაცოური ვერ წარიტაცებს, — რომელიც და მოგვცეს ჩვენ ყოველთა ქრისტე ლმერთმან ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა,

თქმული 29 აგვისტოს 1875 წელსა ქუთაისის საპყრობილოსა შენა.

გამოიყვანე საპყრობილით სული ჩემი, რათა აღუარო სახელსა შენსა.
(ჭალ.)

წმიდა წინასწარმეტყველი და მეფე დავით, სხვათა შორის ლოცვათა, ერთხელ ესრეთ ევედრებოდა ღმერთსა: გამოიყვანე საპყრობილით სული ჩემი, რათა აღუარო სახელსა შენსა. რისთვის ევედრებოდა ესრედ იგი ღმერთსა? ბანა იგი როდისმე იყო დაჭერილი საპყრობილები? არა. იგი იყო მეფე, მჯდომარე ტახტსა ზედა, და არაოდეს არ ყოფილა ჩაგდებული საპყრობილები. სჩანს, იგი იტყოდა არა ხილული, გარეგანი საპყრობილისათვის. სულიერი საპყრობილე ის არის, როდესაც კაცი არის შეკრული, ანუ შეპყრობილი რომლითამე დიდითა ცოდვითა, ასე, რომ სული მისი დამონებულია ცოდვისა, თავისუფლება აღარა აქვს. ამისთანა მდგომარეობაში იყო ერთხელ დავით მეფე. თუმცა იგი იყო წმიდა და წინასწარმეტყველი, მაგრამ მაინც კაცი იყო და კაცის ბუნება ჰქონდა, და ერთხელ საშინელს ცოდვაში ჩავარდა: უბრალო, კარგი კაცი მოაკვლევინა და მისი ცოლი თვითონ წაიყვანა. ამით იგი ჩავარდა საშინელს მდგომარეობაში. სული წმიდა განშორდა მისგან, სული და გული გაუქვავდა. მონანებაც ვერ მოახერხა და ვერ შეიძლო. ბარნა ღმერთმან განაღვიდა იგი თვისითა მრისხანებითა, ანგელოზი ღვთისა ცხადად ეჩვენა მას ცეცხლის მახვილითა და დაიწყო შემუსრვა და მოწყვეტა ერისა. ამისა მერმედ დავით მოვიდა გრძნობაში, შეინანა, იწყო ტირილი და გლოვა და სხვათა შორის სიტყვათა, ესეც წარმოსთქვა: გამოიყვანე საპყრობილით სული ჩემი, რათა აღუარო სახელსა შენსა,

ესე იგი განაშორე ჩემგან ეს ცოდვა, რომელმან დამამწუკვდია
მე, ვითარტა საპყრობილესა შინა, რათა ვილოცო, შევინანო,
რათა აღუარო სახელსა შენსა.

თქვენცა აბრალონო და საწყალნო, საპყრობილესა ამას
შინა მყოფნო. ხშირად უნდა განიმეორებდეთ ლოცვასა ამას
დავით წინასწარმეტყველისასა: გამოიყვანე საპყრობილით სული
ჩემი, რათა აღუარო სახელსა შენსა. ხშირად ევედრეთ ღმერთსა
გამოიყვანოს სული თქვენი საპყრობილედგან ცოდვათასა,
ესე იგი არა ამა ხილულ საპყრობილიდგან გამოიყვანოს სული
თქვენი, ესე იგი ამ სახლიდგან, არამედ ულიიერი საპყრობი-
ლიდგან, ესე იგი ცოდვისაგან, რომელმან შეგკრა თქვენ და
შემოგიყვანა ამ ხილულ საპყრობილეში. მართლა დიდი მწუ-
ხარება და უბედურება არის ამ საპყრობილეში ყოფნა. ვინ
არ ისურვებს აქედგან გამოსვლას და განთავისუფლებას? მაგ-
რამ დიდი სარგებლობა არ ექნება მით, თუ მარტო აქედგან
განთავისუფლდა კაცი, და სულიერ საპყრობილეში მაინც კი
დარჩა. რამდენჯერ მომხდარა, და იქნება თქვენც გამოგიცდი-
ათ, რომელ აქედგან განათავისუფლეს კაცი, გარნა მცირე ხანს
უკან აქვე შემოგიყვანა და დაამწყვდია მისმა ცოდვამ. პირვე-
ლად სულიერი საპყრობილისაგან უნდა გამოვიდეს კაცი: გა-
მოიყვანე საპყრობილით სული ჩემი, და ხორციელი, ხილული
საპყრობილისაგან მალე განთავისუფლდება. რით უნდა გამო-
ვიდეს კაცი სულიერისა საპყრობილისაგან, ესე იგი ცოდვისა-
გან? სინანულით, გულისა და სულის შეწუხებით; დავით მე-
ფემ გვაჩვენა ამის მაგალითი. როდესაც ღმერთმა შეატყობინა
მისი ცოდვა, იგი შესწუხდა, გაიხადა სამეუფო ტანისამოსი და
ძაბა შეიმოსა, მიწაზე დაჯდა, იწყო გლოვა და ტირილი: მიწ-
ყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, აღხოცე უსჯუ-
ლოება ჩემი, გული წმიდა დაპხადე ჩემთანა და სული წრფელი
განმიახლე გვამსა ჩემსა; აღმოიყვანე საპყრობილით სული ჩემა;
ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან. მსრედ ჰემობდა იგი ცრემ-
ლით და გოდებით ღვთისადმი, და ღმერთმან ისმინა მისი და
აღხოცა მისი ცოდვა და აღიყვანა პირველსავე ხარისხსა მისსა:

თქვენ უმფრო გმართებსთ, ძმანო ჩემნო, ტირილი და გო-
დება, სინანული და გულის წუხილი. არა ერთხელ განარის-

ხეთ თქვენ დმერთი, ვითარცა დავით, არამედ მრავალგზის. ცხოვლად წარმოიდგინე თვითონეულმა, რაოდენ გზის და რაოდენი ცოდვითა დაშავა თვისი სულიერი ღირსება, გააგდო თვისგან მაღლი დვთისა, განარისხა დმერთი. თქვენც ცხადად შეგატყობინა დმერთმა თქვენი ცოდვა, თვისი რისხვა. რით? მით, რომ აქ, ამ სამწუხარო ადგილს ჩაგაგდო, — ეს დვთის განგებით იყო! შოველივე დვთისაგან დაემართება კაცსა, გარნა ცოდვილსა.

თუ ცრემლი არა გაქვს, თუ გული გაგრილებული გაქვს, აი რა ღონე იხმარე. წარმოიდგინე როგორ იტანჯები შენ აქა, რა სახით გსურს აქედგან გასვლა, შენ სახლში, შენ სოფელში მისვლა. იქაური ჰაერი, თავისუფლება, მოძრაობა, საღაც გინდა მისვლა-მოსვლა... ვინ შემოგიყვანა აქ? ცოდვამ! მაშასადამე, მოიძულე ის ცოდვა, ის შენი დამღუპველი მტერი! თუ კი აქ, ამ მცირე დროს ასე იტანჯები, წარმოიდგინე, რომ ცოდვა თუ არ შეინანე, იგი შთაგაგდებს შენ უსაშინელეს საუკუნო საპყრობილესა შინა, ჯოჯოხეთში, საიდგანაც ვერაოდეს ველარ გამოგიყვანს.

თუ კარგად დაჭიქრდები, თუ მოინდომებ მთელითა სულითა და გულითა, — დმერთი მოგხედავს, მისი მაღლი მენს გულს დაალბობს, ცრემლს მოგცემს, გამოიყვანს სულსა შენსა საპყრობილიდგან ცოდვათასა და მაშინ მხოლოდ იქნები თავისუფალი ამა ხილული საპყრობილიდგან. ამინ:

ს ი ტ ჟ ვ ა,

თქმული პუთაისის საკათედრო ეპლესიასა შინა მესა-
მე მცნებაზედ.

არა მოილო სახელი შფლისა შე-
ნისა ამაռსა ზედა.

ვინც დაუკვირდება ცხოვრებასა და ზნეობასა აწინდელთა
ქრისტიანეთასა, ის დაინახავს, რომელ, თუმცა, ლვთის მადლით
და შეწევნით, არა მცირედნი მათ შორის არიან დიახ ლვთის
მოყვარენი, და ცდილობენ აღსრულებას მცნებათა ლვთისათა,
გარნა უმრავლესნი მათგანნი ერიდებიან მხოლოდ დიდ-დიდთა
სულის მომაკვდინებელთა ცოდვათა, ხოლო, სამწუხაროდ,
სრულიად არ ერიდებიან ისრეთთა ცოდვათა, რომელნი მათ,
შეცდომით, მიაჩნიათ მცირე ცოდვად. მაგალითებრ, ურიცხვი
არიან აწინდელთა ქრისტიანეთა შორის, რომელნი არა თუ
ყოველ დღეს, არამედ თითქმის ყოველ წამს არღვევენ ზემო
მოყვანილსა მესამესა მცნებასა ლვთისასა, მისთვის, რომ დარ-
ღვევა მისი არ მიაჩნიათ დიდ რამე ცოდვად. ამისთვის ფრიად
საჭირო არის, ძმანო ჩემნო, ქრისტიანენო, რომ სულიერნი
მოძლვარნი ხშირად მიაქცევდნენ ყურადღებასა თქვენსა ამ სა-
განზედ. და შეგაგონებდნენ არა დარღვევად მესამისა მცნები-
სა. მართლაც, რომ ამაოდ ხსენება ლვთის სახელისა, წვრილი,
ანუ მცირე რაიმე ცოდვა იყოს, მაშინაც საშიშო არის და-
ფრიად მავნებელი ხშირად დარღვევა მესამისა მცნებისა. მცი-
რედი ცოდვაც, ხშირად განმეორებული და აღსრულებული, გარ-
დაიქცევა მძიმე ცოდვად და დაღუბავს წმინდასა. ზნეობასა კაცისა-
სა. მაგრამ დარღვევა მესამისა მცნებისა არ არის მცირე ცოდვა.
ამაოდ ხსენება ლვთის სახელისა თუ მცირე ცოდვა
იყოს, იგი არ იქნებოდა საკუთრად მოხსენებული ათთა
შინა მცნებათა რომელნი გამოვიდნენ თვით პირისაგან ლვთი-

სა და არიან ბოძნი და საძირკველნი წმიდისა და სათნო ცხოვრებისა, და; მერმე თავიდგანვე—მესამე ადგილზე: არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა.

რაი არს ამაოდ მოღება ღვთის სახელისა? ვინ და როდის მოიღებს სახელსა ღვთისასა ამაოდ? ამაოდ ღვთის სახელისა ხსენება პირველად ის იქნება, როდესაც კაცი, თვით უბრალო ლაპარაკში, სადაც სრულიად არ იყო საჭირო, ახსენებს, ანუ დაიფიცავს სახელსა ღვთისასა. შბრალო და მცირე საუბარში, კაცმა სიმართლითაც რომ დაიფიცოს ღმერთი, ისიც ცოდვა იქნება და დარღვევა მესამისა მცნებისა, მისთვის, რომ არ ღირდა, საჭიროება არ მოითხოვდა იქ დაფიცებას. ღვთის სახელი არის უზენაესი და უწმიდესი ყოველთა სახელთა. მისი სახელის წინაშე, ვითარცა იტყვის საღმრთო წერილი, უნდა მოიდრიკოს ყოველმან მუხლმან ზეცისა და ქვენისამან; მის სახელს კაცი უნდა ახსენებდეს დიდის შიშით და მორიდებით. არ ვიტყვი, რა შიშით და სიყვარულით და კრძალვით ახსენებდენ სახელსა ღვთისასა ყოველნი წმიდანი მამანი, მოციქულნი და მოწამენი. მს უთუოდ შენც კი იცი. აქ მოგიყვან მე შენ მხოლოდ ერთსა გასაკვირვებელსა მაგალითსა... ღიდი ხანი არ არის, რაც ერთს უცხო ქვეყანაში იყო ერთი მაღლად მინიჭებული და ღრმა-მჭვრეტელი სწავლული, სახელად ნიუტონი. თანახმად აღიარებენ ყოველნი სწავლულნი კაცნი, რომელ არავინ არ ყოფილა და არ იქმნება ისეთი მაღალი ჭკურისა და ნიჭისა, როგორიც იყო ის. იმან წაიყვანა წინ მეცნიერება. სხვათა შორის იმან იპოვნა და განსაზღვრა კანონები მზის მსვლელობისა, და ვარსკვლავთა და ყოველთა მნათობთა. ამას და ესრეთს კაცს ჩვეულება ჰქონდა, როდესაც თვით იგი, ანუ სხვა ვინმე მის წინაშე ახსენებდა ღმერთსა, მაშინვე ადგებოდა და ქუდს მოიხდიდა. ხოლო თუ შენ, ძმაო, ნაცვლად ამისა უშიშრად, უსაჭიროდ, ყოველს წამს ახსენებ ღმერთსა, ცხადია, რომ არ გქონია შიში და მორიდება ღვთისა. ჩვენ ისე ადვილად და ხშირად არც ერთს სახელს არ ვახსენებთ, როგორც ღვთის სახელს, და ამით ვამტკიცებთ ჩვენსა უკრძალველობასა და დაუდევნელობასა.

მეორე და უარესი ამაოდ ხსენება ღვთის სახელისა ის არის,

როდესაც კაცი დაიფიცავს სიცრუეზე. თუ ლვთის სახელის ხსენება, სადაც საჭირო არ არის, გინდ სიმართლით, მესამე მცნებას დაარღვევს, ცოდვა არის, რაღა უნდა ვსოდეთ იმაზედ, როდესაც კაცი ლაპარაკში სიცრუეს გაურევს და დაიფიცავს დასამტკიცებლად მისა? მს იქნება უსაშინელესი ცოდვა. მაგრამ მე ამაზედ აღარ გავაგრძელებ სიტყვას, — მისოვის, რომელ სიცრუეზე დაფიცება ისეთი საძაგელი რამ საქმე არის, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ კაცსა, სრულიად სინიდისისაგან გამოსრულსა, და ამისთანა კაცისათვის ჩვენი სწავლა სრულიად უსარგებლოდ დარჩება. აქ მე მსურს გავაგრძელო სიტყვა და გევედრო თქვენ ყოველთა გულ-მოდგინებით, რათა უმეტესად მოიშალოთ მესამე გვარი, ანუ სახე ამ მცნების დარღვევისა, რომელიც არის ყოველთა უსაშინელესი და მომეტებულად წინააღმდეგი კეთილისა ქრისტიანობრივისა ზნეობისა, ესე იგი წყევლა, ანუ შეჩვენება კაცისა ლვთის სახელითა. ჰეშმარიტად ღირსი არის ტირილისა და ცრემლისა ის გარემოება, რომელ ჩვენს ქვეყანაში არა თუ კაცნი გაფუჭებულნი, დაცემულნი ზნეობითა, არამედ თვით იგინიცა, რომელნი ცხადად ლვთის მსასოებელნი არიან და კეთილ-მორწმუნენი, თუმცა დიახ ერიდებიან ყოველთა სხვათა ცოდვათა, არაფრად ჰრაცხვენ ლვთის სახელით წყევასა და შეჩვენებასა კაცისასა. ზოგიერთი აწინდელნი ქრისტიანენი ისე მიჩვეულნი არიან წყევასა და შეჩვენებასა კაცთასა, რომელ თითქმის ყოველ წამს, მცირე რამებზე, გული თუ მოუვიდათ, მაშინვე განიმეორებენ საშინელთა ამ სიტყვათა: დასწყევლოს ლმერთმა, შეაჩვენოს ჩემმა შემოქმედმა, დაჰლახევროს წმიდა ბიორგიმ, — და სხვათა ამის მსგავსთა, ლვთის წინააღმდეგთა სიტყვათა. რისგან არის ეს სამწუხარო ჩვეულება, დანერგილი გულთა შინა მრავალთა აწინდელთა ქრისტიანეთასა? იქიდან, რომ იგინი ლაპარაკობენ და სცხოვრებენ დაუფიქრებლათ; მისგან, რომელ არ არიან მიჩვეულნი დაუკვირდენ საკუთართა თვისთა სიტყვათა და საქმეთა; განიხილო ნ, განსაჯონ თვისი ცხოვრება და ხასიათი; კიდევ იქიდან, რომელ არ არიან მიჩვეულნი აღვირ-ასხმად თვისისა ენისა და ცუდისა ზნეობისა. ზოგიერთი კაცი ისეთი სუსტი და საცოდავი არის, რომელ არა ჭკუა მისი ჰმართავს ენასა მისსა

არამედ ენა მისი წარიტაცებს ჭკუასა მისსა და ჩააგდებს ჯურ-ლმულში. აბა დაფიქრდი ერთ წამს, ძმაო, და გაშინჯე, რას ჰენიშნავს წყევა, რას შერება ის კაცი, რომელიც სწყევლის? ძაცი, რომელიც თავის მოყვარეზე იტყვის „დასწყევლოს ღმერ-თმაო“, ამით თვით ღმერთს სთხოვს, რომ გააუბედუროს ის კა-ცი, დაპსაჯოს, ანუ მოჰკლას. მაშასადამე, რა უგუნური უნდა იყოს ის კაცი, რომელიც სწყევლის მოყვასსა თვისსა! იმას ჰგონია, რომ ღმერთი შეეწევა მას ბოროტს საქმეში, აღუსრიუ-ლებს მისსა ბოროტსა თხოვნასა, ერთი სიტყვით, მისი ამხანა-გი შეიქმნება და მისი ცოდვის მოზიარე!

ბლოცავ თქვენ, ძმანო ჩემნო, მოიშალოთ ყოველ გვარი ამაოდ ხსენება ღვთის სახელისა, გარნა უმეტესად — წყევა და შეჩვენება. ღმერთი გვიბრძანებს ჩვენ: აკურთხევდით მწყევართა თქვენთა, კეთილს უყოფდით მდევართა თქვენთა, შეიყვარეთ მოძუ-ლენი თქვენი, — მაშასადამე, კიდეც რომ ემართლებოდე ვისმეს, კიდეც რომ გავნოს ვინმემ, მაინც არ უნდა დასწყევლო იგი. გარნა ჩვენ კი მოუთმენელნი, გულფიცხნი, ხშირად ვწყევლით უმართლოდ; თვით უბრალოსა კაცსა, — რომელიც ამიერიდგან და განაშოროს ჩვენგან ღმერთმან. ამინ.

მ ი კ ლ ე ს ი ტ ჟ ვ ა

ანდერძის აგებაზე ერთი მაცვალებულ მოვაჭრისა
ძუთაისში.

ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! ჩვენს წინაშე მდებარეობს კუბოსა ამას შინა ერთი ჩვენთა მოძმეთაგანი, მართლ-მადიდებელი ქრისტიანე. ვისარგებლოთ ამ შემთხვევით სულიერისა ჩვენისა სწავლისა და აღშენებისათვის. მს ვყოთ მით უმეტესად, რომელ დღეს არის კვირა, რომელსა შინა, ჩვეულე-ბისამებრ, მაინც უნდა მიგველო სულიერი სწავლა და აღშენე-

ბა; ხოლო რაოდენიმე, ესე იგი ორი ანუ სამი, გარემოება აწ
მდებარისა წინაშე ჩვენსა მიცვალებულის ცხოვრებისაგან, ჩვე-
ნის ფიქრით, გვაძლევენ ჩვენ არა ცუდსა საგანსა ზნეობითისა
სწავლისასა. რომელნი არიან ეს გარემოებანი? პირველად, იცი-
ან ყოველთა და ჩვენცა გვესმა, რომელ მიცვალებული ესე იყო
შობიდგან ერთი ღარიბი, არა რაის მქონე კაცი. მშობელთა
მისთა, ვითარცა გვესმა ჩვენ, არცა მცირედი რაიმე დაუტევე-
ბიათ მისთვის, გარნა მან არ მისცა თავი სულმოკლეობასა, არა-
მედ იწყო მან დაუძინებელი შრომა და მუშაობა. ზონიერითა
ყოფა-ქცევითა, ზომიერითა ცხოვრებითა, ჭკუიანითა და მოხერ-
ხებულითა ვაჭრობითა მან გააუმჯობესა თვისი მდგომარეობა,
შეიძინა, თუმცა არა დიდი, მაგრამ საკმაო ქონება. მს არის,
ძმანო, ერთი ფრიად სასარგებლო მაგალითი ყოველთა მათ-
თვის, რომელთა ჰსურთ თვისი შრომითა და ღვაწლითა შეიძი-
ნონ სახმარი ამ სოფლის ცხოვრებისათვის. მაშ, შრომასა და
მუშაობასა კი ჰქონია კეთილი ნაყოფი! მაშ, შესაძლებელი ყო-
ფილა, რომ კაცმა ღარიბმა, არა რაის მექონებ, თვისი მხეო-
ბით, შრომით, მეცადინეობით აღაშენოს თავისთვის კეთილი
მდგომარეობა. მაშასადამე, მხედვ იყავით ყოველნი შრომის
მოყვარენი და მეცადიდენი. ზახსოვდეთ კიდევ ისიც, რომელ,
როდესაც მიცვალებულმა ამან დაიწყო შრომა და ვაჭრობა,
მაშინ უფრო ძნელი იყო და უიმედო ამ საქმის წარმატება,
რადგანაც ვაჭრობა მაშინ იყო სუსტი. ხოლო აწ, ჩვენს დრო-
ებაში ეს საქმე უფრო გავრცელდა და გაადვილდა. შრომა
თქვენი არ დაიკარგება ამაოდ, გარნა მხოლოდ მაშინ, როდე-
საც იგი იქნება დაფუძნებული სიმართლესა და პატიოსნებასა.
ზედა. მე დაწვრილებით არ ვიცი ცხოვრება მიცვალებულისა,
გარნა დარწმუნებული ვარ, რომ მან თვით მრავალ-გზის გამო-
სცადა, რომელ, როდესაც იგი აღებ-მიცემაში მიღიოდა პირ-
და-პირი და პატიოსანი გზით, მაშინ უფრო მოგებული იყო,
გარნა როდესაც, ვითარცა კაცი სუსტი და ამასთანავე კაცი,
რომელსა არა მიუღია საჭირო და სასარგებლო სწავლა, შესც-
დებოდა და ბრუნდე გზას შეუდგებოდა და პატიოსნების წი-
ნააღმდეგ მოქცევასა, მაშინ იგი არა თუ მოიგებდა რამეს,
არამედ დიდ ზარალს ჰნახავდა. მს ყოველთვის უნდა ახსოვ-

დეს მას, რომელსაც ჰსურს ვაჭრობა. მხოლოდ ის სიმდიდრე არის მკვიდრი და მაგარი, რომელიც კაცმა მიიღო ერთითა პატიოსნითა შრომითა.

ახლა მივიქცეთ მეორე გარემოებისადმი ამის ცხოვრებისა-გან, რომელიც გამოაჩენს რა სამწუხარო და საზარელი ხასია-თი გვაქვს ჩვენ, ამ ქვეყანაში მცხოვრებთა. როდესაც მიცვა-ლებული თვისითა შრომითა და მეცადინეობითა დაწინაურდა ცოტ-ცოტად, მაშინ, ვითარცა გვესმა ჩვენ, ასტყდნენ მას ზე-და მრავალნი მტერნი და მოშურნენი. იყო თურმე ერთი დიდი შფოთი და ცილის-წამება მას ზედა. რომ ყური დაეგდოვისმეს საზოგადოდ მას ზედა ლაპარაკზე, იფიქრებდა, რომ მან შეიძინა ცოტაოდენირამე არა თვისითა ჭკუითა და შრომითა, არამედ ვი-თარჯა დიდმა, შარა-გზის ავაზაკმა. თუმცა, მართლა რომსთქვას კაცმა, მისი ქონება არ იყო დიდი და შესანიშნავი, გარნა მო-შურნე კაცს მცირედიც დიდად ეჩვენება. შრთობ უბედურ არის და ლირსი ცრემლისა ჩვენი, აქაურთა მცხოვრებთა, ხა-სიათი, ძმანო ჩემნო! ნაცვლად მისა, რომ გვიხაროდეს და ვმა-დლობდეთ დმერთსა, როდესაც ვხედავთ რომელსამე ჩვენსა მოძმესა, თვისი ჭკუით და შრომით გაკეთებულსა, და ესრედ თვით ჩვენთვის კარგის გზის მაჩვენებელსა, ჩვენ ვწუხვართ და გვეკიდება ალი შურისა. ნაცვლად მისა, რომ ჩვენც გვამხნეოს მისმა მოქცევამ, წაგვახალისოს მისმა მაგალითმა, და ვიწყოთ შრომა და მეცადინეობა, ჩვენ მარტო იმას ვფიქრობთ, რომ როგორმე შევაწუხოთ და დავაბრკოლოთ იგი. დმერთო! რო-დის მოვა ის დრო—ჩვენც მივხვდეთ, რომ ერთი მეორეს შური ქვეყანას ვერ გააკეთებს, ბედნიერება ქვეყნისა აშენდება მხო-ლოდ სწავლითა, შრომითა, პატიოსნებითა. ქვეყანა გაძლიე-რდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მცხოვრებნი ერთი მეორეს არ უშლიან, არამედ ხელს უწყობენ.

დასასრულ, ძმანო, შეგვეწიეთ თქვენცა ლოცვით, რათა ამ მიცვალებულის სულს განუსვენოს მაცხოვარმა. სასუფევე-ლსა თვისისა, და ვისაც მასთან ჰქონდა უკმაყოფილება, შეუნ-დოს მას დღეს. ამინ.

გ რ ძ ღ ვ რ ე ბ ა,

თავმული სოცლის დიხაშხოს ეპკლესიის კურთხევაზე.

ქმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! ვინაიდგან, მადლითა და შეწევნითა ცხოველს-მყოფლისა სამებისათა დღეს ვაკურთხეთ საყდარი ესე, აღშენებული მისია სახელსა ზედა, აწ, მისითავე შეწევნითა და ძალითა, აღვხსნათ და შევიტყოთ რა ძალი და მნიშვნელობა აქვს საყდარსა ჩვენ, ადამიანთა-თვის.

ამა საგანსა მშვენიერად და ღვთივ-გონიერად აღგვიხსნის წინასწარმეტყველი და მეფე დავით, ერთსა შინა ფსალმუნსა თვისსა, რომელიც კიდეც ხშირად წაიკითხების და გესმისთ თქვენ საყდარსა შინა. ამოვკრიბოთ რომელნიმე მუხლნი ამ ფსალმუნისაგან და აღვხსნათ იგინი, და იქიდგან კარგად შეიტყობთ, რაი არს საყდარი, და რა რიგად უნდა იქცეოდეს კაცი მას შინა.

ვითარ საყვარელ არიან საყოფელნი შენი, უფალო ძალთაო! სურის და მოაკლდების სულსა ჩემსა ეჭოთა მიმართ უფლისათა. მსრედ დაიწყებს წინასწარმეტყველი დავით იმ ფსალმუნს, რომელსა შინა აღწერს ეკლესიის მნიშვნელობასა. საყოფელი შფლისა არის სადგომი, ანუ სახლი შფლისა. მართალია მთელი ცა და ქვეყანა და ყოველი ადგილი არის საყოფელი, ანუ სადგომი შფლისა, გარნა ქვეყნისა ზედა უაღრესად და უმახლობელესად საყოფელი შფლისა არის საყდარი, ანუ ეკლესია. რისთვის? მისთვის, რომ ეკლესიაში არის მისი სიტყვა, მისი სწავლა, მისი ხატი; ეკლესიაში შეიწირების მისადმი უსისხლო მსხვერპლი, ლოცვა და გალობა, მოკლედ—ეკლესია არის საკუთარი სადგომი შფლისა. ახლა მიჰხედე, რა სახით აღწერს, სულითა ღვთისათა, დავით წინასწარმეტყველი საყდარსა. რა საყვარელი არის, ღმერთო, საყდარი შენიო; მსურის ფრიად

შესვლა საყდარშიო იმ სახით, რომ სული და გული დამელია, ვიდრემდის შევიდე მას შინაო. დავით იყო წინასწარმეტყველი და მეფე, მაშასადამე — მითიდარი, შემძლებელი, ბედნიერი. თუ ამისთანა კაცს ისე ძლიერ ჰსურდა ეკლესიაში შესვლა, რომ სული ელეოდა, ვიდრემდის აღასრულებდა თვის სურვილს, ჩვენ რომ ერთი საწყალნი და უღონო კაცნი ვართ, უფრო არ უნდა გვსურდეს და გვიყვარდეს სიარული საყდარსა შინა შფლისასა? საწყალი და უბედური კაცი საყდარში უნდა ეძიებდეს ნუგეშსა, ღონესა, მხეობასა, ძლიერებასა, ლოცვითა და ლვთის მაღლითა.

და რამეთუ სირმანცა ჰპოვა თავისა თავისისა სახლი, და გვრიტმან ბუდე თვისი, სადა დაისხნეს მართვენი თვისნი. თუ სირიც კი ეძიებს და ჰპოვულობს თავისთვინ სახლსა, თუ გვრიტმაც კი აქვს თვისი ბუდე, კაცის სული უნდა დარჩესა უსახლოდ? მაცის სულს არ უნდა ჰქონდეს ერთი მიჩენილი ადგილი, სადაც დასდვას სასოება თვისი ღმერთზე, ვითარცა გვრიტმა მართვენი თვისნი, სადაცა განუცხადოს ღმერთსა სურვილნი თვისნი და თხოვანი, და სადაცა ღვთისაგან მიიღებდეს იგი მაღლსა და კურთხევასა?

ნეტარ არიან, რომელი დამკვიდრებულ არიან სახლსა შენსა! უკუნითი უკუნისამდე გაქებდენ შენ. ნეტარ არს ის კაცი, რომლისა სული დამკვიდრებული არის საყდარსა შინა, ესე იგი ხშირად დადის საყდარში, და როდესაც საყდარში არ არის, მაშინაც კი საყდარში აქვს სული და გული. მსრეთი კაცი უკუნითი უკუნისამდე აქებს შფალსა, აქებს მისთვის, რომ დიდსა მაღლსა მიიღებს ღვთისაგან.

რამეთუ სჯობს დღე ერთი ეზოთა შინა შენთა, უფროს ათასთა მათ. მრთი დღე საყდარში ანუ საყდრის ეზოში უმჯობესი არის, ვიდრე ათასი დღე სოფელში. რისთვის? მისთვის, რომ საყდარში კაცის გული და სული არის დამშვიდებული და დაწყნარებული, ხოლო სოფელში მარადის აღმფოთებული და მოუსვენებელი. კაცი დაღალული, მოწყლული და გატანჯული სოფლის ამაოებითა, შფოთითა, საყდარში განისვენებს, დაივიწყებს ყოველსა სოფლიერსა ზრუნვასა და მწუხარებასა.

გირჩიე. მე მივრდომა სახლსა ღვთისა ჩემისასა უფროს, ვიდ-

რელა დამკვიდრება საყოფელსა ცოდვილთასა. ამიერიდგან მირჩევნია მე ვეგდო საყდრის ერთს კუთხეში, ვითარცა ერთი ვინმე უკანასკნელი უპატიო კაცი, ვიდრელა ვიყო სოფელში, სადგომთა შინა ცოდვილთასაო. აპა, რა სახით ჰსურდა და უყვარდა ეკლესიაში ყოფნა წინასწარმეტყველს დავითს; მას მიაჩნდა ეს დიდ ბედნიერებად. სჩანს, რომ დიდს სარგებლობას და მაღლს ჰპოულობდა იგი ეკლესიაში თავის სულისათვის. შეგვიძლია ჩვენ, ძმაო, პირ-და-პირ დაუჯეროთ ესრეთსა მოწამესა. თუ თვითონ შენ არ გამოგიცდია და არ შეგიტყვია, მსგავსად დავითისა, აქამომდე, ვითარ საყვარელი არის საყოფელი, ანუ საყდარი შფლისა და ეზო მისი, ვითარ ნეტარ არის კაცი, რომლისა სული დამკვიდრებული არის საყდარსა შინა, და ვითარ უმჯობესია ერთი დღე ეზოთა შინა შფლისათა, ვიდრე ასი დღე საყოფელთა ცოდვილთასა, ეს მიაწერე შენსა სიცოდვესა, და ამაზედ უნდა სწუხდე და სტიროდე. თუ სულსა შენსა, მსგავსად დავითისა, არა ჰსურს და არ მოაკლდების ეზოთა მიმართ შფლისათა, თუ შენ არ გირჩევნია მივრდომა, ანუ მიგდება სახლსა შინა შფლისასა, ვიდრელა დამკვიდრება საყოფელთა ცოდვილთასა, ეს უთუოდ მისთვის, რომ სული და გული შენი დაძინებულია და დაყრუებული არის ყოვლისა სულიერისა საქმისათვის.

საყდარი არის მანუგეშებელი კაცისა ყოველთა შინა მისთა მწუხარებათა, საყდარი არის განმალვიძებელი კაცისა ყოვლისა კეთილისა საქმისათვის, საყდარი არის განმანათლებელი კაცისა ყოველთა შინა სულიერთა ნივთთა და საქმეთა, საყდარი არის სულიერი გამზრდელი კაცისა და შემაერთებელი კაცთა. სოფელი გაპყოფს კაცთა, გააშორებს მოყვასთა მოყვასისაგან, ეკლესია შეაერთებს ყოველთა, რათა ერთითა ბაგითა და ერთითა გულითა უგალობდენ და აქებდენ ერთსა ზეციერსა ყოველთა მამასა და შემოქმედსა. ასეა ყოველგან სხვა საქრისტიანო ქვეყნებში, გარნა, საუბედუროდ, ჩვენში კი ხშირად თვით ეკლესია შეიქმნება მიზეზი შფოთისა და განყოფილებისა, ვითარცა მოხდა ეს აქა, ამ სოფელში, დროსა ამ ეკლესის აშენებისასა; გარნა მაქვს იმედი, რომ გათავდება ყოველი უკმაყოფილება თქვენ შორის, ვინაიდგან შესრულდა ეს

ეკკლესია, იქმნა იგი დღეს კურთხეულ და ამიერიდგან აღარ დარჩება მიზეზად არცა ერთი განყოფილებისა.

შეგაერთოს ამ ახალმა ეკლესიამ თქვენ ყოველნი! როგორათაც იგი განახლდა, შესრულდა, მსგავსადვე თქვენ განგანახლოს სულითა მისმა მაღლმა, და როგორც იგი გავრცელდა უწინდელ თქვენ ძლიერ ვიწრო ეკლესიაზე, ეგრეთვე გაავრცელოს ღმერთმა თქვენი სულიერი მოქალაქეობა, ნათელი, სათნოება. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა,

თბილი ქუთაისის საკათედრო სობოროვსა შინა,
1868 წელსა.

და ვითარცა განძლეს, ჰრევა მოწაფეთა თვისთა: შეკრიბეთ ნეშტი ეგე ნამუსრევი, რათა ნუმცა რა წარსწყმდების (მოან. 6, 12.).

ვიკით ჩვენ სახარებიდგან, ძმანო, მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო, რომ შფალსა მესო ძრისტეს ყოველთვის ურიცვი ერი მისდევდა და ეხვეოდა, სმენად მისთა სიტყვათა და სწავლათა. არა ერთ გზის მე, დამაშვრალი, ფარულად განეშორებოდა უდაბნო ადგილს მოსასვენებლად, მაგრამ იქაც უმრავლესი ერი შეიკრიბებოდა და ეხვეოდა მას. მრთხელ, როდესაც ამ სახით ერთ უდაბნო ადგილში მთელი დღე მრავალი ერი ისმენდა სიტყვასა მისსა, მაცხოვარსა შეეწყალა იგინი, რადგანაც იყვნენ უჭმელნი, და პკითხა მოწაფეთა თვისთა, აქვთა მათ რაიმე საზრდო; მოწაფეთა მიართვეს მას ხუთი პური და როდენიმე მცირე თევზი. მაშინ მაცხოვარმან უბრძანა, რათა დააჯდინონ ყოველნი მუნ მყოფნი ერნი, აკურთხა ხუთი იგი პური და თევზი. და მით განაძლო ხუთი ათასი სული. და როდესაც განძლენენ ყოველნი, მაშინ უბრძანა მოწაფეთა თვის-

თა, რათა მათ შეჰქრიბონ ნამუსრევი პურთაგან, რომ უსარგებლოდ არაფერი დაიკარგოს: შეჰქრიბეთ ნეშტი ეგე ნამუსრევი, რათა ნუმცა რა წარსწყმდეს. რისთვის აძლევს მაცხოვარი ესრეთსა ბრძანებასა? საჭირო იყო მაცხოვარისათვის ნამუსრევი პურების შეკრება, მაშინ, როდესაც მას ხუთი პურისაგან შეეძლო ხუთიათასი კაცის განძლომა? ეს ბრძანება მაცხოვარმა მისცა მოწაფეთა თვისთა ჩვენისა სწავლისა და დარჩებისათვის. ამ უბრალო ბრძანებით მაცხოვარი ყოველსა კაცსა, რომელსა აქვს ყური სმენად და ჭეუა მიღებად და მოხმარებად, მისცემს დიდს, ყოველს წამს მოსახმარებელსა და სასარგებლო დარიგებასა, იმ დარიგებასა, რომ ჩვენ უსარგებლოდ არ დავლუპოთ და არ დავკარგოთ არა ოუ დიდი რაიმე, არამედ მცირეცა ნამუსრევი, ანუ ნამცეცი პურისა, და ყოველივე, რაიცა დმერთმა შეჰქმნა და მოგვცა, ვიხვაროთ ჩვენდა და მოყვასთა სასარგებლოდ და ღვთის საღიდებელად. შეუდგეთ აწ ჩვენ. შეწევნითა ღვთისათა, ამ აზრის განმარტებას და დამტკიცებას.

თქვენ ყოველთა იცით, ძმანო, მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო, რომ, მეტადრე აწ, ამ ჩვენ დროში, ყოველი კაცი მომეტებულად ლაპარაკობს, სწუხს და დრტვინავს თავის სიღარიბეს; ეს არის ყოველგან პირველი საგანი ურთიერთ შორის ბაასისა. სიმართლით რომ ვსოდეთ, არ შეიძლება, რომ ამისთანა წუხილი და დრტვინვა ყოველთვის უსაფუძვლო იყოს. მაცობრიობა, მცხოვრებნი თან-და-თან მრავლდებიან; საჭიროებანი და მოთხოვნილებანი ყოველ კაცს ემატება, ხოლო შემოსავალი და წყარონი ცხოვრებისანი იმ ზომად არ დიდდება. ზარნა უეჭველია ისიც, რომ აწინდელი სიღარიბე და დრტვინვა სიღარიბისათვის მარტო ამით არ აიხსნება, არამედ უფრო მით, რომ ახლა აღარავის არ ახსოვს ის საღმრთო ბრძენი დარიგება მაცხოვრისა, რომ არათუ არაფერი უსარგებლოდ არ დავკარგოთ, არამედ ყოველივე მოვიხმაროთ დაზოგვით, ზომიერად და გონიერად. რადგანაც მაგალითი უფრო ცხადად დაამტკიცებს ყოველსა აზრსა, ამისთვის მე, დასამტკიცებელად ზემორე თქმულისა ჩემის აზრისა, მოგიყვან ერთსა ანუ ორსა ცხოველსა და ნამდვილსა მაგალითსა. შთუოდ შენც გინახავს, ძმაო ჩემო, ანუ კიდეც იცნობ ისრეთსა კაცსა, რომელიც პირ-

ველს შეხედულობით გეგონება ფრიად მდიდარი. ზულზე ჰქი-
დია ოქროთი მოჭედილი ქილები, რომელთაგან თითოეული
თითო თუმნად მაინც ღირს; ქამარი მისი არის დაჭედილი ოქ-
როთი დაფერილი ვერცხლით; ქამარზე ჰქიდია ძვირფასი სა-
ტევარი და სხვანი ვერცხლის ნივთები. თვითონ ერთ ნაბიჯს
არ გადაადგამს ქვეითად, არამედ სულ ფაეტონებით დადის.
ხშირად ქალალდში აგებს მრავალს ფულებს. ამისთანა კაცის
სახლი კი ხშირად დაუხურავი არის, წვიმა ჩამოდის, და რაო-
დენიმე დღე ისე გავა, სადილიც არ უკეთდება სახლში; მისი
შვილები, ფეხ-ტიტველი, ჩაუცმელი, პირდაუბანელი და გასვ-
რილი დარბიან. ცხადია, რომ ამ კაცმა წარსწყმიდა თავის ქო-
ნება, უგუნურად ჰქმარობს, რაიცა მისცა ღმერთმა. მეორე მა-
გალითს გეტყვი. შოთუოდ შენ დაესწარი ტირილზე და უთუ-
ოდ გინახავს ესრეთი სურათი: დიდი წვიმა და ტალახია; შეჰ-
ედავ, მოღიან მრავალნი მომტირალნი; სხვათა შორის დაინა-
ხე ერთი რომელიმე კნეინა, თვითონ ზის რახტით მოკაზმულს
ცხენზე; ამ წვიმაში და ტალახში ჩაუცვამს ვძირფასი კაბა, კა-
ბის კუდი მიეთრევა ტალახში. მს ძვირფასი შესამოსელი ისე
გაუფუჭდება იმ დღეს, რომ მეორედ იმას ველარ ჩაიცვამს.
შენ მეტყვი: იქნება ის მდიდარია, იქნება იმას ორმოცი აქვს
იმისთანა კაბაო. ძიდეც რომ ისე იყოს, ნუ თუ გონიერება
არის ესა, რომ ერთს წასვლაზე, მეორე სადა? — ტირილში!
ძვირფასი ტანისამოსი გააფუჭოს ადამიანმა? მაგრამ მდიდარი
არ არის ისა: თვითონვე მრავალ-გზის ლაპარაკობს ახლანდელს
სიღარიბეზე. ამ ორი უბრალო მაგალითისაგან, ვგონებ, ცხა-
დად სჩანს, უგუნურად ჰლუპავენ, ანუ წარწყმედენ, მრავალნი
კაცნი თვისსა ქონებასა.

ვრიად საჭიროა, რომ კაცი მიეჩვიოს და ისწავლოს და-
ზოგვა, შენახვა, გონივრად მოხმარება ყოვლისა, რასაც ღმერ-
თი მას მისცემს. მს რომ ყოველ კაცს ახსოვდეს, მაშინ ქვეყა-
ნაზე არ იქნება ესრეთი სიღარიბე, როგორიც არის ეხლა. საუ-
ბედუროდ, მრავალთა კაცთა ისეთი თვისება აქვს, რომელ თა-
ვის მოწონებისათვის და გამოჩენისათვის არ ჰქონგვენ ხარჯს,
ჰლუპავენ უმეტესსა ნაწილსა თვისის ქონებისასა. მდიდარი კა-
ცი რომ ესრედ იქცეოდეს, ისიც ფრიად გასამტყუნებელია.

ამისთვის რომელ უსარგებლო ხარჯი წარწყმედა არის ლვთისა-
გან მოცემულის ქონებისა. თუ მას გარდამატებულად აქვს,
ათასნი ცრიან სხვანი ღარიბი და ყოველითურთ მოკლებულნი!
მათ უნდა მოახმაროს და შეეწიოს მდიდარმა კაცმა, და არა
უსარგებლოდ დაპლუპოს თვისი ქონება. ზარნა როდესაც ღა-
რიბი კაციც ვალში ჩავარდება და უსარგებლო ხარჯს მოახ-
დენს თავის მოწონებისათვის, ის არის გამოუთქმელი უგნურე-
ბა და ცოდნა. მაგალითებრ, რამდენჯერ მოხდება, რომ სოფ-
ლის კაცი, გლეხი, სოფლის დლესასწაულს დღეს ორმოცს კაცს
მიიღებს, ორ სამ დღეს ათრობს და აძლობს, ნახევარი წლის
ნამუშევარს დაპლუპავს და ხშირად ვალშიც შთავარდება.

ზარნა მაცხოვარი გვასწავლის ჩვენ ზემომოყვანილი დარი-
გებით არა მხოლოდ გარეგანს, ხორციელის ქონების დაზო-
გვასა და გონივრად მოხმარებასა. სიტყვა დავაღრმაოთ! ჩაცს,
ადამიანს ლვთისაგან აქვს მინიჭებული სხვანიცა უძვირფასესნი,
ვერცხლისა და ოქროისა, საჭმლისა და სასმელისა, ქონებანი
და სიმდიდრენი. ისინიც არ უნდა დავლუპოთ და წარვწყმი-
დოთ, არამედ გონივრად და სასარგებლოდ. მოვიხმაროთ. მა-
უფრო საჭირო არის, ვიდრენა გარეგანისა, ხორციელისა ქო-
ნებისა და სიმდიდრის დაზოგვა. საუბედუროდ და სამწუხაროდ,
ზოგიერთი კაცი უგუნურად წარწყმედს და დაპლუპავს არა თუ
მხოლოდ ფუ სა, ანუ სხვასა რამე ქონებასა, არამედ თვით
სიცოცხლესა, ჭკუასა და გონებასა. იქმნება შენ გაგიგონია,
ძმაო, ან კიდევ გინახავს ესრეთი მაგალითი: კაცი ყმაწვილი,
მრთელი ტანისა, მდიდრად მინიჭებული ლვთისაგან, ძლიერ
კარგად სწავლობდა, რომელსა შექხაროდენ მისნი მშობელნი,
და დიდსა ნუგეშსა მოელოდენ მისგან, რომელსა შეეძლო დი-
დი სარგებლობის მიცემა თვისი მამულისათვის,—დაივიწყა
ჭკუა და ნამუსი, განირყვნა, შთავარდა საძაგელსა სნეულება-
ში და ლპება მისგან. ანუ ამაზე უარესი მაგალითი: კაცი გაე-
რია ულმერთოთა შორის, მიიღო მათგან საძაგელნი და ქვეყ-
ნის დამლუპავნი აზრნი, გადააგდო, უარ-ჰყო ყოველი კეთი-
ლობა და პატიოსნება, რაიცა უსწავლია, და შეიქმნა მტერი
ლვთისა, მთავრობისა და საზოგადოებისა. ამისთანა შემთხვევა
არის ლირსი ცრემლისა და გოდებისა. მან დაპლუპა თავი თვი-

სი; მან მოჰკლა თვისი მშობელნი ჯავრითა, შეარცხვინა თვისი კეთილის-მყოფელნი; მან დაჰლუპა ყოველივე ის სიკეთე და სარგებლობა, რაიცა შეეძლო მას მოეტანა, თუ არ გაფუჭებულიყო. ამისთვის ჩვენ, ქრისტიანეთა, გვმართებს ყოველ-თვის და ყოველი, რაიცა მოგვცა ღმერთმან ქონება, ნიჭი, გარეგანი, თუ შინაგანი, დიდი, თუ მცირე, არა წარვწყმიდოთ, არამედ ვიხმაროთ გონივრად და სასარგებლოდ; ხოლო უმეტესად უნდა გვახსოვდეს ის, რომელნიც არიან უძვირფასესნი, ღვთისაგან მოცემულნი ნიჭნი: სიცოცხლე, სიმრთელე, ჭკუა, ბოლოს, უკვდავი სული, და არ დავლუპოთ, არ წავრწყმიდოთ იგინი, არამედ გონივრად მოვიხმაროთ, საღი-დებელიად ღვთისა და სასარგებლოდ მოყვასთა ჩვენთა. ამინ.

ს ი ტ ყ ვ ა,

თქმაული ქუთაისის საკათედრო ეპისტოლაში 1876 ჭელსა .

ზლობავთ თქვენ, ძმანო, ეკრძალებოდეთ მათგან, რომელნი იგი წვალებასა და საცთურსა იქმან, გარეშე მის მოძღვრებისა; რომელი თქვენ გისწავით; და განეშორენით მათგან. რამეთუ ეგე ვითარნი იგი შფალსა ჩვენსა იქსო ძრისტესა არა ჰმონებენ, არამედ თვისსა მუცელსა. და ტკბილად მეტყველებითა მით და კურთხევითა აცთუნიან გულნი უმანკოთან კრომაელთა 16, 17—18).

ეს სიტყვები, ძმანო, მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო არიან შმიდისა პავლე მოციქულისა, და წაკითხულ იქნენ წასრულ კვირასა მართლ-მაღიდებლობისა წესის აღსრულებასა ზე-და. განგებ გამოარჩია წმიდამან ეკლესიამან ეს სიტყვები, —

რომელთა შინა მოციქული ჰავლე გვაბრთხილებს ჩვენ, კაცთა მაცტურთა და საღმრთოისა სჯულისა წინააღმდეგის მეტყველთაგან,— წარსაკითხავად მართლ-მაღიდებლობის წესის აღსრულებასა ზედა, ვინაიდგან თვით იგი წესი არის დანიშნული წმიდისა ეკლესისაგან ჩვენდა გასაფრთხილებელად და სასწავლებელად, რათა არა შევიწყნარებდეთ სიტყვათა მათთა, რომელნი არიან წინააღმდეგნი საღმრთოისა სჯულისა, შრისტე იესოს მიერ მოცემულისა და მისთა მოციქულთა მიერ ქადაგებულისა.

მაცტურნი, საღმრთო სჯულის წინააღმდეგნი, წვალებისა და შფოთისა აღმაყენებელნი ყოველთვის იყვნენ და ყოველთვის იქმნებიან ქვეყანაზედ. პრავის არ უნდა უკვირდეს და არავინ მორწმუნეთაგანი არ უნდა სცდებოდეს მათი მიხედვით. თვით უფალმან იესო შრისტემან წინასწარვე გვაუწყა ეს; თვით იმან ბრძანა, რომ სახარებასა მისსა არა ყოველნი კაცნი მიიღებენ, არამედ მხოლოდ იგინი, რომელთა მამა მისი ზეციერი აღმოარჩევს და მოიყვანს მასთან. ამაზე მეტიც გვითხრა მაცტოვარმან. იმან ბრძანა, რომ მაცტურნი, სჯულის წინააღმდეგნი, უნებლივად გაჩნდებიან და საჭიროც იქნება მათი მოსვლა და წინააღმდეგობა, მისთვის, რათა რჩეულნიცა მორწმუნენი ცხადად გამოჩნდნენ და გამოეყონ ურწმუნოთა. რა სახით? როგორ მოხდება ეს? უბრალო მაგალითით აგიხსნი ამას. თუ ოდესმე შენ, ძმაო, შემთხვევა გქონდა და ურწმუნო კაცის გმობასა და ლაპარაკს დაესწარი, რას ჰერძნობდი მაშინ და რა იფიქრე? ზულგრილად მიიღე ეს ლაპარაკი? არათერი მოძრაობა არ გაჩნდა შენ სულში? თუ ასეა, მეშინია, რომ თვით შენ ან ურწმუნო ხარ ან სუსტია და მკვდარი შენი სარწმუნოება; და თუ იმ დროს შენი გული ადუღდა, თუ ისე გეწყინა შენ იმ წინააღმდეგის გმობა, რომ თითქოს საკუთრად შენ დაგჩაგრეს, ანუ მოინდომეს მოტაცება შენგან ისეთი ქონებისა, რომლისა მოკლება სიცოცხლეს გაგიმწარებს, — იცოდე, რომ მორწმუნე ჰყოფილხარ. მაცი და ყოველნი მისნი ნიჭინი და ღონენი გაიზრდებიან, გამაგრდებიან ჭიდაობით, ბრძოლით. მსგავსადვე, კაცის სარწმუნოებას და ერთგულობას თუ მომჭიდავე და მტერი არა ჰყავს, რით უნდა გამოჩნდეს იგი და გაილესოს? სწო-

რედ ამ მიზეზისათვის მიუშვებდა და მიუშვებს ლერთი ურწმუნოთა კაცთა გმობად და წარმოთხევად მათისა ურწმუნებისა.

ახლაცა არიან, ძმანო, ურწმუნონი კაცნი ქრიტიანეთა შორის, და არა თუ არიან, არამედ საუბედუროდ, სამხილებელად და განსაღვიძებლად ჩვენდა იგინი უმეტესად მრავლდებიან, და მათი გმობა და საცდური არის უმძიმესი, უმწარესი და უძვირესი ყოველთა უწინდელთა მაცთურთა და წინააღმდეგთა. ამისთვის ჩვენცა, აწინდელნი თქვენნი მოძლვარნი, თანამდებ ვართ უფრო ხშირად ლოცვად და თხოვად თქვენდა, ძმანო: ეკრძალებოდეთ მათგან, რომელნი იგი წვალებასა და საცოტრესა იქმან, გარეშე მის მოძლვოებისა, რომელი თქვენ გისწავეს, და განეშორენით მათგან? მაგრამ საკმაო არ არის მარტო ეს, რომ შეგეხვეწო თქვენ მათგან გაშორება, არამედ ისიც ფრიად საჭირო არის, რომ ამასთანავე გიჩვენო რამდენიმე ნიშანნი და გარემოებანი, რომლითა მიერ შეიძლო შეტყობა და გარჩევა მათი. მს მისთვის, რომ იგინი არიან მაცთურნი, იგინი, ვითარცა იტყვის მოციქული, ტყბილად მეტყველობითა და კურთხევითა, აცთუნებენ გულთა უმანკოთასა.

პირველი ნიშანი და თვისება ახლანდელთა მაცთურთა ის არის, რომ იგინი თვის ლაპარაკში აურევენ სულიერსა და ხორციელსა, ქვეყნიერსა და ზეციერსა, სამოქალაქო წყობილებასა და საღმოთოსა სჯულსა, სარწმუნოების სწავლასა და სოფლის მდგომარეობასა. ორთა ამათ განყოფილთა და განსხვავებულთა საგანთა იგინი არ განჰყოფენ, არამედ ორივეს ერთად ჰზრახვენ და ჰგმობენ. რადგანაც იგინი სწუნობენ ზოგიერთთა სამოქალაქო წესდებულებათა და ქვეყნის ჩვეულებათა,— სიმართლით თუ უმართლოდ, ეს სხვა კითხვა არის,— ამისთვის იგინი საღმრთოსა სჯულსაც მათთანვე ერთად ჰგმობენ? არ მიჰედვენ იმას, რომ საღმრთო სჯულის სწავლა და საგანი და სამოქალაქო წყობილება და ქვეყნის მდგომარეობა ერთი და იგივე საგანი არ არის. ვსთქვათ, რომ რომელნიმე სამოქალაქნო წყობილებანი და ქვეყნის ჩვეულებანი და წესნი ცუდნი არიან და დასაწუნებელნი; რა გამოდის აქედგან, რა ბრალი აქვსთ ამაში ჩვენსა სარწმუნოებასა? სამოქალაქო წყობილებანი, სა-

ხელმწიფო სჯულნი და კანონი არიან მოგონებულნი და და-
ყენებულნი კაცთაგან, და იმათ ისეთი დამოკიდებულება არა
აქვსთ საღმრთოსა, ღვთისაგან მოცემულსა, სჯულსა ზედა,
რომ მათი სიცუდისათვის პასუხის გებაში ჩააგდონ, დაიწუნონ
და უარ-ჰყონ საღმრთო სჯული. ზარნა თვით მათ, მაცოტურთა,
კარგად არ იციან ეს განსხვავება შორის საღმრთოისა სჯუ-
ლისა და სამოქალაქო წყობილებისა, მაგრამ განვებ აურევენ
ორთა ამათ საგანთა, მისთვის, რათა უადვილესად აღასრუ-
ლონ თვისი საიდუმლო განზრახვა და გულის-თქმა. რაში მდგო-
მარეობს მათი განზრახვა? იმაში, რომ მსმენელნი მათნი და
დამჯერებელნი მათისა სიტყვისა გაპხადონ წინააღმდეგი სამო-
ქალაქო სჯულისა და მთავრობისა. მათ იციან, რომ, ვინც
მტკიცე არის სარწმუნოებასა შინა და კეთილმსახურებასა, ად-
ვილად არ აჰყვება მათსა ბოროტსა განზრახვასა, ძნელად გა-
ხდება სამოქალაქო მთავრობის და სჯულის. წინააღმდეგი; ამის-
თვის სცდილობენ იგინი ჯერ შეარყიონ მსმენელის გულში
სასოება ღვთისა და მით უადვილესად დააჯერონ თვისსა
ბოროტსა აზრსა.

მეორესა ნიშანსა გეტყვი. ზოგიერთნი აწინდელნი მაც-
თურნი სრულიად სხვასა ღონესა და ხერხსა ხმარობენ, რათა
მიგიყვანონ თვის აზრზედ და ნებაზედ. იგინი გეტყვიან, რომ
თვით საღმრთო წერილი ასწავლის მასვე, რასაც იგინი ჰქადა-
გებენ; კიდეც მოგიყვანენ საღმრთო წერილიდგან სიტყვებს,
რომელნიც ვითომ ამტკიცებენ მათს აზრსა. ამასთანავე დაუ-
მატებენ, რომ ვითომც იგინი სწუხან და სცდილობენ ქვეყნი-
სათვის, ვითომც მათ ებრალებიან ღარიბნი და დაცემულნი კა-
ცნი, და ჰსურთ მათი აღდგენა და ბედნიერება; ერთი სიტყვით
როგორათაც იტყვის წმიდა მოციქული პავლე, „ტკბილად მეტ-
ზელებითა და კურთხევითა,“ გააგრძელებენ შენთან ლაპარაკს,
რათა მით უადვილესად მოგინადირონ, — გარნა ესე ყოველი
არის მცბიერება და სიცრუე. ძარგად რომ დაუკვირდე მათს
ლაპარაკს, ყოველ მხრივ რომ გაჲშინჯო და ფესვამდის რომ
განიხილო და შეიტყო მათი აზრი და მისწრაფება, სწორედ
გაგახსენდება თქმული იმავე წმიდა მოციქულისაგან რომელ
ეგვ ვითარნი არა უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა ჰმონებენ, არამედ

თვისსა მუცელსა. სწორედ თვისსა მუცელსა ჰმონებენ იგინი, ამი-
სთვის, რომ ქვეყნის სარგებლობასა და ღარიბების შებრალე-
ბასა იგინი მხოლოდ ენით ჰქადაგებენ, და საქმით კი
თითსაც არ გაანძრევენ, არამედ ჰსურთ, რომ ქვეყანაზედ იყოს
ისეთი წყობილება, რომელსა შინა მათებრ უქმთა და უსაქმო-
თა კაცთა შეეძლოსთ უჭირველად და უშრომელად ცხოვრება
და განცხრომა.

მესამესა ნიშანსა გეტყვი, ბოლოს. აწინდელნი მაცდურნი
გააკვირვებენ ხოლმე უმანქოთა და უბრალოთა კაცთა, და
ზოგიერთნი იქნება კიდეც შეაშინონ, მით, რომ ვითომ იგინი
არიან ნასწავლნი, განათლებულნი; ზოგიერთნი მათგანნი ყო-
ფილან უცხო ქვეყნებში; უნახავსთ და გაუგონიათ მუნ ლაპა-
რაკი ფრიად სწავლულთა კაცთა, და რომელ ყველა მათი აზ-
რები დაფუძნებულია აწინდელსა დიდსა სწავლასა და განათ-
ლებასა ზედა. მაგრამ ადვილათ ნუ დაიჯერებ ამას ყოველსა.
მათი განათლება დიდად საეჭვო არის, სწავლა მათი ზედა-პი-
რი, თხელი და უსაფუძლოა. საფუძლიანი სწავლა მოითხოვს
დიდსა შრომასა და მოთმინებასა, ხოლო მათ არც პირველი
აქვთ და არც მეორე. ზოგიერთთა მათგანთა უს ართ მოგზაუ-
რობა განათლებულ ქვეყნებში, მაგრამ რა უნახავთ მუნ და რა
უსწავლიათ? საუბედუროდ, მათი მოგზაურობა განათლებულ
ქვეყნებში დაემსგავსება იმას, როგორც ერთი შინაური პირუ-
ტყვი, რომელიც არის მდიდარი კაცის უკანა ეზოში, ჰნახავს
ნაგავსა და ნეხვსა, მას შინა ჰგორავს და გაიწუმბება და ჰგო-
ნია, რომ იმ ეზოში და იმ სახლში იმაზე უკეთესი არაფერი
აღარ არის. განათლებულ ქვეყნებში დიას მრავალი არის ღი-
რსი ქებისა, სწავლისა და მიბაძვისა, გარნა ნეხვიცა მრავალია
მუნ. ხოლო ზოგიერთნი საცოდავნი და საბრალონი ჩვენნი
ყმაწვილნი კაცნი, როდესაც უცხო ქვეყნებში წავლენ, იმას
კი არ უყურებენ და სწავლობენ, რაც არის იქ პატიოსანი და
ღირსი ქებისა და ბაძვისა, არამედ გაისვრებიან იქაურსა ნეხ-
ვსა შინა და აქაც იმას მოგვიტანენ, თითქოს ჩვენში ეს მასა-
ლა ნაკლებად იყოს.

ბოლოს, ამ ერთი სიტყვით დავასრულებ აწინედელსა უბ-
ნობასა. თუ შემცდარი არა ხარ, არამედ მართლა მორწმუნე

კაცი ხარ, ისიც უთუოდ გახსოვს, რომ სარწმუნოებაზე უძვირ-
ფასესი არაფერი არა აქვს რა კაცს, მაში ისე უნდა იცავდე შენს
სარწმუნოებასა, როგორც უძვირფასესსა უსაყვარელესსა საუნ-
ჯესა, რომელიც და მოგვცეს ჩვენ ღმერთმან. ამინ.

ს ი ტ ჟ ვ ა,

თქმული აუთაისის საკათედრო ეპილესიაში.

მოიხსენე დღე იგი შაბათი, და
წმინდა ჰყავ იგი.

ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! როდესაც
კვირა დღეს მოვდივარ საღმრთო ლიტურგიის შესასრულებ-
ლად წმიდასა ამას ეკლესიასა შინა, და გაუსწორდები ეკლესიის
შესავალ კარებს, მაშინ გავიხედავ მარცხნივ, საიდგანაც ისმის
უშვერი ყვირილი მოვაჭრეთა, ათასობით სხვა და სხვა სოფ-
ლებიდგან მოსულთა და აქაურთა მცხოვრებთაცა, რომელთა
დაუვიწყნიათ ზემო მოყვანილი მეოთხე მცნება: წმინდა ჰყავ
დღე იგი, და რომელნი შეაგინებენ მეშვიდესა ამას წმიდასა
დღესა და თისასა. სამწუხარო არის ამის ხილვა! მწუხარებით
შევდივარ ეკლესიაში ლიტურგიის აღსასრულებლად. აქ ჩვენ,
მორწმუნენი და და და თის მმოსავნი, ვასრულებთ და ვისმენთ წმი-
დასა წირვასა და და თის სიტყვასა, ვაქებთ, ვადიდებთ და ვმა-
დლობთ ღმერთსა; ხოლო თითქმის აქვე, მახლობლად წმიდისა
ეპილესიისა, არის ერთი შფოთი, ყვირილი, ერთმანეთის მოტ-
ყუება, ხშირად ქურდობაცა, რომელნი წმიდასა დღესა შეპ-
ლალვენ და ყოველს სხვა უბრალო დღეებზედ უარესად გამო-
აჩენენ. ძვალად ვიტყვი: სამწუხაროა ამის ხილვა! ვისაც ჩვენს
შორის მცირედი სიყვარული აქვს ჩვენი სჯულისა და ერთგუ-
ლება და თისა, იმას არ შეუძლიან არ შესწუხდეს გულითა ამი-
სთანა ხილვისაგან. ერთი გარემოება მომეტებულად ადიდებს

ამ ცოდვას და უმეტესად გაამწარებს გულსა ჩვენსა. ჩვენს ქალაქში არიან მრავალნი ურიანი და არა მცირედნი მაჰმადის სჯულისანი. ზუშინ რომ შაბათი იყო, ურიების დღესასწაული, უთუოდ ვერც ერთი ქრისტიანე ვერ დაინახავდა ებრაელთა ვაჭრობაში, ანუ სხვა საქმეში. ისინი სუკველანი იყვნენ პირველად თავის სალოცავში და მერმე ოჯახებში მოსვენებულნი. დღეს რომ ჩვენი დღესასწაულია, ისინი ჰქედავენ უმრავლესთა ქრისტიანეთა, მათის დღესასწაულის და სჯულის დამავიწყებელთა და შემარცხვენელთა. გარნა ქრისტიანე კაცი უნდა არცხვენდეს თავის სჯულს წინაშე ურწმუნოთა ებრაელთა? იგივე უნდა ვსოდეთ მაჰმადიანთა ზედა, აქა მცხოვრებთა. იგინიცა თავის დღესასწაულს ინახვენ, გარნა ჩვენს დღესასწაულს დღეს ჩვენთანვე ვაჭრობენ.

შეძლებისდა გვარად ჩვენისა, ყოველთა შუთაისის მახლობელთა სოფელთა შინა, ჩვენ ვარიგებთ და ვეხვეწებით ქრისტიანებთა, რომ არ მოდიოდენ შუთაის კვირა და დღესასწაულ დღეს ვაჭრობისათვის. გარნა თქვენ, ქალაქში მცხოვრებთადმი, არ მითქვამს ჯერ ამაზედ დარიგება, — მაშინ, როდესაც თქვენთვის უმფრო საჭიროა იგი. ვგონებ, რომელ შუთაისში მცხოვრებნი უმეტესად დამნაშავე არიან ამ ცოდვაში, ვიდრე და სოფლის მცხოვრებნი. შუთათლები რომ არ გადიოდნენ კვირა დღეს და არაფერს არ ჰყიდულობდენ ბაზარში, სოფლელებიც არ მოვიდოდენ ამ დღეს აქა.

წმიდა ჰყავთ დღე იგი. ძვირა ღვთის დღე არის. ამ დღეს მარტო ღმერთს უნდა ემსახუროს კაცი და ღვთის საქმე უნდა ალასრულოს. ექვსის დღის განმავლობაში კაცმა, თითქმის შთანთქულმა სოფლის სხვა-და-სხვა შფოთში, შრომაში, მეშვიდე დღეს მაინც უნდა გაიღვიძოს სულით და გულით, ღმერთი გაიხსოვნოს და მყუდროდ, ლოცვით და სიწმიდით გაატარიოს დრო. მონასტერშიაც რომ სცხოვრებდე, ყოველ დღე წირვა-ლოცვას ისმენდე და წმინდად ატარებდე, მეშვიდე კვირა დღე, მაინც უფრო დიდი კრძალვით და სიწმინდით უნდა გაატარო; გარნა შენ სოფლის კაცი ხარ და ამასთანავე ქალაქში მცხოვრები, ექვსის დღის განმავლობაში იქნება ღმერთიც არ გაგახსენდა, ერთხელაც ღმერთი გულ-მოდგინედ ვერ ილოცე

— ნუ თუ კვირა დღეც ამაოებაში და ვაჭრობაში უნდა გაატარო! თუ ხშირად ასე მოიქეცი, ბოლოს გული გაგიგრილდება დმერთზედ, სასოება დაგეკარგება და სრულიად წარგიტაცებს სოფელი და ცოდვა.

შოველ კეთილ-გონიერს ქრისტიანე კაცს, რომელიც მძიმედ და გონიერებით უყურებს თავის საღმრთო ქრისტიანულ მოვალეობას, ერთი ზრუნვა უნდა ჰქონდეს ყოველთვის გულში, და ერთს საქმეს უნდა სცდილობდეს, იმას, რომელ სჯულის აღსრულება ჩვეულებად გარდაექცეს. ისე მტკიცედ მიჩვეული უნდა იყო, ძმაო ქრისტიანე, კვირადღეს წირვა-ლოცვის მოსმენას, რომელ თვით შენი გული და სინიდისი ძალას უნდა გატანდეს და არ მოგასვენებდეს, ვინემ არ წახვალ ეკლესიაში. თუ ლვთის მცნება დაბეჭდილი არა აქვს კაცს გულში, და მისი აღსრულება არ გარდაქცეულა ბუნების მოთხოვნილებად, მაშ სჯული ლვთისა არა აქვს მას მითვისებული. მოკლედ, არ შეგვიძლიან აღვწეროთ რაოდენი სულიერი სიკეთე შეეძინება კაცს, თუ ერთი მაინც ეს მცნება მტკიცე ჩვეულებად დაემკვიდრა მის ბუნებაში. საკმაოა თქმად, რომ ის აღარ დაიძინებს ცოდვაში. ის არ იქნება დაკარგული სჯული-სათვის და ლვთისათვის. მცირე საქმე არ არის ეს, რომ კვირაში ერთს დღეს მაინც სრულიად წმინდად და უცოდველად ატარებდეს კაცი. მს ერთი წმიდა დღე, ბოლოს, გასწმენდს და გაანათლებს სხვათა მისთა დღეთა.

ნუ დაივიწყებ, ძმაო, მცნებასა ამას: წმინდა ჰყავ დღე იგი, და შეუდექი ამის აღსრულებას. აღსდგები რა დილით კვირას, სახლში ილოცე, რამდენიც იცი, და მერმე წადი და ცისკარიც მოისმინე. მინც საღამოს დროზე დაიძინებს და დილით ადრე ადგება, ის უფრო სიმრთელით და მხიარულებით ატარებს თვისსა დღესა. თუ კითხვა იცი, ეცადე საღმრთო წერილი იქონიო ხელში, ან სხვა რამე წმიდა წიგნი და ისინი იკითხე. მსრე გამზადებული სულით და გულით, წახვალ წირვაზე და უფრო ნაყოფიერად მოისმენ წირვასა. ნაწირვებს, სადილის მიმღებმა, ეცადე რაიმე მცირე მაინც კეთილი საქმე აღასრულო. იქნება ვინმე იცი ღარიბი და საწყალი კაცი, მიეც იმას რაიმე შემწეობა საიდუმლოდ, რომ მარჯვენემან შენმან არ შეი-

ტყოს. იქნება ვინმე შენი მეზობელთაგანი არის სწეული და მწუხარე, მიღი და ნუგეში ეცი; იქნება ვინმე გყავს ნაცნობი, რომელსა უყვარს ლაპარაკი საღმრთოსა საგანსა ზედა, მიღი მასთან და ილაპარაკე და გაატარე დროება. შბედ, მეჭორე და ცილის მოსაქმე და მოლაპარაკე კაცთან არ შიხვიდე იმ დღეს. ბოლოს, საღამოს მოისმინე მწუხერი და ასე, მოსვენებული ხორციელად, განახლებული სულიერად, შეუდეგი მეორე დღეს ექვსი დღის საქმესა და შრომასა. იცოდე, რომ კვირადღეს, მცირე ცოდვაც რომ ჰქმნა, ათ წილ უფრო დამნაშავე იქნები, ამისთვის, რომ ის არის ლვთის დღე.

არ დაემსგავსო, ძმაო, ცოფთა მათ და ცოცხალ-მკვდრათა, რომელნი კვირა დღეს უფრო ცუდად ატარებენ, ვიდრე სხვა დღეებსა, რომელნი სწორედ ამ დღეს მოიცლიან ყოვლის ცოდვისა, სიმთვრალისა და ლხინისათვის, არამედ შენ ეცადე და წმინდა ჰყავ დღე იგი. ამინ.

მ ღ ძ ღ ვ რ ე ბ ა,

თქმული რუთაისის კათედრის ეპილესიაში.

განმარტება სამოციქულოისა: მფესელთა, თავი 4, მუხლი 25—28.

დღეს, ძმანო, მართლ-მაღიდებელნო ქრისტიანენო, ჩვენ განვიზრახეთ განმარტება რაოდენთამე მუხლთა მფესელთა მიმართ ეპისტოლესაგან. მს მისთვის, რომელ მუხლნი, რომელთა განმარტება ჩვენ გვსურს დღეს, იპყრობენ თვის შორის ისრეთა სწავლათა, რომელნი თითქმის ყოველი ნაბიჯის გაღადგმაზედ არიან სახმარნი და სასარგებლონი. და ესრედ, შეწევნითა ლვთისათა, შეუდგეთ უბნობასა.

ამისთვის განიშორეთ ტყუილი, იტყოდეთ ჭეშმარიტსა კაცად-

კაცადი მოყვასისა თვისესა თანა, რამეთუ ვართ ურთი-ერთ-არს ასო-ებ. (მფ. 4, 25).

ეს არის პირველი მუხლი იმ სამოციქულოისა, რომელისა ახსნას შეუდექით ახლა, შეწევნითა ღვთისათა. ამ მუხლში წმი-და მოციქული პავლე შეგვაგონებს ჩვენ, რათა მოვერიდოთ სიცრუის თქმას, სიმართლით და ჭეშმარიტებით ვეტყოდეთ ერთი მეორესა. აქედგან თვით თქვენ პეტავთ, ძმანო ჩემნო, რა დიდად საჭირო არს სწავლა, რომელსა გვაძლევს ეს მუხ-ლი, ყოველსა წამს, ყოვლისა კაცისათვის, და რა დიდად საჭი-როა, რომ ყოველთვის გვქონდეს ჩვენ იგი სახეში. რით განგ-ვალვიძებს ჩვენ მოციქული პავლე, რომ ყოველთვის ჭეშმარი-ტებასა ვიტყოდეთ? მით, რომ ჩვენ ყოველნი ვართ ერთი მე-ორეს ასოები: რამეთუ ვართ ურთიერთ-არს ასოებ,—ესე იგი ისე დაახლოებული ვართ ერთი მეორესთან, როგორც ერთი კაცის ასოები, ანუ სახსრები. მაშასადამე, კაცი როგორც თავის თავს არ მოატყუებს, ეგრევე თავისი მოყვასიც არ უნდა მოატყუოს, როგორც ხელი კაცისა, ასე ვსოდეთ, პირს არ მოატყუებს და ნაცვლად პურისა ქვას არ მისცემს საჭმელად, ეგრევე ერთმა კაცმა მეორე კაცი არ უნდა მოატყუოს, რამეთუ ვართ ურთიერთ-არს ასოებ. მრთი მეორის ასოები არათუ მხოლოდ მით ვართ ჩვენ, რომელ ერთი კაცისაგან ვართ შთამომავალი და ერთი სის-ხლი და ერთი ხორცი გვაქვს, არამედ მით, რომ თვით ამ ქვე-ყანაში, ამ ცხოვრებაში ისე დაახლოებული ვართ ერთი მეორე-სთან, ისე საჭირონი ვართ ერთი მეორისათვის, როგორც ასო-ნი ანუ სახსარნი კაცის გვამში. როდესაც ჭეშმარიტებას და სიმართლეს ვეტყვით და ვასრულებთ ურთიერთ შორის, მაშინ ერთი მეორეს შევეწევით და სიცოცხლეს შევუმსუბუქებთ; როდესაც ვატყუებთ ერთი მეორეს, მაშინ ვაწუხებთ და ვამ-ძიმებთ.

ამასთანავე სიცრუეს მისთვის უნდა ვერიდებოდეთ, რო-მელ სიცრუე არის თითქმის საფუძველი ყოველთა სხვათა ცო-დვათა. ზოგიერთი ცოდვა კიდეც დაიწყება და კიდეც გათავ-დება სიცრუით; და სხვანი ცოდვანი, თუ პირ-და-პირ არ აღს-რულდებიან სიცრუით, მაინც სიცრუე არ შეიძლება არ გაე-რიოს მათში. მაშასადამე: ვინც სიცრუეს განეშორა და ყო-

ველთვის ჭეშმარიტებას იტყვის, მან ამით შესავალი დაუხშო ყოველს ცოდვას თავის გულში.

მესამედ, სიცრუეს მისთვის უნდა ვერიდებოდეთ, რომელ ეს ცოდვა არის ერთობ მდაბიო, შემარცხვენელი და გამაფუჭებელი კაცის სინდისისა. სიცრუეს იტყვიან ისრეთნი პირნი, რომელნი არიან გარყვნილნი და ურცხვნი და რომელთა აქვთ ხასიათი მონებრივი, მდაბიო. ცრუ კაცს რომ შეეძლოს კარგად დაფიქრება, მალე მიჰევდება, რომ იგი თავის თავს უფრო ატყუებს, ვიდრელა სხვას. მას ჰგონია, რომ მისი მსმენელი ხშირად დაიჯერებს მის სიტყვას, და ის კი არ იცის, რომ მას დიდიხანია არავინ უჯერებს, და ყოველი კაცი დასცინის და აძაგებს თავის გულში. თუ კი კაცს ცოტაოდენად თავის თავი მიაჩნია, თავის ღირსება ახსოვს, ერთი სიტყვით, თავი მოსწონს, იმან, მე მგონია, სიცრუე არაოდეს არ უნდა სთქვას. თავის მოწონებას ჩვენ ვიტყვით არა უგუნურს, არამედ გონიერს და კანონიერს. შოველ კაცს უნდა ჰქონდეს, ძმანო ჩემნო, გონიერი თავის მოწონება. რაც გინდა უკანასკნელი და საწყალი იყოს კაცი, მაინც არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი არის კაცი, ადამიანი, რომელი ლმერთმან შეამკო ჭკუითა და გონებითა, ამაღლდა ყოველთა სხვათა ქმნილებათა ზედა, შთააბარა მას მთელი ქვეყანა და ბოლოს, რომელიც საშინელ არს თქმად, იმ ზომად ამაღლდა, რომ შვილად ლვთისად გაჰქადა. ვისაც ცოტაოდენად ახსოვს ეს, იგი როგორლა დაამდაბლებს და შეარცხვენს ესოდენსა თვისსა ღირსებასა სიცრუის თქმითა.

ბოლოს, ერთი კიდევ მიზეზი უნდა ვუჩვენოთ სიცრუის მოყვარესა. იმას ხშირად ჰგონია, რომ სიცრუის თქმით მოგებაში დარჩება, გარნა სასტიკად სცდება. სიცრუის მთქმელი, ვგონებ, თავის თავს უფრო ატყუებს. ვიდრე თავის მსმენელს. პრ მომხდარა და არ გაგონილა, რომ სიცრუით კაცი გაკეთებულიყოს და გაბედნიერებულიყოს. სიცრუეზე დაფუძნებული სარგებლობა ემზგავსება ქვიშაზე აშენებულს სახლსა: იმას დაარღვევს პირველივე წინააღმდეგი შემთხვევა და განსაცდელი. ბოლოს, თუ გინდ რამე კიდეც მოიგოს კაცმა სიცრუის თქმითა, მაგრამ ცოდვა რომ ჰქმნა, თავი შეირჩევინა, სჯული დაარღვია, ამის ფასი მოგება რა ექმნება მას. პმისთვის განვეშო-

როთ ტყუილსა, ვეფუოდეთ კაცად-კაცადი ჰეშმარიტებასა, რამეთუ ვართ ურთიერთ არს ასოებ.

ბული გიწყრებოდენ და ნუ სცოდავთ; მზე ნუ დაჭვალნ გან-
რისხებასა თქვენსა. როდესაც გესმის, ძმაო ჩემო, ეს სიტყვები:
„გული გიწყრებოდეს“, არ იფიქრო, რომ მოციქული პავლე
წყრომის და მრისხანების ნებას გაძლევდეს, რადგანაც იმან
იცის, რომელ ჩვენი დაცემულის ბუნებისათვის შეუძლებელია
ზოგჯერ მაინც გულის წყრომა არ მოუვიდეს კაცს, ამას და
გითმობს და გეტყვის: რადგანაც შეუძლებელი არისო გული
არ გიწყრებოდესო, იმოდენა მაინც ეცადე, რომ ცოდვად არ
გადიქცეს გულის წყრომაო. მართლა, არა თუ შეუძლებელია,
რომ გულის წყრომა არაოდეს არ ჰქონდეს კაცს, არამედ, ვგო-
ნებ, რომ ცუდი ნიშანიც იქნებოდა, თუ კაცს რომელსამე არა-
ოდეს არ მოუვა გულის წყრომა. როდესაც რამეს ცუდს და
საძაგელს ჰქედავ შენი მოყვრის მოქმედებაში, ჰქედავ, რომ
კაცი მძლავრი და უსინდისო ახრჩობს საწყალსა და უბედუ-
რსა კაცსა, ჰქედავ, რომ მზაკვარი და მცბიერი კაცი მარადის
ატყუებს ქვეყანასა და ფარისევლობს, ჰქედავ გარემო შენსა
სიცრუესა, უსამართლოებასა, გარყვნილებასა, და მაინც გუ-
ლი გრილი გაქვს, გული არ გიწყრება, არაფერს ჰზრუნავ—
მეშინის, რომ ვაი თუ შენში მკვდარ არს ყოველი კეთილი
გრძნობა და სათხოების სიყვარული. შოველთა ესრეთთა შემ-
თხვევათა შინა გულის-წყრომა არის კანონიერი და კეთილი,
გარნა იგი უნდა იყოს შეზავებული სიყვარულითა, სიბრა-
ლულითა და სურვილითა, რომ, რაც შენი მხრიდგან შეიძლე-
ბა, შეავიწროვო ქვევანაზე ყოველი პოროტება და სიცრუე
და განაძლიერო სიმართლე და პატიოსნება. ზარნა, როდესაც
გულის-წყრომა მომღინარეობს ამპარტავნებისაგან, ანგარები-
საგან, ანუ სხვათა ამის მსგავსათა გრძნობათაგან, მაშინ აღვი-
ლად შთაგადებს შენ იგი ცოდვასა შინა, მაშინ შენ უნდა
მალე დააცხრო ესრეთი გულის-წყრომა. ამისთვის იტყვის
მოციქული: მზე ნუ დაჭვალნ განრისხებასა თქვენსა. მართლა,
ვინ არ იცის რაოდენთა ცოდვათა შინა შთაგადებს კაცს მრი-
სხანება, მეტადრე უგნური. როდესაც კაცი განრისხდება,
მაშინ ყოველი, რაც არის მის სულში და გულში კეთილი

თვისება და გრძნობა, დაჩუმდება, და, ნაცვლად, აღდგებიან და აღიძრებიან ყოველნი მხეცურნი თვისებანი და მიღრეკილებანი.

და ნუცა სცემთ ადგილ ეშმაკსა (27 მუხ.). რას პნიშნავს ეს სიტყვა, ძმაო, „ნუ მისცემთ ადგილს ეშმაკსა? მს სიტყვა იმას პნიშნავს, რომ ნუ მისცემთ მაცოურს, ანუ ეშმაკს იმისთანა შემთხვევას და მიზეზს, რომლითაც მას შეეძლოს მიახლება თქვენდამი და წაწყმედა თქვენიო. მართლა, ეშმაკი, ანუ სულიერი მტერი ჩვენი, იმ ზომად გვაცოუნებს ჩვენ, რა ზომა-დაც თვითონ ჩვენ მივსცემთ მას მიზეზებს. მიზეზად ის მიიღებს ყოველსა ჩვენსა ცუდსა მიღრეკილებასა - უკრძალველობასა, დაუდევნელობასა. ზოგიერთი კაცი, ანუ უგუნურებით, ანუ ფარისევლობით, ყოველსა თვისსა ცოდვასა ეშმაკს მიაწერს: ეშმაკმა მაცოუნა, მტერმა შემაცდინაო. გარნა მოციქულის სიტყვებიდგან სჩანს, რომ ჩვენ თვითონ ვაძლევთ მას შემთხვევას და მიზეზს, რომ გვაცოუნოს მან. ეშმაკი გიყურებს შენ და გამოსცდის, რით ხარ შენ ცუდი, რომელნი ცუდი თვისებანი და მიღრეკილებანი ჰსუფევენ შენს შორის. თუ დაგინახა, რომ ანგაარი კაცი ხარ, მაშინ იმ ანგაარებით მრავალ ცოდვაში ჩაგაგდებს; თუ შეგატყო, რომ გულფიცხელი ხარ, მაშინ იგი ამ კერძოით მოგეკიდება და დაგლუბავს. გარნა უმეტესად ყოვლისა კაცი თავის გულში მაშინ აძლევს ადგილს ეშმაკსა, როდესაც იგი არის უქმი, არ უყვარს შრომა და მუშაობა. ამისთვისაც დაუმატებს მოციქული: მპარავი იგი ნულარა იპარავნ, არამედ უფროსღა ჰშურებოდენ და იქმოდენ კეთილსა თვისითა ხელითა, რათა აქვნდეს მიცემად, ვის იგი უხმდეს (28 მუხლი). არა თუ სხვას წართვას, ან მოპპაროს კაცმა, არამედ, პირიქით, უნდა მისცეს გაჭირვებულსა კაცსა, და ამისთვის თვისი საკუთარი ხელით უნდა იშრომოს, შეიძინოს და მისცეს ღარიბსა. შურდობა, მპარაობა საზარელი ცოდვა არის. შურდობა უმეტეს ნაწილად წარმოსდგება ზარმაცობიდგან, უსაქმურობიდგან. თუ კაცი შრომის მოყვარეა, ბეჯითი, მეცადინე - ყოველთვის იშოვნის სარჩოს. შურდობით კაცი ვერ გაბედნიერდება, არამედ უმეტეს ნაწილად გაუბედურდება. ვგონებ, ქურდი, კარგად რომ დაფიქრდეს ამაზედ, აღარ გააგრძე-

ლებს თვისს საძაგელს მოქმედებას, რომელიც მას ერთხელ დაპლუპავს.

გარნა მეშინის, რომ სიტყვა ზომაზედ მეტად გაგრძელდა. ღმერთს ვსთხოვ, რომ რაც ვსთქვი, იქიდგან ცოტაოდენი მა-ინც დაიხსოვნოთ, ისარგებლოთ. ამინ.

ს ი ტ ჟ ა,

თქმული 6-ს დეკემბერს 1883 წელსა ქუთაისის კლასი-კურ გიმნაზიის ეპლესიაში, რუსულს ენაზე.

უმჯობეს არს მოკლებული სიბრ-ნითა (სწავლითა) შიშითა ღვთისა, ვიდრელა წარმატებული სიბრძნითა (სწავლითა) და გარდამხომელი სჯულისა. (ზირაქ. 19, 21).

ცოდნა, სწავლა, განათლება — აპა უმთავრესი სურვილი და საზოგადო მეცადინეობა ახლა ყოველთა კაცთა, განსაკუთრებით მშობელთა. ჩვენი საუკუნე მომეტებულად განსხვავდება მისწრაფებითა სწავლისა და განათლებისადმი. ჩვენს დროში კაცი, მოკლებული სწავლასა, საცოდავ კაცად ითვლება, ხოლო უმეცრება — ყოველივე ბოროტების წყაროდ; მსგავსადვე ამისა, მეორეს მხრით, ყველა ხალხის წოდებაში განათლების გავრცელება ითვლება წამლად ყოველთა უბედურებათა. გარნა ზემოდ მოყვანილ სიტყვებში ისუ ზირაქი, რომელიც თავის დროში არა თუ განათლებულ კაცად ირიცხებოდა, არამედ უწოდებდენ ბრძნად, თითქმის ამდაბლებს ცოდნას, სწავლას, როდესაც ამ-ბობს: უმჯობეს არს მოკლებული სწავლითა, გარნა ღვთის მოში-ში, ესე იგი კეთილ-მოქმედი, ვინემ წარმატებული სწავლითა და სჯულის გადამხდომი, ესე იგი უსჯულო. მაგრამ ზირაქი აქ არ იწუნებს სწავლასა, არც იმას იტყვის, რომ სწავლა, ცოდნა თავის-თავად უსარგებლო, ანუ მავნებელი იყოს; ის მხოლო

იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ერთსა მარტო სწავლასა, თვინიერ კეთილ ზნეობისა, არა აქვს დიდი ფასი. ამაზედ კი არ შეიძლება არ დაეთანხმოს კაცი. ჩვენ კადევ უმეტესად გავკადნიერდებით და დაუმატებთ, ანუ, უმჯობეს არს თქმა, განვამტკიცებთ აზრსა ზირაქისასა და ვიტყვით, რომ ერთი მხოლოდ ცოდნა, ანუ განათლება, თვინიერ შესაფერი კეთილი ზნეობისა, მოუტანს საზოგადოებას და თვით სწავლის შემძენსაც უმეტესად ვნებას, ვინემ საგოგებლობასა. ზარნა, მაგიერად, თვითვეული თქვენგანი დაუყონებლივ დამეთანხმება, რომ ყველაზე უმჯობესი და სასურველი ის არის, როდესაც კაცი მდიდარია ცოდნითა და, მასთანავე, მტკიცე ქრისტიანობრივითა ზნეობითა.

მართლა, ცოდნა არის მხოლოდ გზა, საშუალება უმაღლესი მიზნისადმი მიმყვანებელი, და იმდენად უნდა დაფასდეს იგი, რამდენადაც ეხმარება კაცს ამ მიზნის მისაღწევად. რა არის მიზანი სწავლისა? სად უნდა მიიყვანოს კაცი ცოდნამ, სწავლამ? მე ვფიქრობ, რომ აქ, ამ სასწავლებელში, რომელშიაც მრავალნი ყრმანი ატარებენ თვის ცხოვრების უკეთესთა წელთა, გასამდიდრებელად და შესაძენად სხვა-და-სხვა სწავლისა, უადგილო არ იქნება მივაჭრიოთ ყურადღება ამ კითხვებს. მაგრამ, სანამ ამას გადავსწყვეტდეთ, მივაჭრიოთ ყურადღება იმაზე, თუ როგორი წარმოდგენა აქვთ სწავლის მიზანზე სხვა-და-სხვა სასწავლებელთა მოწაფეებს. სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, მათ არა აქვსთ სახეში განსაკუთრებით უმაღლესი მიზანი სწავლისა. ისინი ხშირად ბეჯითად სწავლობენ, ცდილობენ ყოველივე ღონისძიებებზე შეასრულონ კურსი სწავლისა მხოლოდ მისთვის, რათა მოტივოვონ რომელნიმე უფლებანი, მაგალითად: შევიდნენ სამსახურში, მიიღონ ჯამაგირი, ჯილდო. ერთი სიტყვით, ისარგებლონ სწავლითა მხოლოდ თავის გარეგანი, ნივთიერი მდგომარეობის ამაღლებისათვის.. მართალია, არ შეიძლება ვსთქვათ, რომ ცოდვა რაიმე იყოს, როდესაც კაცი თავის განათლებით კანონიერად ძარღებლებს, რომ თავის ნივთიერი მდგომარეობა გააუმჯობესოს. პიდეც საჭიროა და კარგი რომ თვითეული პირი სარგებლობდეს თავის ცოდნითა, სხვათა შორის, გაუმჯობესობისთვის თავის ცხოვრებისა, — და ეს

მით უმეტეს საჭიროა, რომ ღარიბი კაცი ყოველთვის გაჭირვებულია, და მისთვის არ შეუძლია თავისუფლად ლტოლვა და მიღწევა თვით იმ უმაღლესი ქრისტიანობრივი მიზნისადმი, რომელზედაც ჩვენ ვამბობთ. მაგრამ მაინც, ყოველს შემთხვევაში, სამწუხაროა, როდესაც ვხედავთ, რომ ნაშეტანი ნაწილი სწავლულთა დამყარებულნი არიან სწავლის დაბალ მიზანზე. არა ამაში მდგომარეობს უმაღლესი მიზანის სწავლისა და განათლებისა, და ფრიად სამწუხაროა და გასაკიცხავი, როდესაც განათლებული კაცი მხოლოდ ამ მიზნისადმი იღტვის. სანუ-გეშოდ, ყველა სასწავლებელში არიან არა მცირე რიცხვი ყრმა-თა, რომელნიც სწავლობენ ბეჯითად და ერთგულად მხოლოდ მისთვის, რომ თვით სწავლა ანუგეშებს მათ. მართლა, ვის სწა-ვლულთაგანს არ გამოუცდია, თუ როგორ სასიამოენოა სხვა-და-სხვა საგნების შესწავლა და შეძენა ცოდნისა სხვა-და-სხვა საგანთა ზედა. ღმერთმა დანეგრგა კაცის სულში მისწრაფება ცნობისადმი, და არ შეიძლება არ გავიხაროთ იმ ბავშვებზე, რომელთაც სწავლის შეძენა გაახარებს და ყოველივე წარმატება საგნებში განაღვიძებს უმეტესსა მეცადინეობასა. ამისთვის მართლად ამბობენ, რომ სწავლა, განათლება თავის თავად კა-რგია და სასარგებლო, რადგან აღამაღლებს და გააძლიდრებს კაცის გონებას, მაგრამ მაინც არ შეიძლება ვთქვათ, რომ იგი თვით იყოს მიზნად თავისი თვისისა არა! მან უნდა შიიყვანოს კაცი მეორე და უმაღლესი მიზნისადმი, და ეს უმაღლესი მი-ზანი არა სხვა რაიმე არს, გარნა ზნეობითი განვითარება და გაუმჯობესობა კაცისა.

განათლება მარტო მაშინ არის კარგი და მხოლოდ იმისთანა განათლება არის კარგი, რომელიც აღამაღლებს და გააკეთი-ლებს კაცსა ყოვლის მხრით, და არა მხოლოდ ერთსა, თუ გინდ უმაღლესსა, მისსა ბუნების მხარესა. თვითონ სწავლა არის ორ-პიროვანი იარაღი; შეიძლება კაცმა მოიხმაროს ის კეთილ საქმეზედაც და ბოროტზედაც, სასარგებლოდ და საზარალოდ თავისა თვისისა და სხვათა. საქმე უმაღლესია სიტყვაზე, ცხოვ-რება უძვირფასესია სწავლაზე. სწავლამ, განათლებამ უნდა გაა-უმჯობესოს ყოველნი საქმენი ჩვენნი, მთელი ჩვენი ცხოვრება. რა სასარგებლოა. როდესაც კაცის გონება სავსეა მრავალ გვა-

რი ცოდნითა, ხოლო მისი საქმე და ცხოვრება სრულებით არ განსხვავდება უსწავლელ კაცთა საქმისა და ცხოვრებისაგან. ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ შორის, აჩვენენ კეთილად სვლი. საგან საქმენი თვისნი, (იაკ. 3, 13), იტყვის წმიდა ჩაკობ მოცი-
ქული.

და თქვენც, საყვარელნო მოწაფენო ამა სასწავლებელისა, როდესაც შეხვალთ ცხოვრებასა შინა, დაუმტკიცეთ ყველას თქვენი განათლება თქვენითა საქმითა და ცხოვრებითა. ზქონ-
დესო სახეში, რომ ახლაც, ჩვენს დროში, ბევრნი არიან, რო-
მელნიც ეჭვით უყურებენ სწავლას და განათლებას. უმეტეს
ამისა, ახლა ბევრნი არიან ისეთნი პირნი, რომელნიც არა თუ
ამდაბლებენ სწავლას, არამედ პირ-და-პირ მავნებელად სთვლი-
ან ახლანდელსა განათლებასა. მრავალნი, და ისიც არა უგუ-
ნურნი კაცნი, პირ-და-პირ ამბობენ, რომ ახლანდელი განათ-
ლება აფუჭებსო ხალხს და მის ზნეობასათ. ძლიერ საწყენია
ეს აზრი ჩვენთვის და მათთვის, რომელთა მრავალნი წელნი სი-
ჭაბუკისა გაგვიტარებია სწავლაში. მაგრამ უნდა გამოვტყდეთ,
რომ ეხლა მრავალნი, ესრედ წოდებული განათლებული პირ-
ნი, აძლევენ მიზეზს ამის თქმისას არა-მოსაწონითა თვისითა
ყოფაქცევითა. განმეორებით შოვიქცევი თქვენდაში, საყვარელ-
ნო მოწაფენო, ეცადეთ გაამართლოთ წინაშე ყოველთა გაუ-
ნათლებელთა პირთა სარგებლობა სწავლისა თქვენი კეთილი,
პატიოსნური და ქრისტიანული ცხოვრებითა. ამინ.

ს ი ტ ე ვ ა,

ოქაზული ქუთაისის სობოროვა შინა ჯეგლიგ ჭესის აგე-
ბისა მიცვალებულს ქუთაისის ბანის დამამყარებელს და
მიართოებს ბესარიონ ღოღაბირიძისა ზედა 1870 წ. მარ-
ტის 7 დღესა,

მან ქრისტიანები! ჩგონებ, ომ დღეს მოელის ჩვენს ქ-
ლაქში არ არის არც ერთი კაცი, ომმელიც არ პგრძნობდეს
მძიმესა მწუხარებასა, მხედველი ამის კუბოისა და მას შინა
მდებარის მიცვალებულისა. არა თუ მისი ნათესავნი და მე-
გობარი, არამედ ყოველი, ომმელთაც გაფოხილი ჰქონდა
ვინ იყო და რა კაცი იყო, დღეს არიან ღრმად შეწუხე-
ბული მისის სიკედილისაგან. მართლაც, ვინ არ შესწუხდება,
მხედველი ასე უდროვოდ მისის გარდაცვალებისა! ჩვენი ქვე-
ყანა, ჩვენი საზოგადოება, სამწუხაროდ, ყოვლად დარიბია ამის
მსგავსითა პირებით. არა თუ დარიბი ვართ, თითქმის არავინ
არ არის ჩვენს ზორის ისეთი პირი, რომელიაც შეეძლოს მი-
ლი საზოგადოების ყურადღების და მინდობილების მიზიდვა.
მიცვალებული კი იყო ერთი ისეთი პირი. იგი იყო შემკული
მაღალი ქუთათა და სახეათა სულიერთა ნიჭითაგან, რო-
მელნი იყვნენ დამუშავებულნი ღრმა და საფუძლიანი
სწავლითა. ამასთანავე ცხოვრება და საქმენი მისი ყო-
ველთვის იყვნენ ყოვლად სასარგებლო და წარმოსადევი
ქვეყნისათვის. საზოგადოებისაგან მას ჰქონდა მინდობილი დი-
დი საქმე, რომელიაც იგი მართავდა ქუთათა და წარმატე-
ბით. და, ამა აე რა, იგი გარდაიცვალა უცბად, უდროვოდ
და ვერ მოასწოო მან თვითი საქმის სისრულეში და სიმწიფე-
ში შეყვანა. ვინ არ შესწუხდება, ვინ არ დაპლონდება
და არ დაპოიქრდება, მხედველი ესე უდროვოდ მისი გარდაც-
ვალებისა!

ზარნა, ძმანო ქრისტიანენო! თუმცა იგი მართლა უდრი-
ვოდ გარდაიცვალა, თუმცა მას კიდევ მრავალი სიკეთის და
სარგებლობის მოწანა შეეძლო საზოგადოებისათვის, მაგრამ
ჩეენ შეგვიძლოს თავი ეინუეგშოთ მით, რომ მან მაინც მრავა-
ლი სიკეთე და სარგებლობა მოიტანა თავის ქვეყნისათვის, მა-
ინც დიაბ პატიოსანი სახელი და ქება დასტურა, მაინც ბევრი
კარგი მაგალითი გვიჩვენა ჩეენ. არ ვიტუვი, და საჭიროც არ
არის აქ ვახსენო, რომდენი შრომა მიუღია მას თავიდანვე, შემ-
დგომ სწავლის დასრულებისა და სამსახურის დაწყებისა, ქვე-
ყნის განათლებისათვის. მარტო ერთს და ისიც უკანასკნელ
მისის სიცოცხლის გარემოების გავიხსოვნებ.

თამამად ვიტუვი, და ყოველთა მისთა მახლობელთა იციან
ეს, რომ მან თვისი სიცოცხლე შესწირა იშ საქმის, რომელიც
მას ჰქონდა მინდობილი საზოგადოებისაგან. იგი გარდაპყვა,
ანუ, მდაბიურად ვიტუი, გარდაავვდა მრას სამსახურს. მარგა
ხანია იყო ჩეი ავალ, თან-და-თან სუსტდებოდა, მაგრამ არ იშ-
ლიდა ჩვეულებრივს შრომის. მისი მეცობარინი და ნათესავნი
ურჩევდენ და სოხოვდენ, რომ ცოტა ხანს მოისვენოს, დაეთ-
ხოვოს სამსახურს, წავიდეს სადმე მოსარჩენად, მაგრამ არ და-
უჯერა, ეშინოდა, რომ საზოგადო საქმეს არ მისცემოდა რო-
მე ზარილი მისი განშორებით. ისე თავვადადებული იყო და
მოყვარული თვისი საქმისა, რომ ლოგინში დაწოლაც არ მო-
ინდომა, თუმცა ძლიერ დადიოდა, თითქმის უეხზე მდგომარე
გარდაიცვალა, უკანასკნელი სულის აღმოფენები იყო შრო-
მაში და მუშაობაში. დიდია ეს მაგალითი! დიდია ამისთანა
თავვადადება სამსახურისათვის, მეტადრე ახლა, ამ ჩვენს დრო-
ებაში, როდესაც თითქმის ყოველნი სამსახურში მყოფი სცდი-
ლობენ, რაც შეიძლება, ერთი მხრით. თავის გაუკირვებელად
გაატარონ თვისი სამსახური, და, მეორე მხრით რაც შეიძლე-
ბა მომეტებული სასკიდელი და სარგებლობა გამოიტანონ სა-
მსახურიდგან. ძმანო! როდესაც მხედარი თამამიდ სდგას გაც-
ცხარებულს ომში, გარემოს მისსა ათასწარი სიკეთის პფრი-
ნავს, მაგრამ მას არ ეშინია, უშიშრად შეებმება მტერს, ხან-
და-ხან დაკოდილიც არ ჰმორდება ბრძოლის და მიღებს სიკ-
ვლილს, მას ყოველი კაცი აქებს, გმირს ეძახის; მაგრამ, ვგო-

ხებ, უდიდესი ქების ღირსი არის ის კიცი, რომელიც, მსგავ-
სად საბრალოისა ამის მიცვალებულისა, თავის სიცოცხლეს შე-
სწირავს, ასე თავ-დადებულად ემსახურება საზოგადო საქმეს,
ჩუმად, მოთბინებით, არა-მხედველი, რომ მას ვინმე უყურებ-
დეს და აქებდეს, არამედ კიდეც ესმოდეს მრავალი ყველრება,
ცილის წამება მტერთა და მოშურნეთაგან. მტერი, მოშურნე
თვით უკანასკნელს არა რაით შესანიშნავს კაცა ჰყავს; მიც-
ვალებულს, რასაკვირველია, ვითარცა გამოჩინებულს და შესა-
ნიშნავს პირს, მრავალი მტერი და მოშურნე ჰყავდა, რომელ-
ნიც მას ზედა მრავალს უსამართლოდ კიდეც სწერდენ და კი-
დეც იტყოდენ და უმეტესად უმძიმებდენ მას შრომას.

გარნა, რაიცა აქამომდე ჩვენ ვსთქვით, ის იყო სოფლიუ-
რი, ხორციელი საქმე. რაც მას ჩვენ ვუქეთ აქამომდე, ისიც
ხორციელი იყო და სოფლიური. მართალია, ვინც ისე თავ-გა-
დადებით და ნაყოფიერათ აღსრულებს თვისს მოვალეობას,
როგორც მიცვალებული, იგი ლვთის ნებას აღსრულებს, ღმერთს
ემსახურება, რადგანაც ლშერთიც ამას გვიბრძანებს და ამას
მოითხოვს ჩვენგან, რომ დაუცხრომელი შრომითა და მეცადი-
ნეობით ვატარებდეთ ჩვენსა ცხოვრებასა. გარნა, ძმანო ქრისტი-
ნენო! რაც გინდა შესანიშნავი იყოს კაცი, თუ გინდ მთელს ქვეყა-
ნას აკვირვებდეს თვისი ჭიკუთა და საქმითა, თუ სარწმუნოება
ლვთისა არ ჰქონდა, იგი იქნება მხოლოდ ამ სოფლის შვილი და
მუშაკი, იგი ქვიშაზე აშენებს თვისს სახლს, მისი ქება და სახელი
იქნება მოკლე, ვითარცა ეს სოფელი და აქაური წუთი ცხოვ-
რება. იმასაც ვფიქრობ, რომ ყოველი მორწმუნე, ლვთის მოყ-
ვარე კაცი, როდესაც კუბოში დაინახავს მიცვალებულს, უპირ-
ველეს ყოვლისა იყითხავს თავის გულში, როგორი ქრისტია-
ნე იყო იგი, ჰქონდა, თუ არა სასოება და სარწმუნოება? ახლა,
ამ ჩვენ დროებაში, უმეტესად საჭიროა შევიტყოთ, მორწმუნე
კაცი იყო, თუ არა ეს მიცვალებული? ახლა ერთი ახალი და
შესანიშნავი გარემოება სწარმოებს ჩვენს საზოგადოებაში, ის,
რომ ჩვენ ქვეყანაში ყოველნი ასაკოვანნი, მოხუცებულნი, ძვე-
ლებურნი ქრისტიანენი ეჭვით უყურებენ ახალგაზდა თავის
შვილთა და შვილის-შვილთა, მეტადრე მათ, რომელთაც რა-
ოდენიმე განათლება მიუღიათ დიდ თუ მცირე სასწავლებელ-

ში, და არა თუ ეჭვით უყურებენ, თითქმის არა სწამთ, რომ იგინი ქრისტიანენი იყვნენ, სარწმუნოება ჰქონდესთ. მეტადრე, თუ მალალი სასწავლებლიდგან გამოვიდა ვინმე, არავინ დაიჯერებს, რომ იგი იყოს მორწმუნე კაცი. სამწუხაროდ ჩვენდა და ყოველი თავის მამულის მოყვარის კაცისა, ეს ეჭვი უსაფუძვლო არ არის. ცხადად ჰქედავენ ძველებურნი კაცნი, რომ ახალგაზღობასა შორის სუსტდება და ეცემა სარწმუნოება ლვთისა და ქრისტიანობა. როგორი იყო ამ კერძოით მიცვალებული? მორწმუნე ქრისტიანე იყო, თუ არა? თუ მას სარწმუნოება არ ჰქონდა, არა ფერი არ ჰქონია, ყოველი მისი ქება და შრომა აქავე გაპქარდება, ამ კუბოში. რისთვის მოიკლა მან თავი დაუცხრომელი შრომითა? შმჯობესი არ იყო, რომ ორიოდე დღე კიდევ ეცოცხლა ამ ქვეყანაში? ბარნა, ძმანო ჩემნო! სანუგეშოდ ჩვენდა, გვაქვს მიზეზი და საფუძველი ვსთქვათ, რომ იგი იყო მორწმუნე ქრისტიანე კაცი. ხოლო ეს გარემოება, რომ ესრეთი განათლებული კაცი არ იყო ურწმუნო, არამედ ჰქონდა ცხოველი სარწმუნოება და ქრისტიანობა, კიდევ ერთხელ ცხადად ამტკიცებს იმ აზრს, რომ ურწმუნოება არ არის ნაყოფი სწავლისა და მეცნიერებისა, არამედ უმეტესად—უსწავლელობისა, ანუ ზედა-პირი, უსაფუძლო, სწავლისა. მართლა ვინ იყო და ვინ დარჩა ჩვენს ქვეყანაში ისე ღრმად და ვრცლად სწავლული და მეცნიერი, როგორადაც მიცვალებული ესე, გარნა მისმა სწავლამ და მეცნიერებამ არ გააქარვა მისი სარწმუნოება, არამედ უმეტესად დააღრმავა და გაამაგრა იგი. პრა უსაფუძლოდ იტყვის ერთი უდიდებულესთა ფილოსოფოსთაგანი, რომ ღრმა მეცნიერება კაცს მიიყვანს ლვთის სარწმუნოებისადმი, ხოლო ზედა პირი, უსაფუძლო სწავლა—ურწმუნოებისადმი.

ხოლო შენ, საბრალო მოხუცო, მამავ ამა მიცვალებულისა! ჟეშმარიტად განუზომელი უბედურება გეწია დღეს. ამისთანა შვილი ჩვენს ქვეყანაში არავის დაუკარგავს ჯერედ ჩვენს დროებაში. ბარნა მხნედ იყავ! ჩვენ, მოხუცებულთა კაცთა, სახე და მაგალითი უნდა ვუჩვენოთ ახალგაზღობასა. ლვთის მორჩილებით უნდა მივიღოთ ყოველი უბედურება და მწუხარება. ამინ.

ს ი ტ ყ ვ ა,

თქმული ქუთაისის საპურობილის ეკლესიასა შინა 29
აგვისტოს.

რამეთუ ამან იროდი მიავლინა და
შეიცყრა ირანე, შეპბორკილა იგი და
შეპსვა სპურობილედ (ზარკ. 6, 17).

ქმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! დღეს წმიდა
ეკლესია მოიხსენებს იოანე წინა-მორბედის და ნათლის-მცემე-
ლის თავის მოკვეთასა. მს ოქვენი ეკლესიაც არის ნაკურთხი-
იოანე ნათლის-მცემელის სახელზე. და დღეს არის ოქვენი
ეკლესიის დღეობა. რა განზრახვით მოხდა ეს, რომ ოქვენი
ეკლესია იქმნა კურთხეულ იოანე ნათლის-მცემლის სახელზე?
იმ განზრახვით, რომ აქედგან თქვენ მიიღოთ სულიერი სწავ-
ლა, დარიგება და ნუგეში.

მართლა, წმიდა იოანე წინა-მორბედი და ნათლის-მცემე-
ლიც ისე იყო შებორკილებული და შესმული საპურობილეში,
ვითარცა ხართ თქვენ ყოველნი. მართალია, რომელ იგი იყო
დაპურობილი არა ბრალისა და ბოროტ-მოქმედებისა თვისი-
სათვის, არამედ სრულიად უბრალოდ, მტრის შესმენით. ახლაც
შეუძლებელი არ არის, რომ ვინმე თქვენგანიცა უბრალოდ
იყოს შესმული და დაპურობილი აქ. და თუ მართლა ვინმე
არის ესრეთი თქვენს შორის, თუ მართლა ვისმე თქვენგანს თვი-
ი სინიდისი არ ამტყუნებს იმ ცუდს საქმეში, რომლისათვის
აქ ჩასვეს იგი, იმან თავის გულში ამ სახით განიზრახოს: თუ
კი დიდი წინასარმეტყველი, შრისტეს ნათლის-მცემელი შთა-
აგდეს საპურობილეში; და ღმერთმან მიუშვა ესრეთი უსჯუ-
ლოება, და თუკი იგი, დიდი, წმიდა კაცი, არ დრტვინავდა,
არამედ ჰმადლობდა ღმერთსა და დაემორჩილა ღვთის განგე-

ბას, მე ვინა ვარ ცოდვილი და უღირსი, რომ არ მოვითმინო ეს უბედურება-თქო. ამ სახით ანუგეშოს თავის თავი მან, ვინც უბრალოდ იქმნა დაპყრობილი აქ.

მაგრამ, ახლა ათასში ერთხელ არ მოხდება. რომ ვინე შეიპყრან და ამ სახლში ვინმე შესვან სრულიად უბრალო და არა რაშიმე დამნაშავე. ახლა იმისთანა დრო და საუკუნე არ არის, რომ ეს მოხდეს. მაშასადამე, რა უნდა ჰქმნან და როგორ უნდა მოიქცნენ ისინი, ვინც აქ არიან დაპყრობილნი თვისის ბრალისა და ბოროტებისათვის? როდესაც კაცი შთავარდება რომელსამე უბედურებაში, რა უნდა ჰქმნას მან მაშინ? რასაკვირველია, თუ სრულიად უჭირუო და უგნური არ არის, მან ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ როგორმე გამოვიდეს ამ უბედურებისაგან. ზარნა ეს შეიძლება მაშინ, როდესაც იგი შეიტყობს, რამ შთააგდო ის უბედურებაში? თუ მიზეზი არ შეიტყო თვისი უბედურებისა და არ მოსპო ის მიზეზი, ვერაოდეს ვერ განთავისუფლდება უბედურებისაგან. თქვენც ესრედ უნდა მოიქცეთ. დიდ და გამოუთქმელ უბედურებაში ხართ თქვენ ახლა, მაგრამ მარტო ის კი არ არის თქვენი უბედურება, რომ შეპყრობილი ხართ აქ. ამაზე უდიდესი უბედურება კაცისათვის ის არის, როდესაც ის შეპყრობილია ცოდვისაგან და ვნებისაგან. ცოდვამ დაგატყვევა თქვენ და შეგსვა ამ საპყრობილები. მაშასადამე, თუ ვისშე თქვენგანსა ჰსურს გამოვიდეს ამ საპყრობილედგან, წინა-პირველად ეცალე გამოიყვანო თავი შენი სულიერი საპყრობილედგან, ესე იგი ცოდვისაგან. შეიტყე, რამ შემოგიყვანა აქ, რომელმა ცოდვამ? რასაკვირველია, თვითეულსა თქვენგანსა შეუძლია, რომ გულში ჩაიხედოს და უმჯობესად შეიტყოს მიზეზი თვისისა უბედურებისა. მაგრამ ჩვენც ჩვენი მხრით, რამდენიც შეგვიძლია, გიჩვენებთ რამდენსამე მიზეზებს.

ზოგიერთი თქვენგანი, უთუოდ, ერთხელ როდესმე იყო კაცი კეთილი და მართალი, და სცხოვრებდა ისე, როგორც სხვანი, მაგრამ ამ უბედურებაში შთავარდა მისთვის, რომ აჰყვა და გაუამხანაგდა ცუდს და გარყვნილს პირებს. წინაპირველად მათ მიაჩვიეს იგი სმას, მთვრალობას; შერმე, როდესაც მოაკლდათ საშუალება სმისა და მთვრალობისა, ასწავლეს მას ქურდო-

ბა. რაკი კაცი ნამუსს დაჲკარგავს და ქურდობას დაიწყებს, მერმე კაცის მკვლელობაშიაც აღვილად შთავარდება. მაშასა-დამე, თუ გსურს, რომ გამოხვიდე ამ უბედურებისაგან, ცუდს ამხანაგებს განეშორე. თვალი მოგცა ლმერთმა და ჭკუა: თუ ვინმე ცუდს საქმეს გირჩევს, ნუ დაუჯერებ, თორემ დაიღუ-პები.

ზოგიერთი შთავარდა ამ საპყრობილები თვისი სიხარბით და სიზარმაცით. შრომა ეზარებოდა და გამდიდრება ჰსურდა უშრო-მელად და მალე. ის არ იფიქრა, რომ ცუდად ნაშოვნი ცუდადვე დაეკარგება. მაშასადამე, იგინი უნდა ეცადონ, რომ, თუ ლმერ-თი ალირსებს აქედგან გამოსვლას, შეუდგენ შრომას, მეცადინე-ობას, მუშაობასა. სჯობია მცირედი ჰქონდეს კაცს და პატიოსანი იყოს, ვიდრელა ერთი წამისათვის გამდიდრდეს, და მერმე საუკუ-ნოდ დაიღუბოს. ზოგიერთი კიდევ შთავარდა აქ თვისი გულ-ფიც-ხელობით, შურით და ცუდი ხასიათით. შურმა, ანუ სიძულვილ-მა, ანუ გულ-ფიცხელობამ მიიყვანეს იგი კაცის მკვლელობამ-დის. ამისთანა კაცი უნდა ეცადოს, რომ თვისი ხასიათი გამო-იცვალოს. მრთი სიტყვით, ყოველმა თქვენგანმა აქ ყოფნით უნდა ისარგებლოს, შეინანოს, გული, გაირეცხოს, სინიდისი გაიწმინდოს. თუ ასე მოიქცა, ამით იგი დასდებს დასაბამსა თვისი ბედნიერებისასა, შეარცხვენს თვის სულიერს მტერს, ასი-ამოვნებს ლმერთსა. ლმერთი ყოველთვის მოელის. ჩეენს მონა-ნებას და მოქცევას. საღმრთო წერილში თქმულ არს, რომ ანგელოზი ლვთისანი ჰხარობენ ცათა შინა, როდესაც ჰნახვენ კაცსა ცოდვილსა, მონანებულსა და ცხონებულსა.

როდესაც, ამ სახით, გრძნობაში მოვა აქ დაპყრობილი და მოინანებს, მაშინ მიიქცეს იგი წმიდა იოანე ნათლის-მცემ-ლისადმი და მოითხოვოს მისგან შუამდგომლობა ლვთის წინაშე. მან გამოსცადა, რა უბედურება არის დაპყრობა საპყრობილე-ბი და შეეწევა სხვათაცა, რომელნი მისსავე სასჯელში არიან შთავარდნილნი. ამინ.

თქმული საპარობილის ეპილესიაზედ ჯუთაისში.

ლვთის ამიერი იგი მწუხარება სინა-
ნულისა ცხოვრებისასა შეუნანებელსა
შეიქმნა, ხოლო სოფლისა ამის მწუ-
ხარება სიკვდილსა შეიქმნა.

სახლი ესე არის სახლი მწუხარებისა. შეჭველია, რომ თქვენ, ძმანო ქრისტიანენო, აქა დაბყრობილნი მწუხარენი ხართ და შეწუხებულნი. თუ სხვანი კაცი, უცხონი, შორიდგან მხედ-
ველნი თქვენი მდგომარეობისა, მწუხარებასა და სიბრალულსა
ჰგრძნობენ, როგორლა შეიძლება, რომ თქვენ თვითონ არ სწუხ-
დეთ თქვენს თავზედ. გარნა რა ნაირია თქვენი მწუხარება? რა
გაწუხებთ თქვენ უფრო? ზემომოყვანილ სიტყვებზი წმიდა მოცი-
ქული პავლე, სულით წმიდით აგვისენის ჩვენ, რომ მწუხარება
ორ ნაირია: ერთი მწუხარება არის ლვთის მიერი, ანუ ლვთის
გულისათვის. ლვთის მიერი მწუხარება ის არის, როდესაც
კაცი სწუხს თავის უღირსებას, თავის ცოდვას, სწუხს, რომ
ლმერთს განეშორა, მისი მცნება დაარღვია, ნაცვლად კეთილი
საქმისა ბოროტი საქმე ჰქმნა და მით გაამწარა ზეციერი მამა.
დიახ კეთილია და პატიოსანი, ძმანო, ესრეთი სულიერი
მწუხარება. იგი, როგორც იტყვის წმინდა მოციქული პავლე,
გააჩენს კაცის გულში სინანულსა ცხოვრებისასა. ამით დაიწ-
ყება კაცის მოქცევა და ცხონება.

მეორე მწუხარება არის სოფლიური. ეს მწუხარება იმაში
მდგომარეობს, როდესაც კაცი სწუხს რომელიმე სოფლიური
ნუგეშის მოკლებასა. ზოგიერთი კაცი, თუ რამე უბე-
დურება დაემართა, სტირის და სწუხს, მაგრამ ლმერთზე აღარ
ჰფიქრობს, და ავიწყდება, რომ ლვთისაგან არის ყოველიფე-

რი—კაცის მწუხარებაც და სიხარულიც, ბედიც და უბედურებაც. ნაცვლად მისა, რომ ღმერთს მაღლობა შესწიროს, სასო-ება არ დაჰკარგოს, იგი ჰნაღვლობს მხოლოდ სოფლიურ ნუ-გეშის მოქლებას. ნაცვლად მისა, რომ დაპტიქრდეს და გამო-იკვლიოს რისგანაც დაემართა მას უბედურება, და მოინანოს ის ცოდვები, რომელნი იყვნენ მიზეზნი მისისა უბედურებისა იგი ხან ღმერთს აბრალებს თავის უბდურებას, ხან ეშმაკს, ხან სხვა კაცს. მსრეთი სოფლიური, ხორციელი მწუხარება; რო-გორც იტყვის წმიდა მოციქული პავლე, სიკვდილს გააჩენს, მოჰკვდავს კაცს.

ახლა კიდევ გკითხავ მე თქვენ: რომელი ამ ორთა მწუ-ხარებათა არის თქვენ გულში? თავიდანვე ვსოდე, რომ არ შეიძლება თქვენს გულში არ იყოს მწუხარება, მაგრამ ღვთის მიერი მწუხარება არის, თუ სოფლისა ამის მწუხარება თვითო-ეულის თქვენგანის გულში? თუ ვინმე თქვენგანი მარტო იმა-ზედ სწუხს, რომ დაჭერილია აქა, თავისუფლებას მოკლებულია, მარტო ივას ჰეთიქრობს, რომ ვაი თუ დაჰსაჯოს ხორციელმა მთავრობამ, ის კაცი მართლა საცოდავია და უბედური. ამის-თანა მწუხარება იმას არაფერს კეთილს არ მოუტანს. ის კაცი აქედგან რომ გავა, ხელ-ახლა შეუდგება იმ საქმეებს და იმ ცოდ-ვებს, რომელთა იგი ამ საპყრობილეში შემოაგდეს; მაშახადამე, უარესად გაფუჭდება და დაეცემა, და ბოლოს სიკვდილით გა-თავდება მისი მწუხარება. არა, ძმანო ჩემნო! აქ, ამ უბედურ სახლში ღვთისა მიერი მწუხარება უნდა იყოს თქვენს გულში! იმისთვის უნდა სწუხდეთ, რომ თქვენ თქვენმა ცოდვამ დაგლუ-პათ, ღვთისაგან განგაშორათ, უბედურებაში ჩაგაგდოთ; ღვთის გულისათვის უნდა შეიწუხოთ თავი, რომ მოაკლდით ღვთის მაღლისა, ზეციერსა მამას განეშორენით, ოდესმე შვილნი ნათ-ლისანი, შეიქმენით შვილნი ბნელისა და ცოდვისა. თუ ამას; ჰეთიქრობთ, თუ ამით შეიწუხებთ თქვენს გულსა, მაშინ გაჩნ-დება თქვენს გულში სინანული ცხოვრებისა, ეს იქნება. დასა-წყისი თქვენი მოქცევისა და გაცოცხლებისა. თუ აქაც არ დაჰტიქრდით, თუ ამისთანა მდგომარეობაში მყოფთა არ შეი-ნანეთ, მაშ როდისღა დაჰტიქრდებით, როდისღა შეინანებთ? არც უნდა სწუხდეთ იმისთვის, რომ დაჭერილნი ხართ საპყ-

რობილეში, არამედ კიდეც უნდა მაღლობა შესწიროთ დმერთსა. ლვთის განგებად შეპრაცხეთ, რომ ამ საპყრობილეში ჩავარდით, ამით გიწოდებს დმერთი სინანულისათვის და მოქცევისათვის. თუ შეინანეთ, უწინდელი საქმეები მოიძულეთ, გაცოცხლდებით, სცხონდებით; თუ აქაც არ გაიღვიძეთ და არ გამოიცვალეთ ხასიათი, საუკუნო უბედურებასა და სიკვდილსა მიეცემით, რომელიც და განგაშოროთ თქვენ და ჩვენ ყოველთაგან მაცხოვარმა შტალმა იესომ, არამედ მოგვცეს სინანული ცხოვრებისა შეუნანებელი. ამინ.

მოძლვება,

თქმული ახლად მოწოდებულთა იშვიათის მცხოვრებთა-
გან მხედართა მიმართ, ანუ დრუჟინათა, მუთაისის სო-
ბოროვი.

ქმანო მართლ-მადიდებელნო, ახლად მოწოდებულნო მხე-
დარნო! ვგონებ, რომ თქვენ ყოველთა არა ერთ-გზის გინახავართ
თქვენს სოფელ'ში და არა ერთ-გზის გაგიგონიათ ჩემგან ქრისტი-
ანული სწავლა და მოძღვრება. ახლაც იმისთვის დაგიბარე,
რომ, მოვალეობისამებრ ჩემისა, მოგცეთ თქვენ დარიგება. ახ-
ლანდელი თქვენი მდგომარეობა, აწინდელი თქვენი თანამდე-
ბობა და მოვალეობა სულ სხვა არის, ვიდრელა მაშინ, როდე-
საც თქვენ იყავით სოფლებში და სახლებში. ამისთვის დარი-
გებაც ჩემი სხვა უნდა იყოს.

ვინა ხართ თქვენ ახლა, რა საქმისათვის ხართ მოწოდებუ-
ლნი, როგორ უნდა აღსრულებდეთ ახალსა თქვენსა მოვალე-
ობასა? თქვენ ხართ ახლა მხედარნი, ჯარის კაცნი. თქვენ
ხართ მოწოდებულნი ხელმწიფისაგან მისთვის, რათა იყვნეთ
დამცველნი მშვიდობისანი და მფარველნი ქვეყნისა და მამუ-
ლისა, ვითარცა შინაგანთა, ეგრეთვე და უმეტესად გარეგანთა
მტერთაგან. დიდი არის ეს საქმე და უსაჭიროესი ქვეყნისათვის!

ვერც ერთი ქვეყანა, ანუ სახელმწიფო, ვერ გასძლებს, თუ არა ჰყავს მას კარგი და ერთგული ჯარი, ანუ მხედრობა. არათუ გარეგანი მტრები წაახდენენ ქვეყანას, თუ არა ჰყავს მას კარგი მხედრობა, არამედ მარტო შინაური მტრები გაუჭირვებენ სიცოცხლეს ყოველთა მცხოვრებთა. რადგანაც ესრეთი დიდი და უსაჭიროესია მოვალეობა მხედრისა, ამისთვის დიდი მეცადინეობა, მხნეობა და ერთგულება უნდა ჰქონდეს მხედარს, რომ კარგათ აღასრულოს თვისი მოვალეობა. მხედრის მოვალეობა მდგომარეობს: პირველათ სრულსა და შეურყეველსა მორჩილებასა თვისისა უფროსისადმი. მხედრობასა შინა ყოველმა უმცროსმა მსწრაფლ, მარჯვედ და უიჭვნელოდ, ხმა ამოუღებლად უნდა აასრულოს ბრძანება თვისისა უფროსისა. წყალში ჩავარდნა, ანუ ცეცხლში შევარდნა, ანუ კლდეზე ასვლა რომ გიბრძანოს უფროსმა, დაუფიქრებლად უნდა აღასრულო. შესაძლებელია, თუ შეუძლო, კარგია, თუ ავი ბრძანება, ის უფროსმა იცის, უმცროსმა უნდა მხოლოდ აღასრულოს. მხედარი ყოველ წამს, დღე და ღამე უნდა იყოს მზად მსწრაფლ აღსრულებად უფროსის ბრძანებისა. აქედამ სჩანს რაოდენს თავის გამომეტებას მოითხოვს მხედრობის თანამდებობა. ჰეშმარიტი მხედარი თავის თავს არ დაჰქოვავს, თუ საჭიროებამ მოითხოვა, იგი ყოველთვის მზად არის სისხლის დათხევად და სისხლის შეწირვად მამულისა და ხელმწიფისათვის. მეორედ, მხედრობის მოვალეობის აღსრულება მოითხოვს ერთობას.

თქვენს რაზმს ანუ წყობილობას უწოდეს რუსულ ენაზე „დრუჟინა“, რომელიც ჩვენებურად ნიშნავს ამხანაგობას, მეგობრობას. მაგრამ მართლა უნდა იყოს თქვენში ამხანაგობა არა თუ მხოლოდ გარეგანი, არამედ შინაგანიც, სულიერი და გულითადი. როდესაც დაგაყენებენ მწკრივად და გასწავლიან და მიგაჩვევენ, ათასი კაცი რომ იყო, სულ ერთი და იგივე მოძრაობა ერთბამად და თანხმობით უნდა აღასრულოთ, მსგავსად. ვე თქვენი გულიც და აზრებიც შეთანხმებულნი უნდა იყვნენ.

მე ყოველი, რაც აქამომდე ვსთქვით, საჭირო არის და მიუცილებელი მხედართათვის თვით დროსა მშვიდობისასა, როდესაც იგინი თავის ქვეყანაში არიან; მით უმეტესად ომიანობის დროს, როდესაც იგინი წინ დაუდგებიან მტერთა. მაშინ

ასწილ უმეტესი მორჩილება, მხნეობა, ერთობა, თავის უარის-
ყოფა არის საჭირო მხედართათვის. ზაგონებული ვექმნებათ
თქვენცა, რომ მოკლე დროში მოსალოდინებელ არს ომი უს-
ჯულო თათრებთან. იქნება კარგად არა გაქცეთ გაგონილი მი-
ზეზი მოსალოდინებელი ომიანობისა. მიზეზი ის არის, რომ
უწყალონი, გამხეცებულნი და უსჯულონი თათარნი უწინაც
მარადის სტანჯვიდენ მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა, მა-
გალითად, თვით ჩვენი ეს ქვეყანა რამდენჯერ არის მათგან გა-
ოხრებული, რამდენი ეკლესიები და ციხეებია მათგან დამწვა-
რი, რამდენი ათასი კაცი, დედანი და მამანი, მოხუცებულნი
და ჭაბუკნი მათგან არიან დაკლულნი, ამას ვინ აღრიცხავს!
ზარნა, ახლა ჩვენ რომ დაფარულნი ვართ დიდი ხელმწიფის
მოწყალებითა, სხვანი ურიცხვნი მართლ-მადიდებელნი. ქრის-
ტიანენი, რომელნიც მათ ხელში დარჩნენ ვიდრე აქამომდე,
არიან ცეცხლსა შინა, განსაკრდელსა. მათისა ხსნისათვეს ტან-
ჯვისაგან ემზადება ჩვენი ხელმწიფე იმპერატორი. ამ მიზეზისა-
თვის ხართ თქვენ მოწოდებულნი ყოველი სოფლებიდგან. სრუ-
ლი იმედი გვაქვს ჩვენ ყოველთა თქვენთა მემამულეთა, მეზო-
ბელთა და ნათესავთა, რომელ, თუ გარემოებამ მოითხოვა,
თქვენც არ შეარცხვენთ ჩვენსა მამულსა და მონათესავეთა,
მხნედ და მამაცურად დაპირებით მტერთა და მით გაახსოვ-
ნებთ მათ მამაცობასა და მხნეობასა ჩვენთა ძველთა და წინა-
პართა, რომელნი განმავალობასა შინა მრავალთა საუკუნეთა
დაუცხრომელად ებრძოდენ მათვე მტერთა და იცავდენ მა-
მულსა.

ნუ გეშინიან, თუ ვინმე თქვენგანი დაეცა ველსა ზედა
ბრძოლისასა: იგი იქნება ნეტარი! მას ქებით ახსენებს ყოველი
კაცი! შმიდა ეკლესია მისთვის ლოცულობს ყოველთვის; მან
თვისი სიცოცხლე შესწირა მამულსა, მან სისხლი დასთხია ძმა-
თა და მონათესავეთათვის, იგი შეირაცხება მოწამეთა-თანა.
ამინ.

თქმული 6 მაისს, აგალლეგასა ზედა, 1882 წელსა, დაბე-
ზღვებისათვის.

ნეტარ-იყვნეთ თქვენ, რაჯამს გყვედ-
რიდენ და გდევნიდენ, და სთქვან ყო-
ველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მო-
მართ სიცრუით ჩემთვის (მათ. 5 11).

ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! თუმცა დღეს
დიდი ქრისტიანული დღესასწაულია, და ჯერ იყო იმაზედ უბ-
ნობა თქვენთანა, გარნა ჩვენ განვიზრახეთ თქმა სიტყვისა სხვა
საგანზედ, რომელზედაც ჯერედ ერთხელაც არ გვითქვამს
თქვენს წინაშე, და რომელზედაც უბნობა ერთობ საჭირო არის.
მრთი დიდი და მავნებელი, შემარცხვენელი ქვეყნისა, სულიე-
რი სენი, ცოდვა და ვნება გავრცელებულია ჩვენს ქვეყანაში და
მოითხოვს ჩვენგან, მოვალეობისამებრ ჩვენისა, მივაქციოთ მას-
ზედა ყურადღება, და ვამხილოთ იგინი, რომელნიც ემორჩი-
ლებიან იმას და მით ირცხვენ თავსა, ადაბლებენ სახელს და
პატივს ჩვენი ქვეყნისასა. რომელია ეს ვნება, ანუ ცოდვა არის
საიდუმლო შესმენა, ანუ დაბეზღება კაცისა მთავრობასთან,
სიტყვითა და უმეტესად საიდუმლო, უსახელო, ანუ მოგონე-
ბული სახელის წერილით. თუ ვისმეს ჩვენში შური და მტერო-
ბა აქვს ვისმესთან და უნდა როგორვე მას ავნოს, ხოლო პირ-
და-პირ, განცხადებით ვერაფერს ავნებს, თვითონაც ფარისევე-
ლია, ანუ ეშინია, მაშინ საიდუმლოდ მთავრობასთან დააბეზ-
ღებს წერილებით, რომელსა შინა სხვა და სხვა ნაირს ბრალს
დასდებს მასზედა. მს არის ერთობ სასირცხო და საზიზღარი საქმე!
იგი გამოაჩენს დაცემულსა და მდაბიოსა ხასიათსა კაცისასა. მრ-
თობ გავრცელებულია ჩვენს ქვეყანაში ამისთანა ვნება! ნამეტ-

ნავად დაეცა ჩვენი ქვეყანა და მოაკლდა მას უმაღლესი მთავრობისაგან რწმუნება, გაკვირვებულია მთავრობა — რა ხალხია ეს ხალხიო, ერთმანეთს სვრიან, აშავებენ, სჭამენო. მართალია, სხვა ქვეყნებშიაც არის ამისთანა ცოდვა, მაგრამ არა იმ ზომად, როგორც ჩვენს ქვეყანაში. შეჭველია ისიც, რომ ერთი ანუ ორი რომ იყოს ერთ დიდ მხარეში ამისთანა ცუდი საქმის მოქმედი, მოელს ქვეყანას არ უნდა დაედვას ცუდი სახელი. მაგრამ ასეა ქვეყნის ჩვეულება და მიმართულება! ერთი კაცის მიმართულება და მოქმედება მრავალ სხვა კაცს, მის მეზობელს, გაუფუჭებს სახელს; ამისთვის ვსოდეთ მე, რომ ჩვენს ქვეყანას გაუფუჭდა სახელი. ბარნა, ვინც შეკრულია ამ ვნებით, ვინც შურიანია და ბოროტი გული აქვს, იმას რა ენაღვლება! იგი კმაყოფილია, თუ ვისმეს დაასხა თვისი შხამი, გესლი. თუ ვინმე ამისთანა საცოდავი კაცი ისმენს ახლა ჩემს სიტყვებს, მას მე ერთს საბუთს მოვუყვან: ნუ ჰყარგავ ტყუილად დროებას და ხარჯს! რისთვის შრომობ? რათ აწუხებ შენს თავს? არაფერი გავლენა არა აქვს შენს შესმენას და დაბეზღებას? დიდი ხანია შეიტყო უმაღლესმა მთავრობამ, რა ფასი აქვს შენს დაბეზღებას, და სრულიად ყურადღებას აღარ აძლევს მას. შენს თავს დიდი ცოდვაში და ლოტის წინაშე პასუხის გებაში აგდებ და შენს სურვილსაც ვერ აღასრულებ, ესე იგი, არავინ გიჯერებს. დიდ ცოდვაში შესდიხარ მეთქი, და ეს ცხადია: დაბეზღება, შესმენა არის ცილის წამება, ნაყოფი მტერობისა და სიძულვილისა, ხოლო საღმრთო წერილიც შურის-ძიებას, მტერობას და ცილისწამებას დაამზგავსებს და უწოდებს კაცის კვლად. მაშასა-დამე ამისთანა საშინელ ცოდვას მიიღებს თავის თავზედ დამბეზღებელი, შემასმენელი, და თავის განზრახვას და მიზანს მაინც ვერ მიაღწევს. ბსურსა, ძმანო, მსმენელო, მოგიყვანო ერთი გასაკვირველი მაგალითი იმ აზრისა, რომ დამბეზღებელი თავის თავს ავნებს, ცოდვას იღებს თავის თავზედა და თავის სურვილს და განზრახვას ვერ აღსრულებს? ლცდასამი წელიწადი ვარ მე ამ სამწყსოში, და ვგონებ, ნამეტანი არ იქნება, რომ ვსოდეთ მაინც, თუ არა მეტი, დაბეზღება და შესმენა მიუვიდა ჩემზე უმაღლეს მთავრობას. რა ცოდვა და უსჯულება არ მომაწერეს იმ დაბეზღებაში! მაგალითებრ:

კაცის კვლა ერთ დაბეზღებაში პირდა პირ იყო თქმული. რაჭაში, თვით საკურთხეველში მღვდელი ზურგენიძე მოკლაო, რომელიც მე არც კი მახსოვდა, თუ იყო ამ გვარის მღვდელი იქა მრუშება, შეძაობა, ქურდობა, წმინდათა მპარაობა, ხელ-მწიფის ღალატობა! პირჯვრის წერა სულ არ ვიცი, უსამარ-თლოცა ვარ, უღმერთო, ანგაარი ვარ, მოქრთამე და კიდევ სხვა მრავალი, ვინ მოიგონებს ახლა, ვის გაახსენდება! და რა გამოვიდა ყოველთა ამ ურიცხვთა წესმენათა და დაბეზღება-თაგან? სრულიად არაფერი! მთავრობას რომ მართლა დაეჯე-რებია ერთი მაინც ამათგანი, როგორლა დამაყენებდა მე აქ! შეშმარიტებას ვიტყვი, მე თვით იგინი მეცოდვებიან, რომელ-ნიც ამდენს მაბეზღებენ, არა თუ ვემდური და ვუწყრები მათ! მე კი არ მამტყუნებენ, არამედ თავის თავს ამტყუნებენ; სა-კუთარის ხელით სიგელს სწერენ თვისი ცოდვასას, რომე-ლიც მათ დღესა სასჯელისასა წარმოუდგება შესარცხვენელიად მე კი არ მავნებენ, იგინი თვის თავს ავნებენ; მე კი არ მაშა-ვებენ, თავი თვისი გააშავეს და თვისი სამშობლო. ლვთის წი-ნაშე დიდ პასუხის გებაში ჩავარდებიან, თუ არ შეინანეს. ამა-ზედ უმეტეს რამეს გეტყვი, თუ გინდ არ დაიჯერო. მე კიდეც მიხარია და მაღლობელი ვარ მათი, ვინც ასე მდევნის და მა-სმენს მთავრობასთან. მს როგორ იქნებაო, იტყვი შენ, რა არის აქ სასიხარულო? პი რა: ერთ კარგ წიგნში, რომელიც მე მიყვარს და თქვენცა, ესრედ არის დაწერილი: „ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაუამს გადევნიდენ და გყველრიდენ. და სთქვან-თქვენზედა ყოველი სიტყვა ბოროტი“. პი ეს სიტყვა მანუგე-შებს მე. გაამრავლონ ჩემზედ ყველრება, ცილის-წამება, დაბეზღე-ბა,—ამით მე იგინი კეთილს მიყოფენ. სხვა რამე კეთილი და სათნო ლვთის წინაშე არაფერი მიქნია, ჩემი დიდი წოდება მე ცოდვილმა ვერ გავამართლე და ყოველთვის მეშინია, რომ არ დავისაჯო ლვისაგან, გარნა იქნება ამით მაინც შემიწყნაროს ლმერთმა და არ დამსაჯოს, რომ ვით-მენ ამას ყოველსა სულგრძელად, არ ვუჩივი მათ ლმერთ-თან ლოცვაში, არამედ კიდეც ვეველრები: მიუტეოს მათ, გაასწოროს მათი ცუდი ხასიათი. ვინ იცის, იქნება რითიმე შევსცოდე მათ, თუმცა არ მახსოვს ვის და რით; გარნა, მაინც

არ უნდა იქმოდენ ამისთანა საქმეს. შთუოდ ლვთის განგებით არის ეს, რომ ამოდენი ყველრება, ცილის-წამება და სიტყვა ბოროტი დამედვა მე. იქნება ამით ჰესურს ღმერთს განწმენდა ჩემი ცოდვებისა და ცხონება ჩემი ცოდვილი სულისა; და ისიც შეიძლება, რომ ჩემთა დამბეზღებელთაგანი და ცილის მწამებელთაგანი არა თუ დაჩაგრული იყოს ჩემგან, არამედ დაჯილდოებულიც; თუ იგი ერის კაცია, უთუოდ ერთი შენდობა მაინც მიუღია ჩემგან, ერთხელ მაინც ჯვარი გადავსწერე მას; ესეც კეთილის ყოფაა. ზარნა უფრო საფიქრელია, რომ, ის ჩემი მარადის დამბეზღებელი, არის ერთი ვინმე სასულიერო წოდების კაცი; იქნება ჩემგან იგი კიდეც არის დაჯილდოებული და ამაღლებული, და მაინც მემტერება მე და სცდილობს გამაშაოს—ესეც შესაძლებელია ჩვენ ქვეყანაში. მე ღმერთი უფრო შემიბრალებს და მომიტევებს ჩემს ცოდვებს, გარნა იმ საცოდავს უდიდესი ბრალი დაედება. მტერზედაც არ გვაძლევს ნებას შფალი იესო ქრისტე შურის ძიებისა და ცილის წამებისას, და თუ კეთილის მყოფელისა ვინმემ იკადრა ცილის წამება, დაბეზღება და შესმენა, სადღა დაემალება იგი განკითხვასა ღვთისასა? უკანასკნელს შემთხვევაში სწორედ ჩემ ცოდვილ თავზედაც ალსრულდა სიტყვა დავითნისა: რომელთა მომავას მე ბოროტი კეთილისა წილ, მასმენდეს მე, (ანუ მაბეზღებდეს), რამე-თუ ვსდევდი (ვეძებდი) სიმართლესა, იყავნ ნება უფლისა! ამინ.

დასასრული.



ს ა რ ჩ ვ 3 0.

	გვერდი.
მოძლვრება კვირიაკესა ზედა მეზვერისასა და ფარისევე-	.
ლისასა .	3
სიტყვა კვირიაკესა ზედა ფარისეველისასა და მეზვე-	.
რისასა .	7
სიტყვა კვირიაკესა უძლების შვილისასა .	11
სიტყვა უძლების კვირიაკესა ზედა .	14
მოძლვრება კვირიაკესა ხორციელისა .	17
სიტყვა ხორციელის კვირიაკესა ზედა .	21
სიტყვა ყველიერის კვირიაკესა ზედა .	25
სიტყვა კვირიაკესა ზედა ყველიერისასა .	29
მოძლვრება კვირიაკესა ზედა ყველიერისასა .	32
სიტყვა კვირიაკესა ყველიერისასა .	35
სიტყვა კვირიაკესა ზაღა ყველიერისასა .	38
მოძლვრება ღიღ-მარხვის პირველ კვირიაკის სამშაბათს	41
მოძლვრება ღიღი მარხვის პირველის კვირიაკის ოთხშა	.
ბათს .	43
სიტყვა თეოდორობის კვირიაკესა ოთხშაბათსა ზედა .	46
სიტყვა თეოდორობის კვირიაკის ოთხშაბათსა, ზიარებად გამზადებულთა მიმართ .	49
მოძლვრება აღსარებისა თქმად მომზადებულთადმი თეოდო- რობის კვირიაკის ოთხშაბათს .	52
მოძლვრება თეოდორობის კვირიაკესა პარასკევსა ზედა კოლი- ვას ანუ წანდილის კურთხვევის წინად 1869 წ.	55
მოძლვრება ზიარებაზ გამზადებულთათვის, თქმული ქუთაისს .	58
მოკლე მოძლვრება მაზიარებელთადმი .	60
სიტყვა მართლ-მაღიდებლობის კვირიაკესა ზედა .	62
სიტყვა მართლ-მაღიდებლობისა კვირიაკესა ზედა .	65
სიტყვა მართლ-მაღიდებლობის კვირიაკესა ზედა. .	68
სიტყვა ქუთაისის საკათედრო სობოროსა შინა 1878 წ.	.
5 მირტს მართლმადიდებლობის კვირიაკესა ზედა .	70
სიტყვა პირველსა ღიღმარხვის კვირიაკესა, მართლ-მაღი- დებლობისა	74
სიტყვა მეორესა კვირიაკესა ზედა ღიღისა მარხვისასა	77
სიტყვა მეორესა კვირიაკესა ღიღმარხვისასა .	82
სიტყვა მეორესა კვირიაკესა ღიღისა მარხვისასა .	84
მოძლვრება, თქმული მეორესა კვირიაკესა ზედა ღიღისა მარხვისასა .	88

	გვერდი.
სიტყვა მესამესა კვირიაკესა ღიღისა მარხვისასა .	94
სიტყვა მეოთხესა კვირიაკესა ღიღისა მარხვისასა .	98
სიტყვა ღიღმარხვის მეოთხესა კვირიაკესა ზედა .	102
სიტყვა მეხუთესა კვირიაკესა ზედა ღიღისა მარხვისასა .	105
სიტყვა მეხუთესა კვირიაკესა ზედა ღიღისა მარხვისასა .	109
სიტყვა ბზობის კვირიაკესა ზედა .	112
მოკლე სიტყვა ღიღ ხუთშაბათს .	116
მოკლე სწავლა ღიღ ხუთშაბათს .	118
სიტყვა ღიღ პარასკევს ჯვარცმის გარდამოხსნასა ზედა .	120
სიტყვა ჯვარცმის გარდამოხსნასა ზედა .	124
სიტყვა ღიღ პარასკევს ჯვარცმის გარდამოხსნასა ზედა .	128
ლოცვა ნაცვლად ქადაგებისა, თქმული ღიღ პარასკევს .	130
წინაშე ჯვარცმის გარდამოხსნისა .	130
სიტყვა კვირაცხოვლობასა ზედა ანუ თომა მოციქულისა .	134
სიტყვა მენელსაცხებლეთა კვირიაკესა ზედა .	139
სიტყვა მესამესა კვირიაკესა ზედა მენელსაცხებლეთა .	142
სიტყვა მესამესა მენელსაცხებლეთა კვირიაკესა შემდგო- მად აღდგომისა .	146
სიტყვა მენელსაცხებლეთა კვირიაკესა ზედა .	150
სიტყვა კვირიაკესა ზედა განრაღვეულისასა .	154
სიტყვა კვირიაკესა ზედა სამარიტელისასა .	157
სიტყვა სამარიტელის კვირიაკესა ზედა .	161
სიტყვა კვირიაკესა ზედა შობიდგან ბრმისასა .	166
სიტყვა კვირიაკესა ზედა შობიდგან ბრმისა .	170
სიტყვა მესამესა კვირიაკესა ზედა შემდგომად სულის წმი- დის მოფენისა .	173
სიტყვა, მეოთხესა კვირიაკესა შემდგომად სულის წმი- დის მოფენისა .	177
სიტყვა მეხუთესა კვირიაკესა ზედა შემდგომად სულის წმიდის მოფენისა .	180
მოძღვრება მეხუთესა კვირიაკესა ზედა .	183
სიტყვა მეხუთესა კვირიაკესა ზედა .	188
სიტყვა მეცამეტესა კვირიაკესა ზედა .	190
სიტყვა მეთექვსმეტესა კვირიაკესა ზედა .	192
მოძღვრება მეთექვსმეტესა კვირიაკესა ზედა .	195
სიტყვა მეჩვიდმეტესა კვირიაკესა . ზედა .	198
მოძღვრება მეჩვიდმეტესა კვირიაკესა ზედა .	200
სიტყვა, თქმული 21 კვირიაკესა ზედა .	203
სიტყვა 22 კვირიაკესა ზედა .	208

III.

	გვერდი.
მოძღვრება 25 კვირიაკესა ზედა	212
სიტყვა 25 კვირიაკესა ზედა :	215
სიტყვა 25 კვირიაკესა ზედა მოწყალე სამარიტლისასა	218
სიტყვა 25 კვირიაკესა ზედა . . .	221
მოძღვრება კვირიაკესა შემდგომად ჯვართამაღლებისა	224
სიტყვა 26 კვირიაკესა . . .	227
სიტყვა 26 კვირიაკესა ზედა	231
სიტყვა 26 კვირიაკესა ზედა , . .	234
სიტყვა 27 კვირიაკესა ზედა . . .	239
სიტყვა, 31 კვირიაკესა ზედა . . .	242
მოძღვრება კვირიაკესა შემდგომად ნათლის ღებისა	247
სიტყვა ახალის 1884 წ., თქმული ქუთაისის სობოროსა	
შინა	250
მოკლე მოძღვრება ახალი წლისათვის	254
სიტყვა მირქმის ანუ მიგებების დღესასწაულსა ზედა	256
სიტყვა მირქმასა იესო ქრისტესა	260
სიტყვა, თქმული ქუთაისის დღესა უფლის მიგებებისა ანუ	
მირქმისა	262
მოძღვრება ფერისცვალებასა ზედა	267
სიტყვა ფერისცვალებასა ზედა	271
სიტყვა, ფერისცვალებასა ზედა	275
სიტყვა, თქმული ჯვართამაღლების დღესასწაულსა ქუთაისის საკათედრო ეკლესიასა შინა სახორციელო და სასულიერო სასწავლებელთაგან შეკრებილთა მოსწავლეთა-დმი 1874 წ.	279
მოძღვრება ამაღლების დღესა ზედა	283
მოძღვრება თქმული გელათს 8 სეკტემბერს 1882 წ.	286
სიტყვა ღვთისმშობლის შობის დღესა, თქმული გელათის მონასტერს 1877 წ.	291
მოძღვრება, თქმული გელათს 1869 წ. 8 სეკტემბერს	294
მოკლე მოძღვრება ტაძრად მიყვანებასა ზედა ყოვლადწმილისა ღვთისმშობლისა	299
მოძღვრება დღესასწაულსა ზედა ხარებისასა	301
სიტყვა ხარების დღესა	305
მოძღვრება, თქმული ქუთაისის კათედრის ეკლესიაში 25 მარტს, ხარების და ბზობის დღესასწაულთა ზედა 1879 წ.	308
სიტყვა დღესა ხარებასა, თქმული ქუთაისის სობოროსა შინა	310
სიტყვა, თქმული ქუთაისის სობოროში 25 მარტს 1881 წ.	315
მოკლე სიტყვა ღვთისმშობლის მიძინებასა ზედა . . .	321
სიტყვა 29 აგვისტოს, იოანე ნათლის მცემლის თავის კვეთასა ზედა . . .	323

	გვერდი.
სიტყვა პეტრეპავლობის დღესა	326
მოკლე მოძღვრება პეტრეპავლობასა ზედა.	330
სიტყვა პეტრეპავლობის დღესა ზედა	332
მოძღვრება, თქმული ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეპ- ლესიასა შინა.	335
სიტყვა, თქმული ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიასა შინა	341
სიტყვა 14 იანვარს ქუთაისის საქალებო გიმჩაზიაში.	344
• სიტყვა, თქმული ქუთაისის საკათედრო ეკლესიასა შინა მოსწავლეთადმი სხვათა და სხვათა ქუთაისის სასწავლებელთა შინა 1879 წ.	349
• სიტყვა, თქმული ქუთაისის საკათედრო ეკლესიასა შინა სასულიერო და სახორციელო სასწავლებლების მოსწავლეთად- მი, 1876 წ.	353
• სიტყვა, თქმული საკათედრო ეკლესიაში 1877 წ., წინა- შე შეკრებილთა მოსწავლეთა სხვადასხვა სასწავლებელთაგან	358
• სიტყვა, თქმული ქუთაისის საპყრობილები, ეკლესის კურთხევასა ზედა, 1871 წ. იანვრის 3-სა	361
• სიტყვა, თქმული 1880 წ. ქუთაისის საპყრობილება შინა მოძღვრება, თქმული ქუთაისის საკათედრო ეკლესიასა შინა, ქურდობისათვის.	364
სიტყვა, თქმული 29 აგვისტოს 1875 წ. ქუთაისის საპ- ყრობილება შინა	367
სიტყვა თქმული ქუთაისის საკათედრო ეკლესიაში მესამე შენებაზე.	371
მოკლე სიტყვა ერთ მიცვალებულ მოვაჭრეზე ქუთაისში მოძღვრება, თქმული სოფლის დიხაშხოს ეკლესის კურთხევაზე	374
სიტყვა, თქმული ქუთაისის საკათედრო სობოროსა შინა 1868 წ.	377
სიტყვა, თქმული ქუთაისის საკათედრო ეკლესიაში 1876 წ.	380
სიტყვა, თქმული ქუთაისის საკათედრო ეკლესიაში	284
სიტყვა, თქმული ქუთაისის საკათედრო ეკლესიაში	392
სიტყვა, თქმული ქუთაისის საკათედრო ეკლესიაში	395
სიტყვა, თქმული 6 დეკემბერს 1883 წ. ქუთაისის კლა- სიკურ გიმნაზიის ეკლესიაში, რუსულ ენაზე.	400
სიტყვა, თქმული ქუთაისის განკის დამაარსებელის ბესა- რიონ ლოლაბერიძის წესის აგებაზე 1879 წ. მარტის 7 დღესა-	404
სიტყვა, თქმული ქუთაისის საპყრობილის ეკლესიასა ში- ნა 29 აგვისტოს	408
სიტყვა, თქმული საპყრობილის ეკლესიაზე ქუთაისში მოძღვრება, თქმული ახლად მოწოდებულთა იმერეთის მცხოვრებთაგან მხედართა მიმართ, ანუ დრუჟინათა, ქუთაი- სის სობოროში	411
სიტყვა, თქმული 6 მაისს, ამაღლებასა ზედა 1882 წ., დაბეზღებისათვის	413
	416

Издательство
«Техника» г. Новокр.

